

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის  
ურობები  
W O R K S  
OF THE KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM



კრებული XXVIII  
EDITION XXVIII



**ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის  
შ რ ო მ ე ბ ი**

**კრებული XXVIII**

**W O R K S  
OF THE KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM**


**EDITION XXVIII**

ქუთაისი – KUTAISI  
2018-2019

კრებული დაარსებულია 1968 წელს  
The edition was founded in 1968

მთავარი რედაქტორი: პროფესორი **ომარ ლანჩავა**  
Chief Editor: **Professor OMAR LANCHAVA**

რედაქტორი: ისტორიის დოქტორი **ნონა ქარციძე**  
Editor: **Doctor of Historical NONA KARTSIDZE**



4600. ქ. ქუთაისი. პუშკინის ქ. №18. ტელ: (+995) 431 244972, 245691 ფაქსი: (+995) 431 245691  
18 Pushkin str. 4600. Georgia. Phone: (+995) 431 244972, 245691 FAX: (+995) 431 245691  
<https://www.facebook.com/kutaisimuseum/> E-mail: [omarilanchava@gmail.com](mailto:omarilanchava@gmail.com)

**ფურნალის გარეგანზე:**

თაბორის ოთხთავი (K-76), 1060 წ. 21x16 სმ.; 353პ.; ეტრატი; ნუსხური;  
შავი მთა, ანტიოქია.  
Tabori Four Gospels (K-76), 1060. 21x16cm.;353p.; parchment; nuskhuri hand;  
site: Black Mountain, Antioch.

UDC 069.02:93/94(479.22)(066)  
Q-845

ISSN 2233-3495



საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტრო

Ministry of Education, Science,  
Culture and Sport of Georgia



ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

ქუთაისი – KUTAISI  
2018-2019



**დემოკრატიის გენერალური დირექტორატი**  
**კულტურის, ბუნებისა და მემკვიდრეობის დეპარტამენტი**  
**ევროპული მემკვიდრეობის დღეები**

სტრასბურგი, 18 ნოემბერი, 2019

**ევროპული მემკვიდრეობის დღეები**

**ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი წამოწყება**

ეროვნულ და რეგიონულ კოორდინატორებს  
 სათემო მოხალისეებს

ძვირფასო მეგობრებო,

გვინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადოთ თითოეულ თქვენგანს ევროპული მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში 2019 წლის ღონისძიებათა ორგანიზებისთვის გაწეული შესანიშნავი სამუშაოსთვის. თქვენი თავდადება, შემოქმედებითი მიდგომა და ერთუზიანში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამ ინიციატივის წარმატებით ჩატარებისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს გახსნის ღონისძიების ორგანიზებისთვის და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმსა და თელავის ისტორიულ მუზეუმს ინგლისის ეროვნული კოორდინატორის მიღებისათვის.

ევროპული მემკვიდრეობის დღეები კულტურულ ღონისძიებათა ყველაზე მასშტაბური ციკლია ევროპაში, რომელიც განსაკუთრებული ჩართულობით გამოირჩევა. ამ წამოწყების პან-ევროპული ხასიათი აერთიანებს მოქალაქეებს და მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ სხვადასხვა საზოგადოება ერთნაირად აღიქვამს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას.

ულრმეს მადლობას ვუხდით თითოეულ თქვენგანს მხარდაჭერისთვის, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და წარმატებას გისურვებთ ევროპული მემკვიდრეობის დღეების მომავალი წლის ციკლის მომზადებაში.

გულითადი მოკითხვით,

მაგელონ დეჟონ-პონს

ევროპული მემკვიდრეობის დღეების პროგრამის ხელმძღვანელი  
 ევროპის საბჭო

ნიმო სულავა, ნანა რეზაიძე, რუსუდან ჩაბელიძე  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ბრინან ბილმორი  
ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)

თამარ ბერიძე  
ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი

## გვიან ბრინან ხანის არქეომეტალურბიული ქაბლი ლეჩხუმიდან

მთიან კოლხეთში – ლეჩხუმის ტერიტორიაზე, ბოლოდროინდელმა არქეომეტალურბიულმა კვლევა-ძიებებმა საინტერესო შედეგები მოგვცა. მიღებულმა მონაცემებმა არსებული არქეოლოგიური კონტექსტის (ბრინჯაოს განძები, პრეისტორიულ მეტალურბიასთან დაკავშირებული არტეფაქტები) ფონზე კიდევ უფრო გაამყარა გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ლეჩხუმი მიჩნეულია სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურბიის ერთ-ერთ უძველეს კერად [Сахарова Л.С. 1966].

ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელიც ქართული წყაროების გარდა მოხსენიებულია ბერძნულ, ბიზანტიურ და სომხურ წყაროებში (ლეჩხუმი/სკვიმნია/თაკვერის სახით)<sup>1</sup> და მოიცავს დღევანდელი ცაგერის, ნაწილობრივ წყალტუბოსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს. მას დასავლეთით სამეგრელოსგან ყოფს ასხის პლატო, ჩრდილოეთით სვანეთისგან – ლეჩხუმის ქედი, აღმოსავლეთით რაჭისგან – მდინარე ასხისწყალი და მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე განლაგებული თავშავის ქედის სამხრეთი კალთები, ხოლო სამხრეთით იმერეთისგან – მდ. ლეხიდარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მდებარე სერი და ხვამლის მთის მასივი.

რეგიონი არქეოლოგიურად ნაკლებად შესწავლილია. მდ. ცხენისწყლის ხეობაში ჩატარებულია მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები – კერძოდ, 1961-62 წლებში სოფ. ცხეთაში გაითხარა ანტიკური ხანის სამაროვნის 15 სამარხი [სახაროვა ლ. 1967. სულავა ნ. 1996], ხოლო 1970-1971 წლებში აქვე აღმოჩნდა ძვ.წ. 8-5 სს-ით დათარიღებული კოლხური ნასახლარი ტიპური კოლხური კერამიკითა [სახაროვა ლ. 1976: 96-104. † სახაროვა ლ., სულავა ნ. 2014: 67-86] და მართკუთხა ბრინჯაოს აბზინდების საინკრუსტაციო მასალის (მეანდრული სვასტიკები) ჩამოსასხმელი ქვის ყალიბით [Sulawa №. 2001ა,ბ: 186-187,375. სულავა №ნ. 2003: 1-37. Sulawa №. 2008: 299-305] ;1989-1991 წლებში გათხრები გაგრძელდა მდ. რიონის ხეობაში, სადაც აგრეთვე, კოლხური ნასახლარი გამოვლინდა [გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ. 2004: 121-123].

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ლეჩხუმში დიდი ხნის შესვენების შემდეგ, 2012 წლიდან ისევ სოფლების ცხეთისა და დეხვირის მიდამოებში განახლდა, კვლავ სამაროვნისა და ნასახლარის შესასწავლად. მიუხედავად ამ მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოებისა, შედეგები მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულებისა<sup>2</sup>.

ლეჩხუმში მრავლადაა შემთხვევითი აღმოჩენები – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს 11 განძი [სახაროვა ლ. 1976], ბრინჯაოსა და რკინის არტეფაქტები საბრძოლო და სამეურნეო

1. სახელწოდება „ლეჩხუმის“, „თაკვერის“ და საერისთავოს საზღვრების დროში მონაცვლეობის საკითხის შესახებ - იხ.: სახაროვა ლ. 1966: 12-17. სულავა ნ. 1996: 3-9, 96-100. დეთოდიანი ე. 2003: 5-35. იხ.: იქვე ლიტერატურა.

2. იხ.: ნ. სულავას 2012-2018 წლის ანგარიშები წარდგენილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოში.

იარაღის სახით, მეტალურგიის პირველადი პროდუქცია (ბრინჯაოს ზოდები) და საწარმოო ნარჩენები (წიდეები, ქურის შელესილობის ფრაგმენტები, თიხის მიღების ფრაგმენტები) [სულავა ნ., . . . 2012. სულავა ნ. 2014: 33-39].

რეგიონში წარმოდგენილია კოლხური ბრინჯაოს კულტურის ყველა კომპონენტი – ბრინჯაოს სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, სამკაული, ბრინჯაოს განძები, მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული არტეფაქტები, ტიპური კოლხური კერამიკა.

2011–2015 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგებისა და გეოლოგების ჯგუფის სადაზვერვო ექსპედიციების შედეგად მთიან კოლხეთში – ლეჩხუმში, გამოვლინდა 14 დღემდე უცნობი არქეომეტალურგიული ძეგლი [Sulava N.,... 2013: 375-379]. (სურ. 1).

ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოებისა და წინასწარი კვლევების შედეგად შერჩეულ ადგილას – „დოღურაში I“-ზე 2016 წელს არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. „დოღურაში I“ მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარცხენა შენაკადის დოღურაშის ლელეს მიდამოებში ცაგერიდან ჩრდილოეთით ≈7 კმ-ის მანძილზე. აქ ზედაპირული დაზვერვებისას დიდი რაოდენობით წიდეები დაფიქსირდა.

არქეომეტალურგიულ ძეგლზე გაიჭრა 7 სადაზვერვო თხრილი; სამუშაოების ფართობი შეადგენდა 100 მ<sup>2</sup>-ს; გაითხარა დაახლოებით 1-2,5 მეტრამდე სისქის კულტურული ფენა (სურ.2, 3).

„დოღურაში I“-ზე აღმოჩნდა მეტალურგიული წარმოების ნაშთები: ძლიერ დაზიანებული მეტალურგიული ქურა (სურ. 4, 5, 6, 7) ქურის საქმენი მიღები, ქურის შელესილობის ფრაგმენტები და დიდი რაოდენობით წიდეები. წიდეების დიდი რაოდენობა (სურ. 8), გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს საწარმოო უბანთან, რამოდენიმე ქურით. არქეოლოგიური სამუშაოები გრძელდება ძეგლის სრულ შესწავლამდე<sup>3</sup>.

„დოღურაში I“-ზე აღმოჩენილი და ლეჩხუმის სხვა ტერიტორიებიდან დაზვერვების გზით მოპოვებული არტეფაქტები (წიდეები, მეტალურგიული ქურის შელესილობის ფრაგმენტები, ქურის საბერველი მიღების ფრაგმენტები) შემდგომი ლაბორატორიული კვლევებისათვის გაგზავნილი იქნა ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში<sup>4</sup>. ძეგლზე აღმოჩენილი წიდიდან და ქურის შელესილობიდან აღებულ ნახშირებზე ჩატარდა C<sup>14</sup> ანალიზი, რამაც ძეგლი დაათარიღა – ძვ. წ. XIII-IX სს (სურ.7). ამავე ლაბორატორიაში კეთდება, მეტალურგიული წარმოების ნარჩენებზე (წიდეები, ქურის შელესილობის ფრაგმენტები) სპექტრული და რაოდენობრივი ანალიზები, რომლის შედეგების გამოქვეყნება იგეგმება უახლოეს მომავალში.

რაოდენობრივი და სპექტრული ანალიზის შედეგების მიხედვით ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლზე – „დოღურაში I“-ი ადგილი ჰქონდა სპილენძის წარმოებას (სურ.8).

ძეგლზე მიმდინარე ინტერდისციპლინარული კვლევა, საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ „დოღურაში I“-ის ადგილი თანადროულ მეტალურგიასა და კოლხურ კულტურაში.

ამგვარად, ძვ.წ. II-I ათასწლეულის ძეგლის – „დოღურაში I“ შესწავლამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ეტაპს ლეჩხუმის და მთლიანად მთიანი კოლხეთის უძველესი მეტალურგიის კვლევას. რის შედეგადაც ლეჩხუმი შესაძლოა მივიჩნიოთ, ერთ-ერთი უძველესი მეტალურგიის ცენტრად კავკასიაში. ლეჩხუმში არქეომეტალურგიული ძეგლის გათხრით შეივსო კოლხეთის უძველესი მეტალურგიის რეგიონის -

3. 2017 წლიდან ლეჩხუმში წარმოებული პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი ექსპედიციის საველე სამუშაოები ფინანსდება ჩვენს მიერ მოპოვებული საქართველოს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში („მეტალურგიის წარმოება და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები“. N217620).

4. კვლევები ჩაატარა ჩვენი გრანტის სამეცნიერო კონსულტანტმა ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიის პროფ. ბრ. გილმონმა.

აჭარა, გურია, სამეგრელო, რაჭა, სვანეთის [Хакхутаишвили Д.А. 1987. Khakhutaishvili D. 2009. Erb-Satullo N., Gilmour Br. J.J., Khakhutaishvili N. 2014. Erb-Satullo N., Gilmour Br. J.J., Khakhutaishvili N. 2015] არეალი. პრეისტორიული მეტალურგიის შემსწავლელი ექსპედიციის საველე და სამეცნიერო სამუშაოები კვლავ გრძელდება.

### ბამოყენებული ლიტერატურა:


- გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ. 2004. ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები (1989-1991 წწ) //საკძ 1989-1992 წლებში. თბილისი.
- ლეთოდიანი დ., 2003. ძიებანი. თბილისი.
- სახაროვა ლ. 1966. გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა ცხენისწყლის ხეობაში (ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპ. სადისერტაციო ნაშრომი). თბილისი.
- სახაროვა ლ. 1967. ანტიკური ხანის სამარხები, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, თბილისი.
- სახაროვა ლ. 1976. ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.
- სულავა ნ. 1996. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი). თბილისი.
- სულავა ნ. 2003. ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ/ძიებანი, №10. თბილისი.
- სულავა ნ., აღაპიშვილი თ., კოპალიანი ნ., ქორიძე ი., პატარიძე მ., ბაქრაძე ი., ჩაგელიშვილი რ., მამარდაშვილი გ. 2012. ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. თბილისი.
- † სახაროვა ლ., სულავა ნ. 2014. ცხეთის ნასახლარი (ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები), ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I. თბილისი.
- სულავა ნ. 2014. ცაგერის ისტორიული მუზეუმის პრეისტორიული მეტალურგიის ექსპონატები. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I. თბილისი.
- Сахарова Л.С. 1966. Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали. Автореф. диссерт. к.и.н. Тбилиси.
- Хакхутаишвили Д.А. 1987. Производство железа в древней Колхиде. Тбилиси.
- Erb-Satullo N., Gilmour Br. J.J., Khakhutaishvili N. 2014. Late Bronze and Early Iron Age copper smelting technologies in the South Caucasus: the view from ancient Colchis c. 1500e600 BC. Journal of Archaeological Science 49 (2014) 147e159.
- Erb-Satullo N., Gilmour Br. J.J., Khakhutaishvili N. 2015. Crucible technologies in the Late Bronze Early Iron Age SouthCaucasus: copper processing, tin bronze production, and the possibility of local tin ores. Journal of Archaeological Science 61. 260- 276.
- Khakhutaishvili D. 2009. The Manufacture of Iron in Ancient Colchis. Oxford.
- Sulava N. 2001a. Letschchumi - eine bedeutendste frühe Metallurgie - Region in der Kolchis. GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies“. Bochum.
- Sulava N. 2001b. Gussform. GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies“. Bochum.
- Sulava N. 2008. On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (AMITEM), Ankara.
- Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013. Newly Discovered Monuments of the Ancient Iron Metallurgy: Research Perspective and Expected Outcomes. "The Thracians and their Neighbors in the Bronze and Iron Ages". Volume I (Proceedings of the 12 th International Congress of Thracology) Târgoviște.




ილუსტრაციები



სურ.1.



სურ.2.



სურ.3.



სურ.4.



სურ.5.




სურ.6.




სურ.7.



სურ.8.



სურ.9.



სურ.10.



**C9: Dogurashi I (local name = ?) [Site looks well preserved]**

Slag/crucible etc	Analysis no	Si	S	K	Ca	Ti	Mn	Fe	Cu	Zn	Pb	P	Sn
porous slag lump 1	HM1005a	2.25	<0.26	8.07	6.86	4.59	0.98	66.88	7.56	2.05	0.75		
porous slag lump 1	HM1005b	0.71	0.19	0.57	16.46	5.92	1.55	68.04	4.72	1.49	0.35		
porous slag lump 1	HM1005c	0.69	0.24	0.21	10.32	11.96	1.41	64.38	2.34	7.70	0.76		
porous slag lump 1	HM1005d	0.55	0.44	<0.09	14.63	7.94	0.58	64.22	5.07	5.15	0.99	0.42	
crucible rim frag, inside face	HM1005e	1.11	<0.13	2.08	2.63	1.60	0.39	76.45	13.90	1.46	0.37	0.23	
crucible rim frag	HM1006f	0.74	<0.1	0.09	1.94	0.20	0.06	4.74	67.59	24.13	0.51		
crucible thick frag, outside	HM1005g	<0.31	<0.14	0.05	2.06	1.16	0.21	20.96	0.48	1.95	0.09	0.09	
crucible thick frag, inside	HM1005h	2.70	<0.37	6.27	10.29	8.00	1.44	46.44	19.84	1.43	3.58	<0.60	
very dense slag lump 1	HM1005i	0.47	0.28	2.91	17.01	24.90	0.81	49.79	0.88	2.33	0.16	0.48	<0.03
porous slag lump 1: green area	HM1005j	0.31	<0.09	2.88	14.45	5.76	0.75	71.11	2.10	1.67	0.45	0.52	<0.02
porous slag lump 1: green area	HM1005k	4.13	0.20	3.16	11.49	3.59	0.37	49.28	25.45	1.44	1.09	<0.44	<0.07
porous slag lump 1: dk grey area	HM1005l	0.46	0.41	1.77	5.84	5.28	0.45	41.68	39.26	1.27	3.53	<0.2	0.04
porous slag lump 1: med grey area	HM1005m	0.53	0.11	2.61	8.60	4.24	0.63	65.57	14.80	1.65	1.01		<0.03
porous slag lump 1: green area	HM1005n	<0.24	0.67	1.50	4.34	2.80	0.24	28.57	59.98	0.45	1.44	<0.19	<0.03
porous slag lump 1: area of cu prill 1	HM1005o							95.96	0.75	3.20			
porous slag lump 1: area of cu prill 2	HM1005p							88.94	1.30	6.97			
porous slag lump 1: ?white metal prill	HM1005q	0.40	0.13	2.71	15.35	5.08	0.61	69.99	3.39	1.39	0.47	0.48	nd

**Site C12: Dogurashi II (reputed area of site with single slag piece - main site not yet located)**

Analysis no	Si	S	K	Ca	Ti	Mn	Fe	Cu	Zn	Pb	P	Sn
HM1013a	8.95	1.02	10.36	1.15	11.88	0.23	39.35	25.40	1.22	0.43	<1.62	
HM1013b	0.66	0.23	0.29	10.81	17.06	0.64	64.77	1.72	3.21	0.32	0.31	

**NINO SULAVA, NANA REZESIDZE, RUSUDAN CHAGELISHVILI**

Georgian National Museum

**BRIAN GILMOUR**

School of Archaeology, University of Oxford

**TAMAR BERIDZE**

Iv.Javakhishvili Tbilisi State University, Al. Janelidze Institute of Geology

## **LATE BRONZE AGE ARCHAOMETALLURGICAL SITE IN THE LECHKHUMI REGION**

New results of exploratory fieldwork and some excavation conducted in the Lechkhumi region of mountainous Colchis are fairly interesting. Along with already established archaeological contexts (bronze ingots, artefacts related to prehistoric metalwork) recently obtained data confirm supposition made in 60-ies of the last century that Lechkhumi is an important centre of prehistoric copper and bronze metallurgy.

Lechkhumi is a relatively small but significant historical-geographic region of western Georgia which is known from Georgian as well as from Greek, Bizantian and Armenian written sources (Lechkhumi/Skvimnia/takveri). Lechkhumi includes the territories of present day Tsageri, and part of the Tskaltubo and Ambrolauri municipalities. To the west it is separated from the Samegrelo region by the Askhi mountain massif, to the north from Svaneti region it is separated by Lechkhumi range, to the east the boundary with Racha region runs along the river Askhištskali and to the south the boundary with Imereti region passes along the mountain crest on the river Lekhidara left bank and the Khvamli mountain massif.

Lechkhumi is archaeologically perhaps the least studied region in Georgia. Here, during fieldwork conducted in 1961-1962 in the Tskheništskali river gorge, and the village of Tskheta in particular, in a small-scale archaeological survey 15 antique period (mid-first millennium BC) burials were excavated. In 1970-1971 an 8-5th century BC Colchian settlement was excavated in the same locality with typical Colchian ceramics and a stone casting mould for a fylfot (swastika) form of Colchian bronze buckle. Another Colchian settlement was found during archaeological excavations of 1989-1991 in the valley of the Rioni. After a long break archaeological excavations in Lechkhumi recommenced in 2012 the main aim being the study of both burial and settlement in the Tskheta and Dekhviri environs. In spite of the limited character of these investigations the findings are of great archaeological importance. Aside from excavated archaeological remains Lechkhumi is rich in accidental findings, in particular late Bronze/early Iron copper alloy and iron artefacts: 11 bronze hoards, small bronze samples of various forms, weaponry and agricultural tools, jewellery as well as ceramics. The existence of a wide variety of Colchian Bronze Age material (copper alloy tools or other industrial artefacts, weaponry, copper ingots, copper alloy secondary casting cakes all related to the production of metallurgical artefacts, as well as typical Colchian ceramics) in Lechkhumi prompted the conducting of reconnaissance expeditions here by the

Georgian National Museum in 2011-2015. As a result 14 unknown early smelting sites identifiable by slags, tuyeres, crucibles etc. were located. In 2016 the next stage of this survey involved the archaeological investigation of one of the sites identified in the preliminary survey, the site 'Dogurashi I' located in the vicinity of the river Tskhenistskali eastern tributary, 'Dogurashis Gele' (7 km from Tsageri). This site had been identified by the prospecting for surface remains in the form of slag and other waste material.

In the archaeological investigation at 'Dogurashi I' in 2016 seven trenches were excavated. Undisturbed archaeological layers varying between approximately 10 centimetres and more than 2.5 meters in thickness were excavated with a total working area of 100 m<sup>2</sup>. This revealed the remnants of metallurgical production including the base of an otherwise destroyed metallurgical furnace, tuyeres, crucible fragments and the abundant remains of slag. The sequence of slag waste dumps suggested to us that this is the main industrial area with several furnaces. A more complete archaeological investigation of the site is still going on.

Archaeometallurgical waste debris (mainly fragments of slag, crucibles and tuyeres from „Dogurashi I”, as well as samples similar waste debris retrieved from other recently located archaeometallurgical sites of the Lechkhumi region, was shipped for laboratory analysis to the Oxford University, Research Laboratory for Archaeology and the History of Art. Charcoal from the furnace and slag found on „Dogurashi I” was also sent to Oxford for 14C dating which indicated the lifespan of the site cover the period from the 13th to the 9th century BC. Semi-quantitative and qualitative analysis as well as identification by photo microscopy is being conducted on the metallurgical production remains (crucible fragments and slags) in the same laboratory and the results will be published soon. However preliminary analysis of the production waste remains so far located in Lechkhumi has confirmed that a series of similar sites were all linked to early copper production.

Current interdisciplinary investigation of the late Bronze Age copper site of „Dogurashi I”, will enable us to establish and assess the significance of the Lechkhumi region and its place in the contemporary metallurgical production and culture of this part of ancient Colchis.

Archaeological excavations of the second to first millennium BC copper smelting site at „Dogurashi I”, are the first stage in the study of prehistoric metallurgy in Lechkhumi area in particular and the wider Caucasus mountain region of Colchis in general. Accordingly Lechkhumi might be considered as one of the ancient centers of metallurgical production in the Caucasus. Excavation of the archaeometallurgical site in the Lechkhumi region has become a valuable contribution on a regional scale as well, as providing a much more complete idea of the scale of prehistoric Colchian metallurgy across the wider region of (what is now) western Georgia (Adjara, Guria, Samegrelo and Svaneti).

Exploratory fieldwork and investigations are still going on.

ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, იაცეკ ჰამბურგი, შალვა ბუაძე,  
კაზუ ჰავლოვსკა, მონიკა ბაღურა, აბნეშკა კალიშვიცკა,  
რაფალ ბიენკოვსკი, ჯონანა შარკოვსკა, ნონა ქარციძე, მერაბ ჭუმბურიძე

## **ქართულ-პოლონური ექსპედიციის მიერ 2018 წელს ქუთაისში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში**

ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ქართულ-პოლონურმა ერთობლივმა ექსპედიციამ ქუთაისში საველე-არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარა 2018 წლის 9 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე<sup>1</sup>.

არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე (9–16 აგვისტო) პოლონური მხარის დაფინანსებითა და ორგანიზებით გეორადარის საშუალებით რამდენიმე ლოკაციაზე („ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“ [ვაჟა-ფშაველას ქ. 1], მე-20-ე საჯარო სკოლის ეზო [ვაჟა-ფშაველას ქ. 13], ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორია [ბაგრატიის ტაძრის სამხრეთითა და აღმოსავლეთით], ცაცხვების ქუჩის ძირითადი მონაკვეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის ხელოვნური გორანამოსახლარის მიმდებარე ტერიტორია) ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები (სურ. 1–5).

ჯერ კიდევ 2017 წელს დაგეგმილი სამუშაოების გარკვეული ნაწილი (ექსპედიციის მონაწილეთა შუადღის კვება, სასტუმროს ხარჯი, მუშა-ბრიგადის ანაზღაურება) დაფინანსდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული შპს „ძველი გალავანის“ (დირექტორი მიხეილ გელაშვილი) მიერ; რადარით ჩასატარებელი სადაზვერვო სამუშაოების, გეოდეზიასთან და ლანდშაფტის 3D მოდელირებასთან დაკავშირებული სამუშაოების, ექსპედიციის პოლონელი და სომეხი წევრების<sup>2</sup> კვების, ორგანული ნაშთების ანლიზების, კამერალური სამუშაოების ძირითადი ნაწილისა და სხვა მიმდინარე და გაუთვალისწინებელი ხარჯები დაფინანსდა პოლონური მხარის მიერ.

საანგარიშო სეზონში ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა 2017 წელს დაწყებული ქუთაისისა და მისი შემოგარენის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების კვლევის გაგრძელება.

2017 წლის საველე სეზონზე სამუშაოები დაიგეგმა ორ ეტაპად. პირველი ეტაპის სამუშაოები ჩატარდა 2017 წლის ივნის-ივლისში, მეორისა კი 2017 წლის ოქტომბერში.

1. საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს, საქართველოში პოლონეთის საელჩოს კულტურის ატაშეს ბატონ დებ კონჩაკს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის კონსულტანტს ბატონ კონსტანტინე ნაცვლიშვილს. პროექტში მონაწილეობენ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (დირექტორი პროფ. ომარ დანჩავა) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი პროფ. გიორგი ღავთაძე).

2. იაკუბ მარკიევიჩი და მიხაილ კოვალენკო-გარმავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფოტოგრაფიის დეპარტამენტი, მიხაილ ჰიდარი დაბროვსკა-ნიკოლა კოპინიკის უნივერსიტეტის დედამიწის მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის დეპარტამენტი, დარიუშ ტანაიევსკი და დარიუშ პრუსმიცკი-გარმიისა და მაზურის უნივერსიტეტის, სივრცითი საინჟინრო და სამშენებლო ფაკულტეტის, გეოდეზია, სამშენებლო ინჟინერიის ინსტიტუტი; მარიამ ამირიანი – სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი სომხეთის ადრეული არქეოლოგიის დეპარტამენტი არქეოლოგიის დოქტორანტი; სონა მანუკიანი სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი სომხეთის ადრეული არქეოლოგიის დეპარტამენტი; დიანა დანიელიანი - ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის სპეციალისტის სტუდენტი; თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი ლუკა გვანცელაძე; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ნინო ისაკაძე.

2018 წელს კი სხვადასხვა მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ქუთაისის №20 საჯარო სკოლის, შპს „ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკისა“ და ქუთაისის შუასაუკუნეთა ნაქალაქარის ტერიტორიებზე (ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით).

საანგარიშო სეზონში გაჭრილ თხრილებზე გაგრძელდა 2017 წლის ნუმერაცია.

„გაბაშვილის გორის“ აღმოსავლეთის ფერდობზე, 2017 წელს გაჭრილ №3 თხრილში აღმოჩენილი ხით, თიხითა და რიყის ქვებით ნაგები გალავნის კედლიდან (ლანჩავა, კარაშვილი-შვიპიორსკი... 2017) სამხრეთით 50-იოდე მეტრის დაშორებით შევეცადეთ იმდროინდელი, ძლიერ ცუდად დაცული, ანალოგიური ტექნიკით ნაგები სავარაუდო კოშკის კონტურის მოხაზვას.

ამ ადგილზე დამწვარი რიყის ქვებისა და თიხის ბათქაშების კვალი ჯერ კიდევ 2006 წელს პარკის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ტექნიკის გამოყენებით გაჭრილ თხრილში გამოვლინდა.

2017 წელს კი ადგილის დათვალერების შედეგად ექსპედიციაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ამ სწორკუთხა ფორმის მოსწორებულ თხემზე, საიდანაც კარგად მოჩანს „გაბაშვილის გორის“ აღმოსავლეთის ფერდობის ძირში რიონის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ ლეჩხუმ-სვანეთისაკენ მიმავალი გზა, შესაძლოა ზემოაღნიშნული გალავნის მსგავსი ტექნიკით ნაგები კოშკი ყოფილიყო.

თხემის ნახევარზე (ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) პარკის ადმინისტრაციას საფეხურებიანი ბილიკი და გასახედი მოედანი აქვს მოწყობილი. შესაბამისად ამ ნაწილის გათხრა ამ ეტაპზე შეუძლებელია. თხემის აღმოსავლეთი ნაწილი კი ხშირი ბუჩქნარითა და მრავალწლიანი ხეებითაა დაფარული. ამის მიუხედავად ეს ტერიტორია მეტ-ნაკლებად გასუფთავდა, კედლების სავარაუდო კონტურების ადგილზე გაიკაფა ბუჩქნარი და დასავლეთის მხრიდან გაკეთდა ჭრილი.

ჭრილში კარგად გამოიკვეთა WO ხაზზე დამხრობილი ხით, თიხითა და რიყის ქვით ნაგები ორი პარალელური კედლის ძლიერ დაზიანებული ნაშთი. მათ შორის დაშორება 7,5 მეტრია და ეს ნაგებობის სავარაუდო სიგანე უნდა იყოს. მთელ ფართობზე კედლების ნაშთი 20–30 სმ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი, ინტერიერში კი ფენა საერთოდ გადარეცხილია.

კედლები აქაც (ისევე როგორც 2017 წელს აღმოჩენილი გალავნის შემთხვევაში) თიხნარ გრუნტშია ჩასმული. თხემის ის ნაწილი, სადაც მუშაობა შეიძლება, სამი მხრიდან იმდენად ეროზირებულია, რომ კედლების შემორჩენილი სიგანის გაზომვა (დაახლ. 2 მ., სურ. 6–7) მხოლოდ ერთ ადგილზეა შესაძლებელი.

ხშირი მცენარეული საფარისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის გამო ნაგებობის ფორმისა და ზომების წარმოდგენა ძალიან პირობითია. უკიდურესად ცუდი დაცულობის გამო მომავალი დიდი პერსპექტივაც არ ჩანს.

ტექნიკის გამოყენებით მოისინჯა ის ადგილი, სადაც „გაბაშვილის გორის“ დასავლეთის ფერდობის კიდზე ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი პროფ. ომარ ლანჩავა) ერთმა რაზმმა (ი. ა. დ. გურამ კვიციანი, დავით ბერძენიშვილი) 1984–90 წლებში გათხარა ორფენიანი (წინარე და ადრეანტიკური ხანის) ნამოსახლარი და ქვისსაძირკვლიანი ხის ნაგებობის ნაშთი (**ქუთაისი უძველესი დროიდან... 1994: 37–34**).

ამ მონაკვეთში 2018 წლისათვის სამუშაოების გაგრძელება დაიგეგმა ორი მიზნით: 1. ხელახლა გავწმენდით ზემოაღნიშნულ ნაგებობას და 2. შევეცდებოდით დიდ სიღრმეზე უფრო ძველი ფენების მიკვლევას, როგორც ეს სრულიად მოულოდნელად 2017 წელს დადასტურდა იქვე მახლობლად №2 თხრილში, სადაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ფენები ნაცვლად ჩვენთვის ცნობილი 1,8 მეტრისა 6,5 მ-ის სიღრმემდე გაგრძელდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ თხრილი ხშირი ბუჩქნარით, ეკალბარდითა და ხეებით დაიფარა, პერიმეტრზე კი პარკის ადმინისტრაციას სხვადასხვა დასახელების ლითონის კონსტრუქციები აქვს დასაწყობებული.

ძველი თხრილის ბუჩქნარისაგან განმეხდა დაგეგმილზე უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი გამოდგა. განმეხდის შემდეგ კი გაირკვა, რომ ჩვენთვის საინტერესო ადგილები პარკის ძველ ადმინისტრაციას მთლიანად შეუვსია სამშენებლო ნარჩენებით, ისე რომ დღევანდელი დონე ძველ, 80-იან წლებში გათხრების დაწყებამდე დონესთან შედარებით მინიმუმ 1,5 მეტრითაა აწეული და რისი განმეხდაც ტექნიკის გარეშე წარმოუდგენელია.

ქვისსაძირკვლიანი ნაგებობის სიახლოვეს ტექნიკით მუშაობა გამორიცხულია, ადრეული ფენების გამოსავლენად კი ძველი თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში შეიქმნა და ექსკავატორით მოისინჯა დაახლ 5X5 მ-ის ფართობი.

მასში დაახლოებით 3 მეტრის სიღრმეზე თანამედროვე სამშენებლო ნარჩენებია, შემდეგ კი ის დონე გამოჩნდა, სადაც 90-იან წლებში მუშაობა შეჩერდა. ჩალრმავეებისას გაირკვა, რომ ძველი თხრილის ამ ნაწილში მაშინდელი სამუშაოები გრუნტის დონეზეა დაყვანილი (გრუნტამდე დარჩენილი იყო 20 სმ-დე კულტურული ფენის ნაშთი). შემონახვის მიზნით გრუნტი კიდევ 3 მეტრამდე მოისინჯა და გაირკვა, რომ სიღრმეში ფენები აღარ ვრცელდება (სურ. 8).

აქედან გამომდინარე შედეგის თვალსაზრისით „გაბაშვილის გორის“ ამ უაღრესად საინტერესო და პერსპექტიული ძველი თხრილისა და მიმდებარე ტერიტორიის სამომავლო კვლევისათვის დიდი მოცულობის განმეხდითი სამუშაოებია ჩასატარებელი. ამ სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობა მომავალ სეზონზე გადაწყდება.

თხრილი №8 გაიჭრა გაბაშვილის გორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ძველი განათხარის მომიჯნავე მაღალი ფერდობის თხემზე, იქ სადაც ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას (დავით ბერძენიშვილი) დარჩა დაუმთავრებელი თხრილი. თხრილში მრავლად ამოდიოდა დამწვარი რიყის ქვები, ბათქაშები და თითქმის არ იყო კერამიკა. მაშინ ამ ფაქტის ახსნა ვერ მოხერხდა. მას შემდეგ კი რაც 2017 წელს №3 თხრილში გამოვლინდა ხით, რიყის ქვითა და მინით ნაგები გალავნის ნაშთები ცხადი გახდა, რომ „გაბაშვილის გორის“ ჩრდილოეთის ფერდობის თხემზე გაჭრილ თხრილში სწორედ ანალოგიური ტექნიკით ნაგებ გალავნის კედლის ნაშთს ნავენყდით.

საანგარიშო სეზონში სამუშაოები ისე დაიგეგმა, რომ ახალი თხრილის ნაწილი დავამთხვიეთ ძველ, დაუმთავრებელ თხრილს, ნაწილი კი გადავწიეთ დასავლეთით, რათა უძრავი ფენის ზუსტი ჭრილი მიგველო.

პირველ რიგში ძველი თხრილი გაიწმინდა ბუჩქნარისა და ხეებისაგან და ორივე ნაწილში მოხერხდა 2 მეტრის სიღრმეზე ჩასვლა. ამ დონეზე კარგად იკითხება დამწვარი რიყის ქვებისა და ბათქაშების გროვები.

მომავალ სეზონზე გალავნის კედლის სავარაუდო ზომებიდან (სიგანე დაახლ. 4 მეტრამდე) გამომდინარე საჭირო გახდება №8 თხრილის ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე გაფათობა და გრუნტამდე დაღრმავება.

თხრილში №7 გაიჭრა ქუთაისის №20 საჯარო სკოლისა და იმავე მისამართზე წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის მშენებარე ეკლესიის საზღვარზე.

2015 წელს მშენებარე ეკლესიის ეზოში სკოლის მომიჯნავე ფერდობის ტექნიკით ჩასწორების დროს შემჩნეული იქნა იმ ძველი თავდაცვითი თხრილის კონტური, რომლის არსებობაც სკოლის დასავლეთით არსებულ ნაკვეთში (ვაჟა-ფშაველას №15) ახალმშენებლობაზე დადასტურდა 2014 წელს (სურ. 31–32).

მშენებარე ეკლესიის ეზოში 2015 წელს გათხრების ჩატარება ვერ მოხერხდა, თუმცა ჩვენი ჩარევით ეკლესიის მშენებლობა ისე დაიგეგმა, რომ ფერდობის ჭრილი და მის წინ არსებული მცირე ფართობი სამომავლო კვლევისათვის დროებით დაუზიანებლად იქნა შენარჩუნებული.

საანგარიშო სეზონში ფიზიკური სამუშაოების დაწყების წინა დღეებში ეკლესიის ეზოს აღნიშნულ ნაწილში სამშენებლო სამუშაოები დროებით შეჩერდა და გაჩნდა დაახლოებით სამკვირიანი

თავისუფალი მონაკვეთი და ეპარქიის მხრიდან მზაობა, რათა ეკლესიის ეზოს მხრიდან შეგვეყვანა ტექნიკა, გაგვეტანა სამშენებლო ნარჩენები, გადაგვეადგილებინა ხარაჩოს ნაწილი, ფერდობის თავზე მოგვეჭრა გასულ საუკუნეში ახალმშენებლობების დროს მოზვინული მიწა და ეკლესიის ეზოში გაგვეთავისუფლებინა განათხარი მიწის დასაყრელი ადგილი.

ამ პრობლემების მოგვარებას და თხრილის ბოლომდე დასრულებას ექსპედიციის თითქმის მთელი ადამიანური და მატერიალური რესურსი დასჭირდა, რის გამოც სხვაგან დაგეგმილი თხრილების დასრულება ვეღარ მოესწრო. სამაგიეროდ ამ ადგილის კვლევის ბოლო შანსი მაქსიმალურად იქნა გამოყენებული და შედეგიც სასურველი დადგა.

მოხდა ისე, რომ ძველმა თავდაცვითმა თხრილმა, რომლის გაგრძელებასაც ამ ნაკვეთში ვეძებდით, სკოლასა და ეკლესიას შორის არსებული ფერდობის ქრილი პერპენდიკულარულად გადაკვეთა, რის გამოც ძველი თხრილის განივი ქრილის სრული სურათი და დაზუსტებული ზომები მივიღეთ.

თხრილის შევსების ზედა ნიშნულს დღევანდელი მდგომარეობით მე-19–20 საუკუნეების მშენებლობების დროს მოჭრილი ყვითელი თიხნარი გრუნტის დაახლ. 1 მეტრიანი ფენა ადევს. მის ქვეშ იკვეთება თავდაცვითი თხრილის განივი ქრილის კონტური: დასაწყისში მისი სიგანე დაახლოებით 10 მეტრია და 6,9 მეტრის სიღრმეზე ნაპირები მკვეთრი დახრილობით ეშვება ფსკერისკენ, რომლის სიგანეც 2 მეტრამდეა. თხრილის უდიდესი ნაწილი (5 მეტრამდე) გაჭრილია ყვითელ თიხნარ გრუნტში, შემდეგ კი მონაცრისფრო თიხნარი იწყება (სურ. 9–11; 33–34).

ზედა ნიშნულიდან დაახლოებით 4,6 მეტრის სიღრმეზე შევსების ფენაში სხვადასხვა დონეზე გვხვდება როგორც გვიანბრინჯაოს, ასევე ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის კოლხური კერამიკის (მცირე რაოდენობით იმპორტული ამფორების), ფრაგმენტები, ბათქაშების ცალკეული ნატეხები (სურ. 15–18)...

სამხრეთის კიდეზე (რომლის შიგნითაც თხრილით შემოსაზღვრული ტერიტორიაა მოქცეული) ერთ მეტრამდე სიგრძის გადამწვარი ბათქაშების ზოლები არა ერთ ადგილზე ჩაუყვება. აშკარაა, რომ ადრეანტიკურ ხანაში თხრილის ზედა ნაწილი ჯერ კიდევ ღიაა, მაგრამ რამდენად ასრულებს თავდაპირველ ფუნქციას უცნობია. ეზოს მხარეზე, კიდის გაყოლებაზე არსებული ადრეანტიკური ხანის შენობების ნაშთები თანდათან იყრება ღია თხრილში. ეს შენობები უეჭველია გვიანბრინჯაოს ხანის ფენებზე იდგნენ და ორივე ფენის ნაშთები ეტაპობრივად ცურდება თხრილში. აქედან გამომდინარე ძნელი ასახსნელი აღარ უნდა იყოს თხრილის ზედა ნაწილში გვიანბრინჯაოსა და ადრეანტიკური ხანის მასალის თანაარსებობა სხვადასხვა დონეზე.

4,6 მეტრის ქვემოთ სიტუაცია მკვეთრად იცვლება. შევსების ფენა თითქმის მთლიანად მოიხსნა შლამის ყვითელი თიხნარი გრუნტის ჩანართებით. ეს უკანასკნელი არხის კიდეებიდან სხვადასხვა დროსაა ჩაქცეული. ანალოგიური (შლამის) შევსების ფენა, ოღონდ გაცილებით მძლავრი (4 მეტრამდე) ფიქსირებულია 2014 წელს მომიჯნავე ნაკვეთში თავდაცვითი თხრილის კვლევისას (ლანჩავა, ისაკაძე, ბუაძე.... 2014).

შლამში მხოლოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის კერმიკაა (სურ. 19–21). ანალოგიური კერამიკა ფიქსირებულია 2014 წელს მიკვლეული თხრილის ფსკერზეც, რომელსაც 4 მეტრიანი შლამი ადევს ზემოდან. 2014 წელს შლამის ზედა ნაწილში აღმოჩენილი ნიჰნის ნიმუშები კი ორი სხვადასხვა (ისრაელი და პოლონეთი) ლაბორატორიის მიერ დათარიღებულია ძვ. წ. X–IX სს-თა მიჯნით.

შლამის ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს კოლხური ცულის ქვიშაქვის ნაკლული ყალიბი (სურ. 22). შლამის ფენის ყოველი ბარისპირიდან აღებული მიწის ფლოტაცია ჩატარდა განსაკუთრებით უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის პალეოეკოლოგიისა და არქეობოტანიკის ლაბორატორიის პროფესორ მონიკა ბადურასა და ვარშავის უნივერსიტეტის გეოლოგიის ინსტიტუტის კლიმატის გეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლის, დოქტორანტ ჯოანა შარკოვსკას მეთვალყურეობითა



და მონაწილეობით. მინის ნიმუშების ფლოტაცია შეასრულეს: იაცეკ ჰამბურგმა, ჯოანა შარკოვსკამ, რაფალ ბიენკოვსკიმ, აგნეშკა კალიშევსკამ და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო ისაკაძემ.

საველე პირობებში მოხერხდა ყურძნის ნიჰნების, ბრონეულის, ლელვის, ფეტვის, სელის, კრაზანას, ჭვავის, ვაშლის, მსხლის, ჭინჭრის, ველური მარწყვის ორგანული ნაშთების გამოყოფა... შლამში აღმოჩნდა ხის ნახშირის ნიმუშები, ხის ძელი, ხის ტოტი... თხილის ნაჭუჭი (სურ. 23, 27)...

დანვრილებითი ინტერდისციპლინარული კვლევებისა და თარიღებისათვის ნიმუშები გადაგზავნილია პოლონეთში.

სამუშაოების დასრულების შემდეგ №7 თხრილი ეკლესიის ეზოს დონეზე მინით იქნა შევსებული.

თხრილი №9 გაიჭრა №20-ე სკოლის შიდა ტერიტორიაზე, სადაც 2017 წელს გაკეთდა ორი ღრმა ზონდაჟი, რის შედეგადაც დადასტურდა გვიანი ბრინჯაოსა და ადრეანტიკური ხანის უძრავი ფენების არსებობა და 2014 წელს გამოვლენილი თავდაცვითი თხრილის გაგრძელება.

თხრილის ზომებია 10X6 მ. იგი დაიგეგმა იმ განზრახვით, რომ მომავალ სეზონებში სკოლის ტერიტორიაზე მოხერხდეს მისი გაფართოება სამი მიმართულებით (დასავლეთიდან კერძო სახლი ემიჯნება, სადაც ფენები უკვე განადგურებულია).

ჯერ კიდევ ზონდაჟების გაკეთებისას გაირკვა, რომ უძრავ კულტურულ ფენებს ფარავს მე-19–20 სს-თა მშენებლობების დროს ფუნდამენტების გაჭრისას ამოღებული ყვითელი თიხნარი, რომელშიც ჩართულია ძველი ფენებიდან მოხვეტილი გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის კერამიკა და თანამედროვე ნივთები და ეს ყველაფერი დიდწილად გადაფარულია სკოლის მშენებლობის დროინდელი ბეტონის სქელი ფენებითა და ასფალტით.

აქედან გამომდინარე ზედაპირული და დაძრული ფენები 1,9 მეტრის სიმაღლეზე მოიხსნა ტექნიკის გამოყენებით და მთელ ფართობზე გაშიშვლდა ადრეანტიკური ხანის უძრავი კულტურული ფენა (სურ. 12). მასში დაახლოებით 50–60 სმ-ით დაღრმავებისას მრავლად ჩნდება კოლხური კერამიკისა და თიხის დამწვარი ბათქაშების ფრაგმენტები.

სამუშაოების მიწურულს თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში თავი იჩინა ბათქაშების კომპაქტურმა გროვამ. იგი გაუთხრელ ფართობში გადის, რამაც მომავალ სეზონში თხრილის გაფართოება შეიძლება მოითხოვოს.

ზედაპირიდან 2,7 მეტრის ნიშნულზე სამუშაოები შეჩერდა და თხრილი დაკონსერვდა მომავალი სეზონისათვის.

სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე თხრილი და მიმდებარე ტერიტორია სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ხის კუთხოვანითა და ეკლიანი მავთულით ორი მეტრის სიმაღლეზე შემოიღობა და დაყენდა გამაფრთხილებელი ნარჩენები (სურ. 13).

ერთობლივი ექსპედიციის ძირითადი მიზნებიდან (ქუთაისისა და მისი შემოგარენის ბრინჯაოს ხანის ძეგლების კვლევა) გამომდინარე ექსპედიციამ საჭიროდ ჩათვალა ახალი ინფორმაციის მოპოვება ქუთაისის შუასაუკუნეების ნაქალაქარის ტერიტორიიდანაც, სადაც გასული საუკუნის 80–90-იან და 2005–2012 წლებში არაერთ ადგილზე დადასტურდა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მძლავრი კულტურული ფენები, ქვისსაძირკვლიანი ხის შენობების ნაშთები (სურ. 28–29–30) და შუაბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის კულტურული ფენა.

ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროცესში 2012 წელს გათხრილი მრავალფენიანი<sup>3</sup> ძეგლის (ლანჩავა, ისაკაძე... 2012) ერთი მონაკვეთი მაშინ მსუბუქი კონსტრუქციით გადაიხურა და დღემდე კარგადაა დაცული (სურ. 14).

3. გვიანი, განვითარებული და ადრული შუასაუკუნეები; ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ორი შტე, შუაბრინჯაოს ხანის ფენა.

ამ დაცული მონაკვეთის აღმოსავლეთის ნაწილში დაახლოებით 3X3 მ-ის ფართობში სამი მიმართულებით ხელახლა ჩაინმინდა სტრატეგიაფიული ქრილები, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ფენიდან აღებულ იქნა ხის ნახშირის ნიმუშები და გრუნტის დონეზე გაითხარა 2012 წელს სპეციალურად ასეთი შემთხვევისათვის გაუთხრელად დატოვებული შუაბრინჯაოს ფენა. ამ ფენაში შესაბამის კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა კირქვის ფუძემოლარული ხელშუბისპირი (სურ. 24–25).

კაჟის ფუძემოლარული ისრისპირი ამ ფენიდან ტაძრის ეზოშიც აღმოჩნდა 2005–2006 წლებში.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მომავალ სეზონებზე შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბები იმ გათვლით დაიგეგმა, რომ გათხრილ მონაკვეთში გამოვლენილი მრავალფენიანი ძეგლის გადახურვით დაცვა გარანტირებული იყოს.

და ბოლოს გვინდა მადლობით მოვიხსენიოთ ყველა, ვინც ესოდენ შრომატევად საქმიანობაში ხელი შეგვიწყო და დაგვიხმარა<sup>4</sup>.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ლანჩავა, ისაკაძე.** 2012, ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, შალვა ბუაძე, დავით ბერძენიშვილი, ბაგრატი ტაძრის გალავნის ჩრდილოეთის ექსტერიერში 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2012. ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.
2. **ლანჩავა, ისაკაძე, ბუაძე.** 2014, ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, შალვა ბუაძე, დავით ბერძენიშვილი, შიო სიმსივე, დავით დვალიშვილი, ნონა ქარციძე, ქ. ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქ. №15-ში 2013 წლის 3 დეკემბრიდან 2014 წლის 20 იანვრამდე ჩატარებული გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ქუთ. 2014; ხელნაბეჭდი; ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.
3. **ლანჩავა, კარაშვილი-შციპიორსკი.** 2017, ომარ ლანჩავა, რადოსლავ კარაშვილი-შციპიორსკი, როლანდ ისაკაძე, იაცეკ ჰამბურგი, შალვა ბუაძე, კაშა პავლოვსკა, აგნეშკა კალიშევსკა, რაფალ ბიენკოვსკი, ქუთაისის ქართულ-პოლონური არქეოლოგიური ექსპედიციის 2017 წლის არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2017, ინახება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში..
4. **ქუთაისი უძველესი დროიდან.** 1994, ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნეებდე, თბ.-ქუთ. 1994. იქვე ლიტერატურა.

4. შპს „ძველი გაღვანის“ დირექტორი ბატონი მიხეილ გელაშვილი, ქუთაისის მე-20-ე საჯარო სკოლის დირექტორი ბატონი მადამ ბუხაძე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე ვალენტინე, წმ. ექვთიმე ღვთისმეტყველის ეკლესიის მშენებლობის ორგანიზატორი გიორგი სვანიძე, რესტავრატორები მურად ჭიჭიანი და მურაბ გედენიძე, შპს „ბენიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ადმინისტრაცია, ვაჟა-ფშაველას „პარკის“ პერსონალი, ი/მ თამარ კადანდაძე, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არქეოლოგიის სპეციალისტები: შალვა ბუაძე, დავით მონონიძე, ნიკოლოზ სილაგაძე, ირაკლი მატარაძე, ხათუნა რამიშვილი; მუშა-ბრიგადის წევრები: თამაზ ლავიჩიანი, გენადი ხეცურიანი, თამაზ მუშვილიანი, იონა ოკრიბეღაშვილი, ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელი კარლო ნემსვერიძე....

OMAR LANCHAVA, ROLAND ISAKADZE, IATSEK HAMBURG,  
SHALVA BUADZE, KASHA PAVLOVSKA, MONIKA BADURA,  
AGNESHKA KALISHEVSKA, RAFAEL BIENKOVSKI,  
JOHANA SHARKOVSKA, NONA KARTSIDZE,  
MERAB CHUMBURIDZE

## **REPORT OF ARCHAEOLOGICAL WORKS CARRIED OUT BY GEORGIAN-POLISH EXPEDITION IN 2018 IN KUTAISI**


On the basis of a memorandum signed between the Institute of Archeology of the University of Warsaw and the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, the Georgian-Polish joint expedition conducted field-archeological works in Kutaisi from 9 August to 20 September 2018. Before the field works preliminary researches were conducted by Georadar.




The archaeological digs were carried out on “Gabashvili hill”, in the yard of the public school №20 and in the north-eastern exterior part of the Bagrat Cathedral wall. On the east and north slopes of the “Gabashvili Hill”, were partially identified wooden, stone and clay fragments of wall and tower of the late Bronze and Early Iron ages; Nearby Bagrat Cathedral has been verified fixed stratigraphy of recent years and the presence of a cultural layer at the end of the Middle Ages has been confirmed ... The scale of future works has been planned.

on the border of the yard of the public school №20 and the nearby plot where the church of st. Ekvtime Ghvtskaci is under the construction, were revealed and fully excavated one section of the fortification trench of late Bronze and early Iron Age. Its dimensions (10 m wide, 6,9 m deep) have been determined and filling layer has revealed pottery of early antiquity and late Bronze Age, Colchian ax stone mold ...


It was possible by the flotation of land from the ground layer of the trench to take out the grape seeds, wheat, pomegranate, figs, burnt millet bind, flax, cress, rye, apple, pear, nettle, wild strawberry... Organic waste separation... also in the ground layers were found coal samples of wood, a branch of wood and a wooden pole, hazelnuts, bone remains ..... For detailed interdisciplinary studies and dates the samples are send to Poland.









ქ. ქუთაისი, დიდა-ფშაველას №15  
ქბელი 1-1



ქ. ქუთაისი, დიდა-ფშაველას №15  
სივრცული გეგმა



პეტიტის ტაძრის გულუბის ჩრდილოეთ  
ფუძვლების გეგმაში  
შხატვარი: გიორგი ახალკაცი 2012 წ.



მერაბ კეკელიძე  
ქუთაისის ცენტრალური არქივი

## იმერეთის ეპარქიის რამდენიმე ეკლესიის ნივთ-სამკაულის 1829 წლის აღწერა

ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1811 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის უწმიდეს სინოდს დაექვემდებარა. კათალიკოსის ნაცვლად დაწესდა ეგზარქოსის თანამდებობა. იმავე იმპერატორის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, 1815 წლის 8 მაისს, თბილისში გაიხსნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ფაქტობრივად სრულიად საქართველოს ეკლესია. რეალურად ეს იყო საეკლესიო რეფორმის დასაწყისი, რომლის ახალი ეტაპი 1821 წლის 19 ნოემბრის უმაღლესი ბრძანებულების მიღებით გაგრძელდა. აღნიშნულ ბრძანებულებაში ერთ-ერთი მუხლი ახლადშექმნილი იმერეთის ეპარქიის მმართველს ავალდებულებდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში წარედგინა დაწვრილებითი ცნობები ეკლესია-მონასტრების ქონებისა და შემოსავლის შესახებ. დავალების შესრულება გაჭიანურებით დაწყებულა, ამიტომაც იყო, რომ 1829 წელს არა თუ სინოდალურ კანტორაში, იმერეთის ეპარქიის კანცელარიაშიც არ იყო შესაბამისი ცნობები. მდგომარეობის გამოსასწორებლად 1829 წლის ოქტომბერში იმერეთის არქივისკოპოსმა სოფრონიოსმა სპეციალური ბრძანებით დაავალა მონასტერთა წინამძღვრებსა და მთავარხუცესებს აღწერათ ყოველი ნივთ-სამკაული ცალკეული ეკლესიების მიხედვით. აღწერის აუცილებლობას მღვდელმთავარი იმით ამართლებდა, რომ თუ რომელიმე ეკლესია აღმოჩნდებოდა ნივთ-სამკაულის უქონებელი მას უახლოეს მომავალში შეუძენდნენ (ფ.1).

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ქუთაისის მაზრის მთავარხუცესმა, ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა იესე გიორგაძემ იმავე წელს შეადგინა ქუთაისის მაზრის 13 და ვაკის მაზრის 16 ეკლესიის აღწერა – სულ 29-ის (ფ.2), აქედან ჩვენამდე მოაღწია 23 ეკლესიის აღწერამ. აღწერა ზოგადია, ის 4 მუხლისაგან შედგება, პირველი მუხლი ეკლესიის აგების თარიღს მიუთითებს, მეორე – შენობას და მასში დაცულ ხატებს აღწერს, მესამე – ძირითად ნივთ-სამკაულს: საეკლესიო მსახურების ნივთებსა და წიგნებს, მეოთხე კი მიწის (მამულების) ქონებას (დოკუმენტი დაცულია ქუთაისის ცენტრალურ არქივში ქ.ც.ა ფ. 21 ან. 1 ს. 562). ამ ოთხი მუხლიდან ჩვენ ამოვკრიბეთ მეორე და მესამე შევადგინეთ აღწერილი ეკლესიების ნივთ-სამკაულის ერთგვარი ნუსხა, რომელიც ფაქტობრივად ერთ დოკუმენტად შეიძლება ჩავთვალოთ. დოკუმენტს წარმოვადგენთ უცვლელად:

### „ქუთაისის მაზრის სოფელს მესხეთს უწყება ეკლესიის ქონებისათვის წმინდის სამებისა. ჩყვთ წლისა

...<sup>1</sup>ბ. შენობით არს ქვითკირისა და არის სიგრძით ია არშინი როსიული და განით ათი კარის ბჭე აქუს ოთხი არშინი ხატები ასუწნია პირველი წმინდის სამებისა და მეორე მაცხოვრისა და ორი ღმრთის მშობლის ერთი ნათლის მცემლის მოჭედილი ვეცხლით არალიან

გ. სამკაული აქუს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი კალისა თავის დაფარებით ერთი საცეცხური თითფრის სააიაზმე ფსკილენძის შესამოსელი აქუს მლუდელს თავისი: და საეკლესიო წიგნები ორი სადღესასწაულო ერთი დიდი და მეორე პატარა ზ<sup>2</sup> სახარება ერთი სამოციქულო ერთი ჟამნი ორი დავითნი ერთი ლოცვანი ერთი კურთხევანი ... (ფ. 3)

1. სამი წერტილით (...) აღნიშნულია ტექსტის გამოტოვებული, ჩვენთვის არასაჭირო ან არაკითხვადი ნაწილი  
2. მუქი შრიფტით ტექსტში აქ და ქვემოთაც აღნიშნულია წიგნების რაოდენობა

**ქუთაისის მაზრის სოფლის ვაკისუბნის უწყება ეკლესიის წმინდის მთავარ მოწამის  
გიორგის ჩყვთ-საწლისათვის**

... ბ. შენობითა არს ხისა მაგარი და კარგი. და არის სიგრძით თორმეტი არშინი როსიული და განით რვა. კარის ბჭე აქვს ... არშინი – ხატები არს თორმეტი და ამათგანი სამი წმინდის გიორგისი არის ხატი პატარა ვეცხლით მოჭედილი.

გ. სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი თავის დაფარნებით კალისა. და ორი საცეცხური კალისა და ერთი ზარა საეკლესიო წიგნები არის ერთი დიდი სადღესასწაულო და მეორე პატარა ერთი მარხვანი, ზადიკი სახარება სამოციქულო ჟამნი დავითნი. შესამოსელი არის მღვდლისა ... (ფ. 4)

**ქუთაისის მაზრის სოფლის მესხეთის უწყება ეკლესიათათვის წმინდის მოწამის  
გიორგის ჩყვთ-საწლისათვის**

... ბ. შენობითა არს ხისა მაგარი და კარგი, და არის სიგრძით თორმეტი არშინი როსიული და განით ჳ კარის ბჭე აქვს ოთხი არშინი, ხატები ასვენებია რიცხვით ათი და მოჭედილი ვეცხლითა

გ. სამკაული აქვს – ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი თითო თავის დაფარნებითა, და ორი საცეცხული თითფრისა – და საიაზმე კალისა – და ... ზარა – შესამოსელი აქვს თავისი საკუთარი მღუდელს და საეკლესიო წიგნები არის რიცხვით ცხრა ამავე ეკლესიის ... (ფ. 5)

**ვაკის მაზრის სოფელ ოფიშკვითს უწყება ეკლესიებთა ქონებისათვის წმინდის  
მთავარმოწამის გიორგის – ჩყვთ-საწლისათვის**

... ბ. შენობით არს ხისა მაგარი და კარგი და არის სიგრძით იგ არშინი როსიული და განი ჳ კარის ბჭე აქვს გ არშინი და სამრეკლო აქვს ხის. ბ. ზარით აქვს კანკელი სრული და ასვენებია ერთი წმიდი გიორგის მოჭედილი ვეცხლით და მოყვითლული ოქროთი სიგრძე აქუს ნახევარი ალაბი:

გ. სამკაული აქვს ბარძიმი, ფეშხუმი კამარა კოვზი ვეცხლი თავის დაფარნებით ერთი საცეცხური თუთფრის და საიაზმე კალის შესამოსელი აქუსთ თავისი და საეკლესიო წიგნები რიცხვით თ არის ამ ეკლესიაზე ... (ფ. 6)

**ვაკის მაზრის სოფელს მალაკს უწყება ეკლესიის ქონებისათვის.  
წმინდის მოწამის გიორგის ჩყვთ-საწლისათვის**

... ბ. შენობით არს ქვითკირისა კარგი და არის სიგრძით არშინი იდ – როსიული. და განით -ი- და კარის ბჭე არის -ვ- არშინი. სამრეკლო არარის ერთი ზარა აქვს.

გ. სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი ვეცხლისა თავის დაფარნებითა. ერთი თუთფრის საცეცხლული. საიაზმე თითფრისა შესამოსელი აქვს თავის ეკლესიისა. და საეკლესიო წიგნები არის რიცხვით ჳ სადღესასწაულო მარხვანი. ზადიკი პარაკლიტონი სამოციქულო სახარება დავითნი და ჟავნი ... (ფ. 7)

**ვაკის მაზრის სოფელს საყულისა უწყება ეკლესიის ქონებისათვის  
წმინდის მთავარანგელოზის ჩყვთ-საწლისათვის**

... ბ. შენობით არს ქვითკირისა კარგი და მაგარი და არის სიგრძით არშინი; იე-როსიული და განით არის ი<sup>ბ</sup> და კარის ბჭე არის არშინი ექუსი სამრეკლო არის ხისა ერთი ზარითა.

გ. სამკაული აქუს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი ვეცხლის არის თავის დაფარნებითა საცეცხური და საიაზმე კალის არის და შესამოსელი აქუსთ ამ მღვდლებს და საეკლესიო წიგნები რიცხვით



არის იზ<sup>ბ</sup> ოთხი სახარება ერთი სამოციქულო ერთი ჟამნი ოთხი დავითნი ერთი სადღესასწაულო ერთი ბარაკლიტონი ერთი ზადიკი ერთი მარხუანი ერთი კონდაკი ერთი კურთხევანი ერთი ლოცუვანი ... (ფ. 8)

### **ვაკის მაზრის სოფელს ენერს უწყება ეკლესიის ქონებისათვის ჩყკთ<sup>ბა</sup> წლისათვის**

... ბ – არს ხისა კარგი და მაგარი და არს სიგრძით ი არშინი რუსიული და განი ე ვეცხლით მოჭედლილი ხატი არა აქვს სამკაული. აქვს ბარძიმი, ფეშხუმი კამარა კოვზი კალისა თავის დაფარნებით და საეკლესიო წიგნები აქვს ვ- დავითნი, ჟამნი სამოციქულო სახარება მარხვანი პატარა სადღესასწაულო და სამრეკლო და ზარა არა აქვს ... (ფ. 9)

### **ვაკის მაზრის სოფელს ბაშს ეკლესია ღვთის მშობლის**

... ბ – არს ხისა კარგი და არის სიგრძით იბ არშინი როსიული და განით ზე კარის ბჭე აქვს დ არშინი, სამრეკლო აქვს ხისა ერთი ზარითა:

გ – სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი კალისა თავის დაფარნებითა ერთი კალის საცეცხური კალის საიაზმე არის შესამოსელი აქვს ამ მღუდელს და საეკლესიო წიგნები არის რიცხვით, ვ- მარხვანი ჟამნი დავითნი სახარება სამოციქულო კურთხევანი; ... (ფ.10)

### **ვაკის მაზრის სოფელს ბაშს უწყება ეკლესიის ქონებისათვის წმინდის კოსმან და დამიანეს ჩყკთ<sup>ბ</sup> წლისათვის**

... ბ – შენობით არს ხისაა კარგი და მაგარი და არის სიგრძით იგ არშინი როსიული და განით ზე და კარის ბჭე აქვს არშინი, ვ – სამრეკლო არის ხისა, ბ ზარითა;

გ – სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი ვეცხლის არის თავისის დაფარნებითა ერთი ვეცხლის საცეცხური და მეორე აქვს კალის არის შესამოსელი აქვს თავის მღვდლებს და საეკლესიო წიგნი რიცხვით არის, იგ ორი სადღესასწაულო და ერთი მარხვანი ერთი ბარაკლიტონი ორი სამოციქულო ორი სახარება ორი ჟამნი, სამი დავითნი ორი კონდაკი სამი კურთხევანი ... (ფ. 11)

### **ვაკის მაზრის სოფელს ბაშს ეკლესია მაცხოვრისა არს ხისა უწყება ეკლესიის ქონებისათვის ჩყკთ<sup>ბა</sup> წლისათვის**

... ბ – არს შენობით ხისა კარგი და მაგარი და არის სიგრძით :ი: არშინი და განი ვ – არშინი რუსიული სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა ვეცხლისა – ფარჩის დაფარნებით საცეცხური და საიაზმე სპილენძისა ვეცხლით მოჭედლილი ხატი არა აქვს კარის ბჭე აქვს ოთხი არშინი და სამრეკლო ი არშინი ერთი ზარითა საეკლესიო წიგნები აქვს – ი – გ სახარება გ სამოციქულო ა: მარხვანი ა ბარაკლიტონი ა: დავითნი ა კონდაკი ... (ფ. 12)

### **ვაკის მაზრის სოფელს საყულიისათვის უწყება ეკლესიის ქონებისათვის მაცხოვრის ეკლესიის, ჩყკთ<sup>ბ</sup> წლისათვის**

... ბ – არს შენობით ხისა და არის სიგრძით ი არშინი როსიული და განი ზე არშინი კარის ბჭე აქვს და სამრეკლო და ზარა აქვს ერთი მოჭედლილი ხატი ვეცხლითა არა აქვს

გ – სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კალისა ჩითის დაფარნებით საცეცხური და საიაზმე ფსკინლენძისა და საეკლესიო წიგნები ა დავითნი მეორე ჟამნი გ სამოციქულო დ სახარება ე დიდი სადღესასწაულო ... (ფ. 13)

**ვაკის მაზრის სოფელს მალლაკს უწყება ეკლესიის ქონებისათვის  
ეკლესია მაცხოვრის ჩყკოს წლისათვის**

... ბ – შენობით არს ქვით კირისა კარგი და არის სიგრძით იბ არშინი როსიული და განით ზ და კარის ბჭე არის არშინი ვ- და ზედ მოდგმული არის სამწირველო ქვით კირისა არშინი სიგრძით ზ და განით ზ სამრეკლო არის ხისა ბ ზარითა:

გ – სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი ვეცხლისა თავის დაფარნებითა კანკელი არის კარგი ხატი ორი ერთი მაცხოვრის და ერთი ლუთის მშობლის არს ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ მოყვითლული და არის სიგრძით და განით არშინი ნახევარი, საცეცხური ორი თუთფრის და საიაზმე კალის. შესამოსელი აქვს თავის ეკლესიას და საეკლესიო წიგნები არის რიცხვით – იზ მარხვანი ბარაკლიტონი ზადიკი სამი სადღესასწაულო სამი სახარება ორი სამოციქულო კურთხევანი ორი კონდაკი ორი დავითნი ერთი ჟამნი ... (ფ. 14)

**ვაკის მაზრის სოფელს მალლაკს უწყება ეკლესიის ქონებისათვის  
ჩყკოთისა წლისათვის**

... ბ – შენობით არს ხისა კარგი და მაგარი და არის სიგრძით -ია - არშინი და განით -ი- არშინი როსიული კარის ბჭე აქვს ე: არშინი სამრეკლო არა აქვს ზარა აქვს ერთი მოჭედილი ჯვარი აქვს ვეცხლითა და მეორეს არშია აქვს ვეცხლით მოჭედილი ღვთის მშობლის ხატს

გ – საეკლესიო წიგნები არს რიცხვით იგ= სამი სადღესასწაულო ერთი დიდი და ორი პატარა ორი ბარაკლიტონი ორი სახარება ორი სამოციქულო ერთი დავითნი ორი კონდაკი ბარძიმი ფეშხუმი და კამარა და კოვზი კალისა კამარა და კოვზი ვეცხლისა სამღვდელო შესამოსელი ორი და ერთი ჟამნი ... (ფ. 15)

**ვაკის მაზრის სოფელსა ფარცხანაყანევსა უწყება ეკლესიისა ქონებისათვის  
წმინდის მონამის გიორგისა ქაშოვეთისა ჩყკოთ წლისათვის**

... ბ – შენობით არს ხისა კარგი და არს სიგრძით არშინი კ რუსული და განით იგ და კარის ბჭე არის თ არშინი სამრეკლო

გ – აქვს ორი ზარი

დ – კანკელი კარგი აგებული აქვსთ

ე – სამკაული ბარძიმი ფეშხუმი კოვზი კამარა კალისა თავის დაფარნებით ერთი თუთფრის საცეცხური საიაზმე პისკლენძისა

ვ – წიგნები საეკლესიო სახარება, სამოციქულო დავითნი ჟავნი კონდაკი და კურთხევანი მარხვანი სადღესასწაულო ზადიკი და პარაკლიტონი ლოცვანი და შესამოსელი არის თავისი...

(ფ. 16)

**ვაკის მაზრის სოფელს ფარცხანაყანევს უწყება ეკლესიის ქონებისათვის  
წმინდის მონამის გიორგისა; ჩყკოთ<sup>ბ</sup> წლისათვის**

... ბ – შენობით არს ხისა კარგი და მაგარი და არის სიგრძით; იბს არშინი როსიული და განით; ლ და კარის ბჭე აქვს არშინი; დ სამრეკლო აქვს ხისა; ბ ზარითა;

გ – სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი კალისა არის თავის დაფარნებითა ერთი კალის საცეცხური ერთი კალის საიაზმე არის შესამოსელი ამავე მღვდლებისა და საეკლესიო წიგნები რიცხვით არის; -ი; მარხევანი ორი სადღესასწაულო ერთი ბარაკლიტონი ერთი ზადიკი სახარება სამოციქულო ჟამნი დავითნი კურთხევანი ... (ფ. 17)

### ქუთაისის მაზრის სოფელს გეგუთს უწყება ეკკლესიის ქონებისათვის წმინდის გიორგის ჩყკო<sup>ა</sup> წლისათვის

... ბ – არს შენობით ქვიტკირის თლილის ქვისა და არს სიგრძით თორმეტი არშინი რუსიული და განი შვიდი არშინი აქვს და კარის ბჭე აქვს კარგი ქვიტკირის და სამრეკლო არა აქვს და ზარა აქვს ერთი მოჭედილი ხატი არა აქვს

გ – სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა და კოვზი კალისა ფარჩის დაფარნებით საცეცხური თითფრის საიაზმე და ემბაზი ფსკილენძის და საეკლესიო წიგნები აქვს ი : ა : დავითნი ბ: ჟამნი: გ.სამოციქულო: დ; სახარება: ე ბარაკლიტონი: ვ: მარხვანი ზ: ზადიკი ლ დიდი სადღესასწაულო : თ კურთხევანი: ი : კონდაკი ... (ფ.18)

### ქუთაისის მაზრის სოფელს ქუტირს<sup>3</sup> უწყება ეკკლესიის ქონებისათვის ეკკლესია მაცხოვრის არს ჩყკო<sup>ა</sup> წლისათვის

... ბ) – შენობით არს ხისა კარგი და არის სიგრძით არშინი თოთხმეტი და განით ცხრა არშინი როსიული და კარის ბჭე აქვს არშინი – ხუთი სამრეკლო არის ხისა – ორი ზარით;

გ) სამკაული არის ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი კალის თავის დაფარნებითა ერთი საცეცხლული თითფრის საიაზმე სპილენძის და შესამოსელი აქვს თავისი მღვდლებს და საეკლესიო წიგნები არის რიცხვით – თერთმეტი დავითნი ჟამნი სამოციქულო სახარება ბარაკლიტონი ორი სადღესასწაულო ზადიკი მარხუვანი კონდაკი კურთხევანი ... (ფ. 19)

### ქუთაისის მაზრის სოფელსა ქუტირს უწყება ეკკლესიის ქონებისათვის წმინდის მონამის გიორგის ჩყკო<sup>ა</sup> წლისათვის

... ბ შენობით არს ხისა, კარგი და მაგარი და არის სიგრძით-იგ არშინი როსიული და განით- თ და კარის ბჭე არის დ არშინი, სამრეკლო არის ხისა ა ზარითა

გ სამკაული აქუს ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა კოვზი კალისა თავის დაფარნებითა ერთი საცეცხური არის თუჯისა და საიაზმე არის თუთფრისა შესამოსელი არის თავის ეკკლესიას და საეკლესიო წიგნები არის რიცხვით არის ია სადღესასწაულო ერთი მარხუვანი ერთი, ერთი ბარაკლიტონი ერთი ზადიკი ერთი სამოციქულო ერთი სახარება ერთი ჟამნი ერთი დავითნი ერთი კურთხევანი ერთი კონდაკი ერთი ლოცუვანი ... (ფ. 20)

### ქუთაისის მაზრის სოფელს ტყაჩირს უწყება ეკკლესიის ქონებისათვის წმინდის მონამის კვირიკას და ივლიტას ჩყკო<sup>ა</sup> წლისათვის

... ბ შენობით არს ქვიტკირისა კარგი და არის სიგრძით იდს არშინი როსიული და განით, თ<sup>ა</sup> კარის ბჭე აქვს ზ<sup>ა</sup> არშინი და სამრეკლო აქუს ხის ორის ზარითა

გ სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი ვეცხლის არის თავის დაფარნებითა ერთი ვეცხლის საცეცხური მეორე თუთფრის საცეცხური და საიაზმე თუთფრის არის და შესამოსელი აქუს ეკკლესიას ორი ფილონი და ერთი სტიხარი და საეკლესიო წიგნები რიცხვით არის ი<sup>ა</sup>, მარხუანი, ბარაკლიტონი, სადღესასწაულო, ზადიკი, სამოციქულო, სახარება, კონდაკი, კურთხევანი, დავითნი, ჟამნი: ... (ფ. 21)

3. აქაც და ქვემოთაც ამ სახელით აღნიშნულია დღევანდელი სოფელი ქვიტირი

**ქუთაისის მაზრის სოფელს პატრიკეთს უწყება ეკლესიის ქონებისათვის  
წმინდის მონამის გიორგის ჩყკთ<sup>ა</sup> წლისათვის**

... ბ შენობით არს ქვითკირისა კარგი და არის სიგრძით არშინი -იე- როსიული და განით შვიდი და კარის ბჭე აქვს ჴ არშინი სამრეკლო არის ხისა ორი ზარითა;

გ სამკაული აქუს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი ვეცხლისა არის თავის დაფარნებითა ერთი ვეცხლის საცეცხური მეორე არის კალის და საიაზმე არის სკპილენძის და არის შესამოსელი აქვს თავისი ეკლესიას წიგნები არის რიცხუვით: -იბ- ორი სადღესასწაულო ერთი მარხუვანი ერთი ბარაკლიტონი ერთი ზადიკი ერთი სამოციქულო ერთი სახარება ერთი ჟამნი ორი დავითნი ერთი კონდაკი ერთი კურთხევანი: ... (ფ. 22)

**ქუთაისის მაზრის სოფელს ზ“ა ქუტირს უწყება ეკლესიის ქონებისათვის  
წმინდის მთავარ ანგელოზის მიხაილ და გაბრიელის ეკლესიის ჩყკთ<sup>ა</sup> წლისათვის**

...ბ არს შენობით ხისა კარგი და მაგარი და არის სიგრძით იგ არშინი როსიული და განით ჴ კარის ბჭე აქვს დ არშინი სამრეკლო აქვს ხისა ერთი ზარითა

გ სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი კალისა თავის დაფარნებითა საცეცხური და საიაზმე კალის თითფრისა შესამოსელი აქვს თავისი მღვდელს და საეკლესიო წიგნებითა: დავითნი ჟამნი სახარება სამოციქულო ბარაკლიტონი ზადიკი სადღესასწაულო კურთხევანი კონდაკი ლოცვანი და მარხვანი რომელიცა არის რიცხვით ია... (ფ. 23)

**ქუთაისის მაზრის სოფელს კვახჭირს უწყება ეკლესიის ქონებისათვის  
მთავარ ანგელოზთ ეკლესიისათვის ჩყკთ<sup>ა</sup> წლისათვის**

... ბ – არს ხისა კარგი და მაგარი და არს სიგრძით ი არშინი როსიული და განი -ზ- საეკლესიო წიგნები აქვს რიცხვით ვ= დავითნი. ჟამნი სამოციქულო სახარება კონდაკი და სადღესასწაულო დიდი სამრეკლო აქვს ერთი ზარითა საიაზმე და საცეცხური სპილენძისა ... (ფ. 24)

**ქუთაის ქალაქსა უწყება ეკლესიის ქონებისათვის წ ~ის გიორგისა  
ჩყკთ<sup>ა</sup> წლისათვის**

... ბ – არს ქვითკირისა თლილის ქვისა და არს სიგრძით -თ- არშინი როსიული და განით გ- არშინი კარის ბჭე აქვს -ზ- არშინი სამრეკლო არა აქვს ხატნი არს გ- მაცხოვრის ვ ღვთის მშობლის -ა- ნათლის მცემლის ბ- წმიდის წ “ის გიორგის და ერთი ვეცხლით მოჭედილი არს ა- მთავარ ანგელოსთა ა- მირქმის – სამკაული აქვს ბარძიმი ფეშხუმი ვეცხლისა და კოვზი საცეცხური და საიაზმე სპილენძისა შესამოსელი არს ა- მღუდლის – წიგნთაგან სრულებით არს -თ- ა დავითნი ბ ჟამნი გ – სამოციქულო დ- სახარება ორი ე- კურთხევანი ვ- კონდაკი- ზ ბარაკლიტონი - ჴ მარხვანი -თ- ზადიკი სადღესასწაულო პატარა ... (ფ. 25)“

მიუხედავად იმისა, რომ აღწერა არაპროფესიონალის (სასულიერო პირის) შედგენილია, მასში დაცული ინფორმაცია დღესაც საინტერესოა და ვფიქრობთ, დახმარებას გაუწევს როგორც საქართველოს ეკლესიის, ასევე ხელოვნების ისტორიის მკვლევართ.

MERAB KEZEVADZE

Kutaisi Central Archive

**THE DESCRIPTION OF 1829 OF THE  
JEWELRY OF SEVERAL CHURCHES  
OF IMERETI EPARCHY**

After the abolishment of the autocephaly of the orthodox church of Georgia (in 1811). The reforms were carried out. The reforms included the description of the ecclesiastical property along with other issues, which took place in different Eparchies at different times. The above-mentioned description began in 1820 in Imereti Eparchy /diocese/ and lasted for a few years. The description of ecclesiastic property of 23 churches of Kutaisi and Vake Mazras (administrative-territorial units) was published in this article, which was held in 1829. The document –Description is stored in Kutaisi Central Archive (Fund N21, document-Description N1, the Document N562). Despite the general characteristics of the description, it includes various interesting information about the condition of the ecclesiastic property of the churches in Imereti Eparchy.

## საგეოგრაფიო დროშა ქუთაისის მუზეუმის კოლექციიდან

ქუთაისის მუზეუმში მდიდარი და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული კოლექციებია დაცული. ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს იმერეთის მხარის მატერიალური კულტურის შესასწავლად. კოლექცია მოიცავს მინათმოქმედებასთან, შინახელოსნობასთან, საბრძოლო ხელოვნებასთან, საოჯახო ყოფასთან, კულტმსახურებასთან, ვაჭრობასთან, ხელოსნობასთან, საქალაქო ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებულ მასალებს. აქვეა დაცული ქართული და უცხოური ჰერალდიკისა და გლიბტიკის ნიმუშები. ჰერალდიკური მასალა დროშებითაა წარმოდგენილი. ისინი სხვადასხვა დანიშნულებისაა: საეკლესიო, საამქრო, საბრძოლო, სახელმწიფო და სამეფო.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს დროშა, რომელიც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის სახელთანაა დაკავშირებული.

ქუთაისის მუზეუმის ძირითად შემოსულობათა ნიგნში (№2, 1923-1928 წწ.) რიგით №669-ზე არის შემდეგი ჩანაწერი: „დროშა გრძელ ჯოხზე, შედარებით ახალი, მოყვითალო ფერის ქსოვილიდან, რომლის შუა ნაწილზე გამობატულია ერთი მხრით წმ. გიორგი, მეორე მხრით მიქელ მთავარანგელოზი. დროშის ჯოხის თავზე ბირთვია ვერცხლის და ვერცხლით მოჭედილი ჯვარი. ბირთვზე წარწერა მხედრულად: „ქ. მეფე სოლომონ“. ნივთის შემოსულობათა ნიგნში ჩანაწერის თარიღია 1924 წ. 5 აპრილი. იგი შემოტანილია ხონის წმ. გიორგის ეკლესიიდან. როგორც მუზეუმის არქივში დაცული ერთი საბუთიდან ჩანს, დროშის მუზეუმისთვის გადაცემა მისი დირექტორის, ტრიფონ ჯაფარიძის ძალისხმევით მომხდარა. მან 1924 წ. 4 მარტს თხოვნით მიმართა ქუთაისის სამაზრო აღმასკომს, მის დაქვემდებარებაში მყოფ ხონის აღმასკომისათვის დაევალებინა ამ დროშის, როგორც ისტორიული ნივთის ეკლესიიდან მუზეუმში გადმოტანა: „უმორჩილესად გთხოვთ, მოახდინოთ განკარგულება, რომ ხონის აღმასკომმა წარმოადგინოს ხონის წმინდის გიორგის ეკლესიაში დაცული მეფის დროშა, რომელსაც ჰქონდა სამხედრო დანიშნულება და ეკლესიაში კი შემთხვევით იყო შენახული“ [E-192/1389].

სანამ დროშა ქუთაისის მუზეუმში შემოვიდოდა, ის სამეცნიერო წრეებისათვის რამდენიმე გამოცემით გახდა ცნობილი. პირველად მის შესახებ ცნობებს ვხვდებით ფრანგი მოგზაურის ჟან მურიეს ნიგნში „სამეგრელო“, რომელიც 1883 წ. გამოიცა [J. Mourier, 1883]. 1914 წ. დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, სადაც სამეგრელოს ეკლესიამონასტრების სიძველეებთან ერთად ხონის ეკლესიის საგანძურიც არის შეტანილი [ე. თაყაიშვილი, 1914:274-302]. 1924 წ. პროფ. დ. გორდევემა გამოსცა ხონის ეკლესიის 1819 წლის დავთარი. მასში ამ დროშაზეც არის ცნობები [საისტორიო მოამბე, I, 1924]. ეს ცნობები მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ავსებენ. ჟ. მურიეს დროშა ჩაუხატავს. მისი ჩანახატი დროშის ქსოვილისაგან განსხვავდება: ჩანახატზე დროშა ორკალთიანია, ასევე ხატებს ორგვლივ მოჩარჩოება აქვს გაკეთებული ყვავილოვანი ორნამენტით, რაც ახლა არ შეინიშნება. ავტორი აღწერილობაში მხოლოდ დროშის ერთ ხატზე- წმ. გიორგის გამოსახულებაზე მიუთითებს. ხონის ეკლესიის დავთრის მიხედვით დროშის თავს სამი აყიყის თვლით შემკული ვერცხლის ჯვარი წარმოადგენდა. ამასთან, დროშაზე ორმხრივი ხატი იყო: წმ. გიორგის და მიქელ მთავარანგელოზის.

აკად. ე. თაყაიშვილის შედგენილი აღწერილობა მეტ ინფორმაციას გვაძლევს ამ ისტორიული ნივთის შესახებ, კერძოდ: ა) დროშის ჯვრის კომპოზიციასა და შემკულობაზე: „ხეტარს ზემოთ ჯვარი არის, რომელზედაც გამობატულია ჯვარცმული, ზემოთ საბაოთი, ქვემოთ მთავარანგელოზი

გრაგნილით, აქეთ-იქეთ ჯვარცმულის დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი; მეორე მხარეზე ჯვარისა წარმოდგენილია წმინდა გიორგი ფეხზე მდგომარე. ბ) დროშაზე შებმული ყოფილა ლენტი, „რომელზედაც აწერია მხედრულად: შამონ(ი)რული ივან სიმონის ძე ჭანტურიშვილი“ [იქვე, გვ. 279].

ჩვენს მიერ მოტანილი აღწერილობები განსხვავებულია. ეს განპირობებული შეიძლება იყოს ან უზუსტობებით, ან დროთა განმავლობაში ნივთის მდგომარეობის შეცვლით. ს. ბარნაველის ვარაუდით, მურიეს შედგენილი აღწერილობის შემდეგ დროშის ქსოვილი (ხატის გარდა) შეცვლილი უნდა იყოს [ს. ბარნაველი, 1953:59]. მუზეუმში შემოსვლის დროს შედგენილი აღწერილობაც არასრულია, რაც განპირობებულია მუზეუმის კოლექციების გაუმიჯნაობით. (ფონდების ფორმირება მოხდა გასული საუკუნის 50-იან წლებში).

დროშის მონაცემების შესავსებად დავამატებთ შემდეგს: მისი ზომაა 135X70 სმ; ორმხრივი ხატის – 35X30სმ; დროშა შეკერილია აბრეშუმის (ფარჩის) ქსოვილით, ხატები შესრულებულია ტილოზე ზეთის საღებავით. დროშა სამკალთიანია. მუზეუმში შემოსვლის დროს ორივე ქსოვილი სიძველისგან ძლიერ შელახული ყოფილა: აბრეშუმის ფენა ბევრგან დაფლეთილი, ტილოსი – რამდენიმე ადგილას გახეული. მუზეუმში დროშას ჩაუტარდა რესტავრაცია და დაზიანებული ადგილები შეკეთდა. ხეტარის სიგრძეა 3,27 მ, ჯვრის ზომა 26X22 სმ.

დროშის ჯვრის წინაპირზე ჯვარცმული ქრისტეა, ჯვარმკლავების პალმეტისებურ დაბოლოებებზე წინამდგომებით. ჯვარცმულის ზემოთ მთავარანგელოზი და მამა ღმერთია. მეორე მხარეს, ცენტრში ქვეითი წმ. გიორგი. აქ ჭედურობა ორნამენტირებულია მცენარეულ-ყვავილოვანი მოტივით. ჯვრის სამი მკლავის ბოლო პალმეტისებურია. სამივეში სერდოლიკის თვლებია ჩასმული (და არა აყიყის, როგორც ძველ აღწერილობებშია მითითებული). ჯვრის ფეხი ყ. მურიეს მიხედვით ასევე პალმეტისებრი ბოლოთი იყო, ახლა ის სწორწიბოებიანია და ებმის სპილენძის ღეროს. გადაბმის ადგილზე ეტყობა გვიანდელი შეკეთების კვალი.

ს. ბარნაველის აზრით, ჯვრის ჭედურობა სტილისტიკურად XIII-XIV სს-ის ნიმუშებს მიაგავს. ჯვრის შტოების ორნამენტი გვიანია, ჯვარი XVIII ს-ში შეკეთებულია [ს. ბარნაველი, 1953:58]. ჯვრის ჭედურობას, ჩვენი დაკვირვებით, არაფერი აქვს საერთო XIII-XIV სს-ის ოქრომჭედლობასთან და აშკარად უფრო გვიანდელი პერიოდის ნაწარმოებია. როგორც ფიგურების პლასტიკური მოდელირების, ისე ორნამენტული დეკორის სტილით ჯვარი XVII-XVIII სს-ის ძეგლებთან იჩენს აშკარა სიახლოვეს.

შუა საუკუნეების ქართული დროშა შედგებოდა ქსოვილის, ხეტარის (ბუნის) და დროშის თავისაგან. ბუნს ქვედა ბოლოზე ზოგჯერ წამოცმული ჰქონდა წვერწამახული ლითონი დროშის მინაში ჩასარჭობად. ქსოვილი იყო ოთხკუთხა ან სამკუთხა ფორმის, ორ და სამკუდიანი [ს. ბარნაველი, 1955:14].<sup>1</sup> დროშა ბოლოვდებოდა ჯვარით ან შუბის პირით. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ კარგად ცნობილი სვანური „ლემი“, ზომორფული დროშა, რომელიც ბოლოვდება მოოქრული ვერცხლის შუბისთავით, ზედ წმინდანთა გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით, ამასთან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული გელათური ოთხთავის ყდის ჭედური გამოსახულება – ქრისტე წმ. გიორგის დროშით, რაზეც ჯვარია დამაგრებული. ხონის წმ. გიორგის ელესიის „დავითნის“ და სახარების თარგმანის“ მინაწერი ახსენებს შუბიან ბაირალს, რაზეც ფსალმუნის ტექსტი ეწერა: „ეს ფსალმუნის მუხლები ნიკოლაი დამინერეს ბაირალის შუბზედ აწერია“ [ე. თაყაიშვილი, II, 1914: 283]. თეიმურაზ ბაგრატიონი დროშას ასე აღწერს: „დროშა ბაირახის ხე არის, რომელსაც თავზე შუბი ექმნება დაგებული და ალამი მასზედ აბმული, რომელსა ზედაცა ნიშანიცა იქმნებიან ანუ ქვეყანასა, ანუ სპათა გამოსახულნი ღერბნი, ანუ ხატნი ვითა ვიეთთა ანუ ვითარად“ [თ. ბაგრატიონი, 1979:49-50].

ვახუშტის განმარტებით საქართველოში „მხედართმთავართა მათ აქენდისთ დროშა თვითო და მეფესა ორი“. ივ. ჯავახიშვილი ისტორიკოსის ცნობის განმარტებისას აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო

დროშას ეწოდებოდა სეფე-დროშა, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიტანდნენ ხოლმე, მეორე კიდეე პატარა დროშა, რომელიც ალბათ სანიადაგოდ სახმარი იქნებოდა. ცხადია, დიდი ანუ სეფე დროშა საქართველოს სახელმწიფო, ეროვნული დროშა უნდა ყოფილიყო, პატარა კი პირადად მეფისა“ [ივ. ჯავახიშვილი, 1929: 208]. გარდა ამისა, დროშები ჰქონდათ სამეფო კარის მოხელეებს, ერისთავებს, ბატონიშვილებს, სარდლებს, მეფის მცველებს. როგორც აღვნიშნეთ, დროშის თავებად ჩვენში შუბი ან ჯვარი გამოიყენებოდა. ხელმწიფის კარის გარიგებაში ნახსენებია „შუბი სეფე აღმითა“. ასეთი დროშაა „ამილახვრიანთ საომარი დროშა“, სვანური „ლემი“, პაპუა მოურავის, იულონ ბატონიშვილის დროშები, სოფ. გერის ეკლესიის საბრძოლო დროშა, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის სარდალ-ქეშიკოთუხუცესის ქაიხოსრო აგიაშვილის დროშიდან დარჩენილი ბუნი ოქროს ზარნიშიანი დროშის თავით. ასევე შუბიანი აღმიდან უნდა იყოს დარჩენილი ახალციხის მუზეუმში დაცული წარწერიანი შუბისპირი [ს. ბარნაველი, 1953:21, 27, 59, 64, 67; დ. სულაბერიძე, 2017:119, 121; ც. ზვიადაძე, 2010:130; მ. წურწუშია, 2016: 422]. ჯვრის თავით დაბოლოებული დროშებიდან შემორჩა წმ. კვირიკეს („ლაგურკას“) ეკლესიის დროშა, ქიზიყის დროშა (როსტომ-ხანის დაკვეთით დამზადებული), მჭადიჯვრის დროშები, კონსტანტინე მუხრან-ბატონის დროშა. [ე. თაყაიშვილი, 1990:227; ს. ბარნაველი, 1953:20, 52, 69-71]. ასეთივე ტიპის იყო ყიზიანის ეკლესიის დროშა, „რომელზედაც გამოსახულნი არიან სხვადასხვა წმინდანები.. ტარი მისი თავდება ზემოთ ჯვარით, რომელიც შემკობილია ორის ძვირფასი ქვით“ [ე. თაყაიშვილი, 1990:165].

არაბი ისტორიკოსის იბნ ალ ასირის ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ XII ს-იდან მაინც საქართველოს სახელმწიფო დროშის თავად ჯვარი იხმარებოდა: „თამარ მეფის დროს, არზრუმის მბრძანებელს, რომელიც საქართველოს მეფის ყმად ნაფიცი იყო და მის ნაწყალობეე საპატიო სამოსით იმოსებოდა, ქართველებმა ისეთი დროშა გააკეთებინეს, რომელსაც თავზე ჯვარი ამკობდაო.“ ეს იმას ამტკიცებს, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – რომ თვით ქართველებსაც სახელმწიფო დროშის თავზე ჯვარი ჰქონიათ. აქვე მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ „თეიმურაზ I-ის დროს კახთა ბატონის დროშის თავი ბრძოლის ჯვარი იყო“ [ივ. ჯავახიშვილი, 1929, II:211]. აღსანიშნავია ვახუშტის მიერ შესრულებული რუკები. მათზე სამეფო-სამთავროების დროშებს ჯვრები აქვთ [ს. ბარნაველი, 1953:50]. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნახსენები „შუბი სეფე აღმითა“ სამეფო დროშის მეორე სახეობის არსებობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, ცალკეული სამეფოები სახელმწიფო დროშის თავად ჯვარს ან შუბს იყენებდნენ.<sup>2</sup>

სოლომონ I-ის დროშა ჯვრის თავიანი დროშის ტიპს განეკუთვნება. როგორც ჩანს, იმერეთის სამეფო დროშის თავზეც ჯვარი ყოფილა აღმართული. XVII ს-ში რომ ეს ასე იყო, ამას ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ხატის საქტიტორო წარწერა ადასტურებს: „ჩუენ ცვა ფარვათა შენთა მინდობილმან და მოსავმან სინმინდისა შენისამან, ჩვენ ბატონმან მანუჩარის ძემან დადიანმან პატრონმან ლევან მოვაჭედინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენად, როდესაც წარვემართენით მეფესა იმერეთისასა გიორგისა ზედა და შევიბენით ქუთათისს და გაგვემარჯვა. მეფე მორჩა და ლაშქარი ხელთ დაგვრჩა შენეენითა ღვთისათა. გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა: ჯუარი ხალასად შეკერული აღმითა“ [კ. გრიგოლია, 1943:157; ი. ანთელავა, 1990:59; ლ. ხუსკივაძე, 1974:23]. XVII ს-ის იმერეთის სამეფო დროშაზე ს. ბარნაველის ცნობით, წმ. დემეტრე ყოფილა გამოსახული [იქვე, გვ. 49].<sup>3</sup> სოლომონის დროინდელ დროშაზე, როგორც აღვნიშნეთ, წმ. გიორგი და მთავარანგელოზია გამოსახული. წმ. გიორგი ფრთოსან გველეშაპს ჰკლავს, მთავარანგელოზი კი მეომარი მხედრის სახითაა წარმოდგენილი: ამოწვდილი მახვილით, მუზარადით და საბრძოლო სამოსით. ამ მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს დროშა მეფის ლაშქრის წინ სატარებელი იყო.

როგორც ვნახეთ, ე. თაყაიშვილი სოლომონის დროშას საეკლესიო დროშად თვლიდა. იგი იმონებდა



მურავიოვს, რომელიც დასწრებია გიორგობის დღესასაუღლს ხონში ყოფნისას. ამ წმინდანის დღესთან დაკავშირებით ხონის საყდრიდან მინდორში (სადაც ამჟამად ბულვარია) გამოასვენებდნენ წმ. გიორგის დიდ ხატს, ჯერ გადაიხდიდნენ პარაკლისს, შემდეგ იმართებოდა სხვადასხვა სპორტული ასპარეზობანი: ლელო ბურთის თამაში, ყაბახი, ჯირითი. სადღესასწაულო ღონისძიებებს ასრულებდა ცეკვა-თამაში და სიმღერა **[ე. თაყაიშვილი, 1914:280]**. მართალია, მურავიოვი ამ ამბებს დეტალურად გადმოსცემს და აღნიშნავს, რომ პროცესია საეკლესიო დროშების თანხლებით იმართებოდა, თუმცა მეფის დროშას იგი საერთოდ არ ახსენებს. ამიტომ, უცნობია, რაზე დაყრდნობით წერდა ე. თაყაიშვილი, ჭანტურიშვილები ხატს ამ დროშით მიუძღვებოდნენ წინო. შესაძლოა, მკვლევარმა ადგილობრივ მკვიდრთაგან ზეპირი სახით მოიპოვა ეს ცნობა, როცა ხონის საყდრის სიძველეებს სწავლობდა. ამ საკითხს ბუნებრივად მივყავართ დროშის შემწირველთან. მისი სახელი ეწერა ლენტზე, რომელიც დროშის ბუნზე ყოფილა შებმული: „შამონირული ივან სვიმონის ძე ჭანტურიშვილი“ **[ე.თაყაიშვილი, 1914:280]**. ამჟამად ეს ლენტე დაკარგულია. რადგან დროშის სფეროზე სოლომონ მეფის სახელია ამოკვეთილი, მიგვაჩნია, რომ იგი მეფის პირადი დროშა იქნებოდა. შესაძლოა, იგი მეფის გარდაცვალების შემდეგ იყოს შეწირული, ანდა სულაც იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, როცა დროშას თავისი ფუნქცია დაკარგული ჰქონდა.

ისტორიულ მასალაზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ დროშების შეწირვა საქართველოში მიღებული წესი იყო. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ: ა) რუსუდან დედოფლის დროშაკი (XII ს.). მისი წარწერა, დ. ბაქრაძის მონაცემებით ასე მთავრდებოდა: „ხოლო ან საჯენად მათდა ესე შენდა შევსწირე ქრისტე სიტყუაო ღვთისაო დედოფალმან რუსუდან“ **[ს. ბარნაველი, 1953:26]**; ბ) ქუთაისის მუზეუმში დაცული ხონჭიორის ეკლესიის ლაბარუმი, რომლის წარწერაში შემწირველები მიქელ და გიორგი გარაყანიძეები იხსენებიან **[მ. ნიკოლეიშვილი, 2001:23]**; გ) „კუჭაიძის დროშა“, რომლის წარწერის ფიქსაცია ასევე დ. ბაქრაძეს ეკუთვნის: „ჩუენ კუჭაიძემან ქაიხოსრო შემოგწირე ხატი, მაცხოვარო მულახისაო და ბუკი კარგი. შემინყალე შენ მადლსა, ამინ. სხუაი დროშა ესე ოქროქსოვილის ხავერდისაი შეინრე და გაგვიმარჯვე“ **[ე. თაყაიშვილი, 1990:291]**; დ) ზემოთხსენებული სვანური „ლემი“, სეტის ეკლესიის დროშა, შეწირული წინამძღვარ გრიგოლ კოპასძისაგან **[ე. თაყაიშვილი, 1990:310]** ე) ილოროს წმ. გიორგის 1624 წ. ხატი, რომლის წარწერა ნაალაფარი დროშის შეწირვის ფაქტს გვაუწყებს **[კ. გრიგოლია, 1943:157]**; ვ) ჩუკულის ეკლესიის ლაბარუმი, ღმრთისმშობლისა და ჯვარცმის გამოსახულებით, ასომთავრული საქტიტორო წარწერით: „მოჰაშელსა გურეის გაუმარჯვე და აცხოვნე“ **[ე. თაყაიშვილი, 1990:133]**; ზ) მთიულეთში, ხანდოს ხეობის ეკლესიისთვის ვინმე მელიქოვის მიერ შეწირული დროშა, რომელიც იქ მოგზაურობისას უნახავს ს. მაკალათიას **[ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930: 152]**. თ) გიორგი XII-ს, პლატონ იოსელიანის გადმოცემით, თავისი საუფლისწულო დროშა მისსავე კარის ეკლესიაში დაუსვენებია: „განმაახლებელმან წმინდის გიორგის ეკლესიისა, აღშენებულისა სვიმონ ზანიშინისაგან, დასდვა იგი კარის ეკლესიად; მას შინა დაასვენა დროშა თვისი და შესწირა ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა“ **[პ. იოსელიანი, 1978:27]**.

ცნობილია დროშების არა მარტო შეწირვის, არამედ განახლების ფაქტებიც. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ სვანური დროშა „ლემი“, რომელიც მკვლევარების: ბარტოლომეის, უვაროვას, ე. თაყაიშვილის, ბ. კოვალევსკის სვანეთში სხვადასხვა დროს მოგზაურობისას განსხვავებული სახით არის დაფიქსირებული **[ე. თაყაიშვილი, 1990:309]**. ს. ბარნაველს სვანეთში ექსპედიციის დროს (1946 წ.) პირადად უნახავს „ლემის“ განმაახლებლები – ალათ და ივლით ჯაფარიძეები, რომელთაც ძველი, ძლიერ დაზიანებული დროშიდან რამდენიმე ნაწილი გადმოუტანიათ ახალ ქსოვილზე. ამიტომაც აქვს ამ დროშას განმაახლებლის წარწერა: „ალათი ჯაფარიძის ასლი“ **[ს. ბარნაველი, 1953:29]**. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ასევე გიორგი XII -ის „საუფლისწულო“ დროშამ. ამ დროშის ხატი დაკარგულა ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევისას, ამიტომ საჭირო გამხდარა მისთვის

ახალი ხატის შექმნა [იქვე, გვ. 60-62]. იმერეთის მეფისეული დროშაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა დროს განუახლებიათ. მისი ბოლო რესტავრირება მუზეუმში მოხდა.

სოლომონის დროშასთან მიმართებაში საინტერესოა ჭანტურიშვილების გვარის კავშირი. ვინ იყვნენ ისინი და რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ე. თაყაიშვილის მიერ დაფიქსირებული ზეპირგადმოცემა ჭანტურიშვილებზე საეკლესიო დღესასწაულებზე ხატის წინ დროშით მსვლელობის შესახებ?

ხონის წმ. გიორგის ეკლესიის ხელნაწერ საბუთებში ამ გვარის წარმომადგენლებს რამდენჯერმე ვხვდებით. XVIII ს-ის II ნახევარში შედგენილი ხონის ეკლესიის საბეგრო ნუსხის მიხედვით ჭანტურიშვილები საეკლესიო გლეხები არიან და მის სასარგებლოდ ნატურალური სახის სხვადასხვა გადასახადს იხდიან [ს. კაკაბაძე, 1921, II:125, 130]. XVIII ს-ის II ნახევრის შეწირულობის საბუთებიდან, რომლებიც გაცემულია მამუკა ბატონიშვილის (სოლომონ I-ის ბიძა), კაცია ნულუკიძისა და სოლომონ I-ის მიერ, ჩანს, რომ ჭანტურიშვილები „ძველთაგანვე წმიდის გიორგის ყმები ყოფილან“ და სამეფო ხელისუფლების და ეკლესიის შესუსტების დროს „გაყიდულან“, ზოგს კიდევ ადგილობრივი თავადები ძალით დაპატრონებიან [იქვე, გვ. 8, 12-13, 17-18]. 1760 წლის ახლო ხანებში კაცია ნულუკიძეს ეკლესიის ყოფილი ყმები ას ორმოც მარჩილად ისევ ხონის წმ. გიორგისათვის დაუთმია: „ას ორმოცი მარჩილი გამოგართვით და თქვენ ორი გლეხი ჭანტურისშვილი ივანე ხუცესი და მისი შვილები დავითელა, გიორგი ხუცესი და მახარეი, მეორე კაცია, მისი შვილი ნასხიდა, ნატრია და თქვენი ძე და მომავალი ყველა წმიდის გიორგის შეგვიწირავხარ“ [იქვე, გვ.13]. 1762 წელს ნატრია და დავითელა ჭანტურიშვილებს სოლომონ მეფე სწირავს ხონის საყდარს [იქვე, გვ.18]. მნიშვნელოვანია მამუკა ბატონიშვილის შეწირულობის წიგნი, რომელიც ასევე ჭანტურიშვილებს შეეხება. იგი შედგენილია 1755 წ. და ჩვენთვის საინტერესო კითხვას ჭანტურიშვილების ვინაობის შესახებ ნათელ პასუხს სცემს. შემწირველი წმ. გიორგის მიმართავს: „შემოგწირეთ მცირე შემოსაწირი ჩუენ ბატონიშვილმა მამუკა, და მეუღლემან ჩემმან დადიანის ასულმან ბატონმა დარიჯან.. ჭანტურიშვილი დავითა და ხუცესი გიორგი მისის ცოლ შვილით და მამულ ადგილით. ძველადაც თქვენი მედროშე ყოფილიყო და უდროობაშიდ სხვას ეჭირა და ჩუენ ხელახლა შემოგვიწირავს და მოგვირთმევი“ [იქვე, გვ.8]. მაშასადამე, ამ შეწირულობის წიგნით კიდევ ერთხელ დასტურდება ჭანტურიშვილების ეკლესიისადმი კუთვნილება, გარდა ამისა, მოხმობილი საეკლესიო საბუთებით ამ გვარიდან ორი გიორგი და ივანე წმ. გიორგის ეკლესიის ხუცესები ყოფილან; დაბოლოს, მთავარი: მამუკა ბატონიშვილის შეწირულობის წიგნი დოკუმენტურად ამტკიცებს ე. თაყაიშვილის მიერ ფიქსირებულ ზეპირგადმოცემის უტყუარობას გვიანდელ პერიოდში ჭანტურიშვილების ეკლესიის მედროშედ მსახურობის შესახებ.

ყოველივე ზემოთმოხმობილიდან შეიძლება დავასკვნათ: ა) ქუთაისის მუზეუმში დაცული დროშა უნდა ყოფილიყო სოლომონ I -ის პირადი დროშა (შესაძლოა, საბრძოლო) და საეკლესიო დღესასწაულებზე მას შეწირვის შემდეგ იყენებდნენ; ბ) დროშა, სავარაუდოდ, მეფის გარდაცვალების ან იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ შესწირეს ხონის წმ. გიორგის, სადაც მეფეს წესად ჰქონდა ყოველი წლის მაისში, გიორგობის დღესასწაულზე სტუმრობა; გ) დროშა რამდენჯერმე ყოფილა განახლებული. ძველი დროშიდან გადმოტანილი უნდა იყოს ტილოზე ფერწერით შესრულებული ორმხრივი ხატი, დროშის თავი – ჯვარი და წარწერიანი სფერო, ქსოვილი კი ახლით იქნებოდა შეცვლილი; დ) დროშის ძველი ნაწილები სტილისტურად ეკუთვნის XVII-XVIII სს; ე) დროშის ლენტის წარწერაში მოხსენებული ივანე ჭანტურიშვილი საეკლესიო ყმების შთამომავალია. მისი წინაპრები ხონის საყდრის კუთვნილი ყმები იყვნენ და ნატურალური გადასახადების გარდა „ძველთაგანვე“ ეკლესიის მედროშეობაც ებარათ.

**შენიშვნები და კომენტარები:**

1. გარდა ამისა, საქართველოში შუა საუკუნეებში დროშის ფუნქციას ასრულებდა ლაბარუმი და დროშა-ჯვარი.
2. ერთიანი საქართველოს პერიოდში ხუთკუთხა ფორმის დროშის თავებიც არსებობდა.
3. რა მონაცემზე დაყრდნობით წერს ს. ბარნაველი ამას, არ სჩანს.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. J. Mourier, La Mingrelie, 1883.
2. ე. თაყაიშვილი, არხელოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, 1914.
3. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, 1921.
4. Д. Гордеев, Материалы к обследованию хонских древностей, საისტორიო მოამბე, I, 1924.
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1929.
6. ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930.
7. კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის 1624 წლის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, 1943.
8. ს. ბარნაველი, ქართული დროშები, 1953.
9. ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, 1974.
10. თ. ბაგრატიონი, ნიგნნი ლექსიკონი, 1979.
11. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987.
12. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, 1990.
13. ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, 1990.
14. მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები, ქსიმ შრომები, კრებული XIII, 2001.
15. ც. ზვიადაძე, „მეოხებითა შენითა“, ქსიმ შრომების კრებული, №XX, 2010.
16. მ. ნურნუშია, ქართული ლაშქარი, 2016.
17. დ. სულაბერიძე, აგიაშვილთა საგვარეულო ნივთები ქუთაისის მუზეუმში, კრებული „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამონვევები“, თბ; 2017.

DAVID SULABERIDZE


## ROYAL FLAG FROM KUTAISI MUSEUM COLLECTION

The present paper discusses a royal flag which is connected with the name of Solomon I, the king of Imereti. It is a yellowish fabric fixed on a wooden pole. The one side shows st. George riding on a horse and the other st. archangel Gabriel. The top of the pole is crowned with silver chased cross raised on the silver roundel, which bears Georgian “Mkhedruli” inscription: “Ch. King Solomon”. By the stylistic peculiarities the cross should be created in the II half of XVIII century.

The flag of Solomon I is believed to be of the type of the battle flag. Apparently, a cross was erected on top of the Imereti royal flag also.

By the description of Ekv. Takaishvili, a ribbon laced on the pole bear the inscription with the name of donator “Ivane Chanturishvili”. According to the Khoni church document of II half of XVIII c. this family is mentioned as the ecclesiastical peasants. But most interesting is the donation document of Mamuka Batonishvili where is strictly said that Chanturishvili family members were church belonging peasants who apart from natural taxes were the church flag bearers “from ancient times”.

Thus, the flag kept at the Kutaisi Museum must have been Solomon I’s personal flag, and was used after its donation on church holidays; The flag was sacrificed to Khoni st. George church, (where he used to go in May to attend st. George’s feast) after his death, or the abolition of the Imereti kingdom. The flag has been renewed several times. From the other old flag should be taken two-sided icon painted on the canvas, the head of the flag - a cross and an inscription, the fabric would be replaced with a new one; The old parts of the flag stylistically belong to the second half of the XVIII century; Ivane Chanturishvili, mentioned in the flag ribbon inscription, is an ecclesiastical peasant of the Khoni st. George church.



ჯამბულ ქაშიბაძე

## სწავროკონუსური მუზარადი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან

ცნობილია, რომ იარადი ერის კულტურის ნაწილია და მისი შესწავლა ამა თუ იმ საზოგადოების არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიური, სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტზე მსჯელობის საშუალებას იძლევა (M. Горелик, 1987: 163; მ. წურწუშია, 2016: 228).

ცნობილია ისიც, რომ თავდაცვითი საჭურველი ოდითგანვე მეზობლის პანოპლიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და მისი არსებობა ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდანაა დადასტურებული (M. Горелик, 2003: 167; მ. წურწუშია, 2016: 228).

მართალია აბჯარი არასოდეს ყოფილა დაცვის აბსოლუტური საშუალება, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად ასუსტებდა დარტყმის ძალას და მფლობელიც შესაძლოა მომაკვდინებელის ნაცვლად მსუბუქი დაზიანებით გადარჩენილიყო. აქედან გამომდინარე კარგი აბჯარი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა მისი მფლობელის მორალზე და მას უფრო უშიშარსა და თავდაჯერებულს ხდიდა (M. Горелик, 2003:114).

ზემოთ აღნიშნული უკანასკნელი გარემოება, რომ ბრძოლაში წარმატებას, მხნეობისა და სიმამაცის გარდა, სრულყოფილი აღჭურვილობაც განაპირობებდა, როგორც ამას მკვლევარი მ. წურწუშია ქართული საისტორიო წყაროებიდან, შესაბამისი ადგილების მოხმობით ცხადყოფს, მშვენივრად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმაც (მ. წურწუშია, 2016: 228).

მოზობლის თავდაცვითი აღჭურვილობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს თავისდასაცავად განკუთვნილი ლითონის თავსარქმელი – მუზარადი წარმოადგენდა.

მუზარადი მართალია ნაკლებ მედეგობას იჩენდა დასარტყმელ იარაღთა წინააღმდეგ, თუმცა კარგად იხსლტდა ხმალს, ისარს და სხვა სატყორცნ საშუალებებს, რაც მთლიანობაში მკვეთრად ზრდიდა მეზობლთა დაცულობას და აქედან გამომდინარე მათ ბრძოლისუნარიანობასაც (იქვე: 229-230).

შუა საუკუნეების ეპოქაში, ჩვენი წინაპრები, როგორც ამას მე-18 საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი გვამცნობს, მუზარადებს ხუთ კატეგორიად ყოფდნენ. ისინი ლითონის ყველაზე მარტივ და პრიმიტიულ მუზარადს კვერცხს, უზრადო ლითონის თავსარქმელს, გრძელი საცხვირეთი, ჩაფხუტს, ბრძოლისას თავის დაცვის მიზნით გამოყენებულ მხოლოდ ჯაჭვის თავსარქმელს, ჩაბალახს, რკინის პატარა ჯამის ფორმის ფირფიტას ჯაჭვის ზარადით – ჩაჩქანს, ხოლო ყველაზე სრულყოფილ ლითონის თავსარქმელს, რომელსაც წინაც და უკანაც ჯაჭვი ანუ ზარადი გააჩნდა ზურს ეძახდნენ (ს.ს. ორბელიანი, 1991: 289-290). ამ უკანასკნელს სულხან-საბასვე განმარტებით „რომელიმე მუზარადად უხმობდნენ“ (იქვე: 290).

მუზარადს შიდა მხრიდან, დარტყმის ძალის შესასუსტებლად და გასაფანტავად, ტრადიციულად სხვადასხვა სახის რბილი ქსოვილის საფენს უფენდნენ (მ. წურწუშია, 2016: 231).

როგორც წესი მუზარადს (ზურს) უშუალოდ ბრძოლის წინ იხურავდნენ და ნიკაპზე თასმებით იკრავდნენ (იქვე: 232).

სპეციალისტთათვის კარგადაა ცნობილი, რომ მუზარადების თვალსაზრისით ქართული (და არა მარტო ქართული) არქეოლოგია ფრიად ღარიბია. საბედნიეროდ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის კოლექციებში დაცულია მუზარადის რამოდენიმე

ეგზემპლიარი, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ინტერესს მთლიანჭედილი სფეროკონუსური მუზარადი ინვევს (ტაბ. I, სურ. 1-4), აღნიშნული მუზარადის უახლოესი ანალოგები დღემდე არაა მოღწეული, რაც კიდევ უფრო ზრდის მისდამი ინტერესს და ამ ეტაპზეც ჩვენს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სწორედ ის, რომ აღნიშნული მუზარადი პირველად აღვწეროთ და შემოვიტანოთ იგი სამეცნიერო მიმოქცევაში. ამასთანავე განვახორციელოთ მისი შედარებითი ანალიზი მსგავს მუზარადებთან და გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ მუზარადის (ზუჩის) თარიღთან და მის ეთნოკულტურულ კუთვნილებასთან დაკავშირებით.

ვიდრე ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ზემოთ აღნიშნული მუზარადის დეტალურ აღწერას შეუდგებოდეთ, გვინდა შევნიშნოთ რომ, დასახელებული მუზარადის თითქმის ყველა დეტალი, მიუხედავად მისი მკვეთრად დეფორმირებისა და მთელი რიგი დაზიანებებისა, ნათლად იკითხება.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადი დამრეცგვერდებიანი სფეროკონუსური, წონოლა ფორმის, ზუჩია. მისი ძირითადი ნაწილი ერთი მთლიანი ლითონის ფურცლისაგანაა გამოჭედილი. ამჟამინდელი მდგომარეობაში მუზარადი 992 გრამს იწონის, თავდაპირველი წონა კი 1 კგ.-ზე ცოტა მეტი იქნებოდა (ზარადის გარეშე). მუზარადის სიმაღლე 23 სმ-ია, დიამეტრი კი დაახლოებით 21 სმ (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მუზარადი მკვეთრად დეფორმირებულია ამიტომ მისი დიამეტრის ზუსტი განსაზღვრა ამ ეტაპზე არ ხერხდება).

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, ზემოთ აღნიშნული, მუზარადის დამრეცგვერდებიანი გუმბათი საკმაოდ მაღალი ოსტატობითაა გამოჭედილი. მისი (ზუჩის გუმბათის) უკიდურესი ზედა ნაწილი გაბრტყელებულია და ამ სიბრტყის ცენტრში მოზრდილი, დაახლოებით 1 სმ. დიამეტრის მქონე, ფუნქციონალური ნახვრეტია განთავსებული (ტაბ. I, სურ. 3), რომელშიც მოსალოდნელია მაღალი წვეტი მაგრდებოდა, ისევე, როგორც ეს ანალოგიური (დამრეცგვერდებიანი) გუმბათის მქონე, ტაგაიჩის ცნობილი მუზარადის შემთხვევაში (ტაბ. III, სურ. 10).

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, მუზარადის გუმბათზე კბილანებიანი ორნამენტის მქონე ფართო გვირგვინი მოქლონებით საკმაოდ მაღალი ოსტატობითაა მიმაგრებული, კერძოდ, მუზარადის გუმბათზე გვირგვინის მიმამაგრებელი მოქლონები სწორ რიგად განლაგებული, ამასთან მათ (მოქლონებს) შორის მანძილი თანაბრადაა გადანაწილებული. აქვე გვინდა შევნიშნოთ, ისიც, რომ აღნიშნული მუზარადის გვირგვინის ორლამენტი კბილანებიანი ორლამენტიდან სამყურა ორლამენტში გადასვლის აშკარა ტენდენციას ამჟღავნებს (ტაბ. I, სურ. 1-2),.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, ზემოთ აღნიშნული, მუზარადის გვირგვინის ჯაჭვის ზარადი, რომელიც დაკარგულია, ემაგრებოდა საკიდ კავებში გაყრილ ლითონის წნელს (დასახელებულ მუზარადზე ლითონის წნელი შემოჩენილი არ არის).

მუზარადის წინა მხარეს, გუმბათის ქვედა ნაწილზე ამოღებულია სათვალე ჭრილები, ე.წ. სათვალე (მუზარადზე არსებული სათვალე შეიძლება ყოფილიყო: ჭრილები სახეზე ჩამოფარებულ ჯაჭვის ზარადზე ან ლითონის მუზარადის წარბზედა ნახევარკალისებური ჭრილები, როგორც ეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადის შემთხვევაში), ასეთ, მუზარადის წარბზედა ნახევარკალისებური სათვალე ჭრილებს, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „ზუჩისა თვალის სახედველსაც“ უწოდებდნენ (ს.ს. ორბელიანი, 1993: 30).

მუზარადის გუმბათზევე, მიმაგრებულია განიერი მართკუთხა საცხვირე ბუდე (ამჟამინდელი მდგომარეობით აღნიშნული საცხვირე ბუდე ცალმხრივადაა მიმაგრებული – მუზარადის საცხვირე ბუდეს, ერთ მხარეზე ჩამოტეხილი აქვს ზუჩის გუმბათის სამოქლონე ნახვრეტში ჩასამაგრებელი დეტალი) (ტაბ. I, სურ. 1).

სამწუხაროდ დაკარგულია, ზემოთ აღნიშნული მუზარადის მოძრავი საცხვირე, რომელსაც, როგორც მუზარადზე შემორჩენილი საცხვირე ბუდის მოხაზულობიდან ნათლად ჩანს, აშკარად ბრტყელი ფორმა უნდა ჰქონოდა.

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, აღნიშნული მუზარადის გვირგვინის ქვედა ნაწილზე, შიდა მხრიდან, მიმაგრებულია ლითონის სამი, ერთმანეთის მსგავსი, თასმების დასამაგრებელი რგოლი (ორი მუზარადის გვირგვინის ქვედა ნაწილის გვერდით მხარეებზე, ერთიც, საცხვირის პირდაპირ, უკანა მხარეს) (ტაბ. I, სურ. 4).

ზემოთ აღნიშნული მუზარადის ყველაზე ახლო ანალოგებად შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. ჯალალედინის (მრავალძალის) (ტაბ. II, სურ. 5) და ე.წ. ოს-ბაყათარის (რექომის) მუზარადები (ტაბ. II, სურ. 6-7), .ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, ზემოთ აღნიშნული მუზარადი გარკვეულ მსგავსებებს ავლენს ტაგანიჩისა (ტაბ. III, სურ. 10) და ე.წ. ვაველის (ვაველის, ერმიტაჟის და ცაგერის) ტიპის მუზარადებთანაც (ტაბ. IV, სურ. 11-13). კერძოდ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადი ჯალალ ად-დინისა და ოს-ბაყათარის მუზარადებთან თვალშისაცემ ნათესაობას ამჟღავნებს არა მხოლოდ თავისი მაღალი გვირგვინით, არამედ იმითაც, რომ სამივე მათგანში (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ, ე.წ. ჯალალ ად-დინისა და ე.წ. ოს-ბაყათარის მუზარადებში) აღნიშნული, მაღალი, გვირგვინის ზედა ნაწილის მოსართავად გამოყენებულია გაიშვიათებული ორნამენტი. ამასთან ამ უკანასკნელ საკითხთან მიმართებაში (გვირგვინის ზედა ნაწილის მოსართავად გამოყენებული ორნამენტის ფორმებთან დაკავშირებით) შეიძლება განვაცხადოთ ისიც, რომ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ მუზარადს, ჯალალ ად-დინის მუზარადსა და ოს-ბაყათარის მუზარადს შორის, აშკარად გარდამავალი ადგილი უჭირავს. კერძოდ ვგულისხმობთ, რომ, თუ ჯალალ ად-დინის მუზარადის შესამკობად გამოყენებულია კბილანების ფორმის ორნამენტი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადის გვირგვინის შესამკობად გამოყენებული ორნამენტი, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მართალია ჯერ კიდევ კბილანური ფორმისაა, თუმცა სამყურა ფორმაში გადასვლის აშკარა ტენდენციას ამჟღავნებს, რაც შეეხება ოს-ბაყათარის მუზარადს, ამ უკანასკნელის შემთხვევაში გვირგვინის ზედა ნაწილის მოსართავად, ვაველის ტიპის მუზარადების მსგავსად, მართალია მათთან (ვაველის ტიპის მუზარადებთან) შედარებით ბევრად უფრო იშვიათად, მაგრამ უკვე სამყურა ორნამენტია გამოყენებული.

მსგავსება ზემოთ დასახელებულ სამ ზურს (ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ, ჯალალ ად-დინისა და ოს-ბაყათარის) შორის აშკარად ვლინდება ზარადის დამაგრების სისტემათა მიხედვითაც, მართალია ამ კუთხით მათ ვაველის ტიპის მუზარადებიც ენათესავენათ, კერძოდ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ, ჯალალ ად-დინისა და ოს-ბაყათარის მუზარადებსა და ვაველის ტიპის მუზარადებს საერთო აქვთ ჯაჭვის რგოლების დამაგრების პრინციპი – ჯაჭვის რგოლების დამაგრება, ყველა დასახელებული მუზარადების შემთხვევაში, ხორციელდება კავებში გაყრილი ლითონის წნელით, თუმცა ისინი განსხვავდებიან მუზარადზე საკიდი კავების დამაგრების ტექნოლოგიით, კერძოდ თუ ვაველის ტიპის მუზარადებში ზარადის საკიდი კავები გუმბათზე სათითაოდ არიან მიმაგრებულნი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ, ჯალალ ად-დინისა და როგორც მოგზაურთა (ვ. ფაფი, ა. მილერი) ჩანახატებიდან და გ. ნიორაძის მიერ XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული რექომის რელიქვიების უნიკალურ ფოტოზე დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ ოს-ბაყათარის მუზარადზეც ისინი (ზარადის საკიდი კავები), სათითაოდ კი არ არიან მიმაგრებულნი, არამედ გვირგვინის ქვედა ნაწილზე არიან გამოკვეთილნი.

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, ზემოთ

აღნიშნული მუზარადი აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს ოს-ბაყათარის მუზარადთან კიდევ ერთი დეტალის – საცხვირე ბუდის თვალსაზრისითაც, კერძოდ მათ (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადის საცხვირე ბუდესა და ოს-ბაყათარის საცხვირე ბუდეს) შორის ნათესაობა იკითხება არა მარტო გარეგნული ფორმების მსგავსებით (ორივე მათგანის საცხვირე ბუდეები განიერი მართკუთხა ფორმისაა, აქვე შევნიშნავთ, რომ ამ კუთხით მათი ანალოგები სხვაც მრავალი მოეპოვებათ), არამედ მათი საცხვირე ბუდეების განთავსების ადგილის თვალსაზრისითაც (შესაძლოა მიმაგრების ფორმის მიხედვითაც), კერძოდ ვგულისხმობთ, რომ თუ ვაველის ტიპის და ზოგადად დღემდე შემორჩენილი მოძრავი საცხვირის მქონე მუზარადების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, საცხვირე ბუდე განთავსებულია სათვალე ჭრილებს შორის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული და ოს-ბაყათარის მუზარადების შემთხვევაში იგი (საცხვირე ბუდე) განთავსებულია არა სათვალე ჭრილებს შორის, არამედ რამოდენიმე სანტიმეტრით მაღლა, რაც მათ (ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული და ოს-ბაყათარის მუზარადების) არქაულ ხასიათზე უნდა მეტყველებდეს, მსგავს, მოძრავი საცხვირის მქონე, მთლიანჭედილ სფეროკონუსურ მუზარადებთან შედარებით.

ჩვენი აზრით, მსგავს, მოძრავი საცხვირის მქონე, მთლიანჭედილ სფეროკონუსურ მუზარადებთან შედარებით, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადის არქაულ ხასიათზე უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ აღნიშნული ზუზის საცხვირე ბუდე მიმაგრებულია არა მუზარადის გვირგვინზე, როგორც ეს, ანალოგიური, მოძრავი საცხვირის მქონე, მთლიანჭედილ სფეროკონუსურ მუზარადების შემთხვევაში, არამედ მუზარადის გუმბათზე.

ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული უკანასკნელი შეხედულების, რომ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადი გაცილებით ადრეული ხანისაა, ვიდრე ანალოგიური, მოძრავი საცხვირის მქონე, მთლიანჭედილი სფეროკონუსური მუზარადები, განმტკიცების თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს ისიც, რომ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადის საცხვირე ბუდე მიმაგრებულია არა, როგორც წესი, ოთხი მოქლონით, არამედ მხოლოდ ორით.

კიდევ ერთ სპეციფიკურ თავისებურებას და ჩვენი აზრით, კიდევ ერთ დასტურს იმისა, რომ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადი გაცილებით არქაული ხასიათისაა ვიდრე ანალოგიური, მოძრავი საცხვირის მქონე, მთლიანჭედილ სფეროკონუსურ მუზარადები, წარმოადგენს ისიც, რომ დასახელებულ (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ) მუზარადზე სათვალე ჭრილები ამოკვეთილია არა გუმბათზე მიმაგრებულ გვირგვინზე, როგორც ეს დღემდე შემორჩენილი სათვალე ჭრილების მქონე მთლიანჭედილი მუზარადების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, არამედ თვით მუზარადის გუმბათზე, ამასთან ისინი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადის გუმბათზე ამოკვეთილი სათვალე ჭრილები), მიუხედავად მუზარადის სერიოზული დაზიანებისა და მკვეთრად დეფორმირებისა, ნათლად ჩანს, რომ ნახევრად რკალისებური მოხაზულობისა არ არიან, როგორც ეს, როგორც წესი, სათვალე ჭრილების მქონე მთლიანჭედილი მუზარადების უმრავლესობას ახასიათებს, არამედ მათი მოხაზულობა ადამიანის წარბების მოხაზულობის ანალოგიურია. ამ უკანასკნელი გარემოებით (სათვალე ჭრილების მოხაზულობის ფორმით) იგი მსგავსებას, მხოლოდ ერთეულ მთლიანჭედილ კონუსურ მუზარადებთან ამჟღავნებს, კერძოდ XIII-XIV სს, უძრავი საცხვირის მქონე, ე.წ. გოლიცინის მასიურკასთან (ტაბ. II, სურ. 8-9).

ნიშანდობლივია ისიც, რომ ე.წ. „დეკორტიული წარბების“ მქონე მთლიანჭედილი სფეროკონუსური მუზარადების ე.წ. „დეკორტიული წარბები“, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ისეთივე მოხაზულობისანი არიან, როგორი მოხაზულობაც ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ



მუზეუმში დაცული, ზემოთ აღნიშნული მუზარადის გუმბათზე ამოკვეთილ სათვალე ქრილებს ახასიათებთ, რაც ჩვენი აზრით ერთგვარ მემკვიდრეობაზე უნდა მეტყველებდეს, კერძოდ, ვგულისხმობთ რომ, დეკორატიული ნარბების გარეშე დამზადებულ მუზარადებში (სწორედ ასეთი გახლავთ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მუზარადი) სათვალე ქრილები მუზარადზე ადამიანის ნარბების მოხაზულობის ანალოგიითაა ამოკვეთილი, შემდგომში ე.წ. „დეკორატიული ნარბების“ გამოყენების დანერგვის პარალელურად ასეთი (ადამიანის ნარბების მოხაზულობის) ფორმა ე.წ. „დეკორატიულმა ნარბებმა“ მიიღო, ხოლო პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე სათვალე ქრილებმა ნახევარ რკალისებური მოხაზულობა შეიძინა.

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული დამრეცგვერდებიანი სფეროკონუსური მუზარადი, თავისი მაღალი „ნონოლა“ ფორმის გუმბათით გარეგნულად ძალზედ დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სოფ. გველეთის ე.წ. წმინდა მხედრის მუზარადთან (ტაბ. V, სურ. 14) (სოფ. გველეთი მდებარეობს დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში) და ე.წ. ტაგანიჩის მუზარადთან (ტაბ. III, სურ. 10) (აღმოჩენის ადგილი ტაგანიჩის ყორღანი, ყოფილი კიევის გუბერნია, ამჟამად აღნიშნული მუზარადი ინახება პოლონეთში, ვარშავის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმში).

როგორც ცნობილია, გველეთის ეკლესია, რომელზედაც დამრეცგვერდებიანი „ნონოლა“ ფორმის მუზარადის მქონე, წმინდა მხედარია გამოსახული, XIV საუკუნის ნაგებობას წარმოადგენს. თვით წმინდა მხედარის პროტოტიპი კი, როგორც ამას სამართლიანად უთითებს მკვლევარი მ. გორელიკი ყივჩაღი მეომარია, მკერდზე გამოსახული ტიპიური ყივჩაღური „საბრძოლო აზღუდით“ (Горелик М. В. 2010: 144; მ. წურნუშია, 2016: 264).

მომთაბარის კუთვნილებას წარმოადგენს ტაგანიჩის ცნობილი მუზარადიც და ეს უკანასკნელიც დაახლოებით იმავე პერიოდით (XIII ს. II ნახ. XIV ს. I ნახ.) თარიღდება (Кирпичникова А. Н. 1971: 28; მ. წურნუშია, 2016: 265).

ზემოთ აღნიშნულ მუზარადებთან დაკავშირებით სრულიად მართებულადაა მიჩნეული, რომ გველეთის წმინდა მხედრის მუზარადი ტაგანიჩის მუზარადის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს.

როგორც მკვლევარი მ. წურნუშია სამართლიანად შენიშნავს: „გველეთის ფრესკაზე, უცხო მომთაბარულ ნიშნებთან ერთად, ქართული მოტივებიც შეიმჩნევა: მუზარადს აქვს ქართული ზურისთვის დამახასიათებელი კბილანებიანი მაღალი გვირგვინი; მაღალი ჩექმები, რომელიც მხედრის მუხლებსაც ფარავს, მეტად დამახასიათებელია წმინდა მხედრების ქართული გამოსახულებებისთვის“ (მ. წურნუშია, 2016: 265), ამასთან იქვე დასძენს, რომ „ნონოლა მუზარადი მაღალი წვეტიან უცხო საქართველოსთვის“ (იქვე).

პატივცემული მკვლევარის უკანასკნელ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ მაღალი წვეტის მქონე ნონოლა მუზარადი ჩვენი ქვეყნისთვის უცხო რამ გახლავთ, გვინდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული (ნონოლა) ფორმის მუზარადებს, მართალია ნაკლებ, მაგრამ მაინც ვხვდებით ქართულ სინამდვილეში, რისი დასტურიცაა ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, ზემოთ აღნიშნული, დამრეცგვერდებიანი სფეროკონუსური მუზარადი, თავისი მაღალი „ნონოლა“ ფორმის გუმბათით. ასევე ანალოგიური ფორმის მუზარადი ჩვენ გვხვდება XV საუკუნის შუა ხანებში შესრულებულ გიორგი VIII-ის გარდამოხსნაზე (ვ. ბერიძე, 1983: 13; ლ. ბერიაშვილი,

2011: 31)., კერძოდ მასზე ამქარგულ ქრისტეს საფლავის მცველ ოთხ ქვეით მეომართაგან ორ მათგანს დამრეცგვერდებიანი სფეროკონუსური მუზარადი ახურავთ (ტაბ. VI, სურ. 15-17).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, დამრეცგვერდებიანი მთლიანჭედილი სფეროკონუსური მუზარადის სახით ჩვენ საქმე გვქვს XIII-XIV ს.ს.-თა მიჯნაზე შესრულებულ ადგილობრივ ხელოსნურ ნაკეთობასთან, რომელმაც მკვლევარ მ. წურნუმიას წარმოდგენილ სფეროკონუსური მუზარადის განვითარების საკუთრივ ქართული გზაში, სადაც ქართული მუზარადის ევოლუციის ხაზი ეყრდნობოდა, აქამდე ცნობილ, რეალურად არსებულ მხოლოდ 3 მუზარადს: ჯალალ ად-დინის (მრავალძალის), ოს-ბაყათარისა (რექომის) და ვაველის (წურნუმიას მ. 2013: 74), ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს და წარმოდგენილი ხაზი შემდეგნაირად უნდა გაიმართოს: ჯალალ ად-დინის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული, ოს-ბაყათარისა და ვაველის.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**ბაქრაძე ი. 2014:** ვაველის ტიპის მუზარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში, ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 2014.

**ბერიაშვილი ლ. 2011:** ქართული ნაქარგობა თბ., 2011.

**ბერიძე ვ. 1983:** ქართული ნაქარგობის ისტორიიდან: გარდამოხსნები თბ., 1983.

**ორბელიანი ს.ს. 1991:** ლექსიკონი ქართული, ტ. I. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1991.

**ორბელიანის.ს. 1993:** ლექსიკონი ქართული, ტ. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1993.

**წურნუმიას მ. 2013:** მუზარადი ვაველის მუზეუმიდან და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში – საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, ტომი I, თბ., 2013.

**წურნუმიას მ. 2016:** შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700): ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება, თბ., 2016.

**Горелик М. В. 1987:** Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.) - Археология, этнография и антропология Монголии, стр. 163-208 (Отв. ред. А. П. Деревянко, Ш. Нацагдорж), Новосибирск, 1987.

**Горелик М. В. 2003:** Оружие Дренего Востока (IVтысяелетие – IV в. до н. э. , Санкт-Петербург, 2003.

**Кирпичников А. Н. 1971:** Древнерусское оружие. Вып. 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв. - Свод Археологических Источников. Е1-36. Москва/Ленинград (ред. акад. Б. Рыбаков).

JAMBUL KASHIBADZE

## SPHERECONICAL HELMET IN KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

Whole plated sphereconical helmet with wide prongs, glasses and movable remains of nose that is characteristic of the Georgian helmet is treasured in Kutaisi State Historical Museum.

The main part of the helmet is a saingle metal sheet. In the current condition the helmet weighe 992 grams, its height is 23 cm and the diameter is 23 sm.

The chain of the chain that was kert in the Kutaisi State Historical Museum, which was lost, was attached to the metal rod dividing in the holes (metal is not preserved) Unfortunatelu, there was a shock of the helmet, which had to have a flat shape.

Although the helmet is quite damaged, it can be made some conclusions, namely, that its dome is quite well made, though the crown does not have a sophisticated form that is characterized by the 14 th century.

It is considered to be the closest analogues of the helmet in the Kutaisi State Historical Museum is Jalal Ad-Din (Mravaldzal) tupehelmet and so-called Ossets-Bakatarari (rekom) helmests.

It shows some similaritu in the so-colladVavel and Taganictupe helmet.

According to our observation, the helmet should be made in Georgia in the 13th or 14th centuries.

### ტაბულების აღწერა

#### ტაბ. I.

1. მუზარადი. ქუთაისი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (ავტორის ფოტო).
2. მუზარადი. ქუთაისი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (ავტორის ფოტო).
3. მუზარადი. ქუთაისი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (ავტორის ფოტო).
4. მუზარადი. ქუთაისი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (ავტორის ფოტო).

#### ტაბ. II

5 მუზარადი (მიენერება ხორეზმის შაჰს ჯალალ ად-დინს) XIII ს-ის 20-იანი წ.წ. თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

6. მუზარადი (ჩანახატი) რეკომის სალოცავი, ჩრდ. ოსეთი (B.A. Кузнецов-ის მიხედვით).
7. მუზარადი რეკომის სალოცავში (გ. ნიორაძის ფოტოსურათი A. Дарчиев-ის მიხედვით).

#### ტაბ. III

8. მუზარადი (ჩანახატი) მოსკოვი, კრემლის იარაღის პალატა (M. B. Горелик-ის მიხედვით).
9. მუზარადები (ჩანახატი). სტამბოლი, თოფჯაფის სასახლე (D. Nicolle-ის მიხედვით).
10. მუზარადი ტაგანიჩიდან. ვარშავის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმი (M. B. Горелик-ის მიხედვით).

#### ტაბ. IV

- 11 მუზარადი. კრაკოვი, ვაველის სასახლე (Z. Żygulski-ის მიხედვით).

12. მუზარადი. სანქტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი (მ. წურნუმიას მიხედვით).

13 მუზარადი. ცაგერი, ვარლამ მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმი (ირ. ბაქრაძის მიხედვით).

#### **ტაბ. V**

14 მუზარადი. გველეთის ფრესკა (მ. წურნუმიას მიხედვით).

#### **ტაბ. VI**

15 გიორგი VIII-ის გარდამოხსნა (ლ. ბერიაშვილის მიხედვით).

16 დეტალი (ლ. ბერიაშვილის მიხედვით).

17 დეტალი (ლ. ბერიაშვილის მიხედვით).

## **DescrionOf The Plates**

### **Tab. I**

1. Helmet, Kutaisi State Historical Museum (Photo of the author)

2. Helmet, Kutaisi State Historical Museum (Photo of the author)

3. Helmet, Kutaisi State Historical Museum (Photo of the author)

4. Helmet, Kutaisi State Historical Museum (Photo of the author)

### **Tab. II**

5.Helmet (attributed to Khorezm shah Jalal ad-Din), 1220s. Tbilisi, The Georgian National Museum (photo of the author)

6.Helmet (sketch), the Rekomi shrine, North Ossetya by (V.A. Kuznetsov)

7. Helmet in the Rekomi Shrine, North Ossetya (Photo by G.Nioradze, after A. Darchiev)

### **Tab. III**

8.Helmet (sketch), Moscow, Kremlin Armory Chamber (by M.V. Gorelik)

9. Helmets (sketch), Istanbul, Topkapi Palace (by D. Nicolle)

10.From the helmet Takanachi. Warsaw State Archaeological Museum (by M.V. Gorelik)

### **Tab. IV**

11. Helmet. Krakow, TheWawel Royal Castle (by Z. Żygulski)

12. Helmet, Saint Petersburg, Hermitage Museum (by M. Tsursumia)

13.Helmet, Tsageri, VarlamMakharoblidzeTsageri History Museum (by I. Bakradze)

### **Tab. V**

14 . Helmet, Gravelet fresco (by M. Tsursumia)

### **Tab. VI**

15 The descent of Giorgi VIII (by I. Beriashvili)

16. Detail (by I. Beriashvili)

17. Detail (by I. Beriashvili)



ციცინო მუმლაძე, ეკატერინე ყელაშრაძე, ნინო კუხიანიძე

## სოლომონ I სიგელის კორპუსი

(ქუთაისის მუზეუმის მასალები)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერ და ძველნაბეჭდ ნიგნთა კოლექციების განყოფილების ფონდში დაცულია 65 000-მდე ისტორიული დოკუმენტი. მათ შორის: იმერეთის სამეფოს მეფე-დედოფალთა, დასავლეთ საქართველოს სამთავროთა მთავრების, საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლებისა, თუ კერძო პირთა სიგელები, დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა არქივები, აღნიშნულ არქივებში გაერთიანებული ისტორიული დოკუმენტების ქრონოლოგიური ჩარჩო XV-XX საუკუნეებს მოიცავს. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც აღნიშნული პერიოდის საქართველოს, ისე მისი მეზობელი და მახლობელი ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ მიმართებით, ქუთაისის მუზეუმის ისტორიული დოკუმენტების გამოყენების არეალი გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე იმდენად გაფართოვდა, რომ მათ ასახვა ჰპოვეს არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ მკვლევართა ნაშრომებშიც. ამ ტიპის დოკუმენტებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეფეთა სიგელები, რაც უდაოდ მათი მაღალი სანდოობითაა გამონეული. უმეტესად ისინი, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ძუნწად მოგვითხრობენ ამათუიმ მოვლენისა და ფაქტის შესახებ, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს მისთვის საინტერესო ინფორმაციის შემცველი საბუთი მტკიცებულებად გამოიყენოს. ჩვეულებრივ ამ ტიპის დოკუმენტებს იურიდიულ ძალას სძენს მეფეთა ხელრთვა და ბეჭდები.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული იმერეთის მეფის სოლომონ I მიერ გაცემული სიგელების კორპუსის პირველ ნაწილს. მუზეუმში სულ სოლომონ I 41 სიგელია დაცული, მაგრამ მუზეუმის შრომების კრებულში წარმოსადგენი ნაშრომების ფორმატის განსაზღვრულობის გამო, ამჯერად, მხოლოდ 18 სიგელს ვაქვეყნებთ.

ისტორიული დოკუმენტების გამოცემას დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში და დღეს საყოველთაოდ ცნობილია ის მეცნიერები, რომლებმაც ამ ურთულეს საქმეს ჩაუყარეს საფუძველი. მათ შორისაა თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ბურჯანაძე, ვლ. ფუთურიძე, მ. ხუბუა, შ. მესხია, ო. სოსელია და სხვები. ეს ავტორები დოკუმენტებს შერჩევის კერძო პრინციპზე დაყრდნობით აქვეყნებდნენ: მეურნეობა-საზოგადოებრივი ურთიერთობა (ნ. ბერძენიშვილი), სამოხელეო წყობა (შ. მესხია), სათავადო ორგანიზაცია (ო. სოსელია), ეკლესია (ს. კაკაბაძე), ირანის ბატონობა საქართველოში (ვლ. ფუთურიძე, მ. ხუბუა). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტების გამოქვეყნების შერჩევის პრინციპად შ. ბურჯანაძემ კუთხურ-ქრონოლოგიური წესი აირჩია [1, 5-6]. დოკუმენტების გამოქვეყნების სრულიად განსხვავებული წესი ჰქონდა თ. ჟორდანიას. მისი „მიზანი საბუთების გამოცემა კი არ იყო, არამედ ამ საბუთებიდან საჭირო ფაქტობრივი ინფორმაციის გამოქვეყნება ქრონოლოგიური რიგით. ამის შედეგად ნიგნში [„ქრონიკები“] საბუთების შემოკლება (მრავალწერტილით) გაბატონებული წესია. სრულ ტექსტს ავტორი მხოლოდ შერჩევით აქვეყნებს, იმ შემთხვევაში, თუ საბუთი ძალიან ძველი და „მნიშვნელოვანია“ დამოუკიდებლად, ან თვლის, რომ სხვათა გამოცემებში იგი „დამახინჯებულად არის დასტამბული“ [4, 12].

ისტორიული დოკუმენტების გამოცემის პრაქტიკის სრული გათვალისწინებით აქვეყნებს დოკუმენტებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და საქართველოს ეროვნული არქივი სერიით – „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“ (აღნიშნული სერიის I ტომი 1984 წელს გამოიცა).

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მუზეუმს ისტორიული დოკუმენტების უმდიდრესი კოლექცია აქვს, დღემდე მხოლოდ რამდენიმე საბუთია სრულყოფილად გამოცემული. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად წინამდებარე ნაშრომის ავტორებმა გადაწყვიტეს, ისტორიული დოკუმენტების გამოცემის დღემდე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მოვამზადოთ და გამოვცეთ ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I სიგელების კორპუსი. ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი წიგნისა – „დასავლეთ საქართველოს მეფეთა სიგელების კორპუსი (ქუთაისის მუზეუმის მასალები)“, რომლის მომზადებას და გამოცემასაც ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მკვლევართა ჯგუფი ისახავს მიზნად.

ნაშრომში – „ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I სიგელების კორპუსი (ნაწილი I)“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოვადგენთ 18 სიგელის სრულყოფილ ტექსტებს ისეთი სიზუსტით, რომ არცერთი მათგანის ავთენტურობა არ დაირღვეს.

თითოეულ ტექსტს წინ უძღვის საბუთის მოკლე ტექნიკური აღწერილობა, ხოლო ტექსტის ბოლოს წარმოდგენილია მტკიცებულებითი ნაწილის – ბეჭდებისა და ხელრთვების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაშიფრა და მინაწერები.

ისტორიული დოკუმენტების გამოცემის დროს, ტექსტის სიზუსტესთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ ატრიბუტიკის წარმოჩენას, რითაც ესა თუ ის დოკუმენტი გამოირჩეული. კერძოდ: ბეჭდებს, მინაწერებს, ჭვირნიშანს. ამათგან განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ბეჭდების წარმომავლობის დადგენა, რაც უშუალოდ მასზე გადატანილი ლეგენდის ამოკითხვასთან (გაშიფრვასთან) არის დაკავშირებული. ამ სირთულეების შესახებ წერდა შ. ბურჯანაძე თავისი წიგნის – „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1770წ.წ.)“ შესავალში: “ჩვენ შევეცადეთ ბეჭდის წარწერები ყველგან ამოგვეკითხა, ამ მხრივ შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმუმი გავაკეთეთ, მაგრამ სისრულეს მაინც ვერ მივაღწიეთ. ჩვენ არ შეგვეძლო ზუსტად გადმოხაზვა ბეჭდების გარეგნული მოყვანილობისა და შიგ ამოკითხული ლეგენდის ჩაწერა. ამიტომ საუკეთესო გამოსავლად მივიჩნიეთ ასეთი წესი: ბეჭდის გეომეტრიული მოხაზულობა და ლეგენდის დამწერლობის სახეობა განვმარტეთ ჩვენი სიტყვებით, რაც ნაბეჭდში განსხვავებული შრიფტითაა აწყობილი. ხოლო მათ შემდეგ, როგორც ტექსტის ორგანული ნაწილი, გადმოვინერეთ ლეგენდები“ – წერს შ. ბურჯანაძე [1; გვ 10].

სოლომონ I სიგელების კორპუსზე მუშაობისას ბეჭდებთან დაკავშირებით ჩვენ არ შეგვექმნია შ. ბურჯანაძის მიერ მითითებული სირთულეები, რადგან ამ მიმართებით ფართოდ გამოვიყენეთ ანა ბაქრაძის ნაშრომი – „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“, რომელიც 1978 წელს გამოიცა. ნაშრომი წარმოადგენს კატალოგს, რომელშიც წარმოდგენილია XV-XVIII სს. ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში დაცული ბეჭდების ანაბეჭდები. მოცემულია ამ ბეჭდების ნაკითხვა და არქეოგრაფიული აღწერილობა და რაც უმთავრესია, ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობისას ა. ბაქრაძეს 1000-ზე მეტი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე, განსაზღვრული აქვს ქართველ მეფე-მთავართა, სამოხელეო და სასულიერო პირთა ბეჭდების მოხმარების დროის არეალი, რაც თავის მხრივ ერთგვარად აადვილებს ბეჭდდასმული, მაგრამ უთარილო დოკუმენტის დათარიღების შესაძლებლობას. ამ მიმართებით, ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ ეს ნიუანსი და განვსაზღვრეთ

სოლომონ I მიერ გაცემული რამდენიმე უთარილო სიგელის შექმნის სავარაუდო პერიოდი. კერძოდ: ისტორიული დოკუმენტი № 438<sup>6</sup> – წყალობის წიგნი მეფე სოლომონისა გიორგი აბდუშელიშვილისადმი – იოსებ, გელათელი მიტროპოლიტის მინაწერისა და მისივე ბეჭდის მიხედვით 1752-1769 წლებს შორის უნდა იყოს შექმნილი; №1471 – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I მესხისადმი – სოლომონ მეფის ბეჭდისა და საბუთში აღწერილი ვითარების მიხედვით გაცემული უნდა იყოს 1757-1758 წლებში. №438<sup>2</sup> – გაცვლილობის წიგნი მეფე სოლომონ I გიორგი აბდუშელიშვილისადმი სოლომონ მეფის ბეჭდის ლეგენდით დავათარილეთ 1766-1781 წლებით და ა. შ.

სოლომონ I ბეჭდების ლეგენდებზე დაკვირვებით, მათი მოხმარების ქრონოლოგიური რიგის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, როგორ აირეკლა მათში ის რთული სახელმწიფოებრივი მმართველობის ხანა, რომლის გავლაც მას ხვდა წილად. ამის მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება ბეჭედთა ლეგენდები: 1. „მონა მღთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ (1753-58 წწ.)“ [2, 49];

2. „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატოანი, სოლომონ“ (1762-79წწ.)“ [2, 49];

3. „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ“ (1766-81წწ.)“ [2, 49];

4. „მეფე იმერეთისა სოლომონ“ (1761-97წწ.)“ [2, 50] – ბეჭედი ამ ზედწერილით სოლომონ I გარდაცვალების შემდეგაც გამოიყენებოდა სიგელების დასამტკიცებლად.

ცხადია, ბეჭდების ლეგენდები იძლევა საინტერესო მასალას ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური საკითხების შესასწავლად და წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს ისტორიის კვლევით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ამ მიმართებით უდაოდ ინტერესს იწვევს სოლომონ I ბეჭდებიც, რომელთა ზედწერილებში სარკესავით აისახა იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი მოწყობის, რელიგიური მრწამსისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხები სოლომონ I მეფობის პერიოდში.

დღეს, ქართულ ისტორიოგრაფიაში, არავინ დავობს იმაზე რომ სოლომონ I შესანიშნავი მეფე, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ხალხმა მას სოლომონ დიდი უწოდა. ხალხის ამგვარ დამოკიდებულებას გრძნობდა სოლომონ მეფე, ამიტომაც იყო რომ თავისი ძლიერება სახელმწიფო ბეჭედზეც ასახა, როცა ადრინდელი, დამამცირებელი წარწერა „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა“, ახალი წარწერით ჩაანაცვლა: „ლომებრ მეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფე!“ [3, 280]. შემთხვევითი არც ის ყოფილა, სოლომონ II ასეთი მინაწერი რომ დატოვა სოლომონ I მიერ წულუკიძეებისათვის მიცემულ წყალობის სიგელზე (ქიმ №706 რ): „ივერთა მეორისა აღმაშენებელისა, აგარიანთა სისხლთა მრღვენელისა, ტომებით დავითიანისა, უმაღლესისა მეფისა და მამებრ საწყურისა ჩემისა ბიძისა და ბატონისა სოლომონ ივერთა მპყრობელისა... (ის ქიმ 706).

ქვემოთ წარმოვადგენთ ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I 18 სიგელის ტექსტებს.

საბუთების ტექსტებში გამოყენებული პირობითი ნიშნები:

| – ტექსტის სტრიქონის გამოყოფა;

r – საბუთის წინა მხარე;

v – საბუთის ზურგი;

[ ] – აღდგენილი ადგილები;

- - - დაზიანების გამო გამოტოვებული ადგილები;

ქარაგმები, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია, გახსნილია.



## 1. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I გიორგი აბდუშელიშვილისადმი [1752-1769 წწ.]

დედანი – ქიმ. 438<sup>6</sup>; მოყვითალო ფერის ქალაღი; ჭვირნიშნიანი; დაზიანებული: კიდებშემოცრეცილი, რესტავრირებული; ზომა: 42 X 30; დანერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36 x 25,5, v – 39 x 25 ; სტრიქონების რაოდენობა r – 23, v – 26; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი, სამი წერტილი; მხედრული; შემდგენელი მეფის კარის მწირველი და მოძღვარი მღვდელი სვიმონი [წერეთელი]; თარიღი: იოსებ, გელათელი მიტროპოლიტის მინაწერისა და მისივე ბეჭდის მიხედვით 1752-1769 წლებს შორის უნდა ვივარაუდოთ.

r ქ. ჰარსთა ყოველთა მზადისა დაუსაბამოსა მღვთისა მამისა ... | [ყოვე] ლისა წმინდისა ერთ მლთაებით შე[ე]რთებულისა და სამგვამ [ოვნე] | ლისა და თაყვანისცემულისა დაუნყებელისა და დაუსრულებელ[ისა] | ...შთა ზეშთა უბინოთ მშობელისა ძისა მღვთისა მარადის ... | ლისა მარიაშისა ძლიერებითა პატიოსნისა ჯვარისათა წმინდ ... | ულთა ზეცისა ძალთათა ყოველთა ნაშობთა დედათა უმ ... | დისა წინასწარ მეტყველისა წინა მორბედისა და ნათლის ... | იოვანესითა წმინდათა ათთორმეტთა მოციქულთა და სამეოცდა ... | დათა მამათა მღვდელთ მოძღვართა ღმერთ შემოსილთა ... | მონამეთა ღირსთა დედათა და მონესეთა ქალწულთა ... | საუკუნითგან მღვთისა სათნო ყოფილთა წმინდათა ... | ითა მონშობითა და შუამდგომელობითა ესე ამიერიტგან ... | მთა ხანთა და გრძელთა საბოლოოთ გასათავებელი მტკი ... | ლებელი და როს შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მეზატონეთაგან ... | ი წყალობის წიგნი და სიგელი დაგინერეთ შეგინყალეთ და გიბოძეთ | ჩვენ მღვთივ აღმატებულმან და მღვთივ გვირგვინოსანმან იესიან დავითიან | სოლომანიან და პანკრატოვანმან ძლიერმან და არავისგან ძლეულმან ჩვე | ნ ლიხთ იმერთ მპყრობელმან ბატონმან მეფეთ მეფემ სოლომონ და | თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ბატონ[ნ]მა | დადიანის ასულმა მარიამ და სასურველმან ძემან ჩვენმან ალექს | [ან]დრემ შენ აბდუშელისშვილს გიორგის შვილსა შენსა ოტიას | და სხვათა შენთა მომავალთა გიყავით წყალობა და გარჩინეთ ამ მიზე | ზისათვის რომ შენ უსჯულოთა მტერთაგან დატყვევებულ იყავ და |

v თათრათ იყავი და ჩვენ მოგნათლეთ და გიბოძეთ თავათ ... შა | ლაური და მოსახლე კაცი სოფელით უკლებათ მოსახლე კაცი ცხრა | შალაურს: აბუთიძე დავით ჯინჭარაძე გიორგი ბუსხრიკიძე ბერი გვი | ანიძისაული პარტახი, გამთენაძე შოშიკი არსენაძე თამაზა მახათაურში გოგლიძე ბერი არგვე | თს ყიფშიძე გიორგი და მისი განაყოფი სვიმონ გიორგი კობახიძე, და მისი გან | ყოფისაული პარტახი და მოჯალაბე სეხნია და სამი პარტახი და ბუსხრიკ | იძე კაცია ახლა მასხარაშვილის სეული სასახლე და გლეხი მისი სამი | ტყავაძე კურტანიძე და ტოგონიძე გიორგი და მასხარაშვილი პაპუნ | ა და შვილი მისი სესიკი მისი გლეხიანათ მისი მამულ ალაგით დარბაიძეები ლაზარე მორე ნინია და თამაზა მოთხე გიგია ახლა ჭილუბანს ტყემალაძეები მჭედე | ლი გიგიტა თამაზა და კიდევ გიგიტა და მხიარული გუბელაძე ეს გლე | ხები სასახლე შენთვის გვიბოძებია და გქონდეს და გიბედნიეროს [ღ]მერთმან | ჩვენს ერთგულობასა და სამსახურში თუ შენ ჩვენი ერთგული ... | ას ჩვენი გერჩიოს არც ეს ჩვენი წყალობა წიგნი და მამუ ... | შენს შვილსა და მომავალს არ მოგეშალოს არც ჩვენგან [და არც ჩვენ შემ] | დგომთა მეფეთაგან თუ შენ ჩვენი ერთგული იყო არ მოგეშალოს ... | ჩვენგან ამისათ გასათ[ა]ვებელათ საბოლო[ო]თ მოგვიცემია და ღმერთი ... | მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელი და უხორ[ც]ონი | ვინც და რამაც ძემან კაცისამან ეს ჩვენი წყალობა მამუ ... | ბული მოგიშალოს მასამც რისხავს ღმერთი და ყოველნი ... | წმინდანი და მათ მეორეთ მოსვლას მიეცა ძრწოლა კაენისა ... | ის დაინთქმა და თან ბირონისა შიშთვილი იუდასი

კაცთ ... | და გამრიგე სახლთუხუცესი მესხი პატა და მირიან ბერი ნ... | მესხი თამაზა აბაშიძე დავით და მე სვიმონ მღვდელს ნერ[ეთელს] | კარის მწირველს და მოძღვარს დამინერ[ია] ... | თვესა იანვარს ი თ ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ...

**მინაწერი რ:** „ბატონი მეფის სოლომონის მრწემი ძმა ბატონის შვილი გაენათელ მიტროპოლიტი | იოსებ და მონამეცა ვარ საფიცარისა ამის და გამრიგეც“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფის ძე იოსებ“ – ასომთავრულით.

**მინაწერი ვ:** „ქ. ამ ჩვენის ხელმწიფის ბატონის მეფე სოლომონის ბრძანებულის თანამონამე ვართ ერისთ[ა] ვის ძე [ელიზბარ] | და მათი ასული ბატონიშვილი მარიამ“. დამონმებულია მცირე ზომის, რვაკუთხა ორი მურის ბეჭდით. ერისთავის ძის ბეჭედზე წარწერა ხვეულად – „ელიზბარ“ – მხედრულით (ბეჭდის მიხედვით, სავარაუდოდ, ქსნის ერისთავის ძე, სახლთუხუცესი); მეორე ბეჭედზე კი წარწერა – „მარიამ“ – მხედრულით.

## 2. მზითვის წიგნი მიცემული მეფე სოლომონ I და დედოფალ თინათი შარვაშიძისაგან აბაშიძის ქალის თინათისადმი 1753 წ.

დედანი – ქიმ 842; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალაღდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 34,5 x 16, 5სმ; დაწერილია რ-ვ; ტექსტის ზომა რ – 31 x 13 სმ; ვ – 24 x 11,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა რ – 21; ვ – 18; განკვეთილობის ნიშანი ყოველი სიტყვის ბოლოს ორწერტილი. მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი როსტომ ჯაფარიძე; თარიღი: ქორონიკონს უ მ ა [441] ქ[რისტ]ეს აქეთ ჩ ღ ნ გ.

რ ქ ნებითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ ამაღლებულ | მან ღვთივ დამყარებულმან ღვთივ ზეცი | თ გვირგვინოსანმან ძლიერმან და უძლე | ველმან იესიან დავითიან სოლომონიან პაკრა | ტიან მეფეთ მეფემან პატრონმა სოლომონ ღვთის | აგან კეთილად დაცულმან დედოფალთ | დედოფალმან თანამეცხედრემან ჩვენმან | შავრაშიძის ასულმან თინათი ესე მზი | თვად გამოტანებულობის წიგნი მოგეცით | თქვენ ჩვენს დას აბაშიძის ქალს თი | ნათის ასე რომე თვით ჩვენის სახლიდამ | მაინც და იყავით მაგრამ მკვიდრ და | დ გაგათხოვეთ და გამზითვეთ ფა | რცხანაყანევს ოთხი მოსახლე ლალი | ძე და მესხეთს ერთი მოსახლე თვა | ლიაშვილი ეს ხუთი გლეხი მათის ცო | ლშვილით სახლკარით საძებრით უძებ | რით დღეს რისაც მქონებულნი იყ | ნენ ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან | ჩვენგან და ყოვლის კაცის უცილეთ | ბლად ასე რომე არც თქვენ და არც |

ვ თქვენს შვილსა და მომავალს ეს ჩვენგან | მზითვად მიცემული წიგნი და მამული | არ მოგეშალოს არც ჩვენგან და არცა | სხვათა ჩვენთა შემდგომთა მეფეთა და | მეპატრონეთაგან ვინცა ჩვენთა შემდ | გომთა მეფეთა შლად ამისდა ხელყოს ის | იმც შეიშლება იესოს ქრისტეს რჯულის | აგან ძრწოლამცა აქვს კაენისა და შ | იშთვილი იუდისა დანთქმა და თან და | აბირონისა და წინაშე დიდისა მის მსაჯ | ულისა მუქფად ჩვენდა განიკითხვის აწ | ე გიბძანებ კარისა ჩვენისა ვექილ ვეზი | რ გამრიგენო ბრძანება ესე ჩვენი თქ | ვენცა ასე დამტკიცეთ არის ამისი მონამე | მაჭავარიანი ქაიხოსრო და როსაპ ბაქრაძე | ბახუტა მე ჯაფარიძე როსტომს დამინე | რია და მონამეცა ვარ ამისი.

დაინერა | ივლისის ბ ქორონიკონს უ მ ა [441] ქ[რისტ]ეს აქეთ ჩ ღ ნ გ [1753წ.]

დამტკიცებულია სოლომონ I დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მონა მღთისა ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ – მხედრულით.

### 3. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I პატარიძეებისადმი

1755 წელი

დედანი – ქიმ. 812; მოყვითალო ფერის ქალაღდი; დაფარული მუქი ყავისფერი ლაქებით; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 40X20; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 37x16 სმ; v – 15x16 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r – 21; v – 10; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანი დათუნა; თარიღი: ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ღ ნ ე [1755 წ.].

r ქ. ჩვენ მღვთის მიერ ... | სგან ძლეულმან მღვთის ზეცით გვირგ | ვინოსანმა მეფეთ მეფემა პატრონმა სოლომონ | და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ | დედოფალმა ბატონმა მარიამ ესე საბოლოო | დ გასათავებელი წყალობის წიგნი დაგინე | რეთ და გიბოძეთ თქვენ იოვანე პატარიძი | ს შვილებს შაქარას და მჭედელს და | ვითს ასე და ამა პირსა ზედან რომე შამოგვე | ხვენეთ და ქთამიც კარგი მოგვართვით როგორ | ც გული შეგვიჯერდებოდა და გიბოძეთ | გენაძისოული მახარობლისა და ლომიასი პარტ | ახი და ერთი იმ გენაძის შვილი ... | პაპუნკა და დედამისი მისი სამოსახლოთი მამ | ულით ადგილით ჭურმარნით ტყით ველით | საფლავ სამარხით მისის ყოვლის ფერით საძებ | რითა და უძებრით თქვენთვის გვიბოძებია | მკვიდრად და ყოველის კაცის უცილებლ | ად ღმერთმან ჩვენს ერდგულობასა და სამსახ | ურშიდ მოგახმაროს არის ამისი მო |

v წამე თავად ბატონიშვილი მამუკა სახთხუ | ცესი ჯაფარიძე როსტომ მაჭავარიანი | ქაიხოსრო აგიაშვილი ქაიხოსრო აბაშიძ | ე ბერი მესხი პატა და ამირან და თამაზა | გოგია იაშვილი და ლევან ბიჭიელა უგრეხელი | ძე და მერაბ ყიფიანი გამრიგე და მონამე | გიორგა ყიფიანი ხოსია იალმაზაშვილი | მე მდივანს დათუნას დამინერია და მონ | ამეცა ვარ ამისი დეინერა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ | ჩ ღ ნ ე [1755 წ.].

დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მღვთისა ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ – მხედრულით.

### 4. იმედის გაახლების წიგნი მეფე სოლომონ I იაშვილებისადმი

1756 წელი

დედანი – ქიმ 913; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალაღდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; მოხეული აქვს ტექსტის შესავალი ნაწილი; ზომა: 36x31 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 36x24,5 სმ; v – 23x24,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 26; v – 16; განკვეთილობის ნიშანი ორწერტილი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანი დათუნა; თარიღი: ქორონიკონს ქრისტეს აქეთ | ჩ ღ ნ ე [1756 წ.].

თეთრი ქალაღდი; რესტავრირებული; 35X30,5; დათარიღებულია ქორონიკონს 1756 წლით; რესტავრირებულია; ხელს აწერს პოლკოვნიკი ქაიხოსრო წერეთელი.

r ... სულისა წმიდისა თავდებობითა მინდობითა [და] შუამდგომლ[ობითა] | წმიდისა უხსნელისა და უმეტესად კურთხეულის მღვთ[ისმშობლისა] | დედოფლის მარადის ქალ[წულ]ის მარიამის თავდებობითა მინდობითა [შუა] | მდგომლობითა ზეცისა ძალის ანგელოზის მთავარანგელოზის [მი] | ქელ და გაბრიელის თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა | წმიდის იოვანე ნათლისმცემლის წინასწარმეტყველის და წინა მო | რბედის და ქალწულ მახარობელისა თავდებობითა მინდობითა და შუა | მდგომლობითა წმინდის მხნისა და მხედარის მთავარმონამის შვიდ წი | ლ უძღვევრის დიდის გიორგისათა თავდებობითა მინდობითა და შუა | მდგომლობითა რანიც მას დიდსა

და პატიოსანსა საუფლოსა და სვინაქსარსა | შიგან წმინდანი სწერ[ენ] და ანუ წლითუ წლამდის მოიხსენებინან | მათითა ყოველთა წმინდანის თავდებობითა მინდობითა და შუამდგო | მლობითა ესე საბოლოოდ ჟამთა უკუნისამდი გასათავებელი საიმედო | წყალობის საფიცარი წიგნი დაგინერეთ და გიბოძეთ ჩვენ მღვთის მ | იერ კურთხევით აღმატებულმა ძრიელმან და თვით არვისგან ძლეულმ | ან მღვთის ზეცით გვირგვინოსანმა მეფემ ბატონმა სოლომონ და თან | ა მეცხედრემან ჩემან დედოფალმა დადიანის ასულმა ბატონმა მარიამ | ძემან ჩემან და მომავალმან თქვენ იაშვილებს ლევანს და ვახტანგს | და ერთობით გეგუთელს აზნოურშვილს მსახურსა და გლესს და პატ | რიკეთელეს ხატის ყმას ეს იმედის წიგნი და სიგელი გიბოძე | თ ასე და ამა პირსა ზედან რომე ძველათაც ჩვენის მამა პაპის | ბოძებული წყალობის წიგნი გქონდათ და შამოგვეხვეწეთ და ვის | მინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გაგიახლეთ და ჩვენც | იმედის წიგნი გიბოძეთ არას დროს და არა ჟამს თქვენ არც | ჩემგან და არც ჩემის ნება მყოფელი კაცით თქვენ გაყიდვით |

v ფიქრი აღარა გქონდესთ და დღეის იქით არას გაჭირვებით და | არც გოუჭირვალათ და უნაშაურათ თქვენ და თქვენი ძე და მო | მავალი ჩვენგან თქვენ არ გეყიდოთ და არც არა გაყიდვის ფიქ | რი გქონდესთ ამისად გასათავებლად თავდებათ მოგვიცემია თავად | დამბადებელი სამებით ქებული და ერთ არსებით დიდებული ღმე | რთი და ყოველი მისი წმინდანი ზეციერი და ქვეყნიერი ხ | ორციელი და უხორცონი ამისი დამტკიცებელი ღმერთმან აკურ | თხოს ორსავე სოფელსა შინა მომშლელიმც ამისიმც | შეიშლება რჯულის ქრისტიანობისაგან ნუმცა იხსნება წყევითა და ნუმცა ლოცვითა ნუმცა გლახაკთა მიცემითა ნუმცა ს | ახტრის აშენებით და მისი სული სამოელს და სატანასთანამც | დემკვიდრება და მას მორეთ მოსვლას თქვენისამც ცოდვისამც მუქფადამ | ც განიკითხოს უკუნისამდი და უკუნითი უკუნისამდი კაცთაგან ამი | სი მოწამე აბაშიძე ზურაბ მხეიძე ვახუშტი მაჭავარიანი ქაიხოს | რო აბაშიძე ბერი აბაშიძე პატა მესხები პაატა ამირან და თამაზა | დეინერა მდივნის ჩვენის დათუნას ხელით ქორონიკონს ქრისტეს აქით | ჩ ღ ნ ვ [1756წ.]

დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით: წარწერა ბეჭედზე – „მონა მღთისა, ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ – მხედრულით; მინაწერი r – „ჩვენ ბატონი უფლისწული მამუკა ვამტკიცებთ სიგელსა ამას“. დამტკიცებულია რვაკუთხა მურის ბეჭდით; 5 სტრიქონიანი წარწერა ბეჭედზე, სავარაუდოდ: „მიხმობენ მეფის ძეობით, უფლისწული ვარ ლიხთ იმერეთისა მამუკა“ – მხედრულით.

## 5. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I დავით მესხისადმი 1757-1758 წელი

დედანი – ქიმ 1471; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალაღდი; ჭვირნიშნიანი; რეს-ტავირირებული; დაზიანებული; ზომა: 42,5x16სმ; დანერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36,5x12; v – 42,5x12; სტრიქონების რაოდენობა r – 26; v – 33; განკვეთილობის ნიშანი წერტილი და ორწერტილი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი – მღვდელი სვიმონ წერეთელი; თარიღი: სოლომონის ბეჭდისა და საბუთში აღწერილი ვითარების მიხედვით სიგელი გაცემული უნდა იყოს 1757-1758 წლებში.

r ქ. ნებითა და შეწვევითა სამებით დაუსა | ბამოსა ღმრთისათა მამისა ძისა და სულისა | წმინდისათა ამათის ნებითა მინდობითა და | მოწმობითა წმინდისა მღთის მშობე | ლისა მარადის ქალწულისა მარიამისა | თა წმინდისა წინასწარმეტყველისა | და წინასწარმორბედისა და ნათლის მცე | მელისა იოვანესითა ძლიერებითა ცხო | ველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯვა | რისათა წმინდათა და ყოველთა ათორმეტთ | ა მოციქულთა წმინდათა უსხ | ეულოთა ზეცისა ძალთა

მთავარანგელ | ოზთა და [ა]ნგელოსთა მიქელ და გაბრი | ელისათა და ყოველთა უსხეულთა | და ხორციელთა ამათის ნებითა მინდო | ბითა მონმობითა და [შ]უამდგომლო | ობითა ესე ამიერითაგან უკუნისამდე | ჟამთა ხანთა და გრძელთა საბო | ლაოთ გასათავებელი წყალობის სა | ფიცარი და სიგელი შეგინწყალეთ და | გიბოძეთ ჩვენ ღთისთ აღმატებულმ | ან და ღთისთ დამყარებულმან ძ | ლიერმან და თვით არავისგან ძლეულმან | იესიან დავითიან სოლომონიან პაკრ | ატოვანმან ძემან მეფე ალექსან | დრესამან მპყრობელმან ლიხთ იმე ... |

v ...ხურეს მოსამსახურეს მესხს დავითს | ასე და ამა პირსა ზედა რომ ჩვენ და თა | თრებს ომი დაგვემართა და ღმერთმან ძლევა მოგვცა და გვიმარჯვა და შენ | თან გვახლდი ახლა მასუკან წყა | ლობა გიყავით შეგინწყალეთ და | გიბოძეთ ლომსიათხევს დათების | მაჭავარიანის საული კუჭუხიძეს შიო | შელას რომ ეჭირა მისაულობა მის | ის სასახლით მითთ და ბარით მინ | ა სასაფლაოთი წყარო წისქვილით და ყო[ვე] | ლი მისი საძებრით და უძებრით და მის | ი გლეხი კვამლი კაცი გვიბოძებია სამ | ი მაღალურაძე ზაზუტელა მისი ძმა | და სახლის კაცი მოსიე სახეჩიძე მისი ძმა | და სახლის კაცი და მესამე თოთლაძე | და მისი სახლის კაცი მათის საძებრით | და უძებრით შენთვის გვიბოძებია ქონ | დეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვე | ნს ერთგულობას და სამსახურში. | ეს წყალობა შენთვის გვიბოძებია არ | მოგეშალოს არც ჩვენგან და [ა]რც ჩვენთ | ა შემდგომთა მეპატრონეთაგან არც შენ | და [ა]რც შენს შვილს და მომავალს ვინც | და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩვენი წყა | ლობა წიგნი და წყალობა მოგიშალოს | მასამც რისხავს ღმერთი და ყოველი | მისნი წმინდანი ხორციელნი და უ | ხორცულნი მასამც დერთვას კეთრი | გეზის შიშთვილი იუდასი დანთქმა და | თან და ბირონისა და ბრძოლა კაენის. ამის | ი მოწამე და გამრიგე მაჭავარიანი ქაიხ | ოსრო და მის ძმა როსაფა სვიმონ წერე |

(ტექსტის გაგრძელება საბუთის v აშიაზე) თელი და ბერ | ი აბაშიძე | მიქელაძე ზუ | რაბ ნიკო | ლოზ წერ[ეთ] | ელი აბაშიძე ზურაბ და მე სვი | მონ მღვდელს | წერეთელს დამ | იწერია და მო | წამეცა ვარ ამ | ისი.

დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი, ოთხკუთხა, მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მლთისა ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ – მხედრულით.

## 6. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ | ქაიხოსრო აგიაშვილისადმი 1759 წელი

დედანი – ქიმ 964; მოყვითალო ფერის ქალაღდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 38,5 x 27 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36x19; v – 15 x 19; სტრიქონების რაოდენობა r – 12, v – 7; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; თარიღი: ქორონიკონს ჩ ღ მ თ [1759 წ.].

r – ქ. ნებითა და შეწვევითა მღმთისათა ჟამთ | ა წელთა ხანთა და გრძელთა ესე | ამიერიდგან უკუნისამდე საბოლოოდ გასათავებელი | წყალობის წიგნი და სიგელი დაგინერეთ | და გიბოძეთ ჩვენ მღთივ ზეცით კურთხევით გვი | რგვინოსანმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრა[ტო] | ვანმან მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამე | მეცხედრემან ჩვენმან დადიანის ასულმან დედოფალმან მარ | რიამ შენ ჩვენს ერდგულს და თავდადებით ნამ[სახუ] | რს აგიაშვილს ქაიხოსროს ასე რომე წყალობა გიყ[ა]ვით და გიბოძეთ ოკრიბას რიჟამაძე ნასყიდა მამუკა და | თამაზა მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს [ერ] |

v – დგულათ სამსახურში თუ შენ ჩვენი ერდგუ | [ლი] სიტყვის და ბრძანების მორჩილი იყო

არასო | დეს ჩვენი წყალობა არ მოგეშალოს არის ა | მისი მოწამე მაჭავარიანი ქაიხოსრო ბეჟან წერე | თელი ყიფიანი გიორგი კლდიაშვილი ხოსია მე მდივანს ... | დამინერია და მოწამეცა ვარ დაინერა ენკენისთვის გასუ | ლს ქორონიკონს ჩ ღ მ თ [1759 წ.].

დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მლთისა ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ – მხედრულით.

მინაწერი v: რიჟამაძის წყალობის წიგნი არის.

## 7. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I გიორგი აბდუშელიშვილისადმი 1762 წელი

დედანი – ქიმ. 438<sup>5</sup>; მოყვითალო ფერის ქალაღი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 38 X 22,7; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36 x 16, v – 5 x 15,5 ; სტრიქონების რაოდენობა r – 30, v – 4; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი; მხედრული; შემდგენელი მგალობელი გიორგი; თარიღი: ქრისტეს აქეთ ჩღებ [1762წ.];

r ქ. ნებითა ღვთისათა მამისა და ძისა და სულისა წმი | დისათა ესე წყალობისა წიგნი მტკიცე უქცეველი უ | ტყუარი არას დროსა და ბატონობაში არ მოსაშლ[ე] | ლი ანდა უკუნისამდე გასათავებელი დაგინერინეთ და | გიბოძეთ ჩვენ წყალობითა ღვთისათა იმერეთის მეფემა | ნ ბატონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმა | ნ დადიანის ასულმან ბატონმან დედოფალმან მარიამ | და პირმშომან ძემან ჩვენმან ალექსანდრე შენ ჩვენს | ერთგულს ყმას აბდუშერისშვილს გიორგის და | შენსა შვილსა ოტიას და ყოველთა ძეთა და მომავა | ლთა თქვენთა ასე და ამა პირსა ზედან რომ ერთგ | ული ყმა იყავი ჩვენი და ბრძანებისა ჩვენისა მორჩი | ლი მოხვედი და შემოგვეხვევენეთ და ვისმინეთ აჯ | ა და მოხსენება შენი და რაც შენ ჩვენი წყა | ლობა სოფელი და გლეხები გყავს და ან ან | გიბოძოთ არც ერთს ჩვენგან და არცა ჩვენთა შემ | დგომთა მეპატრონეთაგან მიდღემჩი არც საუ | რი და არც საუდიერო არ ეთხოვოს ასე ნ | ყალობა გვიქნია უკეთუ შენ ჩვენი ერთგული | იყო და სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ეს | ჩვენი ნაბოძები წყალობა და წიგნი არაოდეს | არ მოგეშალოს მომიცემია და გიბედნიეროს ღმე | რთმან ან და უკუნისამდე ან ვინცა და რომელ | მანცა ძემან კაცისამან ეს ჩვენი წყალობა | და წიგნი შენ და შენს ძესა და მომავალს შეუ | შალოს შეჩვენებულმც იქმნების პირველ დაუსაბა | მოსა ღვთისაგან და მეორედ მოსვლვას ჩვენის | ცოდვის მაგიერად განიკითხვის მართლმსაჯულისა ღ | მთისაგან არის კაცთაგან ამისი გამრიგე და მო | წამე თვითონ დადიანის შვილი მანუჩარ წერეთელი |

v ნიკოლოზ წულუკიძე ბერი მესხი თამაზა | კარის მწირველი ჩვენი წერეთელი მღვდელი სვიმონ | დაინერა ჳელითა მგალობლის გიორგისათა ქრისტეს | აქეთ ჩ ღ ე ბ [1762 წ.] ამინ.

დამტკიცებულია სამი ბეჭდით:

1. სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხესი მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატიონი“ – მხედრულით. ცენტრში – „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

2. დედოფალ მარიამის დიდი ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „ხმალ შენთვის ვიწმოვ, ხატხთ ამით ვიპყროვ“ მხედრულით, ცენტრში: „დედოფალი მარიამ“ – ასომთავრულით.

3. ბატონიშვილ ალექსანდრე მცირე ხომის მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „ბატონისშვილი“ – მხედრულით, ცენტრში – „ალექსანდრე“ – ასომთავრული.

**მინაწერი I:**

1. „მეფის ძე გენათელ მიტროპოლიტი | იოსებ მეცა ვამტკიცებ წიგნსა | ამას ნებითა ღვთისათა“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მეფის ძე იოსებ“ – ასომთავრულით;

2. „ბატონისშვილი გიორგი ვამ | ტკიცებ მეცა წიგნსა ამას | ნებითა ღვთისათა“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე არ იკითხება.

**8. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა აზნაურ ბუჭუ უფლისაშვილის  
და მისი შვილებისადმი  
1762 წელი**

დედანი – ქიმ 822; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 35x20სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 27x18 სმ; v – 31x19 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 14; v – 19; განკვეთილობის ნიშანი წერტილი; მხედრული; მელანი შავი; შემდგენელი – მდივანი დათუნა; თარიღი: ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ღ ე ბ.

r ქ ჩვენ მღვთის მიერ კურთხევით ა | ღმატებულმა ძრიელმა და მღვთი | თ არვისგან ძლეურმა მღვთის | ზეცით გვირგვინოსანმა მეფეთ მეფე | მ პატრონმა სოლომონ და თანა მე | ცხედრემან ჩვენმან დედოფლათ დედოფა | ღმა დადიანის ასულმა ბატონმა | მარიამ და ძემან ჩვენმა ბატონიშვი | ღმა ალექსანდრემ ესე ჟამთა უ | კუნისამდი საბოლოოდ გასათავებელი | წყალობის საფიცარი წიგნი დაგინერე | თ და გიბოძეთ აზ[ნა]ურს უფლისაშვილს ბუ | ჭუას და შვილსა და მომავალსა სახლისა | შენისასა ასე და ამა პირსა ზედან |

v რომე დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხ | სენება შენი და ასი მარჩილი ქთამი მოგვა | რთვი და გიბოძეთ ხრეთს ერთი გლეხი ბა | ხტურიძე მისი ცოლშვილით სახკარით მამ | ულ ადგილით ჭურმარნით საფლავ სამარხ | ით ტყითა და ველით საძებრითა და უძებრ | ით გვიბოძებია რისიც მქონებელი იყო | მისი სამართლიანის საქმით ღმერთმან მკვი | დრად და ყოველის კაცის უცილოდ გიბ | ედნიეროს ამისად გასათავებლად მოგვიცემი | ა თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინ | დანი ზეციერი და ქვეყნიერი ხორციელი და | უხორცონი კაცთაგან ამისი მოწამე სახთ | უხუცესი ჩვენი მესხი პატა და თამაზა მე | სხი ჯაფარიძე გიორგი კლდიაშვილი ხოსია ნინია გამყრელი | ძე დეიწერა მდივნის დათუნას ხელით ნ | ათლის ღებას ქორონიკონს ქრისტეს აქეთ | ჩ ღ ე ბ. [1762წ.]

დამტკიცებულია სოლომონ I რვაკუთხა, ზედა ნაწილში ამოზნექილი, მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით. ცენტრში ჩანერილია – „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

**9. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I გიორგი აბდუშელიშვილისადმი  
1763 წელი**

დედანი – ქიმ. 438<sup>4</sup>; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 27 X 19,3; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 26,5 x 15, v – 16,5 x 15,5; სტრიქონების რაოდენობა r – 14, v – 10; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; თარიღი: ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდა სამი წელი.

r ქ ესე უტყუარი მტკიცე შეუცვალებელი საბო | ლაოდ გასათავებელი წყალობის წიგნი დაგინე | რეთ და გიბოძეთ ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმა და | ღვთივ ამაღლებულმა ბატონმა მეფეთ მეფემან

სო | ლომონ და მემცხედრემან ჩემან ბატონმან დედოფალ[მა] დ[ადიანი] | ს ასულმან მარიამ და ძემან ჩვენმან ალექსანდრემ შე[ნ] | ჩვენს ერდგულს ყმას აბუდეშელისშვილს გ[იო] | რგისა და შვილთა შენთა და მომავალთა ასე რომე შეგ | ვეხვეწეთ და ვისმინეთ აჯა და შეხვეწება შენი და გიბოძეთ | კაციელა დარბაიძე მახარობელა ვაჭარაძე მხიარულა არსე | ნიძე მისის ცოლშვილიანათ სახლკარიანათ სასაფლაოთ[ი] | ტყით წყალით ვენახით საყანით საბალახით საბოსტნით | მისის ყველისფრიანათ უძებარით საძებარით ქონდეს და გი | ბედნიეროს ღმერთმან თუ შენ ჩვენი წმინდის გუ |

v ლით ერთგული იყო არასოდეს ეს ჩვენი ნა | ბოძები წყალობა არ მოგეშალოს ქრთამიც მართებული | მოგვართვი როგორითაც გული შეგვიჯერდებოდა ან რამანც | ძემან კაცისამან ეს ჩვენი ნაბოძები წყალობა შეგიშა | ლოს ისიმც შეიშლება რჯულისაგან მას გარისხავს ღმერთ[ი] ყოვე | ლი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი არის ამისი | მოწამე სახუცესი პატა მესხი წერეთელი ნიკოლოზ ნულიკიძე[ე] | პატა კარიაშვილი ხოსია მესხი დავით მე მდივანს დამინერია და | მოწამეც ვარ ამისი დაინერა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შ | ვიდას სამოცდა სამს.

დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ზემოთ ამოზნექილი მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „დავითის ნორჩი ჯვართით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით. ცენტრში – „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

## 10. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ | მღვდელ დავით წერეთლისადმი 1764 წელი

დედანი – ქიმ 128; მოყვითალო ფერის ქალაღი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 66 x 31; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 59x24 v – 33 x 24; სტრიქონების რაოდენობა r – 31, v – 19; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; შემდგენელი მეფის კარის მწირველი და მოძღვარი წერეთელი სვიმონი; თარიღი: ქორონიკონი ქრისტეს აქეთ ჩ ღ ე დ [1764წ.].

r. ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა თანა დაუსაბამოსა | ხილვისა მიუწდომელისა გარე შემოუწერელსა მღვთებით და და | უფარავსა მღვთებით რომელი ცნობს გულსა ყოველთა კა | ცთასა ხოლო წმინდისა ღვთის მშობელისაგან შობილსა ერთ გ | ვამებითა და ორითა ბუნებითა ცნობილსა ღვთებრ შობილსა | მამისაგან უჟამოდ და უკანასკნელსა ჟამსა შინა ქალწულისა მარი | ამისაგან განხორციელებულსა რომელი იშვა ხორციითა ივნო უკვე ვინა | დგან იყო იგი ორითა ბუნებითა დავანებულითა მით ბუნებითა ჯვარ | ს ეცვა და რა მღვთებით ამისის თავდებობითა მინდობითა და შ | უა მდგომლობითა ესე ამიერიდგან და უკუნისამდე ჟამთა ხანთა და გრ | ძელთა უმიზეზო უხერხო უტყუარი საბოლოო გასათავებელი ქრის | ტეს წინ მისატანი არას კაცისაგან არ მოსაშალი საუკუნოდ | შესარჩენი წყალობის წიგნი და საფიცარი დაგინერეთ და გიბოძეთ | ჩვენ რტოთაგან შთამომავალმან და მღვთივ ცხებით გვირგვინოსა | ნმან ლიხთ იმერთ მპყრობმან პატრონმან მეფეთ მეფემან სოლო | მონ და თანა მეცხედრემან ჩემმან დადიანის ასულმან დედო | ფალთ დედოფალმან მარიამ და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ალექსა | ნდრემ შენ ჩვენს ყმას და კარის მწირველს მღვდელს წერეთელს გო | დერძისშვილს დავითს და შვილს შენსას ნიკოლოზს და სხვათა შვილთა | და მომავალთა სახლისა შენისათა ასე და ამა პირსა ზედან რომე შემო | გვეხვეწეთ და ვისმინე აჯა და მოხსენება შენი ამოგინერეთ შენის კაცის | საური საუდიერო და ყოველი სათხოვარი თუ შენ ჩვენი ერდგული იქ | ნე არც ჩვენგან არც შვილთა და მომავალთა ჩვენთაგან და არც ჩვენის გვარი | ს კაცისაგან და არას მეპატრონისაგან არც შენ არც



შვილთა და მომა | ვალთა შენთა არაფერი არა გეთხოვოს რა არც საური არც საუდიერო არაფერი შენ | ის კაცის კარზედ არა მიდგეს რა ასე დაგვიმტკიცებია ვინც და რამან | ძემან კაცისამან მეფემან გინა დედოფალმან უფლის წულმან ანუ მთვა | ვრმან გინა თავადმან ანუ რომელმანმე მეპატრონემან დიდმან გინა მცი | რემან წიგნისა ამის შლად ხელ ყოს ისიმც შეიშლება რჯულის ქრის | ტიანობისაგან მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მი | სნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი ხორციელნი და უხორციონი |

v. დაუბნელდნენ თვალნი მათნი რათა არა ხედვიდნენ მითინე მას ზედა | რისხვა შენი და გულის წყრომა რისხვისა შენისა ენიენ მათ იყავნ სამკვიდრებელი მათი ოხერ და საყოფელთა მათთა ნუ იყოფებინ მკვიდრი | იყვნენ შვილნი მისნი ობოლ და ცოლნი მათნი ქვრივ ნუ ეპოვებინ მას | შემწე ნუმცა იყოფებინ შემწყნარებელ ობოლთა მისთა იყვნედ ნა | შობნი მისნი მოსასვრელად ნათესავთა შინა ერთსა აღიხოცნედ სახ | ელი მისნი აიხსენედ ურჯულოება მამათა მისთანებისა და ცო | დვა დედისა მისისა ნუ აიხოცებინ კრულ და წყეულმც იქნების | წმინდის სამებისაგან შვიდის კრებისაგან ოთხის პატრიარქისაგან | და თორმეტ მოციქულთაგან მასამც ედების კეთრი გეზისი შიშვთილი იუდასი | დანთქმა და თან დაბირონის მეხის ტეხა დიოსკორესი მათ მეორეთ მოსვლას ჩვენის ცოდვის | ნუქბათამც ის გეიკითხვის კეთილი მისი ცუდ და მოდმ იქნების | მამტკიცებელი ამისი მტკიცედ ეგის უკუნისამდე და მშლელი ა | მისი წყეულ არის ამისი თავდები თვით დაუსაბამო ღმერთ და ყოველ | ნი მისნი წმინდანი კაცთაგან გამრიგე და მოწამე წერეთელი ნიკოლოზ წულუკიძე ბერი | მოურავი აბდუშელიშვილი გიორგი მესხი თამაზა იოსელიანი ქაიხოსრო ალ | ფეზის შვილი სვიმონ ხელოსანი ცუცქერიძე გიგია მე მეფის კარის მნი | რველსა და მოძღვარს მღვდელს წერეთელს სვიმონს დამინერია | და მოწმეც ვარ ამისი დეინერა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ღ დ [1764წ.].

დამტკიცებულია 3 ბეჭდით:

1. სოლომონ მეფის დიდი ზომის, ზემოთ ამოზნექილი, მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით. ცენტრში – „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

2. სოლომონ მეფის მცირე ზომის მურის ბეჭედი – „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით;

3. მაქსიმე კათალიკოსის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „აფხაზ იმერთა კათალიკოსი“ – მხედრულით. ცენტრში ჩანერილია: „მაქსიმე“ – ასომთავრულით;

ხელრთვა ხვეულად: v – „მეფის ძე ალექსანდრე ვამტკიცებ“;

მინაწერი: v: „ქ. ჩუწნ აფხაზ იმერთა კათალიკოსი მაქსიმე ვამტკიცებთ ესრეთ, ვითარმედ: მომშლელი წყეულ, კრულ და შეჩვენებულმცა არს სულით და ჯორციით საუკუნოდ, ამინ!“

## 11. გაცვლილობის წიგნი მეფე სოლომონ | გიორგი აბდუშელიშვილისადმი

[1766-1781 წწ.]

დედანი – ქიმ 438<sup>2</sup>; მოყვითალო ფერის ქალაღი; რესტავრირებული; ჭვირნიშნიანი; ზომა: 28,6 x 8; ტექსტის ზომა: 28 x 6; სტრიქონების რაოდენობა r – 21, v – 4; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; თარიღი ბეჭდის მიხედვით – 1766-1781 წწ.

r ქ. ესე წიგნი გიბოძე | თ ჩვენ ბატონმა მე | ფეთ მეფემან სოლო | მონ შენ ჩვენს ერ | დგულს ყმას აბდუ | შელიშვილს გიორგის | ასე, რომე | ასანიძე მამ | უკა მყავდა მოჯა | ლაბეთ ვარციხეს და | შენ ნიჟარაძისაული | ნაყიდი კაცი გყავდა. | ის ასანიძე მამუკელა | მე გიბოძე და ის ნიჟ |

არაძისაული ნაყიდი კაც | ი მე მომართვი. გყავდე | ს და გიბედნიეროს ღ | მერთმან ჩვენს ერდგუ | ლობაშიდ. ვინც ამისი | მოდევე კაცი მოგადგეს | პასუხის გამცემი მე | ვიყო. არის ამისი |  
 v მოწმე: წერეთელი ქ[ა]იხოს | რო, წერეთელი ნიკოლოზ, | აბაშიძე ქ[ა]იხოსრო, მხეიძე | გიორგი, მესხი ამირან.

დამტკიცებულია:

სოლომონ მეფის რვაკუთხა, მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით. ცენტრში: „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

## 12. წყალობის წიგნი სოლომონ | გიორგი აბდუშელიშვილისადმი 1766 წელი

დედანი – ქიმ 438<sup>3</sup>; მოყვითალო ფერის ქალაღდი; ზოგან დაფარულია ღია ყავისფერი ლაქებით; ჭვირნიშნიანი; რესტავირებული; ზომა: 44X15,5; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36 x 11,5, v – 21 x 11,5; სტრიქონების რაოდენობა r – 22, v – 13; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი; მხედრული; შემდგენელი მღვდელი დავით წერეთელი; თარიღი: ქრონიკონი ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდა ექვსი.

r. ქ. ნებითა და შეწვენითა მღვთისათა ესე | ამიერთგა[ნ] და უკუნისამდე საბოლო[ო]თ გა | სათ[ა] ვებელი წყალობისა და ცოდვისა და | მადლის წიგნი დაგინერეთ და გიბოძეთ | ჩვენ მღვთივ ცხებით გვირგვინოსა | ნმან მეფეთ მეფემან სოლომონ | და სასურველმან ძემან ჩვენმან ბა | ტონის შვილმან ალექსანდრემ შენ ჩვენ | ს ერდგულს ყმას აბდუშელიშვილ | ს გიორგის და შვილთა და მომ[ა]ვალ | თა შენთა ასე რომე რაც ჩვენგან | შენ წყალობა გქონოდესთ და ან | გეჭიროს კიდე სხვა წყალობასა და სიკეთეს არც თქვენ და | არც თუ თქვენ აღარ იყოთ თქვე | ნს შვილსა და მომავალს ეს ჩემი | წყალობა არ მოეშალოს ასე მ | ტკიცე ქრისტესთან მისატანი წყ | ალობის წიგნი მოგვიცემია თუ თქ | ვენ ჩვენზედ არა იმტყუნოთ | რა ვინც ეს ჩემი მოცემული | წყალობისა და ცოდვისა და მად |

v. ლის წიგნი ან შენ და ან | შენს შვილსა და მომავალს | შეუშალოს ისიმც შეიშლება | რჯულის ქრისტიანობისაგა[ნ] მათ | მეორეთ მოსვლას ჩემისამც ცო | დვის ნუქბათ ისიმც გეიკითხვის | არის ამისი მოწამე წერეთელი | ქა[ი]ხოსრო და ნიკოლოზ აბაშიძე | ქაიხოსრო გამყრელიძე ლევან | მე მღვდელს წერეთელს დავითს და | მიწერია და მოწამეც ვარ | დეინწერა ქრონიკონს ქრისტეს აქეთ | ათას შვიდას სამოცდა ექვსს.

დამტკიცებულია ორი ბეჭდით:

1. სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფედ ვარ ბაგრატიანი“ – მხედრულით. ცენტრში – „სოლომონ“ – ასომთავრულით;

2. ბატონისშვილ ალექსანდრეს მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „ბატონისშვილი“ – მხედრულით; ცენტრში – „ალექსანდრე“ – ასომთავრულით.

## 13. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ | ქაიხოსრო აგიაშვილისადმი 1770 წელი

დედანი – ქიმ 970; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალაღდი; ჭვირნიშნიანი; დაზიანებული; კიდეებშემოცვეთილი; დალაქავებული; ზომა: 43x26სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 36x18,5; v – 25x23,5; სტრიქონების რაოდენობა r – 17; v – 12; განკვეთილობის ნიშანი წერტილი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანბეგი დავითი; თარიღი: ქორონიკონს ჩ ღ ო.

r ქ. ნებითა და შეწვევითა ღვთისათა ესე | უკუნისამდე საბოლოოდ გასათავებელი | წყალობის წიგნი და სიგელი და[გინერე] | თ და გიბოძეთ ჩვენ ღვთივ ზეცით კურთხე | ვით გვირგვინისანმან იესიან დავითიან სოლ[ომო] | ნიან პანკრატოვანმა პატრონმა მეფეთ[მეფემ] | ან სოლომონ და თანამემცხედრემან ჩვე | ნმა დედოფალთ დედოფალმა წულუკიძის ას[ულ] | მა გულქან ძემან ჩვენმა ბატონიშვილმა [ბატო] | ნმა ალექსანდრემ შენ ჩვენს ერდგულს და ნა | მსახურს აგიაშვილს ქეშკითუხუცეს ქაიხოსროს და შ[ენ] | შვილებს ივანეს ანტონის დავითს სვიმონს [გიორ] | გის ასე რომე გიბოძეთ ქუცურისას მამის შენის ნ | ყალობა ჯვარისას მამულ ალაგი, ყოლოდა ლაფერაძე, ისევ შენ გიბოძეთ თავისი | ს მამულ ალაგით საძებრით და უძებრით ... | ვ შენი გლეხები და ჯავახიშვილის სეული მერა | ბიკა ყიფიანს ყავდა გაუშინჯავათ ... |

v დ ჩვენ მიგვეცა. შენ და მერაბიკამ იჩივლეთ შეუხვედით [სა] | მართალში და შენ გიბოძეთ გურნას გამთენაძე თამაზიკა და დათუნიკა | გოგიტელა გაბადაძე ჯავახიშვილისსეული ესენი თავისის საძებრით | და უძებრით გვიბოძებია გყავდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს | ერდგულობაში ყოველის კაცის უცილებლად ან ვინცა და რა | მანცა კაცმა ეს ჩვენი წყალობა მოგიშალოს მასამცა რისხავს [მა] | მა ღმერთი, ძე ღმერთი, სული წმინდა ღმერთი. ყოველნი მისი წმინდა | ნი ზეცისანი და ქვეყანისანი ხორციელნი და უხორ | ცონი კაცთაგან მონამე წულუკიძე ბერი წერეთელი[პა] | პუნა წულუკიძე გიორგი წერეთელი ზურაბ ლორთქი | ფანიძე ტეტუა მე მდივანბეგს დავითს დამინერია მონ | [ამეცა ვარ] | დაინერა ქორონიკონს ჩ ღ ო [1770წ.] ივლისის ი ვ [16.]

დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა, დიდი ზომის, მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატიონი“ – მხედრულით. ცენტრში ჩანერილია – „სოლომონ“ – ასომთავრულით;

მინაწერი v – „დიდი მეფე სოლომონის წყალობის წიგნი არის ჯვარისასა და გლეხებისა“ – მინერილი აქვს ი – ინიციალი.

#### 14. წყალობის წიგნი სოლომონ I პაატა, ბერი და გიორგი წულუკიძეებისადმი 1772 წელი

დედანი – ქიმ 706; შედგება 2 ერთმანეთზე გადაწებებული ფურცლისგან; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნისანი; რესტავრირებული; ზომა: 113 x 36 სმ; დანერილია r-v; ტექსტის ზომა – r – 92 x 24; v – 37 x 24; სტრიქონების რაოდენობა r – 55; v – 23; მხედრული; შავი მელანი; საბუთი იწყება ფერად წრეში ჩასმული ასომთავრული წარწერით – „მეფე სოლომონ“; ტექსტის დასაწყისი ორი სტრიქონი დანერილია ასომთავრულით, შესრულებულია სინგურით და მწვანე მელნით, გაფორმებულია მცენარეული ორნამენტებით; დასაწყისები სინგურით შესრულებული ასომთავრულით; განკვეთილობის ნიშნად: წერტილი, ორწერტილი და მძიმე. შემდგენელი – მდივან – მნიგნობარი დავით კვინიხიძე; თარიღი: აღინერა ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა თვესა აგვისტოსსა რიცხვსა გ [3], ქრისტეს აქეთ ჩლობ [1772წ.] ქორონიკონს უდ [460].

r – ქ იდიდებოდედ რომელი ჭეშმარიტად არს, არს და მხ | ოლოდ უმიზეზო მიზეზი, რომელი ყოველი | ბით ზესთარსთა ყოველთა, ზესთარს არს, ღმერთი იგი მამად რომლისაგან ყოველი იქველისმეტყ | ველებოდედ პირველი სიტყვად სიბრძნე იგი ღმერთი, რომლისა მიერ ყოველი იგალობებოდედ | საღვთოდ სული ღმერთთ მთავარი, რომლის შორის ყოველი მხოლოობად სამობისა შორის და | სამობად მხოლოობისა შორის რომლისა მიერ აღიქმნეს ორნი საკვირველნი ბუნებანი | გრძნობადთა და საცნაურთა შორის, ანგელოზთა და კაცთა და ყოველნი ციითნი და ზღვიერ ქვეყნიურნი |.

ვინაი ან ჩვენ მინდობითა წმიდისა და თაყვანის საცემელისა სამებისათა და მჭურვალედ შევრდომითა | ევმანუილ განმამაკაცებულისა ძისა ღვთისა მხოლოდ შობილისათა ძლევა შემოსითა, ორ | კერძოვე უსახურთა და მავლებელისა, ქრისტეს უკვდავის სისხლით პკურებულისა ჯუარისათა | მარჯულ თანა დგომითა და ხვაიშნითა, მარიამ ძისა ღვთისა მშობელისა სერაფიმთა უწმინდესისათა. |

და ყოველთა წმიდათა ოხა ცვა ფარვისა მოღებითა. ვიგულსმოდგინეთ და წყალობა მზეებრ | უხვად მიფენითა ვინადნიერეთ ვითარ იგი ზენაით განგებისაგანცა განსწავლულ ვიყვნით | რომელმან ბრძანება განკარგვით დადვა შორის მეფეთა შეწყალება ერთგულ გულითა | დთა და მებრ ნილო მდინარისა გარდაფენა წყალობისა და განდიდებისა, ხოლო ურჩთა და ო | რგულთა ტანჯვა მიგება მებრ სამართლისა კანონისა. ჩვენ წინმმეთქვეთა გვარი | თთა შორის სქეს წარმოდღებით ღვთივ წარმობრწყინებულმან დიდ ისრაილ მამისა მი | ერ იუდას მეფობის გამო დავითიანმან მეფემან და ნოე მეორისა ახლისა წყლით რღვნისაგან საქართ | ველოდსა მქსნელისა და თვით მპყრობელისა დავით აღმაშენებელისა ძის ძემან და ბუნებით ძემან | ალექსანდრე დიდისა მეფისამან აფხაზ იმერთა ყოვლობისა მფლობელ-მპყრობელმან მეფემან მე | ფეთამან სოლომონ და თანჯორცმემცხედრემან ჩვენმან მაღალ გვართთა ტომთა რტო კო | წოლმან დადიანის ასულმან დედუფალთა დედუფალმან მარიამ პირმშო სატრფო | სასურველმან ძემან ჩვენმან მხოლოდშობილმან დავითის მეფობის ბრწყინვალეთა სადაფთაგან | წარმოელვებულმან უფლისწულმან ალექსანდრე თქვენ დაწყებითგან გვარ ოჯახ შთა | მომავლობით გულითადად მჭურვალედ ერთგულთა ჩვენთა და საიდუმლოთა განზრახვათა შინა | მისანდოთა და სარწმუნოთა ჩვენთა და სამეფოსა პალატსა შინა თანა ზრდილთა ჩვენთანა და მრავალ ფერ | თა ოსმანთა მიერ შეჭირვებათა და ბრძოლასა შინა სამარადისოდ განუშორებელად ჩვენთანა | მყოფთა და განვრცელებით ღვანლისა და ქირისა ჩვენთანა ახოვნებით თავსმდებელთა ყმათა ჩვე | ნთა ბრწყინვალეთა თავადთა წულუკიძეს პაატას და ძმათა შენთა ბერსა და გიორგის ძეთა | თქვენთა და ყოველთავე ტომობით შთამომავალთა ძის ძეთა სახლისა თქვენისათა ესე ნამდვილი ესე ჟამი | ერთა შორის დაუსრულებელად საუკუნოი მტკიცე და ყოვლითურთ შეუცვალელებელი მაცილებელ | თა და მოდავეთა მიერ ყოვლითურთ ზესთა ქმნილი მეფობრივითა განგებითა და შეურყეველითა პირითა გა | მოხატული ჟამთა და ხრონო წელიწადთა მიერ აღუშლელი ესე საუკუნოი წყალობისა და სამარადის | ოდ განდიდებისა წიგნი ბრძანება და ფარმანი შეგინყალეთ და გიბოძეთ გარნა ამა პირსა ზედა | არა მცირედი ძიება ვყავთ და ვინათგან მამა-პაპანი და შთამომავლობად სახლისა თქვენისა ყოვლად დი | დებულთა ტომთა ჩვენთა მეფეთა მიერ . მრავლითა ნიჭითა შეწყალებულ იყუნეს ერთგულად მსახ | ურებისა მათისათვის, ხოლო შემდგომად ერთმან ვინმე ძმათა თქვენთაგანმცა ჟამთა მეფობისა ჩვენისათა | ოდეს თათარ ოსმანნი მძლავრობდეს ქუეყანასა ამას აფხაზ იმერთასა მანცა ბაძა მძლავრებასა მათსა და | ყოვლებით სანულუკიძო სოფელ ციხე სიმაგრენი თვით მიიმძლავრა და უმრწემესა ძმასა თვისა რათ | ურთით არარაი ნაწილი უდვა და კვალიად ესეცა შესძინა უსამართლოებასა ზედა: რამეთუ განუდგა მეფობასა | ჩვენსა და შეემოყვრა წინააღმდგომსა და ორგულსა მეფობისა ჩვენისასა, როსტომს რაჭის ერისთავსა | და შემდგომად მცირეთა ხანთა აღიძრა მათ შორისცა შური ბოროტ-გესლიანი, ვინათგან ეშმაკი ეშმაკსა | განჯდის განაძებს. ესრეთ ქმნა ერისთავმან როსტომ და ძემან მისმან გიორგი რამეთუ აღფხვრეს და გან | აძეს მოყვარე თვისი სახლ ოჯახ სამკვიდრებელისაგან და განდევნეს ვითარცა ძვირისმოქმედი და თვით ერ | ისთავმან როსტომ დაიპყრა ყოველი სანულუკიძო, მამულ სოფელ ციხე-სიმაგრენი სათავისთაოდ რამეთუ სა | ხელიცა სანულუკიძო სრულიად აღწოცა და ნაცვლად მისადასდვა სახელად სარაჭისერისთავო. მაშინ მეფ |

ობამან ჩვენთან ხადა ზენასა წყალობასა სამართალსა და შეწვენასა ღვთისასა მყის აღვიმჯებდრეთ ქრისტეს | მოყვარეთა და ქრისტეს მოსახელეთა მკედრობათა თანა და დავითიანითა დროშა-ალმითა და ზედა მიქედით ორგულ | თა ჩვენთა და შეწვენითა წმიდისა სამებისათა ვითარცა ავლნი და ქარქვეტნი განვაბნივენით მტერნი ქრისტეანეთანი და მო | ყუარენი და მინდობილნი ბილნთა მაჰმადიანთანი და დავიპყრენით ყოველნი ადგილნი მათნი მთა ბარ ციხე სიმაგრე | ნი საწულუკიძოთურთ მას ჟამსა სამნივე ძმანი დიდითა ვედრებითა გვეაჯენით მკვიდრსა მამულსა თქვე | ნსა და ვინათგან მრავლით ჟამითგან გულითადად ერთგულობასა შინა და ბრძოლასა შინა მრავალსა თავნი და | სულნი თქვენნი მეფობისა ჩვენისათვის დაგედვენეს მსწრაფლ ვისმინეთ ჰაჯა და მოხსენებად თქვენი და ნაცვლად | მსახურებისა თქვენისა მრავლითა შეწყალებითა გიბოძეთ სადიდებულთავადო სრულად ყოველივე საწულუკიძო მამა | პაპათა თქვენთა მამული მკვრგვლივ ერთობით თავისის სამართლიანის სამძღვრითა ყოველთა მეზობელთა

v – და მახლობელთაგან განკიდებული მთა-ბარ, ციხე-სიმაგრენი, ბალ-ნალკოტი, ველ-მანარ – ტყენი | გაღმართ-გამოღმართ, უშენ – შენი, წყალ – სანადირო-სათევზენი, საყდარ-ეკლესია და საფლველნი | და ყოვლითურთ სრულად სავსებით რაიცრა იგი მამაპაპათა თქვენთა დღესამომდე ქონებია საწუ | ლუკიძო მამული, ყოველივე თქვენთვის უნაკლულოდ გვიბოძებია. უკეთუ თქვენ და ძენი თქვენნი, ვით | არცა ან ეგრეთ ეგნეთ ერთგულებასა შინა მეფობისა ჩვენისასა და შვილთა ჩვენთასა და სხვათა მეპა | ტრონეთასა ჩვენი ერთგულება და მსახურება უმჯობეს გიჩნდესთ ჩვენ მიერი ესე წყალობისა და გან | დიდებისა წიგნი ბრძანება და ფარმანი აროდეს მოგეშალოსთ არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მე | ფეთა და უფლისწულთაგან. გქონდესთ საუკუნოდ სამარადისოდ წყალობასა შინა ღვთისა ყოვლისა მპყრობელი | სასა და ერთგულებასა შინა მეფობისა ჩვენისასა. აწითგან წამართ რომელმანცა კაცმან ანუ შემდგ | ომად ჩვენსა თანამოსაყდრემან ჩვენმან მეფემან ანუ უფლისწულმან ანუ ტომმან ჩვენმ ვინმე ანუ | დიდებულთა მთავართაგანმან ვინმე, ანუ უმრწემესმან ვინმე, ჳელყოს შლად და ქცევად ამა ბრძანებით | დამტკიცებულისა წიგნისა მასმცა კაცსა ზეგარდმო რისხვითა და ტანჯვითა დასდვას ღმერთმან ჳორცთა | ზედა სამარადისოდ ძრწოლა მწარე კაინისი და თავით ვიდრე ფერჯისა ტერფადმდე გამომცაებუტკვის კეთრი | გეეზ ანგაარისა დამცა ედვას ყოველსა ზედა ასოსა მატლი მტანჯველი ეროდე მეუღლისა და შვილთა | მკვლელისა და იქოლვის მიძიმითაქ ლოდითა ვითარცა აქარ მპარავი. შეუტდეს წყლულება და სიმყ | რალე ნაწლევთა შინა ვითარცა ევდუქსიას დედუფალსა მკვლელსა იოანე ოქროპირისასა პირდალრე | ჯილ იქმნეს მონყინებითა დადუხჭირებული ვითარცა აქაბ მეფე ისრაილისა, და შთაირეხვოს პარეხსა | შინა იეზაბელისებრ ცოლისა მისისა. ყია ჳორჯსა ზედა გარდამცაგრეხიეს საშთობი საბელი | იუდა მზაკვარისა და მომკოს თხემი მისი მკვეცარმან დალილასამან. ხოლო დამამტკიცებელ დამბეჭ | დველნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან მამამან ცვარისაგან ცისა და პოხიერებისაგან ქვეყანისა და საუკუნოდ | აგოს ჳსენება და კურთხევად მათი. აღიწერა ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა თვესა აგვისტოსსა რიცხვსა გ [3] | ქრისტეს აქეთ ჩლობ [1772წ.] ქორონიკონს უდ [460], ჳელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობართა უპირატესისა დავით კვინიხი | ძესთა.

დამტკიცებულია მეფე სოლომონის ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატოანი“ – მხედრულით. ცენტრში ჩანერილია: „სოლომონ“ – ასომთავრულით;

ტექსტს r ერთვის მხატვრულად, მცენარეული ორნამენტებით გაფორმებული ხელრთვა მეფე სოლომონისა: „მეფე სოლომონ დავითიანი“ – მხედრული ხვეული კალიგრაფიით. ხელრთვაში სიტყვებს შორის ჩახატულია წყვილი თვალი.

საბუთს *r* ერთვის ხელრთვა ბატონიშვილ ალექსანდრესი: „მეფის ძე ალექსანდრე“ – მხედრული ხვეული კალიგრაფიით და ალექსანდრეს მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი. ნარწერა ბეჭედზე გარშემო: „ბატონიშვილი“ – მხედრულით, ცენტრში ჩანერილია „ალექსანდრე“ – ასომთავრულით.

მინაწერი სოლომონ II-ისა *r*: „ივერთა მეორისა აღმაშენებელისა, აგარიანთა სისხლთა მრღველისა, ტომებით დავითიანისა, უმაღლესისა მეფისა და მამებრ საწყურისა ჩემისა ბიძისა და ბატონისა სოლომონ ივერთა მპყრობელისა აღწერილსა სიგელსა ამას, ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი, ოჯახის ჩვენისათვის მრავალგზის ვიდრე სისხლთამდე ღვანლ დადებულს და ყოველთა გონებითა ერთგულთა ოჯახისა ჩემისათა მეცა უმტკიცებ. თუმცა ვინმე შლად და დარღვევად იკადროს აღწერილთა სიგელთა ამას შინა, წყევათა და შეჩვენებათა ყოველთა სამღვდელოთა ჩემთა თანხმობითა იყოს შეკრულ სულით და ხორციით უკუნისამდე. ქრისტეს აქეთ ჩ ღ ჟ ბ აპრილსა კ ე [1792 წ. 25 აპრილი]. დამტკიცებულია სოლომონ II-ის რვაკუთხა მურის ბეჭდით. ნარწერა ბეჭედზე - „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით.

### 15. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I მღვდელ დავით იაშვილისა და მისი შვილებისადმი 1772 წელი

დედანი – ქიმ. 815; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნისანი; რესტავრირებული; ზომა: 35x30,5 სმ; დაწერილია *r-v*; ტექსტის ზომა *r* – 29x22,5; *v* – 22,5x26,5; სტრიქონის რაოდენობა: *r* – 19; *v* – 15; განკვეთილობის ნიშანი წერტილი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი სვიმონ ავალიანი; თარიღი: ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდათორმეტი წელი.

*r* ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა ღვთისა მამისა ძისა და | და სულისა წმიდისათა წმიდისა ღვთის მშობელისა და მარად | ის ქალწულის მარიამისათა ძლიერებითა პატ[რი]ონისა და ცხოველს | მყოფელისა ჯვარისათა და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქვეყა | ნისათა ხორციელისა და უხორცოსათა რომელიცა წმიდისა სვინა | ქსარისა შინა სწერია და წლითი წლად მოიხსენებინათ მათის | მინდობითა თავდებობითა და შვამდგომელობითა ესე საბოლოოდ გა | სათავებელი ჟამთა და დროთა შეუცვალელებელი მტკიცე წყალ | ობის წიგნი დაგინერეთ და გიბოძეთ ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მე | ფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამემცხედრემან ჩემმან და | დიანის ასულმან დედოფალთ დედოფალმან მარიამ და სასურველმა | ნ პირშომან ძემან ჩვენმან ბატონისშვილმან ალექსანდრემ შენ მღ | ვდელს იაშვილს დავითს და შვილს შენსას მღვდელს გიორგის მათეს და | გრიგოლს და ბასილს სვიმონს და ბეჟანს და სხვათა შვილთა და მომავა | ლთა სახლისა შენისათა ასე და ამა პირსა ზედა რომ შამოგვეხვერნეთ და | ვისმინეთ შეხვეწა თქვენი და აღმოგინერეთ საური საუკუნოდ არც ჩვენგან და | არც შემდგომად ჩვენისა სხვათა მეპატრონეთაგან თქვენს კაცს საუ | რი არ ეთხო[ო]ს და თქვენ დაიდევით თქვენს სახლში რამდენიც რომ მწირ | ველნი იქნებით ჩვენის სულის საოხად წელიწადში თორმეტის საუფლოს |

*v* ... საუკუნოდ ან და უკუნისამდე ეს წყალობის წიგნი ჩვენ გვიბოძებია და | გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერდგულობაში თუ თქვენ ჩვენი ერდგული იქნეთ და | ბრძანების მორჩილი არას დროს ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა თქვენ არ მოგემა | ლოს ან რამაც კაცმან ეს ჩვენი ბოძებული წყალობის დაშლად ხელყოს მეფემა | ნ ანუ კათოლიკოზმან ბატონის შვილმან ანუ უფლისწულმან დიდმან ანუ მცირემან | ისემც შეიშლების შჯულის ქრისტიანობისაგან მასამც რისხავს თავად დაუსაბამო | ღმერთი და ყოველნი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელნი და უხო | რციონი მასამც ედების კეთრი გეზისა შიშთვილი იუდასი დანთქმა და თან და აბირო | ნისი

წყეულ და შეჩვენებულმც იქნება შვიდთა კრებათაგან ათორმეტთა მოციქუ | ლთაგან ოთხთა პატრიარხთაგან ბატონისშვილის კათალიკოზის იოსებისაგან ქუთათელ მიტროპოლიტის მაქს | იმესაგან მთავარებისკოპოსის ანტონისაგან და ყოველის სამღვდელო დასთაგან | კაცთაგან არის ამისი მოწამე წულუკიძე პატა ბერი და გიორგი გამრიგე მისი სა | ხლთ უხუცესი აბაშიძე დავით მესხი თამაზა მდივანი დავით და სულ ერთობით | იმერელნი დარბაზის ერნი მე ავალიანს სვიმონს დამინერია და მოწამეცა ვარ ქრისტეს | აქეთ ათას შვიდას სამოცდათორმეტს თვეს იანვარს ი ე.

დამტკიცებულია სოლომონ მეფის რვაკუთხა, მცირე ზომის მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე – „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით;

მინაწერი r – „ქ. მე, ყოვლად სამღვდელო დადიანის კაცისა ძე ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღვთისათა“; მინაწერი დამტკიცებულია მიტროპოლიტის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე“ – წარწერა შესრულებულია მხედრული ხვეული კალიგრაფიით.

## 16. წყალობის წიგნი სოლომონ I ნიკოლოზ იაშვილისადმი

1773 წელი

დედანი – ქიმ 946; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; ზომა: 37,5x17,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 34,5x13სმ; v – 17x16,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 18; v – 11; განკვეთილობის ნიშანი წერტილი და ორწერტილი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანი დავით; თარიღი: ქორონიკონს ჩ ღ ო გ.

r ქ. ნებითა და შეწვენითა ღთისათა | ესე უკუნისამდე საბოლოდ გასა | თავებული წყალობის წიგნი და | სიგელი დაგინერეთ და გიბოძე | თ ჩვენ ღვთივ ზეცით კურთხევი | თ გვირგვინოსანმან იეს[ი]ან დავითიან | სოლომონიან პანკრატოვანმან პ[ა]ტრო | ნმა მეფეთ მეფემან სოლომონ და თან | ა მეცხედრემან ჩვენმან დადიანის ას | ულმა ბატონმა დედოფალმან მარიამ | პირმშომან და სასურველმან ძემან | ჩვენმა ბატონიშვილმან ბატონმა ალექსა | ნდრემ შენ იაშვილს ნიკოლოზს და შენს შვი | ლებს ხოსიას აღმასხანს მერ[ა]ბს და საყ | ვარელას ასე რომე წყალობა გიყავით და | საძმო გიბოძეთ აღარც ჩვენგან და არცა | ჩვე[ე]ნთა შემდეგთა მეფეთა და მეპატრონეთაგა | ნ არ გეთხოს საძმო თუ შენ ჩვენი |

v ერდგული და სიტყვისა და ბრძანების მო | რჩილი იყო ჩვენგან ეს წყალობა არ მოგეშ | ალოს ვინცა და რამაცა კაცმან ეს ჩვენი წყალ | ობა შენ შეგიშალოს მასამცა რისხავს მამა ღმერთი ძე ღმერთი სული წმინდა ღმერთი ყოველნი მისი წმინდ | ანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელნი და | უხორციონი ჩვენისამც ცოდვის ნუქბად განიკითხ | ვის არის ამისი მოწამე საღთუხუცესი აბაშიძე | დავით წულუკიძე ბერი მე დავით მდივანს დამინე | რია მოწამეცა ვარ დაინერა თებერვლის ი ქორონიკონს ჩ ღ ო გ (1773წ.).

დამტკიცებულია სოლომონ მეფის რვაკუთხა, მცირე ზომის, მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით.

## 17. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I სვიმონ მიქაბერიძეებისადმი

1777 წელი

დედანი – ქიმ 945; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; ზომა: 32,5x17,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 27x12,5 სმ; v – 9x14,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 14; v – 5; განკვეთილობის ნიშანი წერტილი, მხედრული; ყავისფერი მელანი; შემდგენელი მდივანბეგი დავითი; თარიღი: ქორონიკონს ჩ ღ ო ზ.

რ – ქ. ნებითა ღთისათ ესე წყალობის | ნიგნი გიბოძეთ ჩვენ ბატონმა მეფე | თ მეფემან სოლომონ შენ მიქა | ბერიძეს სვიმონის და დავითის შვილებ | ს ასე რომე ნამოხვანელი და ოს | უნელილი თემი გედავებოდათ გლეხ | ებს ხაჭაპურიძენს კაცობა | და სიხარულა და უმცროსა მათის | ცოლშვილით ასე რომე მოდექით ჩვენს | კარზე ისამართლეთ სამართალი | გაგიჩნდათ თემა სამართალი ვე | ღარ შეგიძლოთ და თქვენ დაგრ | ჩათ ის გლეხები სამართალი | თ და ჩვენც გიბოძეთ მოგცეს |

v – და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერდგულობაში | არის ამისი მონამე წულუკიძე ბერი მ | ისი ძმა გიორგი თამაზა მესხი მე მდივან | ბეგს დავითს დამინერია მონამეცა ვარ დაინე | რა აპრილის გასულს კწ [28] ქორონიკონს ჩ ღ დ ი ზ (1777წ.)

დამტკიცებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრული;

მინაწერი რ – „ქ. ბატონიშვილი ვამტკიცებ“. იქვე ხელრთვა, მხედრული, ხვეული კალიგრაფიით – „ალექსანდრე“.

## 18. წყალობის ნიგნი სოლომონ | პაპუჩა აბულაძისადმი

1781 წელი

დედანი: ქიმ 873; ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალაღი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 60,5x30,5სმ; დანერილია r-v; ტექსტის ზომა r – 41x21სმ; v – 30,2x21,2სმ; სტრიქონების რაოდენობა რ - 21; ვ - 24; განკვეთილობის ნიშანი წერტილი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი ნიკოლოს ჭიჭინაძე; თარიღი: წელთა უფლისათა ჩ ღ პ ა.

რ – წყალობითა და მინდობითა და ფარცვაცითა მარიამ დავითიანისა დედათა | ზეშთა ქმნილისა უმნიკვლო უბინო დედისათა რომლისა მი | ერ იქმნეს განხსნანი საუკუნოდასა საკვირელისანი და | აღმონედებანი ზენად სამეფოდ ამისდა ხოლო მინდობითა და ყ | ოვლისა სასოებისა ზედა დადებითა ღვთისა მიერ ამაღლე | ბულმან სრულიად აფხაზ იმერთა მეფემან მეფეთამან დიად სა | ხელოვანმან სოლომონ დავითიანმან და ერთხორცმან ჩემმა | ნ დედოფალთ დედოფალმან წულუკიძის ასულმან გულქან | შენ ჩვენს მარად თავდაებ მოსამსახურეს ყმას აბულაძეს | პაპუჩას ესრეთ და ესე ვითარად უსჯულოთა აგარიანთა ცოდვათ | ჩვენთა ძლით მიშვებითა ბაღდათს ციხე აეშენებინათ და ქვეყანა | იგი ყოვლითურთ დაეპყრათ და იმ ქვეყნის ერთი მოსახლე აზნა | ურისშვილი კოპაძე ქაიხოსრო გათათრებულიყო თავისის ცოლშვილ | ით ოდეს ძალ მწობითა ღვთის მშობლისათ მძლე ვექმენით აგა | რიანთა და მძლავრება იგი მათი დამდაბლდა ციხენი მათი ავიდენ | ით საცხოვრებელნი მათნი ოხერ ყვენით და ქალაქ დაბანი მათნი | იავარ ვქმენით ის კოპაძე თავისის ცოლშვილით გამოვიყვანეთ და თავის | აღრჩევით მოვნათლეთ შემდგომად მცირედისა ჟამისა წყალობა სი | ყვარული ჩვენი უგულუბელსყო აბაშიძე სახლთუხუცეს ყოფილმან ჩვენმან | დავით და განდგა ის კოპაძე ცოლშვილით დავით აბაშიძეს გარდა | ყვა და მეორედ უარყო ქრისტე და გათათრდა ის კოპაძე ქუთათის მღთ |

v – ის მშობლის ყმა ყოფილიყო ძირათ მისი გლეხნი და მამულნი სისხლითა ჩვენი | თა მოგებულნ იყვნეს და რადგან შენც ქუთათის ამ ღვთისშობლის ყმა იყავი ამის | [თვის] გიბოძეთ ქაიხოსრო კოპაძისოული გლეხნი ადგილ მამულნი თავისი ტ | ყით ველით ეკლესით წყლით სანისქვილეთი საფლავით საძებრით და უძებ | რით რომლისაც მქონებელი იყოს ყოვლისფერიანათ უნაკლულოდ გვიბოძებია თუ შე | ნ ჩვენი ერთგული იქმნე ჩვენგან და ჩვენთა შემდგომთა მეპატრონე | თავან არც შენ და არც შენს შვილს და მომავალს ჩვენ მიერ | ესე ბოძებული წყალობა არას ოდეს



მოეშალოს ან ვინც და რომელ | მან მე ძემან კაცისამან მეფემან დედოფალმან უფლისწულმან თავადმა | ნ კათოლიკოზ მიტროპოლიტმან სამღვდლოთაგან მან ვინმე ანუ საეროთა | განმან ყოველთავედვე ერთობით წიგნისა ამის შლად ხელყოს ან | ჩვენმიერი ესე ბოძებული წყალობა მძღავრებით მიგიღოს იყავნ | კაცი იგი ქრისტეს სიტყვიერისა ვენახისაგან რომლისა სავსება მართ | ლ აღმსარებელთა ერთა განფხვრილ ვითარცა რქა განხმე და სანყ | ლად არა ცეცხლსა ჟამიერსა კვალიად შეეძინენ ბედ ბნელობასა მისსა ცოც | ხლივ დანვა კორეს ძეთა მებრი და ეფრიადენ შიში და ძრწოლა | სხვათა შურისძიებათა თანა ვითარცა კაინს წინააღმდეგომსა ბრძა | ნებისა და წესისა ხოლო დამამტკიცებელთა ამისათა ვაკურთხევ კურთ | ხევითა აბრამიანითა და ისაკიანებიანითა ამა წერილის მოწმად სარ | დალ მოურავი კარისა ჩვენისა განმგე დიდებული წულუკიძე ბერი დიდ | ებული სარდალი წერეთელი პაპუნა სა[ხ]ლთუხუცესი წერეთელი ზუ | რაბ წულუკიძე გიორგი მაჩაბელი ზურაბ სხვანი კარისა ჩვენისა დიდებულნი | აღინერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლოსისათა წელთა უფლისათა ჩ ლ პ ა [1781წ.] აპრილს კ [20].

დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა დიდი მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატიანი“ – მხედრულით, ცენტრში ჩანერილია – „სოლომონ“ – ასომთავრულით;

მინაწერი: r – „ქ. მეფე იმერთა მეორე სოლომონ და ძე არჩილისა, ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ ბატონის ბიძის ჩემის მეფის სოლომონის წყალობის სიგელს ამას“ – მხედრული; დამონმებულია სოლომონ II-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით: წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით;

მინაწერები v:

1. „ყოვლად სამღვდლო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ წიგნსა ა[მას]“ – ნუსხური; დამტკიცებულია ქუთათელ მიტროპოლიტის დოსითეოსის რვაკუთხა მურის ბეჭდით, რომლის ნახევარი დაკარგულია;

2. „ქ: ჩვენ ყ~დ სამღვდლო გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ ნებითა ღ~ისათა სიგელსა ამას და ვინცა შლად ჳელყოს შეჩვენებული იყოს“. დამტკიცებულია გაენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმეს რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „გაენათელი მიტროპოლიტი“ – მხედრულით, ცენტრში – „ეფთვიმი“ – ასომთავრულით;

3. „ქ. ყოვლად სამღვდლო მთავარეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ სიგელსა ამას. ვინც შეცვალოს შეჩვენებული იყოს“ – მხედრული. დამტკიცებულია მთავარეპისკოპოს ანტონის ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მთავარეპისკოპოსი ანტონი“ – ასომთავრულით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურჯანაძე შ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა (1466-1770წ.წ.). 1959წ.
2. ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 1978წ.
3. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810წ.წ.). 1989 წ..
4. ქართული ისტორიული საბუთები XIV-XV საუკუნეები; შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ. თბ. 2013 წ.
5. ქუთაისის მუზეუმში დაცული ისტორიული დოკუმენტები: ქიმ N123; 438<sup>2</sup>; 438<sup>3</sup>; 438<sup>4</sup>; 438<sup>5</sup>; 438<sup>6</sup>; 706; 812; 815; 822; 842; 873; 913; 945; 946; 964; 970; 1471.

TSITSINO MUMLADZE, EKATERINE KELAURADZE, NINO KUXIANIDZE

### CORPUS OF DEEDS OF SOLOMON I (Materials of Kutaisi Museum)

The issue represents the first part of the corpus of deeds gave by King of Imereti Solomon I, housed in Kutaisi state historical museum. In the museum are preserved 41 deeds of Solomon I, but because of the limited number of issues in the edition of works of Kutaisi museum, we publish only 18 of them. Historical documents of Georgia have a long history of publishing and nowadays are commonly known the names of scientists who laid the foundation for this hard affair. Among them are: T. Zhordania, Eq. Takaishvili, S. Kakabadze, N. Berdzenishvili, Sh. Burjanadze, Vl. Futuridze, M. Khubua, S. Meskhia, O. Soselia and others.

Besides the rich collection of documents of Kutaisi museum only several of them are fully issued till today. To correct this defect and considering the existing practice of issuing the historical documents, the authors of the work decide to prepare and publish the corpus of Solomon I’s Deeds, housed in Kutaisi museum. It will be one of the important parts of the book – “The Deeds of West Georgian kings (Materials of Kutaisi Museum)”, the publishing and preparing of which is intended by a group of researches of Manuscripts’ department of Kutaisi museum.

In the work – “Corpus of Deeds of Solomon I preserved in Kutaisi Museum (Part I)” we will present the full texts of the deeds in accuracy, without damaging their authenticity.

Every text is preceded by a short technical description of the document, and in the ending - asserting part of the text is presented the decryption and signatures of seals and autographs (if such is existing).



მანია ქაპულაძე

## **ჯრუჭის მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე**

ჯრუჭის მონასტერი XVIII საუკუნიდან ეკონომიკური სიძლიერით გამოირჩეოდა. დიდ მეურნეობასა და ყმა-გლეხთა ვალდებულებებს წინამძღვრის ხელმძღვანელობით ბერ-მონაზონთა კრებული აწესრიგებდა. სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია შუა საუკუნეების ეპოქის ისტორიულმა დოკუმენტებმა, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, გვემსჯელა იმდროინდელი ჯრუჭის მონასტრის ორგანიზაციულ წყობასა და კრებულის მიერ მეურნეობის მართვის თავისებურებებზე. ზოგადად, საეკლესიო მინათმფლობელობის სისტემა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკურ-სოციალური საკითხების გადაჭრას. როგორც ბაბილინა ლომინაძე წერს, „ეკლესიაში (საეპისკოპოსოში და მონასტერში) ქონების მართვა და ფლობა კოლექტიური იყო. მონასტერში მმართველობას წინამძღვარი უფროს ძმებთან ერთად ახორციელებდა, ხოლო შემოსავალს, რანგისა და თანამდებობის მიხედვით ანაწილებდნენ ძმებს (მონაზვნებს) შორის“ [56, გვ.16]. აქედან გამომდინარე, ჯრუჭის მონასტრის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების განხილვამდე, მოკლედ აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნეში ეგზარქოსობის პერიოდში ჯრუჭის მონასტრის „კრებულის“ ანუ „ძმობის“ შემადგენლობაში, ჩვენ მიერ მიკვლეული საბუთების მიხედვით, მოიხსენიება: წინამძღვარი (უმეტესად არქიმანდრიტის ხარისხით), მღვდელმონაზონი, ბერდიაკვანი, მორჩილი, სულ – საშუალოდ, ათი ბერი, რომელთაგან ერთ-ერთს „ეკონომოსობა“ ქონდა დავალებული, ის აწარმოებდა „შემოსავალ-გასავლის წიგნს“. აღსანიშნავია, რომ ჯრუჭში მოღვაწეობდნენ დიდი დამსახურების მქონე სასულიერო პირები: მიტროპოლიტი იოანე გაბაშვილი, მღვდელმონაზვნები: მათე, ნეოფიტე, იუსტინე და სხვები. „წმინდა ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“, რომელიც მღვდელმონაზონმა ანტონ მთაწმიდელმა დაწერა და შემდეგ ახალი მასალებით განავრცო კ. კენკიშვილმა, წყაროს დასახელების გარეშე, მითითებულია, რომ ჯრუჭში გარკვეული დროის განმავლობაში მოღვაწეობდნენ არქიმანდრიტი გერონტი სოლოლაშვილი (ერეკლე მეორის კარის მოძღვარი) და ილარიონ ახალი ქართველი (სოლომონ მეორისა და დედოფალ მარიამის მოძღვარი, წმინდანად შერაცხული ათონელი ბერი)<sup>1</sup> [58, გვ.14]. დავით მიტროპოლიტის წინამძღვრობის პერიოდიდან 1875 წლამდე ჯრუჭის მამათა მონასტერში სამი დედამონაზონიც ცხოვრობდა. უწმინდესმა და უმართებულესმა სინოდმა, მიუხედავად მონაზვნების ხანდაზმულობისა (ას წლამდე იყვნენ მიღწეული), 1875 წელს მოითხოვა, რომ ისინი სასწრაფოდ მღვიმევის დედათა მონასტერში გადაეყვანათ. ამ განკარგულების აღსრულებისას ცოცხალი მხოლოდ ერთი დედა მონაზონი აღმოჩნდა [39, ფ.7]. 1858 წლის მონაცემებით, ჯრუჭის მონასტერი მეორე კლასისაა [64, გვ.147], 1901 წლისათვის კი – პირველი კლასის, მიეკუთვნება შტატის მონასტერთა რიცხვს და ხაზინიდან ჯამაგირს არ ღებულობს; სკოლა არ გააჩნია (კრებულის ნამსახურებითი სიების მიხედვით, ბერების უმრავლესობას ჯრუჭში უსწავლია წერა-კითხვა, საღმრთო წერილი და საეკლესიო გალობა. 1860 წლის 22 ოქტომბერს აზნაური კონსტანტინე ბესარიონის ძე შოთაძე ვედრებით მიმართავდა იმერეთის ეპისკოპოსს, რომ „ეკლესიურნი სწავლანი რამოდენიმე ვისწავლე“. მშობელთა სიღარიბის გამო „უბრძები სწავლასა“ და გთხოვთ, ჯრუჭის უდაბნოში „მიმაქციოთ რამოდენიმეს დრონითო“ [36, ფ.1; 27, 42, ფ.12]. ჯრუჭის მონასტრის კრებული ყველა მნიშვნელოვან საკითხს ეპისკოპოსთან

1. ამის დამადასტურებელ სხვა წერილობით წყაროს ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ

შეთანხმებით წყვეტდა. საარქივო საბუთებში გარდა წინამძღვარისა, მონასტერთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას ხშირად ფიგურირებს შორაპნის მაზრის მთავარხუცესი (ბლალოჩინი).

ჯრუჭის მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა უშუალოდ იყო დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან. როგორც ისტორიული საბუთები ცხადყოფს, მეფეები: სოლომონ პირველი, დავით მეორე და სოლომონ მეორე უხვი შეწირულობებით ცდილობდნენ, რომ ჯრუჭის მეურნეობა ძლიერი ყოფილიყო. ისინი მონასტრის გლეხებს ათავისუფლებდნენ სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებისგან. მონასტრის კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ კათალიკოსები – იოსები და მაქსიმე, განსაკუთრებული წვლილი კი მიუძღვის დოსითეოს ქუთათელს. ჯრუჭის მონასტრის აღორძინებაში მონაწილეობა მიიღო არაერთმა აზნაურმა და თავადმა, მათ შორის სრულიად გამორჩეულია წერეთელთა სათავადოს როლი. თავიანთი საგვარეულო-სასაფლაო მონასტრისათვის ისინი არაფერს იშურებდნენ. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ და კოლონიზატორული მიზნების მისაღწევად გატარებულმა რეფორმებმა ჯრუჭის მონასტრის მეურნეობის მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა, ხოლო ბოლშევიკურმა რეჟიმმა იგი საბოლოოდ გაანადგურა.

ბ. ლომინაძე აღნიშნავს, რომ „ეკლესიას ქონება და შემოსავალი ესაჭიროებოდა თავისი რელიგიური მიზნის შესასრულებლად (რისთვისაც იგი ამქვეყნად დაარსდა, ადამიანების მოსამზადებლად ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის). ეკლესიაში სრულდება „7 საიდუმლო“ (ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, ზეთის კურთხევა, მღვდლობა, ქორწინება), ლიტურგია: წირვა, ლოცვა, ჟამნი და სხვ. ყველა ამ მღვდელმსახურებისათვის საჭირო იყო სანთელი, თაფლი, პური, ზეთი, მარილი, ღვინო და სხვ. ეკლესია ვერ იარსებებდა „სინმინდის იარაღებისა“ (ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვრები, ხატები, წმინდა წიგნები, სამღვდლო შესამოსელი) და შინაგანი მორთულობის გარეშე“ [56, გვ.16]. იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე ჯრუჭის მონასტრის შემოსავლის წყაროს, ძირითადად, გლეხების ბეგარა-გამოსაღებები შეადგენდა. 1782 წლით დათარიღებული საბუთის თანახმად, სოფელ წედისში მცხოვრებ მაისურაძეთა ერთ კომლს ჯრუჭის მონასტრისთვის უნდა შეეწირა: „ოთხი დოქი ღვინო, ერთი კოდი პური, ორი ქათამი, აბაზის თიკანი“ [21]. ქუთაისის მუზეუმში დაცული უთარილო დოკუმენტის მიხედვით, სოლომონ მეფემ რაჭაში გაილაშქრა. მას თან ახლდა სარდალი პაპუნა წერეთელი. ამ დროს დაკარგულა ონელი ხახუა არონაშვილი. პაპუნას იგი თავისი ფულით დაუხსნია და ცოლ-შვილითა და ბეგარით შეუწირავს ჯრუჭის მონასტრისთვის. ხახუა არონაშვილს ჯრუჭში ყოველწლიურად უნდა მიეტანა ორი ლიტრა სანთელი და ექვსი ორაგული (ორი ყველიერის კვირაში, ორი ხარებას და ორი ბზობას) [17]. ლევან დადიანი და მისი მეუღლე – მართა წერეთელი (ზურაბ წერეთლის ქალიშვილი და დავით მიტროპოლიტის და) მთელი წლის მანძილზე ჯრუჭის მონასტერს სწირავდნენ „შამახურ“ სანთელს და ოც ქილა მარილს [19], ხოლო ბეჟან წულუკიძე – ორ საპალნე ღვინოს [20]

სოლომონ მეორის მიერ 1809 წელს შედგენილ სიგელში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ჯრუჭის მონასტრის ყმა-გლეხთა ვალდებულებები [10]. საბუთში მითითებულია თითოეული გლეხის სახელი და გვარი და აღნიშნულია, თუ რომელი სოფლებიდან არიან. სიგელიდან თვალნათლივ ჩანს, რომ სხვადასხვა კომლს ან პირს მართებდა სხვადასხვა რაოდენობით პური, ღვინო, ქერი, ქათამი, ხორცი, კვერცხი, ერბო, ყველი, საური. ვალდებულებებში შედიოდა სეფეობა (ძირითადად, კვირაში ორი დღით), ცხენის ხედნა, ხაბაზობა, ზამთარში საქონლის შენახვა, მეჯინიბობა. სიგელის მიხედვით, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველას – აზატს, მესეფესა თუ მსახურს უნდა გაეცა ნატურით გამოსაღები. სოლომონ მეორის ეს სიგელი გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ და შესავალში მოკლედ აღწერა მონასტრისა და ყმა-გლეხთა სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობები: „სულ არის 105 კომლი და 2 პარტახტი. 105 კომლში არის 1 კომლი აზატი/ჟამის წირვის გარდამხდელი/, 75 კომლი მესეფე გლეხი და კიდევ 5 კომლი, რომელთაც ბეგარად რკინა მართებთ და რომელნიც ამავე კატეგორიის

გლახები უნდა იყვნენ; 21 კომლი მსახური, ამას გარდა არის 1 კ. მღვდელი და 2 კომლი ურია / ალბათ, ვაჭარი/. მესეფე გლახებს მართებს: 62 კომლს 418 კოფა ღვინო, პური 32 ფოხალი და 83 კოდი, ხორცი 6 მარჩილის /6 კომლს/, ქათამი 21. ამათში მესაურე არის 48 კომლი. მესეფე გლახთა შორის 36 კომლს მართებს კვერცხი, ორი დღის სეფეობა /მუშაობა/, დანარჩენი სეფეობის (მუშაობის) დღეები განსაზღვრული არ არის. 14 კომლის შესახებ პირდაპირ ნათქვამია – მართებთ ყოველ დღე სეფეობა. მსახურთ მართებთ: 2 კომლს მხოლოდ მსახური, 1 კომლს ხაბაზობა, 1 კომლს – 6 კოკა ღვინო, 12 კოდი პური, 2 ქათამი, 1 მარჩილის ხორცი, საური; 2 კომლს მართებს ერთად 7 კოკა ღვინო, 2 კოდი პური, 4 კოდი ქერი, 4 ქათამი; 3 კომლს მზარეულობა, 3 კომლს – თითოს 8 კოდი ქერი, 2 ლიტრა ყველი; 1 კომლს – 2 ლიტრა ყველი, 8 კოდი ქერი; 1 კომლს – მეფინიბობა, 1 კომლს – 1 ჩარეკი ერბო, 2 ლიტრა ყველი, საური; 2 კომლს – თითოს 5 კოკა ღვინო, 3 კოდი პური, საური; 1 კომლს – 8 კოკა ღვინო, 2 კოდი პური, 2 ჩარეკი სანთელი, მსახური, საური, 1 კომლს – 12 კოკა ღვინო და მსახური“[54, გვ.43]. 1821 წელს რუსეთის იმპერიის სენატისადმი საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ალ. ერმოლოვის მიერ გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი მონაწილე ყოფილა ჯრუჭის მონასტრის 130 კომლის ბეგარის [62, გვ.419] რაში გამოიხატებოდა ეს მონაწილეობა, მითითებული არ არის, მაგრამ ს. კაკაბაძე წერს: „კაცხის მონასტრის გლახებს მეზატონე აბაშიძეების სასარგებლოდ ედვათ საუდიერო (სურსათით გადასახადი). საფიქრებელია, რომ კაცხის ანალოგიით წერეთლის სასარგებლოდ ჯრუჭს და მღვიმეის ყმებსაც ედვათ ცალკე საუდიერო“[54, გვ.44].

სოლომონ მეორის სიგელი და პაპუნა წერეთლის შეწირულობის წიგნი ძალიან საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ჯრუჭის მონასტრის ყმა-გლახთა შორის სახელდებიან ებრაელები. ერთი ებრაელი, რომელიც ფიგურირებს სოლომონ მეორის სიგელში, არის სწორედ ის ხახუა არონაშვილი, რომელიც სარდალმა პაპუნა წერეთელმა დაიხსნა და შემდეგ ჯრუჭის მონასტერს შესწირა. ქართველი მეფეებისა და თავადებისათვის უცხო იყო ქვეშევრდომების დაყოფა ეროვნული, რასობრივი ან კონფესიური ნიშნით. საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქვეყნის განვითარების პროცესში წარმოქმნილი ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა სახის სირთულეები ქართველ მეფეებს გადაეჭრათ ებრაული დიასპორის ხარჯზე, რაც ესოდენ ფართოდ იყო გავრცელებული სხვა ქვეყნებში (რეპრესიები, კონტრიბუციები, კონფისკაციები, განდევნები, ფინანსური საქმიანობის აკრძალვები და სხვა) [59, გვ. 21]. ქართველი ხალხის ცნობიერებაში არასოდეს ყოფილა გაიგივებული ებრაელობა ქრისტეს მწვალელებთან. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ებრაელების ეკლესიისათვის მიკუთვნების პრაქტიკა IX საუკუნიდან დამკვიდრდა [60, გვ.23]. ალბათ, მთელი მსოფლიოსთვის პარადოქსულიც არის, რომ ქართული ეკლესია მფარველობდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა საქართველოს ებრაულ მოსახლეობას, იცავდა მის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას. გადასახადების სიმსუბუქის გამო, ისევე როგორც ქართველ საბატონო ყმას, ებრაელსაც აწყობდა ყოფილიყო ეკლესიისთვის მიკუთვნებული. სოლომონ მეორის სიგელის თანახმად, დანიელა ხახიაშვილის ვალდებულება ჯრუჭის მონასტრისადმი იყო ოთხი ორაგული და ოცი მარჩილი თეთრი, ხოლო ხახუა ჰარონაშვილის, როგორც უკვე აღვნიშნეთ – ორი ლიტრა სანთელი და ექვსი ორაგული. ებრაელთა ბეგარა საკმაოდ მსუბუქი იყო და სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. მეფის, ეკლესიის ან თავადის მხრიდან არ არსებობდა რაიმე პრივილეგია, რომელიც უცხო იყო ებრაელებისთვის. საქართველოში არ ხდებოდა ებრაელთა იზოლირება; მათი უფლებები, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სრულიად გაიგივებული იყო ქართველი სოციალური მოძმეების უფლებებთან. გერმანელი მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი წერდა, რომ ებრაელები საქართველოში არ განიცდიან ჩაგვრას. „ისინი ისევე აძლევენ და იღებენ, როგორც ქართველები“ (ე.ი. არიან ქართველი გლახის მდგომარეობაში) [49, გვ.187, 209]. განუმეორებელი ტოლერანტობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ქართულ ეკლესიას

არასოდეს აუყრია თავისი მიწიდან ებრაელები, ხოლო ეს ებრაელები ქრისტიანულ ტაძრებს სწირავდნენ არა მარტო საკვებსა და ფულს (ქართველ გლეხებთან შედარებით, ნაკლები ან თანაბარი რაოდენობით), არამედ სანთელსა და საკმეველს. ამის დამადასტურებელი არაერთი ისტორიული საბუთი გამოაქვეყნა გ. ტყემელაშვილმა წიგნში „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“ [59, გვ.29–31], რომელთა შორისაა დავით მეორისა და მისი თანამეცხედრის – ანა ორბელიანის მიერ 1789 წელს შედგენილი შეწირულობის წიგნიც<sup>2</sup>. ამ დოკუმენტის მიხედვით, მეფე-დედოფალმა ჯრუჭის მონასტერს მესანთლედ და მესაკმევლედ შესწირეს ქუთაისელი მოშე ენუქაშვილი და მისი ძმა [18]. ონელი და ქუთაისელი ებრაელების შეწირვა ჯრუჭის მონასტრისთვის ნიშნავდა იმას, რომ მათ უმსუბუქდებოდათ გადასახადი, რომელიც ემართათ მეფის ან თავადის წინაშე.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1811 წლის 30 ივნისს, იმპერატორის ბრძანებულებით, გაუქმდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი სინოდს დაექვემდებარა. კათალიკოსობის ნაცვლად დაანესეს ეგზარქოსის თანამდებობა. 1815 წლის 8 მაისს თბილისში გაიხსნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, ხოლო 1821 წლის 19 ნოემბერს ოფიციალურად დამტკიცდა 1814 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი იმერეთის ეპარქიალური კანცელარია. ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიისადმი მორჩილებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოში შექმნილი ახალი საეკლესიო ორგანიზაციის უმთავრესი მიზანი ქართველი ერის ასიმილაცია იყო. ძირეულად შეიცვალა ეკლესია-მონასტრების ეკონომიკური მდგომარეობა. როგორც ბ. ლომინაძე წერს, „რუსეთმა საქართველოშიც ისეთი წესები შემოიღო, როგორც რუსეთის იმპერიაში არსებობდა – ე. წ. საეკლესიო შტატები. ეს ცვლილებები იმაში გამოიხატებოდა, რომ ეკლესიას, როგორც მესაკუთრე ორგანიზაციას, ჩამოერთვა მამულები, ხოლო ეკლესიის მსახურთ დაენიშნათ ჯამაგირი. ეს ცვლილებები გატარდა თანდათან... რუსეთის მეფის საგანგებო ბრძანებულებით საქართველოს მთელი საეკლესიო უძრავი ქონება გადაეცა ხაზინას. ამრიგად, მოხდა საეკლესიო ქონების (ადგილ-მამულის) ექსპროპრიაცია. ეს ღონისძიება საბოლოოდ გაფორმდა 1869 წლის 13 ნოემბერს: საეკლესიო ქონება ჩაითვალა სახელმწიფო ქონებათა რიცხვში, ხოლო საეკლესიო გლეხებს მიენიჭათ სახელმწიფო გლეხთა უფლებანი. ყოფილი საეკლესიო გლეხები გადაეცათ ადგილობრივ საგუბერნიო მმართველობას“ [56, გვ.18].

ქ. პავლიაშვილის შეფასებით, „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-პოლიტიკურ სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას ეკისრებოდა. ამ საკითხის მოგვარება ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის რეფორმაციას, რომლის ძალითაც საქართველოს ეკლესია საერთო რუსული იმპერიის ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი წყარო იქნებოდა. საქართველოს საეგზარქოსოს ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად ქართული ეკლესიის ქონებაზე იყო დამოკიდებული და იგი ყოველნაირად ცდილობდა მის საბოლოო დაპატრონებას. საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა ქართული საეკლესიო ქონების ხაზინაში გადასვლითა და მოსახლეობაში საეკლესიო გადასახადების გაზრდით რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ზრდას. რუსული მმართველობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ქართული ეკლესია-მონასტრების უკიდურესი გაღატაკება გამოიწვია. ეს რეფორმა ქართულ ეკლესიას, მისი სახსრის რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში გადასროლით, არსებობის ეკონომიკურ საფუძველს აცლიდა. ყოველივე ეს კი საქართველოს ეკლესიის სრულ განადგურებას მოასწავებდა“ [57, გვ.131].

იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარება სისხლიანი პოლიტიკური და სამხედრო ისტორიის ნაწილი გახდა. საეკლესიო რეფორმა საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას შეეხო. როგორც გ. ვაჭრიძე წერს: „რეფორმას შედეგად უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა

2. 1991 მ. ქებუაძის მიერ მიკვეთილი ეს დოკუმენტი მოხსენიებული გვაქვს ჩვენს ნაშრომში, ჭრუჭის მიწათმფლობელების საკითხის განხილვისას

არამარტო საეკლესიო ქონება-შემოსავლის ხაზინაში გადარიცხვით, არამედ ყმა-გლეხების საეკლესიო გადასახადების გადიდებით, ამიტომ რეფორმისადმი გლეხობა მტრულად განეწყო. უკმაყოფილო იყო მაღალი სამღვდელთა, რომელიც კარგავდა მნიშვნელოვან შემოსავალს და საეკლესიო ქონების დამოუკიდებელი მართვა-მფლობელობის უფლებას. უკმაყოფილო იყო დაბალი სამღვდელთა, მართალია, იგი ყმური დამოკიდებულებისგან თავისუფლდებოდა, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი, ეპარქიების, ეკლესიების და მათ მსახურთა შტატის შემცირებით, უადგილოდ რჩებოდა. უკმაყოფილონი იყვნენ საეკლესიო აზნაურებიც, რომლებიც რეფორმის შედეგად, სახაზინო მიწებზე უნდა გადასახლებულიყვნენ. ერთი სიტყვით, რეფორმით უკმაყოფილო იყო მოსახლეობის ყველა ფენა და ამიტომ მას დიდი სახალხო აჯანყება მოჰყვა“ [52, გვ.236]. ამ აჯანყებას ნ. ბერძენიშვილმა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უწოდა: „ბრძოლა საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ, ე. ი. ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, იგივე პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო, „რუსობის“ წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამ ნიადაგზე იყო, როგორც ჩანს, რომ საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლად იქცა“ [48, გვ. 248] ქვეყნისთვის ამ ურთულეს პერიოდში დამპყრობლისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ ზურაბ წერეთელი და მისი შვილები: გრიგოლი და დავით მიტროპოლიტი. ზ. წერეთელი გამუდმებით მიმართავდა მთავრობას შენარჩუნებისათვის მისთვის ყველა ძველი პრივილეგია და მიეცათ ახლები [11]; გრიგოლ წერეთელი საქართველოს მთავარმართებელ ევ. გოლოვინს წერდა: „მე თავს ვთვლი არა იმერლად, არამედ რუს მოქალაქედ და ყოველმხრივ ვცდილობ რუსულ საზოგადოებას შევავსო სახლი და შვილები ჩემი... მზად ვარ რუსეთს ვემსახურო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე [12]; დავით მიტროპოლიტი, როგორც დამპყრობელთა დასაყრდენი ერთ-ერთი გავლენიანი სასულიერო პირი, მრევლს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდა [63, გვ.503].

ზურაბ წერეთლისა და მისი შვილების – გრიგოლისა და დავით მიტროპოლიტის „დამსახურების“ გათვალისწინებით, ჯრუჭის მონასტრის ეკონომიკურ ცხოვრებას რეფორმები დავით მიტროპოლიტის სიცოცხლეში მკვეთრად არ შეხებია. ჯრუჭი, სხვა მონასტრებთან შედარებით, ერთი შეხედვით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო: რუსულმა ხელისუფლებამ კვლავ წერეთლებს დაავალა მონასტერზე ზრუნვა, მონასტერს შეუნარჩუნდა მამულები, ყმა-გლეხთა ვალდებულებებსაც, პირველ ხანებში მაინც, დიდი ცვლილებები არ მოჰყოლია. ჯრუჭი შტატის მონასტრად გამოცხადდა და მისი ბიუჯეტი, გელათის მონასტრის დარად, წლიურად 1700 მანეთი უნდა ყოფილიყო“ [52, გვ.250]. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ამ „პრივილეგირებული“ მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა აშკარად უკან იხევდა. წერეთლები თავის მოვალეობებს ხშირად არ ასრულებდნენ (ამის ნიადაგზე დაუსრულებელ სასამართლო დავებს ჰქონდა ადგილი), გლეხთა დამოკიდებულებაც შეიცვალა; ბ.ლომინაძე აღნიშნავს, რომ „ფეოდალიზმის ეპოქაში საეკლესიო-სამონასტრო ყმობის შედარებითი სიმსუბუქე იწვევდა გლეხების მიზიდვას. საეკლესიო გლეხთა შორის „ნებით მოსული“, „თავშენიერი“ იშვიათი არ იყო“ [56, გვ.14]. რუსული რეფორმების შემდეგ საეკლესიო გლეხთა კატეგორიაში ყოფნა სახარბიელო აღარ გამოდგა. საეკლესიო გლეხები ხშირ შემთხვევაში ორმაგად დაბეგრილნი აღმოჩნდნენ და, არც თუ იშვიათად, უპირისპირდებოდნენ ეკლესიას.

ჯრუჭის მონასტრის მეურნეობისა და შემოსავალ-გასავლის საკითხებზე მსჯელობისას, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი – დავით მიტროპოლიტი, როგორც საარქივო საბუთებიდან ირკვევა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, მართავდა, მრავალძალისა

და ტყვირისა ეკლესიებსა და მამულებს. დავით მიტროპოლიტს მრავალძალის ეკლესია<sup>3</sup> და ამ ეკლესიის გლეხები უბოძა სოლომონ მეორემ [61, გვ.122], ხოლო ტყვირის ეკლესია და მამულები – დოსითეოს ქუთათელმა. როგორც დავით მიტროპოლიტი აღნიშნავს, ქირისა და სილარბისაგან დაფანტული ტყვირის მაცხოვრებლები შეკრიბა და თავიდან დაასახლა. ტყვირის მამულებს დავით მიტროპოლიტი განაგებდა, ვიდრე ეს მიწები საჭილაოს მამულებთან ერთად სამეგრელოს მთავრის განკარულებაში გადავიდოდა. მრავალძალის ყმა-გლეხების შესახებ დავით მიტროპოლიტი წერს: „ვინმე უკეთურმა წააქეზა ჩემს წინააღმდეგ. წლების მანძილზე ისინი თავის ვალდებულებებს ჩემს წინაშე არ ასრულებდნენ“ [2, ფ.11]. სამეგრელოს ეპარქიაში გადაყვანილი დავით მიტროპოლიტი 1829–30 წლებში სინოდს მიმართავდა წერილობით, რომ მრავალძალისა და ტყვირის ეკლესიები, ჯრუჭის მონასტერთან ერთად კვლავ მის მფლობელობაში დარჩენილიყო და მას ემართა სამივეს მამულები [2, ფ.1–20]. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული საბუთის მიხედვით, 1851 წლამდე ჯრუჭის მონასტერზე მიწერილი იყო ქორეთის უდერძის წმინდა გიორგის ეკლესიაც („შტატგარეთ“), რომლის შემოსავალი, სანთელი და ფული ბარდებოდა ჯრუჭის მონასტრის ეკონომოსს [34, ფ. 1].

1830 წელს 12 აგვისტოს შედგენილი საბუთის თანახმად, იმერეთის დროებითმა მთავრობამ და სინოდალურმა კანტორამ განიხილა წერეთლების მიერ 1789 წელს დადებული ხელწერილი ჯრუჭისთვის გადასახადის შესახებ. კაპიტანი შლიარევსკი, იმერეთის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, წერეთლებისგან მოითხოვდა ვალდებულების პირვანდელი მდგომარეობით შესრულებას [13].

1831 წელს გრიგოლ, სვიმონ, როსტომ და ბერი წერეთლები კავკასიის განყოფილების კორპუსის მთავარმართებლის – ი. თ. პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილობით მიმართვაში მოითხოვდნენ, რომ სასულიერო მთავრობას საყოველთაო აღწერა არ გაეგრცელებინა ჯრუჭის მონასტრის გლეხებზე, რათა წერეთლებს, როგორც იმერეთის მეფეების დროს, კვლავ რიგიანად ეზრუნათ თავიანთ საგვარეულო-სასაფლაო მონასტერზე. მათი აზრით, ჯრუჭის მონასტრის ყმა-გლეხების გათანაბრება სახაზინო მონასტრის გლეხებთან, გამოიწვევდა წერეთელთა შემოსავლების შემცირებას, ყმათა მდგომარეობის გაუარესებას და მონასტრის დაზარალებას [14].

ამავე პერიოდში (საბუთი დათარიღებულია დაახლოებით 1823–1840-იანი წლებით), გრიგოლ სვიმონის ძე წერეთელი ჯრუჭისა და მღვიმევის მონასტერთა მოვლა-პატრონობის შესახებ დაწერილ პირობის წიგნში უთითებდა, რომ სანათესაოდან მისი წილი ჯრუჭის მონასტერთან მიმართებით არის მეექვსედი და ამ მეექვსედ წილს ტოვებს სანთლის, საკმევლის, პატრუქისა და მარხვაში თევზისათვის; თავის გლეხებს ქირის გარეშე ამუშავენ მონასტრის ყანასა და ვენახში; დიდი სამუშაოების დროს მონასტერს დროებით ამსახურებს ათ კაცს. გარდა ამისა, მეექვსედი წილის შესაბამისად მონასტერს საჭიროებისამებრ გაუახლებს და შეჰმატებს საეკლესიო ნივთებსა და შესამოსელს [15].

1846 წლის 20 ივლისს მიტროპოლიტი დავითი ქუთაისის მაზრის უფროსს წერდა: „ჯრუჭის მონასტრის ყმები, სხვა გლეხებისაგან განსხვავებით, იმერეთში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ სარგებლობენ უპირატესობით და გათავისუფლებული არიან საერობო ვალდებულებისაგან; ამჟამად კი მათ სახელმწიფო გლეხებთან ათანაბრებენ, რის გამოც ეკლესიის სამსახურზე უარს ამბობენ. დავით მიტროპოლიტი ითხოვდა, რომ ჯრუჭის მონასტრის ყმები გაეთავისუფლებინათ სახელმწიფო ბეგარისაგან [29, ფ.1–2]. დავით მიტროპოლიტის ძალისხმევით, ჯრუჭის მონასტერი ინარჩუნებდა ყმა-გლეხებთან ურთიერთობის ძველ ფორმებს. 1846 წლით დათარიღებული საბუთის

3. ჯრუჭის მონასტრის მთავარი ტაძარი, წმინდა გიორგის ეკლესია, ხაღხური გადმოცემით, ჩრდილო-დასავლეთით გაჰყურებს მის ტყუპისცალსა და მოსახელს – ჩაჭის მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას (ონის რაიონი), მათ ერთმანეთთან ძველი საურმე გზა აკავშირებთ, რითაც ხაღხი ამ დრომდე სარგებლობს, როდესაც ჯრუჭის წმინდა გიორგის ეკლესიისაგან ერთი კვირის თავზე მრავალძალის ეკლესიისაკენ ეღვთისწილის დასავგირგვინებლად საღვთავად მიეშურება [53, გვ.1]



მიხედვით, ყმას არ ჰქონდა მონასტრის დატოვების უფლება: სხვაველი მეპურე ნიკოლოზ ქვათაძე გაიქცა და მას თბილისში ეძებდნენ [28, ფ.1].

დავით მიტროპოლიტი იმერეთში მოღვაწეობდა თუ სამეგრელოში, ყოველთვის და ყველგან ზრუნავდა ჯრუჭის მონასტრის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. 1847 წელს მეუფე დავითმა, როცა უკვე იმერეთის ეპარქიის მმართველი იყო, საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის ნებართვით, ჯრუჭის მონასტრის სასარგებლოდ პირადი შემოსავლიდან 1000 მანეთი ვერცხლით შეიტანა საიმპერატორო აღმზრდელობითი სახლის მოსკოვის სამეურვეო საბჭოს შემნახველ ხაზინაში [3, ფ.1—7].

დავით მიტროპოლიტის დიდი დამსახურების წყალობით ჯრუჭი საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი მონასტერი გახდა, მაგრამ ეს დროებითი გამოდგა. რუსული მმართველობის ინტერესებში არ შედიოდა დაპყრობილი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა. ეკლესიისა და გლეხების უფლებები ეგზარქოსობის პერიოდში ერთნაირად ილახებოდა. ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრის – ნეოფიტეს მიერ ეპისკოპოსისადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, 1855 წელს მილიციაში სამუშაოდ საჩხერის „უჩასტკის ნაჩალნიკმა“ – მიხეილ წერეთელმა გაამწესა ჯრუჭის მონასტრის 16 გლეხი, ხოლო სვერის „უჩასტკის ნაჩალნიკმა“ – ოჯახიდან თითო კაცი. ამ „ნაჩალნიკებს“ არ ჰქონდათ უფლება, აერჩიათ ჯრუჭის მონასტრის გლეხები, რადგანაც მილიციაში მხოლოდ სახაზინო და ის საეკლესიო გლეხები უნდა გაეწვიათ, რომლებიც ფულით იყვნენ დაბეგრული. ჯრუჭის მონასტრის კრებული ჯამაგირს არ ლეზულობდა და ძირითადად, მონასტრის გლეხების მუშაობის ხარჯზე არსებობდა. ამიტომაც არ შეიძლებოდა სახაზინო გლეხებთან ჯრუჭის გლეხების გათანაბრება. რაჭის მაზრის გამგებელი – მაიორი ვასილევნი და პოდპორუჩიკი თავადი მიხეილ წერეთელი ავინროებდნენ ჯრუჭის გლეხებს და ნადგურდებოდა მონასტრის მამულები. მამა ნეოფიტე, მიუხედავად ხანდაზმულობისა და ავადმყოფობისა, წავიდა რაჭის მაზრის გამგებელთან, რომელმაც პირველ მისვლაზე არ მიიღო, შემდეგ გულცივად შეხვდა და უარით გამოისტუმრა. როგორც წინამძღვარი ნეოფიტე აღნიშნავს, ოსები ავინროებენ რაჭის ეკლესია-მონასტრებს. საერთოდ, მაზრაში ბევრი უწესობაა, ვასილევნი კი ყურადღებას არ აქცევს. წინამძღვრის აზრით, ვასილევს არ ექნება ისეთი განათლება, რომ ერთნაირად შეეძლოს სამხედრო საქმეების გაძღოლა და ეკლესია-მონასტრების მიხედვა. ის მონასტრის გლეხების მიერ მირთმეული ძღვენით არჩენს ოჯახს. მისი „წყალობით“, 30 რაჭველი გლეხი ველარ მუშაობს მონასტერში. თუ ვინმე გაბედავს და იმუშავებს მონასტრის სასარგებლოდ, მას ოჯახის წევრებთან ერთად სჯიან. კლდეზე გადაიჩნება მონასტრის საქონელი, ბერები შიმშილობენ. წინამძღვარი თხოვს ეპისკოპოსს, რომ მიმართოს გუბერნატორს, რათა მისმა ბრწყინვალეობამ გამოეყოს მაზრის უფროსის რომელიმე თანამემწეთაგან ერთ-ერთი და ის გაუძღვეს სასულიერო საქმეებს, რადგანაც ვასილევნი სდევნის ბერებს და მონასტრის ყმებს [31, ფ.6–9].

საეკლესიო რეფორმამ გაართულა მონასტრისა და გლეხების ურთიერთობები. 1856 წელს სეველი ყმები ჩიოდნენ, „უჩვეულო გარდასახადი და სამსახური“ დაგვაკისრესო. 1863 წლის აპრილში გლეხთა ერთი ჯგუფი წერდა ეპისკოპოსს გაბრიელს, რომ ქორეთში მდებარე ყანის დამუშავების გარდა არაფერი გვევალებოდა. ახლა კი გვაიძულებენ ჯრუჭში ხარით სამუშაოდ გასვლას [37, ფ.1].

რუსული მმართველობის დროს წლებთან ერთად მკვეთრად შეიცვალა წერეთლების დამოკიდებულება მონასტრისადმი. ნესტორ, მიხეილ, ბერი, პაპუნა, გიორგი, სვიმონ და დავით წერეთლებს დაკისრებული ჰქონდათ ჯრუჭის მონასტრისათვის ყოველწლიურად ხელფასის სახით 700.45 მანეთის გადახდა, რასაც ისინი თავს არიდებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით იმართებოდა სასამართლო პროცესები. იმის გამო რომ წერეთლები არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და უსაშველო მდგომარეობაში ჩავარდნილ მონასტერს ერთი თვის საზრდოც აღარ გააჩნდა, არქიმანდრიტი სერაპიონი 1874 წელს ეპისკოპოსს თხოვდა, გამოეყოთ ჯრუჭის მონასტრისათვის

სესხის სახით რვაასი მანეთი [39]. ძმათა კრებულისათვის ყოველწლიურად 700. 45 მანეთის გადახდის შესახებ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ 1872 წელს მონასტრის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება წერეთლებმა გაასაჩივრეს; 1885 წლის 26 იანვარს თბილისის სასამართლო პალატამ განაჩენი ძალაში დატოვა და დაავალა ადგილობრივ პოლიციას და სამხედრო უწყებას, დახმარებოდნენ სასამართლოს აღმასრულებელ პრისტავს გადაწყვეტილების შესრულებაში [4]. წერეთლები ჯიუტად არიდებდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. საქართველოს სინოდალური კანტორის მოთხოვნის საფუძველზე, 1892 წლის 5 დეკემბერს გაბრიელ ეპისკოპოსი ჯრუჭის არქიმანდრიტ სვიმონს წერდა, რომ 700.45 მანეთის გადახდის უზრუნველსაყოფად, წარედგინა იმ მამულების სია, რომლებიც სოლომონ მეფემ აჩუქა წერეთლებს და ამის სანაცვლოდ დაეკისრათ ჯრუჭის მონასტრის შენახვა. ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ თუ ამ ადგილების დადგენა ახლა ძნელია, აღწერეთ ის მიწები, საიდანაც წერეთლები საზრდოს აძლევდნენ მონასტერს, ვიდრე ეს ხარჯი ფულზე შეიცვლებოდაო [5]. 1891 წლის 21 მაისს არქიმანდრიტი სიმონი წერს, რომ მონასტრის ვალში აღწერილია წერეთელთა მამულები. ღარიბმა პაპუნა წერეთელმა სიტყვით დადო პირობა. მიხეილ, სიკო და გიგო წერეთლებმა კი იმერეთის ეპარქიის მმართველობასთან მოლაპარაკებით შეადგინეს ხელწერილი, რომლის საფუძველზეც მათ მამულებზე ვაჭრობა აღარ იმართება. ხელწერილი დაცულია ეპარქიის კანცელარიაში [41]. 1911 წლისათვის, როგორც არქიმანდრიტი გრიგოლი წერს, მონასტერი ვერ ეღირსა წერეთლებისაგან ჯამაგირის გადახდას და საქმე კვლავ ვექილს ჩაჰბარდა [45].

ჯრუჭის მონასტრისა და გლეხების ეკონომიკურ ურთიერთობებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ცვლილებები მოხდა. 1851 წელს ჯრუჭის მონასტრის ყმა, გვარად ჩილუნაძე გარდაიცვალა და ვინაიდან, წინამძღვარ ნეოფიტეს აზრით, „ჯრუჭის მონასტერი ფლობს ყმასა და მამულს ბატონყმურსა წესსა ზედ“, გარდაცვლილის ქონება მონასტერს უნდა დარჩენოდა. მიცვალებულის გათხოვილმა ქალიშვილმა სასამართლოში იჩივლა. ეკლესიის არგუმენტი მდგომარეობდა შემდეგში: „კანონთა მეფის ვახტანგისათა აღარ აქვს სიმართლე გათხოვილსა და გამზითვებულსა ყმის ქალსა მოთხოვნად დანაშთენისა მამისა თვისის“. ვახტანგის სამართალი უკვე აღარ ქრიდა. მონასტერმა სასამართლოში საქმე წააგო [30, ფ.3–29].

ჯრუჭის მონასტრის ყმები – ძმები ტიმოთე და გიგო გოგიბერაშვილები ჯრუჭის მონასტრის მიერ დაბეგრილნი იყვნენ ყოველწლიურად ორ-ორი თუმნით (ისინი იყვნენ ყმის – ივანე გოგიბერაშვილის შვილები და მამის სიკვდილის შემდეგ ობლები დავით მიტროპოლიტმა თბილისში თერძს მიაბარა ხელობის შესასწავლად). დავით მიტროპოლიტის გარდაცვალების შემდეგ, მამა ნეოფიტეს სიტყვებით, გოგიბერაშვილები დადიან „თავის უფლად და არავითარი სამსახური აქვს მათ მიერ მონასტერს... შეუმზავსებლის სიცრუით აღმშენებულის საფუძველით შეიცვალეს გლეხკაცობის გვარი ბერიძედ და ცდილობენ დაამტკიცონ თავისი აზნაურობა“. 1856 წელს, როცა საქმეში მილიცია ჩაერია, ძმებმა განაცხადეს, რომ მათთვის ეკლესიას მიწა არ მიუცია და ამიტომ ვერ იხდიან ფულს. 1862 წელს ეკლესიამ გამოუყო მიწა იჯარით ქუთაისელ თერძს – გიგო ბერიძეს და ამ უკანასკნელს წელიწადში თითო თუმანი ვერცხლისა უნდა გადაეხადა, აგრეთვე, პირადი სამსახურის ნაცვლად, მონასტრისათვის უნდა მიეცა ხუთ-ხუთი მანეთი ყოველწლიურად [ 38, ფ.3].

დავით მიტროპოლიტი ერთ ხელოსანს მონასტრის შესაკეთებლად ამუშავებდა და თვეში ოცდაათ მანეთს აძლევდა ტანსაცმლის ფულად. მამა ნეოფიტეს გამოუყვია მისთვის ნაკვეთი, ამიტომ ხელოსანი ფულის სახით ანაზღაურებას ერთგულად მსახურებისათვის აღარ ღებულობდა [33, ფ.8]. მონასტრის კუთვნილ მიწაზე იყო აგრეთვე, დასახლებული ყმა გოგინა გველებიანი, რომელიც უწინდელ ბატონს – ლანდიას შეუფინრობია. 1856 წლისათვის გველებიანების ოთხ სულიანი ოჯახიდან ერთი მამაკაცი მთაში იყო გამწესებული მეჯოგედ, მეორე – ადგილზევე მეჯინიბედ [33, ფ.10–12].

მოცე საუკუნის დასაწყისში მონასტერს ჰყავდა ისეთი მსახურები, რომელთაც პირობის თანახმად გარკვეულ თანხას უხდიდა. მაგალითად, 1901 წელში ივანე ზაბახიძემ და ვარდენ მამულაშვილმა, თავისი შვილები მოჯამაგირედ დაუყენა მამა ნიკიფორეს, რის გამოც წინამძღვარს ზაბახიძისათვის ას ოცი მანეთი უნდა მიეცა და მამულაშვილისადმი – ორმოცდათორმეტი. მსახურის ჩაცმა-დახურვა ეკლესიას არ ევალებოდა [24, 25].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მონასტრის მეურნეობის მართვაში ძირეული ცვლილებები განხორციელდა. ამ პერიოდიდან მკვიდრდება არენდის ფორმა.

1865 წლიდან გლეხი გადაბრელიძე ვალდებული იყო თორმეტი წლის განმავლობაში წისქვილის იჯარით ალების გამო სამი თუმანი გადაეხადა მონასტრისათვის და გაერემონტებინა შენობები. არენდატორმა პირობა არ შეასრულა და 1880 წელს წისქვილი სასამართლოს ძალით დაატოვებინეს [40, ფ.52].

1875 წლის 16 მარტს გიორგი სივსივადის მიერ დადებული პირობის თანახმად, ეს გლეხი 4 წლის ვადით ლეზულობდა 3 ნაკვეთ საყანე მიწას, სადაც იმუშავებდა თავისი ხარით და მონასტერში მიიტანდა მოსავლის მესამედს. პირობის დარღვევის შემთხვევაში ჩამოერთმეოდა ეს საყანე მიწა [6].

1899 წელს ჯრუჭის მონასტრის ერთ-ერთი დუქანი დაიქირავეს მარგველაშვილმა და ზვიადიძემ 4 წლის ვადით. მათ კვარტალში ერთხელ უნდა გადაეხადათ 16, 67 მანეთი (წელიწადში 50 მან.). თუ ფულს დანიშნულ დროზე არ ჩააბარებდნენ, დაჯარიმდებოდნენ 20 მანეთით. 4 წლის განმავლობაში ისინი პასუხისმგებელი იყვნენ დუქნის რემონტზე. იმერეთის ეპარქიაში ყოველწლიურად შედიოდა საბუთი, სადაც აღწერილი იყო მონასტრის შემოსავალი ამ დუქნიდან [7]. 1888–1890 წლებში ქუთაისის „დიდი დუქნიდან“ მონასტერი ყოველწლიურად ლეზულობდა 266, 67 მანეთს [8]. ჩვეულებრივ, ქუთაისში მდებარე დუქნებიდან შემოსული ფული ეპარქიის „სეკრეტარის“ მიერ იგზავნებოდა ჯრუჭში და თან ერთვოდა სია, სადაც ნაჩვენებია იყო, თუ როგორ უნდა გაენაწილებიათ ეს თანხა; 1856 წლის საბუთში ვკითხულობთ: „ქუთაისის დუქნიდან შემოსული ას სამოცდახუთი მანეთიდან წინამძღვარ ნეოფიტეს – 20 მან., ბლალოჩინ ოქროპირს – 20 მან., მღვდელმონაზონ იუსტინეს – 20 მან., ათანასეს – 15 მან., იასონს – 15 მან., სერაპიონს – 15 მან., გაბრიელს – 15 მან., მწირ ბერ მელქისედეკს – 17 მან., მორჩილ ბესარიონს – 10 მან., მორჩილ ალექსის – 10 მან., მონაზონ სოფიოს – 6 მან., ეკატერინას – 6 მან., დანარჩენი 6 მანეთი ვერცხლითა – მეჯინიბეთ, ხელოსანთ და მსახურთა, გამგებლის შეხედულებისამებრ, დაურიგდეს ქალამნის ფასად“ [35,ფ.2].

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია საბუთი [23], რომელშიც მკაფიოდაა ასახული, მონასტრისა და არენდატორთა ეკონომიკური ურთიერთობები: 1895 წლის 15 მარტს სოფელ ცხომარეთის გლეხებმა: გლახუა, იოსება, ზაქარია, სამსონა, ისაია და ონისიმე სივსივადიძეებმა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვართან, არქიმანდრიტ ბენიამენტან დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც: 1) მონასტრის კუთვნილ მიწაზე დაამზადებდნენ კრამიტს სამი წლის განმავლობაში (ყოველწლიურად, პირველი მაისიდან სექტემბრის დამლევამდე). ეს გლეხები თავიანთი ხარჯით დაიქირავედნენ კრამიტის ხელოსანს, რომელიც იმუშავებდა მათთან სამი წლის მანძილზე. თუ მეკრამიტე ნავილოდა, უნდა მოეყვანათ სხვა გამოცდილი ხელოსანი. 2) მონასტრის ქარხანასთან სივსივადიძეებს უნდა ჩაეტანათ მონასტრის სამოთახიანი ხის ნაგებობა. სამი მათგანი ხელოსანთან ერთად იცხოვრებდა ამ ხის სახლში ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ყოველი წლის მაისიდან ოქტომბრამდე. 3) სივსივადიძეებს უნდა გაეკეთებიათ დიდი და მკვიდრი კრამიტის გამოსაწვავად ქურა, რომელშიც გამოიწვებოდა, სულ ცოტა, ორი ათასი კრამიტი. 4) საკრამიტე მიწა უნდა მოეტანათ მონასტრის კუთვნილი მიწიდან. შეშას მოჭრიდნენ მონასტრის ტყეში, წინამძღვრის მიერ მითითებულ ადგილზე. შეეძლოთ შეშად ეხმარათ, აგრეთვე, წყალდიდობის დროს მდინარე ჯრუჭულას მიერ გამორიყული ხეები. 5) მიწის მოსატანად პირველ წელს მეოთხედ წილში

ინათხოვრებდნენ მონასტრის ხარს. მეორე წელს სივსივადეებს მონასტრის ფულით უნდა ეყიდათ ერთი უღელი ხარი, რომელსაც მხოლოდ კრამიტის საჭიროებისათვის ამუშავებდნენ. ზამთარში ხარის შენახვა ევალეობდა მონასტერს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ეს უღელი ხარი უნდა დაებრუნებიათ მონასტრისათვის. თუ მოუვლელია და ან დაუზოგველი მუშაობით ხარს რამე მოუვიდოდა, ხარის საფასურს სივსივადეები გადაუხდიდნენ მონასტერს. 6) კრამიტზე მუშაობა სივსივადეებს უნდა ეწარმოებიათ ბეჯითად და ერთგულად. თითოეული კრამიტის ქურიდან გამოღებას დაესწრობდა მონასტრის წინამძღვარი, კრამიტის რიცხვის ანგარიშსაც გლეხები და წინამძღვარი ერთდ აწარმოებდნენ. კრამიტი უნდა ყოფილიყო საუკეთესო, მყიდველს წუნი ვერ უნდა დაედო. 7) მონასტერი სივსივადეებს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ყოველ წელს მისცემდა ათ კოდ სიმინდს. გარდა ამისა, სივსივადეებს უფლება ჰქონდათ დაემუშავებინათ მონასტრის ორი ნაკვეთი ყანა. სამი წლის შემდეგ ამ ადგილებს სივსივადეები დაუტოვებდნენ მონასტერს. 8) სივსივადეები ვალდებული იყვნენ მონასტრისათვის მიეცათ კრამიტის გაყიდვიდან აღებული თანხის ნახევარი. 9) სივსივადეებს მონასტერი არ უნდა დაეზარალებინათ. ისინი არ შეეხებოდნენ მონასტრის ნიგვზებს, არ ითევზავებდნენ და არ მოსჭრიდნენ ხეებს მონასტრის ადგილებში. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სივსივადეები გადაიხდიდნენ ჯარიმას 500 მანეთის ოდენობით და ქარხანას, კრამიტის დასაწყობ ას ფიცარს, ქურას, ბოსტანს ქარხანასთან და სამოთახიან სახლს დაუტოვებდნენ მონასტერს.

1903 წლის საბუთით ჩანს, რომ გლეხი, რომელიც დასახლებული იყო მონასტრის კუთვნილ მიწაზე, იჯარის სახით მოსავლის მესამედს აძლევდა კრებულს [44, ფ.2].

1905 წლის თებერვალში წინამძღვარი ნიკიფორე ეპისკოპოსს წერდა, რომ სოფელ ქორეთში ვენახი და სახნავი მიწა ხელშეკრულებით გაცემულია საიმედო მუშებზე, რომლებიც მოსავლის ნახევარს აძლევენ მონასტერს. იჯარით ამუშავებენ, აგრეთვე, ნისქვილს სოფელ კალაუთაში. წინა წლებში ამ ნისქვილიდან შემოდოდა ას ორმოცდაათი ფუთი სიმინდი, ახლა კი მოიჯარადე მონასტერს აძლევს ოთხას ოთხმოცდაათ ფუთ სიმინდს [44, ფ.2]. არქიმანდრიტ ნიკიფორეს წინამძღვრობისას ყმა-გლეხებთან ურთიერთობის ძირითადი ფორმა იჯარაა. 1905 წლის 11 ივლისს ხელშეკრულება დადეს წინამძღვარმა და სოფელ უზუნთის გლეხებმა: გერმანე, საბა, მარკოზა ქამუშაძეებმა, პავლე ბრეგვაძემ, ლევან კობახიძემ, დავით ტყემალაძემ, პეტრე მაჩაიძემ და პავლე კაპანაძემ. კონტრაქტის თანახმად, გლეხებმა იჯარით აიღეს მონასტრის მიწა, სახელწოდებით „კეცები“, სათიბებითა და ალაგ-ალაგ ბუჩქნარი ტყით. ისინი ამ ადგილს, თავიანთი შეხედულებისამებრ, 1914 წლამდე დაამუშავებდნენ. ხელშეკრულების თანახმად, მათ ყოველწლიურად უნდა გადაეხადათ 80 მანეთი, ე. ი. 9 წლის განმავლობაში 720 მანეთი. ვადის გასვლის შემდეგ ისინი გამოვიდოდნენ „კეცებიდან“, მონასტერი მათ ამ მიწას 9 წლის განმავლობაში ვერ ჩამოართმევდა. პირობის დამრღვევი გადაიხდიდა ჯარიმას 100 მანეთის ოდენობით [26].

არენდით მიწების გაცემის პრაქტიკას უარყოფით შეფასებას აძლევს იმ დროისათვის ქელიშის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია. მას, იმერეთის ეპარქიის მამათა მონასტრების სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობის აღსაწერად, სინოდის 1901 წლის 25 სექტემბრის მითითების საფუძველზე, 1902–1903 წლებში დაევალა გელათის, კაცხის, ჯრუჭისა და მონამეთის მონასტრების რევიზია. არქიმანდრიტმა ამბროსიმ 1903 წლის 18 ივლისს რევიზიის ანგარიში წარუდგინა ეპისკოპოს ლეონიდეს. ამ ანგარიშს მიაკვლია, შეისწავლა და 2003 წელს გამოაქვეყნა მ. კეზევაძემ [43, ფ.21–71; 55, გვ. 241–261]. ამბროსი ხელაია დაწვრილებით განიხილავს ჯრუჭის მონასტრის შემოსავლის წყაროებს. მისი აზრით, იმერეთის ეპარქიის მონასტრების მეურნეობის მართვის პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები ყველა მონასტრის და, მათ შორის, ჯრუჭის მონასტრის ეკონომიკას უკან ხევს. ამბროსი ხელაია ასაბუთებს, რომ ჯრუჭის ტყის, სახნავ-სათიბებისა და ვენახების იჯარით გაცემა საბოლოოდ მონასტრის მეურნეობას უკიდურესად დააზარალებს. მისი

აზრით, რომ არა არენდა, ჯრუჭის მონასტერი გაცილებით უფრო მდიდარი იქნებოდა. რევიზიის ანგარიშში მითითებულია ისიც, რომ სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში, ქუთაისის შემნახველ სალაროსა და ქიათურის საფოსტო-სატელეფონო კანტორის შემნახველ სალაროში არის ჯრუჭის მონასტრის ფასიანი ქაღალდები, მაგრამ სარგებელი მონასტერს თითქმის არ აქვს, რადგანაც პროცენტები დროულად არ ირიცხება. ამბროსი ხელაიას აზრით, არენდატორებზე მკაცრი კონტროლის უქონლობა და წერეთლების მხრიდან ხელფასის გაუცემლობა არის ერთ-ერთი საფუძველი წინამძღვარსა და ძმათა კრებულს შორის ეკონომიკურ ნიადაგზე არსებული დაპირისპირებისა. მას მიაჩნია, რომ უნდა შემცირდეს ჯრუჭის მონასტრის შტატი და სჯობს, სამი იერო მონაზონი და ერთი იერო დიაკვანი გადაიყვანონ მონამეთის მონასტერში, სადაც გაცილებით მეტი მლოცველი დადის, ვიდრე – ჯრუჭში.

ამბროსი ხელაიას ვრცელი ანგარიშიდან კარგად ჩანს, რომ ოდესღაც ეკონომიკურად ძლიერი მონასტერი საგრძნობლად გაღარიბდა. რუსეთის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ საქართველოს ეკლესიას საარსებო ნიადაგი გამოაცალა. ჩვენ მიერ მიკვლეული საარქივო საბუთები თვალნათლივ ხატავს, თუ როგორ თანდათან მცირდებოდა ეგზარქოსობის პერიოდში ჯრუჭის მონასტრის წლიური შემოსავალ-გასავალი: „ჯრუჭის მონასტრის შემოსავალი 1853 წელს: ყმებთაგან ბეგარა პური შემოვიდა 249 კოდი; მონასტრის ხოდაბუნებთაგან პური – 400 კოდი; სიმინდი – 500 კოდი, ყმებთაგან ბეგარა ქერი – 10 კოდი; ლობიო ხოდაბუნებთაგან – 80 ბათმანი; ყმებთაგან ბეგარა ღვინო – 600 კოკა; ცხომარეთს და მოსალოცავზედ – 100 კოკა ღვინო; ზვრებისაგან ჯრუჭისა – 600 კოკა ღვინო, აგრეთვე ქორეთს – 60 კოკა ღვინო, ყმებთაგან ცხვრები – 4; ქათამი – 254; ყმებთაგან ბეგარა ყველი – 36 ჩარეკი; დუქნებისაგან ფული – 281 მანეთი; რაჭის უეზდის ყმებთანგან ბეგარა – 30 მანეთი; გორის უეზდის ყმებთანგან ხარჯი – 7 მანეთი. ჯრუჭის მონასტრის გასავალი 1853 წლისათვის: ეს პური და ღვინო დაიხარჯა მონასტერში კრებულთა მონასტრისათა, სტუმართა ზედა, ჟამსა შემოსვლისა მონასტერში თავადთა წერეთელთა და მუშათა ზედა შენობის, პურისა, სიმინდისა და ზვრებთა მონასტრისათა. ქათამი და ცხვრები დაიხარჯა ჩვეულებისამებრ სტუმართა და მუშაკთა მონასტრისათა; ქუთაისის დუქნებზედ შესაკეთებლად დაიხარჯა: კოკონაშვილს მიეცა – 21 მან. მიხაილ ბერძენს კალატოზს მიეცა ქვების დაფენის ფასათ 22მან., დუქნისა მოსამატებლის ადგილის ფასათ – 30 მან., ბუხრის აღშენებისათვის ქირა – 8 მან; მღვდელს ნაცვალოვს აგურის ფასათ – 16 მან., ორი ბუხრის სახურავის ფასათ – 22მან. 40 კაპ, მედუქნეს დაეხარჯა თახჩის, ფანჯრების და გაჩის გასაკეთებლად და შპალერის ქაღალდისათვის 8 მან. 10 კაპ., სეკრეტარს ბესარიონ ლოლობერიძესთან არის გაღმა დუქნის გადასახურად 12 მან.; სხვადასხვა დროს დაიხარჯა თევზის და ყველის ფასათ ძმათათვის მონასტრისათა 15 მან., ხოლო მწყემსებისათვის პირუტყვთა და მოსამსახურეთა მონასტრისათა ტანისამოსზედ თუ ქალამანზედ – 3 მან, ათი ცხვრის ტყავი მოვაკუპრინე – 3 მან. რკინა და ფოლადი – 5 მან, ქაღალდი და ლაქი – 1 მან. დანაშთენი ოთხმოცდათექვსმეტი მანეთი გარდაეცა მღვდელმონაზონ იუსტინეს შესანახავად მონასტრისთვის; კნენინა აგიაშვილის ერთი უღელი კამეჩი ნატალია გრიგოლ წერეთლის ასულმა ნაიყვანა ქუთაისიდან; ხარი და ძროხა დაიკლა მონასტერში დღესასწაულთა ზედა მუშაკთათვის ხუთი ამ წელში და აგრეთვე თხა და ღორი 10“ [32,ფ. 1]. 1873 წლისთვის წინამძღვარს ჯამაგირად ეძლეოდა 400 მან, ეკონომოსს 100 მანეთი. რვა მღვდელ-მონაზონს – 80-80 მანეთი, ორ იერო დიაკვანს – 40-40 მანეთი. სამ მორჩილს – 4-4 მან. ეკლესიის რემონტისათვის გამოყოფილი იყო 10 მან. ხაბაზის, მზარეულის, ორი მეჯოგის, ნახირის მწყემსისა და მებაღისათვის – 430 მან. ზედაშისა და სეფისკვერისათვის – 100 მან. მთლიანი ხარჯი შეადგენდა 1770 მანეთს [ 39, ფ. 12]. 1875 წელს მონასტერმა „ფულად მიიღო 623 მან და 25 კაპ. ხორაგი: პური – 41 კოდი, სიმინდი – 130 კოდი, ღვინო – 80 კოკა, ნიგოზი – 11 კოდი და სრულიად ხორაგი – 262 კოდი“ [39,ფ.27]. 1911 წლისათვის შედგენილი შემოსავალ-გასავლის

საბუთის მიხედვით, მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა ამგვარია: „შემოსავალი: ხაზინიდან – დარჩენილა ნაღდათ 19 მან. 18 კაპ., სალაროს წიგნაკით – 293 მან. 89 კაპ., ყულაბიდან – 6 მან. 90 კაპ., წმინდა მოგება სანთლისგან – 282 მან. 67 კაპ., მამულებიდან – 1493 მან. 74 კაპ., შემონირულება – 00, ფულის სარგებელი - 37 მან. 22 კაპ., წვრილი შემოსავალი – 301 მან. 15 კაპ. და სრულად შემოსულა 1867 მან. 66 კაპ., შემოსული და გადანარჩენი – 2130 მან. 75 კაპ., ეპისკოპოსებს შესანახად 00, ძმათა ჯამაგირები – 1203 მან. 71 კაპ., მონასტრის რემონტი და შესანახი – 494 მან. 96 კაპ., სეფისკვერი, საკმეველი, ზეთი-33 მან. 70 კაპ., წვრილი ხარჯები – 169 მან. 70 კაპ., (კანცელარიაზე, სემინარიაზე, ქალების სასნავ). სრულად დახარჯულია 1942 მან. 7 კაპ., 1 იანვრისათვის რჩება ნაღდი 7 მან. და 57 კაპ., ბილეთითურთ 181 მან. 17 კაპ. და სრულად 188 მან. 68 კაპ.“ [22].

XX საუკუნის ათიანი წლებიდან კიდევ უფრო მძიმდება მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა. პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით მეტად რთული პროცესები მკვეთრად აისახა ჯრუჭის მონასტრის ეკონომიკაზე. 1918 წელს გლეხებისა და ჯრუჭის მონასტრის ურთიერთ-დამოკიდებულებას ნათლად ახასიათებს არქიმანდრიტ პავლეს მიერ ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონისადმი გაგზავნილი მიმართვა, რომლის თანახმადაც, წინამძღვრის ნებართვის გარეშე, ორი თვის განმავლობაში მონასტრის მუხის ტყეს ჩეხდა ცხომარეთელი, უზუნთელი, და ქვემოხვეელი შვიდი გლეხი. დაბა საჩხერის რაიონის კომისარმა და საადგილმამულო კომიტეტმა ისინი არ შეაჩერა. გაჩეხეს ოთხი ქცევა ფართობი, დათესეს სიმინდი, ჩუმად ამზადებდნენ და გაჰქონდათ ძვირფასი მუხის მასალა. საადგილმამულო კომიტეტმა მონასტერს ჩამოართვა საჩხერეში მდინარე ყვირილაზე მდებარე წისქვილი და სოფელ ქორეთში ვენახი სახნავი მიწით, რომლებიც მოიჯარადეებზე იყო გაცემული. მონასტრის ბერები ნახევრად მშვივრები და შიშვლები არიან. მცირე საწირავისა და ჯამაგირის შემყურე ბერები შიმშილით სიკვდილისათვის გაიწირნენ. უპუროდ და უფულოდ მონასტრის არსებობა შეუძლებელი გახდა. ყოველივე ამის გამო არქიმანდრიტი პავლე ეპისკოპოსს თხოვდა, მიეღო ზომები, რომ მონასტერი დაცული ყოფილიყო ძალმომრეობისაგან და კუთვნილი იჯარა აეღო [46, ფ.2].

ქართველი ხალხი დედაეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ქვეყნის ბედის სასიკეთოდ შემობრუნებას უკავშირებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა. ს. ვარდოსანიძე წერს: „საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ თავისი მმართველობის პერიოდში ბოლომდე ვერ გაარკვია მისი ეკლესიისადმი ნდობის საკითხი და, ფაქტიურად, თავისი მმართველობის მეთოდებით მის წინააღმდეგ გამოვიდა. მათ არ გაიაზრეს საქართველოს ისტორიული გამოცდილება, რომ ქრისტიანული საქართველო ოდითგან მოვალე იყო თავისი ეკლესიისათვის ნდობა გამოეცხადებინა, რადგან ეს უკანასკნელიც მისი სიძლიერისათვის მებრძოლი იყო. საქართველოს ისტორიაში ეს ნდობა არა იურდიულ მოვალეობას, არამედ ზნეობრივ პრინციპებს ემყარებოდა“ [51, გვ.23]. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) მთავრობის თავმჯდომარეს – ნ. ჟორდანიას მოაგონებდა „საქართველოს ეკლესია უმთავრესი და უთვალსაზრისო ფაქტორია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენს ეკლესიას განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის იმ პირობების შექმნაში, რომელთა მეოხებითაც დღეს ჩვენს სამშობლოს დაჰყურებს ეროვნული დროშა და სახელმწიფოებრივ ღვაწლს ეწევა ჩვენს დედაქალაქში დამფუძნებელი კრება“ [16]. 1918 წლის 26 ოქტომბერს საკათალიკოსო საბჭოს წევრი კ.ცინცაძე შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ითხოვდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებს დაბრუნებოდა კუთვნილი კარ-მიდამო, ბალ-ვენახები, სახნავ-სათესი მიწები და სათიბები [9 ფ.26]. ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა. მთავრობის სპეციალური დეკრეტით ეკლესია-მონასტრებს რაც შემორჩენილი ჰქონდა, ის მიწები, ტყეები და წისქვილები ჩამოართვეს [51, გვ.42]. „მინის რამე ნორმაც კი არ დაუტოვეს მონასტერს, რომ ეარსებათ ჩემდამი რწმუნებული მონასტრის მოხუცებულ ბერებს. დიდ გაჭირვებასა და აუტანელ მდგომარეობაში ვართ, ამისათვის განვიზრახეთ მივმართოთ თხოვნით

მორწმუნე ერს, რომ შემოგვანიონ მონასტრის სეფისკვერისათვის პურის ხორბალი და ზედაშისათვის ღვინო. დიდი სიმდაბლით მოვასხენებ თქვენს მაღალ მეუფებას, ნება მისცეთ ჩემდამი რწმუნებულ ჯრუჭის მონასტრის ილუმენებს ბესარიონსა და დომენტის და მწირ ბერს ისიდორეს, რომ წავიდნენ კახეთში და მოითხოვონ მონასტრისათვის სასეფისკვერე პურის ხორბალი“, – ამ მიმართვაში, რომელიც არქიმანდრიტ პავლეს მიერ ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარისადმი იყო გაგზავნილი, სტრიქონებს შორის იკითხება ის საშინელი მომავალი, დღე-დღეზე რომ ელოდა ჯრუჭის მონასტერს, მიტროპოლიტ ნაზარს და, საერთოდ, საქართველოს ეკლესიას [47, ფ.1].

1921 წლის თებერვლიდან საქართველოს ეკლესიის ისტორიაში უმძიმესი პერიოდი დაიწყო. ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, აწამებდნენ და ხვრეტდნენ სასულიერო პირებს, ძლივს აღდგენილი ავტოკეფალია კვლავ სანატრელი გახდა. 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. ამ დადგენილებით ეკლესიამ დაკარგა საკუთრების უფლება. ქვეყანა რეპრესიებმა მოიცვა. ისევე როგორც ბევრ სხვა ეკლესია-მონასტერში, ჯრუჭში ღვთისმსახურება 1923 წელს აიკრძალა. ბერებს იქაურობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც არ მიუტოვებიათ; წყაროს მითითების გარეშე ი. გუნია წერს: „1926 წელს ჯრუჭის მონასტერი დაარბია ქუთაისისაკენ მიმავალმა წითელარმიელთა მარბიელმა ლაშქარმა. ისინი ფიზიკურად გაუსწორდნენ აქ მყოფ ბერებს, რომელთაგან ზოგი დახოცეს, ზოგმა კი ტყვეს შეაფარა თავი (გადარჩა მხოლოდ ერთი ბერი თეოდორე)“ [50, გვ.153]. ჯრუჭის მონასტერი, რომელიც სახელგანთქმული იყო არა მარტო თავისი საგანძურით, არამედ მდიდარი მეურნეობით, ათეული წლების განმავლობაში გაპარტახებული რჩებოდა.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

### I. წყაროები:

- საქართველოს ეროვნული არქივი

ა) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, №489 ფონდი:

საქმეები:

- 1) 116
- 2) 2628
- 3) 38678

ბ) ძველ საბუთთა დედნების კოლექცია, №1448 ფონდი

საქმეები:

- 4) 9477
- 5) 9479
- 6) 9485
- 7) 9487
- 8) 9500

გ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, №1863 ფონდი, საქმე:

- 9) 679

- საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,

ა) ყოფილი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ქართულ დოკუმენტთა კოლექცია:

- 10) ჭდ 1329

ბ) წერეთლების ფონდი №36

- ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის ფონდი, საბუთები:

11) №54, 80, 90

• გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის ფონდი, საბუთები:

12) №144

13) №222

14) №228

15) №289

• საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ფონდი

16) საქმე 6443

• ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება

ა) ისტორიულ საბუთთა კოლექცია:

17) 42

18) 99

19) 153

20) 627

21) 645

ბ) საარქივო მასალები

• იმერეთის ეპარქიის კანცელარიის არქივი №6861, საბუთი:

22) 336

• ჯრუჭის მონასტრის არქივი №6475, საბუთები:

23) 1217

24) 1258

25) 1308

26) 1315

27) 1342

• ქუთაისის ცენტრალური არქივი, იმერეთის ეპარქიალური კანცელარიის ფონდი №21

საქმეები:

28) 3392

29) 3539

30) 5216

31) 5567

32) 5752

33) 5792

34) 5984

35) 6135

36) 7752

37) 8609

38) 12011

39) 12781

40) 12929

41) 18529

42) 20781

43) 21404

44) 22438

45) 24704

46) 27197

47) 27626



## II. ლიტერატურა:

- 48) ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბილისი, 1971
- 49) ი. ა. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი 1962
- 50) ი. გუნია, საქართველოს მონასტრები, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 2005
- 51) ს. ვარდოსანიძე, კირიონ II, თბილისი, 1984
- 52) გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810–1840წწ), ქუთაისი, 1999
- 53) მ. იზორია, „ჯრუჭის სამონასტრო კომპლექსი“ (საჩხერის რაიონი, მდინარე ჯრუჭულას ხეობა), სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, შემსრულებელი – მაია იზორია, შპს „არქიტექსი“, (ხელნაწერის უფლებით დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში), თბილისი, 2011
- 54) ს. კაკაბაძე, „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის“, საისტორიო კრებული, I, თბილისი, 1928
- 55) მ. კეზევაძე, „იმერეთის სამონასტრო ცხოვრება მე-20 საუკუნის დამდეგს მამათა მონასტრების 1903 წლის რევიზიის ანგარიშის მიხედვით“, საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო კრებული „საისტორიო მოამბე“, №75–76, 2002–2003
- 56) ბ. ლომინაძე, „საქართველოს მართლმადიდებელის ეკლესიის მინათმფლობელობა ძველი დროიდან XX ს-მდე (1917წ.)“ (ზოგადი მიმოხილვა), ქუთაისი, 1997
- 57) ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917–1921 წლებში, თბ. 2000
- 58) საქართველოს იმედი, წმინდა ილარიონ ქართველი, წიგნი XIX, შემდგენელი კ.კენკიშვილი, თბილისი, 2013
- 59) გ. ტყეშელაშვილი, ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, ქუთაისი, 1996
- 60) ზ. ჭიჭინაძე, „ქართველი ებრაელები საქართველოში“, თბილისი, 1990
- 61) ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, გამოცემა დეკ. დ. ლამბაშიძისა, ტფილისი, 1891
- 62) Акты Кавказской археографической комиссии, VI, ч. I, Тифлис, 1874
- 63) П. Гнилосаров, Очерки из жизни Митрополита Давида. Кавказский календарь на 1854 г., Тифлис, 1853г
- 64) Статическое описание губернии и области Россиской империи, ном. Кавказский край. часть 5. Кутаисское геренал-губернаторство, Санкт-Петербург. 1858г.

MAIA KEBULADZE

### **Jruchi Monastery's Socio-economic History (XVIII-to 20 years of XX century)**

The Jruchi Monastery was distinguished for the with its economic power from the XVIII century. The duties of big farms and peasant serfs were regulated by the Monks Assembly under the leadership of the Monastery's Father Superior. Unfortunately, the historical documents of the medieval era were not survived which would enable us to review the organizational structure of the Jruchi Monastery of that period and the peculiarities of the management of the farm by the Assembly. In general, the church land ownership system, first of all, implies solving the most important economic and social issues. According to Babilina Lominadze, «management and ownership of property in the church (episcopacy and monastery) was collective. In the monastery, management was carried out by the Father Superior jointly with the elder brothers, and the income was distributed among the brothers (monks), according to their ranks and positions they held [56, p. 16]. Therefore, before proceeding to

issues relating to the Jruchi Monastery's socio-economic history, we should note in short that in the XIX century, during the Exarchate, according to the documents we have found, in the "Assembly" or «Brotherhood», there were mentioned: the Father Superior (mostly with the rank of the archimandrite), monk-priest, monk-deacon, novitiate, ten monks in all on average, one of whom had responsibilities of „economos”, and he maintained the register of expenditures and incomes. It is noteworthy that many reputed ecclesiastical persons have acted in Jruchi: Metropolitan Ioane Gabashvili, monk-priests: Mate, Neofite, Iustine and others. In the book, «The life of St. Ilarion Kartveli (Georgian)», which was written by monk-priest Anton Mtatsmindeli and then supplemented by new material by K. Kenkishvili, without specifying the source, there is indicated that during a certain period, in Jruchi, there were acted archimandrite Geronti Sologashvili (spiritual father at a court of Erekle II) and Ilarion New Georgian (monk from Athos recognized as a saint, spiritual father of Solomon II and Queen Mariam) [58, p. 14]. During the period from the abbacy of Metropolitan David until 1875, three nuns lived in the Jruchi Monastery. By 1875, Mgvimevi was no longer the fathers' monastery. Despite old age of nuns (they were about 100 years old), in 1875, the Holy Synod demanded to move them immediately to the Mgvimevi Nunnery. Only one nun was alive at the moment of the execution of this decree. [39, P. 7]. According to 1858 data, the Jruchi Monastery is the second-class monastery [64, p. 147], and by 1901 – it is the first-class monastery, and it is among the staffed monasteries and does not receive allowance from the Treasury; it does not have a school (according to the track records, the majority of the monks have learned to read and write, scripture and ecclesiastical chanting in Jruchi. The Jruchi Monastery's Assembly solved all relevant issues in consultation with the Bishop. Besides the Father Superior, in the archival documents, there also appears the head priest of the Shorapani district (Blagochin).

The economic situation in the Jruchi Monastery was directly associated with the country's political life. As the historical documents show, kings Solomon I David II and Solomon II tried to support the Jruchi's farm by the huge donations. They exempted the Monastery's peasants from the state taxes. Catholicoses Ioseb and Maksime concerned about the well-being of the Monastery, but a particular contribution to this cause was made by Dositheos Kutateli. Many noblemen and princes participated in reviving the Jruchi Monastery, and the Tseretelis' Satavado had a particular role to play in this regard. Russian conquest of Georgia and reforms aimed at achieving its colonialist objectives has dramatically changed the situation with the Jruchi Monastery's farm, and the Bolshevik regime has completely ruined out it.

B. Lominadze notes that «the church needed property and income to perform its religious activities (for which it was founded, to prepare people for the second coming of Christ). In the Church, there were carried out the administration of “7 sacraments” (baptism, anointment, repentance, partaking, anointing of sick, holy orders, matrimony), liturgy: divine service, prayer, etc. All these religious services needed candles, honey, bread, chrism, salt, wine, etc. The church could not exist without the “sanctity tools” (chalice and paten, crosses, icons, sacred books, vestments) and the interior decoration” [56, p. 16]. Until the abolition of the kingdom of Imereti, the main source of income for the Jruchi Monastery was mostly the taxes taken from peasants. According to the document dated 1782, one Maisuradze's homestead living in the Tsedisi village had to donate to the Jruchi Monastery: «four jugs of wine, one kodi of bread, two chicken, one little goat worth 20 kopecks» [21]. According to the undated document protected in the Kutaisi Museum, King Solomon started the military campaign in Racha. He was accompanied by Commander Papuna Tsereteli. Khakhua Aronashvili from Oni got lost during this campaign. Papuna bought his freedom for his own money and donated him to the Jruchi Monastery with his wife and children and tax. Khakhua Aronashvili had to bring two liters of candles and six salmons annually (two salmons in a butter week, two – on Annunciation day and two salmons – on Palm Sunday) [17]. Levan Dadiani and his wife - Marta Tsereteli (daughter of

Zurab Tsereteli and Metropolitan David's sister) donated to the Jruchi Monastery throughout the entire year «Shamakhuri» candle and twenty jars of salt [19], and Bezhan Tsulukidze - two sapsalne of wine [20].

In a Charter drawn up by Solomon II in 1809, he listed in detail the duties of the Jruchi Monastery's peasant-serfs [10]. The document indicates the name and surname of each of the peasants and indicates the villages they are from. This Charter clearly shows that various homesteads or persons owed different quantities of bread, wine, barley, chicken, meat, eggs, melted butter, cheese, sauri. The duties included the sefeoba (basically two days a week), training horses, bread-baking, looking after the cattle in winter, stable-keeping. According to this Charter, with a few exceptions, everyone – emancipated serf, crown serf or servant, had to pay the tax in kind. This Charter of Solomon II was published by S. Kakabadze, where in the introduction, he described briefly socio-economic relations between the monasteries and peasant serfs [54, p. 43]. In 1821, General Al. Yermolov, governor-general of Georgia, wrote in his administrative note sent to the senate of the Russian Empire that the Sakhltukxutsesi Zurab Tsereteli participated in the taxes of 130 homesteads paid to the Jruchi Monastery [62, p. 419]. It was not specified how this participation was expressed, but S. Kakabadze writes: «The peasants of the Katskhi Monastery had to pay tax-in-kind (in the form of food) to serf-owners - Abashidzes family. We can assume that similarly to Katskhi, serfs of Jruchi and Mgvimevi had also to pay analogous tax-in-kind» [54, p. 44].

Solomon II's Charter and Papuna Tsereteli's book of donation are also of great interest for the fact that among the Jruchi Monastery's peasant serfs, there have also been listed Jews. One Jewish person who is listed in the Solomon II's Charter is exactly Khakhua Aronashvili, who was freed by the commander Papuna Tsereteli and then was donated to the Jruchi Monastery. The separation of subordinates on the ground of nation, race or confession was not acceptable for Georgian kings and princes. There was no case in the history of Georgia that economic, financial or other difficulties arising in the development of the country were resolved by Georgian kings to the prejudice of the Jewish diaspora, which was so widely spread in other countries (repressions, the charging of contributions, confiscations, outrages, prohibitions on financial activities, etc.) [59, p. 21]. In the consciousness of the Georgian people, the Jewishness has never been equated with the God-sellers. According to Z. Chichinadze, the practice of assignment of Jews to the church has been entrenched since the IX century. [60, p. 23]. Probably the paradox for the whole world is that the Georgian Church patronized and helped the Jewish people in Georgia, protecting their well-being and safety. Due to the ease of taxes, just like the Georgian serf, a Jew wanted to be assigned to the church. According to Solomon II's Charter, the obligation of Daniela Khakhhiashvili to the Jruchi Monastery was to pay four salmons and twenty marchili tetri, but Khakhua Aronashvili's commitment, as we have already mentioned, was to pay two liters of candles and six salmons. The tax was not heavy for the Jews, and it was largely symbolic. There was no privilege from the king, the church or the prince, which was alien to the Jews. The Jews were not isolated in Georgia; according to Georgian legislation, they had absolutely equal rights with other Georgians. German traveler Johann Guldenstedt wrote that the Jews are not persecuted in Georgia. «They are giving and receiving as Georgians» (that is, they are in the same position as Georgian peasants) [49, pp. 187,209]. The unique tolerance was manifested in the fact that the Georgian Church had never forcibly displaced the Jews from its land, and the Jews had donated to the Christian churches not only food and money (in less or equal to Georgian peasants quantities), but also the candles and incense. This is confirmed by a number of historical documents published by G. Tkeshelashvili in his book «Georgian-Jewish Relations» [59, pp. 29-31], including also the book of donations<sup>1</sup> compiled by David II and his wife Ana Orbeliani in 1789. According to this document, they donated to the Jruchi Monastery Moshe Enuakashvili from Kutaisi and his brother [18]. The donation of the Jews from Oni and Kutaisi to the Jruchi Monastery meant that they had to pay the lower tax to the king or prince.

After Russian conquest of Georgia, on 30 June 1811, on an order of the Emperor, the independence of the

<sup>1</sup> This document found by M. Kebuladze is mentioned in our paper, when considering the Jruchi's landholdings issue.

Georgian Church was abolished and it was subordinated to the Russian Synod. Instead of the Catholicos, there was established a position of the Exarchos. On 8 May 1815, the Georgia-Imereti Synodal Office was established in Tbilisi, and on 19 November 1821, there was officially approved the Eparchial Administrative Office of Imereti, which was established on 17 October 1814. The subordination of the Georgian Church to the Russian Church was of great political importance. The main purpose of a new ecclesiastical organization created in Georgia was assimilation of the Georgian nation. The economic situation in the churches and monasteries has changed dramatically. According to B. Lominadze, «Russia has established in Georgia the same rules as in the Russian Empire – the so-called the church staffing table. These changes were manifested in the fact that the church as the owner organization, was deprived of estates, and serfs were put on the payroll. These changes were being made gradually ... On a special order of the Russian King, all real estate property of the church was transferred to the Treasury. Thus, expropriation of the church property (landed estates) occurred. This event was eventually completed on 13 November 1869: Church property was included in state property, and the church peasants were granted the rights of the state peasants. Former church peasants were transferred to the local province government «[56, p. 18].

According to K. Pavliashvili, «one of the leading places in the ecclesiastical and political system of the Georgian Orthodox Church was given to solving the economic problems. The settlement of this issue entailed the reform of the Georgian Church, as a result of which the Georgian Church would be one of the sources of economic power of the entire Russian Empire. The economic status of Georgia's Exarchate depended entirely on property of the Georgian church and it was trying hard to take possession of it. The church reform was aimed at increasing the revenues of the Russian State Treasury through the transition of property of the Georgian Church and increasing the taxes for the population. The measures undertaken by Russian government led to the extreme impoverishment of the Georgian churches and monasteries. By transferring the church funds to the Russian State Treasury, this reform was destroying the economic foundation for the existence of the Georgian Church. All this would result in a complete destruction of the Georgian Church «[57, p 131].

The implementation of church reform in Imereti became part of a bloody political and military history. The church reform had affected all social strata of society. According to G. Vachridze: «The reform was to result in the increase of state revenue not only by transferring property and finds of the church to the State Treasury, but also by increasing the ecclesiastical taxes for the peasant serfs, that is why the peasantry had hostile intent toward this reform. Religious leaders also complained about it, because they had lost source of income, as well as the right to administer and possess independently property of the church. The low clergy were dissatisfied, although it was exempted from serfdom, but its most part, due to reduction of the eparchies, churches and their staff, remained out of the picture. There were also dissatisfied the church noblemen who, as a result of reform, were forced to relocate in the Treasury lands. In a word, all segments of the population were dissatisfied with the reform, and so it was followed by a great popular uprising» [52, p. 236]. N. Berdzenishvili called this uprising the struggle for national independence: «The fight against the church reform, that is, the fight for ecclesiastical independence was the same fight for the political independence, the fight against the «Russianness». The fight against the church reform has become a struggle for the liberation of the homeland» [48, p. 248]. In this hardest time for the country, Zurab Tsereteli and his sons – Grigol and Metropolitan David, were distinguished by their special devotion to a conqueror. Z. Tsereteli constantly appealed to the government to retain all the old privileges and also to give them the new ones [11]; Grigol Tsereteli wrote to the General-Governor of Georgia Ev. Golovin: «I do not think of myself as the Imeretian, but a Russian citizen, and I am trying to adapt my house and my children to the Russian community... I'm ready to serve Russia to the death [12]; Metropolitan David, as one of the influential religious leaders of the conquerors, taught the parishioners to swear allegiance to the Russian Emperor [63, p. 503].

Taking into consideration the “merits” of Zurab Tsereteli and his sons - Grigol and Metropolitan David, the reforms have not affected dramatically the Jruchi Monastery during the lifetime of Metropolitan David. In comparison with other monasteries, the Jruchi was in a privileged position at a glance: the Russian authorities appointed Tseretelis again for caring about the Monastery, the Monastery was not deprived of its landed estates, and the duties of peasant serfs were also not changed significantly at first. The Jruchi was declared as a staffed monastery, and its budget was to be 1700 rubles annually like in the Gelati Monastery «[52, p. 250]. As subsequent events have demonstrated, the economic situation in this «privileged» monastery deteriorated steadily. Tsereteli often did not carry out their duties (due to this, there had been a lot of uncompleted court cases), and the peasants’ attitude had changed as well; B. Lominadze notes that «the relative lightness of the church-monastery serfdom in the epoch of feudalism resulted in attracting the peasants. Among the church peasants, there were a lot of persons, who came willingly and by choice [56, p. 14]. After the Russian reforms, belonging to the category of the church peasants was no longer enviable. The church peasants were often doubly taxed and, often, they even opposed the church.

When discussing the issues relating to the Jruchi Monastery’s farming and income-expenditure, it should be noted that Metropolitan David, the Father Superior of the Jruchi Monastery, as it turns out from archival documents, during a certain period, has also headed the churches and estates in Mravaldzali, Tkviri and Koreti. The Mravaldzali Church<sup>2</sup> and its peasants have been granted to Metropolitan David by Solomon II [61, p. 122], and the Tkviri Church and estates were granted to him by Dositeos Kutateli. As pointed out by Metropolitan David, he had gathered the Tkviri villagers, who were dispersed over the different territories because of trouble and poverty, and had settle them again there. The Tkviri estates were managed by Metropolitan David until these lands, together with the Sachilao’s estates, were put at a disposal of the Ruler of Samegrelo. Metropolitan David writes about the Mravaldzali’s peasant serfs: „Someone turned them against me. For years, they did not accept their duties towards me” [2, P.11]. In the years 1829-30, Metropolitan David, who was transferred to the Samegrelo Eparchy, wrote to the Synod to leave under his leadership, the churches of Mravaldzala, Tkviri, and the Jruchi Monastery, together with their landed estates [2, P.1–20p.]. According to the document protected in the Central Archives of Kutaisi, until 1851, the Koreti’s Uderdzi St. George Church was assigned to the Jruchi Monastery (unsalaried), whose income, candles and money were committed to the Jruchi Monastery’s economos [34 P. 1].

According to the document drawn up on 12 August 1830, the temporary government of Imereti and the Synodal Office reviewed the written document on paying the tax to the Jruchi Monastery, drawn up by Tsereteli in 1789. Captain Shlyarevskiy, in accordance with the decision of the Imereti government, demanded from Tseretelis to fulfill their obligation in its original form [13].

In 1831 Grigol, Svimon, Rostom and Beri Tseretelis, in their written appeal to I.T. Paskevich, the Chief Executive of the Corps of the Caucasus Department, demanded from religious government to exclude the Jruchi Monastery’s peasants from a general census, to enable Tseretelis to care for their family graves and monastery, like in the times of the kings of Imereti. According to them, equating the Jruchi Monastery’s peasant serfs with peasants of Treasury Monastery’s peasants, would reduce the Tseretelis’ incomes, deteriorate the situation of serfs and bring the damage to the Monastery [14].

In the same period (the document is dated approximately 1823-1840 years), Grigol Svimon’s son Tsereteli, in the book of promise about caring Mgvimevi and Jruchi monasteries, indicated that from his family members, his share in the Jruchi Monastery is one sixth, and this share he left for the candles, incense, wick and for fish during fasting; his peasants worked in the vineyards and crop fields without rent; during the large-scale works,

<sup>2</sup> According to legend, the Jruchi Monastery’s main temple – St. George Church, on the north-west, looks at its twin and namesake – St. George Church of Mravaldzala village in Racha (Oni district). They are linked to each other by the ox-cart road, which is still currently used by the people, when they go to the Mravaldzala church a week after the celebration of the Jruchi St. George Church anniversary to complete this celebration.

the Monastery hired temporarily ten men. In addition, in accordance with the one sixth share, he would provide the Monastery with new and additional ecclesiastical items and apparel, as required [15].

On 20 July 1846, Metropolitan David wrote to the head of the Kutaisi district /mazra/: «Unlike other peasants, the Jruchi Monastery's serfs have enjoyed privileges since the establishment of Russian power in Imereti, and they have been absolved of the country council responsibilities; at present, they are equated with the state peasants, because of which they refuse to serve the church. Metropolitan David demanded to exempt the Jruchi Monastery's peasant serfs from a state tax [29, P. 1-2]. With the efforts of Metropolitan David, the Jruchi Monastery retained old forms of relationship with the peasants. According to the document dated 1846, serf did not have the right to leave the Monastery, for example: the baker Nikoloz Kvatadze from the Skhvavi Village ran away and he was searched for in Tbilisi [28, P. 1].

Metropolitan David, working in Imereti or in Samegrelo, always and everywhere cared for the economic well-being of the Jruchi Monastery. In 1847, Archbishop David, when he was the ruler of the Imereti Eparchy, with permission from the Georgia-Imereti Synodal Office, from his own personal income contributed 1000 rubles in silver for the Jruchi Monastery as a donation to the Savings Treasury of the Moscow Economic Council of the Imperial Educational House [3, P.1-7].

Thanks to the great merit of Metropolitan David, the Jruchi became one of the richest monasteries of Georgia, but it was temporary. Caring for well-being of conquered country was not in the Russian power's interests. The rights of churches and peasants were similarly violated during the exarchate. According to the letter sent by the Jruchi Monastery's Father Superior Neofite to the Bishop is said that the Sachkhere «Station's Nachalnik» (Head), Mikheil Tsereteli assigned 16 peasants of the Jruchi Monastery to work in militia, and the Sveri «Station's Nachalnik (Head)» assigned one person from the family. These «Nachalniks» (heads) did not have the right to choose the peasants of the Jruchi Monastery, because only those Treasury and the church peasants were subjected to militia service, who were taxed with money. The Jruchi Monastery's assembly did not receive a salary, and mainly relied on the work of the Monastery's peasants. That is why it was impossible to equate the Treasury's peasants with the Jruchi Monastery's peasants. The governor of the Racha district, major Vasilyev and sub-lieutenant Mikheil Tsereteli, oppressed the Jruchi Monastery's peasants, which caused the destruction of farming of the monastery. Father Neofite, despite his age and illness, went to the governor of the Racha district, who did not receive him during the first visit, then his reception was cool and finally refused to fulfill his request. As noted by the Neofite, the Ossetians oppressed churches and monasteries in Racha. In general, there is a lot of disorders in the district, but Vasilyev didn't pay attention to them. According to the Father Superior, Vasilyev is not educated enough to be able to manage military affairs and take care for the churches and monasteries simultaneously. He supports his family by donations from the Monastery's peasants. «Thanks» to him, 30 peasants from Racha can no longer work in the Monastery. If someone dares to work in the favor of the Monastery, he will be punished with his family members. The Monastery's cattle fell out of the cliff, the monks are starving. The Father Superior asks the Bishop to apply to the governor, to ask his lordship to select one person from the assistants of the district's governor to manage religious affairs, because Vasilyev oppresses the monks and the Monastery's serfs [31, P. 6-9].

Church reform complicated the relationship between the monastery and peasants. In 1856, serfs from the Sevi Village complained «of unusual tax and duties». In April 1863, a group of peasants wrote to the Bishop Gabriel that «there was nothing to do for them apart from cultivation of the crop field located in Koreti. But now, they make us go to work with the bull» [37, P. 1].

Over the years, during the Russian rule, the Tseretelis' attitude towards the monastery has changed dramatically. Nestor, Mikheil, Beri, Papuna, Giorgi, Svimon and David Tseretelis were assigned to pay 700.45 rubles annually to the Jruchi Monastery as a salary what they tried to avoid. Trials were held on this issue.

In 1874, because Tseretelis did not perform their duties and the Monastery had no even food for a month, Archimandrite Serapion asked the Bishop to release eight hundred rubles in credit to the Jruchi Monastery [39]. By decision of the Kutaisi District Court, in 1872, Tseretelis was challenged paying 700.45 rubles annually in favour of the Jruchi's Fathers; Tseretelis complained this decision; though on 26 January 1885, the Tbilisi Court Chamber upheld this verdict and ordered the local police and military agency to help the executive in the implementation of the court decision [4]. However, Tseretelis still tried to avoid this duty. On 5 December 1892, on the basis of the request of the Synodal Office of Georgia, Bishop Gabriel wrote to the Jruchi's Archimandrite Svimon that in order to provide payment of 700.45 rubles, he asked him to submit a list of the estates that the king Solomon presented to Tseretelis, and in return, they were assigned to maintain the Jruchi Monastery. The Bishop noted that if now, it is difficult to determine these places, you should take inventory of the lands, from which Tseretelis gave the food to the Monastery, until this expenditure is replaced by money [5]. On 21 May 1891, Archimandrite Simon writes that the Monastery's debt includes inventory of the Tseretelis' estates. The poor Papuna Tsereteli gave a verbal promise. Mikheil, Siko and Gigo Tseretelis signed an agreement with the Imereti Eparchy's governance, on the basis of which, the trade on their estates is not carried out. This written acknowledgment is preserved in the the Eparchy's chancellery [41]. By 1911, according to Archimandrite Grigol, the Monastery was not able to obtain this payment from Tseretelis, and the case was pending to the lawyer again [45].

Significant changes have occurred in the economic relations of the Jruchi Monastery and its peasants since the second half of the XIX century. In 1851, the Jruchi Monastery's serf named Chigunadze died, and since in the opinion of the Father Superior Neofyte „the Jruchi Monastery owns serf and estate by law «, the possessions of the dead person must remain as the property of the Monastery. The married daughter of the deceased – Chigunadze complained to the court. The Church's argument was the following: According to the law of Vakhtang VI, the married daughter of the Monastery's serf has no right to request her father's remaining property. However, Vakhtang's law was no longer in force and the Monastery lost the case [30, P. 3-29].

The Jruchi Monastery's serfs - brothers Timote and Gigo Gogiberashvili were taxed by the Jruchi Monastery with two tumani (twenty rubles), which they had to pay for two years each (they were sons of the serf - Ivane Gogiberashvili, and after the death of their father, Metropolitan David took orphans to the tailor in Tbilisi to study this handicraft). After the death of Metropolitan David, according to Father Neofite, Gogiberashvili cheated and changed their name to «Beridze», trying to prove their nobility, and they do not pay money to the Monastery. In 1856, when the situation was dealt with by police, the brothers stated that the church did not give them the land, and therefore they cannot pay money. In 1862, the church leased the land to the tailor from Kutaisi - Gigo Beridze, and the latter had to pay one tumani 910 rubles) in silver per year, and in return of personal job, he had to pay five rubles annually to the Monastery [38, P.3].

Metropolitan David hired one craftsman for repairing the Monastery's building and paid him money for clothing. Father Neofite allocated him a site, so the craftsman no longer received money in compensation for the dedicated work [33, P. 8] Serf Gogina Gvelebiani, who was oppressed by the previous landlord Landia, was also settled on the land belonging to the Monastery, By 1856, one man from the Gvelebians' four-person family was appointed as a cattle-drover in the mountains, and another one was left at site as a stableman. [33, P. 10-12].

In the early twentieth century, the Monastery had a number of servants who were paid a certain amount of money. For instance, in 1901, Ivane Zambakhidze and Varden Mamulashvili gave their children as the servants to Father Nikifore, for which the Father Superior had to pay one hundred twenty rubles to Zambakhidze and fifty two rubles to Mamulashvili. The church was not obliged to dress the servants [24, 25]

From the second half of the XIX century, fundamental changes were made to the Monastery's management. Since then, there has been entrenched leasing.

From 1865 the peasant Godabrelidze was obliged pay three tumani (thirty rubles) to the Monastery for the rental of the mill within twelve years, and he also had to repair the buildings. Tenant did not comply with terms of leasing, and in 1880, he was forced to leave the mill through the court [40, P.52].

According to the promise made by Giorgi Sivsivadze on 16 March 1875, this peasant had received 3 plots of the cornfield land for 4 years, where he would work with his bull and would bring a third of the harvest to the Monastery. In case of violation of this promise, he had to be deprived of this cornfield land [6].

In 1899, one of the barrelhouses of the Jruchi Monastery was leased by Margvelashvili and Zviadadze for 4 years. They have to pay 16,67 rubles, quarterly (50 rubles per year). If the money was not deposited at the appointed time, they would be fined up to 20 rubles. For 4 years, they were responsible for repairing the house. The Imereti Eparchy received a document every year, which registered the Monastery's income from this barrelhouse [7]. In 1888-1890, the Monastery received from Kutaisi «Large Barrelhouse» 266,67 rubles annually [8]. Usually, the money from the barrelhouses located in Kutaisi was sent by the Eparchy's «secretary» to Jruchi, and there was attached the list showing how this sum was to be distributed; in a 1856 document we read: «From sixty five rubles coming from the Kutaisi barrelhouse, 20 rubles to Neofite, 20 rubles – to Blagochin Okropiri, 20 rubles – to monk-priest Iustine, 15 rubles – to Atanase, 15 rubles – to Iason, 15 rubles – to Serapion, 15 rubles – to Gabriel, 17 rubles – to monk Melkisedek, 10 rubles – to novitiate Besarion, 10 rubles – to novitiate Aleksii, 6 rubles – to nun Sofio, 6 rubles – to nun Ekaterina – 6, and the remaining 6 rubles in silver to be distributed to the craftsman, stablemen and servants, at the discretion of governor» [35, P. 2].

In the Kutaisi Historical and Ethnographic Museum there is protected the document, which clearly reflects the economic relations between the Monastery and tenants: on 15 March 1895, the peasants of the Tskhomareti Village (Glakhua, Ioseba, Zakaria, Samsona, Isaia and Onisime Sivsivadzes) concluded an agreement with the Jruchi Monastery's Father Superior, Archimandrite Beniamen, according to which: 1) On the lands owned by the Monastery, they will produce tiles within three years (every year, from 1 May until the end of September). These peasants would hire the tile-maker craftsman at their own cost, who will work in their land for three years. If the craftsman wished to leave, he would have to bring another skilled craftsman in exchange; 2) Sivsivadzes had to build to the Monastery's factory the three-room wooden construction. Three of them would have lived together with the craftsman in this wooden house until the expiration of the term of the agreement, every year from May to October; 3) Sivsivadzes had to make a tilery for burning large and sound tile, capacity of which would be at least making two thousand tiles; 4) They had to bring the ground for tiles from the Monastery's lands. Firewood was to be collected in the Monastery's forest, in places indicated by the Father Superior. They could also use as firewood the trees, carried by the Jruchula River during the flood; 5) To bring the ground, during the first year, they could use the Monastery's bull for one fourth of share. In the second year, Sivsivadzes had to buy one bull team with Monastery's money, which would be used only for needs of tile. Wintering of the bull was fallen on the Monastery. After expiration of the agreement period, this bull team must be returned back to the Monastery. In case of any damage to the bull caused by neglect or onerous work, Sivsivadzes had to pay to the Monastery the cost of the bulls; 6) Sivsivadzes had to work on tile faithfully and devotedly. Taking each tile out of tilery had to be attended by the Monastery's Father Superior, the tiles had to be accounted jointly by the Father Superior and peasants. The tile was supposed to be the perfect, without any defect. 7) Before expiration of the agreement period, the Monastery had to give Sivsivadzes ten kodi of corns every year. In addition, Sivsivadzes had the right to cultivate the Monastery's two corn fields. After three years, Sivsivadzes had to leave these areas to the Monastery; 8) Sivsivadzes were obliged to pay half of the proceeds of sale of tails to the Monastery. 9) Sivsivadzes had obligation not to damage the Monastery. They had to stay away from the Monastery's walnuts, and they did not have to fish and cut trees in the Monastery's surroundings. In case of non-fulfillment of this condition, Sivsivadzes would pay a penalty of 500 rubles and they had to leave the factory, tiles, one hundred



boards for laying the tiles, tiliary, the vegetable garden and the three-room house to the Monastery.

The document of 1903 shows that the peasant, who was settled on the Monastery's land, made rental payments of a third of the harvest to the Monastery [44, P. 2].

In February 1905, the Father Superior Nikifore wrote to the bishop that under the agreement, the vineyard and arable land in the village of Koreti have been given to the reliable workers, who give the half of the harvest to the Monastery. They also rent the mill in the village of Kalauta. In past years, one hundred and fifty futi (it means 16 kg.) of corn came from this mill, but now, tenant gives to the Monastery four hundred and eighty five futi of corn [44, P. 2]. During the times of the Father Superior of Archimandrite Nikifore, the major form of relationship with the peasant serfs was leasing. On 11 July 1905, the agreement was concluded between the Father Superior and the peasants from the village of Uzunti: Germane, Saba and Markozi Kamushadzes, Pavle Bregvadze, Levan Kobakhidze, David Tkemaladze, Petre Machaidze and Pavle Kapanadze. According to this agreement, the peasants rented the Monastery's land entitled the "Clay Tiles", with the hay-meadow lands and forest with few bushes. They had to cultivate this site in their own way until 1914. According to the agreement, they should pay 80 rubles annually, that is 720 rubles within 9 years. After expiration of the agreement period, they had to leave the "Clay Tiles", and the Monastery could not deprive them of this land for 9 years. The violator of this condition had to pay a penalty of 100 rubles [26].

The land leasing practice was negatively assessed by Archimandrite Ambrosi Khelaia, who was the Father Superior of the Chelishi Monastery at that time. In 1902-1903, on the basis of the authorization of a Synod issued on 25 September 1901, he was assigned to carry out an audit of the monasteries in Gelati, Katskhi, Jruchi and Motsameta, in order to describe the economic and financial status of the Imereti Eparchy's monasteries. On 18 July 1903, Archimandrite Ambrosi submitted the audit report to the Bishop Leonide. This report was found, studied and published in 2003 by M. Kezevadze [43 P. 21-71; 55 pp. 241-261]. Ambrosi Khelaia describes in detail the Jruchi Monastery's income sources. According to him, the rules established in the management practice of the Imereti Eparchy's monasteries farms, hampered the development of all monasteries' farms, including the Jruchi Monastery. Ambrosi Khelaia asserted that leasing of the forest, arable land and vineyards belonging to the Jruchi Monastery would permanently damage the Monastery's farm. He believed that if was not for leasing, the Jruchi Monastery would be much richer. In the audit report, it is also indicated that securities of the Jruchi Monastery are held in the Tbilisi branch of the State Bank, Kutaisi Savings bank and in savings of the Chiatura postal-telephone office, but the Monastery loses dividends, because the interest rate-was not transferred on time. According to Ambrosi Khelaia, lack of strict control over tenants and back pay on the part of Tseretelis represent one of the reasons of the conflict between the Father Superior and the Fraternity Assembly. He believed that it was necessary to cut staff of the Jruchi Monastery and it would be better to relocate three monk-priest and one monk-deacon to the Motsameta Monastery, where much more worshippers go than to Jruchi.

The extensive report of Ambrosi Khelaia clearly demonstrates that the once economically powerful monastery has become poor. The Russian policy of colonialism had a severe impact on the Georgian Church's sources of income. The archival documents clearly illustrate how the Jruchi Monastery's annual incomes and expenditures have been gradually reduced during the period of exarchate: «In July 1853, the Jruchi Monastery's incomes included: 247 kodi of bread brought from serfs as a rent; the bread from the Monastery's arable lands - 400 kodi; corn - 500 kodi, barley from serfs as a rent - 10 kodi; beans from the arable lands - 80 batmans; wine from serfs - 600 jars; from Tskhomareti - 100 wine jars; from the Jruchi's vineyards - 600 wine jars, as well as for Koreti - 60 wine jars, sheeps from serfs - 4; chicken - 254; cheese from serfs as a rent - 36 chareki; money from the barrelhouses - 281 rubles; a rent from the Racha district's serfs - 30 rubles; expenditure from the Goris district's serfs - 7 rubles. Expenditure of the Jruchi Monastery by 1853: this bread, wine, chicken and sheep were spent on meals for the Monastery monks, and the workers of the fields and vineyards, for hosting the princes Tseretelis

and other guests; for repairing the Kutaisi barrelhouses there were spent: Kokochashvili was given 21 rubles, the bricklayer Mikheil Berdzeni was given 22 rubles for stone laying, for building the additional place for the barrelhouse - 30 rubles; hire for constructing fireplace – 8 rubles; the priest was given for bricks - 16 rubles, for two fireplace roofs - 22 rubles and 40 kopecks; the inn-keeper spent 8 rubles 10 kopecks, he repaired premises and windows, bought a wallpaper and plaster. 12 rubles intended for roofing the barrelhouse; at various times, 15 rubles were spent on fish and cheese for the Monastery's monks, and 15 rubles were spent on the shepherds, cattle and clothing for the Monastery's servants, 3 rubles were spent on processing the skin of ten sheep, for iron and steel - 5 rubles, for paper and varnish - 1 ruble. The remaining ninety six rubles were given to monk-priest Iustine for keeping for the Monastery's needs; one team of bulls belonging to the princess Agiashvili was taken by Natalia, Grigol Tsereteli's daughter, from Kutaisi; five bulls and cows, as well as ten goats and pigs, were slaughtered in this year for the workers during the holidays" [32, P. 1]. By 1873, the Father Superior was given 400 rubles as a salary, the housekeeper – 100 rubles, eight monk-priests - 80 rubles to each, and two monk-deacons - 40 rubles to each. Three novitiates were given 4 rubles each. 10 rubles were allocated for the repair of the church. 430 rubles were intended for the baker, cook, two cattle-drovers, shepherds and gardener, 100 rubles were intended for Communion wine and bread. The total expenditure was 1770 rubles [39, P. 12]. In 1875, the Monastery received the viands in cash for 623 rubles 25 kopecks: bread - 41 kodi, corn - 130 kodi, wine - 80 jars, walnut - 11 kodi and the viands in all - 262 kodi «[39, P. 227]. According to the income-expenditure document draw up by 1911, the Monastery's economic state is as follows: «Income: from the Treasury – the balance is 19 rubles and 18 kopecks in cash, by the savings book - 293 rubles and 89 kopecks, from the money box - 6 rubles and 90 kopecks, net profit from candle - 282 rubles and 67 kopecks, from the estates – 1493 rubles and 74 kopecks, donation - 00, cash dividend - 37 rubles and 22 kopecks, petty income - 301 rubles and 15 kopecks, and 1867 rubles and 66 kopecks were received in total, received and saved - 2130 rubles and 75 kopecks, given to the bishops for keeping 00, the brothers's salaries - 1203 rubles and 71 kopecks, the Monastery's repair and maintenance - 494 rubles and 96 kopecks, Communion bread, incense, oil - 33 rubles and 70 kopecks, petty expenses - 169 rubles and 70 kopecks (stationery, seminary, women's education). There have been spent totally 1942 rubles and 7 kopecks. the balance by 1 January is 7 rubles and 57 kopecks in cash, together with the note - 181 rubles and 17 kopecks and in total 188 rubles and 68 kopecks» [22].

Since the 1910s, the economic state of the Monastery has been further aggravated. In the political and military point of view, very complex processes have been sharply affected the Jruchi Monastery's economy. In 1918, the relations between the peasants and the Jruchi Monastery were clearly characterized by the Archimandrite Pavle's appeal sent to Kutaisi Metropolitan Anton, according to which, without the Father Superior's permission, for two months the Monastery's oak forest was cutting by seven peasants from Tskhomareti, Uzunta and Kvevo Khevi. The Sachkhere town's District Commissioner and the Land-lordly Committee did not stop them. There were cut the area of four ktseva, where they planted corn, secretly cut down and picked up precious oak material. The Land-lordly Committee deprived the Monastery of the mill located on the Kvirila River in Sachkhere and the vineyard with the arable land located in the village of Koreti, which were distributed among tenants. The Monastery's monks are half-starved. The monks remained on the hope of petty donations and salary otherwise they were condemned to die of hunger. The existence of the Monastery without money and food became impossible and unbearable. Because of all this, Archimandrite Pavle asked the Bishop of Paul to take measures to protect the Monastery from violence and help it to receive the rightful rent [46, P. 2].

The Georgian people linked the restoration of the autocephaly of the church and the declaration of Georgia's independence to a positive turnaround in the destiny of the country, but unfortunately, the expectation has not been justified. S. Vardosanidze writes: «The Menshevik government of Georgia, during its administration, has not ever been able to address the issue of credibility in its church and, in fact, by its action, opposed it. They did

not understand the historical experience of Georgia that Christian Georgia was obliged to trust the Church, since it had commitment to the State's strength. In Georgian history, this trust was based on the moral principles, but not merely on the legal commitments» [51, p. 23]. The Catholicos-Patriarch of Georgia Leonide (Okropiridze) reminded the President of the Government - Zhordania that «The Georgian Church is the main and most visible factor of our nation's spiritual life. Our church has its share of credit for creating the conditions, due to which the national flag is flying over our homeland today, and the Constituent Assembly exercises State functions in our capital» [16]. On 26 October 1918, a member of the Catholicos Council K. Tsintsadze requested from the Ministry of Internal Affairs of Georgia to return to the churches and monasteries their rightful home and garden, vineyards, arable land and mowing. This request was not satisfied. With the special decree of the Government, the lands, forests, and mills, which the monasteries owned earlier were deprived from them [51, p. 42]. «They did not even leave them the minimal norm—piece of land to provide the Monastery's elderly monks with means of basic subsistence. We are in a great hardship and unbearable situation, so we have decided to appeal to our religious nation to bring us the wheat for the Monastery's Communion bread and wine materials for Communion wine. I humbly ask Your Eminence to let the Monastery's Hegumens Besarion and Domenti and monk Isidore to go to Kakheti and request the wheat for the Monastery's Communion bread» - in this address, which was sent by Archimandrite Pavle to Kutaisi Metropolitan Nazari, we can read between the lines that terrible future, which awaited the Jruchi Monastery, Metropolitan Nazari and the Georgian Church in general [47, P. 1].

Since February 1921, the hardest period has begun in Georgian Church history. Bolsheviks have been destroying churches and monasteries, torturing and shooting the clergy, the autocephaly, which was so hard to restore, had again become a dream. On 15 April 1921, by the Decree No 21 of the Georgian Revolutionary Committee adopted a Resolution «On allocation of the church from the State and the school from the Church». According to this resolution, the Church has lost its property right. The repressions swept the country. Like in many other churches and monasteries, worships had been prohibited in the Jruchi Monastery. Without indicating the source, I. Gunia writes: «In 1926, the Jruchi Monastery was ravaged by the Red Army troops on their way to Kutaisi. They physically massacred the monks here, some of whom were killed, and some were escaped to the forest (only one monk Theodore was survived)» [50, p. 153]. The Jruchi Monastery, which was famous not only for its treasure, but also for its rich farm, has for many decades been ruined.

## SOURCES AND REFERENCES

### I. Sources:

#### ❖ *National Archives of Georgia*

##### *a) Synodal office of Georgia-Imereti, Fund No 489:*

cases:

- 1) 116
- 2) 2628
- 3) 38678

##### *b) The collection of originals of old documents, Fund No 1448*

cases:

- 4) 9477
- 5) 9479
- 6) 9485
- 7) 9487
- 8) 9500

##### *c) Ministry of the Internal Affairs of Georgia Fund No 1863, case:*

9) 679

❖ *Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts,*

a) *The collection of Georgian documents of Georgian Historical-Ethnographical Society:*

10) Hd 1329

b) *Tseretelis' Fund No 36*

• *Zurab Kaikhosro's son Tsereteli'd Fund, documents:*

11) №54, 80, 90

• *Grigol Zurab's son Tsereteli'd Fund, documents:*

12) №144

13) №222

14) №228

15) №289

❖ *Georgia's Patriarchate Archives, Catholicos-Patriarch Leonide's Fund*

16) case 6443

❖ *Department of Manuscripts of Kutaisi State Historical Museum*

a) *The collection of historical documents:*

17) 42

18) 99

19) 153

20) 627

21) 645

b) *Archival documents*

• *Imereti Eparchy's office archives No 6861, document:*

22) 336

• *Jruchi Monasery's Archives No 6475, documents:*

23) 1217

24) 1258

25) 1308

26) 1315

27) 1342

❖ *Kutaisi Central Archives, Imereti Eparchy's office fund No 21*

cases:

28) 3392

29) 3539

30) 5216

31) 5567

32) 5752

33) 5792

34) 5984

35) 6135

36) 7752

- 37) 8609
- 38) 12011
- 39) 12781
- 40) 12929
- 41) 18529
- 42) 20781
- 43) 21404
- 44) 22438
- 45) 24704
- 46) 27197
- 47) 27626

## II. REFERENCES:

- 48) N. Berdzenishvili. Issues relating to Georgian history. Vol. V, Tb., 1971.
- 49) J.A. Guldenstadt. Journey to Georgia, Vol. I, German text with Georgian translation was published and studied by G. Gelashvili, Tb., 1962
- 50) I. Gunia. Monasteries of Georgia. Enceclopedic guide, Tbilisi, 2005
- 51) S. Vardosanidze. Kirion II, Tbilii, 1984
- 52) G. Vachridze. Imereti's interim administration (1810–1840), Kutaisi, 1999
- 53) M. Izoria. „The Jruchi Monastery;s complex” (Sachkhere district, the Jruchela River valley), art research, executive – Maia Izoria, LLC ARKITEKSI, Tbilisi (copyrighted manuscript protected in the archives of Natonal Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia), 2011
- 54) S. Kakabadze. „Material for socio-economic history of western Georgia”, historical collection, I, Tbilisi, 1928.
- 55) M. Kezevadze. „The monastic life in Imereti at the beginning of the 20<sup>th</sup> century, according to the 1903 audit report in the monasteries of Georgia”, scientific collection of the State Department of Archives of Georgia “Historical Messenger”, No 75-76, 2002–2003.
- 56) B. Lominadze. “Landholdings of Georgian Orthodox Church from the old time to the XX century (1917)”, (general review), Kutaisi, 1997
- 57) K. Pavliashvili. “Georgian Orthodox Church in 1917-1921”, Tbilisi, 2000
- 58) Georgia's hope, Saint Ilarion Kartveli. Book XIX, compiled by K. Kenkishvili, Tbilisi, 2013
- 59) G. Tkeshelashvili. Georgian-Jewish relations, Kutaisi, 1996
- 60) Z. Chichinadze. “Georgian Jews in Georgia”, Tb., 1990
- 61) Khakhanashvili. „Gujrebi”. Kutaisi, issued by deacon D. Gambashidze, 1891
- 62) The protocols of the archaeological commission, VI, part 1, Tiflis, 1874
- 63) P. Gnilosarov. The essays from the life of Metropolitan David. Caucasus calendar for 1954, Tiflis, 1853
- 64) Static description of the provinces and districts of the Russian empire, Caucasus, part 5. Kutaisi Governorate-General, St. Petersburg, 1858.

ენიმო სარაპა, თამარ ჯიხვაშვილი

## ნმ. იოანე მახარებლის ორი ფერწერული ხატი ჯრუჭის მონასტრიდან<sup>1</sup>

ნმ. იოანე მახარებლის ორი ფერწერული ხატი ინახება ქუთაისის მუზეუმის ფერწერული ხატებისა და საეკლესიო ნივთების ფონდში. ერთი მათგანის ჯრუჭის მონასტრისადმი კუთვნილება უდავოა, ხოლო მეორე „ნმ. იოანე მახარებელი მდუმარებაში“ სავარაუდოდ უნდა ეკუთვნოდეს იგივე მონასტერს.

2015 წელს ნმ. იოანე მახარებლის ორივე ხატს ქუთაისის მუზეუმის ფერწერული ხატებისა და საეკლესიო ნივთების ფონდში ჩაუტარდა რესტავრაცია-კონსერვაცია მონვეული ფერმწერ-რესტავრატორის თამარ ჯიხვაშვილის მიერ.

ნმ. იოანე მახარებლის ფერწერული ხატი /4600/41/109/ (სურ. 1, 2) ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში 1926 წლის 30 თებერვალს წარმოადგინა გიორგი ბოჭორიძემ. ხატის ზომებია 28.5X35.2X2.7სმ. რესტავრაციამდე ხატის საფუძველი დამკილული იყო, გააჩნდა გრუნტისა და ფერწერის დანაკარგები, დამწვრობა ქვედა ნაწილში და ლაქის ზედაპირული დაჭუჭყიანება.

ნმ. იოანე ღვთისმეტყველის ხატი მოხსენიებულია ნმ. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობაში და გიორგი ბოჭორიძის ჩამონათვალში: 1. „26. ხეზე დახატული იოანე მახარებელი წელსზევით არწივით, ქართული, ხუცური განმარტებითი წარწერით“ [1. თაყაიშვილი, 2010: 65]; 2. „7. (ქ. 22) ფიცარზე ნახატი ხატი იოანე მახარებლისა, 35/28.5“ [2. ბოჭორიძე, 1995: 219].

ნმ. იოანე მოციქულის ფერწერული ხატი დაწერილია ცაცხვის დაფაზე, რომლის ზედაპირზეც გადასმულია გრუნტის თხელი ფენა. ფერწერა შესრულებულია ტემპერით. ხატზე წარმოდგენილია ნმ. იოანე მახარებლის ნახევარფიგურა, რომელიც 3/4-ით მარჯვნივ არის შეტრიალებული. მოციქულის მხერა მიმართულია მუხლზე დაყრდნობილი გადაშლილი სახარებისაკენ, რომელსაც წითელი ორნამენტირებული, ჯვრის გამოსახულებიანი ყდა გააჩნია. მოციქულს მარჯვენა ხელი წვერში ჩაუვლია და ღრმად ჩაფიქრებული გამომეტყველება აქვს, მარცხენა ხელით წიგნს იკავებს. მარჯვენა ბეჭთან ანგელოზის ფიგურა უზის, რომელიც შემოსილია წითელი ჰიმატიონით. დაზიანების გამო აღარ იკითხება მისი თავი. მარცხენა ბეჭთან ფრთაგაშლილი არწივი – მახარებლის სიმბოლოა გამოსახული, რომლის ტანი ფასშია, ხოლო თავი ნმ. იოანესკენ აქვს მიბრუნებული. ოქროსფერი შარავანდის მარჯვნივ და მარცხნივ წითელი ასომთავრული ასოებით განმარტებითი წარწერაა ქარაგმით: „მახარებ~ლი ი~ნე“. მთელი კომპოზიცია შესრულებულია ცისფერ ფონზე, ქვედა მარჯვენა ნაწილში მოჩანს აგურისფერი ფონი. ნმ. იოანე მოციქული შემოსილია ღია წარინჯისფერი კვართით, რომელიც ოქროსფერი სქელი, სწორი და კლაკნილი ხაზებით არის დამუშავებული და მწვანე აფრიალებული ჰიმატიონით, რომელიც კვართის მსგავსად არის დამუშავებული. სახე და ხელები მუქი ყავისფერი ჩრდილებითა და ღია ყავისფერი გამონათებებით არის მოდელირებული. თვალები, წითელი ტუჩები, ცხვირი და ხელის მტევნები მოცულობითად არის გადმოცემული.

<sup>1</sup> სტატია მომზადდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიმდინარე პროექტის – „ჯრუჭის მონასტრის ისტორიის ფუნდამენტური კვლევა და მისი საგანძურის სამეცნიერო კატალოგიზაცია“- ფარგლებში, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (FR/286/1-10/14) მეშვეობით. ამ გამოკვლევაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს

ძირს დახრილ ქუთუთოებზე წამნამებიც აღინიშნება. დეკორატიულად დამუშავებული სამოსი სქელ ნაკეცებად არის დაფენილი. კოლორიტი შედგება მუქი და ღია ფერების მკვეთრად ურთიერთდაპირისპირებული ტონალობებისაგან. ასეთი „ყრუ“ მწვანე, ყავისფერი და ნაცრისფერი დამახასიათებელია გვიანი პერიოდის ხატწერისათვის. ანალოგიური მხატვრული სტილითა და კოლორიტით შესრულებულია ქუთაისის მუზეუმის ფერწერული ხატებისა და საეკლესიო ნივთების ფონდში დაცული რამდენიმე ქართული ხატი, რომლებიც შემოსულია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან – იმერეთიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან. ვფიქრობთ, ეს ფაქტი მიუთითებს ადგილობრივი – დასავლეთ ქართული ხატწერის სკოლის არსებობაზე, რომელიც საგულგებელია დიდ სამონასტრო ცენტრებში, როგორცაა მაგ. გელათი, მღვიმევი და ა.შ. გარდა სამონასტრო ცენტრებისა ხატმწერ-მომჭედელი ოსტატები სამეფო კარზეც მსახურობდნენ. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს არ ახლავს საქტიტორო, დამათარილებელი ან ოსტატის სახელობითი წარწერები. სავარაუდო თარიღი შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ მხატვრული სტილისა და იკონოგრაფიული თავისებურებების მიხედვით. წმ. იოანე მახარებლის ხატზე შეინიშნება დასავლეთ ევროპული და რუსული მხატვრული სტილის გავლენა, რომელიც ქართულ ხატწერაში ვლინდება XVII ს.-დან და განსაკუთრებით ძლიერდება XVIII ს.-ში. ამ პერიოდში ცვლილებას განიცდის კომპოზიციის საერთო კოლორიტი, რომელიც უფრო მუქი და ქართული ტრადიციისათვის არადაამახასიათებელი კაშკაშა ფერებისაგან შედგება. ის სტილისტურ მსგავსებას იჩენს ფონდში არსებულ ფერწერულ ხატებთან: ღვთისმშობელი „ოდიგირია“, ზესტაფონიდან (სურ. 3), მაცხოვარი „პანტოკრატორი“ ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიიდან, მთავარანგელოზთა ხატი ხონიდან (სურ. 4), ასევე ცნობილი „პალიასტომის“ ოდიგირიის ტიპის ღვთისმშობლის ჭედური ხატის (ჭედურობა XVI ს.) ფერწერული სახეები და სხვ. ზემოთ აღნიშნულ ძეგლთა ჯგუფი შესაძლებელია დათარიღდეს XVIII ს.-ით, ან XVIII–XIX სს.-თა მიჯნით.

წმ. იოანე მახარებლის იკონოგრაფია იმეორებს რუსულ ხატწერაში გავრცელებულ ტიპს, სადაც მოციქული წარმოდგენილია წელსზევით, გადაშლილი წიგნით, ანგელოზისა და არწივის დამატებითი გამოსახულებებით. ღრმად ჩაფიქრებული წმ. იოანე მოციქულის საწიგნესთან მჯდომარე ფიგურები, რომელსაც წვერზე ხელი აქვს ჩავლებული, გავრცელებული იყო ბიზანტიურ ხელნაწერ წიგნთა მინიატურებში. ამგვარად, ასეთი ტიპი უკვე IX–XI სს.-ში არსებობს. მოგვიანებით რუსეთში ამ იკონოგრაფიულ ვარიანტს დაემატა მოციქულის სიმბოლო – არწივი და შემდეგ ანგელოზი, რომელიც კარნახობს წმ. იოანეს საღვთო საიდუმლოებას. წმ. იოანე, უფლის საყვარელი მონაფე, ღირსი გახდა უფლისგან საღვთო საიდუმლოების გამჟღავნებისა. მინიატურებში გავრცელებული წმ. იოანე ღვთისმეტყველის იკონოგრაფიული ტიპები ფართოდ გამოიყენებოდა ასევე ხელოვნების სხვა დარგებში – მონუმენტურ მხატვრობასა და ხატწერაში. [3. Православная Энциклопедия, 2010: 682-685]

მეორე ხატი, წმ. იოანე მახარებელი „მდუმარებაში“ (სურ. 5, 6) /4600/3/23/, (66X45.2X2.1სმ.), მძიმე მდგომარეობაში, ძლიერ დაზიანებული სახით იყო მოღწეული. კონსერვაციამდე მას აღენიშნებოდა გრუნტისა და ფერწერის დიდი ფართობების დანაკარგები, საფუძვლის ბზარები, ჭიისგან დაზიანება. დათხელებული გრუნტი განაგრძობდა ცვენას ყოველ შეხებაზე, იქმნებოდა ფერწერის მთლიანად დაკარგვის საფრთხე.

ხატის წარმომავლობისა და შემოსვლის ვითარების შესახებ მუზეუმის ჩანაწერებში ცნობები დაცული არ არის, ხოლო მისი კუთვნილება ჯრუჭის მონასტრისადმი სავარაუდოა და ეფუძნება მ. ქებულაძის მიერ გამოქვეყნებული ეროვნული არქივის დოკუმენტის მონაცემებს. დავით

მიტროპოლიტი დოკუმენტში აღწერს ტფილისიდან მოტანილი კანკელის/იკონოსტასის ფერწერულ (ხის) ხატებს. როგორც ჩანს, იკონოსტასის ხატზე აღმართული იყო ჯვარცმის ხატი, ქვედა რეგისტრში – ექვსი ხატი და „მასთანავე ასვენია ოთხნი ოთხთა მახარებელთა ცალ-ცალკე რამკაში ხატი“ [4. ქებულაძე, 2013: 93]. სამწუხაროდ, ამ ფერწერულ ხატთა შემდგომ ბედზე არაფერია ცნობილი. წმ. იოანე მახარებლის ხატს აქვს ფართო აშიები, დაფერილი მუქი ნაცრისფერი საღებავით, შესაძლოა, ხატს ჭედური მოჩარჩოებაც ჰქონდა. გარდა ამისა, ამავე მოჩარჩოებაზე ოთხივე მხარეს სპეციალური გამჭოლი ნახვრეტებია, ოთხი ზედა ველზე, ხოლო ორ-ორი დანარჩენ ველებზე. ამკარაა, რომ ხატი სადღაც იყო მიმაგრებული, სავარაუდოდ, კანკელზე.

ხატის დაფა სავარაუდოდ, გამოთლილია კაკლის ხისგან, გათლილია უხეშად, ოდნავ დეფორმირებულია. დაფის ზურგი გამაგრებულია ორი ურთიერთშემხვედრი სოლით. ხატზე გამოსახულია წმ. იოანე მახარებლის მარჯვნივ მიბრუნებული ნახევარფიგურა, რომელსაც მკერდთან გადაშლილი სახარება აქვს და მასზე ლამაზი კალიგრაფიით, ქართული ასომთავრული წარწერა იკითხება. წარწერა ორივე ფურცელზე ხუთ სტრიქონადაა განლაგებული და წარმოადგენს წმ. იოანეს სახარების ტექსტს: „პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რაი იქმნა, რაოდენი-რაი იქმნა. მის თანა ცხორებაი იყო და ცხორებაი იგი იყო...“ [5. იოანე 1, 1-5], 5-ე მუხლის ბოლო ორი სიტყვა – „ნათელ კაცთა“ ხატმწერს ველარ მოუთავსებია სახარების ფურცელზე. წმ. იოანე სახარების ტექსტზე მიუთითებს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით, ხოლო მარცხენა ხელის სამი თითი ტურბთან აქვს მიტანილი და ღრმად ჩაფიქრებული გამომეტყველებით დაჰყურებს სახარებას. მარცხენა ბეჭთან გამოსახულია მახარებლის სიმბოლო – არწივი, რომელიც ძლიერი დაზიანების გამო ოდნავ არის შესამჩნევი. მარჯვენა ბეჭთან გამოსახულია ანგელოზის ნახევარფიგურა, რომელიც დახრილია მოციქულის ყურთან, თითქოს რაღაცას ჩასჩურჩულებს თუ კარნახობს. ანგელოზის ოქროსფერ შარავანდში წითელი ხაზებით ჩანერილია რომბი და კვადრატი. ამგვარი შარავანდით გამოისახება მაცხოვრის ერთი იკონოგრაფიული ტიპიც - „დიდისა ზრახვისა ანგელოზი“. წმ. იოანე მახარებლის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ კ. პატმოსზე მონაფე პროხოროსთან ერთად ყოფნის დროს, უკვე მოხუცებულ მოციქულს ღვთისაგან განეცხადა საიდუმლო ხილული ქვეყნის აღსასრულისა – მან იხილა მეორედ მოსვლა და კაცობრიობის განსჯა [6. ათორმეტ მოციქულთა ცხოვრება, 2011: 68-100] და ყოველივე განცხადებული აღწერა წიგნში „გამოცხადება“ ანუ „გამოცხადებაი წმიდისა მახარებლისა და ღმრთისმეტყველისა იოვანესი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან“, იგივე „აპოკალიფსი“, რომელიც წმინდა წერილის ერთ-ერთი შემადგენელი წიგნია. „გამოცხადების“ შესავალშივე წმ. იოანე გვამცნობს, რომ მან ეს ხილვა უფალმა „გამოუცხადა მოვლინებითა ანგელოზისა მისისაითა მონასა მისსა იოვანეს“ [5. გამოცხ. 1, 1.] ამდენად, მოციქულის მარჯვენა ბეჭთან გამოსახულია აპოკალიფსში მოხსენიებული ღვთის ნებით მოვლენილი ანგელოზი.

წმ. იოანე მახარებლის ამ იკონოგრაფიულ ტიპს ეწოდება „წმ. იოანე ღვთისმეტყველი მდუმარებაში“. ის XVI ს.-ის მეორე ნახევრიდან ფართოდ ვრცელდება რუსეთში. ამ იკონოგრაფიული ტიპის წარმოშობა გარკვეულ გარემოებებთან არის დაკავშირებული, ერთ-ერთი ვერსიით, მისი საფუძველია წმ. იოანეს სახარების ბოლო ფრაზა: „და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნა იესუ, რომელნი, თუმცა დაინერებოდეს თითოეულად, არცაღა ვჰგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები“ [5. იოანე 21, 25.] ამ ტექსტისა და მრავალ სახარებისეულ მონშობათა



საფუძველზე ჩამოყალიბდა უფლის საყვარელი მონაფის, იოანეს, როგორც საღვთო საიდუმლოებათა მჭვრეტელის სახე, რომელიც ღირსი გახდა მაცხოვრის გამოცხადებისა და ამგვარად გამოუთქმელი საღვთო სიბრძნის თანაზიარებისა. წმ. იოანეს ასეთი იკონოგრაფიული ტიპის შექმნისათვის გარკვეულ როლს ითამაშებდა ბერ-ისიხასტთა ასკეტური ტრადიცია, რომლებიც თვლიდნენ, რომ განდმრთობა და საღვთო სიბრძნესთან თანაზიარება მიიღწევა მხოლოდ განუწყვეტელი, მდუმარე ლოცვით. ამიტომ წმ. იოანე ღვთისმეტყველის ტუჩებთან მიტანილი თითები გამოხატავს არა მხოლოდ მის საიდუმლო ცოდნასთან თანამონაწილეობას, არამედ მდუმარებას, როგორც ერთადერთ გზას საღვთო სიბრძნის მოსაპოვებლად. ტუჩებთან მიტანილი თითები იმთავითვე, ანუ IX-X საუკუნეებშივე მიჩნეული იყო როგორც ღრმა აზროვნების, კონცეტირებისა და ფიქრის გამომხატველ ყესტად, რაც აუცილებელია სახარების შექმნისათვის. მახარებელთა ამ იკონოგრაფიულმა ვარიანტმა თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ახალი იკონოგრაფიული ტიპის შექმნას. რუსეთში არსებობდა ხატის – „წმ. იოანე ღვთისმეტყველი მდუმარებაში“, მოკლე და ვრცელი რედაქციები. [3. Православная Энциклопедия, 2010: 685-690].

ქუთაისის მუზეუმის ხატზე წარმოდგენილია ვრცელი ვარიანტი, ანგელოზის, არწივისა და გადაშლილი წარწერებიანი სახარების დამატებით. წმ. იოანეს ფერწერული ხატი რუსულ ხატწერასთან ამჟღავნებს როგორც იკონოგრაფიულ, ასევე სტილისტურ სიახლოვეს. ხატის კოლორიტი გამოირჩევა ნათელი, რბილი ტონალობით, ფერთა გამა შედგება სხვადასხვა ტონალობის მწვანე ფერებისაგან, გამოყენებულია ასევე ოქროსფერი, ღია ოქრა და წითელი. წმ. იოანე შემოსილია მწვანე მოსასხამითა და მოვარდისფრო ქიტონით, რომელსაც ოქროსფერი კლავუსი ამკობს. მარცხენა ბეჭთან პატარა ოქროსფერი სამელნე ჩანს, შიგნით ჩადებული კალმით და არწივის მომწვანო ფრთები. ანგელოზი შემოსილია წითელი ქიტონითა და მოსასხამით. სამოსები დამუშავებულია ოქროს ასისტით, ოქროს ფირფიტაა შემოკრული წმ. იოანეს შარავანდზეც. სახე დამუშავებულია ღია ოქრით, რომელიც ახლოა სახის ფერთან. სახის ნაკვთები მოცულობითად არის მოდელირებული, გამოკვეთილია თვალის უპეები, წითელი ტუჩები. სამწუხაროდ, დაზიანების გამო აღარ იკითხება მოციქულის სახის ნახევარი, ანგელოზის სახე და არწივის ფიგურა, დაზიანებულია წმინდანის სხეულიც და ასომთავრული წარწერა, რომელიც ხატის ქვედა რეგისტრში მთელ სიგრძეზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. სავარაუდოდ, აქ იყო შემწირველის წარწერა, რომლის ამოკითხვაც შეუძლებელია. ის შესრულებულია იმავე კალიგრაფიით, რომელიც წიგნსა და მახარებლის განმარტებით წარწერებზეა მოცემული. იკითხება მხოლოდ რამდენიმე ცალკეული ასო. სიტყვებს გააჩნდათ ქარაგმა და ერთმანეთში ჩანერილი სამი-ოთხი ასო. სამწუხაროდ, იმერეთში XVIII ს.-ის ხატწერის სახელოსნოების ან ცალკეულ ხატმწერთა შესახებ ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ დოკუმენტებსა თუ სხვა წერილობით წყაროებს. მათ უეჭველ არსებობაზე კი მიუთითებს თავად ნიმუშები, რომლებიც ქუთაისის მუზეუმში შემოსულია ქუთაისიდან, იმერეთის სოფლებიდან, მათი ნაწილი ატარებს ადგილობრივ, უფრო ხალხურ ნიშნებს (მაგ. ზემოთ აღწერილი წმ. იოანე მახარებლის ხატი), ნაწილი კი რუსული ხატწერის ნიმუშების ძლიერი გავლენით არის შესრულებული, როგორც ამას ვხედავთ ხატზე წმ. იოანე ღვთისმეტყველი „მდუმარებაში“. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო „აკადემიურია“ – დახვეწილია როგორც კოლორიტის შერჩევის, ასევე ცალკეული დეტალების დამუშავების მხრივ. თუმცა უდავოა რომ, ორივე მათგანი შესრულებულია დასავლეთ საქართველოში. ასევე შესაძლებელია, რომ ის შესრულებული იყოს საქართველოში მოღვაწე რუსი ხატმწერის მიერ.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. თაყაიშვილი ე., ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები, თბ. 2010
2. ბოჭორიძე გ, იმერეთი, თბ. 1995
3. ИОАНН БОГОСЛОВ, Православная Энциклопедия, Под общей редакцией Патриарха Москвы и всея Руси Алексия II, , т. XXIII, М. 2010
4. ქებულაძე მ., ჯრუჭის მონასტრის ნივთ-სამკაულის ისტორიისათვის, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXIII, 2013
5. ახალი აღთქუმაი, თბ. 2005
6. მოციქულთა ცხოვრება, თბ. 2011

NINO SARAVA, TAMAR JIKHVASHVILI

## **TWO PAINTED ICONS OF ST. JOHN THE EVANGELIST FROM JRUCHI MONASTERY**


Two painted icons of st. John the Evangelist are kept at Kutaisi state historical museum in the fund of painted icons and ecclesiastical items. The first of them undoubtedly belongs to Jruchi Monastery as it was brought to museum by a famous antiquity inspector and collector G. Bochoridze in 1926y. after his visit to the monastery. The history of the second icon is quite uncertain, but we supposedly belong it to the mentioned church on the base of a document published by our coworker and researcher M. Qebuladze. The document represents the list of Jruchi items and mentions the four iconostasis' painted icons of four Evangelists.

The first icon presents st. John the Evangelist with half figure turned to the right, handed an open gospel and touching his beard with his fingers as the gesture of a deep thinking. At his left shoulder is seen an angel and at right his symbol of an eagle is expressed. The icon was made in Georgian school of icon painting as it has Georgian inscriptions and stylistically is very close to a group of icons brought to museum from the different regions of west Georgia – Kutaisi, Imereti, Lechxumi and Racha. These group of icons can be dated back to the 18<sup>th</sup> century.

The second icon bears the image of st. John named as “St. John the Evangelist In Silence”. This iconographic type is widely spread in Russia. Its manner of writing is more “academic” than the first icon of st. John. It has more soft and light colors. The icon bears Georgian inscriptions and we think it also was made in Georgian painting school in XVIII-XIX cc.



1. წმ. იოანე მახარებელი, რესტავრაციაგლე



2. რესტავრაციის უმღებ




3. ღვთისმშობელი თლიბიტრია



4. მთავარანგელოზები



5. წმ. იოანე მღვთმარებაში, რესტავრაციაგლე



6. რესტავრაციის უმღებ

ელდარ თაყაიძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

## ჭალატყის ჯვარცმის მონასტერი და მისი სიძველეები

სოფელი ჭალატყე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) ისტორიულად ჯვარცმის სახელობის მონასტრით – მერმინდელი ეკლესიითაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს საეკლესიო ნაგებობა სიძველითაა გამორჩეული. სოფელიც შუა საუკუნეებში თავისი მდებარეობითა და ეკონომიური მდგომარეობით ქალაქს (ჭალატყეს „არიან მოსახლენი ვაჭარნი, სომეხნი და ურიანი და ვაჭრობენ“ ქართლის ცხოვრება, IV; 1973: 756) წარმოადგენდა და გარკვეულ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში, მათი სპეციალური შესწავლა ჯერჯერობით არავის უცდია. ჩვენი ნაშრომის მიზანია საზოგადოებას მივანდოთ ჭალატყის ჯვარცმის მონასტრის, მისი გაუქმების შემდეგ – ეკლესიის, შესახებ ისტორიულ ლიტერატურასა და ძველ პერიოდულ პრესაში გამოთქმული მოსაზრებები, შევავსოთ ისინი ახალი დოკუმენტებით და წარმოვაჩინოთ ჩვენი წინაპრების ამ ტაძრისადმი გამორჩეული დამოკიდებულება.

სხვაგან ვერ დავიჩემებ და ახლო-მახლო კი არსად მეგულება ასეთი ფართოგალავნიანი, თლილი ქვებით ოთხკუთხად ნაგები, ლეჩაქის ყურივით მოყვანილი ეკლესია – წერდა აფრასიონ მერკვილაძე (ჟურნალი „მოგზაური“, 1901 წ. №11., გვ. 1023).

ჯვარცმის სახელობის მონასტრის მომხიბვლელობას ისიც განაპირობებდა, რომ გამორჩეულ ადგილას, იქ, სადაც მდ. ჩოლაბური „ურიების ღელეს“ ერთვოდა, გაშლილ ვაკეზე მდებარეობდა. აფრასიონ მერკვილაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ ჭალატყის ჯვარცმის სახელობის ეკლესია უწინ მონასტერი ყოფილა. ვახუშტი ბაგრატიონი 1703 წლის თურქების შემოტევაზე საუბრისას, როცა მათ ჭალატყის სამი თავდაცვითი ნაგებობა ააოხრეს, ჯვარცმის სახელობის მონასტერზე არაფერს ამბობს. „წარმოემართა სარასკარი იმერეთსა ზედა და ქეჰას უბრძანა მისლვა არგუეთს. შემოვიდნენ და მოსწუეს არგუეთი ოსმალთა და მოადგნენ ჭალატყის კოშკებთა, რომელი განემაგრა აბაშიძეს თხრილებითა. განმაგრდნენ მეციხოვნენი და მოსრვიდნენ მრავალთა ოსმალთა. შემდგომად მოუჭდა ისაყ ახალციხის ფაშა სპათა შემოტევებით, აღილო თხრილი და მიუდგინნა ქუეშე მთხრელნი და წარმოვიდა თკთ. ხოლო შემდგომად შეთხრისა მისცეს ცეცხლი და გარდმოაბრუნვეს სამნივე იგი კოშკნი ძირითურთ და დაირღუნენ. ეჰა უცხო, რამეთუ მორჩა კაცი ერთი უვნებელად და განუტევეს ოსმალთაცა“ (ქართლის ცხოვრება IV, 1973: 864). მიუხედავად იმისა, რომ ჯვარცმის მონასტრის პირვანდელი ნაგებობის დანგრევასა და საეკლესიო მამულების იავარქმნაზე წყაროებში არაფერია ნათქვამი, სავარაუდოდ, მისი განადგურება შესაძლოა ამ წელს მომხდარიყო. ჯვარცმის მონასტრის ხელახალი აღდგენა-განახლება სოლომონ პირველის სახელს უკავშირდება, რაც აფრასიონ მერკვილაძის თქმით 1762 წელს მოხდა. ეს თარიღი სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს. ქართული იერარქიის ისტორია, 1825 წლის მონაცემების მიხედვით, ჯვარცმის მონასტერს დაახლოებით 1760 წელს აშენებულად ასახელებს. მონასტერს უწინ ყმა და მამულებიც ეკუთვნოდა, რომლის ნატამალიც აღარ შემორჩა XX საუკუნის დასაწყისში (ჟურნალი „მოგზაური“, იქვე). იმავე ქართული იერარქიის ისტორიის მიხედვით ჭალატყის მონასტერს სახნავ-სათესი და სააგარაკო ტყე გააჩნდა. ჰქონდა საწინამძღვრო და ბერების ხის პატარა კელიები. მართავდა იერო-მონაზონი გერასიმე (მერკვილაძე ვ.თ.). მასთან ერთად მოღვაწეობდა ერთი მღვდელი და ერთი იერო-მონაზონი. აფრასიონ მერკვილაძე მონასტრისთვის შეწირული ყმების გვარებსაც ასახელებს: „ქაცარიძე, რცხელიშვილი, გურეშიძე და

სხვანი... აქვე უცხოვრიათ ურიებს (მებეგრედ), ლელის პირად, რომლის სახელწოდებაც „ურიების ლელე“ აქედან წამომდგარა“ (ჟურნალი „მოგზაური“, იქვე).

ურიები – ებრაელები ჭალატყეში რომ ცხოვრობდნენ, ჩვენს მიერ მიკვლეული ამ დოკუმენტითაც დასტურდება: მარიამ დედოფალი 1797 (ჩღჟზ) წლის კაცხის მონასტრის განახლებულ შენობების წიგნში აღნიშნავს, რომ კაცხის ეკლესია დაუქმებული ყოფილა და მისი კუთვნილი ვაჭრები „სამეფო ხარჯში“ განუწესებიათ, მაგრამ როცა კაცხის ეკლესიის არქიმანდრიტი პეტრე გახდა, ძველი გუჯრები წარმოგვიდგინა, გვევედრა და „ჩვენც ახლად ასე დაგვიმტკიცებია, რომ ამ ორს მოსახლე ურიას ჭალატყეს წამოსახლს ჯავრობეგაშვილს იაკობას და მის ძმებს, ელიშაყაშვილს იოსებას და ყ-დ მის ძმებს ჩვენს სახასო ურიების სათხოვარისაგან განთავისუფლებათა და როგორც სხვათა საწინამძღვროთ მოსახლე ურიანი არიან, ისინიც ისე დაგვედგინა, რომ შენს წმინდა ეკლესიას და მის წინა მდგომელს წინამძღვარს მსახურებდნენ და განუსვენებდნენ და ეს ჩემი წერილ-აღქმა მარად წელ აღსრულდებოდეს“ (ქიმ. ისტორიული დოკუმენტი №132).

დამონებული დოკუმენტიდან ისიც ნათელი ხდება, რომ ებრაელები იმ ხანებში სახლობდნენ ჭალატყეში, როცა აქ მონასტერი ფუნქციონირებდა. შემდეგ სხვა ეკლესიებს წირავდნენ და სავარაუდოდ საცხოვრებლადაც სხვაგან გადადიოდნენ. ჭალატყეს წამოსახლი ამას ნიშნავს და ისეთები, რომლებმაც აქაურობა დატოვეს, ბლომად იქნებოდნენ. თუმცა მათი აქ სახლობა, აფრასიონ მერკვილაძის თქმისა არ იყოს, ტოპონიმ „ურიების ლელეში“ აირეკლა.

„ზედამდეგი დეკანოზობა“ მერკვილაძეს ჭერია, მაგრამ 1824 წელს დროებით სამმართველოს აქ დეკანოზობა მოუსპია. მონასტერი გაუქმებულა 1838 წელს არქიეპისკოპოსის სოფრონის ხელში – აღნიშნავდა აფრასიონ მერკვილაძე (ჟურნალი „მოგზაური“, 1024). საარქივო დოკუმენტის (რომლის არსებობის შესახებ ქართული ეკლესიის ისტორიის ჩინებულმა მცოდნემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მერაბ კეზევაძემ მიგვითითა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ), მიხედვით ჭალატყის ჯვარცმის მონასტერი სამი წლით ადრე, 1835 წელს გაუქმებულა და დაუნყია ფუნქციონირება, როგორც სამრევლო ეკლესიას. ამ დროისათვის აქ ერთი მღვდელი, ერთი ბერი და ერთი დიაკვანი მოღვაწეობდა (ქვა ფონდი 21, საქმე 1139, ფურცელი 4). რაც შეეხება მერკვილაძეთა „ზედამდეგ-დეკანოზობას“, აფრასიონ მერკვილაძე ჭალატყის ჯვარცმის სახელობის ეკლესიაში ანდრია და გიორგი ვასილის ძე მერკვილაძის მღვდლობას უნდა გულისხმობდეს. მერაბ კეზევაძის წიგნში „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“ ჩამოთვლილია ის სასულიერო პირები, რომლებიც ამ პერიოდში, ეგზარქოსობისას, ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიაში მსახურობდნენ: მღვდელმონაზონი პეტრე კვინიკაძე – 1838 წ.; მერკვილაძე ანდრია 1812-1829 წწ.; მერკვილაძე გიორგი ვასილის ძე 1812-1854 წწ.; ცქიტიშვილი იოსებ ოქროპირის ძე 1842-1881 წწ.; დალაქიშვილი გიორგი ბესარიონის ძე 1881-1891 წწ.; ფერაძე სოკრატ ლუკას ძე – 1891-1916 წწ.; ფერაძე კონსტანტინე – 1916-1917 წწ. (მ. კეზევაძე, „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, 2008: 149)

მონასტრის სამრევლო ეკლესიად გადაკეთებას, რასაკვირველია, ყმებისა და მამულების ჩამორთმევაც მოყვებოდა: სამრევლო ეკლესიას სამი ქცევა ეზო და ამდენივე სახნავი მიწა, რომელიც საღალოდ გაიცემოდა, შერჩენია. დავით მიტროპოლიტს (წერეთელს) ურიები გელათისთვის შეუწირავს. ისინიც აყრილან ჭალატყიდან და ქუთაისში გადასახლებულან (ჟურნალი „მოგზაური“, იქვე). ზემოთაც აღნიშნეთ, რომ ებრაელები აქედან ხშირად გადადიოდნენ და სამოსახლო ადგილს იმის მიხედვით იცვლიდნენ, რომელი ეკლესიის ან მონასტრის მებეგრეობა დაეკისრებოდათ.

ეკლესია შიგნით ღარიბულად ყოფილა მორთული, თუმცა სოფლის მკვიდრი მოსახლენი ყოველთვის ცდილობდნენ, აქ დაცული სინმინდეებისთვის მოეწოდებინათ. 1902 წლის „ივერია“ აღნიშნავდა, რომ აქაური საეკლესიო ნივთები არ ყოფილა შემკული ღირსეულად

და ამავე წელს მაღალყოვლადუსამღვდელოესი ლეონიდეს განკარგულებით შემდგარა კომიტეტი მათ გასაახლებლად. კანკელის გაკეთება ცნობილი ხელოსნისთვის – ვარდენ გოცირიძისთვის, ხოლო ხატების შექმნა სოსიკო მერკვილაძისთვის მიუხდევიათ. გადაუწყვეტიათ, ეკლესია ქართველი წმინდანების – დავით და კონსტანტინეს, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, მირიან და სიდონიას, წმინდა ნინოს, შიო მღვიმელისა და იოანე ზედაზნელის, არჩილისა და ლუარსაბის ხატებით შეემკოთ. ყოველივესთვის კი აკრებილი და ეკლესიის მიერ დაზოგილი თანხა გამოეყენებინათ („ივერია“, ჩვენებური ამბები, 1902, №261).

აფრასიონ მერკვილაძე – ჭალატყის კჯვარცმის სახელობის ეკლესიის სინმინდეთაგან რამდენიმეს: გარდამოხსნას, ჯვარცმას, თომას თავსა და ხელნაწერ სახარებას გამოყოფდა (ყურნალი „მოგზაური“, იქვე).

აღნიშნული სინმინდეებიდან გიორგი ბოჭორიძეს გარდამოხსნა და ორი ოთხთავი დახვედრია, ბუნებრივია, რაც დახვდა, ის აღწერა. აფრასიონ მერკვილაძეს კი ყველა ზემოთდასახელებული ნივთ-სამკაული შესაძლებლობისამებრ აღუწესხავს და მათი აღწერილობაც ჩაუტანია საყურნალო სტატიაში.

გიორგი ბოჭორიძის აღწერით ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის გარდამოხსნა ზომით 180X110 სმ-ია, ოქრომკერდითა და ფერადი ძაფითაა ნაკერი და აქვს ასომთავრული წარწერა (გიორგი ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები 186-189), რომლის წინა ნაწილს მოვიტანთ ჯერჯერობით:

1. ქ. შ(უე)ნი(ე)რმ(ა)ნ ი(ო)ს(ე)ბ ძელისაგ(ა)ნ გ(ა)რდამოხ(ს)ნა უხრწნელი გუამი შენი ქ(რის)ტ ე დ(ა) არმემაკითა წ(მიდ)ითა წ(ა)რგრაგნა, ს(უ)რნელეებითა შემურვილი ახალსა საფლავსა დაგდვა, ა(რამე)დ ჰ ი ჰყო, აღდგა უფალი

2. მოანიჭა სოფელსა დიდი წყალობა“.

ვახტანგ ბერიძე თვლიდა, რომ ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიისთვის შეწირული გარდამოხსნის წარწერის შესავალი ნაწილი (რომელშიც „ზოგი რამ გაურკვეველიაო“ წერდა, თუმცა არ აკონკრეტებდა) მთლიანად ემთხვევა ბაგრატ მეფეთ მეფის „გარდამოხსნის“ წინა ნაწილს (ვ. ბერიძე, ქართული ნაქარგობის ისტორიიდან. გარდამოხსნები, 1983: 28).

ჭალატყის „გარდამოხსნის“ ძირითადი ტექსტი ასეთია:

3. ქ. შეწვენითა ღ(ვ)თისათა მე, უფლისწულ- ციხისთა [ვმან] და გვარად აბაშიძემ(ა)ნ ბატონმ(ა)ნ გ(იორგ)ი თ(ან)ა

4. მეცხედრემ (ა)ნ ჩ(ემ)მ(ა)ნ ლორთქიფანიძის ასულმან ბ(ა)ტ(ონ)მ(ა)ნ\*<sup>1</sup> გულქან შევაკერინეთ ესე გარდამოხსნა ჩ(უე)ნისა ლევანისა და ბეჟანის აღსაზრდელად. ვინცა

5. ჩ(უე)ნთ(ვის) შ(ე)ნდობა ბრძანოთ ღ(მერთ)მან თქ(უე)ნც შეგ(ი)ნდ(ო)ს,

რამცა ძემ(ა)ნ კ(ა)ცისამ(ა)ნ ჩ(უე)ნს შვ(ი)ლს, ანუ ს(ა)ფლავს ესე

6. გ(ა)მოხსნას, მე(ო)რედ მოსლვას ჩ(უე)ნი ც(ო)დ(ვის) პასუხის მიმცემი იყო ღ(ვ)თისა, შეიკერა თ(უე)სა ნ(ოე)ბ(ე)რსა,

7. ქ(ორონი)კ(ონ)სა ტყუ (393+1312 = 1705 წ.) (გიორგი ბოჭორიძე, იქვე)

გიორგი აბაშიძეს და მის თანამეცხედრეს გულქანს, ბეჟან ლორთქიფანიძის ასულს, ეს გარდამოხსნა თავიანთი სულის საოხად და შვილების – ლევანისა და ბეჟანის აღსაზრდელად შეუკერინებიათ და შეუწირავთ ჭალატყის ჯვარცმის მონასტრისათვის. აფრასიონ მერკვილაძე ამბობდა, რომ ზეპირგადმოცემით გარდამოხსნა სოლომონ პირველის გადიას შეუკერავს, რომლის სახელი და გვარიც ხალხს დავინწყნია (ყურნ. „მოგზაური“ იქვე).

ვახტანგ ბერიძის სამართლიანი შენიშვნით „გარდამოხსნის“ შემწირველი გიორგი აბაშიძე,

1 \* ამ სამ ასოზე აფრასიონ მერკვილაძე წერდა, ვერ ამოვიკითხეო.

რომელიც მე-18 საუკუნის დასაწყისში ფაქტიურად იმერეთს განაგებდა, უფლისწულ-ციხისთავადაა მოხსენიებული იმ კურიოზულ (ეს ვ. ბერიძისეული შეფასებაა, საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომში კი ეპიტაფია ავტობიოგრაფიულადაა მიჩნეული. საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV, 1973: 510) ეპიტაფიაში, რომელიც კაცხის გულანის აშიაზეა მინერილი, სადაც იგი თავის თავს ჭალატყის პატრონსაც უწოდებს.

„მე ესე წიგნი შევამკვე გიორგი მალაქიამა

უფლისწულ – ციხისთავმან სვერ – შორაპნისა მქონემან,

და გვარად აბაშიძემან თავსახლად ჭალატყიანმან

და დროშის ნალარის პატრონმა მორჭმით, სიმდიდრით

მე ამან იერუსალიმს აბრაჰამის ტაძრისა ამაგებელმან

პატრიარქისა მრავალჯერ გამგზავნმა და მარგებელმან

მტერისგან შემოუვალმან და მცველმან გამმაგრებელმან“ (ქრონიკები III 1967:19)

გიორგი აბაშიძესთან თითქმის ყოველთვის იხსენიება მისი მეუღლე გულქან, ასული მოურავ ბეჟან ლორთქიფანიძისა, რომელმაც ვახუშტის ცნობით 1667 წელს ქუთაისის ციხე აიღო (ვახტანგ ბერიძე, 1983:28).

ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის გარდამოხსნა გიორგი ბოჭორიძემ 1925 წელს ქუთაისში ჩამოიტანა და მუზეუმს გადასცა.

1930 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია ქართული ხელოვნების გამოფენისთვის საზღვარგარეთ, კერძოდ გერმანიაში გასაგზავნი ექსპონატები: ქუთაისის მუზეუმიდან შერჩეულ ნივთებში მოხვდა ჭალატყის გარდამოხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ნივთების მიღება-ჩაბარების ოქმზე ხელი ქუთაისის მუზეუმის დირექტორს ტრიფონ ჯაფარიძეს მიუწერია: „აქ აღნიშნული ნივთები ჩავაბარე პროფ. გიორგი ჩუბინაშვილს“ და ისიც ხელმოწერით ადასტურებდა, ჩავიბარეო, (ქიმ E-192/2537) ეს ნივთები, მათ შორის ჭალატყის გარდამოხსნაც, ქუთაისის მუზეუმს აღარ დაბრუნებია და ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

აფრასიონ მერკვილაძე აღნიშნავდა, რომ ჯვარცმის ეკლესიაში ჯვარცმის ხატი იყო უმთავრესი. იგი სიგრძით სამი ჩარეჟი, განით მისი ნახევარი ყოფილა. მასზე სხვადასხვა წმინდანების ნაწილები რამდენიმე რიგად ოთხკუთხ უჯრედებში ჩაესვენებინათ. უჯრები თორმეტი იყო და 12 საუფლოსაც ამიტომ ეძახდნენ.

ხატის ხის თავსახურზე ჯვარცმაა გამოსახული – „გოლგოთის მთა და ზედ ჯვარცმული ქრისტე კისერმოკირწყული და მის გვერდით ჯვარცმული ავაზაკები და ხელში გრძელტარიანი შუბით თუ ლახვრებით რომაელი ყარაულები“ (ყურნ. „მოგზაური“ 1024).

ამ ხატზე უფრო დაწვრილებით საუბარი იმიტომ ღირს, რომ იგი, როგორც ჩანს, იმ საეკლესიო ნივთებში მოხვდა, რომლებიც 1924 წელს გაანადგურეს – „ნაწილი სიძველისა (ხატები და ხელნაწერები) გაუნადგურებიათ 1924 წ.“ (გ. ბოჭორიძე, 1995:180). ხატი ადრე ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის მარჯვენა მხარეს მდებარე „სუროიან საყდარში“ ყოფილა დასვენებული, მისი დანგრევისა თუ მანამდეც, მთავარ ეკლესიაში გადმოუსვენებიათ.

აფრასიონ მერკვილაძე ხატთან დაკავშირებით საინტერესო ლეგენდას მოუთხრობდა ჟურნალ „მოგზაურის“ მკითხველებს:

სოლომონს დადიანი რომ გაუსიძევდა, მიქელაძე ხლებია თან, რომელიც ძალიან დაახლოებული პირი გახდა მეფის სასახლეში. დადიანს ჯვარცმის ხატი მოწონებია, გატყდომია ამას მიქელაძეს და მოპარვა უთხოვია. მიქელაძემ მართლაც მოიპარა ხატი და დადიანმა იგი თავის სასახლეში დაასვენა. ხატის წინანდელ მეპატრონეებს „ხატი გაპარული ჰგონებიათ“. მეფის ასული რომ გათხოვდა, ხატი იქ დაუხვდა. მოპარვის ამბავი რომ შეიტყო, „ქმარს ერთი ყოფა დაუწია“. ერთ ღამეს დადიანმა

ნახა სიზმარი, რომელშიც ხატი ეუბნებოდა, თუ ჩემს ადგილზე არ ნაგისვენებოდა, შენს ბაროზაზე ყველაფერს გავწყვეტო. შეშინდა, დაიბარა მიქელაძე და ხატის თავის ადგილას დაბრუნება თხოვა. ამანაც ხატი წამოიღო, მაგრამ, იმის მაგიერ, ძველ საბრძანებელში დაებრუნებინა, თავის ეკლესიაში, კულაში დაასვენა. მიქელაძეს ერთი შვილი ჰყავდა. ავად გაუხდათ, აღდგომა დღეს ცოლ-ქმარი წირვაზე წავიდნენ, შვილი გადიას დაუტოვეს და რომ დაბრუნდნენ, მკვდარი დახვდათ. რასაკვირველია, შენუხდნენ. მიქელაძემ ცოლს უთხრა, ხატის ბრძანებაა, არ იტირო, ღმერთი აღდგომას ტირილს გვინყენსო. თვითონ დაიჩოქა და ხატს შეთხოვა, თუ შვილს გამიცოცხლებ, ექვსი გვარის კაცს შემოგწირავ და ძველ ეკლესიაში დაგაბრუნებო. „ქრისტი აღსდგა“ თქვა თუ არა, ბავშვმა „ჭეშმარიტად!“ წარმოთქვა. მიქელაძემ ხატი ტილოზე გადააღებინა, გადაღებული თავის ეკლესიაში დატოვა და ნამდვილი წინანდელ ადგილას დაასვენა. მეფეს ძალიან ეამა თურმე ხატის დაბრუნება, ჭალატყის ეკლესია ააგო და იქ დაასვენა.

მიქელაძეს „ღრამატა“ დაუნერია და ექვსი გვარის კაცი – ახუბაძე, ნიკურაძე, ნინუა, სტურუა, შენგელია და (მეექვსეს ველარ იხსენებდა აფრასიონ მერკვილაძე) ხატისთვის შეუწირავს. „ღრამატა“ ჯვარცმის უბეში ყოფილა მოთავსებული, მაგრამ მერე გლეხებს ბატონებთან დავისას საბუთად დაჭირვებით და წაუღიათ.

ჯვარცმის ეკლესიაში ხეში ჩადებული თომას შუბლი მერკვილაძეების საკუთრებას შეადგენდა და იგი საკვირაოს საყდარში ყოფილა დასვენებული. კვირაში ერთხელ ამოდიოდა ჯვარცმის ეკლესიიდან მღვდელი, წირავდა და საკვირაოც ამიტომ ერქვა – აღნიშნავდა აფრასიონ მერკვილაძე, რომელიც საკვირაო საყდრის იმჟამინდელ მდგომარეობასაც აღწერდა: „საკვირაოს ნახევარი კუდარობა, უკეთ, სამი კედელი, ორი მთელი და ერთიც გაბზნილი, ჯერ კიდევ დაუცილებელია; მხოლოდ წინა კედელია დარღვეული და ცა ჩამოქცეული. ეს გაუთლელი დიდრონი ქვებია (ზოგი ძირიდან მალლა ცამდი უწევს). აშენებული ოთხკუთხა პატარა შენობაა. კედლებში, უჯრების ნაცვლად, თიხის ქოთნებია დატანებული. კედლებზე მხატვრობა ყოფილა, წითლად დღესაც ემჩნევა (დიდრონი ნახატებიც ყოფილა), მაგრამ რა ყოფილა დახატული, ამის ამოცნობა აღარ შეიძლება, რადგანაც კირი ჩამოფხეკილია (კედლები ჩამორეცხილია და კირიც ჩამოცვენილი)“ (ჟურნალი „მოგზაური“ იქვე).

მერე საკვირაოს საყდარი აღარ შეუკეთებიათ და ხატი ჯვარცმის ეკლესიაში გადაუსვენებიათ. აფრასიონ მერკვილაძის გადმოცემით, ჯვარცმის ხატს მერკვილაძეებისას ეძახდა ხალხი. „შენი ჯვარცმა არ გამინყრეს“, „მტყუანს მერკვილაძეების ჯვარცმამ რისხოსო“ და სხვა.

რაც შეეხება ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიაში დაცულ ორ ოთხთავს, ისინი აღწერილი აქვს, როგორც გიორგი ბოჭორიძეს, ასევე ევსევ ნიკოლაძესაც. ოთხთავები ამჟამად ქუთაისის მუზეუმშია დაცული. წარმოვადგენთ ევსევი ნიკოლაძისეულ აღწერილობებს.

1. „**ოთხთავი** – K-376 [XV-XVI ს.] – (შ. ნ. 2567) – 185 ფ. ზ: 10X7,5. ეტრავტი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; გადამწერი ვინმე ბასილი; შემოსულია სოფ. ჭალატყის ეკლესიიდან; წიგნი ზის ვერცხლის ბუდეში.

წიგნში წარმოდგენილია: მათეს, მარკოზის, ლუკას და იოვანეს სახარებები. თითოეულ სახარებას წინ უძღვის საკითხავების ნუსხა. ხელნაწერის დასაწყისში მოცემულია:

ა. „ევსები კარპიანეს საყურელსა ძმასა უფლისა მიერ მოგიკითხავ“(1რ-ვ).

ბ. „კანონი, რომელსა ოთხნი იტყუან“ (2 რ-8გ).

დართული აქვს: „წმიდასა და დიდებულსა კურიაკესა სამხრად სახარებაჲ იოანესი თავი პირველი – პირველითგან იყო სიტყუად...“ (168 რ - 183 ვ).

ანდერძი გიორგი მთანმინდელისა: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა...“ (167 ვ).

ანდერძი გადამწერისა: „დიდებაჲ ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, სრულ იქმნა წმიდაჲ ესე ოთხთავი ჰელითა ფრიად ცოდვილისა და ყოველთა კაცთა უნარჩევესისა ბასილისაითა



და ვისაცა ჰელსა მოინიოს, შენდობასა გვედრები ყოველთა ღვთისადთ:ს. ამისა დამწერელსა ბასილსა შეუნდენ ღმერთმან“ (183 ვ).

მინანერი: 185 რ.

(ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, შემდგენელი ე. ნიკოლაძე, თბ. 1964: 82)

გიორგი ბოჭორიძე ამ ოთხთავს XI-XII საუკუნეებით ათარიღებდა. ბუდეს XIX საუკუნით. დღემდე არცერთ მკვლევარს არ უცდია გაერკვია გადამწერის – ბასილის ვინაობა.

2. ოთხთავი – K-378 [XV-XVI ს.] – (შ. ნ. 2569) – 224 ფ. ზ: 7,5X5,5; ეტრატი; ვერცხლის ყდა, ძლიერ დაზიანებული, ყდაზე წარმოდგენილია ხატები, ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული და დაზიანებული; აქვს თავკაზმულობა; შემოსულია ქალატყის ეკლესიიდან.

ხელნაწერში წარმოდგენილია: მათეს, მარკოზის, ლუკას და იოვანეს სახარებები [ნრ - 224 ვ].

შენიშვნა:

1. თავში და ბოლოში მოცემულია საკითხავების საძიებელი.

2. მარკოზისა და ლუკას სახარებას წინ უძღვის თავების ნუსხა.“

[ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, შემდგენელი ე. ნიკოლაძე, თბ. 1964: 83].

გ. ბოჭორიძე აღნიშნავს, რომ „ოთხთავს“, იოანეს სახარების წინ, ჩაკერებული აქვს პაპირუსის მცირე ფურცელი წარწერით: „ერთი ფურცელი ჩემთან ინახება – აფრ. მერკვილაძე 25/XII.02“. ე. ი. აფრასიონ მერკვილაძეს წიგნიდან ამოუღია ერთი ფურცელი. ეს ფურცელი ან იოანე მახარებლის სურათით იქნებოდა ან მინანერით. დღეს იგი აღარ ჩანს (ბოჭორიძე 1995: 189).

გ. ბოჭორიძე ოთხთავს არ ათარიღებს, ამის მიზეზი ხელნაწერის დაცულობას უნდა უკავშირდებოდეს: ოთხთავი ძალზედ დაზიანებულია, ბევრ ადგილზე მელანი გადასულია და ტექსტის ნაკითხვა ვერ ხერხდება. ხოლო ის ნაწილი, სადაც, სავარაუდოდ, გადამწერის, ასევე გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, ან ხელნაწერის გადამწერის თარიღი შეიძლება ყოფილიყო, მთლიანად დაფლეთილია. მიუხედავად ამისა, ოთხთავის გაფორმებისა და გრაფიკული მოხაზულობის შესწავლის საფუძველზე, ხელნაწერის დათარიღება შესაძლებლად მიგვაჩნია. ოთხთავის ე. ნიკოლაძისეული დათარიღება (XV-XVII ს.) სავარაუდოდ საეჭვოა, რადგან ზედაპირული დაკვირვებითაც აშკარაა, რომ ხელნაწერი გაცილებით ადრინდელ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალატყის მონასტერი (მერმინდელი ეკლესია) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მხარის საეკლესიო ცხოვრებაში. იყო სიძველეებით ერთ-ერთი გამორჩეული საეკლესიო სავანე, რომელსაც დიდ პატივს მიაგებდნენ ადგილობრივი მკვიდრნიც და სხვა კუთხის მცხოვრებლებიც.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება ტ. IV. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1973 წ.
2. აფრასიონ მერკვილაძე, ჯვარცმა, ჟურნალი „მოგზაური“, 1901 წელი, №11, 1023
3. ქიმ, ისტორიული დოკუმენტი 132
4. ქცა, ფონდი 21, საქმე 1139, ფურცელი 4
5. მერაბ კეზევაძე, ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთაისი, 2008 წ.
6. გაზეთი „ივერია“, ჩვენებური ამბები, 1902 წელი, №261, გვ. 3
7. გიორგი ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბ. 1995 წ.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, თბ. 1973 წ.
9. ხელნაწერთა აღწერილობა ტ. II, შემდგენელი ე. ნიკოლაძე, თბ. 1964 წ.
10. თედო ჟორდანიას, ქრონიკები, III ტ. 1967 წ.
11. ვახტანგ ბერიძე, ქართული ნაქარგობის ისტორიიდან, 1983 წ.

ELDAR TAVBERIDZE

Akaki Tsereteli State University, Professor

## THE CHALATKHE CRUCIFIXION MONASTERY (RECENT CHURCH) AND ITS ANTIQUITIES

The Chalatkhe Crucifixion Monastery (recent church) represented outstanding ecclesiastical institution in Western Georgia; the date of its initial formation is unknown. The renewal of the later period is associated with Solomon's first name and it must have taken place in 1762. The monastery existed until 1835 and was then functioned until 1924 as a parish church.

The destruction of the original structure of the Chalatkhe monastery could have occurred during Turkish invasion in 1703. The Jews were considered inhabitants of the monastery. According to historians, the Chalatkhe meant the city in the middle Ages. Armenians and Jews were lived there and trade.

The location of the Chalatkhe Monastery was the reason for its charm and because of it was famous ecclesiastical center.


Important antiquities were kept in the Chalatkhe Monastery (recent church). Among them is the Epitaphios, which is kept in Georgian Art Museum. Giorgi Abashidze and his wife Gulkani- the daughter of Bezhan Lortkipanidze are mentioned in the inscription of the Epitaphios.

Giorgi Abashidze was factual ruler of Imereti in the beginning of the 18th century. He also owned the Chalatkhe as an outstanding trading center.

After the Epitaphios, the Crucifixion, which is kept here, is interesting, which was supposedly destroyed in 1924, but the inscription of Aprasion Merkviladze revealed that it was a piece of art.

Two Gospels dating back to 15<sup>th</sup>-16 centuries are preserved in the Church of Chalatkhe. However, there is an opinion that one of them might be of 11<sup>th</sup>-12 centuries.

Everything points out that the Chaladid Church played outstanding role in ecclesiastical life of the country.



ლაშა დეისაძე-შარვაშიძე

ისტორიის დოქტორანტი, თეოლოგიის მაგისტრი, პოლიტოლოგიის მაგისტრი

## საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ისტორიული წინაპირობები

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო საყდარი არის ქრისტეს ეკლესიის ადგილობრივ საყდართაგან. საქართველოს ეკლესია დაარსებულია წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის მიერ. საქართველოში ქრისტეს რჯული ასევე იქადაგეს წმიდა მოციქულებმა: მათათამ და სვიმონ კანანელმა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე განისვენებენ. აგრეთვე, არსებობს ცნობები, რომ საქართველოში ქრისტეანობა იქადაგეს წმინდა მოციქულებმა: ბართლომემ და თადეოზმა. შესაბამისად, საქართველოს ეკლესია გახლავთ სამოციქულო პატივის მქონე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იწოდება ანდრია მოციქულის საყდარზე მჯდომარედ. ჯერ კიდევ პირველი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, საქართველოში, კერძოდ მცხეთაში განისვენებს მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესი სინმინდე – მაცხოვრის კვართი.

325 წელს ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ორი ეპისკოპოსი საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან. ესენი იყვნენ: ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე და ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნე (დომნუსი). უალრესი მნიშვნელობისაა ნიკეის კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობა ისტორიული თვალსაზრისით. ფაქტი ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობისა პირველ მსოფლიო კრებაზე, უთუოდ მოწმობს იმ გარემოებას, რომ 325 წლისათვის დასავლეთ საქართველოში, რომლის ერთ-ერთი ეკონომიური და კულტურული ცენტრი იყო ბიჭვინთა, იმდენად ძლიერი ყოფილა ქრისტიანული ორგანიზაცია, რომ მას საეპისკოპოსო კათედრაც მოეპოვებოდა და მისი წარმომადგენელი მსოფლიო კრებაზედაც იქმნა მინვეული. ის გარემოება, რომ სტრატოფილე ბერძენი ეპისკოპოსი იყო (თუმცა ეს არსაიდან ჩანს), ოდნავადაც ვერ შეარყევს დასავლეთ საქართველოში 325 წლისათვის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის არსებობის ფაქტს... ცხადია, რომ ნიკეის საეკლესიო კრებაზე მინვეული იყვნენ მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრების მოძღვარნი. ასე რომ, როდესაც ჩვენ ნიკეის მამათა სიაში ვკითხულობთ, რომ პირველ საეკლესიო კრებას დაესწრნენ ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნუსი და ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, ეს ნიშნავს, რომ ტრაპეზუნტი და ბიჭვინთა აერთიანებდნენ მსხვილ საქრისტიანო ორგანიზაციებს. ახლა საკითხვია, ვისი იყო ეს ორგანიზაცია, მაგალითად ბიჭვინთის ქრისტიანებისა? იყო ეს მხოლოდ და მხოლოდ ბერძენთა ორგანიზაცია თუ საერთოდ ბიჭვინთის მცხოვრებთა ორგანიზაცია?... მეოთხე საუკუნეში ბიჭვინთის ადგილობრივი მოსახლეობა ზიარებული რომ არ ყოფილიყო ქრისტიანულ მოძღვრებას, განა შესაძლებელი იქნებოდა ნახევრი საუკუნის ან ცოტა მეტის შემდეგ იქ აგებულიყო ადგილობრივი მცხოვრების მოთავეობით ტაძარი, შემკული მოზაიკური წარწერით, რომელშიც ქტიტორად იხსენიება ქართველი წარჩინებული, ვინმე „ორელი“? ერთი სიტყვით, ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ სტრატოფილე წარმოადგენდა, საერთოდ, ბიჭვინთის მძლავრ ქრისტიანულ ორგანიზაციას და არა მარტო ქრისტიან ბერძენებს. იგივე უნდა ვთქვათ ტრაპეზუნტელი დომნოსის შესახებაც (გეორგიკა, ტ. I, თბილისი, 1961 წ. გვ. 6-9).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან მღვდელმთავარი მონაწილეობდა აგრეთვე 381 წელს გამართულ მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაში. ჩვენამდე მოღწეულია II მსოფლიო, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ „კონსტანტინეპოლის პირველი“ კრების ხელმოწერ 150 ეპისკოპოსთა სია.

მათ შორისაა „პონტო ამისიის ოლქიდან პანტოფილე იბერიელი“. ზოგიერთ ხელნაწერში პანტოფილეს ნაცვლად წერია „პონსიფე იბერიელი“ ან „პასიფილ იბერიელი“. მე-2 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონაწილეობას იღებდა საქართველოს (იბერიის) ეკლესიის წარმომადგენელი ეპისკოპოსი პანტოფილე (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1974 წლისათვის, თბილისი, 1974 წ. გვ. 131).

431 წელს ეფესოში გაიმართა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება. მიიჩნევა, რომ ხსენებული მსოფლიო კრების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ქართლის ე.წ. „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსმა იერემიამ.

451 წელს ქალკედონში გამართულ მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობა მიიღო ორმა მღვდელმთავარმა საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან. ზოგიერთი ცნობით ქალკედონის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიუღია სებასტოპოლის (ნიკოფსიის) ეპისკოპოსს... IV მსოფლიო კრების საქმიანობისას ეპისკოპოსთა ჯგუფმა მიმართვით მიმართა იმპერატორს. ამ სიაში ნახსენებია პავლე პრესვიტერი, იმერიელი ეპისკოპოსის ურანიოსის მოადგილე, კომენტარის თანახმად სხვა ხელნაწერში ამ „იმერიელის“ ნაცვლად ჩანერილია „ივერიელი“ (იმერია - ქალაქს ერქვა ანატოლიაში (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, თბილისი, 2017 წ. გვ. 750-751). მეოთხე მსოფლიო კრების ხელისმომწერ მღვდელმთავართა შორის მოიხსენიება ატარვე ტრაპეზუნტელი.

რაც შეეხება თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას, ქართლს, აღნიშულ მხარეში მეოთხე საუკუნის ოციან წლებში ქრისტეს რჯული იქადაგა წმინდა მოციქულთასწორმა, კაბადოკიელმა ქალწულმა ნინომ, რომელიც ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ლოცვა-კურთხევით ჩამოვიდა საქართველოში, ქრისტიანობის საქადაგებლად. ცნობილია, რომ ქართლში მირიანის დროს, ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ, კონსტანტინეპოლიდან იქნენ მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურნი...

ივერიის ეკლესიამ დაარსებიდან დღემდე წმინდად დაიცვა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ქრისტეს წმინდა მოციქულების **(ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, ბართლომე, თადეოზი და მატათა)** ქადაგების შედეგად ქრისტეს შობიდან 40-იან წლებში დაარსდა საქართველოს ეკლესია, რომელიც იწოდება სამოციქულოდ, რადგან ქრისტეს მოციქულების მიერ არის დაფუძნებული. IV საუკუნის 20-იან წლებში კი, მოციქულთასწორის წმიდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად (ლ. ტყეშელაშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები“, ქუთაისი, 2014 წ. გვ. 20).

საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება, ძველი ქართული წყაროები უკავშირებენ წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. არსებობს მოსაზრება, რომ ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ხსენებული ავტოკეფალია არ იყო სრულყოფილი და იგი გარკვეულწილად ინარჩუნებდა იერარქიულ დამოკიდებულებას ანტიოქიის ეკლესიასთან. თუმცა, ხსენებული მოსაზრება, ბერძნული სამყაროს დამოკიდებულების ანარეკლი უნდა იყოს, ვიდრე რეალობასთან ახლოს მდგომი. ისტორიკოსი ნ. ლომოური აღნიშნავს: „ანტიოქიის საპატრიარქო ცდილობს კვლავ დაიქვემდებაროს ქართული ეკლესია ან ყოველ შემთხვევაში მასზე რალაც უფლებები შეინარჩუნოს, მაგრამ ეს ცნობები ვერაფრით ვერ შეარყევს დებულებას ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის V საუკუნის ბოლოს მიღების შესახებ. პირიქით, ეს ცნობები მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ვახტანგის დროს ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ავტოკეფალია იმდენად კანონიერი და ზუსტად არგუმენტირებული იყო, მიუხედავად ანტიოქიის პატრიარქატის მცდელობისა, საეჭვოდ გაეხადა ეს უფლება, იგი ორივეგზის დადასტურდა საეკლესიო კრებების მიერ.“ (ლ. ტყეშელაშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები“, ქუთაისი, 2014 წ. გვ. 28) მეცნიერთა უმრავლესობის არგუმენტირებული მოსაზრებით, საქართველოს

ეკლესია ავტოკეფალური გახდა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, 467-488 წლებში. კათოლიკოსის წოდების დაწესებამდე, ქართლის ეკლესიის მეთაური გახლდათ მთავარეპისკოპოსი. უდავოა, რომ არ იარსებებდა მთავარეპისკოპოსის წოდება, რომ არა, ქართლში არსებული საეპისკოპოსოები და მათი მმართველი ეპისკოპოსები. შესაბამისად, ქართლის ეკლესია საეკლესიო ადმინისტრაციული მოწყობის მხრივ დაყოფილი იყო ეპარქიებად – საეპისკოპოსოებად.

ქართლის პირველ კათოლიკოსად დადგენილი იქნა პეტრე პირველი, რომელსაც ხელი დაასხა ანტიოქიის პატრიარქმა. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი, ჯუანშერი არ გვაუწყებს ანტიოქიის პატრიარქის სახელს, რომელმაც კათოლიკოსი პეტრე აკურთხა, თუმცა გვაუწყებს, რომ კათოლიკოსის დადგინება მოხდა მეფე ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც მეფეს უკვე კეისრის ასული ჰყავდა ცოლად შერთული. ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ქართლის პირველი კათოლიკოსი პეტრე, ლეონ პირველი იმპერატორის დროს ჩამოიყვანეს, ე.ი. ეს უნდა მომხდარიყო 457-474 წლებში (ლ. ტყემელაშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები“, ქუთაისი, 2014 წ. გვ. 54).

ისტორიული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ცენტრები VI-IX საუკუნეებში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. ხსენებული საეკლესიო ცენტრები იყო: მიტროპოლიები, ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები, ეპარქიები. მიტროპოლიათა სიაში დასახელებულია ფაზისის სამიტროპოლიტი, ხოლო ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთა ჩამონათვალში შეტანილია: ნიკოფსიისა და სებასტოპოლისის (აბაზგის) ეპარქია, ლაზიკის ეპარქია (ცენტრი ფაზისის სამიტროპოლიტო) ოთხი კათედრით (როდოპოლისი, საისენე, (ცაიში), პეტრა, ზიგანევი) (ლ. ტყემელაშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები“, ქუთაისი, 2014 წ. გვ. 163-164). მოგვიანებით, დაარსდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსო, რომლის დაარსების თარიღის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. იმჟამინდელი ისტორიულ-პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით, აფხაზეთის საკათალიკოსო ვერ დაარსდებოდა მეცხრე საუკუნის 80-90-იან წლებამდე. აფხაზეთის კათოლიკოსის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ცნობებს შორის ყველაზე ძველია „ახალციხური ტყავის სახარება“, რომელიც დათარიღებულია მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებით. წარსულში მეცნიერთა ნაწილი უარყოფდა IX-XI საუკუნეებში აფხაზეთის საკათოლიკოსოს არსებობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერთა უმრავლესობა სადაოდ არ მიიჩნევს IX-XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს უწყვეტად არსებობას... XI-XIII საუკუნეების მრავალ სიგელსა თუ საისტორიო წყაროში „კათალიკოსნი“ მრავლობითი ფორმით გვხვდება. შესაბამისად „კათალიკოსნი“-ს მრავლობით რიცხვში მოხსენიებაში უნდა იგულისხმებოდნენ „ქართლისა და აფხაზეთის“ კათალიკოსები (ლ. ტყემელაშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები“, ქუთაისი, 2014 წ. გვ. 178-179).

მაშასადამე, საქართველოში, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარამდე არსებობდა ორი საკათალიკოსო, მცხეთისა და ბიჭვინთა-გელათის კათედრებით. არსებობს ისტორიული ცნობები, ყოვლისა საქართველოსა (მცხეთის) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქთა ურთიერთმიმართების შესახებ, თუმცა, აღნიშნული მრავალსაუკუნოვანი და საკმაოდ მრავალმხრივი გარემოება არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს, არამედ გარკვეული მოცემულობის სახით წარმოვადგინეთ საქართველოს ეკლესიის სამოციქულო პატივი და საქართველოში არსებული ორი ავტოკეფალური საკათალიკოსო ტახტის არსებობა, რომლებიც ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ-საეკლესიო სივრცეში თანაარსებობდნენ და თანამოქმედებდნენ.

1801 წლიდან რუსეთის იმპერატორის მანიფესტის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ეტაპობრივად მიმდინარეობდა ქმედებები რუსეთის იმპერიის მხრიდან საქართველოს

სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის – მცხეთის საპატრიარქო ტახტის გაუქმებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ მეორეს (ბაგრატიონი) იძულებით დაატოვებინეს სამშობლო... 1810 წლის 3 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II თბილისიდან პეტერბურგში გაემგზავრა. უკანასკნელი კათოლიკოზი საქართველოს სამეფოს დროისა მეფე ერეკლე II-ის ძე, გადასახლებულ იქმნა ქ. ნიჟნინოვგოროდში და იქვე მიიცვალა 1827 წელს 21 ქრისტეშობისთვის. ასაფლავია იმავე ქალაქის ხარების ტაძარში (ყურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990 წ. N3, გვ. 75).

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, 1795 წლიდან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათოლიკოსოს გამგებელი (კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრე) გახლდათ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (ნერეთელი), რომელსაც თანადგომას უწევდა გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე (შარვაშიძე).

დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს არსებობამ 1814 წლამდე გასტანა. ამავე წელს რუსეთის იმპერიის დღის წესრიგში ამ უძველესი საკათოლიკოსოს გაუქმების ჯერიც დადგა. იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების მომენტისათვის, ოთხი სამღვდელმთავრო კათედრა არსებობდა: ქუთაისის, გაენათის (გელათის), ხონისა და რაჭის. იმპერატორის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე 1815 წლის 8 მაისს თბილისში გაიხსნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა... მას უნდა დამორჩილებოდა იმერეთისა და უფრო მეტი, ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების, გურიისა და სამეგრელოს ეკლესიებიც. იმერეთისა და ასევე გურია-სამეგრელოს სამღვდელთა გამოვიდა არა მარტო ქუთაისში დისკატერიის გახსნის, არამედ საქართველო-იმერეთის კანტორისადმი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამორჩილების წინააღმდეგ (გ. ვაჭრიძე, „იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წ.წ.)“, ქუთაისი, 1999 წ. გვ. 232).

„ქუთათელი ამოაღრჩვეს ტომარაში გზათმომავალი სურამიდან გორში. დიდხანს არ იცოდნენ, რა ექნათ მოწამე-მღვდელმთავრის ცხედრისათვის, მიმყოლ ჯარისკაცთათვის არ გაუმხელიათ ეს ამბავი ანანურამდის, სადაც ბოლოს მოვიდა ბრძანება საქართველოს სინოდალურ ექსარქოსისაგან მღვდელმთავრის დასაფლავებისათვის „ყოვლად მარტივათა და უცერემონიოდ“ (ყურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990 წ. №3, გვ. 67).

გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფთვიმემ კი, წამებით ჩააღწია რუსეთამდე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა ამბროსი (ხელაია) გვაუწყებს: „...მხოლოდ გენათელმა ექვთიმემ ჩააღწია ნოვგოროდში, სადაც ის უნდა დაეხინავებინათ. იმპ. ალექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა. ჩაიყვანეს პეტერ-ბურღში, იმპერატორმა დიდი ზემოთ და პატივით მიიღო, მაგრამ ამისთვის არ მოერიდა (წმიდა ეფთვიმე გაენათელი – შენ. ავტ.) ემხილება საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისათვის და სამშობლოს დამცველების წამებისათვის, მას უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ ის გააგზავნეს ალექსანდრე სვირის მონასტერში, ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა (1822 წლის 22 აპრილს – შენ. ავტ.) და დასაფლავებულია“ (ყურნალი „მნათობი“, 1988 წ. №10, გვ. 152).

სწორედ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (ნერეთელი) და გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე (შარვაშიძე) იყვნენ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ის მაღალიერარქები, რომლებმაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ათწლეულშივე მყარი საფუძველი ჩაუყარეს რუსთაგან ანტიკანონიკურად ხელყოფილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ურთულეს, სამართლიან ბრძოლას. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლამ, ქართველ სასულიერო იერარქთა და საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან გადამწყვეტ ფაზაში გადაინაცვლა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ: ეპისკოპოსი (შემდგომში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) კირიონი (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ლეონიდე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი), ეპისკოპოსი (შემდგომში ქუთათელი მიტროპოლიტი) ანტონი (გიორგაძე), ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ამბროსი (ხელაია), არქიმანდრიტი (შემდგომში ქუთათელი მიტროპოლიტი) ნაზარი (ლეჟავა), დეკანოზი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) კალისტრატე ცინცაძე და სხვანი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ქართველი მღვდელმთავრებისა (ეპისკოპოსი კირიონის, ეპისკოპოსი ლეონიდის) და ქართველი მეცნიერების (ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის) მოღვაწეობას, კერძოდ, მათ პოლემიკას რუს სამღვდელოებასთან (ეპისკოპოსებთან, მღვდლებთან) და რუს მეცნიერებთან (ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო სამართლის ცნობილ მკვლევარებთან) (გ. ბურდული, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“, თბილისი, 2012 წ. გვ. 5).

1905 წლის 18 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ გამოსცა რესკრიპტი, რომლის მიხედვით, რუსეთის იმპერიაში გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება. აღნიშნული გარემოება ქართველმა სამღვდელოებამ და საზოგადო მოღვაწეებმა გამოიყენეს ავტოკეფალიის მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად. ისტორიკოს სერგი გორგაძეს დავებდა „ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტის“, ხოლო დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს კი, რუსეთის იმპერიის მთავრობაში გასაგზავნი პეტიციის შედგენა (პეტიცია შედგებოდა ხუთი მუხლისგან – შენ. ავტ.)... 1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. რუსეთის ხელისუფლება ქართველი სამღვდელოების მოთხოვნებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა. განსაკუთრებით კი დევნიდა სამღვდელოების შეკრებებს. 1905 წლის 31 მაისს თბილისში დაარბიეს ქართველი სამღვდელოების ყრილობა. ხელისუფლების ბრძანებით სასულიერო პირებს სასტიკად გაუსწორდნენ, მათრახებით სცემეს და შენობიდან ძალით გამოდევნეს (გ. ბურდული, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“, თბილისი, 2012 წ. გვ. 18-19).

1906 წელს რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იხილავდა საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხსაც. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა კირიონმა და ეპისკოპოსმა ლეონიდემ, ცნობილმა მეცნიერებმა – ქართველოლოგებმა ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა როგორც კანონიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება და სამართლიანობა. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელოებამ ვერაფერი დაუპირისპირეს ქართველთა ლოგიკურ მტკიცებულებებს. მიუხედავად ამისა, საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირმა 1906 წლის 15 დეკემბერს მუშაობა დაასრულა. ხსენებული თათბირი საქართველოსათვის სასურველი შედეგით არ დამთავრებულა. მიუხედავად ამისა, ქართველმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა შეძლეს დაესაბუთებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის

აღდგენის კანონიკურობა და სამართლიანობა. თითოეულმა მათგანმა უდიდესი ღვაწლი დასდო ამ საქმეს (გ. ბურდული, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“, თბილისი, 2012 წ. გვ. 29-30).

1905-1906 წლებში ქართველი სასულიერო იერარქიისა და საერო მოღვაწეთა სამართლიანი მცდელობანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის იმჟამად ვერ დასრულდა საქართველოს ეკლესიისთვის სასურველი შედეგით, თუმცა, მკაფიო და ცალსახა განაცხადი იყო, საქართველოს ეკლესიის ანტიკანონიკურად ხელყოფილი ავტოკეფალიის აღდგენის გზაზე.

1917 წლის თებერვალში რუსეთში განხორციელდა რევოლუცია. იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა. დასრულდა რუსეთში მონარქიული სახელმწიფო წყობა და რომანოვების დინასტიის მმართველობა. რუსეთს სათავეში ჩაუდგა დროებითი მთავრობა. გიორგი ლვოვის თავმჯდომარეობით. ქართველმა სამღვდელოებამ გონივრულად გამოიყენა არსებული პოლიტიკური ვითარება... ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე) ინიციატივით 1917 წლის 6 მარტს თბილისის ფერისცვალების სახელობის მონასტერში, სადაც იგი ცხოვრობდა, შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანიას, სოსიკო მერკვილაძე, იპოლიტე ვართაგავა, ალექსანდრე ლომთაძე, დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე. ამ შეხვედრაზე გადაწყდა 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღსრულებულიყო რუსეთის იმპერიაში მშვიდობისათვის პარაკლისი. დაიგზავნა მოსანვევები პროვინციებში. ზღვა ხალხი შეიკრიბა სვეტიცხოველში. 12 საათზე გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა ეპისკოპოს ანტონის მიერ შედგენილი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი“... ეპისკოპოსი ანტონი ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციას, რომელმაც დაძაბული მოლაპარაკებები აწარმოა 1917 წლის ივნის-აგვისტოში პეტერბურგში რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მიაღებინა კიდევ დროებით მთავრობას საგანგებო დოკუმენტი ამ საკითხზე (ს. ვარდოსანიძე, „ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები)“, თბილისი, 2010 წ. გვ. 96).

დაარსდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომლის თავმჯდომარედ დადგინდა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე). ავტოკეფალიის გამოცხადებიდან მესამე დღეს, 1917 წლის 14 მარტს, ეპისკოპოსები: ლეონიდე, ანტონი მივიდნენ საქართველოს ეგზარქოს პლატონ როჟდესტვენსკისთან და გამოუცხადეს, რომ მცხეთაში მომხდარი აქტის საფუძველზე იგი გადაყენებულია საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან (ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წ.წ.)“, თბილისი, 2014 წ. გვ. 31). ეგზარქოსყოფილი პლატონი არ თმობდა თავის პოზიციებს და ის მასთან მისულ ქართველ მაღალიერარქებს რუსი ჯარისკაცებითაც კი დაემუქრა... 1917 წლის 27 მარტს საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს რუსმა სამღვდელოებამ მიტროპოლიტი პლატონი გამოაცხადა ამიერკავკასიის ეგზარქოსად და თბილელ მიტროპოლიტად, თუმცა ამავე წლის 23 აგვისტოს ეგზარქოსყოფილ პლატონს მოუწია საქართველოს დატოვება. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდეს მეთაურობით ეგზარქოსის ყოფილ სასახლეში გადავიდა. მიტროპოლიტმა ლეონიდემ ახედა ცარიელ კედლებს, სადაც წინათ რუსი ეგზარქოსების სურათები ეკიდა და ერთ წამს შეჩერდა... ლეონიდემ პირჯვარი გადაინერა და წარმოთქა: „აღსრულდა... უფალო შეგვიწყალებ და დაგვიფარე!“ (ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წ.წ.)“, თბილისი, 2014 წ. გვ. 39)



1927 წლის თებერვლის თვეში მოხდა საქართველოს ეკლესიისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი, მისი ავტოკეფალია აღიარა რუსეთის ეკლესიის მმართველმა სინოდმა. ეს ისტორიული გადაწყვეტილება რუსეთის ეკლესიის მიერ მიღებული იქნა კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის, საკათალიკოსო საბჭოს (წმიდა სინოდის) და მისი აქტიური წევრის, მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ღვანლის შედეგად (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, თბილისი, 2017 წ. გვ. 712).

რუსეთის ეკლესიის სინოდის 1927 წლის 25 თებერვლის №825 მიმართვის თანახმად კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი, რუსეთის ეკლესიამ 1927 წლის 8 თებერვალს სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის ეკლესიის სინოდმა თხოვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ამბროსის, რომ მამობრივი მზრუნველობა გაენია რუსული მართლმადიდებლური სამრევლოებისათვის აფხაზეთში.

1943 წლის ოქტომბერში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღადგინა ლიტურგიკულ-კანონიკური ერთობა საქართველოს ეკლესიასთან და სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მისი მამამთავრის საპატრიარქო ღირსება და მეექვსე ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში.

რუსეთის ეკლესიამ ორჯერ ცნო ოფიციალურად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. პირველად 1927 წლის თებერვალში, მეორედ კი 1943 წლის ოქტომბერში. შეიძლება ითქვას, რომ მეორე ცნობა ემყარებოდა პირველს. მეორე ცნობის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ 1927 წელს რუსეთის ეკლესიას არ ჰყავდა პატრიარქი (პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებამ არ მისცა უფლება საეკლესიო კრების მოწვევისა) და მას მართავდა ე.წ. „სამღვდლო სინოდი“ (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, თბილისი, 2017 წ. გვ. 712).

მიუხედავად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური აღიარებისა, საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია მაინც არ გახლდათ საერთაშორისო საეკლესიო სივრცეში სათანადო პატივით აღიარებული. იყო შემთხვევები, როდესაც ავტონომიურადაც კი იხსენიებდნენ საქართველოს ეკლესიას. 1977 წლიდან, როდესაც საქართველოს ეკლესიის მამამთავრის ტახტზე აღსაყრდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, დაიწყო ქმედითი და აქტიური, სამართლიანი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის, რომელიც კონსტანტინეპოლის (მსოფლიო) საპატრიარქოს უნდა ეცნო.

ჩვენ მიერ განხილული ისტორიული წინაპირობები და წარსული, საუკუნეებით ჩამოყალიბებული ობიექტური მოცემულობა, მოგვიანებით, როდესაც საჭირო გახდა რუსთაგან ხელყოფის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარება, სრულიად სამართლიანად წარმოდგენილი იქნა, როგორც ისტორიული საფუძველი და წარსული მრავალსაუკუნოვანი რეალობა, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარების უმნიშვნელოვანესი მისიის აღსრულებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. გეორგიკა, ტ. I, თბილისი, 1961 წ.
2. გვანცა ბურდული, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“, თბილისი, 2012 წ.
3. გოდერძი ვაჭრიძე, „იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წ.წ.)“, ქუთაისი, 1999 წ.
4. ლევან ტყემელაშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები“, ქუთაისი, 2014 წ.
5. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, თბილისი, 2017 წ.
6. ჟურნალი „მნათობი“, 1988 წ. №10
7. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990 წ. №3
8. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1974 წლისათვის, თბილისი, 1974 წ.
9. სერგო ვარდოსანიძე, „ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები)“, თბილისი, 2010 წ.
10. სერგო ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წ.წ.)“, თბილისი, 2014 წ.

LASHA DEISADZE-SHARVASHIDZE

Doctoral student of history, Master's degree of theology,

Master' degree of political sciences

## **HISTORICAL PRECONDITIONS OF INTERNATIONAL ACKNOWLEDGMENT OF AUTOCEPHALY OF GEORGIAN CHURCH**

Georgian Church was founded by st. apostle Andrew firstcalled. Georgian Church became autocephalous in V century. In Georgia, there were two patriarchate thrones: catholicosate of Kartli (Eastern Georgia) and cathilosate of Abkhazia (Western Georgia).

Auatocephaly of Georgian Church was abolished in 1811-1814 years, by Russia. In 1917 year autocephaly of Georgian Church was resurrected, but it was acknowledged in 1990 year, by Ecumenical (Constantinope) Patriarchate, which need argumentation and verify from history of Georgian Church.

## ირაკლი ლორთქიფანიძე

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკული ღვთისმეტყველებისა და რელიგიების ისტორიის ლექტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორანტი, თეოლოგიის მაგისტრი

## სასულიერო ჟურნალი „ახალი სიტყვა“ – ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონის (გიორგაძე) წინააღმდეგ

*„უტყუ იქმნენ ბაგენი მზაკუვარნი, რომელნი  
იტყვიან მართლისა მის ზედა უსჯულოებასა  
ამპარტავნებითა და შეურაცხებითა“ (ფსალ.30,18).*

1918 წელს თბილისში გამოვიდა ორკვირეული სასულიერო ჟურნალი „ახალი სიტყვა“, გამომცემელი იყო „ახალი სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიის რწმუნებული, მღვდელი ქრისტეფორე ციციქიშვილი (1927-1932 წლებში საქართველო კათოლიკოს-პატრიარქი), ჟურნალი იბეჭდებოდა სტამბა „ცხოვრებაში“. „ახალი სიტყვის“ გამოცემის შესახებ ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო საქმეში“, 1918 წლის 3 მარტს, №185 (ქართული პერიოდიკა, 1947:54).

თითო ნომერი რვა გვერდიანია, ჟურნალს აქვს რამდენიმე თემატური განყოფილება: ღვთისმეტყველება, ფელეტონი, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და წერილები რედაქციის მიმართ. პირველი ნომერი 1918 წლის 25 თებერვალს გამოვიდა. სულ გამოიცა 13 ნომერი.

„ჟურნალის მიზანია საქართველოს ეკლესიის ფაქტიური განახლება წმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა ყოველგვარ ჩაგვრა-უსამართლობასთან სასულიერო უწყებაში“ (ახალი სიტყვა, 1918:1.№1).

სასულიერო ჟურნალი „ახალი სიტყვის“ მატერიალური მხარდამჭერი გახლდათ თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე (ვარდოსანიძე, 2001:50).

ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიკაციების უმრავლესობას ავტორები აქვეყნებდნენ ფსევდონიმებითა და ინიციალებით, ესენია: ივ. ნაჭყებია,<sup>1</sup> ჯაჭვაძე,<sup>2</sup> ჭინჭარი,<sup>3</sup> ახუთელი,<sup>4</sup> კ. გრძელი, ახელი,<sup>5</sup> ამერელი, ლიხელი, სორტელი სტუმარი, ღვთისმეტყველი, დამსწრე, ბაბასინ,<sup>6</sup> მორწმუნე ქართველი, ხოსროანი, მესხელი, ნადიროვისეული, ვინ-მე, ზეგნელი, ი.ავ., მათე, ბაჯითელი. თუმცა ცნობილია თითოეული ფსევდონიმის ავტორის ვინაობა.

დეკ. ნიკიტა (თალაკვაძე) წერს: „[ქრისტეფორე] ციციქიშვილი [დეკანოზმა ილია] შუბლაძემ და [დეკანოზმა ანტონ] თოთიბაძემ წამოაყენეს „ახალი სიტყვის“ რედაქტორად, ხოლო ფაქტიური რედაქტორი იყო შუბლაძე, რომელიც შვიდი პსევდონიმით გამოდიოდა: „ახელი“, „ახუთელი“, „ნაჭყებია“, „ა-ლი“, „ჯაჭვაძე“, და სხვა... საშინელ პასკვილებს ათავსებდა „ახალ სიტყვაში“ – ლაფი გადაასხა მცოვან კათოლიკოსს კირიონს თავზე; მას შევლოდა ამ საქმეში დავითაშვილიც,<sup>7</sup> რომელიც ხელმოუწერელი სტატიებით გამოდიოდა; ზოგჯერ ციციქიშვილიც ისროდა ნიხლებს; ლეონიდე თანამშრომლობდა ფსევდონიმით „ჭინჭარი“, „ბაბასინ“ და სხვა“. (თალაკვაძე, 2013:151).

1 დეკანოზი ილია შუბლაძე

2 დეკანოზი ილია შუბლაძე

3 მიტროპოლიტი ლეონიდე თქრობიანიძე

4 დეკანოზი ილია შუბლაძე

5 დეკანოზი ილია შუბლაძე

6 მიტროპოლიტი ლეონიდე თქრობიანიძე

7 დავით დავითაშვილი

განსაკუთრებით აღსანიშნავია მღვდელ ქრისტეფორე ციციქიშვილის პუბლიკაციები, რომელიც მიმართული იყო საქართველო კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი კირიონის, საკათალიკოსო საბჭოს წევრების წინააღმდეგ. იგი ყველაფერში მოითხოვდა განახლებას (ვარდოსანიძე, 2001:51), იგი წერდა: „არ კმარა საქართველოს საეგზარქოსოს საქართველოს საკათოლიკოსო დაერქვას, არ კმარა ძველი ტიტულების აღდგენა, ძველის საკათოლიკოსო შესამოსლების გამომზეურება, საჭიროა ფხინობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მოქმედი ძალების შემჩნევისა, დაფასებისა და მათი შეთანხმებულად დარაზმვისა“ (ახალი სიტყვა, 1918:4.№1).

ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების შინაარსი ააშკარავებდა დაპირისპირებას საკათალიკოსო საბჭოს წევრებს შორის. ერთ მხარეზე იყვნენ უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ II და მისი მომხრეები, მეორე მხარეს კი – თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, თავისი თანამოაზრეებით. ეს დაპირისპირება გამონვეული იყო 1917 წლის 17 სექტემბერი არჩევნებით. მიტროპოლიტი ლეონიდე და მისი თანამოაზრეები თვლიდნენ, რომ საპატრიარქო ტახტზე პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი ლეონიდი უნდა ასულიყო, ისინი გაოგნებული დარჩნენ კენჭისყრის შედეგებით, სადაც უპირატესობა მოიპოვა ეპისკოპოსმა კირიონმა და გახდა ავტოკეფალიაღდგენილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი კათალიკოზ-პატრიარქი (ვარდოსანიძე, 2001:51).

ჟურნალი „ახალი სიტყვა“ არა მარტო კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II-ს ებრძოდა, არამედ მის მომხრეებსაც. ცილისწამებას, შეურაცხყოფას, ჟურნალის ფურცლებზე ვერ გადაურჩნენ ვერც ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონ გიორგაძე და დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე (ვარდოსანიძე, 2001:54).

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე თავის მოგონებებში წერს: „არც ერთი ნომერი არ გამოუშვიათ „ახალი სიტყვისა“, სადაც არ ყოფილიყოს შეურაცხყოფილ-დამცირებული (რასაკვირველია უსამართლოდ) კირიონი, ანტონი და მე“. (თალაკვაძე, 2013:74).

1918 წლის 12 მარტს, ჟურნალში დაიბეჭდა ინფორმაცია – თითქოს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი თავს ანებებდა ქუთაისის ეპარქიის მმართველობას და მონასტერში მიდიოდა საცხოვრებლად: „როგორც გადმოგვცემენ იმერეთის მიტროპოლიტი ანტონი თავს ანებებს თანამდებობას და მიდის საცხოვრებლად ერთ-ერთ მონასტერში. დროებით კი რჩება თავის ადგილზე ამა წლის ორ მასამდე. ქუთათელ მიტროპოლიტად იგი არჩეულ იქმნა 1917 წ. 17 სექტემბერს. მანამდე მსახურობდა გორის ეპისკოპოსად. იგი დადგენილ იქმნა ამ კათედრაზე ეგზარქოს ინოკენტის მიერ, დავით ეპისკოპოსის მაგიერ, რომელიც იმავ ინოკენტისაგან, როგორც მაშინდელი რეჟიმისათვის მავნე პირი, გაძევებულ იქმნა საქართველოდან“ (ახალი სიტყვა, 1918:8. №2). 1918 წლის 15 ივნისს ჟურნალში „ხოსროიანის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი სათაურით „მარტის ავტოკეფალისტები“, ავტორი წერდა: – „ყველას მოეხსენება რუსეთში და უფრო კიდევ ჩვენში, 1917 წლის თებერვლის შემდეგ ბევრმა ვაჟბატონმა, ნაძირალეზად წოდებულებმა, თავის თავი გამოაცხადეს სოციალისტებად, რომ რაიმე თბილი ადგილი ეშოვნათ სოციალისტურ მთავრობისაგან. ამ ჯურის სოციალისტებს ჰქვიანთ შესაფერისი სახელი: თებერვლის სოციალისტები“. ამის მსგავსი მოხდა საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაშიაც, ბევრმა ისეთმა პირმა, რომელნიც ძირს უთხრიან საქართველოს ეკლესიისა და ერის საქმეს, ან უკეთეს შემთხვევაში გულგრლად უცქეროდნენ მათ დამცირებას, 1917 წლის 12 მარტს აქეთ გამოაცხადეს თავისი თავი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის მოღვაწეებად, რომ ამით შეგუებოდნენ ახალ გარემოებას. ამისათვის ჩვენ ასეთ ჯიშის ავტოკეფალისტებს უნდა მივაკრათ შუბლზე დალი წარწერით: „მარტის ავტოკეფალისტები“.

ასეთ პირთა ჯგუფს ვაკუთნებთ „ახალ სიტყვის“ №№-ში მიტროპოლიტი ანტონი და მასვე ეკუთვნის ყველა მისნი მეგობარნიც. ამ ჯგუფზე ითქმის ანდაზა: „სადაც ერდო მალაღია მეც იმისი მაყარი ვარ“. წინეთ ეგზარქოსებსა, ნამესტნიკებსა და მათ ცოლებს ვეყმობოდით და ახლა კი განახლებულ

ეკლესიასა და სამშობლოსა და თუ დაგვჭირდა, ისევ იმ ძველ მეგობრებს დავუბრუნდებითი, – აი მათი ცხოვრების ფილოსოფია.

ჩვენ პირადობა არ გვაინტერესებს, მაგრამ ყოველი საქმე ფუჭდება, ან კეთდება ვინმეს მონაწილეობით, ამიტომ პირადობის ხსენებაც ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია. განსაკუთრებით საჭიროა ისეთის პიროვნების შესახებ, რომელსაც აქვს ნიჭი და ხერხი შეეგუოს (დარვინის თეორია) როგორც ძველ, ისე ახალ რეჟიმს, მიიღტვის პირველობისაკენ, საქმის სათივისაკენ და ჩვენთვის ცხადი და გამორკვეულია, თუ წყალი სათავეში მონამლულია, ამისთანა წყლის დალევა ფრიად მავნებელია.

ავტორი აგრძელებს: „ახალ სიტყვის“ მეექვსე ნომერში დასტამბულ ანტონ მიტროპოლიტის წერილში იგი თავის თავს უწოდებს ავტოკეფალიის მოღვაწედ, მაგრამ ამაში ვერ დავეთანხმებით მას. მართალია, ანტონ მიტროპოლიტი საქ. ეკლესიის დროებით მმართველობის წევრი იყო, მაგრამ იმ ხანად სხვა და სხვა საქართველოს გამომწვეურებულიყო მისნი „საქმენი საგმირონი“, თუმცა თვით დროებ. მმართველობის ერთ-ერთ სხდომარე ერთმა ადამიანმა, დღეს მისმა გულითაღმა მეგობარმა, უწოდა მას რასპუტინის „სტავლენნიკი“.

„თუ როგორი ბურჯი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა მიტროპოლიტი ანტონი 12 მარტამდის, მოვიყვანთ ამის საბუთებს, რომელნიც გამოქვეყნებული იქმნენ „ახ. სიტყვის“ თანამშრომლებისაგან იმაზე ბევრად წინ, სანამ მიტრ. ანტონი გარეგოლიუციონერდებოდა. მაგრამ ამაზე შემდგომ. ხოსროიანი“ (ახალი სიტყვა, 1918:5.№7).

ჟურნალი, მას მარტის ავტოკეფალისტს უწოდებდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ეპისკოპოსი ანტონი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის (ვარდოსანიძე, 2001:54).

ავიწყდება ამ სტატიის ავტორს, რომ ეპისკოპოსი ანტონი, სხვა ქართველ სასულიერო და საერო პირებთან ერთად, აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოძრაობაში. სწორედ იგი გახლდათ 1917 წლის 12 მარტის ავტოკეფალიის გამოცხადების მოთავე. ეს ამბავი, თბილისში ფერისცვალების მონასტერში, მის სამღვდელმთავრო რეზიდენციაში დაიგეგმა. ამასთან დაკავშირებით, მოგონებები შემოგვინახა იპოლიტე ვართაგავამ, დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ და სხვებმა, რომელთაც ასევე ესწრებოდნენ ამ შეკრებას.

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე მეუფე ანტონის შესახებ თავის დღიურებში წერს: „მისი თავმჯდომარეობით უკანასკნელი ექსარხოსის პლატონის დროს მოგვარდა 1917 წლის 12 მარტს ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სვეტიცხოველში!“ (თალაკვაძე, 2013:352).

1918 წლის 12 მარტს, „ჭინჭარი“(მიტრ. ლეონიდი) ივანე მაისურაძის ოქმზე დაყრდნობით აქვეყნებს წერილს, სათაურით: „თავმოსაჭრელი სიჩუმე“ – „თუ ადვილი არ იყო იმისი დაჯერება რასაც ჩვენს პირველ წერილში გამოვსთქვამდით ერთ-ერთ ქართველ მღვდელმთავარზე ცხადია, ფაქიზი ზნეობის ადამიანს საოცრებად ეჩვენება ის, რასაც ასე საღად და მოჭრით გადმოგცემს იმავე პირის შესახებ ქვემოთ მოყვანილი ოქმი“.

„1917 წ. ივნისის 13-ს დღესა. მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერმა ივანე თედოს ძე მაისურაძემ მივეცი ასეთი ჩვენება: „აღდგომის წინათ (არ მახსოვს თვე და რიცხვი), ჯერ ისევ ახლად იყო დაწყებული ქართველების „ზასედანიები“, რომ ერთ ღამეს კანტორიდან წავედი შინ დასაძინებლად ჩემ სახლობის ნათესავთან მიხასშვილთან, რომელიც ანჩისხატის გასწვრივ, ბაგრატიონის ქუჩაში ცხოვრობს. ჩემზედ უწინ წავიდა კრებიდან ეპ. ანტონი და წაბრძანდა ანჩისხატის ქუჩით. სობოროსთან რომ გავიარე, იქ დავინახე ეპ. ანტონი და სობოროს მღვდელი დავ. ჩიკვაიძე ერთად მოლაპარაკე. ეპისკოპოსმა მკითხა კიდევ, „ჩემი ფაიტონი არ მოვიდა“-ო? მე შინისაკენ შევუხვიე, მაგრამ ვათვალიერებდი ეპისკოპოსს, აბა საით წავა, რადგანაც მესმოდა ხოლმე რომ ის რუსების

ერთგულიაო. ჩიკვაიძემ ფანჯარა დახურა და ეპისკოპოსი ამოვიდა ბაგრატიონის ქუჩისაკენ და [გა]დაუხვია ეგზარხოსის მოედნისაკენ. ამ ამბავმა გამაკვირვა ეჭვი დემებადა და შორი-ახლოდან გავადევნე თვალი, თან გავყევი. მოედანზე დავინახე, რომ ეპისკოპოსი შევიდა ალყაფის კარის პატარა „კალიტკაში“ და პირდაპირ ეგზარხოსის „პადიეზში“ შევიდა. ეს ჩემი თვალთ ვნახე და ყველგან შემოიძლიან სინდისის ქვეშ სიმართლე გავიმეორო.

ჩვენება ესე მივეცი შემდეგი პირების თანა დასწრებით: დ. დავითაშვილის, დ. ნახუცრიშვილის, ს. წერეთლის, მ. მესხიშვილის და ნ. დევიძის თანა დასწრებით“. – მერე ხელი უწერიათ ნაჩვენებ პირებს...

ბრალდებულს საქმის გარემოება სცოდნია, მის მეგობარ-მახლობელ პირებს უცნობებიათ, რომ თქვენ შესახებ ამალეღვებელი ცნობები ვინმე მაისურაძესაგან და თქვენ ვალდებული ხართ თავი იმართლოთ საზოგადოების წინაშე, მაისურაძის პასუხისგებაში მიეცემითო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია მოკეთეთა რჩევისათვის და გამოუძებნია ასეთი გამოსავალი.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის ერთ-ერთ სხდომაზე განუცხადებია: ხმებს მივრცელებენ, ვითომც მე ამ მმართველობას ვლალატობდე და ფარულად ყველაფერს ვატყობინებდე ეგზარხოსს. ეს სულ სიცრუეა, მე ზნეობრივად ვისჯები ასეთი ხმების გავრცელებით და თუ თქვენ ასეთ ხმებს არ იზიარებთ, გთხოვთ ნდობა გამომიცხადოთ. კრებაზე დამსწრე წევრებს ეპისკოპოსის თხოვნა შეუწყნარებიათ, გამოუცხადებიათ მისთვის ნდობა და ბრალდებულს ამითი დაკმაყოფილებულა.

რა ღირებულებისაა ამგვარად ნდობის გამოცხადება, ან როგორ და რამდენად აქარწყლებს ეს ნდობის გამოცხადება მოყვანილი ოქმის შინაარსს, მკითხველებმა თვითონ განსაჯონ.

მოყვანილ ფაქტზე კიდევ უფრო უმძიმეს დანაშაულს სდებენ ნაჩვენებ ეპისკოპოსს და, თუ ქალაქის სიძვირის გამო ალაგი არ დაიშურა რედაქციამ, თავის დროზე ამაზედაც შესაფერ ცნობებს მივანვდი მკითხველებს. **ჭინჭარი**“ (ახალი სიტყვა, 1918:3.№2).

მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძის ეგზარქოს პლატონის მომხრედ გამოცხადება იყო მიზანმიმართული ცილისწამება (ვარდოსანიძე, 2001:55).

ცილისწამებით აღშფოთებული ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი ჟურნალის რედაქციისაგან მოითხოვს „ჭინჭრის“ ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის ვინაობის გამჟღავნებას და პირდაპირ პოლემიკას (ვარდოსანიძე, 2001:54). დეკ. ნიკიტა წერს: „ლაფი გადაასხვა „ჭინჭარმა“ ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონის, რა ცილი არ დასწამეს განსვენებულს; ხოლო ანტონმა სამართალში გაიწვია „ჭინჭარი“, ეს უკანასკნელი დაჰფარეს და ციციქიშვილი ნამოუყენენეს მოპასუხეთ, როგორც რედაქტორი; მაგრამ სამედიატორო სამართალი აღარ დასრულდა, ანტონი, მოსწამლეს ქუთაისში და თავიდან მოიშორეს, როგორც უძლიერესი კანდიდატი კათოლიკოსობაზე“ (თალაკვაძე, 2013:151).

ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა საპასუხო წერილი გაგზავნა ჟურნალის რედაქტორის სახელზე, შემდეგი სათაურით:

**ჟურნალ „ახალი სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნეულს  
მამა ქრისტეფორე ციციქიშვილს:**

„მამაო ქრისტეფორე! მივიღე და წავიკითხე თქვენი ჟურნალი „ახალი სიტყვა“.

უნინარეს ყოვლისა მომეწონა მისი სახელი. დიდათ მასიამოვნა მიზანმა, რომელიც ჟურნალს დაუსახავს განსახორციელებლად.

მოვემზადე ლოცვა-კურთხევით დამელოცა (ვერ არის კარგი ქართული – რედ.) გზა მისი მსვლელობისა, საქართველოს განახლებულ ეკლესიის განსამტკიცებლათ ნაყოფიერ მოქმედებისა და სამოღვაწეოთ ძალა-ენერგიის გაორკეცებისა, მაგრამ მერე, როცა ამ ჟურნალის ორივე ნომრის შინაარსი მოვისმინე,

ვაი, რომ მისმა ზოგადმა მიმართულებამ, კერძო პიროვნების დამცირების სურვილებით გაჟღერებული შინაარსმა ეს კეთილ-შობილური გრძნობანი მომიშხამა და სიამოვნობის ნაცვლად გული დამიკოდა, ღრმით დამაფიქრა. ნუთუ ამგვარი მოღვაწეობით აპირობს ეს დამოუკიდებელი ჯგუფი განახლებულ ეკლესიის სამსახურს, მის მტრებთან ნ. სახარების ნიადაგზე ბრძოლას, მუშაობას?! ნუთუ ამგვად შეიძლება განახლებულ ეკლესიის მეტროპოლიტა (? რედ.) პიროვნების გასვრა, უსაფუძვლოთ გალანძვლა და მათი მოღვაწეობის ასე დაუმსახურებლათ წაშლა, გაქარწყლება?!

ვგონებ რომ არა. ჩემის ღრმა რწმენით ეს შემცდარი ნაბიჯია, ამაზე ძლიერ ბევრი გვაქვს სათქმელი, მაგრამ ეს სხვა დროს და სხვა ადგილას.

ამ გზობისათ მხოლოდ ამასა გთხოვთ, ეს ნერილი დაბეჭდოთ ჟურ. „ახალ სიტყვის“ უახლოეს ნომერში და თან მაცნობოთ ვინაობა, ე.ი. ნამდვილი სახელი და გვარი „ჭინჭარის“ ნიღბით პირდაფარულ თქვენის თანამშრომლისა, რომელიც ლაჩრულათ მიმალულა ღობის ძირში და იქიდან ნასროლ ტალახით ლამობს ჩვენი (?რედ.) პიროვნების გასვრას. (სტილი და ორთოგრაფია ავტორის სრულს საკუთრებას შეადგენს. – რედ.) გვაცნობეთ მისი პიროვნება. დაგვანახეთ მისი სახე. გაგვასამართლოს ჩვენ კერძო პირების პატიოსანმა და მიუდგომელმა სამართალმა და მაშინ ვნახავთ „ჭინჭარი“ ვის პიროვნებას უფრო დასუსტავს და გაანითლებს, ჩემსას თუ იმისას?!

მანამდე კი დავშთები ჩემი თხოვნის დაკმაყოფილების მომლოდინე.

#### **იმერეთის მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი**

10 მარტი 1918 წ. ქ. ქუთაისი“ (ახალი სიტყვა, 1918:6-7.№4).

1918 წლის 17 (30) აპრილს ჟურნალ „ახალი სიტყვის“ რედაქციამ გამოაქვეყნა ნერილი:

#### **„პასუხი ქუთათელ მიტროპოლიტს ანტონს:**

„რედაქცია თანახმაა დააკმაყოფილოს სურვილი ქუთათელ მიტროპოლიტის ანტონისა. მხოლოდ, რადგანაც საჭიროდ არა სცნობს ფსევდონიმის გამოცხადებას, ანდობს თვის რწმუნებულს, მღ. ქრისტეფორე ციციქიშვილს გაჰყვეს მიტრ. ანტონს სამართალში ან საზოგადოში, ან სამედიატოროში, როგორსაც მოისურვებს მიტრ. ანტონი. ამასთანავე რედაქცია გადასცემს მღ. ქრისტეფორე ციციქიშვილს ყოველივე მასალას მიტროპოლიტ ანტონის მოღვაწეობის შესახებ. რადგანაც რედაქციას მხედველობაში აქვს საზოგადოებრივი საქმე, როდესაც იგი ეხება ამა, თუ იმ პირს, ამისათვის მოითხოვს, რომ საქმის გარჩევის დრო და ადგილი იქნეს წინდანივე გამოცხადებული, სამართალი მოხდეს საჯაროდ, სამართალში გამოცხადდეს თვით მიტროპოლიტი ანტონი და განაჩენი დაიბეჭდოს გაზეთებში.

ბოლოს რედაქცია მიმართავს კითხვით ანტონ მიტროპოლიტს: რატომ იწვევს იგი „ჭინჭარს“ ან მღ. ციციქიშვილს სამართალში და არა მისურადქეს, რომლის ჩვენებაც გამოაქვეყნა რედაქციამ და რომელსაც უნახავს იგი მიმავალი ღამით პლატონ ნაეგზარხოსალთან? ჩვენ გვგონია, სიმართლის თქმა პატარა კაცსაც შეუძლიან“.

(ახალი სიტყვა, 1918:7.№4).

**მიტროპოლიტმა ანტონმა განცხადებით მიმართა თბილისის ნოტარიუსს მაჭავარიანს, განცხადებაში ვკითხულობთ:**

ამით პატივი მაქვს, ბ. ნოტარიუსო, გამოგიცხადოთ, რომ 21 მარტს 1918წ. ჩემგან გაეგზავნა ტფილისის ქართულ გაზეთის „ახალი სიტყვის“ რედაქციის ნერილი, რომელშიაც იყო გამოხატული შუამდგომლობა ჩემი აღნიშნულ რედაქციის წინაშე, მის რწმუნებულს მღ. ქრ. ციციქიშვილის პირით, გამოეჩინათ ფიზონომია და სახე „ჭინჭარის“ ფსევდონიმით დამალულ ამ ჟურნალის თანამშრომლისა, უსინდისოთ რომ გადამასხა თავზე 1 ჩაფი ტალახი მე, ერთ-ერთს მოღვაწეს ავტოკეფალურ

ეკლესიისას, რომლის დაბეჭდვასაც მე მოვითხოვდი დასახელებულ ჟურნალის მორიგ ნომერში.

გაცხადებთ რა ზემოაღნიშნულზე, გთხოვთ, ბ. ნოტარიუსო, გამოუცხადოთ სარედაქციო კოლლეგიას აღნიშნულ ჟურნალისას რწმუნებულის მღ. ქრ. ციცქიშვილის პირით, რომ 24 საათში ამ წერილი პირის ჩაბარებიდან წარმოგიდგინოს თქვენ ჩემდა ჩასაბარებლად უკანვე, ჩემ წარმომადგენლის მიერ ხსენებული დედანი ჩემი წერილია, რომელიც არ იქნა დაბეჭდილი ჟურნალ „ახალ სიტყვაში“, მიუხედავად ჩემი თხოვნისა და მოთხოვნისა.

ყველა ამასი და აგრეთვე დასახელებულ სარედაქციო კოლლეგიისაგან შესაძლო მოცემულ პასუხში გთხოვთ სათანადო დამონშებას ამ განცხადებისა და მის პირის წარმოდგენას და აგრეთვე ნათხოვარ დამონშების მიღებას ვანდობ ჩემ სიძეს ანატოლი ნიკოლაევიჩ რიდიგერს.

ნამდვილთან სწორია: **მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი.**

1918 წლის 17 აპრილი“ (ახალი სიტყვა, 1918:5-6.№6).

### **„შენიშვნა რედაქციისაგან:**

„ეს უცნაური წერილი რედაქციამ მიიღო ნოტარიუსის ბ. მაჭავარიანისაგან ოცდა ხუთ აპრილს (ძველი სტილით). წერილს რალაც გერმანული ულტიმატუმის ხასიათი აქვს („24 საათში.“ და სხვა) ის წერილი, რომელზედაც არის ნათქვამი მიტროპოლიტ ანტონის განცხადებაში, მესამე ნომერში სხვა და სხვა მიზეზისა გამო ვერ დაიბეჭდა. დაიბეჭდა კი მეოთხე ნომერში, ბევრად ადრე, ვიდრე რედაქცია მიიღებდა სანოტარიუსო წესით წერილს მ. ანტონისაგან. წე[რ]ილის შინაარსის და კილოს დაფასებას ანდობს „ახალი სიტყვის“ რედაქცია თავის მკითხველებს.

რედაქცია ხმამაღლა აცხადებს, რომ იგი მუდამ მზადაა პასუხი აგოს ყველაფერზე, რაც მის ორგანოში იბეჭდება, თუ კი ვინმეს ხალისი არ შეუსუსტდება სიმართლის საბუთიანად გამომჟღავნებისა“ (ახალი სიტყვა, 1918:6.№6).

...ოპოზიციურ ჟურნალ „ახალ სიტყვას“, ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებში ფსევდონიმებს ამოფარებული მიტრ. ლეონიდი, მღვდელი ილია შუბლაძე, დავით კაჭახიძე, ივანე ნაჭყებია, ქრისტეფორე ციცქიშვილი, დავით დავითაშვილი და სხვები სამწუხაროდ, ტენდენციურად აშუქებდნენ საქართველოს ეკლესიის, საკათალიკოსო საბჭოსა და კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს. ტენდენციურობა ზოგჯერ პირად შეურაცხყოფასა და ზღვარგადაცილებულ თავხედობაში გადადიოდა, რაც ეკლესიის ავტორიტეტს ვნებდა (ვარდოსანიძე, 2001:57-58).

1918 წლის 13 მაისს, ქუთაისის საეპარქიო საბჭომ, მისი მეუფების, მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის თავჯდომარეობით, წევრების: თეოფილე ხუსკივაძის, ტრიფონ ჯაფარიძის, იერონიმე არსენიშვილის, სამსონ ყიფიანის და ონოფრე მღვდელ-მონაზვნის მონაწილეობით და მდივნის ერასტი თუთბეიძის თანდასწრებით **მ ო ი ს მ ი ნ ა**: მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის მოხსენებით საქმე შესახებ გაზეთ „ახალ სიტყვაში“ აღნიშნულ გარემოებათა მიმდინარეობისა.

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1) გამოეცხადოს პროტესტი იმ მიმართულებას, რომელიც მოქმედებით და ბეჭდვითი სიტყვით ხელს უშლის უმაღლეს საეკლესიო მთავრობას, ჩვენი ეკლესიის აღორძინების საქმეში.

2) მონვეულ იქმნეს ქ. ქუთაისში შეერთებული კრება ქუთაისის და ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოებისა ასარჩევად კომისიისა, რომელმაც უნდა აღნიშნოს და დაამუშაოს მომავალი სრულიად საქართველოს ეკლესიური კრებისათვის გასარჩევი საკითხები.

### **თავმჯდომარე: მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი**

წევრები: ტ. ჯაფარიძე, ს. ყიფიანი, ი. არსენიშვილი, თ. ხუსკივაძე, მღ.მონ. ონოფრე“ (ქცსა, ფონ. №21, ს.26960). მეუფე ანტონისა და დეკ. ნიკიტას მიერ შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„დაუყონებლივ მოისპოს ჟურნალ „ახალი სიტყვის“ გამოცემა, როგორც პასკვილანტურ-პროვოკაციული ორგანოსი. საეკლესიო კრების წინაშე პასუხგებაში იქნენ მიცემული ამ ორგანოს



სარედაქციო კოლეგიის რწმუნებული ქრისტეფორე ციციშვილი, დეკანოზი ანტონ თოთიბაძე, მღვდელი ილია შუბლაძე, ასეთი ბილნი და ასეთი საზიზლარი ორგანო არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, რომელიც გამოდიოდა კათოლიკოს კირიონისა და მისი მომხრეების მოსაშხამავად. ამ დროს კი საკათოლიკოსო საბჭოს ოფიციალური ორგანო „სვეტიცხოველი“ უსახსრობის გამო შეაჩერეს. ჟურ. „ახალი სიტყვის“ გარშემო შემოკრებილთ უნდა ეწოდოთ კათოლიკოს კირიონ II-ის მორალური მკვლელნი და განიდევნონ თბილისიდან“ (ვარდოსანიძე, 2014:124).

### „ხმა პროვინციიდან..“

მეტად ჩამაფიქრებელი ამბავი მოგვიტანა „ახალი სიტყვის“ მეოთხე ნ[ო]მერმა: - თურმე საკათალიკოსო საბჭოს ზოგიერთი წევრები ამხედრებულან „ახალი სიტყვის“ და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ. ეს მეტის მეტია, მერი რომ არა ვსთქვათ! არც ისეა საქმე, „ახალმა სიტყვამ“ არა იცოდეს ვის რა პატივით მოპყრობა ხვდება! ხოლო ამა თუ იმ პირის საზოგადო ხასიათის მოქმედებას, თუ კრიტიკას თვალთ შეხედა იმიტომ კი არა, რომ ვინმე დაამციროს, არამედ ქვემარტების გამოსამჟღავნებლად. ყოველ უმგვანო მოქმედებას უნდა გამომზეურება. ვისაც ეს არ სწამს, მას „ახ. ს.“ ანგარიშს არ გაუწევს.

სიმატლეს ფართე გზა უნდა გაეხსნას, რომ ასი წლის ტყვეობიდან გამოსხნილი ჩვენი ეკლესია კვლავ ტყვეობაში არ ჩავარდეს და უფრო საშის-სამარცხვინო ტყვეობაში. (გვაქვს სახეში ხალხის ზურგის შექცევა ეკლესიისადმი). საეკლესიო ყანა არვის კერძო საკუთრებას არ შეადგენს, მით უმეტეს, იგი არავისი კერძოდ საჯირითო მოედანი არ არის. მორწმუნე ერმა უნდა იცოდეს, რა სახისა და ზნის არიან მისნი მწყემსნი.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება „ახალი სიტყვა“. იგი არ ერიდება ნაკლულევანების აღნიშვნას, მაგრამ დიდის სიამოვნებით და უფრო მეტის ხალისითაც ქებას შეასხამს საქებ საქმესაც, რაც დღემდის თუ არ გაკეთებულა, უნდა გაკეთდეს ანი მაინც, ასალორძინებლად ტყვეობისგან ჩონჩხად ქცეულის ეკლესიისა და ვინც მას გვერდელად და ცალი ყბით ემსახურება, ან ემსახურებოდა, მას „ახალი სიტყვა“ არ დაინდობს, ვინც გინდ არ იყოს იგი. (ასე წერია – ი.ლ.)ამის გამო მუქარით ნურავინ თავს უბრალოდ ნუ შეინუხებს.

მეტად კულტურული გზა აურჩევია მეუფე ანტონ მიტროპოლიტს: მან მოითხოვა და „ახ. სიტყვამ“ თავის რწმუნებულს მიანდო სამართალში გაყვეს. ასე უნდა მოიქცეს ყველა ის, ვინც თავს შეურაცხყოფილას გრძნობს. მაგრამ ამა კი ხმამაღლა ვიტყვით, რომ „ახ. სიტყვაში“ დღეს აღძრული სამედიატორი საქმე არაგზის ჩვეულებრივად არ უნდა ჩაფუჩიჩედეს, თუ არ სურს რომელიმე მხარეს, თავის-თავს პატივი აყაროს. სორტელი სტუმარი“ (ახალი სიტყვა, 1918:6.№6).

მამა ნიკიტა წერს: „კირიონის დასაღუპავად დაარსდა ორგანო „ახალი სიტყვა“, რომლის სულის ჩამდგმელი იყო მღვდელი ილია შუბლაძე ...ერთად ვმუშაობდით რუსულ-ქართულ პრესაში მე და ის, სანამ მაგის ორმაგ ბუნებას გავიგებდი და ჩამოვშორდებოდი. არსად ეს ადამიანი თავის სახელს არ გამოაჩენდა, ყველგან ნიღაბ აფარებული მოქმედებდა, იყო დიაკონის ადგილზე ალექსანდრე ნეველი სამრევლოში, რუს მღვდლებ[თან] – რაზუმოვსკი-ლოზოვოისკისთან; ესენი წასჩხუბა ერთმანეთს და მთელი კრებული მიფანტეს (ანტონ ეპისკოპოსი იყო გამომძიებლად), შუბლაძეც გადაიყვანეს პეტრე-პავლეს სასაფლაოს [ეკლესიის] წინამძღვრად, გადააგდეს თევზი წყალში, მაგრამ თავს მაინც შეურაცხყოფილად სთვლიდა და დაუძინებელ მტრად იყო ანტონ ეპისკოპოსისა“ (თალაკვაძე, 2013:151-152). ...აი, აქ აღმოჩნდა ასი წლის მონობის შედეგები – გაათახსირება ქართველ სამღვდელოებისა და დაცემა ჩვენი ეკლესიისა; აღარ აღმოგვაჩნდა არც ერთი მთლიანი ხასიათის კაცი, ყველანი აღმოვჩნდით მოშხამულნი იმ მონობის და გახრწნილობის ატმოსფეროსაგან [დეკანოზი ნიკიტა გულისხმობს ეგზარქოსთა ხანას.- ი.ლ.]... კირიონისა და ანტონის დაღუპვის შემდეგ დაიხურა „ორგანო“ „ახალი სიტყვა“ – „მავრმა ჰქმა თავისი შავი საქმე და წავიდა“ (თალაკვაძე, 2013:151).

**ბამოყენებულ წყაროები და ლიტერატურა:**

**ვარდოსანიძე 2001:** სერგო ვარდოსანიძე, საქართველო მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბილისი, 2001.

**ვარდოსანიძე 2014:** სერგო ვარდოსანიძე, უნმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918წ.წ.), თბილისი, 2014.

**თალაკვაძე 2013:** თალაკვაძე ნ., მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, ლიტურგურის მუზეუმი, თბ., 2013.

ჟურნალი „ახალი სიტყვა“, თბილისი, 1918 წ.№1.

ჟურნალი „ახალი სიტყვა“, თბილისი, 1918 წ.№2.

ჟურნალი „ახალი სიტყვა“, თბილისი, 1918 წ.№4.

ჟურნალი „ახალი სიტყვა“, თბილისი, 1918 წ.№6.

**ქართული პერიოდიკა 1947:** ქართული პერიოდიკა 1819-1945, ბიბლიოგრაფია, შედგენილი გ.ი. ბაქრაძის მიერ, თბილისი, 1946.

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №21. საქმე №26960 „საქმე ქუთაისის საეპარქიო მმართველობის საბჭოსი, შესახებ გაზეთ „ახალ სიტყვაში“, აღნიშნულ გარემოებათა მიმდინარეობისა“, 1918.

IRAKLI LORTKIPANIDZE

The lecturer of liturgical theology and of history of the World religions of Gelati theological Academy and Seminary, the doctoral student of st. Andrew firstcalled Georgian University of Georgian Patriarchate, Master`degree of theology

## THE ECCLESIASTICAL JOURNAL “NEW WORD” – AGAINST TO METROPOLITAN ANTONY OF KUTAISI

There were many worthy ecclesiastical hierarcs in history of Georgian Autocephalic Apostolic Orthodox Church. Between them was Catholicos-Patriarch of All Georgia Kirion the second’s fellow-warrior Metropolitan Antony (Giorgadze) of Kutaisi. Unfortunately, there was little part of spiritual persons in Georgian church, which slandered to His Holiness and Beatitude Kirion the second and his like-minded.

In this article, in the basis of the historiography, archival documents, there is reviewed unfounded charges and slanders, from journal “New Word” against to Metropolitan Antony of Kutaisi. After killing Catholicos-Patriarch Kirion the second and killing Metropolitan Antony, journal “New Word” was abolished.



მიტროპოლიტი ანტონ  
პუტათელო



მიტროპოლიტი  
ლეონიდე



ღვ. პრისტეფორე  
ციცვიშვილი



პრისტეფორე  
კათოლიკოს-პატრიარქი

დავით იოზიძე

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

## **გრამატიკული სქესის კატეგორიის გამოხატვა და ერთი ენობრივი ხასიათის მარგინალური შენიშვნა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერში (K-14)**

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა გრამატიკული სქესის კატეგორიას არ გამოხატავს. ქართულ ენას შეუძლია მხოლოდ ლექსიკურ დონეზე განასხვავოს ზოგი სულიერი საგნის ბუნებრივი სქესი, მაგრამ გრამატიკულად ამას ვერ ახერხებს.

უძველესი ქართული თარგმანები, იქნება ეს ბიბლიური წიგნები თუ წმინდა მამათა თეოლოგიური ხასიათის თხზულებანი, ძირითადად ბერძნული წყაროებიდან მომდინარეობს. ჩვეულებრივ, ბერძნულში მკვეთრად არის გამოხატული გრამატიკული სქესი – როგორც სახელთა დაბოლოებით, ისე არტიკლით. ეს გარემოება, ბუნებრივია, გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა ქართველ მთარგმნელებსა და მწიგნობრებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულისათვის უცხო გრამატიკული კატეგორიის, სქესის, შემოტანის ცდა ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება. ეფრემ მცირე ქართულში შემოტანილ ასეთ ხელოვნურ ფორმებს „ახლად მოპოვნებულ დედალ სიტყვებს“ უწოდებს (ოთხმეზური, 2011: 139).

როგორც ცნობილია, პეტრინონული სკოლის წარმომადგენელთა თარგმანებშიც მოიპოვება არა მარტო მდებრობითი სქესის ხელოვნური ფორმები, არამედ მათ შესახებ მარგინალური შენიშვნებიც, ე. წ. „შეისწავე“-ები, რომლებშიც მოცემულია თეორიული მსჯელობა ბერძნული გრამატიკული სქესის რაობაზე.

ქართულისათვის ხელოვნური სქესის გამოხატველი ფორმები გელათის სკოლის თარგმანებშიც არცთუ იშვიათია (დანელია, 1998: 102; ხარანაული, 2000: 336). ჩვენი ამჟამინდელი კვლევა უკავშირდება სწორედ გელათური სკოლის ერთ-ერთ ხელნაწერს, რომელშიც გამოვლინდა გრამატიკული სქესის კატეგორიის გამოხატვის რამდენიმე შემთხვევა.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში სხვა ხელნაწერთა გვერდით დაცულია XII საუკუნის<sup>1</sup> ერთი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი, კერძოდ, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის დოგმატურ-ეგზეგეტიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებათა შემცველი ხელნაწერი, ლიტერით – K-14.

ხელნაწერში დასტურდება, ერთი მხრივ, მორფოლოგიური ფორმანტებით სქესის გამოხატვის რამდენიმე შემთხვევა, რაც ქართულისათვის არაბუნებრივია და, მეორე მხრივ, გრამატიკული სქესის კატეგორიასთან დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ლინგვისტური ხასიათის მარგინალური შენიშვნა (ცნობა).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული ხელნაწერი ტექსტი ბერძნულიდან არის თარგმნილი და, შესაბამისად, ქართულ ტექსტზე მსჯელობისას საჭირო იყო შეგვედარებინა იგი ბერძნული დედნისთვის. ამჟამად ჩვენთვის ხელმისაწვდომია გამომცემლობა „გრიგოლ პალამა“-ს მიერ თესალონიკში 1995 წ. გამოცემული წმინდა მაქსიმე აღმსარებლის შრომათა ბერძნული ტექსტები, რომელთაც ვუდარებთ ქართულ ხელნაწერში დადასტურებულ სქესის გამოხატვის თითოეულ შემთხვევას. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

1. ევსევი ნიკოლაძე ხელნაწერს XVII საუკუნით ათარიღებს (იხ. ნიკოლაძე ევს., ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისის ისტორიული სახელმწიფო მუზეუმი, ტ. I, თბ., 1953), მაგრამ სამეცნიერო წრეებში დღეისათვის გავრცელებული მოსაზრების თანახმად, K-14 ხელნაწერი XII საუკუნის ძეგლს განეკუთვნება.

### ა) სქესის გამოხატვა საკუთარი სახელის წარმოებისას:

წმინდა მარკოზი აღმსარებლის იოვანე კუფიკულარის მიმართ ეპისტოლეში ერთგან ვკითხულობთ: „განტევეებისათვის აქა დამკვდრებულთა მონაზონებთა, მონასტრისა ამა იოვანია ალექსანდრიულისათასა“ (K-14, 208v).

შესაბამისი ბერძნული ტექსტი: „χαριν του απολυθηναι τας οικουσας ενταυθα μοναζουσας, της τε μονης της αμας **Ιωαννιας** της απο **Αλεξανδρειας**“ (ΠΑΤΕΡΙΚΑΙ ΕΚΔΟΣΕΙΣ «ΓΡΗΓΟΡΙΟΣ Ο ΠΑΛΑΜΑΣ» ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ 1995: 154, 13-14).

ბერძნული საკუთარი სახელი – **Ιωαννης, ο** – მამრობითი სქესისაა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ბერძნულში იგი გადმოცემულია მდედრობითი სქესის ფორმით – **της Ιωαννιας**. ქართულ თარგმანში დაცულია ბერძნული სახელის მდედრობითი სქესი და იგი გადმოტანილია **იოვანი-ა** ფორმით, სადაც ა სეგმენტი, მდედრობითი სქესის I კანკლელობის ბერძნული სახელების **α** დაბოლოების ანალოგიით, გამოხატავს მდედრობით სქესს. აქ საკუთარ სახელთან გვაქვს საქმე და მისი უცვლელი ფორმით გადმოტანა ბუნებრივიც არის.

### ბ) სქესის გამოხატვა საზოგადო სახელის წარმოებისას:

იმავე წინადადებაში ვკითხულობთ: „განტევეებისათვის აქა დამკვდრებულთა მონაზონებთა...“ (K-14, 208v). შდრ. ბერძნ.: „χαριν του απολυθηναι τας οικουσας ενταυθα **μοναζουσας**...“ (ΠΑΤΕΡΙΚΑΙ ΕΚΔΟΣΕΙΣ «ΓΡΗΓΟΡΙΟΣ Ο ΠΑΛΑΜΑΣ» ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ 1995: 154, 13).

როგორც ქართული და ბერძნული ტექსტების ურთიერთშედარებიდან ჩანს, ქართული **მონაზონ-ა-ებ-თა** შესატყვისია ბერძნული **τας μοναζουσας**-ის. ეს უკანასკნელი კი არის ზმნური **μοναζω**-ს მიმღებური ფორმა, კერძოდ, მდედრობითი სქესის მოქმედებითი გვარის მიმღებობის ბრალდებითი (აკუზატივი) ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმა.

სულხან-საბას მიხედვით, **მონაზონა** ეს არის ქალი მონესე (ქალი მონაზონი), ხოლო **მონაზონი** კაცი მონესე (ორბელიანი, 2013: 242). საინტერესოა, ამ მხრივ როგორი ვითარება გვაქვს თვით ბერძნულში. ამისათვის უნდა განვიხილოთ ორი ბერძნული ლექსიკური ერთეული: 1) ზმნური სახელი **μοναζω**, რაც ნიშნავს **მარტოდ მცხოვრებს** და 2) არსებითი სახელი **μοναχος, ο**, ქართულად – **განდეგილი** (ბერი). პირველ ლექსიკურ ერთეულს ეწარმოება როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესი, მაგრამ იგი აუცილებლობით არ გულისხმობს სასულიერო პირს. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს საერო პირიც, რომელიც არის მარტოდ მცხოვრები; ხოლო **μοναχος** აუცილებლობით გულისხმობს სასულიერო პირს, განდეგილ ბერს და მას ეწარმოება მხოლოდ მამრობითი სქესი. ამდენად, ბერძნულ **μοναχος**-ში მხოლოდ მამაკაცი სასულიერო პირი იგულისხმება, ხოლო ქართული ტერმინი **მონაზონი** გულისხმობს როგორც კაცს, ისე ქალ სასულიერო პირს, და აქ სქესი გარჩეულია -ა დაბოლოებით.

როგორც ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, ქართული **მონაზონ-ა-ებ-თა** არის არა ბერძნული **μοναχος**-ის თარგმანი, არამედ – **μοναζω**-ს მიმღებური ფორმის **τας μοναζουσας**-ისა. ქართული თარგმანი აქაც იმავე -ა სეგმენტით გამოხატავს მდედრობით სქესს.

### გ) სქესის გამოხატვა პირის ნაცვალსახელებში:

ტექსტში არის პირის ნაცვალსახელებში გრამატიკული სქესის გამოხატვის რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, იმავე ეპისტოლეში ვკითხულობთ:

„რამეთუ განძლიერდებოდეს ჭეშმარიტად, მინდობილნი მის ნაწერისანი, ვითარცა ვთქუ, ვითარმცა იხარებდა **იგიაჲ** რწმენათა მათთა ზედა“ (K-14, 209r).

ბერძნულ ტექსტში: „**Ισχυριζοντο** γαρ **αγαιδας**, **επειδομενοι**, **ως ειπον**, **τω γραμματι**, **χαρειν αυτην** **τοις αυτων δογμασι**“ (ΠΑΤΕΡΙΚΑΙ ΕΚΔΟΣΕΙΣ «ΓΡΗΓΟΡΙΟΣ Ο ΠΑΛΑΜΑΣ» ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ 1995: 156, 15-17).

ბერძნული მდედრობითი სქესის პირის ნაცვალსახელი **αυτη, η** (ბრალდებითში – **την αυτην**) ქართულად გადმოტანილია, როგორც **იგიაჲ**. აქამდე დამონმებული მაგალითების საფუძველზე, ლოგიკურია სქესის გამომხატველ სეგმენტად აქაც -ა მივიჩნიოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ სულ

სხვა შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე. ამგვარი ფიქრის საფუძველს გვაძლევს ხელნაწერში დადასტურებული ერთი ენობრივი ხასიათის მარგინალური შენიშვნა. აღნიშნული გრამატიკული ხასიათის შენიშვნა გვხვდება წმინდა მარკიმეს თალასესადმი „კითხვა-მიგების“ წინასიტყვაობის ტექსტში, კერძოდ, იგი ერთვის მსჯელობებს:

„**იგია** უკუწ, საქმიერობით ჩუჭულებისა მიერ სახისა მიმართ აღტყფრული, სათნოებისებრსა სიკეთესა სულისასა მიმთუალველი“ (K-14, 2v).

„**Την [σαρκα]** μεν πρακτικως δια του ηθους προς ειδος τυπουμενον το κατ' αρετην της ψυχης δεχομενην κλειος“ (PG90, col. 245 A).<sup>2</sup>

„ხოლო **ესეა**, ნაკუთიერობითა ხილულთადათა, სიტყუჭბსა გონიერთასა მომსწავებლობით დამსახველად“ (კ-14, 2ვ).

„**Την [αισθησιον]** δε, τοις των οραμενων σχημασι τους λογους των νοητων συμβολικως εγχαραττουσαν“ (PG90, col. 245 A).

მოყვანილ მსჯელობებს ახლავს შემდეგი ლინგვისტური ხასიათის შენიშვნა:

„მდედრნი, ესე იგი არს, დედალნი არიან სახელნი ჯორცისა და გრძნობისა ენითა ელლადელთადათა, ამისთვის მდედრადვე დასხმულ არიან აქა ქართლებრითაცა სიტყვთა – **იგია** და **ესეა**, და არათუ – **იგიაი** და **ესეაი**, რამეთუ ესენი დაკნინებისა რაღსმე, და არა დამდედრებისა არიან ნიშებ“ (K-14, 2v) [იხ. სურ. №1].

ტექსტის მოცემულ ნაწილში საუბარია, ერთი მხრივ, ადამიანის ხორციელ ნაწილზე, ბერძნულად – **Την [σαρκα]** და, მეორე მხრივ, ადამიანის გრძნობებზე, ბერძნულად – **Την [αισθησιον]**. ბერძნულში ორივე მათგანი მდედრობითი სქესის სახელება და ისინი ქართულში გადმოტანილია პირის ნაცვალსახელებით – **იგი-ა-ი** და **ესე-ა-ი**. ტექსტის მთარგმნელის შენიშვნის მიხედვით ირკვევა, რომ მას სურდა ელადური „დედალი“ სახელების („ხორცი“ და „გრძნობა“) ქართულ თარგმანში გამოეხატა სქესის კატეგორია და, როგორც თავად აღნიშნავს, „ამისთვის მდედრადვე დასხმულ არიან აქა ქართლებრითაცა სიტყვთა – **იგია** და **ესეა**“. ამ უკანასკნელთ კომენტატორი უპირისპირებს იგი-ა-ი და ესე-ა-ი ფორმებს და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელნი კნინობითობის გამომხატველია. ამდენად, წარმოდგენილ ქართულ ფორმებში **-ი** (-ა სეგმენტთან ერთად) არის სქესის კატეგორიის გამომხატველი ფორმანტი და ამიტომაც წერს ტექსტის მთარგმნელი **იგია** და **ესეა** ფორმებს და არა იგიაი-სა და ესეაი-ს, რომლებიც, თავის მხრივ, კნინობითის ფორმები ყოფილა.


**-ი** ფორმანტის მდედრობითი სქესის გამომხატველ ფუნქციაზე მიუთითებს სულხან-საბა ორბელიანიც. თავის ლექსიკონში სიტყვა **მანა**-ს ქვეშ მოცემულ კომენტარში წერს: „**მასი** მამაკაცისათვის ითქმის და **მასად** – დედაკაცისათვის; „უკეთუ ვსთქუათ **მოვიდა**, ვიტყვი **მამაკაცის-ასა** და უკეთუ ვსთქუათ **მოვიდაი**, – დედაკაცისათვის“ (ორბელიანი, 2013: 152).

ივანე ჯავახიშვილიც საუბრობს **-ი**-ს ამგვარ (სქესის გამომხატველ) ფუნქციაზე. იგი ასახელებს მაგალითს წმინდა ნინოს უძველესი ცხოვრებიდან: „**გამოვინიშწ** (წ=ე) ნიში იგი ქრისტედს ჯუარისად...“. მეცნიერის თქმით, მოცემულ წინადადებაში მოსაუბრე (სუბიექტი) დედაკაცია და ამიტომ ზმნას **-ი** ბოლოსართი ახლავს (ჯავახიშვილი, 1992: 167).

ამრიგად, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით ირკვევა, რომ **-ი** (-ა-სთან ერთად) რიგ შემთხვევებში გრამატიკული სქესის გამომხატველი მორფოლოგიური ფორმანტი ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ მორფემათა ლექსიკონში **-ი**-ს მდედრობითი სქესის გამომხატვის ფუნქცია არ არის აღნიშნული, რაც შემდგომ გამოცემებში, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია.

2. თალასესადმი „კითხვა-მიგების“ ბერძნული ტექსტისათვის ამჟამად ჩვენთვის ხელმისაწვდომია მინეს პატროლოგიის ბერძნული ტექსტები, (PG90), რომელთაც ვუდარებთ ქართული ხელნაწერის მონაცემებს.



სურ. №1.

### ბამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ხელნაწერი K-14, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი.  
 დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი, 1998.  
 ნიკოლაძე ე., ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ტ. I, თბილისი, 1953.  
 ოთხმეზური თ., კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, თბილისი, 2011.  
 სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.  
 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, III, თბილისი, 2013.  
 ხარანაული ა., სემანტიკის მეთოდი „რუთის“ წიგნის გელათურ თარგმანში, თბილისი, 2000.  
 ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, X, თბილისი, 1992.  
 ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.  
 Дворецкий И.Х. - Древнегреческо-русский словарь (том 1) – 1958.  
 Дворецкий И.Х. - Древнегреческо-русский словарь (том 2) – 1958.  
 Μαξιμου ταπεινου μοναχου, προς Θαλασσιον τον οσιωτατον πρεσβυτερον και ηγουμενον, περι διαφορων απωρων της θειας γραφης, PG90, 1863.  
 ΜΑΞΙΜΟΥ ΤΟΥ ΟΜΟΛΟΓΗΤΟΥ, ΕΠΙΣΤΟΛΗΣ, ΠΑΤΕΡΙΚΑΙ ΕΚΔΟΣΕΙΣ «ΓΡΗΓΟΡΙΟΣ Ο ΠΑΛΑΜΑΣ», ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ, 1995.

DAVIT IOBIDZE

*Theological Academy and Seminary of Gelati*

### **Expression of the grammatical gender category and one marginal note of the linguistic character in the Georgian Manuscript K-14, containing the works of Maximus the Confessor**

Summary this research presents the study concerning the existence of grammatical gender in Georgian. Based on the data of the manuscript K-14, preserved in Kutaisi State Historical and Ethnographic Museum, new facts have been revealed expressing the grammar gender in the Georgian language.

In the mentioned manuscript, there is also one note, confirming the issue of the linguistic character, which is directly related to the gender expression in Georgian.

Finally, the author makes conclusions about the function and usage of the -ო, as a denoting formant of the gender.

თამაზ ღვინძია

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია,  
თეოლოგიისა და ფილოლოგიის მაგისტრი**„გალობანი მეორედ მოსლვისანი“ – K-79 ხელნაწერის მიხედვით**

აღდგომის მარხვის მოსამზადებელ პერიოდში, კერძოდ, ხორციელის კვირიაკეს, მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსაჯვროს ხსენებას აღასრულებს. ბუნებრივია, ამ დღისადმი მიძღვნილი ლიტურგიკული ჰიმნები შინაარსობრივად აღნიშნულ თემას ეხება.

ხორციელის კვირიაკის საცისკრო ცხრა გალობა, რომლებსაც სხვაგვარად ეწოდება „გალობანი მეორედ მოსლვისანი“, წმინდა თეოდორე სტუდიელის მიერაა შექმნილი და ქართულად სამი თარგმანითაა ცნობილი: „ქართულ ჰიმნოგრაფიაში იგი პირველად გვხვდება სინ.-5 და სინ.-75 ხელნაწერებში (XI სკ.). წინააღმდეგ ტრადიციაში – X სკ.-ის სინურ იადგარებში იგი შესული არ არის“ (ხაჩიძე, 2009: 11). ვარაუდობენ, რომ პირველი თარგმანი წმინდა ექვთიმე ათონელმა შეასრულა (იქვე: 11).

მარხვანის პარიზული ნუსხის (Par-5) პირველ ნაწილში შესულია ამ ოდების მეორე, კერძოდ, წმინდა გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებული თარგმანი (Par-5: 8<sub>კ</sub>).

რაც შეეხება მესამე, ყველაზე გვიანდელ, თარგმანს, იგი წმინდა არსენ იყალთოელს შეუსრულებია. ამ თარგმანის ტექსტიც წარმოდგენილია მარხვანის იმავე, პარიზულ ნუსხაში, კერძოდ, მის მეორე ნაწილში: „მეორე ნაწილი ხელნაწერისა დაწერილია სულ სხვა ნუსხა-ხუცურით მე-12 საუკუნისა. წარმოადგენს გაგრძელებას თუ შევსებას წინა ნაკლულოვანის ტექსტისას საზოგადოდ, თორემ სიტყვა-სიტყვით შეწყვეტილ ტექსტს არ უდგება“ (თაყაიშვილი, 1933: 35)

მეორე და მესამე თარგმანთა შესრულების მიზანი ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან მაქსიმალური დაახლოება იყო, თუმცა ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ელინოფილური სკოლის პირობებში გახდა შესაძლებელი – წმინდა არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანი ზედმინევენით მიჰყვება ბერძნულ ტექსტს.

დღეს ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში წმინდა თეოდორე სტუდიელის ოდების სწორედ არსენ იყალთოელისეული თარგმანი გამოიყენება, თუმცა მას წინ არ უძღვის ცნობა მთარგმნელის შესახებ „კანონი აღდგომისა და ღვთისმშობლისა, მუხლი 6 და მარხუანისა მუხლი 8, კანონი ქმნილი უფლისა თეოდორე სტუდიელისა“ (მარხვანი, 1901: 23).

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ KK-79 ნუსხაში, რომელიც წარმოადგენს წმინდა გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ მარხვანს (K-79, 1<sub>კ</sub>), ხორციელის კვირიაკის განგებაში ჩართულია ოდების არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანი. ხელნაწერი შექმნილია ეტრატზე და, ევსევი ნიკოლაძის აღწერით, განეკუთვნება XV-XVI საუკუნეებს (ნიკოლაძე, 1953: 218).

გალობათა სტრუქტურის თვალსაზრისით, K-79 ზედმინევენით მისდევს Par-5 ნუსხის მესამე ნაწილს და ასახავს ვითარებას, რომელიც უცხოა თანამედროვე ლიტურგიკული პრაქტიკისათვის. კერძოდ, წმინდა გიორგი მთაწმინდელისა და წმინდა არსენ იყალთოელის მიერ შესრულებულ თარგმანებში გვაქვს მეორე გალობა, „მოიხილესა“, რაც მხოლოდ დიდმარხვაში სამშაბათის ცისკრის მსახურების გამორჩეული მახასიათებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი არ დასტურდება საგალობელთა პირველ

თარგმანში (ხაჩიძე, 2009: 11). უფრო გვიანდელ ნუსხებში, K-16<sup>1</sup>-სა და K-38<sup>2</sup>-ში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები მათში უკვე შეტანილია, მეორე გალობა მაინც გვხვდება.

საგალობელთა წმინდა არსენ იყალთოელისეული თარგმანის შემცველი ნუსხების, ჩვენს შემთხვევაში Par-5, KK-16, K-38 და K-79, გამონვლილვით შედარებამ ცხადყო, რომ K-79 ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებულია დანარჩენთაგან. სალუსტრაციოდ დავიმონმებთ პირველი გალობის პირველ ტროპარს, რომლის ტექსტიც სრულად მოგვაქვს გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ თარგმანთან ერთად:

**წმინდა გიორგი მთაწმინდელის თარგმანი**

**Par-5: 218<sub>r</sub>; K-16: 839<sub>v</sub>; K-38: 860<sub>r</sub>**

**K-79: 19<sub>v</sub>**

**Par-5: 8<sub>v</sub>**

დღესა მას საწინელსა მოსლვისა შენისასა გულისგმაყოფ და ვძრწი, ქრისტე მაცხოვარ, რაჟამს დაშჯდე განკითხვად ცხოველთა და მკუდართა:

დღესა მას საწინელსა უცხოისა მოსლვისა შენისასა ვძრწი მომგონებელი, ვიშიშვი წინამხედველი, რომელსა შინა სჯდე განსჯად ცხოველთა და მკუდართა, ღმერთო ყოვლადძლიერო:

ჩვენი აზრით, K-79 ხელნაწერში აშკარაა წმინდა გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანის გავლენა, რაც ალბათ იმ გარემოებითაა განპირობებული, რომ ამ ნუსხის მთლიანი ტექსტი, გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმანი მარხვანია. ეს შემთხვევა არ წარმოადგენს გამონაკლისს და ასეთი ადგილები ტექსტში კიდევ დასტურდება, რაც ჩვენს ვარაუდს უფრო ამყარებს.

დავიმონმებთ სხვა მაგალითებსაც:

ა) პირველი გალობის მეექვსე ტროპარი წმინდა გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ თარგმანში ასეა მოცემული: „**ნუ ეძიებ სიტყუასა საქმეთა ჩემთათჳს...**“ (Par-5: 8<sub>v</sub>); არსენ იყალთოელმა სიტყვა „საქმეთა“ შეცვალა, მისეულ თარგმანში გვაქვს „აღძრვათა“, რომელიც ბერძნული შესატყვისის (ή ἄρα) (Τριάνδιον, 2001: 39) უფრო ზუსტი თარგმანია: „**ნუ შეხუალ შენ ჩემთა სასჯელად მომხუმელი ქმნათა ჩემთა, სიტყუათა და აღძრვათა გამომწკლველი**“ (Par-5: 218<sub>v</sub>). K-79 ხელნაწერში კი ამ ტროპარის დასაწყისი ასეთია: „**ნუ შეხუალ შენ ჩემთა სასჯელად მომხუმელი ქმნათა ჩემთა, სიტყუათა და საქმეთა გამომწკლველი**“ (K-79: 19<sub>v</sub>).

ბ) მეორე გალობის დიდების მუხლი გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ თარგმანში ასე სრულდება: „**...ერთარსითა მთავრობითა და სწორითა უფლებითა, სამმნათობო, სამგუამოვანო**“ (Par-5: 9) მარხვანის პარიზული ნუსხის მეორე ნაწილში, ასევე K-16-სა და K-38-ში არსენ იყალთოელისეული თარგმანი კი ასე გამოიყურება: „**სიმტკიცესა შენსა უგალობთ, სამმზეო მხოლოო და მხოლოო სამნათელო**“ (Par-5: 218<sub>v</sub>; K-16: 839<sub>v</sub>; K-38: 860<sub>r</sub>). რაც შეეხება K-79 ხელნაწერს, აქ გვაქვს შემდეგი იკითხვისი: „**სიმტკიცესა შენსა უგალობთ, სამმზეო მხოლოო, სამმნათობო**“ ((K-79: 20).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე რაიმეს ხელალებით მტკიცება ნაადრევია, ვფიქრობთ, რომ K-79 ხელნაწერის შესწავლის საქმეში ასეთ დაკვირვებებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება.

ტექსტში გამოვლინდა შეცდომებიც. სიტყვაფორმა „**ქადება**“ გაგებულია როგორც „**ქადაგება**“. მართალია, იგი დაქარაგმებულია, მაგრამ ექვს არ იწვევს ფაქტი, რომ გადამწერი ნამდვილად „**ქადაგებას**“ გულისხმობს. ქარაგმა ასეა მოცემული: „**ქდგბსა**“ და, ჩვენი აზრით, ვერ ჩაითვლება უნებლიე შეცდომად, ვინაიდან სამსავე შემთხვევაში ასე დასტურდება. ბერძნული შესატყვისი ἢ ἀπειλή (Τριάνδιον, 2001: 44) ნიშნავს მუქარას, ქადებას და არა ქადაგებას. პარიზული ნუსხის მეორე

1 K-16 არის გულანის, ვესევი ნიკოლაძის აღწერით, გადაწერილია XVII საუკუნეში (ნიკოლაძე, 1953: 78)  
2 K-16 არის გულანის. ვესევი ნიკოლაძის აღწერით, ხელნაწერი შექმნილია 1579-1612 წლებში (ნიკოლაძე, 1953: 148)



ნაწილში, ასევე KK-16-ში და K-38-ში (ამ უკანასკნელში გამოვლენილი ერთი შემთხვევის გარდა) იგი სწორადაა დაქარაგმებული. ტექსტში დავტოვეთ ის სიტყვა, რომელიც ხელნაწერშია მოცემული, მართებული ვარიანტი კი, აქაც და სხვა შემთხვევებშიც, ჩავსვით ოთხკუთხედ ფრჩხილში.

მეცხრე გალობის პირველი ტროპარის დასაწყისი K-79 ხელნაწერში ასეა მოცემული: „**უფალი მოვალს ცხადად დასჯად ცხოველთა სიმნართ, ცხოვნებად მართალთა...**“ (K-79: 23,) „ცხოველთა“ ანუ ყველა ცოცხალის დასჯა ალოგიკურია მაშინ, როცა საუბარია მართალთა ცხოვნებაზე. ბერძნული შესატყვისი ἀμαρτολόγος (-ή, -ό) ნიშნავს ცოდვილს და არა ცოცხალს.

ზოგადად K-79 ხელნაწერში შეინიშნება დარღვევები ხმარებიდან გასული გრაფემების წერაში, ამ მხრივ, არც ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთია გამონაკლისი. სტილის შენარჩუნების მიზნით, ჩვენ არ გავასწორეთ მსგავსი ადგილები.

ტექსტში დადასტურებული ქარაგმები გავხსენით ილია აბულაძის მიერ შედგენილ პალეოგრაფიულ ალბომში მოცემული ნიმუშების მიხედვით.

### [19] გალობანი მეორედ მოსლვისანი შესავედრებელნი თარგმნილნი არსენისნი.

#### გალობაჲ, ბ გუერდი. შემწე და მს:

[19]დღესა მას საშინელსა უცხოისა მოსლვისა შენისასა ვძრნი მომგონებელი, ვიშიში ნინა-მხედველი, რომელსა შინა სჯდე განსჯად ცხოველთა და მკუდართა, ღმერთო ყოვლადღლიერო:

ოდეს მოხჯდე, ღმერთო, ბევრეულთა და ათასეულთა ანგელოზთა თანა, მთავართა ცისადათა, მეცა მიგებებად შენდა ღრუბლითაჲ, ქრისტე ღმერთო, ღირსმყავ მაშინ უბადრუკი:

მოვედ, სულო მდაბალო, იქსენებდი ჟამსა მას და დღესა, რომელსა შინა ცხადად წარმოდგეს ღმერთი და გოდებით ტიროდე, რაითა იპოო წმიდად ჟამსა განკითხვისასა:

განმაკროთოს და შემადრწუნებს ცეცხლი უშრეტი გეჰენისა, მატლი მწარე და ღრჭენაჲ კბილთა, არამედ მილხინე, მრიდე და დაანესე დგომად ჩემი წმიდათა თანა, ქრისტე:

სალოცველი ჳმაჲ შენი, მიმწოდებელი წმიდათა შენთა შუჭბად მიმართ, მასმინე მეცა უბადრუკსა, რაითა ვპოო ცათა სასუფეველისა იგი უოხჭნოდ ნეტარებაჲ:

ნუ შეხუალ შენ ჩემთა სასჯელად მომხუმელი ქმნათა ჩემთა, სიტყუათა და საქმეთა გამომწლველი, არამედ წყალობით თანა წარჳჳედ ძკრთა ჩემთა და მაცხოვნე, სახიერ:

სამგუამოვანო ერთო, ღმერთმთავარო, ყოველთა უფალო, სრულთმთავრობითო და ზეშთა მთავარო, გუაცხოვნენ, მამაო, და ძეო, და სახიერო სულო, ყოვლადწმიდაო:

[20]ვინ შვა ძე მამობრივთა თესლთა შეუნყნარებლად, არამედ რომელი იგი შვა მამამან უდელოდ, უცხოჲ ნიში, რამეთუ შენ შვე, ყოვლად უბინოო, თანად ღმერთი და კაცი:

#### გალობაჲ ბ. იხილეთ, იხილეთ:

ვიხილო, ვიხილო ტკბილთა პირითა, ქრისტე, დღესა, რომელსა განსჯიდე დაფარულსა კაცთასა, ოდეს წინა დგენ ანგელოზთა ბევრეულნი და ყოველნი კაცნი, სჯდე რაჲ შენ მაშინ მსაჯულად:

რისხვასა რაჲ შენსა ვერ სთმობდეს ყოველნი მცხოვნი, ვადმე მაშინ უბადრუკსა, ვადმე საწყალობელსა, ვითარ დაუთმო მართალსა ქადაგებასა [ქადებასა] შენსა, ოდეს საშინელად მსაჯულად სჯდე, ქრისტე ღმერთო:

სულთითქუჭმდ ტიროდე, სულო მოსლვადმდე მსაჯულისა, საქმეთა ცხადმყოფელისა, ქმნილთა მაუნყებელისა, თკთულისა ღირსად მიმგებელისა გკრგკნთა დასჯათა, ვინ ილკძებდ მარადის:

საყკრი რაჲ ჳმობდეს, ცეცხლი ფუფუნებდეს, რადმე ჳყო შენ, სულო ჩემო, განუმზადებელმან,

მ, ვითარ მაშინ შიშმან და ძრწოლამან მოგიცვას სულთმთქმელი სიმწარით და ყოვლად უღონოდ ქმნილი:

დასაბამისასა ზეშთა დასაბამსა მამასა, ძესა თანა უჟამოდსა და სულსა თანა მფლობელსა, სწორ მეუფესა, სიმტკიცესა შენსა უგალობთ, სამმზეო მხოლოო, სამმნათობო:

ჰშობ ზეშთა ბუნებისა და სძითა ჰმ[20,]ზრდელიო დედობრივ უჟამოდსა ჟამიერად უკორცოდსა კორცთა შინა, ყრმასა ახალსა მამისა ღმრთისა სიტყუასა, ამისთჳს, უხრწნელო, გნატრი[თ] შენ მიწის ნაშობნი:

### **გალობაი გ. დამამტკიცე უფალო:**

აჰა, უფალი მოვალს და ვინმე დაუთმოს შიშსა მისსა, ვინმე ეჩუენოს პირსა მისსა, არამედ მზა იქმენ შენ, სულო ჩემო, მიგებებად:

წინაუწნროთ ვტიროდეთ და დავეგნეთ ქრისტესა, ვიდრე სიკუდიდმდე, რამეთუ საშინელ არს სამსჯავროდ, სადა იგი ყოველნი წარვდგეთ ქედდადრეკილნი:

შემიწყალე, უფალო, შემიწყალე, გილადადებ შენ, მო-რაი-ხკდე ანგელოზთა თანა მიგებად ყოველთავე ღირსად საქმეთა მათთა:

საშინელ არს, უფალო, სასჯელსა შენსა ვითარ დაუთმო, ურჩმან ბრძანებათა შენთამან, არამედ მრიდე, მრიდე მე ჟამსა განსჯისასა:

მოიქეც და სულთითქუწმდ, მდაბალო სულო, პირველ დაქსნამდე სარბიელისა ცხორებისასა, პირველ დაკშვამდე კარსა სასძლოისა ღმრთისაგან:

სამებაო მარტივო, დაუსაბამოო ბუნებაო, სამეუამოვნად საგალობელო, გვაცხოვნენ სიმტკიცისა შენისა მაქებელნი:

მამისაგან უჟამოდ ძე ჟამიერად, ღმრთისმშობელო, უმამოდ ჰშევ, ეჰა, საკკრველი, უცხოო, ქალწულად ჰგიეს ყრმისა მანოვნებელი:

### **გალობაი დ: ესმა წინანამეტყუელსა:**

ესერა მონევენულ არს [21,]დდე, აჰა, კართა ზედა – სასჯელი, ილკებდი, სულო, სადა მეფენი ზოგად მთავარნი, მდიდარნი და გლახაკნი შეკრბენ ერთად და მიიხუნენ მისაგებელნი საქმეთანი კაცად კაცადმან მათმან:

მსგავსად წესისა თჳსისა მონაზონნი, მღდელთმთავარი, მწყემსი ჭაბუკითურთ, მეფე და მონად განკითხულ იქმნენ, ქურივი და ქალწული გამოიძინენ, მაშინ ვაი არს ყოველთა, რომელთა არა აქუნდეს ცხორებაი სათნოდ:

თუალუხუაჳ სამსჯავროდ შენი, შეუცვალეებელ სიტყუად მეტნობით საყდარი, ვერ წარიპარვის რიტორთა რწმუნებაი, ვერცა მონამეთა თანამბრძოლებაი, რამეთუ სიმართლით სჯად ყოველნი შენ შიშით წინაშე დადგენ:

ნუმცა ქუეყანად გლოვისად, ნუმცა ადგილი ბნელისა მიხილავს, სიტყუაო, ნუმცა შემეკრვიან ჳელნი და ფერწნი სასძლოისა შენისაგან განვრდომილსა, ცოდვითა შემწიკულებულისა სამოსლისა მქონებელსა, მედგარსა:

ოდეს განაშორებდე შენ მართალთაგან ცოდვილთა, მსაჯული სოფლისა, ერთად ცხოვართა შენთაგანად მიცან და თიკანთაგან განმყავ, კაცთმოყუარე, სმენით ყოვლადკურთხეულისა ჳმისა შენისა საღმრთოსათა:

გამოძიებისა ქმნასა და საქმეთა წიგნისა განღებასა რაი ჳყო, მ, სულო უბადრუკო, რაი სიტყუად მისცე წინაშე საყდრისა არ[21,]მქონებელმან ნაყოფთა სიმართლისათა შეწირვად ღმრთისა, მსაჯულისა შენისა:

მამისა ძესა და სულსა ვადიდებ მე მზისა ნათელებრ და შარავანდედებრ, ერთსა მას შობით, რამეთუ იშვების და სხუასა გამოსლვით, რამეთუ გამოვალს, ერთარსად თაყუანისცემულსა სამებასა, ყოველთა ქმნილთა მიერ:

ქალწულად ჩჩკლის მშობელად და სინმიდისა მცველად გამოსჩნდი, უხრწნელო, ჰმევე ღმერთი, კაცი ორთა შინა სახეთა უცხოოდ საკრველებად შენი, ქალწულო დედაო განაკრვებს ყოველსა ცნობასა და სმენასა:

### **გალობა ე: ღამითგან აღვიძს:**

ძრწოლა მიუთხრობელი და შიში მუნ იყოს, რამეთუ, აჰა, უფალი და მისთანა საქმენი კაცადისანი და ვინმე ამერვე არა სტიროდეს თავსა:

მდინარე, ცეცხლმდინარე, აღმაშფოთებს, დამადნობს და ზარმცემს მე, ღრჭენა კბილთა ბნელსა თანა განუნათლებელსა და ვითარ ანუ რაისა ქმნით მონყალე ვყოთ უფალი.

მრიდე, მრიდე, უფალო, ქმნილსა შენსა და ნუსადა მიმცემ მე მნარეთა ანგელოზთა მრისხანეთა, რომელთა შორის არა არს პოვნად განსუწნებისა:

მთავარი და კელმწიფე მუნ ერთბამად, მდიდარი და გლახაკი, დიდი და თანად და მცირე განისაჯნენ [22,] სწორებით და ვად თუთეულსა არა განმზადებულსა:

მილხინე, უფალო, და შემინდვე, რაოდენი ვცოდე შენდა და ნუ მაჩუენებ მე მუნ წინაშე ანგელოზთა დასასჯელად ცეცხლითა, სირცხვლეულ ქმნილსა:

ბუნებით ერთად შენ, სამებაო, გძნობ, დაუსაბამოო, მთავრებრივად, მეუფედ და ზეშთა სრულად ერთობად, ღმრთად ნათლად და ცხორებად, შემოქმედად სოფლისა:

უალრეს ბუნებისა შობითა მით შენითა, უბინოო, სჯულნი ბუნებისანი დაიკსნეს უთესლოდ რად ჰმევე პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილი:

### **გალობა ვ. ღალადვეყავ მე:**

საშინელსა, ქრისტე, მოსლვასა შენსა, ოდეს გამოსჩნდე ზეცით გამო, და დაიდგნენ საყდარნი და წიგნნი განეხუნენ, მრიდე, მრიდე მაშინ, მაცხოვარ, ქმნულსა შენსა:

მუნ არა ვინ შენვენად შემძლებელ-არს, ღმერთი რად იყოს მსაჯულად, ვერ სწრაფად, ვერ სიბრძნე, ვერ დიდებად, ვერ მეგობრობად, თუნიერ საქმეთა მიერი ძალი, სულო:

სჯად რად დადგენ მთავარი და კელმწიფე, მსხემი, მდიდარი, სულო, მამად დედათა ვერ ეძლოს შენვენად, არცა ძმად იყოს მკსნელი დასჯილებისა მისგან:

სიტყუად შენი ნუმცა მესმის, უფალო, წარმგზავნელი ჩემი ცეცხლად, ნუცა ვითარმედ – წარვედ ცეცხლად დაწყეულო, არამედ კმისა მართალთა [22,] მიმართისა:

მიკსენ, ქრისტე, ჯოჯოხეთისა ბჭეთაით, ბნელით და წყუდიადით უნათლოთ, ქუჭსკნელისა და ცეცხლისა უშრეტისა და სხკსა ყოვლისა გუჭმისა საუკუნოდსა:

სამეებითა ერთობასა ღმრთაებისასა ვაქებ მამასა და ძესა და სულსა წრფელსა ერთმთავრობითა სიმტკიცესა, განუყოფელსა და მასვე შეერთებულსა:

ბჭე, რომელი მხოლომან განვლო, შენ ხარ, შესრულმან და გამოსრულმან და ქალწულებისა ბეჭედთა არა დამკსნელმან ძემან შენმან, სძალო და ადამის შემოქმედმან:

### **გალობა ზ: ვცოდეთ და უ:**

შეუვრდეთ და ვტიროდეთ მნარედ პირველ დასჯისა მის, მორწმუნენო, ოდეს იგი ცანი წარკდენ, ვარსკულავნი დამოცევენ და ქუჭყანად ძრწოდეს ქოთებით, რათა ვპოოთ სრულიად დიდი წყალობა ქრისტეს მიერ, უფლისა:

თუალუხუაგ არს გამოძიება, რაბამ საშინელ – განკითხვა იგი, სადა უცთომელ მსაჯული, სადა არა არს ყოვლად პირი ქრთამის მიმღებელი, გარნა მრიდე, მეუფეო და მიჰსენ ყოვლისა რისხვისაგან:

უფალი დაჯდეს სასჯელად და ვინ თავს [იდვას] განკითხვა მისი, ძრწოდე, სულო უბადრულო, ძრწოდე და განმზადენ შენ განსლვისათჳს საქმენი შენნი, რაითა მლხინებლად ჰპოო მოწყალე მამათა ჩუენთა ღმერთი: [23.]

უშრეტი ცეცხლი შემადრწუნებს, მატლი უძილი და ღრჭენა კბილთა, ჯოჯოხეთი ზარტეხილ მყოფს, ხოლო მონანულ ყოვლად არა ოდეს ვიქმნები მე, გარნა, უფალო, პირველ აღსასრულისა შემეყავ შიშსა შენსა:

მარტივო, განუყოფელო და სამო ერთარსო, მხოლოო წმიდაო, სამწმიდად ცნობილო ნათელო, და ერთწმიდად ქებულო, ღმერთო სამებაო წმიდაო, შენ გიგალობთ, ცხოველსა და ცხოველთა, ყოველთა სულთა ღმერთსა:

ქების მეტყუელებით გაკურთხევთ და თაყუანისგცემთ, ღმრთისა დედაო, რამეთუ განუყოფელისა სამეზისაგანი ჰშევ, იგივე ერთი ძე და ღმერთი და განმიხუწნ ჩუენ ქუწყანისათა შესლვად ზესთა ცათანი:

### **გალობაი ჳ: რომელსა ძალნი:**

საშინელისა მეორედ შენისა მოსლვისა მიგებებასა მომიჰსენე, უფალო, ვძრწი ქადაგებისა [ქადებისა], მეშინის რისხვისა შენისაგან, და ვლადადებ – მაცხოვრე ჟამსა საუკუნესა:

შენ ხარ ღმერთი, სჯდე რაი თანად ყოველთა, ვინ თავსიდვას, მიწისა ნაშობმან, უფალო, რამეთუ ცეცხლი უშრეტ და მატლი უძილ არს მაშინ და დასჯისა თანამდებთა სტანჯავს საუკუნოდ:

ყოველი რაი სული წარმოგიდგის შენს, ერთბამად, ქრისტე ღმერთო, განკითხვად, დიდი შიში იყოს მაშინ, დიდი ჭირი, და მხოლონი საქმენი ხოლო – შემწედ საუკუნოდ:

ყოველთა მსაჯულო, ღმერთო და უფალო, მასმინე ჳმაი შენი სახიერი, მახილვე ნათელი დიდი რჩეულთა შენთა თანა [23.] და მიჩუწნე, მაცხოვარ, დიდებაი გამოუთქმელი:

მართლმსაჯულო მაცხოვარ, შემინყალე და მიჰსენ ცეცხლისაგან და ქადაგებისა [ქადებისა], რომელი სამართლად მიღირს დათმენაი სჯასა მას, და დამიგე პირველ სიკუდილისა სინანულითა:

დიდებაი მამასა და ძესა და სულსა, მხოლოდსა ცხოველისაი, ღმერთსა შემოქმედსა, დიდებაი შენდა, ღმრთისმშობელო, რამეთუ ერთი სამებისა ჰშევ და ჰქმენ ზოგადი მაცხოვარებაი:

ელვარით საშოდთ შენით ვითარცა რაი სიძე ეზოდთ გამობრწყინდა ქრისტე ნათლად დიდად ბნელისათად, რამეთუ სიმართლისა მზე აღმოჰდა რაი განანათლა სოფელი, დედოფალო:

### **გალობაი თ: უთესლოდ მი:**

უფალი მოვალს ცხადად დასჯად ცხოველთა [ცოდვილთა] სიმწარით, ცხოვნებად მართალთა, განვცებრდეთ და ვგოდებდეთ, მოვიჰსენოთ დღე იგი, რომელსა შინა ფარულნი და უჩინონი ყოველნივე განცხადნენ მისაგებელად თუთეულისა საქმეთად:

შიშნეულ და მრძწოლარე იქმნა მოსე გიხილა რაი ზურგით კერძოთაგან, და მე ვითარ თავსვიდვა მიხდვაი პირსა შენსა, მაშინ ყოვლად უბადრუკმან ოდეს იგი გამოსჩნდე ზეცით, არამედ მრიდე მიწყალე და ტკბილად მომხედენ მაშინ:

დანიელ მოშიშყო დასჯისა ჟამმან, ხოლო მე რაი შევიმთხუო, მო-რა-ვიდეს ჩემ ზედა საშინელი დღე, უფალო, არამედ მომმადლე მე პირველ აღსასრულისა სათნოდ შენდა მსა[24.]ხურებად და მიმთხუწვად სასუფეველსა შენსა:

ცეცხლი განმზადებულ არს და მატლსა უწყის ღულარჭნად, ხოლო შუჭბისა დიდება მონვენულ არს ნათელი უმიმნუხროდ, აღმოსავალი მართალთა და ვინ ნეტარი განლტოლვილი სათნოებით პირველთაგან მკუდრადი გამოჩნდეს მეორეთა:

ნუ გარე-მიმაქცევ პირსა შენსა, მეუფეო, რისხვითა შენითა, ნუცა მასმენ მე კმასა დაწყევით წარმგზავნელსა ცეცხლად უშრეტად, არამედ შემეყვანე მხიარულებად ნეტარისა მის სასძლოსა მეცა მაშინ წმიდათა თანა:

მხოლოსა მხოლოდშობილი, მხოლოსა ძისა მამაო, მხოლოო მხოლოსა, დღეო დღისა ცისკარო და მხოლოდ მხოლოსა ღმრთისა მხოლოო სულო წმიდაო, საკუთრად მყოფისა ეგრეთ მყოფო, სამო და ერთო, წმიდაო, მაცხოვრე ღმრთისმეტყუელი შენი:

სასწაული შობისა შენისა განმკრთობს, სძალო, ვითარ მუცლად-იღებ უთესლოდ უსაზღვროსა, გკთხარ – ვითარ ჰქალწულობ მშობელი, ვითარცა დედაი, ზესთ ბუნებისა საწრმუნოებით მიმღები შობილსა ჰმონებდ, რამეთუ, ძალუც, რაოდენი ჰნებაეს:

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. K-16 ხელნაწერი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი) 839<sub>v</sub>-841<sub>r</sub>
2. K-38 ხელნაწერი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი) 860<sub>r</sub>-861<sub>v</sub>
3. K-79 ხელნაწერი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი) 19<sub>r</sub>-24<sub>r</sub>
4. Par-5 ხელნაწერი (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდი) 8<sub>v</sub>-10<sub>v</sub>, 218<sub>r</sub>-219<sub>v</sub>
5. აბულაძე ილ., პალეოგრაფიული ალბომი. თბილისი 1949
6. თაყაიშვილი ექვ., პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი. პარიზი 1933
7. ნიკოლაძე ევს., ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ტ. I, თბილისი 1953
8. ტრიოდონ-მარხვანი, ტფილისი 1901
9. ხაჩიძე ლ. არსენ იყალთოელის ახლად აღმოჩენილი თარგმანი. ლიტერატურული ძიებანი XXX. თბილისი 2009
10. Τριώδιον Κατασκευτικόν, Ἀθήνα, 2001

TAMAZ DEVIDZE

Theological Academy and Seminary of Gelati

### „The chants of the Second coming“ according to manuscript K-79

#### An abstract

„The chants of the Second coming“ by Theodore of Studit was translated into Georgian three times. The last translation, which is still used in Georgian liturgical practice, was performed by Arsen of Ikalto. The K-79 manuscript is one of the interesting copy of translation Arsen of Ikalto, in which some investigated textual idiosyncrasies are confirmed. The text of chants with regard to this manuscript is publishing the first time.

ვლადიმერ ნჰარაჰა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ედღენება აფხაზთა თურქეთის ტერიტორიაზე

გადასახლების 140 წლისთავს

## მუკაჯირობა

მეფის რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო შავი ზღვისა და მთელი კავკასიის მტკიცე და სამუდამო დაუფლება. ამ მიზანს ემსახურებოდა შავიზღვისპირეთის მოსახლეობის საბოლოო მოთოკვის მცდელობა, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის რუსეთის სიღრმეში გადასახლება, ან თურქეთში გაძევება. აყრილი და გაძევებული ხალხის ადგილზე რუსი ან სხვა სანდო ხალხის დასახლებით რუსი მოხელეები ცდილობდნენ სამუდამოდ უზრუნველყოთ კავკასიისა და შავით ზღვის დაუფლება, რასაც სამხედრო სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

თავისი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისათვის რუსეთის მთავრობა შეუდგა კავკასიის დაპყრობილი მხარეების ადმინისტრაციულ რეორგანიზაციას, რათა ნიადაგი მოემზადებინა მათი კოლონიზაციისა და ეკონომიკური ათვისებისათვის.

რუსეთს კავკასიაში და კერძოდ, აფხაზეთში, რომ მხოლოდ თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, ამაზე მეტყველებს რუსი სამხედრო და სამოქალაქო მმართველების ველიამინოვის, ლაზარევისა და სხვათა მიმონერა იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებისადმი, რომელსაც სამხედრო ძალითა და სათანადო სახსრებით უზრუნველყოფას თხოვდნენ.

გულუბრყვილობა იქნება იმის თქმა, რომ რუსეთი კავკასიის რომელიმე რეგიონის მოსახლეობის დაცვისა და კეთილდღეობისათვის იღწვოდა, პირიქით, ყველა მისი ღონისძიება იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე საკუთარი ინტერესები უზრუნველყო. ამ მიზანს ისახავდა ყველა მონინააღმდეგის დათრგუნვა და მხარის კოლონიზაცია ნებისმიერი საშუალებითა და მეთოდით, რათა ხელიდან არასოდეს გაეშვა კავკასია, როგორც სტრატეგიული პლაცდარმი და ყოველმხრივ მდიდარი რეგიონი. ამოდ ირჯებოდა რუსეთის იმპერიის დიპლომატია კავკასიაში დატრიალებული ტრაგედიის შედეგები მხოლოდ თურქეთისათვის გადაებრალებინა. უდავოა, რომ რუსეთ-თურქეთის ომებმა, აგრეთვე კავკასიის ომმა და მრავალრიცხოვანმა აჯანყებებმა კატასტროფამდე მიიყვანა ადგილობრივი მოსახლეობა, რაც ორივე იმპერიის სინდისზეა. ამ ტრაგედიაში თავისი ნვლილი მიუძღვის ასევე ადგილობრივ დიდკაცობას, რომელიც თავისი უფლებების სამუდამო განმტკიცებას ცდილობდა. ყოველივე ეს გახდა რიგითი მოსახლეობის საღვთო ომისა და თურქეთში გადასახლებისაკენ მოწოდების მიზეზი (ვითომ ამით ისინი აღქმულ ქვეყანას – მექა-მედინას მიუახლოვდებოდნენ და საიქიოში სამოთხეს გაინაღდებდნენ) (გ. გასვიანი, 1998:187).

მართალია, თურქეთმა მთელი ძალა გამოიყენა კავკასიის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ამოდ გამარჯვებული მაინც რუსეთი გამოვიდა. მან დაიპყრო კავკასია და მისი მიმდებარე შავი ზღვა. ამიტომ, კავკასიაში დატრიალებულ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა უმთავრესად მას ეკისრება (იქვე).

ყირიმის ომის შემდეგ რუსეთი შეუდგა ამიერკავკასიის მმართველობის რეორგანიზაციას და ქვეყნის ფართო კოლონიზაციას, რომლის საბოლოო მიზანი იყო მისი ეკონომიკური ათვისება და რუსიფიკაცია.

ამას ემსახურებოდა ამიერკავკასიის და კერძოდ, საქართველოს ცალკეული ავტონომიების

(სამთავროების) გაუქმება და საერთო რუსულ სისტემად (საგუბერნატოროებად) გარდაქმნა. ასეთი რეფორმა თითქმის ყველაზე გვიან განხორციელდა აფხაზეთში, რომლის მთავარი მიხ. შერვაშიძე 1864 წელს ოჯახით ვორონეჟში იქნა გადასახლებული, ხოლო აფხაზეთის სამთავრო სოხუმის განყოფილებად („ოტდელად“) გადაკეთდა.

აფხაზეთში, 1866 წელს, გლეხთა აჯანყებისა და მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თურქეთში გადასახლების შემდეგ, 1868 წელს ახალი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა, აფხაზეთი დაიყო 4 ადმინისტრაციულ „ოლქად“, რომელიც 1883 წელს სოხუმის სამოქალაქო განყოფილებად გადაკეთდა და ის ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა.

აფხაზეთის მმართველობის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის პარალელურად მეფის მთავრობა, რასაკვირველია მხარის კოლონიზაციასაც შეუდგა, რაც პირველ რიგში, ადგილზე მოსამსახურე სამხედროების, თადარიგში გასული ოფიცრების, აგრეთვე სექტანტების, მწვალებლებისა („რასკოლნიკების“) და სხვებისათვის სამოსახლო მიწების გამოყოფასა და დარიგებას ითვალისწინებდა.

ისლამის აღმსარებელი ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც რუსეთის ბატონობას ვერ შეეგუა, ოსმალეთში გადასახლდა. ოსმალეთში მუსლიმი მოსახლეობის გადასახლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1864 წელს, რუსეთმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასია დაიპყრო და კავკასიის დიდი ომები დაასრულა. 1863-1864 წლებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხები: ადიღები (ჩერქეზები), უბიხები, აბაზები, ყუბანისპირელი ნოღაელები, ყარაჩაელები – მასობრივად გადასახლდნენ ოსმალეთში. კავკასიის დიდი ომების დასასრული და აფხაზეთის სამთავროს გაუქმება დროში ერთმანეთს დაემთხვა. 1864 წლიდან რუსეთის საიმპერატორო კარი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ისლამის აღმსარებელ აფხაზებსაც სამშობლო მიეტოვებინათ და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო მათ მიწებზე კაზაკთა დასახლებები შეექმნა. აფხაზები თავიდანვე ვერ ეგუებოდნენ რუსულ მმართველობას. 1866 წლის აჯანყების შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ მუსლიმ აფხაზთა დიდი ნაწილი რუსეთი ბატონობას ვერ შეეთვისებოდა. 1867 წელს აფხაზთა ოსმალეთში გადასახლება დაიწყო. ამ პროცესს ახალისებდა და ხელს უწყობდა რუსეთის ხელისუფლება. თავისთავად, ცხადია, რომ მუსლიმი აფხაზი, ჩერქეზი ან უბიხი რუსეთის ბატონობას ვერ შეეგუებოდა და ოსმალეთში გადახვეწას არჩევდა, მაგრამ ცხადია ისიც, რომ კავკასიის ისლამის აღმსარებელი ხალხების, მათ შორის აფხაზების, ოსმალეთში გადასახლება რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდა, ე. ი. ეს პროცესი მართული იყო და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში იგეგმებოდა (ვ. გურული, 2018:402-403).

1866 წ. აჯანყება აფხაზეთში ორივე მხრისათვის ტრაგედიით დამთავრდა, აჯანყებულებმა ლიხნში დახოცეს რუსეთის სამხედრო რაზმი და მისი მეთაურები, მათ შორის პოლკოვნიკი კონიარი, რასაც საკმაო მსხვერპლი მოჰყვა აჯანყებულთა მხრიდანაც, განსაკუთრებით სოხუმსა და მის მეზობელ ნებელდაში.

ორივე მხრიდან მსხვერპლმა, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება ვერ შეაშინა, პირიქით, მან თანდათან გააძლიერა არა მხოლოდ აფხაზეთის ურჩი მოსახლეობის დათრგუნვა, არამედ მთელი იმიერ და ამიერკავკასიის საბოლოო დამორჩილება და ათვისება მოახერხა.

სხვათა შორის, აფხაზეთის მფლობელ შერვაშიძეებს სამუდამოდ აეკრძალათ თავის ყოფილ სამფლობელოში ფეხის დადგმა, რაც მთავარია, იმპერატორ ალექსანდრეს თანხმობითა და გადაწყვეტილებით, 1866 წ. ნოემბერში, დადგინდა, რომ შესაძლებლობისთანავე „აფხაზეთისა და ნებულის“ (საბუთში ასეა დასახელებული) მაჰმადიანი მოსახლეობა დაუყოვნებლივ გადასახლებულიყო ყუბანისპირეთში (როგორც ვხედავთ, აქ აფხაზ აფსუათა თავდაპირველი საცხოვრებელი მხარეა მინიშნებული), ან თუნდაც თავისთავის სასურველ თურქეთში (გ. გასვიანი, 1998:214).

მაჰმადიანი აფხაზები (ძირითადად აფსუები, ნაწილობრივ ის ქართველებიც ვინც გამაჰმადიანებული

იყვნენ) დაჟინებით მოითხოვდნენ თურქეთში წასვლას, ამიტომ, რუსეთის ხელისუფლებამ თავის ელჩს თურქეთში გრაფ იგნატიევს დაავალა ამის თაობაზე თურქეთის ხელისუფლებას მოლაპარაკებოდა. მალე იგნატიევი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ალი-ფაშას შეუთანხმდა აფხაზთა თურქეთში გადასახლებაზე, აგრეთვე იმაზეც, რომ გადასახლებულები (მუჰაჯირები) რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში არ დაესახლებინა.

რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ოსმალეთში აფხაზთა 4500 ოჯახს გადასახლება, თუმცა ოსმალეთის მთავრობა მხოლოდ 4000 ოჯახის მიღებას თანხმდებოდა.

1867 წლის 13 თებერვალს, კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ რომანოვი ალექსანდრე II-ს წერდა: 1. აფხაზები ძალით არ უნდა განდევნონ სამშობლოდან, თუმცა მათს გადასახლებას ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი; 2. პირველ რიგში, აფხაზები ნებელდიდან უნდა გადაესახლებინათ, რადგან ამ რეგიონს რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონოდა; 3. ნებელდის სტრატეგიულ მნიშვნელობას განსაზღვრავდა ის, რომ რეგიონს კავკასიის ქედის უღელტეხილებით კავშირი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან; 4. ნებელდელების გადასახლება იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ ისინი ბატონყმობის გაუქმების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და, ამასთან ერთად მონაწილეობდნენ 1866 წლის აჯანყებაში (ვ. გურული, 2018:403).

1867 წლის აპრილის ბოლოდან დაწყებული მუჰაჯირობის პროცესში გამომჟღავნდა, რომ აფხაზთა მნიშვნელოვან ნაწილს გადასახლება არ სურდა. გადასახლებიდან თავის დახსნის მიზნით მუსლიმი აფხაზები ქრისტიანულადაც კი ინათლებოდნენ, მაგრამ მეფის ხელისუფლების მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ აფხაზეთის ისლამის მიმდევარი მოსახლეობის გადასახლებას თურქეთში.

მუჰაჯირობა 1867 წლის აპრილის ბოლოს დაიწყო და ივნისის დამდეგისათვის დასრულდა. სულ დაგეგმილი 4500 ოჯახის ნაცვლად 3358 ოჯახი, 19342 სული გადასახლდა (ვ. გურული, 2018:404).

აფხაზეთისათვის (განსაკუთრებით აფსუებისათვის) ტრაგიკული იყო აგრეთვე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი, როდესაც უპირატესად თურქებისაგან გატიალდა აფხაზეთის ცენტრალური ნაწილი, სადაც მთელი რიგი სოფლებისაგან მხოლოდ ნანგრევები და ფერფლია დარჩა (თურქებმა სოხუმიც გადაწვეს).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა აფხაზეთის კოლონიზაცია დააბრკოლა, ომის დამთავრების შემდეგ, მეფის რუსეთის მთავრობამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბით და ენერგიულად გააგრძელა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ათვისება. რასაკვირველია, მეფის მთავრობა, უპირველეს ყოვლისა, თავის ერთგულ ხალხს ასახლებდა. ასეთი კი კაზაკობა იყო, შემდეგ სომხები და სხვადასხვა ჯურის რელიგიური სექტის და მიმდინარეობის წარმომადგენლები და არავითარ შემთხვევაში ქართველი გლეხი, რომელსაც ძალიან მცირე მიწა ჰქონდა, ანდა საერთოდ არ გააჩნდა.

თანამედროვე აფხაზი ავტორების უსაფუძვლო, ზეპირი განცხადებებით, რუსეთ-თურქეთის, 1877-1878 წლების ომის დროს აფხაზთა თურქეთში გადასახლებამ ვითომ ყველაზე ფართო მასშტაბი მიიღო, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არაფრით და არავითარ ოფიციალურ (თუ არაოფიციალური) მონაცემებით არ დასტურდება (გ. გასვიანი, 1998:193). ბატონი გერონტი იქვე დასძენს, რომ შესაძლებელია აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებას ან ძალით წაყვანას ამჟამადაც (იგულისხმება 1877-1878 წლების ომის შემდგომი პერიოდი – ვ. ნ.) ჰქონდა ადგილი, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს მცირე ხასიათს ატარებდა. რამდენიმე წლის წინ (იგულისხმება 1867 წ. – ვ. ნ.) თურქეთში გადასახლებულთა ტრაგედია და მწარე ხვედრი ჯერ კიდევ არ იყო მოსახლეობაში განელებული, ხოლო, 1867 წელს თურქეთში გადასახლებულები არალეგალურად უკან ბრუნდებოდნენ. ცხადია, ასეთ ვითარებაში ლაპარაკიც კი ზედმეტია. აფხაზთა თურქეთში ხელახალ მასობრივ გადასახლებაზე (მით უმეტეს ყოველგვარი საბუთის გარეშე), ამას არ უჭერს მხარს არც სოხუმის სამხედრო



განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ პ. არაკინის განკარგულება – ინსტრუქცია და საერთოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტები თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რომლებიც სასტიკად კრძალავენ თურქეთში გადასახლებულთა უკან დაბრუნებას, განსაკუთრებით მათი, ვისაც მაჰმადიანობა და თურქეთის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული (ამის თაობაზე რუსეთის მთავრობა კატეგორიულად აფრთხილებდა თავის წარმომადგენლობას თურქეთში, აგრეთვე, შავი ზღვის ფლოტის მუშაკებს). ეს გასაგებიცაა, რადგან, ბუნებრივია, რუსეთს არაფრით არ აძლევდა ხელს მტრულად განწყობილი – საშინლად განამებული ადამიანების უკან დაბრუნება. ამას მოწმობს თვითონ პ. არაკინის განკარგულება, რომ უკან უნებართვოდ დაბრუნებულ არცერთ აფხაზს შავი ზღვის სიახლოვეს ან ყოფილ ადგილზე დასახლების ნება არ უნდა მისცემოდა. რუსეთის მთავრობისა და მოხელეების ეს ხმაური (მითითებები, განკარგულებები, ნოტები, ინსტრუქციები და ა. შ.) უსათუოდ იმაზე მეტყველებს, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლების ბოლოს და შემდეგ აფხაზთა თურქეთში მასობრივ გადასახლებას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ პირიქით, თურქეთიდან უკან დაბრუნებას (გ. გასვიანი, 1998:194).

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა აფხაზეთის მოსახლეობის მედგარ წინააღმდეგობასა და პროტესტს აწყდებოდა, განსაკუთრებით ქართველების მხრივ. ბუნებრივია, აფხაზეთში ქართული ენა და საერთოდ კულტურა იმდენად ღრმა და ფართოდ იყო მოსახლეობის ცხოვრებაში ფესვგამდგარი, რომ რუსიფიკაციას ნაკლები გასაქანი ეძლეოდა. რუს მოხელეებს სწორედ ამიტომ მიჰქონდათ ქართველებისა და მათი ენის წინააღმდეგ იერიში. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ასპარეზი მოესპოთ ქართველისათვის, ყოველნაირი საშუალებით შეევიწროებინათ ქართული.

მეფის რუსეთის ის პოლიტიკა, რომელიც მე-19 საუკუნეში ტარდებოდა აფხაზეთში, ახლაც (ოცდამეერთე საუკუნეშიც) გრძელდება, მაგრამ რამდენადაც დღევანდელი პოლიტიკა უფრო შენიღბული და დახვეწილია, იმდენად უფრო წარმატებულიცაა. ეს კარგად გამოჩნდა ჩვენს თვალწინ მომხდარი მოვლენებიდან, რომლის პირდაპირი გამოვლინება რუსეთის სპეც. სამსახურების მიერ მოწყობილი და განხორციელებული აფხაზეთის ომის პროვოცირება, რომელიც ქართველთა გენოციდით და აფხაზეთიდან განდევნით დამთავრდა.

აფხაზეთის თურქეთში გადასახლების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში თურქებსაც თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ. თურქეთის მთავრობას სურდა კავკასიიდან გადასახლებული მთიელებით დაესახლებინა იმპერიის ცარიელი და ნაკლებად დასახლებული ადგილები. ამის შესახებ სულთანი დოვლეთ-გირეი წერდა: „თურქეთის მთავრობა სიამოვნებით იღებს გადმოსახლებულებს, რომლებიც გვჭირდება ევროპული და აზიური გუბერნიების ცარიელ ადგილებში დასახლებლად. ხანგრძლივი ომების შედეგად თურქეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ პერიოდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თურქეთი ბრძოლებში ყოველწინურად კარგავდა ასი ათას ჯარისკაცს (გ. ძიძარია, 1982:201). თურქეთი არც შემცდარა. მისთვის ხელსაყრელი იყო თავისი მოსახლეობის შევსება ახალი და მეომარი ხალხით. ამით იგი წყვეტდა სამხედრო პოლიტიკურ ამოცანებს, უზრუნველყოფდა თავის ეკონომიკას იაფი მუშახელით, ხოლო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში მოჰაჯირების დასახლებით ამტკიცებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ამასთანავე მუსლიმური სამყაროს თვალში გამოდიოდა როგორც ყველა მუსულმანის მფარველი (ა. თოთაძე, 1995:66).

თურქეთში გადასახლების პროცესში მთიელებს უდიდესი ტრაგედია დაატყდა თავს. მეფის არმია მეტად სასტიკად ეპყრობოდა მათ. მთიელებმა მთელი თავისი ქონება მიატოვეს და საზღვაო პორტებს მიაშურეს თურქეთში გადასახლებლად. მაგრამ არც თურქულ და არც მეფის ფლოტს არ შეეძლო ერთდროულად ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანთა გადაყვანა. ისინი მშვიერ-მწყურვალი თვეობით ელოდნენ გემებს. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო მოფენილი იყო გვაშებით

და მომაკვდავი ადამიანებით. ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ ღონე-მიხდელი ადამიანები მშვიდობის ძალების მსხვერპლნი ხდებოდნენ, ხოლო მათი ბავშვები მკვდარ დედებს ძუძუს წოვდნენ. თურქი ჯაშუშები გზაში ავადმყოფობის მცირე ნიშნის შემჩნევის დროსაც კი ადამიანებს გემიდან აგდებდნენ (ძიარია, 1982:229).

კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩავარდნენ მთიელები თურქეთში, განსაკუთრებით სამსუნსა და ტრაპეზუნდში, სადაც თავი მოიყარა გადასახლებულთა დიდმა რაოდენობამ. ხალხი შიმშილით იხოცებოდა ყოველდღიურად 150-200-მდე. ანატოლიის სანაპიროზე სულ 350 ათასი გადასახლებული დაიღუპა. ამ რიცხვში აფხაზებიც შედიოდნენ (გ. ძიარია, 1982:229).

იმპერატორი ალექსანდრე მეორე უშუალოდ იძლევა თანხმობას აფხაზების თურქეთში გადასახლების შესახებ. შესაბამისად, მეფისნაცვალს უმაღლესი მითითებები: მისი უმაღლესობა ნებას იძლევა აფხაზეთიდან და ნებელდიდან თურქეთში გადასახლდნენ მუსულმანები, გამოიყენეთ ამისათვის ყოველი მოხერხებული შემთხვევა და ახლავე შეუდექით შესრულებას. მართლაც, აფხაზების ერთ-ერთი დიდი გადასახლება თურქეთში ამ პერიოდში ხდება. 1867 წელს თურქეთში გადასახლდა 14458 კაცი, მაგრამ, არაადამიანურ პირობებში ჩავარდნილი აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაბრუნდა (ან. თოთაძე, 1995:69).

რუსეთის ხელისუფალნი აფხაზების თურქეთში გადასახლების, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა, ხელს უწყობდნენ იმის გამოც, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტად თვლიდნენ ამიერკავკასიაში გასაბატონებლად, ამიტომ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და გადასახლებას და მათ ადგილზე კაზაკ-რუსების დასახლებას, მოსახლეობისაგან დაცარიელებული საცხოვრებელ ადგილებს კი უმაღლეს რუსულ სახელწოდებებს აძლევდნენ. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ საკითხი – როგორი სახელწოდება უნდა მისცენ დარჩენილ თავისუფალ მიწებს – არის არა მარტო კერძო, ადგილობრივი, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (გ. ძიარია, 1982:435). XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში შეიქმნა ახალი დასახლებული პუნქტები: ბაკლანკა, პეტრე-პავლოსკოე, მიხაილოვსკოე, პილენკოვო, ვისოკაია და ა.შ.

აფხაზეთში საკოლონიზაციო გამოყოფილ მიწებზე ინტენსიურად ასახლებდნენ რუსებს, ხოლო ყველა სხვა მსურველს უარს ეუბნებოდნენ, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობის ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, გერმანელებსა და მოლდაველებსაც აძლევდნენ დასახლების უფლებას. უარს ეუბნებოდნენ დასავლეთ საქართველოს გლეხებს იმ მოტივით, რომ თავისუფალი მიწები არ იყო და რაც იყო, მხოლოდ რუს კოლონიზატორთა დასახინავებლადაა განკუთვნილი (პ. გუგუშვილი, 1949:732).

აფხაზები ყველაზე შედარებით გადასახლეს 1877-1878 წლების ომის დამთავრების შემდეგ თურქეთში, თუმცა მათი რაოდენობის დაზუსტება ძნელია. ერთი რამ კი ცხადია, გადასახლებულთა რაოდენობის თანამედროვე „ვაი აფხაზი ისტორიკოსები“ უჩვენებენ გაცილებით ბევრს, ზოგიერთი მათგანი 300 ათასაც კი ასახელებს, რაც მათი მხრიდან ბოღვაა, რადგან ასეთი რაოდენობა აფხაზეთში წარმოუდგენელია და ფანტასტიკურ ფანრს განეკუთვნება. რაც შეეხება პროფესორ ძიარიას ნაშრომს, სადაც მას აფხაზთა რაოდენობა გამოჰყავს 80-ათასამდე (ძიარია, 1982:374) ეს მონაცემები მას გამოჰყავს სხვადასხვა მონაცემების, უბრალოდ არითმეტიკული შეჯერებისა და საშუალო სიდიდის მიღების საფუძველზე, რაც ყოველგვარად დაუშვებელია. სხვადასხვა ცნობების შეჯერება უნდა მოხდეს, მხოლოდ და მხოლოდ. მათი მეცნიერული ღირებულებებისა და ამდენად საიმედო მონაცემების მიღების მიზნით. ამიტომ პროფ. ძიარიას მონაცემები – თურქეთში 80 ათასი კაცის გადასახლების შესახებ, სრულიად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია (ან. თოთაძე, 1995:77).

როგორც ზემოთ დავასახელებთ, აფხაზთა დიდი რაოდენობა თურქეთიდან იწყებს უკან დაბრუნებას.

რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად უშლიდა ხელს. ეს იმიტომ, რომ მათ მინა-წყალზე სხვები დასახლდნენ უკვე და მეორე გამწარებული და გატანჯული აფხაზების მიღება მას არ აწყობდა, რადგან შიშობდა და თან სამართლიანადაც, რომ აფხაზები პასუხს მოთხოვდნენ ხელისუფლებას.

მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში აფხაზთა დასაცავად მრავალი წერილი და სტატია დაიბეჭდა, რომელთა ავტორები იყვნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მე-19 ს. მეორე ნახევრის ქართულ პერიოდული პრესის ცენტრში იდგა აფხაზეთის მოვლენები, კერძოდ, მუჰაჯირობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები. მოძმე აფხაზების ჭირ-ვარამს, მათდამი სიმპათიებსა და მხურვალე მხარდაჭერის აუცილებლობას ექომაგებოდნენ ისეთი გამოცემები, როგორც იყო: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „სასოფლო გაზეთი“, „საქართველოს კალენდარი“, „კვალი“, „მწყემსი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ობზორი“ და სხვ.

სამწუხაროა, რომ თანამედროვე აფსუა-აფხაზების ნაწილმა დაივიწყეს ქართველთა ყველა ამაგი, მხურვალე თანამედროვე თანადგომა და მხარდაჭერა არსებობისათვის ბრძოლაში, აგრეთვე შემოქმედებით შრომასა და ქვეყნის ყოველმხრივ დანინაურება-განვითარებაში. ქართველების ათასგზის სიკეთე აფსუებმა ათასგვარი პროვოკაციით და გენოციდის მოწყობით გადაუხადეს. უეჭველია, რომ თანამედროვე აფხაზმა ავანტიურისტებმა დაივიწყეს ის უდიდესი უბედურება, რაც თავის დროზე მათ წინაპრებს დაატყდა თავს რუსი დაა თურქი აგრესორებისაგან, დაავიწყდათ თავიანთი წინაპარი მუჰაჯირების ტრაგედია, თურქეთში მშვიერ-მწყურვალე ხეტიალი, უსახლკარობა, საშინელი, ეპიდემიები, სტიქიური უბედურებები და სხვა გაჭირვება და ახლა ჩირად არ უღირთ ქართველების ხოცვა-ჟლეტა, სახლ-კარიდან განდევნა და ა. შ.

მაგრამ ის საშინელება, რაც სიკეთის მაგიერ მიეზღო ქართველებს ყველა აფსუას ბრალი არ არის. უდავოა, რომ ის უბედურება, რაც უკანასკნელ ომში დაატყდა თავს ათეულობით ქართველს, თუ აფხაზს, არც მხოლოდ აფხაზ ავანტიურისტთა ბრალია, არამედ მათდამი მხარდამჭერ და გვერდში მდგომ იმპერიის მესვეურთა, ასევე მათი სპეცსამსახურების, ჩრდილო კავკასიის კონფედერაციის ავანტიურისტ ლიდერთა და მათდამი აყოლილ რეციდივისტ დაქირავებულთა სინდისის საქმე და ნახელავიცაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. წურწუშია, აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში. თბ., 2012
2. გ. გასვიანი, აფხაზეთი, თბ., 1998
3. ან. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995
4. გაზ. „დროება“, № 158, 1858
5. გ. ანჩაბაძე. ქართველები და აფხაზები, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2009
6. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, თბ., 1949
7. ვ. გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918 წწ.), ნიგნი II, თბ., 2018
8. Т. Дзидзария, Махаджырство и проблемы истории Абхазии XIX столетия, сух., 1982

VLADIMER TSVERAVA  
Akaki Tsereteli State University, Professor

## **Dedicated to the 140 anniversary of Abkhazians exile to the Turkey Territory**

### **Muhajirs**

Muhajirs or the exile of Georgians who recognize Islam, to Ottoman from Samtskhe Javakheti, Abkhazia and Adjara, was a great tragedy for the Georgia nation. Muhajir was a part of the Russian Empire's Caucasian policy and it had one of the main reasons: Russia didn't want to stay the Muslim Georgians in the border region, because he didn't trust them. The exile of Georgians from the Russia territory to Ottoman helped the Ottoman government – in the case of future war against Russia, the Muhajirs will fight fiercely against Russia.

In 1866, when there was a revolt in Abkhazia, Russians were sure that a large part of the Abkhazians, especially the nobles and nobility, were hostile to the Russian authorities. Their stay in Abkhazia, in the strategic region of the Black Sea coastline, was considered as dangerous for the empire. Therefore, the Abkhazians were forced to resettle in Ottoman Empire.

After the suppression of the 1866 revolt, Russia begins the ruling of Abkhazia in the parallel to the transformation of the Abkhazian administration into the Russian manner, the king's government began the colonization of the region.

Muhajah from Abkhazia to Turkey began in April 1867 and ended in June.

The war between Russia and Turkey in 1877-1878 was especially tragical for Abkhazians, as the central part of Abkhazia was ruined by Turks, where only the ruins and ashes from a number of villages were remained (Turks burnt Sokhumi too).

After the end of the war, the Russian king's government began to exploit the Black Sea coastline. He settled his loyal people there, but not Georgians.

A large number of Abkhazians began to return from Turkey. The Russian government hampered by all. The one reason was that the other people had already settled on their lands and the second, the Russian government didn't want to accept the embarrassed and tortured Abkhazians, as he was afraid that Abkhazians would respond them.

In the Georgian press of the 19th century, many letters and articles were published to protect the Abkhazians, the authors of which were Georgian public figures who were against the Muhajir of Abkhazians.

Modern Abkhazian historians and politicians say such numbers, that their "delirium" belongs to fantasy genre, They do it with Russian politicians and want to show, that Georgians came here after "Muhajir" and they have restored the "historical reality" and Georgians were evicted from Abkhazia, which is a fraudulent lie and doesn't correspond to the reality/ Facts and documents confirm the other.

მადონა რობაქიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი

## იმერეთის სამეფო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ალექსანდრე მეშუთე

XVIII საუკუნის თურქი მემატინე მეჰმედ რაშიდი წერს, რომ 1639-1722 წლებში ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში წინ წამოიწია დასავლეთ საქართველოს საკითხმა. ამ „მშვიდობიან პერიოდში ოსმალეთი უფრო მკვეთრად უპირისპირდება დასავლეთ საქართველოს, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსთან და ირანთან საუკუნე ნახევრიანი ომების დროსო (მეჰმედ რაშიდის ცნობები, 1976:15).

1717-1719 წლებში იმერეთში გიორგი VI გურიელი მეფობდა, 1720 წ. გაზაფხულზე აბაშიძეებმა მოჰკლეს გიორგი VI. გიორგის უფროსი ვაჟი ალექსანდრე ვახტანგ VI-ის კარზე იზრდებოდა. ახალციხის ფაშამ ვახტანგ VI-ს სთხოვა, რომ ალექსანდრე მასთან გაეგზავნა, რათა იგი იმერეთში გაემეფებინა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973:455).

ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა თურქეთის ექსპანსიას. თურქეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვასალად თვლიდა და ახალციხისა და ტრაპიზონის ეიალეთების მეშვეობით აქტიურად ერეოდა მის საშინაო საქმეებში. იმერეთის მეფეს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს ტახტზე სულთნები ამტკიცებდნენ, მაგრამ შექმნილი ვითარების შედეგად ეს წესი ხშირად ირღვეოდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973:456).

დასავლეთ საქართველოს მეფე – მთავრები ყოველწლიურად მისართმეველს უგზავნიდნენ თურქეთს, რომელსაც „ქრთამი“ ეწოდებოდა, იმისათვის მოსახლეობა იხდიდა „საურს“ ან „სათათრო ხარჯს“.

თურქების პოლიტიკური ზეგავლენა დასავლეთ საქართველოზე სხვა მხრივ იყო საშიში, ისინი ტყვის სყიდვის თავისუფლებას მოითხოვდნენ, ხოლო ტყვის სყიდვა ზოგჯერ ისეთ საშინელ ფორმებს იღებდა, რომ ერის ფიზიკურ არსებობას საფრთხეს უქმნიდა. ტყვის სყიდვის აკრძალვა თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა და სულთანიც დამსჯელი ღონისძიებების განხორციელებით პასუხობდა მას (ჩხატარაიშვილი ქ., 1972:43-44).

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთმა გააძლიერა ექსპანსია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში. უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპირო ციხე-სიმაგრეებში თავისი სამხედრო ძალების ჩაყენება, რათა ამით პოზიციები გაემაგრებინა. ეს კი ხელს შეუწყობდა მათ ლაშქრობებს ქვეყნის შიდა რაიონებში. სანაპირო ციხე-სიმაგრეებიდან უპირატესობით ანაკლიისა და რუხის ციხეები გამოირჩეოდნენ (მხედველობაში გვაქვს მათი გეოგრაფიული, სტრატეგიული მდებარეობა), ისინი წარმოადგენენ „პლაცდარმს მომხდური მტრის წინააღმდეგ ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ერთიანი ძალების გამოსვლისათვის (შენგელია ნ., 1982:9), მაგრამ ქვეყნის თანდათანობით დაქუცმაცებულობა საქმეს დღითიდღე ართულებდა.

1720 წელს თხმელის (ბაღდათის) ციხეში, სვიმონ აბაშიძესთან სტუმრად მყოფი გიორგი VI ნადიმის დროს მოკლეს. იმერეთი ხელახლა გაინაწილა სამმა დიდმა ფეოდალმა – ზურაბ აბაშიძემ, ბეჟან დადიანმა და შოშიტა ერისთავმა.

1721-1752 წწ. იმერეთის მეფე იყო ალექსანდრე V. შინაფეოდალური ომები არც ამ პერიოდში

შენელებულა. ალექსანდრე V ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის კარზე იზრდებოდა. მამის დაღუპვის შემდეგ ბატონიშვილი ახალციხეში წავიდა, სადაც ერთი წელი დაყო, სტამბოლიდან მიღებული ბრძანებით ახალციხის მმართველმა, ისაყ ფაშამ, ალექსანდრე იმერეთში ჩამოიყვანა და მეფედ გამოაცხადა. ალექსანდრე გიორგის ძის მხარდასაჭერად ვახტანგ VI-მ გამოაგზავნა თავისი ლაშქარი, რომელსაც ბატონიშვილი ვახუშტი მეთაურობდა (გაბაშვილი ვ., 1969:28-29). ალექსანდრე V-ს მხარი დაუჭირა რაჭის ერისთავმა და გადასცა მას კაცხის ციხე მიღებული (1720) განძითურთ. ალექსანდრემ კაცხის განძი ისაყ ფაშას აჩუქა. ოპოზიციონერ ფეოდალთა რიგებში აღმოჩნდნენ ზურაბ აბაშიძე და ბეჟან დადიანი.

ალექსანდრემ თურქთა დახმარებით აიღო ცუცხვათის ციხე, რომელიც ზურაბ აბაშიძეს ეკუთვნოდა და იქ თურქი მეციხოვნეები ჩააყენა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა ბეჟან დადიანისათვის გაესწორებინა ანგარიში და ოსმალთა ჯარით მისი სამფლობელო ლეჩხუმი მოარბია. ამ საქმეში მეფეს მხარს უჭერდა რაჭის ერისთავი შოშიტა. დადიანი შეაშფოთა მეფისა და ერისთავის კავშირებმა მის წინააღმდეგ და ნაცად ხერხს მიმართა. მან თორმეტი ქესა ქრთამი მიართვა ისაყ-ფაშას, რომელმაც ბეჟანი ახალგაზრდა მეფის მეურვედ დანიშნა (ქართლის ცხოვრება, IV, 1973:882).

ფაშასთან მორიგების შემდეგ ბეჟან დადიანს აღარ გასჭირვებია მეფე ალექსანდრეს დაქორწინება თავის ასულ მარიამზე და ხელთ იგდო ფაქტობრივი ძალაუფლება იმერეთში. ვახტანგის თქმით, „თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოვლისავე“ (რეზიაშვილი მ., 1982:19).

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში თურქები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, რასაც ხელს უწყობდა შინაური აშლილობა.

1723 წელს თურქებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და ამით საქართველო შავ ზღვას მოსწყვიტეს. 1725 წელს ფოთში ორთულდანი ფაშა დასვეს და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს... რუხის ციხე, რომელიც დაშორებული იყო ზღვას და რომელიც წარმოადგენდა ოდიშის უმთავრეს სიმაგრეს, დაანგრეს და მისი ნარღვევით ააშენეს ანაკლიის ციხე, რომელსაც უწოდეს რედუტკალე.

თვით იმერეთში ოსმალთ კიდევ ეჭირათ გარდა ქუთაისის ციხისა, შორაპნის, ბაღდადის და ცუცხვათის ციხეები“ (კაკაბაძე ს., 1920:172) ციხეთა დაკარგვა სტრატეგიული თვალსაზრისის გარდა სამწუხარო იყო იმით, რომ ისინი ტყვეებით ვაჭრობის ცენტრად იქცნენ. გარდა ამისა, ახლომდებარე სოფლებში მაჰმადიანთა რიცხვი საგრძობლად იზრდებოდა... ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ თავადების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოო დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ“ (ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., 1950:293).

მაგრამ მოსახლეობა თურქთა ძალადობას არ ურიგდებოდა. 1725 წელს ბეჟან დადიანი გახდა მოთავე ანტიოსმალური ბრძოლისა, რომელსაც რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძეც მიემხრნენ. გამოსვლა ვერ განხორციელდა, ხოლო თვით ბეჟან დადიანი 1728 წ. ვერაგულად მოკლეს. ეს მოხდა გეგუთში, ალექსანდრე V-ის და იუსუფ ფაშას ბანაკში, ამ უკანასკნელის მესაჭურჭლის მაჰმედ ბეგის მიერ. შეთქმულებაში ზურაბ აბაშიძეც მონაწილეობდა (ქართლის ცხოვრება, IV, 1973:888).

ასე განთავისუფლდა „მეურვისაგან“ ალექსანდრე V, რომელიც მომხრე-მოკავშირეთა რაოდენობის გაზრდას შეუდგა. 1732 წელს, მან პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ცოლად შეირთო გიორგი აბაშიძის შვილიშვილი ლევანის ასული თამარი, თავისი ქალიშვილი კი მამია IV გურიელს მიათხოვა, 1732-33 წწ. მეფის ჩაგონებით გრიგოლ რაჭის ერისთავის ბიძა გენათელი ეპისკოპოსი გედეონი საერო ცხოვრებას დაუბრუნდა. ალექსანდრე V მას მამულები უბოძა საჩინოს თემში (თანამედროვე ვანის რაიონი), სადაც ჩამოაყალიბდა ე. წ. ბარის საერისთავო.

1730 წლის გაზაფხულზე თურქებმა გადაწყვიტეს დაემორჩილებინათ აფხაზეთსა და აზოვის ზღვას შორის მცხოვრები მთიელი ტომები.

ალექსანდრე იძულებული გახდა ამ ლაშქრობებში მონაწილეობა მიეღო, რითაც ძალზე გაამწვავა ურთიერთობა სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებთან. თურქებმა სამეგრელო დაარბიეს, დაწვეს ილორის განთქმული ეკლესია და აფხაზეთში შევიდნენ. თურქები კოდორს გალმა რომ გავიდნენ „ალექსანდრე თავისი ლაშქრით გამოეპარათ მათ და უკან დაბრუნდა“ (ქართლის ცხოვრება, IV, 1973:886-887). ამ დროს აფხაზეთში აჯანყებამ იფეთქა, თურქები ჯიქეთში ველარ შევიდნენ და მალე მათი ჯარი საქართველოდან წავიდა.

ოტია დადიანმა, ზურაბ აბაშიძემ და რაჭის ერისთავმა... „შეკრიბნენ სპანი დიდნი და მოვიდნენ ალექსანდრესა ზედა ანუ მოჰკლან ანუ განადონ“ (ქართლის ცხოვრება, IV, 1973:889). შეთქმულთა კანდიდატი იყო ალექსანდრე V-ს ძმა მამუკა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ოტია დადიანის და. მეფის მომხრეთა რიგში აღმოჩნდნენ: მამია გურიელი, ლევან აბაშიძე, ბარის ერისთავი გედევანი, მერაბ წულუკიძე, კაცია დადიანი (ოტია დადიანის ძმა) და სხვ. მოწინააღმდეგეებმა შორის ბრძოლა მოხდა 1732 წლის ზამთარში ჩიხორთან (რეხვიაშვილი მ., 1982:51).

ალექსანდრე V-მ სძლია შეთქმულებს, თვით ოტია დადიანი კი ტყვედ ჩაიგდო (დაჭრილი). საბოლოოდ მოლაპარაკების შედეგად, დადიანმა მეფეს დაუთმო საჭილაო-სამიქელაო, რომელიც მამუკა ბატონიშვილს გადაეცა ... „შემდგომად მიადგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისასა და მოპარვით აიღო ციხე სებეკისა. მერმე აღიღო ციხე ბეჟანისა და დაიპყრა საჩიჯავაძო მამუკამ“ (ქართლის ცხოვრება, IV 1973:889).

ჩიხორის ბრძოლას მეფის ხელისუფლების გაძლიერება მოჰყვა შედეგად. მაგრამ იმერეთში მდგომარეობა არ გამოსწორებულა, ქვეყანა ეკონომიკურად ისევ დაუძლურებული იყო. ამიტომ თურქთა ფაშებისათვის ქრთამის მიცემას და სათათრო გამოსაღების გადახდას სამეფო ხელისუფლება ტყვეთ ვაჭრობაზე ნებართვის მიცემით ახერხებდა. ვახუშტი წერს: „... ალექსანდრემ განაახლა საქმე ბეჟან დადიანისა, რამეთუ ოდეს დასჭირდეს თეთრი ოსმალთა ქრთამად ანუ სხვასა სამჭირნოსათვის, შეაგდის იმერთა თეთრი იგი მთავართა და აზნაურთა ხოლო მათ დაჰყიდვიან ტყუენი და მისციან და თვით, რეცა თუ არა ჰყიდდა ტყუეთა“ (ქართლის ცხოვრება, IV 1973:889).

ალექსანდრე V თურქეთის მომძლავრებას ვერ ურიგდებოდა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაბედული გეგმები ჰქონდა. ამ ბრძოლაში უმთავრეს პერსპექტიულ მოკავშირედ საქართველოსათვის კვლავ რუსეთი რჩებოდა.

რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულებით, რუსეთის მთვარობამ საქართველო თურქეთის ხელქვეითად სცნო და ამიტომ გაურბოდა საქართველოში რაიმე პოლიტიკურ აქციებს (პაიჭაძე გ., 1981:126).

1735წ. რუსეთის ჯარების მიერ ყირიმის სახანოს წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთთან ომში გადაიზარდა (1735-39 წწ.). რუსებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ყველაფერი ეს 1727 წ. ალექსანდრე V-მ უკვე იცოდა და სათანადო მოქმედებისათვის ემზადებოდა. იმავე წლის გაზაფხულზე ირანის წინააღმდეგ აჯანყებული ქსნის ერისთავი შანშე იმერეთს გადავიდა და დახმარების საძიებლად რუსეთს გადანყვიტა წასვლა. ალექსანდრე V-მ მასთან ერთად ელჩად გაისტუმრა ქუთაისის მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი (გაბაშვილი ტ., 1956:77).

ტიმოთე გაბაშვილი (ქუთათელი) იმერეთიდან 1737 წლის 26 სექტემბერს გაემგზავრა. მაგრამ 1738 წ. თებერვლამდე ასტრახანს შეყოვნდა. 9 მარტს უკვე მოსკოვში იყო, ხოლო 17 აპრილს პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა მიიღო. ელჩობის თარჯიმნად დაინიშნა იმერელი აზნაური დავით მათეს ძე ფანჩულიძე. ეს უკანასკნელი ვახტანგ მეექვსის ამაღლებაში ირიცხებოდა და ვახუშტი ბატონიშვილთან ცხოვრობდა (ყაუხჩიშვილი ს., 1959:339-348).

ტიმოთე გაბაშვილის ელჩობას თან მიჰქონდა ალექსანდრე V-ის ორი წერილი. იმერეთში შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა, რომელზედაც ნაჩვენებია იყო ძირითადი სტრატეგიული

პუნქტები, ნავსადგურები, სანაოსნო გზები და ციხეები (ბურჯანაძე შ., 1959:196).

ალექსანდრე V რუსეთისაგან სამხედრო დახმარებას ითხოვდა. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ როგორმე რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულებაში უნდა შეეტანათ მუხლი იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში ყოფნის შესახებ. ყველაფერი ეს თურქეთს იმერეთში შემოჭრის თუ დაპყრობის საშუალებას მოუხსობდა, რაც შეეხება რუკას, იგი წარმოადგენდა „ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყაროს...“ (ბურჯანაძე შ., 1959:196).

ალექსანდრე V თავის წერილში ცდილობდა რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური სიმდიდრითაც დაეინტერესებინა... „რაც ჩვენს ქვეყანაში ქანია, ვერცხლისა თუ ოქროსი, თუ სხვისა მრავალფერის კალისა, სპილენძისა, ტყვიისა, რკინისა, სამ რიგში ჭაშნიკი მომირთმევიანო“ (Броце, 1961:225-226).

1738 წლის ივლისში ტიმოთე გაბაშვილი ანა დედოფალმა მიიღო და მან ალექსანდრე V-ის წერილი გადასცა.

1739 წლის 18 სექტემბერს ხელი მოაწერეს ბელგრადის ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა კიდეც. საზავო ხელშეკრულებაში დასავლეთ საქართველოს შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, რუსეთს შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლება ჩამოერთვა.

1740 წლის 18 მარტს ვიცე-კანცლერმა ოსტერმანმა ტიმოთე გაბაშვილს გადასცა ანა ივანეს ასულის სიგელი დაპირებებით, რომ იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებას დედოფალი კეთილგანწყობით უყურებს, მაგრამ თურქეთთან ზავი უკვე დადებულია და იმერეთის ელჩს მხოლოდ ამ ცნობით და საჩუქრით ისტუმრებდა (Паичадзе Г., 1967:172).

ტიმოთე გაბაშვილისათვის სამშობლოსაკენ გამომგზავრება მარცხიანი აღმოჩნდა. იგი „ურწმუნოთა ხელში აღმოჩნდა“ და ტყვეობაში კარგა ხანს დაჰყო, თუმცა იმპერატორ ანას სიგელი, სანდო კაცის ხელით, დაბრუნებამდე გაუგზავნა ალექსანდრე V-ს.

ამრიგად, ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. იმერეთის მეფე დარწმუნდა, რომ რუსეთიდან დახმარება მოსალოდნელი აღარ იყო. 1740 წ. რომანოზ სამთავნელი იმერეთიდან რუსეთს გაემგზავრა, მას ალექსანდრე V და ქართლისა და „აფხაზეთის“ კათალიკოსებმა სინოდში წარსადგენად სარეკომენდაციო წერილები გაატანეს, მაგრამ რაიმე დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმის ცდა უკვე აღარ ჩანდა. 1768 წლამდე, რუსეთს თურქეთთან აღარ უომია და დასავლეთ საქართველოს საქმეების ჩარევაზეც ხელი აიღო. რუსეთის ურთიერთობა დასავლეთ საქართველოსათვის კარგა ხნით შეწყდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1937:478).

XVIII ს. 30-იანი წლებიდან ისევ გრძელდებოდა გამოსვლები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ოპოზიციონერი ფეოდალები, ძმათაშორის სისხლისღვრას რომ შეეჩვივნენ, ახალ-ახალ შეთქმულებებს აწყობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა პაპუნა წერეთელი და ზურაბ აბაშიძე, რომლის ვაჟს, დავითს, მეფემ ცოლად თავისი და შერთო. 1740 წელს, მეფემ ურჩი ფეოდალები ვარციხეში მიიწვია სტუმრად და საბოლოოდ გაუსწორდა (პაპუნა წერეთელი და დავით აბაშიძე მოაკვლევინა), თუმცა მეფემ მოდინახეს აღება მაინც ვერ შეძლო.

მორიგი შეთქმულების მოთავენი გრიგოლ ერისთავი, ზურაბ აბაშიძე და ოტია დადიანი აღმოჩნდნენ. ალექსანდრემ დახმარებისათვის შანშე ქსნის ერისთავს მიმართა, რომელმაც ლეკების რაზმი გამოუგზავნა და მეფემ შეთქმულები გაფანტა. „შემუსრეს ციხენი და მრავალნი კოშკნი... შთავიდნენ ოდიშს და უძვირესნი ბოროტნი ყვნეს“ (დადიანი ნ., 1962:37).

1741 წელს დადიანმა, ერისთავმა, ზურაბ აბაშიძემ და შერვაშიძემ, ახალციხის ფაშას დახმარებით, ალექსანდრე იმერეთიდან განდევნეს, ხოლო მის ადგილზე მეფის ძმა (გიორგი ბატონიშვილი) დასვეს.

ლტოლვილი მეფე ქართლში გადავიდა, საიდანაც ნადირ-შაჰს დაუკავშირდა. მისი შუამდგომლობით ახალციხის ფაშას მოურიგდა და ტახტი დაიბრუნა. იუსუფ-ფაშამ ნადირ-შაჰის თხოვნას ანგარიში



გაუნია და ალექსანდრე იმერთა მეფე ისე დააბრუნა ტახტზე, რომ თურქეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის არც კი უკითხავს (1741 წ.) (რეხვიაშვილი მ., 1982:29).

მაგრამ მეფე-მთავართა და თავადთა ბრძოლა არც შემდეგ დაცხრა. თავის ძმა გიორგისთან ერთად მეფეს დადიანი, ერისთავი და სხვა თავადებიც ებრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ხშირად უსასტიკეს ზომებს მიმართავდა (მოწინააღმდეგეთა ნაწილებს თავებს ჰკვეთდა, ნაწილს ოსმალეთში ჰყიდდა და ა.შ.) შეთქმულება ისევ გრძელდებოდა (რეხვიაშვილი მ., 1982:29-30).

1743 წ. დადიანი და ერისთავი ისევ აუჯანყდნენ მეფეს. ერთ-ერთი შეთქმული (გრიგოლ ერისთავი) ბრძოლის დროს მოჰკლეს, ხოლო დადიანი გაიქცა. შეთქმულების ჩახშობა ისევ ახალციხის ფაშას დახმარებით მოხდა. ერთი წლის შემდეგ ალექსანდრეს ზურაბ და ზაალ აბაშიძეები აუჯანყდნენ. მეფემ ეს შეთქმულებაც დაძლია, მაგრამ საბოლოოდ ვერც დადიან-ერისთავი დაიმორჩილა და ვერც იმერეთის დიდი თავადები.

1749 წ. ალექსანდრე V ერთხელ მოუხდა იმერეთის დატოვება, თუმცა თურქთა დახმარებით ისევ მოახერხა დაბრუნება.

შეთქმულებთან ბრძოლას შეენირა ალექსანდრეს დედინაცვალი თამარ გურიელის ასული (მას ბრალად თანამზრახველობა დაედო), რომელსაც თავი მოჰკვეთეს.

ალექსანდრე V გარდაიცვალა 1752 წლის მარტში.

არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ თითქმის გაჩანაგებამდე მიიყვანა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთი, რომელმაც კარგა ხანს ვერ დააღწია თავი პოლიტიკურ და სამეურნეო ანარქიას. თვით სოლომონ პირველის დროსაც კი (1752-1784), როდესაც იმერეთი შედარებით დაწყნარებული იყო, ჯერ კიდევ დიდხანს რჩებოდა მოუშუშებელი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გაუთავებელი ომიანობისაგან მიყენებული ჭრილობები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., 1950 – საქართველოს ისტორია, ნაწ. I.
2. ბურჯანაძე შ., 1959 – ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც საქართველოს ისტორიის პირველწყარო, საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერი ინსტიტუტის მოამბე I.
3. გაბაშვილი ვ., 1969 – ვახუშტი ბაგრატიონი
4. გაბაშვილი ტ., 1956 – მიმოსვლა
5. დადიანი ნ., 1982 – „ქართველთ ცხოვრება“, ტექსტი გამოსცა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ.
6. კაკაბაძე ს., 1920 – საქართველოს მოკლე ისტორია.
7. მეჭმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნების შესახებ, 1976.
8. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.) თურქული ტექსტი, ქართული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ.
9. პაიჭაძე მ., 1981 – ვახტანგ მეექვსე.
10. რეხვიაშვილი მ., 1982 – იმერეთი XVII საუკუნეში.
11. რეხვიაშვილი მ., 1989 – იმერეთის სამეფო 1462-1822 წწ.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973.
13. ჩხატარაიშვილი ქ., 1972 – საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973.
15. Паичадзе Г., 1957 – Русско-Грузинские отношения в 1725-1735 годах., Тб., 1967
16. Переписка Грузинских царей с Российскими Государям от 1639 г.Б под ред, Броссе. СПб 1961.

MADONA ROBAKIDZE  
Akaki Tsereteli State University, Professor

## THE KINGDOM OF IMERETI IN THE FIRST HALF OF THE XVIII CENTURY

In 1721-1752, the King of Imereti was Alexander V. The feudal wars did not slow down during this period. Alexander V was brought up at the royal palace. After the death of his father, he went to Akhaltsikhe, where he spend a year, according to the order from İstanbul the ruler of Akhaltsikhe take him to Imereti and declared him as a king. In order to support the son of George - Alexander, Vakhtang VI sent his army, headed by Vakhushiti. Alexander V was supported by Racha Eristavi and he handed him to Katskia Fortress (1720) with its treasure. Alexander gave the treasure of Katshi to Pasha. Zurab Abashidze and Bezhan Dadiani were among the opposition feudallists.

Aleksandre took over the Tsutskhvati fortress, which belonged to Zurab Abashidze with the help of Turks, and he placed Turkish prison guard there. After that, he decided to revenge on Bezhan Dadiani and with a help of Ottoman army he rioted in Iechkhumi. The king was supported by Racha Eristavi - Shoshita. Dadiani was troubled by the King and Eristavi's bond against him and he tried tested method. He gave twelve purse of bribe to Isak-pasha, who appointed Bezhan as the guardian of the young king.

After negotiation with pasha ,Bezhan Dadiani no longer had a trouble to arrange marriage of king Alexander and his daughter Mariam and he took control over imereti. Vakhtang said, "Although he was Alexander the king, Garna Bezhan Dadiani was doing all".

In the second quarter of the XVIII century, the Turks became more active, domestic disorder was promoting that fact.

In 1723, the Turks occupied the fortresses on the eastern coast of the Black Sea and thus Georgia became seperated from the Black Sea. In 1725, Passha was assigned in Poti and he was handed the governor of the Black Sea coast. "The Rukhi Fortress, which was separated from the sea and which was the main fortress of Odishi, was destroyed and Anaklia fortress, called Redutkale, was built there.

In imereti, Ottomans occupied not only Kutaisi fortress but also Shorapani fortress, Bagdadi fortress and Tsutskhvati fortress. Apart from the strategic view of the fortresses, it was sad that they became the center of trade with their captives. But the population was fighting against turkish violence. In 1725 Bezhan Dadiani became the leader of an Antiottomanian battle with the help of Racha Eristavi and Zurab Abashidze. The speech was not implemented, and Bezhan Dadiani himself was murdered brutally in 1728. This happened in Geguti, in the camp of Alexander V and Yusuf Pasha, by the treasure keeper of Yusuf pasha - Mahmud Beg. Zurab Abashidze also participated in the conspiracy. Thus, Alexander V got free from his "guardian" and he started to increase the number of his allies. In 1732, after the death of his first wife, he got married to the grand daughter of Giorgi Abashidze and daugter of Levan named, Tamari and he gave her daughter to Mamia IV Gurieli, in 1732-33. With the invocation of King, Grigol Rachis Eristavi's uncle, Bishop of Geneti Gedeon returned to a secular life.

In the spring, 1730, the Turks decided to subdue the mountain tribes of Abkhazia and the Azov Sea. Alexander was forced to take part in these invasions, which would greatly complicate relations with the heads of the Samegrelo and Abkhazia.

Otia Dadiani, Zurab Abashidze and Racha Eristavi ... "warriors were gathered and came to kill Alexander or leave him without son." The conspirator's candidate was Mamuka, brother of Alexander V, who was married to sister of Otia Dadiani. Among the supporters of the king were Mamia Gurieli, Levan Abashidze, Bari Eristavi

Gedevani, Merab Tsulukidze, Katsia Dadiani (brother of Otia Dadiani) and others. The battle between the opponents occurred in the winter of 1732 near Chikhor.

Alexander V stood firm against conspiracy and he got Otia Dadiani as captive (wounded). Eventually, as a result of the negotiations, Dadiani gave Sachilao-Samikelao to the king, which was handed over to Mamuka Batonishvili.

The Chikhori battle strengthened the king's power.

Alexander V did not accept powerful Turkey and had daring plans to fight against them. Russia was still the most prosperous ally for Georgia.

In 1735, fighting against Crimea by Russian troops turned into war with Turkey (1735-39). Russians have gained significant success. In 1727, Alexander V had already known and was preparing for proper actions. In the spring of the same year, Ksani Eristavi, Shanshe who was rebelled against Iran, moved to Imereti and decided to go to Russia to find aid. Aleksandre V sent Metropolitan of Kutaisi Timothy Gabashvili as an Ambassador.

Timothy Gabashvili (Kutateli) departed from Imereti on September 26, 1737. Timothy Gabashvili took two letters of Alexander V. Map of Western Georgia, drawn in Imereti, which showed key strategic points, harbors, marine roads and fortresses.

Alexander V asked for military assistance from Russia, but if that could not happen, then somehow the Russian-Turkish ceasefire agreement should include the Imereti Kingdom under the Russian patronage.

In July 1738, Queen Anna received Timothy Gabashvili and he handed over letter of Alexander V.

On March 18, 1740, Vice-Chancellor Osterman gave Timothy Gabashvili the document with promise of Queen Anna, that she liked the idea of Imereti patronage, but she already called the truce with Turkey and the ambassador of Imereti only left with a gift and a document. Timothy Gabashvili as an ambassador did not have any results. The King of Imereti was convinced that assistance from Russia was no longer possible.

From the 30s of 18th century, the movement continued against the central government. Papuna Tsereteli and Zurab Abashidze, whose son, Davit got married with king's sister, were very active. In 1740, the king invited the fiery Feudalists in Vartsikhe and finally abused (killed Papuna Tsereteli and David Abashidze), though the king was still unable to take over Modinakhe. Grigol Eristavi, Zurab Abashidze and Otia Dadiani were the heads of next conspiracy.

In 1741, Eristavi, Dadiani, Zurab Abashidze and Shervashidze expelled Alexander from Imereti with the assistance of Akhaltsikhe Pasha and the brother of the king Giorgi Batonishvili became king.

The Refugee king moved to Kartli, where he contacted with Nadir Shah. With his mediation, he made agreement with Akhaltsikhe pasha and returned to the throne.

In 1743, Dadiani and Eristavi again rebelled against the king. One of the conspirators (Gregory Eristavi) was killed in fighting, and Dadiani managed to escape. The suppression of the conspiracy was again carried out with the help of Akhaltsikhe pasha.

In 1749, Alexander V once again had to leave Imereti, but with the help of the Turks he managed to get back.

Alexander's stepmother Tamar, Gurieli's daughter was decapitated, (she was considered to be involved in conspiracy).

Alexander V died in March, 1752.

## **ქუთაისის მუზეუმი დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა 1918 წლის 26 მაისს. დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა – ეს იყო მცდელობა ღარიბ და ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში შექმნილიყო ახალი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო. მიუხედავად ურთულესი პირობებისა, რაც გამონეწეული იყო მიმდინარე ომებით, ეკონომიკური ქაოსითა და საქართველოს მთავრობის გამოუცდელობით, ქვეყანას მაინც ჰქონდა მნიშვნელოვანი განვითარების და აღმავლობის პერსპექტივა, რადგან ამ პერიოდში საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც დემოკრატიული სისტემა ყალიბდებოდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებამდე საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. როგორც ცნობილია, 1783 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაცვის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა, მაგრამ ამის მიუხედავად, 1801 წელს ქართლ-კახეთის მეფის ჩგიორგი XIII-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1783 წლის ტრაქტატი და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და ის რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოაცხადა. ამ დროიდან საქართველო 117 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის გუბერნიას წარმოადგენდა. ამ ხნის მანძილზე ცარისტულმა რეჟიმმა არაერთი ეროვნული აჯანყება ჩაახშო და აჯანყებულები სასტიკად დასაჯა. მაგრამ ქართველებში დამოუკიდებლობის იდეა ყოველთვის ცოცხლობდა. ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა შეძლეს ქართველებისათვის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება და ისინი მზად იყვნენ იმ მოვლენებისათვის, რომელიც 1918 წლის 26 მაისს მოხდა, თუმცა, მიუხედავად ამ მზადყოფნისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ შეიქმნებოდა საგარეო ფაქტორების ხელშეწყობის გარეშე. როგორც ცნობილია, 1917 წლის გაზაფხულზე რუსეთში დაემხო მონარქია. ამან ქართველ პოლიტიკოსებში დაბნეულობა და ქაოსი გამოიწვია. იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო საქართველოს მომავალი და დასახულიყო სამოქმედო გეგმა, მოწვეულ იქნა საქართველოს ინტერპარტიული კრება, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა პარტიები: სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. მიუხედავად უთანხმოებისა, მათ მაინც შეძლეს სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა. ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი აირჩიეს. (1, 126). ქართული პოლიტიკური ელიტა მომავლის ძიებაში იყო, როდესაც რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია მოხდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასია ფაქტიურად გამოეყო რუსეთს. 1917 წლის 11 ნოემბერს შედგა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას გახდა. ეს ეროვნული საბჭო პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა. 15 თებერვლიდან თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი (თავ-რე ევგენი გეგეჭკორი). კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებს სურდათ წინ აღდგომოდნენ ამიერკავკასიაში საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას. ამან გამოიწვია საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში საკრედიტო ბილეთების დეფიციტი. რუსეთის სახელმწიფო ბანკმა თბილისში შეწყვიტა ფინანსური ოპერაციების განხორციელება. ფულის ნიშნების დეფიციტს

უკიდურესი ფინანსური კრიზისი მოჰყვა და ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვითარების გამოსწორების მიზნით, ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოშვებული იქნა საკუთარი ქალაქის ფული-ბონების სახით. მიმოქცევაში გამოვიდა 1, 3, 5, 10, 50 და 100 მანეთიანი ბონები. მოგვიანებით მათ 250 მანეთიანი კუპონებიც შეემატა. ეს იყო დროებითი ფულადი ნიშნები, რომლებიც თბილისში იბეჭდებოდა და 1918 წლის თებერვლიდან 1919 წლის ივლისამდე მიმოქცეოდა. ამიერკავკასიის ბონს გარდამავალი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული ვალუტის შემოღებამდე. (ამ დროისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიის ბონების პარალელურად მიმოქცეოდა რუსეთის იმპერიის დროინდელი სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები, რუსეთის დროებითი მთავრობის ფულის ნიშნები და ოსმალური ლირა). ამიერკავკასიის ფინანსური ერთიანობის შენარჩუნებას ერთგვარი სარგებლობა მოჰქონდა, მაგრამ ის აშკარად ზღუდავდა ფინანსურ სფეროში სუვერენული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას და, ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. ამავე დროს, რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შეიქმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო-ამიერკავკასიის სეიმი. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს -ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, რომელმაც იარსება იმავე წლის 26 მაისამდე. 1918 წლის 26 მაისს გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელმაც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დღესვე გაიხსნა ეროვნული საბჭოს სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. დამოუკიდებლობის აქტში (დეკლარაციაში) ნათქვამი იყო: „1917 წლის რევოლუცია ისე განვითარდა, რომ სამხრეთის ფრონტი დაიშალა, რუსეთის არმიამ დატოვა ამიერკავკასია. პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მაგრამ შინაპოლიტიკური კრიზისისა და გარეშე სამხედრო პოლიტიკურ ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა კავშირი (ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა) დაირღვა და დაიშალა. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას. მისი მეშვეობით გარეშე ძალის მიერ დაპყრობის საფრთხე თავიდან აიცილოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი შექმნას“. (2, 76). ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. 1918 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება. (3, 385). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ დაამტკიცეს სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. ერთ-ერთი სამინისტროს-ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტზე დაინიშნა გამოცდილი ეკონომისტი კონსტანტინე კანდელაკი. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებელი ფინანსური სისტემის შექმნის საქმეში. 1918 წლის ივნისში დაფუძნდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელსაც მომავალი ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარე უნდა უზრუნველყო. ფონდის შევსების წყარო მოსახლეობის შეწირულება იყო. (4, 58). ამავე დროს, 1918 წლის მაისიდან 1919 წლის ივლისამდე შენარჩუნებული იყო ამიერკავკასიის ფინანსური ერთიანობა. 1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დამფუძნებელთა კრებამ მიიღო დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის შესახებ. გამოცხადდა ქართული ფულის ნიშნების პროექტების შესარჩევი კონკურსი. სპეციალურმა კომისიამ გამარჯვებულად მხატვარ იოსებ შარლემანის ესკიზები ცნო. იმავე წელს მიმოქცევაში გამოვიდა 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500 მანეთის ღირებულების ბონის კუპონები. 1919 წლის მეორე ნახევარში მას შეემატა 50 კაპ. ხოლო 1920 და 1921 წლებში 5000 მანეთიანი ბონები. აღსანიშნავია, რომ 5000 მანეთიანი ბონების

პროექტი ეკუთვნით მხატვრებს დიმიტრი შევარდნაძეს და ჰენრიკ პრინევსკის. ( 4, 59).

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდში დაცულია ქართული ბონის ყველა კუპიური. ბონები საკმაოდ მაღალ დონეზეა გაფორმებული და გამოირჩევა ეროვნული ხასიათით. თითოეული მათგანი მაღალმხატვრული შესრულების ხარისხით და გაფორმებით ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ბონებზე მოთავსებულია სამენოვანი წარწერა-ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ასევე მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ფაქსიმილები ქართულ ენაზე. გამონაკლისს წარმოადგენს 50 კაპიკიანი ბონი, სადაც მხოლოდ ქართული წარწერაა: „საქართველოს რესპუბლიკა.“ წარწერის გვერდით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი და წარწერაა: – „50 კაპიკი“. „მიღება სავალდებულოა როგორც ხურდა ფულის“. ზურგზე საქართველოს გერბი და ბონის ნომინალური ღირებულების აღმნიშვნელი ციფრი – „50 კაპ.“ ბონის ძირითადი ფერია ცისფერი ჩალისფერზე.

1 მანეთიანი ბონის ფერია ყავისფერი ვარდისფერზე. შუბლზე დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი და ქართული წარწერაა: „საქართველოს რესპუბლიკის ბონი. ერთი მანეთი. მიღება სავალდებულოა თანაბრად რუსეთის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთისა. ბონისათვის პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თავისი ქონებით“. ზურგზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი და წარწერა ქართულად: „ერთი მანეთი. ყალბი ბონის დამზადებისათვის ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით“ და წარწერები რუსულ და ფრანგულ ენებზე: „მიღება სავალდებულოა თანაბრად რუსეთის საკრედიტო ბილეთისა.“

3 მანეთიანი ბონის ფერია ყავისფერი ღია მწვანეზე. შუბლზე საქართველოს გერბი და ქართული წარწერაა. ეს წარწერები ყველა იდენტურია. იცვლება მხოლოდ ბონის ნომინალური დასახელება. ზურგზე წარწერები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზეა. 5 მანეთიანი ბონი ყავისფერი და მუქი მწვანეა ნარინჯისფერზე. ზედწერილები იდენტურია ზემოთ დაფიქსირებული წარწერებისა.

10 მანეთიანი ბონის ფერი ყავისფერია ვარდისფერზე. წარწერები ისეთივეა, როგორც სხვა ბონებზე. განსხვავებაა მხოლოდ ნომინალის დასახელებაში.

50 მანეთიანი ბონის ფერია ღია მწვანე ნაცრისფერზე. წარწერები აქაც სხვა ბონების იდენტურია.

100 მანეთიანი ბონის ფერი ნაცრისფერია ღია მწვანეზე. წარწერები აქაც იგივეა.

ბონის კუპიურებიდან ერთ-ერთი გამორჩეულია 500 მანეთიანი ბონი. მის შუბლზე გამოსახულია შუა საუკუნეების არქიტექტურული სტილით აგებული თალი, რომლის ქვეშ ჩუქურთმებით შემკულ სავარძელში ახალგაზრდა ქალი ზის. მის მარჯვენა მხარეს ოვალური ფორმის ფარის, ხოლო მარცხენა მხარეს საბრძოლო შუბის გამოსახულებაა. ბონის ფერი. ღია ყავისფერი და ცისფერია ჩალისფერზე. წარწერები იგივეა.

1000 მანეთიანი ბონის ფერი მუქი ყავისფერი და ნარინჯისფერია ცისფერზე. წარწერები აქაც ისეთივეა, როგორც სხვა ბონებზე.

5000 მანეთიანი ბონის კუპიურის შუბლზე გამოსახულია საქართველოს მთავრობის სასახლე. მის თავზე საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფო დროშა ფრიალებს. წარწერები სხვა ბონების მსგავსია. ბონის ფერი მუქი ლურჯი და ვარდისფერია ღია ნაცრისფერზე.

500 მანეთიან ბონების შუბლზე ფარის გამოსახულებაზე ჩასმულია ასოები „ს. დ. რ.“ – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ზოგიერთი ბონის კუპიურა დაბეჭდილია ჭვირნიშნიან ქალაქზე. ეს ჭვირნიშნიანი ქალაქი საქართველოს მთავრობამ რომში, იტალიის ზარაფხანაში დაამზადებინა (5, 99). 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თბილისის დატოვებისას თან წაიღო ამ ქალაქების მთელი მარაგი. ამიტომ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო ერთხანს ისევ გამოეშვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, იგი არაჭვირნიშნიან ქალაქზე იბეჭდებოდა.

1919 წლის 11 ივლისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე თბილისში განხორციელდა საქართველოს ბონების 5 ემისია. მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების კურსი საკმაოდ არასტაბილური იყო, მაგრამ მის დაცემას არ მიუღია კატასტროფული ხასიათი. საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში გაცილებით უარესი ვითარება სუფევდა.

ქართული ბონები მიმოქცევაში იყო 1921 წლამდე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე, თუმცა გასაბჭოების შემდეგაც განსაზღვრული დროის განმავლობაში გრძელდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების გამოშვება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გამოშვებული ბონები სხვა სახელმწიფო სიმბოლიკასთან ერთად საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სრულფასოვანი, დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი იყო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვაშაყმაძე ნ. ბარამიძე ი. 2007. კარლ კაუცკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ (1918-1921წ.წ.), ბათუმი.
2. საქართველოს ისტორია XX საუკუნე. 2003. რედაქტორი ვ. გურული, თბილისი.
3. სურგულაძე ა. 1975, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია I. თბილისი.
4. ჯავახიშვილი ნ. 2000, ბონებით დაწერილი ისტორია. ჟურნალი „ომეგა“, №11. თბილისი.
5. ჯავახიშვილი ნ. 2000. ბონებით დაწერილი ისტორია. ჟურნალი „ომეგა“, №9. თბილისი.





NELI UGREKHELIDZE

### BONDS OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA PROTECTED IN THE MUSEUM

The Democratic Republic of Georgia was established on 26 May 1918, after dissolution of the Transcaucasian Democratic Federative Republic. The establishment of the Democratic Republic of Georgia was an attempt to create a new type of social-democratic state in a poor and undeveloped country.

Prior to the establishment of the Democratic Republic, after concluding the Treaty of Georgievsk, Georgia has been a part of Russian Empire for the greater part of the century. In 1801, the Russian Emperor Alexander the First issued a manifesto, according to which, the Kartli-Kakheti Kingdom was declared a part of Russian Empire. Since then, Georgia has been a province of Russian Empire for 117 years. During this time, czarist regime has brutally suppressed several revolts, but the independence idea has never died in Georgians. Georgian public figures were able to retain a sense of national identity of Georgians.

After the October revolution of 1917, Transcaucasia actually withdrew from Russia. Since 15 February 1918, in Tbilisi, there has been established the Transcaucasian Commissariat (chairman – Evgeni Gegechkori). Through the establishment of the Commissariat, Georgian, Armenian and Azerbaijani politicians wanted to make a stand and resist to extending the jurisdiction of the government of Soviet Russia in Transcaucasia. This led to a scarcity of the bank-notes. The State Bank of Russia has suspended all financial operations in Tbilisi. A scarcity of bank-notes has resulted in an extreme financial crisis, and the country descended into the gravest crisis. In order to improve this situation, the Transcaucasian Commissariat has issued the own paper money in the form



of bonds. There were introduced the bonds with 1, 3, 5, 10, 50- and 100-ruble denominations, and later on, they were also added with 250-ruble denomination bank-notes. These were temporary monetary instruments printed in Tbilisi and were in circulation from February 1918 to July 1919. The preservation of financial integrity of Transcaucasia had been helpful, but it expressly limited the independence of sovereign Georgia, Armenia and Azerbaijan in the financial sphere, and this could not have worked very long. On 26 May 1918, the last session of the Transcaucasian Seim was held, which declared dissolution of the Transcaucasian Democratic Federative Republic. On the same day, the National Council Meeting was opened under the chairmanship of Noe Zhordania. Noe Zhordania read out the Act of Independence of Georgia. After the declaration of the Democratic Republic of Georgia, there were approved the number of ministries and the personal composition of the Government. In one of the key ministries, as Minister of Finances, Trade and Industry, there was appointed the experienced economist Konstantine Kandelaki. He has played a great role in the establishment of the independent financial system of Georgia. In June 1918, there was established the “Georgian Money Fund”, which was supposed to ensure the stability of future national currency. On 11 July 1919, the constituent assembly of Georgia adopted the decree on Issuing the Bonds of the Republic of Georgia. In the same year, there were introduced 1, 3, 5, 10, 50, 100 and 500 ruble denomination bank-notes. In the second half of 1919, they were added with 50 copeck coin, and in the years of 1920 and 1921 – 500 ruble denomination bonds. There is placed on the bonds the inscription made in Georgian, Russian and French, as well as Georgian facsimiles of Noe Zhordania, the President of the Government and Konstantine Kandelaki, Minister of Finances, Trade and Industry. The bonds are made at a quite high level, and they are distinguished by national character. On each bank-note, we see the national emblem of the Democratic Republic of Georgia, in which there are placed the letters G, D, R – “Georgian Democratic Republic”.

Among the bonds of the Democratic Republic of Georgia, there are distinguished 500 and 5000 ruble denomination bank-notes. On aversion of the 500 ruble denomination bank-note, there is the image of the arc made in medieval architectural style, under which, there is the image of young lady sitting in an armchair adorned with ornamentation. On her right, there is the oval shield, but on her left – the image of military spear. On aversion of the 5000 ruble denomination bank-note, there is image of the Government House, on the roof of which, and the national flag flies on its roof.

Georgian bonds were in circulation before 1921, before the Russian occupation of Georgia.

## ლევან ტყეშელაშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

## დავით აღმაშენებლის გარდაცვალება

1125 წლის 24 იანვარს 53 წლის ასაკში აღესრულა დავით მეოთხე აღმაშენებელი. მეფე გელათის მონასტრის სამხრეთ კარიბჭეში დაკრძალეს, წმინდანად შერაცხვის შემდეგ დავითი მთავარი ტაძრის საკურთხეველში გადაუსვენებიათ. დავითის მემკვიდრე ვრცლად არ საუბრობს მეფის გარდაცვალების მიზეზზე, თუმცა გარკვეულწილად მაინც მიგვანიშნებს, რომ ცხოვრების განმავლობაში დავითი არაერთხელ დაშავდა: „რამეთუ მრავალგზის მრავალთა მიზეზთა და განსაცდელთა სიკვდილისათა შთავარდა იგი“ (ქრ.ცხ.1955: 361). განსაცდელებს შორის მემკვიდრე მხოლოდ რამდენიმეზე საუბრობს: – „მცირედი მივსცეთ თხრობასა“, იგი პირველად ასახელებს მუხრანში ნადირობის დროს მომხდარ შემთხვევას, როდესაც მეფეს ცხენი წაქცევია და ძლიერ დაშავებულია – „სამ დღე ყოვლად უსულოდ მდებარე იყო უძრავად“. ე.ი. სამი დღის განმავლობაში მეფე უგონოდ ყოფილა და მხოლოდ სისხლის ამონთხვევის შემდეგ მოსულა გონს. „ქართლის ცხოვრების“ სომხური ვარიანტის მიხედვით, მეფე „ერთხელ ირმებზე ნადირობის დროს გადმოვარდა ცხენიდან [და] სამი დღე დავარდნილი იდგა უძრავად როგორც მკვდარი, ხოლო შემდეგ საიდუმლოების ძალით წამოდგა“ (ქრ.ცხ.1953:256). სავარაუდოა, რომ აღნიშნული დაზიანების დროს დავით მეფემ მუცლის ღრუში რაღაც დაზიანება მიიღო, ამასთანავე წაქცევის დროს მან შესაძლოა თავიც დაარტყა, რის გამოც გონება დაკარგა. მეორე შემთხვევაში მემკვიდრე გადმოგვცემს, თუ როგორ ესროლეს „კარსა კარვისა თვისისა“ ისარი, რომელიც მეფეს ყელზე დაკიდებულ მთავარანგელოზის ხატს მოხვედრია. ამ შემთხვევას იგი სასწაულს უკავშირებს – „ქალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით“. რამდენჯერმე ყივჩაღებს განუზრახავთ ღალატი და მეფეს თავს დასხმიან, ხმლით შუბითა და მშვილდ-ისრით, თუმცა „არაოდეს მიუშვა ღმერთმან კვერთხი ცოდვილთა მართალსა ზედა“ (იქვე:362).

დავით მეფე ზამთარში 24 იანვარს შაბათ დღეს გარდაცვლილა, ორმოცდაცამეტი წლის ასაკში.

უკანასკნელ პერიოდში დავით აღმაშენებლის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა რ. ჩაგუნავამ. მისი აზრით დაზუსტებას საჭიროებს ის გარემოება, რომ აქამდე კ. კეკელიძის მონაცემზე დაყრდნობით ახალი წელიწადის დასაწყისად 1 მარტი იყო მიღებული. ბოლო დროის გამოკვლევების თანახმად, ქრონიკონური წლის დასაწყისი 1 მარტის ნაცვლად 1 იანვარი იქნა მიჩნეული. ეს კარგად ჩანს ტექსტის საანალიზო მონაკვეთიდან, სადაც ყოველწლიური ამბების გადმოცემა უპირატესად ზამთრით, ე.ი. იანვრით იწყება (ჩაგუნავა. 2007:302). წლის საწყის თვედ იანვარზე მიუთითებს აგრეთვე დავითის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ქრონიკონური დათარიღებაც, რომლის თანახმადაც ეს მომხდარა 1125 წლის (780+345) 24 იანვარს, შაბათ დღეს. ქრონოლოგიურ-მათემატიკურმა გამოთვლებმა გვიჩვენეს, რომ დასახელებული კალენდარული და კვირის დღეების თანახვდენას მართლაც აქვს ადგილი, მხოლოდ იანვრის სტილის ქრონიკონური წელიწადი (მარტის შემთხვევაში იმავე ანგარიშით 1125 წელს 24 იანვარი კვირა დღე თანხვდება. 1125 წლის ამბების თხრობა 24 იანვარზე ნყდება, ცხადია, რომ სათვალავში ის ვერ მოხვდება (იქვე: 302). ვფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან გამოდის, რომ მეფის გარდაცვალება 1125 წელს არ მომხდარა.

დავითის მემკვიდრე თითქოს გვაძლევს საფუძველს, რომ ვივარაუდოთ მეფის გარდაცვალება ქუთაისში, ან გელათში მოხდა, როდესაც იგი აღნიშნავს: „რამეთუ ჟამსა ზამთრისასა, მშვიდობასა და დაწყნარებასა ყოვლისა სამეფოისა არა გარეგან მენაკიდურესა, არამედ საშუალ თვისთა სამე-

ფოთა ადგილთა, თვით მის მიერვე წინათ განჩინებულთა განსასვენებელად და მისაძინელად“ (ქრ. ცხ.1955:361). მეფის გარდაცვალება ზამთარში მომხდარა, დაწყნარებულ პერიოდში, არა სამეფოს საზღვართან ახლოს, არამედ „საშუალ თვისთა სამეფოთა“, მეფის მიერ წინასწარ გათვალისწინებულ განსასვენებელ ადგილზე, ასეთი კი მხოლოდ გელათი ან ქუთაისი იყო. შესაძლოა დავით მეფე შეაწუხა დაავადებამ, რომელიც მას ჰქონდა და თავისივე სურვილით იგი ქუთაისში წავიდა, სადაც 24 იანვარს „ვითარცა ჰრულითა რათამე შეუნიერთა დაიძინა მამათა თვისთა თანა“. ე.ი. დავით მეფე მშვიდად გარდაცვლილა „მამათა თვისთა თანა“. შემდეგ მემატიანე საუბრობს თუ როგორ დაშავდა მეფე რამდენჯერმე და სასწაულებრივად როგორ გადარჩა ცოცხალი. ბოლოს მემატიანე განადიდებს დავით მეფის ღვაწლს და მიგვანიშნებს, რომ მეფემ თავისი განუმეორებელი ღვაწლის გამო უზენაესმა „ალიყვანა მის თანა მეფობად...“, „სადა იგი ან მკვიდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთეებისასა“. როდესაც ისტორიკოსი ამ სიტყვებს წერდა, დავით მეფე უკვე აღსრულებული უნდა ყოფილიყო, რადგან ამბობს იგი: „რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი“ (იქვე:362). დავით აღმაშენებელი გარდაცვალების დროს ყოფილა 53 წლის, სულ უმეფია ოცდათექვსმეტი წელი. მემატიანე არაფერს გვაუწყებს მეფის გარდაცვალებით გამონვეულ მწუხარებაზე ან როგორ დაკრძალეს მეფე, რაც ცოტა უცნაურია.

დავით აღმაშენებელმა წინასწარ გაამზადა თავისი განსასვენებელი გელათის მონასტრის სამხრეთ კარიბჭეში – **„თვით მის მიერვე წინათ განჩინებულთა განსასვენებელად“**, ანუ მისი გარდაცვალებისას კარიბჭე უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო და მეფეს გადაუწყვეტია მონასტრის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას მოეწყო მისი სასაფლაო. ჩვენი აზრით საფლავის ქვის ეპიტაფია თავად მეფეს უნდა შეედგინა, საფლავის ქვა ადგილობრივი წარმოშობისაა და იგი საკმაოდ დიდი ზომისაა.

ქვა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით იყურება და მის მთელ ზედაპირზე 131 ფსალმუნის მე-14 მუხლის სიტყვები იკითხება. ვფიქრობთ, რომ დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ ამოაკეთინა აღნიშნული ფსალმუნის მე-14 მუხლი-„ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე“, 131-ე ფსალმუნი იწყება ასე „მოიხსენე უფალო, დავით და ყოველი სიმშვიდე მისი“. წმიდა ათანასე ალექსანდრიელი 131-ე ფსალმუნის პირველ მუხლს განმარტებისას აღნიშნავს: „ისწავლა რა სულიწმინდისაგან, რომ ადამიანებთან მოვა უფალი და მისცემს ცოდვების შენდობას, ამიტომაც თავადაც სასოებს გადარჩენასა და ისწრაფვის გაიგოს როდის იქნება ეს“ (ფსალმუნთა განმარტება.2010:150). ჩვენი აზრით დავით აღმაშენებლის საფლავის წარწერასა და მეფის სამხრეთ კარიბჭეში დაკრძალვას შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ვინაიდან გელათის აგება მეფემ საღვთო მინიშნებით გადწყვიტა, დავით მეფემ გააზრებულად აირჩია სამხრეთი კარიბჭე სამუდამო განსასვენებლად.

დავით აღმაშენებლის ბიბლიურ მეფე დავითთან კავშირზე არაერთხელაა საუბარი, მათ შორის მეფე თავის მიერ დაწერილ „გალობანი სინანულისანში“ ბრძანებს – „ისრაელისა მეფეთა ვბაძვედ“. მართლაც ყურადღებას იმსახურებს ნ. მახარაძის მოსაზრება: ბიბლიური მეფე დავით წინასწარმეტყველი იერუსალიმის ერთ-ერთ „კარიბჭე ტაძარში დაიკრძალა“, მისმა მემკვიდრე სოლომონმა კი მამის მიერ დაწყებული იერუსალიმის ტაძარი განასრულა. დავით მეფესალმუნის მსგავსად დავით აღმაშენებელიც „თავის მიერ დაწყებულ ტაძრის კარიბჭეში დაიკრძალა და გელათის მონასტერი მისმა მემკვიდრემ დემეტრემ დაასრულა“.

ქვაში ამოკვეთილი წარწერა დღეისათვის საკმაოდ არის დაზიანებული. სწორუპოვარ მეფეს სამარადისო ტკივილი ნაჰყოლია, იგი ვერ მოესწრო მისგან დაწყებული გელათის მონასტრის დასრულებას, რის გამოც თავის ანდერძში ღმრმა მწუხარებას გამოთქვამს: „დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძულე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისაც ტკივილი სამარადისო“.

**ესე არს განსასუენებელი [ჩ(ე) მი] უკ(უნით)ი უკ(უნისამდე);  
ესე მთნავს; აქა დ(ა)ვემკვიდ(რო) მე.**

ისტორიკოსი ვალერი სილოგავა მიიჩნევდა, რომ წარწერიანი ფილა, ტრადიციით დავით აღმაშენებლის საფლავის ქვად არის მიჩნეული. შეიძლება ზეპირ ტრადიციას ანგარიში გაეწიოს და თავისი მონაცემების მიხედვითაც (ფილის მოთავსება მეტად თვალსაჩინო ადგილას, როგორც ფილის მთლიანად, ასევე წარწერის მონუმენტურობა) წარწერიანი ფილა დავით აღმაშენებლის საფლავის ქვად ჩაითვალოს. თუ წარწერას დავით აღმაშენებლის ეპიტაფიად ჩავთვლით, მაშინ ის მისი გარდაცვალების დროით, ე.ი. 1125 წლით უნდადათარიღდეს. ამ თარიღს წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები სავსებით ეთანხმება (სილოგავა.2012: 140).

რით უნდა გარდაცვლილიყო ასეთ ახალგაზრდა ასაკში დავით მეფე? მემატინე კონკრეტულად არ გადმოგვცემს გარდაცვალების მიზეზს, თუმცა გარკვეულწილად მიგვანიშნებს მეფის გარდაცვალების მიზეზზე. დავით მეფე ზამთარში მშვიდ ვითარებაში გარდაცვლილა, „საშუალ თვისთა სამეფოთა ადგილთა“, ეს შეიძლება იყოს ქუთაისი. ჩვენი ვარაუდით დავითი უნდა გარდაცვლილიყო ქუთაისში ან გელათში, რადგან სამეფო ადგილი იყო როგორც ქუთაისში, ასევე გელათშიც, რადგან მემატინე ბრძანებს, „თვით მის მიერვე წინათ განჩინებულთა განსასუენებელად და მისაძინელად“, წინასწარ განჩინებული ადგილი გელათის მონასტერია, ე.ი. დავით მეფემ გარდაცვალებამდე გაამზადა თავისი განსასვენებელი გელათის მონასტერში. მეფე უნდა გარდაცვლილიყო ღამით, ძილში – „ვითარცა ჰრულითა რათამე შუენიერთა დაიძინა მამათა თვისთა თანა“, ე.ი. მეფე მოულოდნელად ავადმყოფობის გარეშე გარდაიცვალა, ძილში გარდაცვალება გულის დაავადებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. შესაძლებელია, რომ მას გულის ინფარქტი მოუვიდა და ისე აღესრულა. ბოლო წლებში შესაძლოა მას გული აწუხებდა, რის გამოც იგი წერს თავის ცნობილ ანდერძს შიომღვიმის მონასტრისადმი. აღნიშნული მოსაზრება უფრო ადრე გამოთქვა ისტორიკოსმა დერმიშა გოგოლაძემ, რომელმაც ივარაუდა, რომ 52 წლის მეფე უფრო ინფარქტით უნდა გარდაცვლილიყო.

შესაძლებელია მეფემ გულზე დაზიანება მუხნარში ცხენის ნაქცევის დროს მიიღო, ან რომელიმე ბრძოლის მიმდინარეობისას. უნდა ითქვას, ისიც, რომ ბაგრატიონ ხელმწიფეთა საკმაო ნაწილი მხცოვან ასაკამდე ვერ აღწევდა, შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: ბაგრატ III (978-1014), მისი ვაჟი გიორგი I (1014-1027), თამარ მეფე (1184-1213) და სხვა.

დავით მეფის ნაწილები რამდენიმე საუკუნე ხელშეუხებელი იყო სამხრეთ კარიბჭეში, ვიდრე იგი წმინდანთა დასში არ შერაცხეს. მეფის გადასვენება მოხდა წმინდანად შერაცხვის შემდეგ, თუმცა მისი თავდაპირველი განსასვენებლის საფლავის ქვა ადგილზე დარჩა. დავით აღმაშენებლის სამხრეთ კარიბჭიდან გადასვენებაზე აღნიშნავდა გიორგი ავალიშვილი, იგი გელათში 1819 წელს იმყოფებოდა. „საქართველოს მემატინენი სწერენ, ვითარმედ ეკლესიასა ამას შინას იყო დასაფლავებული მეფე დავით აღმაშენებელი“ (ავალიშვილი. 1967:19). ამ საკითხზე უფრო დანვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

დავით აღმაშენებლის საფლავზე ძველად ყოფილა ასევე ამოკვეთილი არსენი იყალთოელის ცნობილი ლქსი, თუმცა ჯერ კიდევ 1840 წელს ლქსი აღარ იკითხებოდა. ა. მურავიოვი წარწერის შესახებ აღნიშნავს, რომ: „აქ იკითხებოდა კიდევ წარწერა ლქსი იამბიკო, მეფის განსადიდებლად დაწერილი, თუმცა ის არ შემორჩენილა, შეუძლებელია ამჟამად მისი გარჩევა (Муравьев.1848:161). აღსანიშნავია, რომ გელათში ძველად ყოფილა დავით მეფის საფლავის თავყვანისცემის ტრადიცია, რასაც რუს ავტორი თავად ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის დავით აღმაშენებლის ნაწილები იმ დროს საფლავში აღარ იყო. (იქვე:160). არსენ იყალთოელის იამბიკო ამოუკითხავს მ.საბინინს XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს: ლოდსა ზედა იყო აღმოჭრილი იამბიკო, ხუცურის

ასობით, რომელიც მრავალთაგან და უდებებთა ნაშლილ არს, არამედ ფრიადის ღონის ძიებითა და ტანჯვითა აღმოვიკითხე ესე: 1). როს ნაჭარმაგევს შვიდთა მეფეთა მასპინძელ ვექმენ . 2). თურქნი, სპარსნი, არაბნი საზღუართაგან სამეფოისა ჩემისაგან ვიოტე. 3) გადავასხე თევზნი მდინარეთაგან ამერისათა, მდინარეთა იმერისათა . 4) ყოველი ესე აღუასრულე გულ ხელ ვიკრიფე აღმსრულებელ (საქართველოს სამოთხე.1882: 512). არსენ იყალთოელის იამბიკო დროთა განმავლობაში გადაშლილა, ვინაიდან სამხრეთ კარიბჭე მთავარი შემოსასვლელი იყო მონასტერში XX საუკუნემდე. იამბიკოს არსებობაზე საუბრობდა დეკანოზი დავით ლამბაშიძეც (ლამბაშიძე.1893:61). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღესდღეობით დაზიანებისაფრთხის ქვეშ არის დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა და მისი წარწერაც, რადგან მასზე მოურიდებლად გადადის მონასტერში მისული ქართველი თუ უცხოელი.

დავით აღმაშენებლის წმინდანად შერაცხვის შემდეგ მისი ნაწილები ამოასვენეს და აკრძალეს ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი ტაძრის ტრაპეზის ქვეშ, აღნიშნულ საკითხზე დანვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. გადაუმონებელი ინფორმაციით XX საუკუნის დასაწყისში დავითის აკლდამა გაიხსნა, თუმცა იგი ცარიელი აღმოჩნდა (სამუშია.2010:56). ისტორიკოსთა ნაწილის მოსაზრებით დავითის საფლავი ექვთიმე თაყაიშვილს გაუხსნია და მალევე დაუხურავს, ამ მოსაზრებას იზიარებდა კ.გრიგოლიაც, რომელიც აღნიშნავდა, რომ: 1919 წელს იმავე მეცნიერებმა გელათში გათხარეს არა მარტო თამარის, არამედ დავით მეფის (აღმაშენებლის) საფლავიც, მაგრამ ვერც იმაში აღმოაჩინეს ადამიანის რამე კვალი (იქვე:70). თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას ისტორიკოსი ჯ. სამუშია არ იზიარებს, მას საეჭვოდ მიაჩნია ექ. თაყაიშვილის მიერ დავით აღმაშენებლის საფლავის გახსნის ფაქტი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენც საეჭვოდ მიგვაჩნია დავით აღმაშენებლის საფლავის გახსნა 1920 წელს, თუკი ექვთიმეს მიერ მართლაც მოხდა სახელოვანი მეფის საფლავის გახსნა, იგი აუცილებლად დააფიქსირებდა საფლავის გახსნას თავის რეგულში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და რომელშიც დეტალურადაა საუბარი ანდრია პირველწოდებულის ეკვდერში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრაზე, თუმცა არაფერია აღნიშნული დავით მეფის საფლავის გახსნაზე. სფლავის გახსნა შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო და ვინმეს აუცილებლად უნდა ჩაენერა, მაგრამ ასეთი შემთხვევა თუკი ნამდვილად მოხდა, ამით დადასტურდება ძველად არსებული ცნობა მეფის საკურთხეველში გადასვენების შესახებ.

დავით მეფის საფლავის<sup>1</sup> ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა 240X135 სმ. და იგი კარიბჭის მთელ სიგანეზეა განლაგებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. საფლავის მარჯვენა მარეს შუა ნაწილში დანყებული აქვს დაშლა და ღრმული აქვს გაკეთებული. საფლავის ქვის აღმოსავლეთი ნაწილი უსწორმასწოროა, ხოლო მისი მარჯვენა კუთხე შეჭრილია და ზემოდან ამოჭრილია დაახლოებით 35X 20, ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ იგი საფლავის ქვის დამზადების დროს არ ამოუკვეთიათ, არამედ შემდგომ პერიოდში შესაძლოა მისი გადაადგილებისას ამოკვეთეს და ქვის ზომა შეამცირეს. შესაძლოა ეს რეკონსტრუქცია XVI საუკუნეში ან უფრო ადრე განხორციელდა, როდესაც მოხდა მეფის ამოსვენება. საფლავის ლოდის შუა ნაწილში შეინიშნება მთელ სიგრძეზე ბზარი, რომელიც შესაძლოა სიძველის გამო ან სხვა მიზეზის გამო გაჩნდა, შესაძლოა საფლავის ქვემოთ სიცარიელეა. ამის გამო საფლავი შუა ნაწილში ჩაზნექილია. საფლავის ქვასა და მის მარჯვნივ არსებულ დიდი ზომის ქვას შორის სიცარიელეა და ჩანს, რომ საფლავის ლოდის სისქე 25 სმ-ზე მეტი უნდა იყოს.

თუმცა ფაქტია, რომ გვიან პერიოდში რაღაც შეცვალეს, გადაკეთების კვალი ეტყობა საფლავის სამხრეთით არსებულ დიდი ზომის ქვას, რომელიც ამოკვეთილია. ამოკვეთილია ასევე მის გასწვრივ

<sup>1</sup> დავით აღმაშენებლის საფლავი მონასტრის სამხრეთით ზღურბლის კარის ქვეშ არის. ზღურბლის კარი საიქიოსთან არის გაიგივებული. ყოველი შემსველელი სურდა მას თუ არა, ფეხს ადგამდა გარდაცვლილის საფლავს, ამ გზით ხდებოდა გარდაცვლილის სულის აღორძინება შენიშნავდა აწ განსვენებული ისტორიკოსი გ.ტყეშელაშვილი. გელათში დავით აღმაშენებლის საფლავის წინ, კარიბჭესთან მიყვანილი იყო წყაროს წყალი, სადაც მომლოცველებს შეეძლოთ დაეხანათ ფეხები და მხოლოდ ამის შემდეგ, განბანის შემდეგ გადალახავდნენ ზღურბლს (გ.ტყეშელაშვილი.გელათის საგანძური.ქუთ.2006: 15). გელათში ეს ტრადიციას XIX საუკუნემდე ყოფილა შენარჩუნებული.

მდებარე ქვაც, რომელიც დასავლეთის კედელს ებჯინება. მათ შორის არსებული მცირე ზომის ქვები კი უფრო გვიანდელი უნდა იყოს. ჩვენი ვარაუდით ეს გადაკეთება დავით მეფის საფლავზე სამწირველოს გაკეთების გამო მოხდა.

დავით აღმაშენებლის საფლავზე, სამხრეთ კარიბჭის ქვეშ გვიანშიუასაუკუნეებიდან მოქმედებდა სამწირველო, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ კედლის მხატვრობის კვალი და ზოგიერთი წყარო გვანვდის გარკვეულ ცნობებს. სამლოცველო-სამწირველოს შესახებ ცნობები შემოგვინახა გიორგი ავალიშვილმა, რომელიც აღწერს მეფის საფლავს და სამლოცველოს: „ამას შინა არს საფლავი დავით აღმაშენებლისა. მარჯვნივ ახლოს კედლისა აღმოსავლეთ-სამხრეთით. სამარხოსა ამას მისსა ზედა მდებარე ქვისა წილ ჩუგუნი, შთამოსხმული ქართველისა საეკლესიო-თა დია მსხვილითა ასოებითა, თუმცა დროთა გამო მრავალთა ადგილთა აღსპობილითა, გარნა ჯერეთცა ადვილ მისახვდომელითა იჩვენების, მით რამეთუ მსახურებს ესე მფარველად გვამსა, ოდესმე მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა და სრულიად საქართველოსა დიდებისა სულ გულისა, გონიერებითა და ძლიერებითა მკლავისა თვისისათა მფარველისა“ (ავალიშვილი. 1967: 20).

მეფის წმინდანად შერაცხვისა და საკურთხეველში გადასვენების შემდეგ, სამხრეთ კარიბჭეში, მეფის საფლავის სამხრეთით, კვლავ აუნევიათ იატაკი საფლავის დონემდე და ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამწირველო აუგიათ. თუკი შემორჩენილი მხატვრობის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამწირველო XVI ან XVII საუკუნეში უნდა აეგოთ. დღემდეა შემორჩენილი სამკვეთლო. დავით აღმაშენებლის საფლავთან სამწირველოს მოწყობა ჩვენი აზრით მეფის წმინდანად შერაცხვას უკავშირდება, ანუ სამწირველო ააგეს მას შემდეგ, რაც მეფე შერაცხეს წმინდანად და მის საფლავზე მსახურება მისადმი გამოვლენილი პატივისგებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ავალიშვილი. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ. 1967.
2. ჯ. სამუშია. თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება. (სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი). თბ. 2010
3. მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე. 1882: 512
4. ვ. სილოგავა. ბაგ რატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები. (XI-XIII სს). თბ. 2003.
5. გ. ტყეშელაშვილი. გელათის საგანძური. ქუთ. 2006.
6. ფსალმუნთა განმარტება სამ ნაწილად, წმიდა ათანასე ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი. ნაწ. III. თბ. 2010.
7. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა. ილია აბულაძემ. თბ. 1953
8. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955
9. დ. ლამბაშიძე. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებლისა. ქუთ. 1893.
10. რ. ჩაგუნავა. დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო ოთხწლეულის ქრონოლოგიისათვის. კრ. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. XXII. თბ. 2007.
11. А. Муравьев. Грузия и Армения. Ч. III. Спб. 1848.

LEVAN TKESHELASHVILI

## DAVID THE BUILDER DIED

**David the Builder (Agmashenebeli) died at the age of 53, on Saturday,  
on the 24<sup>th</sup> of January, 1125.**

Size of the king's gravestone is rather big 240X135 cm. It is located along the gate from West towards East. The decaying gravestone has a hole in the central part of the right corner. Western part of the stone is uneven, about 35X20cm is cut out of the right corner. The initial size of gravestone should have been decreased due to its replacement. After canonization saint parts were removed from the grave and were put under alter of Church of Virgin the Blessed.

After canonization of the king and moving his saint parts to the alter, the church of Andrew the First-called was built in the southern part of the gravestone. Considering remaining parts of frescos the date of constructing the church of Andrew the First-called could have been either XVI or XVII. Some remnants of alter are still kept there. The fact that small church in honor to Andrew the First-Called was built is thought to be related to the canonization of the king. Thus, it was constructed after the canonization in order to pay tribute to the king.

ოთარ გოგოლიშვილი

პროფესორი

სსიპ აჭარის მუზეუმი - ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი

## ბათუმის ოლქი უმჯიმეს 1920-1921 წლებში

1920 წლის 30 აპრილს საქართველოს ბოლშევიკების იატაკქვეშეთის ცენტრი მოსკოვს ატყობინებდა:

„ბათუმიდან ინგლისელები მიდიან და ქალაქს გადასცემენ მენშევიკებს, მაგრამ ბათუმის პროლეტარიატი მენშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას არ დაუშვებს. ამისათვის მას საკმარისი საშუალება გააჩნია. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. მაგრამ თუ თავის დროზე ჩვენი ნაწილები /ლაპარაკია რუსეთის წითელი არმიის ნაწილებზე/ არ დაიკავენ სოხუმსა და ფოთს, ბათუმში საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ გაძლებს. ამიტომ სასწრაფოდ აცნობეს ამის შესახებ შავიზღვისპირეთის წითელი ჯგუფის სარდლობას.“

ბათუმის პროლეტარიატზე ბოლშევიკებზე ნაკლები გავლენა მენშევიკებს არ ჰქონდათ, რომლებიც რიცხოვნობადაც ბავრჯერ აღემატებოდნენ ბოლშევიკებს /5000, 500/ სწორედ აქედან გამომდინარე, ბოლშევიკებისათვის ხელისუფლებაში მოსვლის იმედს არა ბათუმის პროლეტარიატი, არამედ რუსეთის წითელი არმია წარმოადგენდა, რომელიც იმ დროისთვის რუსეთის შიგნით კონტრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული და საქართველოსთან ომი არ აწყდებოდა. ამიტომ წითელი არმიის დახმარების გარეშე ბოლშევიკებმა და მათმა მომხრეებმა ვერაფრით ვერ შეუძლეს ხელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილებს 1920 წლის 7 ივლისს ბათუმში შესულიყვნენ. ამ საკითხს მარტო ბათუმის პროლეტარიატი არ წყვეტდა. იმ დროისთვის ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ აჭარაში ზენიტს მიაღწია, რომელსაც სათავეში ედგნენ „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი“ და ბათუმის ოლქის მეჯლისი /ლარდამენტი/ მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც საქართველოს ძალის ნაწილებს ბათუმის გარეუბანში, ბარცხანაში დახვდა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა. [1]

საქართველოს ჯარის ნაწილებს ბარცხანაში მასთან ერთად ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდალი ბათუმის ოლქში, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი, 40 წლის ირლანდიელი კუკოლისი დახვდა, რომელმაც ერთი კვირით ადრე 1 ივლისს ოფიციალურად გამოაცხადა მთელი ბათუმის ოლქის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე გადაცემის შესახებ.

ბოლშევიკები წინ აღუდგნენ ამ გადაწყვეტილებას, ოლქში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის შემოსვლას, სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანებას. მათ მოუწოდეს ბათუმის, მუშებს გლეხობას წინააღმდეგობა გაეწიათ და არ შემოეშვათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილები ბათუმის ოლქში, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, დახმარება წითელი არმიისგან ვერ მიიღეს.

ბოლშევიკებისა და მენშევიკების მომხრეთა შორის შეტაკებებს ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. „ჩვენ ვერ ავიცილეთ სისხლისღვრა აჭარაში“, განაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარემ ნოე ჯორდანიამ. საქართველოს ხელისუფლება გავრცელდა მთლიანად ბათუმის ოლქში, რომელშიც აჭარის გარდა ართვინი, არტანუჯი და შავშეთი შედიოდა. ბათუმში, 1920 წლის 7 ივლისს 18 საათზე, ოკუპაციურ ხელისუფალთა სამხედრო შტაბთან ჩამოშვებული იქნა ინგლისის და აღმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა. 8 ივლისს საოკუპაციო ჯარებმა დატოვეს აჭარა, სადაც გამოცხადდა სამხედრო წესები, რაც არ იყო



აუცილებელი. ძალაუფლება უნდა გადაცემულიყო მეჯლისისათვის, ბათუმის ოლქში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ არა ერთხელ დაპირებული ავტონომიის გამოცხადებით. ამით ბოლშევიკებსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არაკეთილმოსურნეებს მიეცათ საშუალება საერთაშორისო არენაზე გაეტანათ ბათუმის საკითხი, კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა ბათუმის ოლქისა და მთლიანად სამუსლიმანო საქართველოს მიმართ. საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნებათა სახალხო კომისარიატი შემდეგ ინფორმაციას ავრცელებს: „არსად ისე ნათლად არ გამომჟღავნებულა წვრილბურჟუაზიური გამყიდველური არსი მენშევიკური მორალისა, როგორც ბათუმში“. თავის მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მენშევიკური და სხვა ეროვნული პარტიების ხელმძღვანელები, პროპაგანდისტები თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს სრულყოფილი, დემოკრატიული წესების ქვეყანაა, რომ ის განზე განუდგა ბოლშევიკურ ექსპერიმენტებს, იმაზე ფიქრი და რომ სოციალისტური რევოლუციის დასაწყის აზერბაიჯანი მოგვცემს. სულ ცოტა, გულუბრყვილო წინდაუხედავობააო.

მენშევიკური პარტიის ლიდერები არწმუნებდნენ მუშებს, რომ სოციალისტური რევოლუცია არ იქნება ეროვნული, ერთდროულად მოხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყნებშიო – ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში და გერმანიაშიო. ნოე ჟორდანიამ ამტკიცებდა, რომ არც საქართველოდან, არც რუსეთიდან სოციალისტური რევოლუციის დაწყება არ შეიძლებოდა. ჟორდანიამ და მისმა გუნდმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ბოლშევიკებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების გავრცელებამდე აჭარაში 400 კომუნისტი და რამდენიმე ათასი მათი თანამგრძობები იყო, სამი თვის განმავლობაში კი – 1920 წლის 8 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე 200 კომუნისტი დარჩა. ყველა ტიპოგრაფია მხოლოდ ანტიბოლშევიკური ლიტერატურის ბეჭდვით იყო დაკავებული. [2]

ხელისუფლების სათავეში მოსული მენშევიკური და სხვა ეროვნული პარტიები უკვე არ ცნობდნენ არც ტერიტორიულ, არც საოლქო, არც მათ მიერ ადრე აღიარებულ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის იდეას. ერთის მხრივ ლაპარაკობდნენ რალაც ეროვნულ კავშირზე, მეორეს მხრივ, ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საკმარისად იყო დაცული და უზრუნველყოფილი დემოკრატიული პრინციპებით. ადრე კი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის 15 თებერვალს ამიერკავკასიის ზეიმის /პარლამენტის/ სხდომაზე ნოე ჟორდანიამ თავის სიტყვებში აღნიშნა, რომ „პატარა ერიც გამსჭვალულია დიდმპყრობელური ერის იდეებით“.

ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მან, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ, ბათუმის ოლქის ინგლისელთა ოკუპაციის დასაწყისში, 1918 წლის 25 დეკემბერს, სპეციალური წერილით მიმართა ოლქის მცხოვრებლებს – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სრულიად სახალხოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ ის სამუსლიმანო საქართველოს მიანიჭებს ავტონომიას. აჭარის წარმომადგენლები თვითონ გამოსცემენ კანონებს რითაც ისინი თავიანთი გემოვნებისა და სინდისის მიხედვით მოაწყობენ თავიანთ ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავიანთ სარწმუნოებას, მოაგვარებენ ადგილობრივ საქმეებს და ამით დაამყარებენ ბედნიერებას თავის მშობლიურ მხარეში. ძმებო, მუსლიმანებო, თქვენი ძმები მოდიან თქვენთან არა თქვენი წვალებისთვის, არამედ თავისუფლების დროშითა და ძმური სალამით“. მაგრამ ბათუმის ოლქზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელებისთანავე ზემოთ აღნიშნული დაპირებები დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაპირებებად დარჩა, რითაც არ შეიძლებოდა ჩრდილი არ მიყენებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკას, მისი როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობების მოგვარების საქმეს. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე წერდა: „პირველი, რასაც თქვენ აქ /აჭარაში/

გაიგონებთ – ეს ავტონომიაა. დიდი თუ პატარა, გლეხი თუ ბეგი, სწავლული თუ უსწავლელი — ხელათვე გახლის ავტონომიის შესახებ. ამით დაინყებს და ამით დაამთავრებს ლაპარაკს თქვენზე. ავტონომია. სად არის თქვენი ავტონომია და თქვენი დაპირება?”

ნაცვლად იმისა, რომ სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიეღოთ მმართველი პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო მეტად ამწვავებდნენ ისედაც დაძაბულ ვითარებას აჭარაში. ისინი ავრცელებდნენ სხვადასხვა გამომწვევ განცხადებებს. ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია: „ძალიან საშიშია ამ კუთხეში რაიმე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა. ის, ვინც დღეს გავა ხალხში და თავისი შავი ენით პროვოკაციას გასწევს ავტონომიის ხსენებით, ხალხის მტერი, პირფერი და ორპირა იუდაა“.

ასეთი განცხადებები ბათუმის ოლქის მაცხოვრებელთა უმრავლესობის ინტერესებსა და მისწრაფებებს ეწინააღმდეგებოდა, სამუსლიმანო საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, აჭარელთა ეროვნული თვითშეგნების პროცესს შლიდა, რომელსაც მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი“ და ბათუმის ოლქის მეჯლისი ედგა სათავეში.

მოუფიქრებელი ნაბიჯი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, საბჭოთა რუსეთის მიმართ მოუქნელი, არასწორი მოქმედებები, ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიები, რაც ეწინააღმდეგებოდა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას იმ სპეციალურ პუნქტს, სადაც ჩანერილი იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბოლშევიკებს იატაკქვეშეთიდან გამოსვლისა და ლეგალური მუშაობის პირობებს შეუქმნიდა, მიმართული იყო თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რასაც დამოუკიდებელი საქართველოს მტრები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ. თბილისიდან, ბაქოდან, ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან მოსკოვში ბოლშევიკები აგზავნიდნენ წერილებს, დეპეშებს, სადაც დაშვებულ შეცდომებს აზვიადებდნენ, მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების შეყვანას საქართველოში, კანონიერი ხელისუფლების დამხობას და საქართველოს გასაბჭოებას. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი მამია ორახელაშვილი 1920 წლის 25 ოქტომბერს მოსკოვს აცნობდა, რომ კომუნისტებს ძვირად დაუჯდათ „ლეგალიზაცია“. კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე 1920 წლის ივლისში, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საქართველოში ციხეები სავსეა კომუნისტებით. კონგრესზე ითქვა აგრეთვე, რომ იქ დევნას განიცდიან ეროვნული უმცირესობების, სხვა კონფერენციის წარმომადგენლები, რომ მათი წარმომადგენლები არ არიან შეყვანილი დამფუძნებელ კრებაში, სისხლისმღვრელი შეტაკებები ეროვნულ უცირესობებთან კი, მათ შორის რამოდენიმეჯერ აჭარლებთან, ჩვეულებრივ მოვლენად იქცაო. 1920 წლის 10 აგვისტოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე პეტრე გელეიშვილი წერდა – „მთელ აჭარაში თქვენი ორგანიზაციის ათ კაცსაც ვერ ნახავო“. 1921 წლის 9 იანვარს მამია ორახელაშვილი რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობებდა: „დაპატიმრებებმა ბათუმში განსაკუთრებით საძაგელი ხასიათი მიიღო“. ვრცელდებოდა ინფორმაცია მშრომელი მასების უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირისა და უმუშევართა რიცხვის ზრდის, მათი ბათუმიდან გასახლების შესახებ. მოსკოვში გაგზავნილ წერილებსა და დეპეშებში წერდნენ, რომ მუშათა მასების უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზეაო, რომ ბათუმის პროლეტარიატი მზადაა ხელში აიღოს ძალაუფლება“. 1920 წლის 26 ოქტომბერს სტალინი ჩრდილოეთ კავკასიიდან დეპეშით უგზავნის ლენინს: „საქართველო ემზადება ბათუმი ანტანტას გადასაცეს და შეიძლება, უკან დახვევისათვის გზა გაუხსნას ვრანგელს, აგრეთვე ბაქოს მიმართულებით შეტევისათვის“. საპასუხო დეპეშაში სამი დღის შემდეგ ლენინი ეთანხმება და, თავის მხრივ, იმეორებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას – „ვთვლი უდაოდ, რომ საქართველო ბათუმს ანტანტას მისცემს, ალბათ საიდუმლოდ, და რომ ანტანტა ნავა ბაქოზე“. ლენინი არ გამორიცხავდა აგრეთვე თურქეთის მიერ ბათუმის ოლქის დაპყრობას. მან ამასთან დაკავშირებით

ბოლშევიკების მოსკოვს ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წლის 9 ოქტომბერს თქვა, რომ თურქებმა დაიწყეს სომხეთზე შეტევა ბათუმის მიტაცების მიზნით. [3]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა რუსეთის მიერ მკაცრად იქნა გაფრთხილებული, რომ ის არ წავა ბათუმის მიცემის საბედისწერო გზაზე და არ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას მოსალოდნელ შეცდომებზე. ეს იყო სუვენერული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა. უფრო მეტიც, ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთს, ბათუმი ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ გატანისათვის სჭირდებოდა.

რუსეთის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ საქართველოს ძალით გასაბჭოება, ჯერ ერთი ძნელი იქნებოდა, სამოქალაქო, ინტერვენციის წინააღმდეგ ომი დამთავრებული არ იყო. მეორეც, ეს საერთაშორისო არენაზე გამოიწვევდა დიდ ხმაურს. საქართველოს მხარს უჭერდნენ ევროპის სახელმწიფოები, მეორე ინტერნაციონალის პარტიები, მათი დიდი ავტორიტეტის მქონე ლიდერები: კარლო კაუცკი, რენოდელი და სხვები. ამიტომ ლენინი ითხოვდა საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარებას. მის გასაბჭოებას მშვიდობიანი გზით და წინააღმდეგი იყო ძალის გამოყენების, საქართველოში ჯარის შეყვანის. 1921 წლის 25 თებერვალს, სადაც ლენინმა მიიღო ორჯონიკიძის დეპეშა – „თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს“. კითხვაზე, „უნდა დაიბეჭდოს?“ უპასუხა „ჯერ-ჯერობით არა“. [4]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს. მარტო ბათუმის მისადგომებთან 4000 რჩეული ჯარისკაცი და ოფიცერი იდგა. მარტის დასაწყისში ამას კიდევ დაემატა მრავალათასიანი არმია და გვარდია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 1921 წლის 23 თებერვალს თურქეთის ნეიტრალიტეტისთვის მის საკუთრებად ცნო თურქეთის ჯარების მიერ დაკავებული არდაგანისა და ართვინის ოლქები, თურქმა ხელიდან არ გაუშვა საქართველოს მიმღე მდგომარეობა, თვალთმაქცურად დაპირდა მას დახმარებას, რათა მთლიანად მიიერთებინა აჭარა, ახალციხე და ახალქალაქი. ასეც მოხდა. 1921 წლის 11 მარტს თურქეთის ჯარები ბათუმში შემოვიდნენ. აღმოსავლეთ თურქეთის ჯარების სარდლობამ რუსეთის მე-11 წითელი არმიის სარდლობას აცნობა, რომ ბათუმის ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს მთავრობამ თურქეთს გადასცაო. 1921 წლის 26 თებერვალს მოსკოვში დაწყებული რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებები საზღვრების შესახებ წიანურდებოდა. თურქეთის დელეგაცია ცრუობდა, როდესაც დაჟინებით აცხადებდა, რომ ბათუმის ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი თითქოს თურქეთის ყოფილიყო. 28 თებერვალს სტალინი ლენინს უგზავნის ბარათის, სადაც ლაპარაკია აჭარის დაცვაზე თურქეთის ჯარის ნაწილებისაგან, რომლებიც ბათუმისკენ მოიწვედნენ. აღმოსავლეთ თურქეთის ჯარების სარდალი ქაიხიმ ყარაბეგირ ფაშა 1921 წლის 9 მარტს ოფიციალურად აცხადებს, რომ ის აგზავნის ჯარის ნაწილებს რათა შემოუერთონ თურქეთს ტერიტორია, რომელიც მას ეკავა 1878 წლამდე, რუსეთ-თურქეთის ბოლო ომამდე. ცხადი გახდა, რომ აჭარა მთლიანად სამუსლიმანო საქართველო, კვლავ უნდა მოეწყვიტათ სამშობლოსაგან. აქედან გამომდინარე, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ქართველ ბოლშევიკებს წინადადება მისცა ჟორდანიასთან და მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან გამოენახათ ბლოკისათვის მისაღები კომპრომისი. კერძოდ, 1921 წლის 2 მარტს ქართველი კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილში ლენინი ურჩევდა მათ გამოეძებნათ „მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ „აჯანყებამდე“ აბსოლიტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი“. მაგრამ ქართველი ბოლშევიკები არ იზიარებენ ამ აზრს. არც ნ. ჟორდანიამ გამოთქვა სურვილი ბოლშევიკებთან ბლოკზე – ერთ სახელმწიფოში ორი მთავრობა არ შეიძლებაო.

ლენინის აღნიშნული წერილი ბოლშევიკების გაზეთ „პრავდა გრუზიაში“ დაიბეჭდა, მაგრამ, ჯერ

ერთი დაგვიანებით, 6 მარტს და მეორეც, წერილიდან ბოლშევიკებმა ამოიღეს ის ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო ჟორდანიასთან და მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან გამოენახათ ბლოკისათვის მისაღები კომპრომისი.

1921 წლის 9 მარტს ლენინმა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს, რომელიც რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებების დროს საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა, მისწერა ბარათი, სადაც აღნიშნულია: „შენუხებული ვართ იმით, რომ თურქები მოლაპარაკებას აჭიანურებენ დროის მოგების მიზნით, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მოინევენ. არ უნდა მივცეთ მათ ასეთი საშვალეა“. ის ჩიჩერინს თხოვდა მასთან მისულიყო სალაპარაკოდ, ხოლო ამ დროს სტალინი „გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას“. შედაგად 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული იქნა ხელშეკრულება, რომელშიც ჩაინერა, რომ თურქეთი უარს არ ამბობს აჭარაზე ქალაქი ბათუმით და ცნობს საზღვარს სოფელი სარფიდან შავშეთის ქედის გავლით. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღინიშნა, რომ თურქეთი თანახმაა საქართველოს დაუთმოს ქალაქი ბათუმი და ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული საზღვრიდან ჩრდილოეთით განლაგებული ტერიტორიის, როგორც ბათუმის ოლქის ნაწილის, სუვერენიტეტი ცნოს. იმავე მუხლში მითითებულია, რომ აღნიშნული ადგილების მოსახლეობა ისარგებლებს ფართო პოლიტიკური ავტონომიით. [5]

მართალია, მოსკოვს ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებით საქართველოს ტერიტორიის გარკვეული, არც თუ ისე პატარა ნაწილი მაინც დარჩა თურქეთის ფარგლებში, მაგრამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თურქეთი პრეტენზიას აცხადებდა მთელ სამუსლიმანო საქართველოზე. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 1920 წლის 7 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია გავრცელდა ბათუმის ოლქზე, რომელშიც, როგორც აღინიშნა, აჭარის გარდა შედიოდა ართვინი, არტანუჯი და შავშეთი, თურქეთმა უსაფუძვლი პრეტენზია განაცხადა მასზე. დრო და დრო ის იმეორებდა ამას. იმავე წლის დეკემბერში თურქეთის ელჩმა საქართველოში ქიაზიმ ბეიმ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას განუცხადა, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულების საფუძველზე ბათუმის ოლქი თურქეთს მიეკუთვნაო.

1921 წლის იანვარში კი, თურქეთის მთავრობა ოფიციალურ განცხადებას აკეთებს მეჯლისში თურქეთისათვის აჭარის სასწრაფოდ დაბრუნების შესახებ. სწორედ, ბათუმის საკითხი ანუხებდა საბჭოთა რუსეთს როდესაც მისი ხელმძღვანელი წინადადებას იძლეოდა ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან ბლოკისათვის გამოენახათ მისაღები კომპრომისი. ადრე ჩუმი მითქმა-მოთქმით, ხოლო მ. გორბაჩოვის მიერ XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში კაპიტალიზმზე გადასვლის კურსის შუქზე გატარდა აზრი, თითქოს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელი ზემოთ აღნიშნულ რჩევას რომ აძლევდა ქართველ კომუნისტებს, მხედველობაში ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჟორდანიას თავმჯდომარეობით, თითქოს ამ მთავრობასთან კომპრომისი და შეთანხმება სურდა. რა შესაძლებლობა გავუშვით ხელიდანო, აცხადებს ზოგიერთი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. თითქოს ლენინს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნება სურდა, ხელი კი შეუშალეს სტალინმა და ორჯონიკიძემ. ლენინი კი ჯერ კიდევ ათი დღით ადრე თბილისში მე-11 წითელი არმიის შესვლამდე, 1921 წლის 15 თებერვალს, მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს უგზავნის პოლიტიბიუროს მიერ იმავე დღეს დამტკიცებულ დეპეშას, სადაც ნათქვამია, რომ „რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან ველით ენერგიულ და ჩქარ მოქმედებას, რომელიც არ შეჩერდება თბილისის აღებით, თუე ს სამხედრო მოსაზრებებით აუცილებელია ნეიტრალური ზონის /ლორეს ოლქი / ნამდვილი თავდაცვისათვის ახალი თავდასხმისაგანო“ [6]

როგორც ვხედავთ ლენინს 1921 წლის 25 თებერვლამდე, ე.ი. თბილისში რუსეთის წითელი არმიის ნაწილების შესვლამდე კი არ უთქვამს ჟორდანიასთან ბლოკისათვის გამოენახათ მისაღები

კომპრომისი, არამედ თბილისში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ ძალაუფლება საქართველოში უკვე ბოლშევიკების რევოლუციური კომიტეტის ხელში იყო და არავინ არ ფიქრობდა, და რა თქმა უნდა არც ლენინი, რომ ძალაუფლება უკანვე დაებრუნებინა. პირიქით, ლენინი თავის წერილში ხაზს უსვამდა „მისაღებ კომპრომისს“ და არა ხელისუფლების დათმობას. როგორც აღინიშნა, ბოლშევიკების მიერ მთლიანად საქართველოში ხელისუფლების აღებისათვის ის მე-11 წითელი არმიის სამხედრო საბჭოს პოლიტიბიუროს დადგენილებას უგზავნის არ შეჩერებულიყვნენ თბილისის აღებით. რაც შეეხება ლენინის აზრს, რომ ჟორდანიას და ზოგიერთი მისი მსგავსი მენშევიკი ჯერ კიდევ ლორეში სპეციალურად მოწყობილ „აჯანყებამდე“ მტრულად არ იყვნენ განწყობილნი, გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა ნყობილების დამყარებისადმი, მას ალბათ მხედველობაში ჰქონდა ნოე ჟორდანიას და ზოგიერთი სხვა მენშევიკის ლოიალური განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, თუ ხელისუფლებას ბოლშევიკები დაეპატრონებოდნენ და დიქტატურას არ დაამყარებდნენ რაც საქართველოში რუსეთის ჯარის, მოსალოდნელი შემოსვლისა და სისხლისღვრის თავიდან აცილებისათვის იყო გამოწვეული. ბოლშევიკები რომ ხელისუფლების აღებაზე უარს არ იტყოდნენ, ყველამ კარგად იცოდა. მენშევიკები, მათ შორის მათი ლიდერი ნოე ჟორდანიას შორს იყვნენ ხელისუფლებისაგან, ისინი არც კოალიციურ ხელისუფლებაზე წავიდოდნენ.

1921 წლის 27 თებერვალს ქუთაისში, ხოლო 15 მარტს ბათუმში მოწვეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება ღებულობს რეზოლუციებს თავდაცვის ორგანიზაციისა და ყველა ძალების დარაზმების შესახებ ბოლშევიკებისა და მათი დამხმარე რუსეთის მე-11 წითელი არმიის ჯარის ნაწილების განდევნისათვის საქართველოს ტერიტორიიდან. 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში თურქეთის ჯარების ხელში იყო ბათუმის პორტები: კახაბერი, სტეფანოვკა, ბარცხანა, ხემიდიე, ანარია, სამება და სხვა. 1921 წლის 17-18 მარტს, ღამით თურქეთის ჯარის ნაწილები იჭერენ ბათუმის მთავარ ფოსტა-ტელეგრაფს, მილიციის შენობას და სხვა სტრატეგიულ ობიექტებს. 17 მარტსვე ქუთაისიდან ბათუმში მარტის დასაწყისში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოსულმა თურქეთის ელჩმა, გენერალმა ქიაზიმ ბეიმ გამოსცა ბრძანება აჭარის თურქეთზე შეერთების შესახებ, ხოლო თავისი თავი გამოაცხადა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად.

12 მარტს საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ღებულობს ბათუმში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას სამხედრო მოლაპარაკების შესახებ, რომელიც 14 მარტს დაიწყო ქუთაისში. ერთდროულად შეწყდა სამხედრო მოქმედებები, მაგრამ მოლაპარაკება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დამფუძნებელი კრება, ემზადებოდნენ საზღვარგარეთ წასასვლელად, მათ 16 დატვირთული გემი ელოდებოდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ისლა ჰქონდა დარწმინდილი, რომ გაეჭიანურებია მოლაპარაკება, რათა მშვიდობიანად წასულიყო საზღვარგარეთ. ის ბოლშევიკებისაგან ითხოვდა 25 მარტამდე არ შემოეყვანათ აჭარაში რუსეთის წითელი არმიის ჯარის ნაწილები. ხოლო როდესაც უკვე გარანტირებული იყო, რომ არაფერი ემუქრებოდათ გემებზე გადასულიყვნენ და საზღვარგარეთ წასულიყვნენ, 16-17 მარტს, ღამით ნოე ჟორდანიას ბრძანებით მასთან შესახვედრად ციხიდან გამოჰყავთ ბოლშევიკების ლიდერები სერგო ქავთარაძე და მალაქია ტოროშელიძე, რომლებსაც განუცხადა ეს, რომ მთავრობის გემზე გადასვლისა და საზღვარგარეთ წასვლისთანავე ხელისუფლება აჭარაში ბოლშევიკების ხელში გადავა და რომ საჯავახოში გაჩერებულ რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს ბათუმიდან ცარიელი ვაგონები გაუგზავნონ, ჩამოიყვანონ და ერთიანი ძალით გაანთავისუფლონ აჭარა თურქებისაგან. ჟორდანიასთან საუბრის შემდეგ სერგო ქავთარაძე და მალაქია ტოროშელიძე ისევ დააბრუნეს ციხეში, მაგრამ 17-18 მარტს ღამით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საზღვარგარეთ წასვლისთანავე, ბათუმის ციხის კარები გააღეს და გაუშვეს ყველა პატიმარი, მათგან

დიდი უმრავლესობა, 1000-ზე მეტი კაცი პოლიტიკური პატიმარი იყო, მათ შორის 450 კომუნისტი. ლამითვე, 1921 წლის 18 მარტს შეიქმნა ბათუმის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი კომუნისტების ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერის სერგო ქავთარაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც 1921 წლის 18 მარტს დილით, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადა. რევკომის ბრძანებით, აჭარაში იმ დროისათვის მყოფ 8000-ზე მეტ ქართველ ჯარისკაცსა და ოფიცერს სათავეში ჩაუდგა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. 1921 წლის 18, 19, 20 მარტს ბათუმსა და მის ფრონტებზე გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომელშიც წარმატება ქართველებს ხვდათ. 18 მარტს საღამოს, ბათუმთან ახლოს, ცენტრალურ მაგისტრალზე არსებულ სტეფანოვკის ფორტზე დაბანაკდა რუსეთის მე-11 წითელი არმიის ცხენოსანთა დივიზია 2500 მეომრით, რომელმაც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში გადმოლახა გოდერძის უღელტეხილი. დივიზიის ხელმძღვანელობამ თურქეთის მხარეს გააცნო რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულების ის პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ თურქეთის საზღვარი საქართველოსათან უნდა გავიდეს სოფელ სარფში შავშეთის მთებისკენო, და რომ მან ჭოროხსა და აჭარისწყალზე გადაკეტა ერთადერთი თურქეთ-საქართველოს გზა, საიდანაც ვერცერთი ასკერი დამატებით აჭარაში ვერ შემოვა. თურქები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ აჭარა. [7]

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა), ფ. 1 ა. აღწ. 1. საქ. 104, ფურც. 44.
2. აცსა, საქ. 104, ფურც. 58.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემოკლებით სცსსა), ფ. 1412, აღწ. 12, საქ. 78, ფურც. 26.
4. სცსსა, საქ. 78, ფურც. 38.
5. სცსსა, საქ. 82, ფურც. 111.
6. იქვე, ფურც. 119-121
7. აცსა, საქ. 105. ფურც. 78-80

OTAR GOGOLISHVILI

*Professor of the Department of the History of the*

*Batumi Shota Rustaveli State University*

*LEPL - Ajara Museum*

## THE DISTRICT OF BATUMI IN 1920-1921 YEARS

This scientific work deals with the complicated political situation in 1920-1921 years. On July, 1921, the jurisdiction the Democratic Republic of Georgia was spread upon the District of Batumi. The formation of the governmental bodies was begun. But the national government emigrated from Batumi because of the occupation Georgia by the Bolshevik Russia. The “Qemalists” took the opportunity of the situation and occupied the District of Batumi on Mart, 1920, but the national army of Georgia under the leadership of General Giorgi Mazniashvili took the control on the District of Batumi once more and kept it for Georgia.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები, VI,  
„მეცნიერება“, თბილისი, 2000 წ. გვ. 23-32.

ბრიგოლ ზოგვარაძე

## მე-11 წითელი არმიის სარდლობა 1920-1921 წლებში

მე-11 წითელი არმიის საბრძოლო გზასთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ამიერკავკასიის სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოება. სწორედ ამ არმიის ჯარებმა წითელი არმიის კავკასიის ფრონტის სხვა შენაერთებისა და ნაწილების დახმარებით 1920-1921 წლებში განახორციელეს აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ოკუპაცია. ამასთან ერთად, მე-11 არმიის ქვედანაყოფები /კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ მე-11 არმიას ეწოდა კავკასიის ცალკეული არმია/ სასტიკად გაუსწორდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ გამოსვლას აზერბაიჯანში /1920 წლის მაისის განჯის აჯანყება/, სომხეთსა /დაშნაკების 1921 წლის თებერვალ-აპრილის აჯანყება/ და საქართველოში /1924 წლის აგვისტოს აჯანყება/.

მე-11 არმია რუსეთის სამოქალაქო ომის დროს /1918-1920 წ.წ./ შეიქმნა ჩრდილო კავკასიაში და მისი სამოქმედო არეალი ძირითადად, კავკასია იყო. აქედან გამომდინარე, არმიის, როგორც რიგითთა, ისე მეთაურთა და სამხედრო კომისართა შემადგენლობის უმეტესი ნაწილი კავკასიელები იყვნენ. წითელი არმიის სარდლობა გამიზნულად აძლიერებდა მე-11 არმიის შტაბს მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრებით, რომლებსაც სამხედრო სამსახური კავკასიაში ჰქონდათ გავლილი. მე-11 არმიის სამხედრო საბჭოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ასევე კავკასიის სამხარეო კომიტეტის ლიდერების – ს. კიროვის, ს. ორჯონიკიძის, კ. მეხანოშინის, ს. ელიავას, ნ. ნარიმანოვის, ფ. მახარაძის, ა. მიქოიანის, ა. გეგეჭკორის და სხვების როლი ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაკარგვაში კარგად არის ცნობილი. ამჯერად შევჩერდებით იმ სამხედრო მოღვაწეებზე, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ წითელი არმიის საომარ ოპერაციებს ამიერკავკასიაში. მე-11 არმიის მეთაურების უმრავლესობა 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ამიტომ, წლების მანძილზე საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ნაკლებად შუქდებოდა მათი სამხედრო ცხოვრების გზა. მხოლოდ ბოლო ათწლეულის განმავლობაში გახდა შესაძლებელი საზოგადოებისათვის გაცნობოდა ამ მეთაურთა ბიოგრაფიის უცნობ ფურცლებს.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ოკუპაციაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ მხედართუფროსს მიხეილ ლევანდოვსკის. იგი თბილისში დაიბადა 1890 წელს. მამა – კარლ ლევანდოვსკი წარმოშობით პოლონელი გლეხი იყო. მ. ლევანდოვსკიმ ბავშვობა კავკასიაში გაატარა. დაამთავრა გროზნოს რეალური სასწავლებელი და მეფის რუსეთის არმიის სამსახურში ჩადგა. 1912 წელს ვლადიმერის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა გორის ქვეით პოლკში, რომელიც იმჟამად ქუთაისში იყო განლაგებული. აქ მან გაიცნო ქუთაისელი გლეხის ერემო ყუბანეიშვილის ქალიშვილი ლიდა, რომელზეც მალე იქორწინა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ლევანდოვსკი იბრძოდა აღმოსავლეთ პრუსიაში, ვარშავასთან და გალიციაში. მეფის არმიაში მას მინიჭებული ჰქონდა შტაბს-კაპიტანის წოდება. 1917 წელს მონაწილეობდა პეტროგრადთან გენერალ პ. კრასნოვის ჯარების განადგურებაში. ამ პერიოდში ლევანდოვსკიმ გაიცნო ს. ორჯონიკიძე.

ს. ორჯონიკიძემ თავიდანვე მიაქცია ყურადღება მეფის არმიის ნიჭიერ ოფიცერს, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა წითელ არმიაში ლევანდოვსკის თანამდებობრივი სწრაფი აღმასვლა.

იმავე წლის ბოლოს ლევანდოვსკი შევიდა წითელ გვარდიაში – იბრძოდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ გროზნოსა და ვლადიკავკაზის რაიონებში. სამხედრო სპეციალისტების პოლიტიზირება არც მას ასცდა. ლევანდოვსკის სიმპატიები 1918 წელს ესერ – მაქსიმალისტების პარტიის მხარეს გადაიხარა და 1921 წლამდე იმ პარტიის აქტიური წევრი იყო /1,4-5/.

რუსეთის სამოქალაქო ომის დროს სარდლობდა წითელი არმიის შენაერთებსა და ნაწილებს ჩრდილო-კავკასიაში. 1919 წლის იანვარში მისი მეგობრის ორჯონიკიძის შუამდგომლობით ლევანდოვსკი დაანიშნა მე-11 არმიის სარდლად. ამავე თვეში ხსენებულ არმიას თეთრგვარდიელებმა ძლიერი დარტყმა აგემეს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს. არმია დაიშალა. ლევანდოვსკი მთავრობამ დააქვეითა. 1919 წლიდან იგი იყო 33-ე მსროლელი დივიზიის უფროსი. ამ დივიზიის მეთაურობის დროს მან თავი გამოიჩინა, რისთვისაც „წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს“ /2, 324/. ლევანდოვსკის წარმატებით ისარგებლა ორჯონიკიძემ და მისი შუამდგომლობით იგი დაინიშნა მესამედ ფორმირებული მე-11 არმიის სარდლად /1,95/.

1920 წლის გაზაფხულზე წითელმა არმიამ დაასრულა გენერალ ა. დენიკინის ჯარების განადგურება ჩრდილო-კავკასიაში. საბჭოთა რუსეთი ყველა ზომას ლეზულობდა ბაქოს ნავთობის ხელში ჩასაგდებად, მე-11 არმია ემზადებოდა აზერბაიჯანში შესაჭრელად, მის შემადგენლობაში დამატებით იქნა შეყვანილი რამოდენიმე მსროლელი და საკავალერიო დივიზია. კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს ბრძანების თანახმად მე-11 არმიას შეტევა 27 აპრილს უნდა დაეწყო /მე-11 არმია კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა 1920წ. იანვრიდან 1921წ. ივნისამდე/, /3,145/. არმიის სარდლის ლევანდოვსკის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად აზერბაიჯანის არმიის განადგურება რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მომხდარიყო. ლევანდოვსკი დარწმუნებული იყო მისი არმიის სიძლიერეში და აღნიშნავდა – „მუსავატელები ასეთ ძალას ვერ გაუძლებენ, ჩვენ შეუჩერებლივ უკუ ვაგდებთ მათ ზღვისკენ“ /1,97/. საბრძოლო ოპერაცია გეგმის მიხედვით განვითარდა, აზერბაიჯანის არმია ერთ თვეში გაანადგურეს. აზერბაიჯანის დამარცხებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბაქოში დანებებულმა დიდმა ბოლშევიკურმა ამბოხმა და მე-11 არმიის ჯავშანმატარებლების რაზმის აქტიურმა მოქმედებამ. „წარმატებულად ჩატარებული ოპერაციისათვის“ აზერბაიჯანის რევკომმა ლევანდოვსკი „აზერბაიჯანის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა“ /2,234/.

აზერბაიჯან-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გასვლის შემდეგ მე-11 არმიამ შეუჩერებლად შეუტია ქართული არმიის ნაწილებს ფოილოს ხიდთან /28, 181-192/. ოპერაციებს პირადად ლევანდოვსკი ხელმძღვანელობდა. ქართული არმია ამ შეტევას მომზადებული დახვდა და უკუაგდო აგრესორი არმიის ნაწილები. საბჭოთა რუსეთის პირველი მცდელობა, დაემხო საქართველოში დემოკრატიული ხელისუფლება, კრახით დამთავრდა. 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა სამშვიდობო ხელშეკრულება დაედო საქართველოსთან.

1921 წლიდან ლევანდოვსკი სარდლობდა თერგ-დაღესტანის ჯარების ჯგუფს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ თანამედროვე ქართულ ისტორიულ ნაშრომში და პუბლიკაციაში თერგ-დაღესტანის ჯარების ჯგუფი მოიხსენიება, როგორც მე-10 არმია, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. აღნიშნული ჯგუფის ბაზაზე მხოლოდ 1921 წლის მარტში შეიქმნა მე-10 თერგ-დაღესტანის არმია /წითელ არმიაში ამ არმიის პარალელურად არსებობდა აგრეთვე მე-10 არმიაც/. თერგ-დაღესტანის ჯგუფის 98-ე ბრიგადამ რთულ კლიმატურ პირობებში გადალახა მამისონის უღელტეხილი და დაიკავა ქალაქი ონი. ამის შემდეგ ბრიგადა დაიძრა სამხრეთ-დასავლეთით და არ მისცა საშუალება უკან დახეულ ქართული არმიის ნაწილებს გამაგრებულიყვნენ ქუთაისთან. 98-ე ბრიგადამ მე-11 არმიის ნაწილებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქუთაისისა და ბათუმის აღებაში /3,228/.

1924-1925 წლებში იყო თურქესტანის ფრონტის სარდალი. ისევე როგორც კავკასიაში,



ლევანდოვსკი შუა აზიაშიც ჩვეული ენერგიით და მონდომებით ებრძოდა ეროვნულ მოძრაობას, რისთვისაც იგი „ტაჯიკეთის შრომის წითელი დროშის ორდენით“ დააჯილდოვეს. 1926 წელს მთავრობამ ის ამიერკავკასიაში დააბრუნა – კავკასიის არმიის სარდლის თანამდებობაზე, არჩეული იყო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის /ცაკი/ წევრად, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1935 წელს კავკასიის არმია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქად გარდაიქმნა, ლევანდოვსკი ამ ოლქის პირველი სარდალი იყო. მას მთავრობაში კავკასიის მიმართულების სპეციალისტად თვლიდნენ. 1935 წელს ლევანდოვსკის მიენიჭა მე-2 რანგის კომანდარმის სამხედრო წოდება (4). 1937 წელს იგი გადაიყვანეს შორეული აღმოსავლეთის ცალკეული არმიის ზღვისპირეთის ჯარების ჯგუფის სარდალად.

ეს თანამდებობა ლევანდოვსკისათვის ბოლო აღმოჩნდა, მალე იგი დააპატიმრეს. ლევანდოვსკი იმ რეჟიმის მსხვერპლი გახდა, რომელსაც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა. არაადამიანური ფიზიკური ზემოქმედების შემდეგ, მან აღიარა „მონაწილეობა სამხედრო-ფაშისტურ შეთქმულებაში“. 1937 წლის 29 ივლისს, სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით დახვრიტეს /1, 140-141/. 1956 წლიდან რეაბილიტირებულია.

სომხეთისა და საქართველოს ოკუპაციის დროს მე-11 არმიას სათავეში ედგა საბჭოთა სამხედრო-დიპლომატიური მოღვაწე ანატოლი ჰეკერი. იგი დაიბადა 1888 წელს თბილისში, სამხედრო ექიმის ილია ჰეკერის ოჯახში. გიმნაზია თბილისში დაამთავრა /3,244/ და მამის მსგავსად ა. ჰეკერიც სამხედრო სამსახურში ჩადგა. 1909 წელს პეტერბურგში წარჩინებით დაამთავრა ვლადიმერის სამხედრო სასწავლებელი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იბრძოდა რუმინეთის ფრონტზე. სარდლობას შეუმჩნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა ნიჭიერი მეთაური და 1916 წელს იგი გენერალური შტაბის აკადემიაში გაგზავნა სასწავლებლად. საომარი მდგომარეობის გამო ჰეკერმა 1917 წელს აკადემიის მხოლოდ დაჩქარებული კურსი დაამთავრა მინიჭებული ჰქონდა მეფის არმიის შტაბს-როტმისტრის წოდება /5,184/.

ჰეკერმა მეფის არმიის ოფიცერთა შორის ერთ-ერთმა პირველმა უღალატა ძველ პრინციპებს და 1917 წლის თებერვლიდან ბოლშევიკურ მოძრაობას დაუკავშირდა /6, 57/. 1917 წელს რუმინეთის ფრონტზე ჯარისკაცთა კომიტეტმა იგი მე-8 არმიის შტაბის უფროსად აირჩია, მომდევნო წელს კი ჰეკერს მე-8 არმიის სარდლის დროებითი მოვალეობის შესრულება დაევალა /7,482/.

რუსეთის სამოქალაქო ომის წითელ არმიაში ეკავა შემდეგი თანამდებობები: მე-13 მსროლელი დივიზიის უფროსი, მე-13 არმიის სარდალი, რუსეთის შინაგანი დაცვის ჯარების შტაბის უფროსი. მონაწილეობდა იაროსლავის მხარეში მემარცხენე ესერების აჯანყების ჩახშობაში, დენიკინის ჯარების განადგურებაში მოსკოვთან და ჩრდილო-კავკასიაში.

1920 წელს სექტემბერში რუსეთის „რევოლუციური სამხედრო საბჭოს“ დადგენილების საფუძველზე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ს. კამენევმა 20 სექტემბრის №53 ბრძანებით ჰეკერი მე-11 არმიის სარდალად დანიშნა /8,524/. რევსამხედრო საბჭოს უშუალო ბრძანებულებამ ჰეკერის დანიშვნასთან დაკავშირებით კი საკმაოდ დაიგვიანა – „რესპუბლიკის რევსამხედრო საბჭოს 1921 წლის 18 ივლისის N218 ბრძანების თანახმად მე-13 არმიის სარდალი ა. ი. ჰეკერი 1921 წლის 27 მაისიდან დანიშნული იქნა მე-11 არმიის სარდალად, მაგრამ ფაქტიურად ის მე-11 არმიის სარდლის მოვალეობას 1920 წლის შემოდგომიდან ასრულებდა“ /3,244/. სამწუხაროდ დღეისათვის უცნობია თუ რით იყო გამოწვეული წითელი არმიის უმაღლესი ორგანოს – რევსამხედრო საბჭოს ასეთი დაგვიანებული ბრძანება. შექმნილი სიტუაცია საინტერესოა იმითაც, რომ აღნიშნული ბრძანება უკუ რიცხვით არის შედგენილი.

მე-11 არმიას ჰეკერი იმ დროს ჩაუდგა სათავეში, როცა აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო

და საბჭოთა რუსეთი ემზადებოდა სომხეთის ოკუპაციისათვის. 1920 წლის ნოემბერში სომხეთის რესპუბლიკაში დიდი ბოლშევიკური ამბოხი დაიწყო. იმავდროულად ლენინის მთავრობამ უბრძანა ჰეკერს დაეძრა მისი არმია სომხეთისაკენ და დახმარება გაენია მემამბოხეებსათვის. მე-11 არმიაში ამისათვის შეიქმნა სპეციალური დამკვრელი დაჯგუფება მე-20 დივიზიის უფროსის ველიკანოვის მეთაურობით. გეგმის მიხედვით სომხეთის ოკუპაციაც, აზერბაიჯანის მსგავსად, ელვისებურად უნდა მომხდარიყო. ამას ადასტურებს ჰეკერის მითითება ველიკანოვისადმი – „მხედველობაში ჰქონდეთ, რომ პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს სწრაფ მოქმედებებს. ახლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუშვათ დაწყებული ოპერაციის ჩაშლა, თუნდაც განვიცადოთ დანაკარგები“ /9,92/. ველიკანოვის ჯარებმა შეასრულეს ამოცანა და რამდენიმე დღეში ერევანი დაიკავეს. ამის შემდეგ მე-11 არმიის ნაწილებმა ჰეკერის ხელმძღვანელობით ჩაახშვეს დიდი ანტისაბჭოთა აჯანყება სომხეთში, რისთვისაც იგი „სომხეთის პირველი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა“ /10,486/.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი სრულებით განსხვავდება აზერბაიჯანისა და სომხეთის ოკუპაციისაგან. თუ უკანასკნელ ორ რესპუბლიკაში საბჭოთა მთავრობამ შეძლო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი ამბოხის მოწყობა, საქართველო ამ მიმართებაში გამონაკლისი აღმოჩნდა. აქ ადგილი არ ჰქონია არავითარ აჯანყებას /მხედველობაში თუ არ მივიღებთ, ლორეს რაიონში მოწყობილ აჯანყების ინსცენირებას/. საქართველოს წინააღმდეგ ომში ლენინის მთავრობა მხოლოდ წითელი არმიის ძალებს უნდა დაყრდნობოდა. თუ აზერბაიჯანისა და სომხეთის ოკუპაცია მხოლოდ მე-11 არმიის ძალებით განხორციელდა, ქართული არმიის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტმა მე-11 არმიის გარდა გამოიყენა მე-9 არმიისა და თერგ-დალესტანის ჯარების ჯგუფის ნაწილებიც. მთავარ დარტყმას ქართულ არმიას მე-11 არმია აყენებდა. ამის გამო ჰეკერი ითხოვდა გაეძლიერებიათ მისი არმია მსროლელი და საკავალერიო ნაწილებით /11,388-392/.

გეგმის მიხედვით ქართული არმიის განადგურება და თბილისის აღება, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მომხდარიყო. ჰეკერმა შექმნა ჯარის ორი ჯგუფი ველიკანოვისა და მე-18 საკავალერიო დივიზიის უფროსის პ. კურიშკოს მეთაურობით. ვინაიდან მე-11 არმიას საკავალერიო ნაწილების მხრივ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა ქართულ არმიაზე, ჰეკერს შესაძლებლობა მიეცა განეხორციელებია სწრაფი და ღრმა შემოვლითი მანევრები. არმიის სარდლის მიერ კურიშკოსადმი მიცემულ მითითებაში ხაზგასმული იყო – „სწრაფი მოქმედება, გაბედული საკავალერიო რეიდი თქვენი ხელმძღვანელობით უეჭველად გამოიღებს დადებით შედეგებს ... საკითხის მთელი არსი მდგომარეობს სისწრაფეში: რაც მაშინვე გააოგნებს მოწინააღმდეგეს“ /9,93/.

გადამწყვეტი ბრძოლა მე-11 არმიასა და ქართველ არმიას შორის თბილისის მისადგომებთან გაიმართა. 23 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისის შტურმი დაიწყო. ჰეკერმა ბრძოლაში ყველა რეზერვი შეიყვანა – ჯავშანმატარებლები, ტანკები, კავალერია, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. მესამე დღეს წითლებმა ქალაქი აიღეს. ჰეკერის ბიოგრაფიაში საყურადღებოა ერთი ფაქტი, მას არსად ისე სრულფასოვნად და წარმატებულად არ გამოუმუშავებია თავისი სამხედრო ნიჭი, როგორც ეს მოხდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის დროს. ამისათვის საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მე-11 არმია მისი სარდლობის პერიოდში „საპატიო წითელი დროშით“ /3.251-252/, ხოლო თავად ჰეკერი „წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა“ /2,241/. ჰეკერის დაჯილდოებაში ლენინის მთავრობას და სომხეთის რევკომს არც აზერბაიჯანის და საქართველოს რევკომები ჩამორჩნენ, აზერბაიჯანმა მას „წითელი დროშის ორდენი“, ხოლო საქართველომ ვერცხლის ხმალი გადასცა /9,93/.

ამიერკავკასიიდან ჰეკერი მოსკოვში გაიწვიეს და 1922 წლის მარტ-აგვისტოში იყო წითელი არმიის სამხედრო აკადემიის უფროსი /ახლანდელი ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია/, /6,271/. იმავე წლიდან იგი გადაყვანილი იქნა სამხედრო-დიპლომატიურ სამუშაოზე: 1922-1933 წლებში იყო სამხედრო ატაშე ჯერ ჩინეთში, შემდეგ თურქეთში, 1934-1937 წლებში გენშტაბის საგარეო

ურთიერთობების განყოფილების უფროსია /12,33/. 1935 წელს მას მიენიჭა კომკორის სამხედრო ნოდება /13/.

საინტერესოდ აღწერს ჰეკერის პიროვნებას მწერალი გ. სერებრიაკოვი, რომელიც ახლოს იცნობდა მას /14/.

1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ჰეკერის ბევრი ახლო მეგობარი, მათ შორის ცნობილი სამხედრო მოღვაწე ი. უბორევიჩი. რეპრესიები არც ა. ჰეკერს ასცდა, იმავე წელს ზაფხულში ის დააპატიმრეს და 1938 წლის 1 ივლისს დახვრიტეს. რეაბილიტირებული იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოებაში და საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსმა სიმონ პუგაჩოვმა. იგი დაიბადა 1889 წელს. მამა ანდრია პუგაჩოვი გიმნაზიის მასწავლებელი იყო. 1906 წელს დაამთავრა გიმნაზია და იმავე წელს ალექსის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა, 1908 წელს ეს სასწავლებელი მან წარჩინებით დაამთავრა. მცირე ხნის შემდეგ სარდლობამ იგი სასწავლებლად გენშტაბის აკადემიაში გაგზავნა, რომელიც 1914 წელს დაამთავრა /5,602/. იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში. იყო ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი /15,62/. მეფის არმიაში მინიჭებული ჰქონდა კაპიტნის ნოდება.

ლევანდოვსკისა და ჰეკერისაგან განსხვავებით იგი წითელ არმიაში ცოტა მოგვიანებით შევიდა. მონაწილეობდა რუსეთის სამოქალაქო ომში, ეკავა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობა. ჩრდილო-კავკასიაში დენიკინის ჯარების განადგურების ოპერატიული გეგმა მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა /2,490/.

1920-1921 წლებში პუგაჩოვი კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსია. მან ფრონტის სარდალ ვ. გიტისთან ერთად დაამუშავა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში წითელი არმიის ნაწილების შეჭრის გეგმა. თავად პუგაჩოვი ამის შესახებ წერდა – „მონაწილეობა მივიღე ... აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის გასაბჭოებაში, მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ბანდებთან ბრძოლაში“ /15,62/. კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ დაინიშნა კავკასიის ცალკეული არმიის შტაბის უფროსად.

1923 წელს პუგაჩოვი გადაიყვანეს თურქესტანის ფრონტის სარდალად, ამიერკავკასიის მსგავსად მან აღმოსავლეთ ბუხარაშიც „წარმატებით“ დაასრულა ეროვნული ძალების განადგურება, რისთვისაც შუა აზიის საბჭოთა ხელისუფლებამ იგი ჯერ „ბუხარის წითელი ვარსკვლავის 1-ლი ხარისხის ორდენით“, ხოლო შემდეგ „ხორეზმის წითელი დროშის ორდენით“ დააჯილდოვა. 1924 წელს ის კვლავ ამიერკავკასიაში დააბრუნეს – კავკასიის არმიის სარდლის თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელობით წითელი არმიის ნაწილებმა სისხლში ჩაახშეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ-ჯერობით არ არის გაშუქებული პუგაჩოვის როლი ამ აჯანყების ჩახშობაში, თავად კი ავტობიოგრაფიაში ხაზგასმით აღნიშნავდა – „1924 წლის აგვისტო-სექტემბერში მოვახდინე მენშევიკების აჯანყების ლიკვიდაცია საქართველოს სსრ-ში“ /15,62/. წლების მანძილზე იგი არჩეული იყო საქართველოს ცაკისა და თბილისის საქალაქო საბჭოს წევრად.

ლევანდოვსკისა და ჰეკერისაგან განსხვავებით პუგაჩოვი ერთ-ერთ გამორჩეულ შტაბის მუშაკად ჩამოყალიბდა. ის განათლებით და გამოცდილებით ორივე მათგანზე მაღლა იდგა, მას შეეძლო ემუშავა, როგორც საშტაბო, ისე სამეთაურო თანამდებობაზე.

თბილისიდან პუგაჩოვი წითელი არმიის შტაბის /მაღლე ამ შტაბს გენერალური შტაბი ეწოდა/ უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს. იმავდროულად საბჭოთა მთავრობის მიერ შეყვანილი იქნა დელეგაციაში, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ერთა ლიგის კომისიის სესიებში.

1932-37 წლებში ეკავა სამხედრო-სატრანსპორტო აკადემიის უფროსის თანამდებობა. 1935 წელს მას მიენიჭა კომკორის სამხედრო წოდება /16/. პუგაჩოვი დააპატიმრეს რეპრესიების წლებში, დაიღუპა 1943 წელს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინააღმდეგ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში „თავი გამოიჩინა“ მე-11 არმიის პენზის მსროლელი დივიზიის უფროსმა და თბილისის გარნიზონის პირველმა წითელმა მეთაურმა მიხეილ ველიკანოვმა.

წარმოშობით ველიკანოვი რიაზანის გუბერნიიდან იყო, დაიბადა 1892 წელს. მამა – დიმიტრი სასულიერო პირი გახლდათ /მედავითნე/. მ. ველიკანოვმა თავიდან მამის გზა აირჩია და სასულიერო სემინარია დაამთავრა. მცირე ხნით ის მასწავლებლად მუშაობდა /17/. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გაიწვიეს მეფის არმიაში, 1915 წელს დაამთავრა პროპორშიკთა სკოლა. მონაწილეობა მიიღო საბრძოლო ოპერაციებში, მეთაურობდა ასეულს. იყო მეფის არმიის პოდპორუჩიკი.

რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ ის წითელ არმიაში შევიდა, იბრძოდა სამოქალაქო ომში. მეთაურობდა პოლკს, ბრიგადას, იყო მსროლელი დივიზიის უფროსი, მე-10 არმიის დამკვერელი ჯგუფის სარდალი. 1919-1921 წლებში მეთაურობდა მე-20 დივიზიას. ველიკანოვის საბრძოლო გზა სამოქალაქო ომის ფრონტებზე გაშუქებული არის ი. ობერტასის ნაშრომში /18/.

ამიერკავკასიის ოკუპაციის დროს ველიკანოვის დივიზია მე-11 არმიის მთავარ დამკვერელ დაჯგუფებას წარმოადგენდა. დივიზიის ნაწილებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის არმიის განადგურებაში. 1920 წლის მაისის ბოლოს ველიკანოვის უშუალო ხელმძღვანელობით ჩახშობილი იქნა ქ. განჯაში დიდი შეიარაღებული აჯანყება, ამისათვის მას აზერბაიჯანის რეკომმა „აზერბაიჯანის წითელი დროშის ორდენი“ გადასცა /2,88/.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჰეკერმა ველიკანოვი არმიის მთავარი დამკვერელი დაჯგუფების სარდალად დანიშნა. ამ დაჯგუფებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა თბილისის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში და 25 თებერვალს ქალაქი შტურმით აიღო /2,592-593/. ჯარებისადმი გაცემულ ბრძანებაში ველიკანოვი აღნიშნავდა – „ამა რიცხვს ჩემდამი რწმუნებულმა ჯარმა 12 საათსა და 15 წუთს დაიკავა ქალაქი თფილისი... საქართველო გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკად“. /19/.

1921 წლის გაზაფხულზე ველიკანოვის ჯარებმა სომხეთში დიდი ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყება ჩაახშეს, რისთვისაც სომხეთის რეკომმა იგი „სომხეთის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა“ /2,88.688/.

როგორც თავში აღვნიშნეთ, ველიკანოვი სამოქალაქო პიროვნება იყო და რომ არა პირველი მსოფლიო ომი, შესაძლოა არმიაში საერთოდ ვერ მოხვედრილიყო. ზემოთ ხსენებულ მეთაურებისაგან განსხვავებით მას აკლდა სათანადო სამხედრო განათლება, ამიტომ, სამოქალაქო ომში და ამიერკავკასიაში დაპყრობითი ომების წარმოების დროს იგი ამ მეთაურების ხელქვეითი იყო. სამაგიეროდ, თავისი ნიჭის წყალობით 30-იან წლებში ველიკანოვი დიდი მასშტაბის მხედართუფროსად ჩამოყალიბდა, მან საბჭოთა სარდლობის იერარქიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაიკავა და თანამდებობით ბევრ მის ყოფილ მეთაურს გაუსწრო. ველიკანოვი თავისებურად აფასებდა მოვლენებს და საკუთარი შეხედულებები გააჩნდა, ამას, რასაკვირველია, ვერ ეგუებოდა საბჭოთა იდეოლოგია და რეპრესიებამდე იგი ერთი პერიოდი გარიცხული იყო კომპარტიის რიგებიდან.

1937 წლამდე სარდლობდა შუა აზიის და იმიერბაიკალეთის სამხედრო ოლქებს. იმავე წელს მიენიჭა მე-2 რანგის კომანდარმის წოდება /5,114/. 1937 წლის დეკემბერში იგი დააპატიმრეს და სამხედრო კოლეგიის 1938 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით იმავე დღეს დახვრიტეს /17/.

ამიერკავკასიაში გამართულ საბრძოლო ოპერაციებში ველიკანოვის დივიზიის მხარდამხარ იბრძოდა მე-9 მსროლელი დივიზია, რომელსაც ნიკოლოზ კუიბიშვილი მეთაურობდა.

ნ. კუიბიშვილი კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერის – ვალერიან კუიბიშვილის უმცროსი ძმა გახლდათ.

იგი დაიბადა 1893 წელს. მამა – ვლადიმერი მეფის არმიის ოფიცერი იყო. ვალერიან და ნიკოლოზმა მამის პროფესია აირჩიეს და სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხნენ /20/. ვ. კუბიშევი მალე ბოლშევიკებს დაუკავშირდა და პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდა. ნ. კუბიშევი კი სამხედრო სამსახურში სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.

1914 წელს ნ. კუბიშევი დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, მეთაურობდა ბატალიონს. მინიჭებული ჰქონდა მეფის არმიის კაპიტნის წოდება.

1918 წელს იგი შევიდა წითელ არმიასში, იბრძოდა რუსეთის სამოქალაქო ომში: იყო დივიზიის კომისარი, ბრიგადის მეთაური, 1920 წელს დაინიშნა მე-9 დივიზიის უფროსად. სამხრეთის ფრონტზე გამართული ბრძოლების დროს რუსეთის მთავრობამ იგი ორჯერ „დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით“ /2,317/.

რუსეთ-საქართველოს ომში კუბიშევის დივიზია თავდაპირველად ველიკანოვის დამკვერელი ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა, 22 თებერვალს მე-11 არმიასში გადაჯგუფება მოხდა და მე-9 დივიზია არმიის მარჯვენა დაჯგუფებას დაექვემდებარა, რომელსაც 18 თებერვლამდე კურიშკო მეთაურობდა, მისი დაღუპვის შემდეგ კი დაჯგუფების სარდლად კუბიშევი დაინიშნა.

23 თებერვალს წითელმა არმიამ განაახლა თბილისზე შეტევა. კუბიშევის დაჯგუფება ქალაქს აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უტეკდა. აღნიშნული დაჯგუფების აქტიურმა მოქმედებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მარცხენა მთავარ დაჯგუფებას თბილისის აღებაში /2,593/. ლენინის მთავრობამ ამისათვის კუბიშევი მესამედ დააჯილდოვა „წითელი დროშის ორდენით“, ხოლო აზერბაიჯანის რევკომმა „აზერბაიჯანის წითელი დროშის ორდენით“ /2,317/. საყურადღებოა ერთი ფაქტი, რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ საბჭოთა რეჟიმის დამყარებისათვის ბრძოლაში კუბიშევი იმდენი ჯილდო მოიპოვა, რომ იმ პერიოდში მიღებული ორდენების რაოდენობით გაუსწრო არა თუ ზემოთ ხსენებულ მეთაურებს, არამედ ს. ბუდიონს და კ. ვოროშილოვს.

საბჭოთა მთავრობამ უყურადღებოდ არც კუბიშევის დივიზია დატოვა. ქართული არმიის წინააღმდეგ „წარმატებულად ჩატარებული ოპერაციისათვის“, საქართველოში და სომხეთში ბოლშევიკური დიქტატურის განმტკიცებისათვის მე-9 დივიზიას საქართველოს ცაკის სახელი მიენიჭა და წითელ არმიასში ერთ-ერთ ელიტარულ დივიზიად ჩამოყალიბდა /21/.

თბილისის დაკავების შემდეგ კუბიშევს ბათუმის მიმართულების ჯარების ჯგუფის სარდლის თანამდებობა ეკავა /22,149//. 20-იანი წლების ბოლოდან იგი სარდლობდა ციმბირის, მოსკოვისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქებს, არჩეული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1936 წელს მიენიჭა კომისრის წოდება /5,381/. ცხადია, რომ ნ. კუბიშევის ასეთი კარგი კარიერა ძმის მდგომარეობამაც განაპირობა.

კუბიშევი ველიკანოვის მსგავსად, გადაურჩა რეპრესიების პირველ ეტაპს. იგი იმ მცირერიცხოვან მეთაურთა შორის იყო, რომლებმაც თამამად დაგმეს არმიასში დანყებული რეპრესიები, ამას ადასტურებს კუბიშევის მიერ 1937 წლის ნოემბერსში თავდაცვის სახკომთან არსებულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე გაკეთებული მოხსენება /23/. როგორც ჩანს, მისმა ამგვარმა მოქმედებამ ბევრი ვინმე გააღიზიანა, საბჭოთა სხდომიდან რამოდენიმე კვირაში კუბიშევი დააპატიმრეს და 1938 წლის 1 ივლისს დახვრიტეს /12,34/.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის არმიის განადგურებაში და ბაქოს აღებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მე-11 არმიის ჯავშანმატარებლების რაზმმა, რომელსაც მიხეილ ეფრემოვი ხელმძღვანელობდა.

ეფრემოვი ახალგაზრდა თაობის მეთაურებს განეკუთვნებოდა, იგი 1897 წელს დაიბადა ტარუსაში, წარმოშობით მუმის ოჯახიდან იყო. 1915 წელს გაინვიეს მეფის არმიასში, დაამთავრა პროპორშიკთა სკოლა, იბრძოდა პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე /2,208/.

1918 წელს ეფრემოვი შევიდა წითელ არმიასში. ბოლშევიკ მეთაურთა შორის მისი სახელი აზერბაიჯანის ოკუპაციის დროს ამოტივტივდა. ჯავშანმატარებელთა რაზმი, რომელსაც ის მეთაურობდა მე-11 არმიის ავანგარდში იყო და გზას უკაფავდა მთავარ ძალებს. როგორც ცნობილია, წითელი არმიის ტაქტიკური მოქმედების გეგმა 1918-1920 წლებში ძირითადად ემყარებოდა სწრაფ და ღრმა საკავალერიო რეიდებს მონინალმდეგის ზურგში, აზერბაიჯანის შემთხვევაში მე-11 არმიის სარდლობამ კავალერიის მაგიერ რამოდენიმე ჯავშანმატარებელი გამოიყენა. 27 აპრილს აღნიშნულმა რაზმმა გადაკვეთა რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარი და ელვისებურად შეიჭრა ქვეყნის ფარგლებში. ჯავშანმატარებლები ისე სწრაფად მოქმედებდნენ, რომ აზერბაიჯანის არმიის ნაწილებმა ვერ შეძლეს მათთვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა. 28 აპრილს ეფრემოვის რაზმი ბაქოში შეიჭრა, მალე მას არმიის მთავარი ძალებიც შეუერთდნენ /24,332/. „წარმატებულად ჩატარებული ოპერაციისათვის“ რუსეთის მთავრობამ იგი „წითელი დროშის ორდენით“ დააჯილდოვა, აზერბაიჯანის რევკომმა – „აზერბაიჯანის პირველი წითელი დროშის ორდენით და სამახსოვრო ძვირფასი ხმლით“ /3,148/. ეფრემოვმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე განჯის აჯანყების ჩახშობაში, რისთვისაც აზრევკომმა მეორედ დააჯილდოვა „აზერბაიჯანის წითელი დროშის ორდენით“. როგორც ვხედავთ, ლენინის მთავრობა უხვად აჯილდოვებდა თავის მეომრებს უცხო ქვეყნების დაპყრობის დროს გამოჩენილი თავდადებისათვის, საუბედუროდ, ამაში მათ მხარს ადგილობრივი მარიონეტული მთავრობებიც უჭერდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებულ მეთაურებს ეფრემოვი საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა, როგორც განათლებით, ისე გამოცდილებით. მისი სამეთაურო მოღვაწეობა, ძირითადად, პირად გმირობას და თავდადებას ეყრდნობოდა. უმაღლესი სამხედრო განათლება მან მხოლოდ 30-იან წლებში მიიღო. მართალია, იგი არმიასში ერთ-ერთ ავტორიტეტულ ახალგაზრდა მეთაურად ითვლებოდა, მაგრამ საბჭოთა მხედართმთავრების ელიტარულ ჯგუფიდან მოშორებით იდგა, რომ არა არმიასში დაწყებული ე. წ. წმენდა, მას, შესაძლოა, ვერც კი მიეღწია ამ მაღალი თანამდებობისათვის, რომელიც 1937 წლიდან ეკავა. თავად ეფრემოვი რეპრესიებს გადაურჩა. ეს ალბათ იმის გამო მოხდა, რომ სტალინს სამოქალაქო ომიდან მოყოლებული მასზე კარგი წარმოდგენა შეექმნა, ეფრემოვი ერთგულად ემსახურებოდა მის რეჟიმს და არასოდეს არ ჰქონია სხვასავით დიდი ამბიციები. ძველი მხედართმთავრების განადგურების შემდეგ მ. ეფრემოვს და მისთანებს გზა გაეხსნათ, 1937 წლიდან იგი იყო სხვადასხვა სამხედრო ოლქების სარდალი, 1940 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება /25/.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დროს ეფრემოვი სარდლობდა ცენტრალურ ფრონტს და 33-ე არმიას /26/. თუ ლევანდოვსკი, ჰეკერი და სხვები ხალხის მტრებად გამოცხდნენ და დაიხვრიტნენ, ეფრემოვს მათგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, გმირული სიკვდილი ერგო. 1942 წელს მისი 33-ე არმია ვიაზმასთან ალყაში მოექცა. დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ცდილობდა ეფრემოვი არმიის ალყიდან გამოყვანას, მარცხით დამთავრდა ბოლო მცდელობაც /27/. ბრძოლის დროს იგი მძიმედ დაიჭრა, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა, მონინალმდეგის ხელში ჩავარდნას თავის მოკვლა ამჯობინა.

აგრესორი მე-11 არმიის ნაწილების საბრძოლო მოქმედებებს ამიერკავკასიაში კიდევ მრავალი სხვა საბჭოთა მეთაური ხელმძღვანელობდა. მათ შორის იყვნენ: მ. ტუხაჩევსკი, ე. გიტისი, ა. რემეზოვი, პ. კურიშკო, დ. ჟლობა, ა. გაბაშვილი, პ. შტიეგერი, ა. სმირონოვი, კ. გოლუბევი, ვ. ვოდოპიანოვი, ა. შირმახერი, ეგოროვი, შეგოლევი, პესტოვი.

კავკასიელ ბოლშევიკებთან ერთად მე-11 არმიის მეთაურთა შემადგენლობამ 1920-1921 წლებში საფუძველი დაუდო სამოცდაათწლიან კომუნისტურ რეჟიმს ამიერკავკასიაში.

GRIGOL BOGVERADZE

### THE 11TH RED ARMY'S COMMANDERS IN 1920-1921 YEARS

In 1920-1921 years the troops of the 11th Red Army had occupied 3 independent republic of the Transcaucasia, they've repressed national-liberation movement in Azerbaijan, Armenia and Georgia.

The commanders of the 11th army with the Bolsheviks of the Communist regime in the Transcaucasia.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Соломин Н. Легенда о командарме М., 1989.
2. Гражданская война и военная интервенция в СССР, 1987.
3. Траскунов М. Героический боевой путь 11-й Армии на фронтах гражданской войны, Тб., 1958.
4. «Правда» 1935 г. 21 ноября.
5. Военно-Энциклопедический словарь, М., 1985.
6. Военная академия имени М.В. Фрунзе, М., 1988.
7. Военно-революционные комитеты действующей армии 25 окт. 1917-март 1918 г. М 1977.
8. Гражданская война на Украине: Сборник документов и материалов, Т. 3 Киев, 1967.
9. Военно-исторический журнал (ВИЖ) 1988, №8.
10. a. surgulaZe, socialisturi revoluciis gamarjeba amierkavkasiaSi, Tb., 1961.
11. a. surgulaZe, p. surgulaZe saqarTvelos istoria, Tb., 1991.
12. ВИЖ, 1993 №3.
13. „Красная звезда“, 1935 г. 22 ноября.
14. Серебрякова Г. Избранные произведения, Т. 2 М., 1975.
15. ВИЖ 1993 №4.
16. «Красная звезда», 1935 г. 21 ноября.
17. «Красная звезда», 1989 г. 21 октября.
18. Обертас И. Начдив двадцатой великанов М., 1964.
19. gaz. „komunisti“, 1921 w., 3 marti.
20. Дубинский-Мухадзе И. Куйбышев /v. kuibiSevis Sesaxeb/, М. 1971; В.В. Куйбышев (биография) М. 1988.
21. Шевченко И. Калиновский П. Девятая пластунская, М., 1970.
22. Jur. „mnaTobi“, 1957, #11.
23. «Красная звезда», 1989 г. 14 января.
24. Токарежский Е. Из истории иностранной интервенции и гражданской войны в Азербайджане, Баку, 1957.
25. «Правда», 1940 г. 5 июнь.
26. Виноградов А. Игнатова А. Герой-командарм М., 1967.
27. ВИЖ, 1965 №6; 1990, №1.
28. Квинитадзе Г. Мои воспоминания в годы независимости Грузии /1917-1921/, Paris, 1985.

კახაბერ ქაბულაძე

## საუკუნის წინააღმდეგ ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობების ისტორიიდან

(ზოგადი მიმოხილვა)

1917 წლის მიწურულსა და 1918 წლის დასაწყისში ქუთაისში რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება აღინიშნებოდა. ქვეყნის მმართველობითი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი აშკარა კრიზისს განიცდიდა. 1918 წლის იანვარში ქუთაისში მასწავლებლები და მილიციელები გაიფიცნენ. ისინი ჯამაგირის გაზრდასა და შტატების დამატებას ითხოვდნენ. ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების სახელით გაგზავნილ განცხადებაში, რომელიც მათ ქალაქის თვითმმართველობაში წარადგინეს, აღნიშნული იყო, რომ მილიციელთა რიცხვი უნდა გაზრდილიყო 500-მდე, სადაც 50 ცხენოსანი მილიციელი იქნებოდა.

განცხადების მიხედვით ქვეით მილიციელს თვეში ჯამაგირის სახით უნდა მისცემოდა 200, ხოლო ცხენოსანს – 300 მანეთი. რაც შეეხება მილიციის უფროსს, მისი ხელფასი 400 მანეთამდე უნდა გაზრდილიყო. იმავე წლის 27 იანვარს ქალაქის საბჭომ განიხილა და დადებითად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი. საბჭოს დაანგარიშებით, ქალაქს მილიციის შენახვის ხარჯი წლის განმავლობაში 495 150 მანეთი დაუჯდებოდა [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №19].

რაც შეეხება მასწავლებელთა გაფიცვას, 27 იანვარს შედგა დარგის მუშაკთა გაერთიანებული კრება. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, პოლიტიკური ვითარებისა და მოთხოვნათა ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამო, გაფიცვა შეწყდა [მსჯელობისათვის იხ. გ. მჭედლიძე, 1993:356].

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ქალაქში ვითარება კვლავ არასახარბიელო იყო. ქუთაისისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს მაინც ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის ნაწილები წარმოადგენდა. 28 იანვარს ჩატარდა ქალაქის გარნიზონის სამხედრო ნაწილების დელეგატების კრება, რომელთა რიცხვი 89-ს შეადგენდა. ახალმა საბჭომ აირჩია 26 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარე იყო პოდპორუჩიკი ბუაჩიძე, ხოლო მდივანი ჯარისკაცი აბზიანიძე. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ყველა სამხედრო მოსამსახურეს უნდა აეყარა სამხედრო წოდება და ჯარიდან წასული მამაკაცებისათვის მიეცათ თოფები, ხოლო აღნიშნული ეცნობებიათ ადგილობრივი კომისრებისათვის [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №20].

მკვლევარ გ. ბოგვერაძის აზრით, იმ დროს ქუთაისში დისოცირებული 110-ე და 115-ე პოლკების ჯარისკაცთა უმრავლესობა ბოლშევიკური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იყო და ადგილობრივ ხელისუფლებას, ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა [მსჯელობისათვის იხ. გ. ბოგვერაძე, გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 2004, №15].

ამის დასტურად უნდა ჩაითვალოს ცნობილი სოციალ-დემოკრატის, რუსთველოლოგისა და საზოგადო მოღვაწის ვ. ნოზაძის (1893-1975 წ.წ) შემდეგი შეფასება: „თელავის, გორის, ქუთაისის ხულიგან ჯარისკაცთა მასა სწორედ „მემარცხენე“ ბოლშევიკთა სახელითა და გავლენით მოქმედებდა და პროგრამულ გამოსვლებს აწყობდა. ამას ვერ უარყოფს ვერავინ. აქ თვით ფაქტი ლაღადებს... ფაქტია ჩვენში ანარქიაა, მის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. ამას მოითხოვს რევოლუციის და ქვეყნის ინტერესი. აქ ორი გზაა. გზა რეპრესიებისა და გზა რეფორმებისა. აუცილებელია მთავრობა ორივე გზას დაადგეს. მან პარალელურად უნდა აწარმოოს მუშაობა“ [გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918, №282].



1918 წლის იანვარში მესხეთის ქუჩის დასასრულში განლაგებულ „არტილერიის ქალაქში“ ჯარისკაცებმა რბევა მოაწყვეს. აქ მოთავსებული იყო ქუთაისის მაზრის სამხედრო სამმართველოს სანყოფილი, სადაც თავმოყრილი ჰქონდათ დიდძალი თოფის წამალი, ავტომობილები, ყუმბარები და სხვა აღჭურვილობა. ამბოხებულებმა დაიტაცეს იარაღი და სანყოფილები ააფეთქეს. თავდასხმის დროს გატაცებული ქონების ნაწილი მძარცველებმა შეინახეს ახლომდებარე მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში. მილიციელები შეეცადნენ ნაძარცვი საქონელი მაინც წაერთმიათ მათთვის. მაგრამ ჯარისკაცებმა ისინი გარეკეს. შემდეგ სანყოფილებს ცეცხლი წაუკიდეს. საჭირო გახდა ქალაქის მილიციის სრული მობილიზაცია. როგორც იქნა მძარცველები გაფანტეს, მაგრამ ხანძარს ვერაფერი მოუხერხეს. ცეცხლმა დიდხანს გასტანა. დაიწვა ერთი დიდი შენობა თავის ოთხი განყოფილებით. ზარალი 1 მილიონ მანეთს შეადგენდა [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №15].

გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ იუწყებოდა, რომ 21 იანვარს, საღამოს 8 საათზე, რამდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა მოქალაქე ანტონ პეტრეს ძე ქომენტიანს, წაართვა მას 3000 მანეთი, ოქროს საათი და ორი ასმანეთიანი თამასუქი. წინა დღით ქალაქის ბაღის გვერდით ანა მაგალობლიშვილს ჯიბიგირმა ჯიბიდან 45 მანეთი ამოაცალა. თუმცა ბოროტმოქმედის შეპყრობა და პატრონისათვის ფულის დაბრუნება მოხერხდა [იქვე, №17].

23 იანვარს ჯარისკაცებმა მოინდომეს ებრაელების უბნის გაძარცვა. მილიციამ დროზე შეიტყო ეს ამბავი და დაედევნა მძარცველებს. გელათის ქუჩაზე სროლა ატყდა. მილიციელთა თავდადებულმა მოქმედებამ შედეგი გამოიღო. 4 ჯარისკაცი დააპატიმრეს, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ [იქვე].

ჯარისკაცები იმდენად იყვნენ გათამამებულნი, რომ არ ერიდებოდნენ ნაძარცვი ქონების პირდაპირ ბაზარში გაყიდვას. ეს ისეთი გავრცელებული მოვლენა გახდა, რომ ცნობილი და დამკვიდრებული „მწვანე ბაზრის“ მაგივრად ამ ადგილის მოხსენიება მოქალაქეებმა „სალდათის ბაზრად“ დაიწყეს [იქვე].

ცოტა უფრო ადრე, 15 იანვარს ქუთაისის ციხიდან განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები გაიქცნენ და მძევლად წაიყვანეს ერთი გუშაგი. ციხის უფროსის ი. იაშვილის (1921 წლიდან იყო ქუთაისის „გუბრეკას“ პირველი თავმჯდომარე) ბრძანებით დააკავეს ზედამხედველი, რომელსაც ბრალი დასდეს გაქცეულ პატიმართა ხელშეწყობაში [მსჯელობისათვის იხ. გ. ბოგვერაძე, გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 2004, №15].

კრიმინალური სიტუაციის გამოსწორებისა და წესრიგის აღდგენის მიზნით, ქალაქის ხელისუფლებამ გააქტიურა მუშაობა. კერძოდ, ქალაქის თითოეულ უბანში ფორმირდებოდა სახალხო რაზმები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მილიციის ქვედანაყოფებთან ერთად საკუთარი უბნის პატრულირება. გარდა ამისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე ბოლშევიკურად განწყობილი ყველა სამხედრო ნაწილი უნდა დაშლილიყო.

მძიმე მდგომარეობა იყო საგარეო მიმართულებითაც. ფრონტის მოშიშვლებამ შექმნა ოსმალთა შემოჭრის საფრთხე. შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, 27 იანვარს ქართული გიმნაზიის მე-6, მე-7 და მე-8 კლასების მოსწავლეებმა გადარწმუნეს შეენწყვიტათ მეცადინეობა და მიუხედავად მცირეწლოვანებისა, სამხედრო რაზმებში ჩანერილიყვნენ მოხალისეებად [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №20].

სამწუხაროდ, ბოლშევიკურად განწყობილმა ჯარისკაცებმა მთავრობის ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი მოთხოვნა შემდეგი იყო: დაიშლებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისცემდნენ ცეცხლსასროლი იარაღის სახლში წაღების უფლებას. იანვარ-თებერვლის მიჯნაზე გაზეთები იუწყებოდნენ მოქალაქეთა ძარცვის, ქურდობის, ბანდიტიზმის, ხანძრების განგებ გაჩენის შემთხვევების მომრავლების შესახებ. გახშირდა დაჭრისა და განზრახ

მკვლევლობის ფაქტები [ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, 2013:429].

1918 წლის 6 თებერვალს, ღამით, ქუთაისში განლაგებული სამხედრო ნაწილების მიერ მოწყობილ შეიარაღებულ აჯანყებაში ბოლშევიკთა ხელი ერია. მათი ნაქეზებით გათავისებებული აჯანყებულები საწყობებიდან იტაცებდნენ იარაღს, ძარცვავდნენ მოსახლეობას, სამთავრობო, საზოგადო და სავაჭრო დაწესებულებებს. ქალაქში გამეფებული ანარქიის შედეგად დაწესებულებებმა და სკოლებმა მუშაობა შეწყვიტეს.

მეორე დღეს ამბოხებულებმა დაარბიეს 110-ე პოლკის საწყობები და გაიტაცეს საბრძოლო მასალები; 115-ე პოლკის ჯარისკაცებმა ბალახვნის ქუჩაზე მდებარე პრინც ოლდენბურგის შამპანურის საწყობებიდან გაიტანეს სპირტიანი სასმელები, ხოლო რკინიგზის აღმასრულებელი კომიტეტის შენობიდან წაიღეს დიდძალი საბრძოლო იარაღი.

ისტორიკოს პ. ვაჭრიძის თქმით, ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა მღელვარებას 6 თებერვალს შეენირა 110-ე ლეგიონის ცეიხგაუზი და მესანგრეთა ლეგიონის ყაზარმა [მსჯელობისათვის იხ. პ. ვაჭრიძე, გაზ. „ქუთაისი“, 1971, №10].

სალამოს ამბოხებულთა შეჩერებას შეეცადნენ მილიციელები, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ქალაქს ფაქტობრივად ამბოხებულები ფლობდნენ. გ. ბოგვერაძის მართებული შეფასებით, ბოლშევიკთა მიერ პროვოცირებული ავანტურა მათივე მზაკვრული გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო [მსჯელობისათვის იხ. გ. ბოგვერაძე, გაზ. „ჩვენი ქუთაისი“, 2004, №15].

შეიარაღებული ამბოხების შესახებ გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ იუნყებოდა: 7 თებერვალს, დღისით, სამსახურიდან დათხოვნილმა შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ატეხეს სროლა, რაც სალამოს 9 საათიდან ინტენსიურ სროლაში გადაიზარდა. მილიციელებსა და ჯარისკაცებს შორის გამართული შეტაკების დროს მოკლეს რამდენიმე კაცი. ცნობილია, რომ ამ შეტაკებას სამთავრობო ძალების მხრიდან ემსხვერპლა პრაპორშჩიკი უგრეხელიძე [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №27].

სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ქალაქის საბჭო იძულებული გახდა 8 თებერვალს საგანგებო თათბირი მოეწვია და ანარქიის ლიკვიდაციის მიზნით „წესრიგის დამცველი საგანგებო კომიტეტი“ შეექმნა. ქუთაისში გამოცხადებული სამხედრო წესები ითვალისწინებდა სალამოს 7 საათიდან დილის 7 საათამდე ქალაქის ქუჩებში სიარულის აკრძალვას, აგრეთვე სამხედრო დანიშნულების საქონლის ყიდვა-გაყიდვას.

8 თებერვალს, ღამით, ამბოხებულთა დამორჩილების მიზნით განხორციელებულ ოპერაციას ამიერკავკასიის შინაგან საქმეთა კომისარი, სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. ქუთაისში თავი მოიყარა გურიიდან, სამტრედიიდან და ახალსენაკიდან გადმოსროლილმა რაზმებმა. გადაიკეტა ყველა ხიდი და ქუჩა. ქალაქში გამოჩნდა საპატრულო ჯავშანავტომობილი, ხოლო რკინიგზის სადგური გამაგრდა ტყვიამფრქვევებით. თბილისიდან ჩამოიყვანეს ჯავშანმატარებელი დიდ რაზმთან ერთად, რომელიც ცნობილ სამხედრო მოღვაწეს ვ. გოგუაძეს ჩააბარეს.

შეტაკება მოხდა 9 თებერვალს, დილით, სადგურთან. სამთავრობო ძალებმა რამდენიმესაათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ შეძლეს ამბოხებულთა დამარცხება, ხოლო მოროდორ-ჯარისკაცთა ერთი ჯგუფის დატყვევება მოხერხდა ივანოვის ქუჩაზე.

ბოლშევიკთა მიერ ჯარისკაცთა საბჭოდან გაგზავნილმა დელეგაციამ ხელისუფლებისაგან სახალხო გვარდიისა და ერთგული ჯარის ნაწილების ქალაქიდან გაყვანა მოითხოვა. თუმცა საგანგებო კომიტეტმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ქალაქის მილიციისა და სამთავრობო ჯარების გამირულმა შემართებამ შედეგი გამოიღო. ამბოხებულ ჯარისკაცთა 300-კაციანი რაზმი განაიარაღეს და სახლებში გაუშვეს, ხოლო პირველი სათადარიგო პოლკი მთლიანად დაშალეს. ქალაქში ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. 10 თებერვალს

ადგილობრივ დანესებულებებში მუშაობა განახლდა, სასწავლო პროცესი კი 12 თებერვალს დაიწყო. 16 თებერვალს საგანგებო კომიტეტმა ქუთაისში სამხედრო წესების გაუქმება გამოაცხადა **[იხ. გ. მჭედლიძე, 1993: 358]**.

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ინფორმაციით, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ქალაქში დაძაბული მდგომარეობა მაინც იგრძნობოდა. 10 თებერვალს სავაჭროებმა მუშაობა განაახლეს. 11-ში გარკვეულ ინციდენტს მაინც ჰქონდა ადგილი, რაც სროლაში გამოიხატა. იმავე ღამეს დაკავებულ იქნა 27 საეჭვო პირი **[გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №29]**.

ქალაქის მილიციის უფროსს ვ. სულაქველიძეს ამაგი დაუფასდა. იგი ქუთაისის გუბერნიის კომისრად დანიშნეს, ხოლო 1921 წლის იანვარ-თებერვალში თბილისის გუბერნატორის თანამდებობაზე განამნესეს **[მსჯელობისათვის იხ. გ. ბოგვერაძე, გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 2004, №15]**.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ერთის მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ – გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, თურქეთსა და ბულგარეთს შორის, 1918 წლის 3 მარტს (ძველი სტილით, 18 თებერვალს) ბრესტში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება. ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლებმა, რომლებიც არ სცნობდნენ რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას, საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიიღეს. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ბრესტის ზავის უსიტყვო დაცვა-შესრულება მოითხოვეს, ა. ჩხენკელმა ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა. 11 მარტს შეწყვეტილი მოლაპარაკება, ფაქტიურად, საომარი ვითარების განახლებას ნიშნავდა. მთელი დასავლეთ საქართველო ოსმალთა შემოსევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეს გახდა მიზეზი ქუთაისში თავდაცვის საგანგებო კომიტეტის შექმნისა, რაც აერთიანებდა სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს. ბოლშევიკები, ინტერპარტიულ კომიტეტთან და ესერებთან ერთად, ცალკე შეეცადნენ ქვეყნის თავდაცვის ღონისძიებების გატარებას. თავდაცვის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ეროვნულ-დემოკრატებმა **[გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №104; მსჯელობისათვის იხ. გ. მჭედლიძე, 1993:359-360]**.

მდგომარეობა დაიძაბა ქუთაისშიც, რის გამოც 6 მარტს გუბერნიის კომისარმა ი. კაჩუხაშვილმა გუბერნიასა და ქალაქში სამხედრო წესები და მობილიზაცია გამოაცხადა **[გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №43; გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №117]**.

ოსმალთა წინააღმდეგ ჯარში განვევის მიზნით გამოცხადებულ ახალგაზრდების სამობილიზაციო კამპანიას მონაწილეებებიც გამოუჩნდნენ – ბუღუ მდივნისა და ალექსანდრე გეგეჭკორის სახით. მათი მიზანი იყო ამიერკავკასიის საქმე ისე წასულიყო, რომ ქვეყანას დახმარება და მფარველობა საბჭოთა რუსეთისთვის ეთხოვა. მოლაპარაკებრივი მოქმედების გამო ორივე მათგანი დააპატიმრეს და ქუთაისის სატუსალოში სამი თვით გამოამწყვდიეს **[გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №152]**.

ცოტა უფრო ადრე, 1918 წლის 20 თებერვალს, ქუთაისში გაიხსნა დასავლეთ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია. მას ესწრებოდა 32 ორგანიზაციის წარმომადგენელი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბოლშევიკი ლიდერები: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. გეგეჭკორი, მ. ორახელაშვილი და სხვ. კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა 23 თებერვალს. ბოლშევიკებმა ხელსაყრელად ცნეს საქართველოში შექმნილი ვითარება შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად და შექმნეს შტაბი ს. გეგეჭკორის მეთაურობით **[ძველი და ახალი ქუთაისი, 1973:72]**.

1918 წლის 27 თებერვალს, სადღესასწაულო თარიღის, რუსეთის რევოლუციის ერთი წლისათვის აღსანიშნავად, ქუთაისში მიტინგი გაიმართა, თუმცა საზეიმო განწყობა ნამდვილად არ ჩანდა. პარტიების ლიდერთა იმედგაცრუებისა და მწუხარების მიზეზს პროფესორი გ. მჭედლიძე შემდეგნაირად აფასებს: „მენშევიკებსა და ესერებს წყალში ჩაეყარათ რუსეთისაკენ ხელგაშვერით წარმოშობილი ილუზიები, კავშირი ჩრდილოეთთან საერთოდ განწყდა. არ გამართლდა ფედერალისტების იმედი რუსეთის ფედერალური სახელმწიფოს შექმნისა. ხელოვნურად შეკონინებული ამიერკავკასიის

ფედერაცია დაშლის პირას იყო მისული. ეროვნულ-დემოკრატიები მონმენი იყვნენ საქართველოს ტრაგედიისა, სამშობლო ახალი ოსმალური აგრესიის წინაშე იდგა. მიტინგზე დაგმეს ბოლშევიკების მიერ გაფორმებული ბრესტის ზავი, ბათუმის და ყარსის თურქეთისათვის გადაცემა. ორატორები აღიარებდნენ რა ყველაფერ ამას, ხალხს მოუწოდებდნენ შეკავშირებისა და სამშობლოს დახსნისათვის აღსადგომად“ **[მსჯელობისათვის იხ. გ. მჭედლიძე, 1993:361-362].**

22 მარტს, ჯარში წასვლის მიზნით, ქუთაისში ჩამოვიდა და მოხალისედ ჩაენერა 70 კაცი ბაღდათიდან, პრაპორშჩიკ მინაძის მეთაურობით. მალე მათ ოკრიბიდან და სოფელ როკითიდან ჩამოსულელებიც შეუერთდნენ **[გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №140, №147].**

29 მარტს ბრძოლის ველს მიაშურა პორუჩიკ ივანე სოხაძის შეიარაღებულმა რაზმმა, ხოლო მარტის მიწურულს ბათუმში გაემგზავრა რაზმი ქუთაისის მუშათა საბჭოს თავმჯდომარის, ქალაქის ხმოსან გრიგოლ ურატაძის მეთაურობით **[გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918, №294].**

ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად მზად იყვნენ ქუთაისის ციხის უფროსი ი. იაშვილი და მისი 190 თანამშრომელი. ამავე პერიოდში ქალაქში დაიწყო ქართველ ოფიცერთა რაზმის შედგენა. მათი ლოზუნგი იყო: სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ **[გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №64].**

ბრძოლის ველს მიაშურეს გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ თანამშრომლებმაც. მებრძოლთა რაზმში ჩაენერა ცნობილი მწერალი გერონტი ქიქოძე და სხვ. **[იქვე, №62].** გამოცხადებული იყო იარაღის შეგროვებაც მილიციის საჭიროებისათვის. მხოლოდ ერთ დღეს არქიელის გორაზე 80 თოფი და შვიდი ათასი ვაზნა შეაგროვეს **[იქვე, №101].**

სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარ, მფრინავ რაზმებად გადაკეთებულ მილიციელთა ქუთაისურ რაზმს სათავეში ედგა ქალაქის მილიციის უფროსი ვ. სულაქველიძე. მისი ხელმძღვანელობით რაზმი ბათუმის მიმართულებით იბრძოდა **[ქცსა, ფ. 14, აღწერა 1, საქმე 279, ფ. 3].**

მიუხედავად თავდადებული ბრძოლისა ქართული სამხედრო ნაწილები ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. გარეშე ძალა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიის ერთიანობას. კვირას, 26 მაისს შეკრებილმა ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დაშლა დაადასტურა, რითაც მოიხსნა თავისი უფლებამოსილება, ხოლო იმავე დღეს 17 საათზე და 10 წუთზე, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. მიღებული იქნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი. ამ ნაბიჯით ქართველმა ერმა შეძლო საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რაც დიდ ეროვნულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

31 მაისს ქუთაისში ეროვნულ-დემოკრატი ტრიფონ ჯაფარიძის თავმჯდომარეობით გამართულმა კრებამ ეროვნულ საბჭოს მისალოცი დეპუტა გაუგზავნა და დამოუკიდებლობის გამოცხადება მიულოცა **[გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №100].**

იმავე დღეს, ქალაქის ბაღში ჩატარდა მიტინგი. მონაწილენი, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობა გამოთქვამდა სამშობლოს დაცვაში მონაწილეობის სურვილს. სახელდახელოდ დგებოდა მებრძოლმა რაზმები. ცალკე, 300 კაციანი რაზმი შეადგინეს ქუთაისელმა ებრაელებმა **[გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918, №294].**

დღის წესრიგში დადგა ცალკეული პოლიტიკური პარტიების რაზმების მაგივრად საერთო, სამხედრო ნაწილის ჩამოყალიბება და მისი ეროვნულ ჯარის შემადგენლობაში გაერთიანება. მობილიზაციის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შექმნილ ინტერპარტიულ სამობილიზაციო კომიტეტში წევრებად ირიცხებოდნენ: სოციალ-დემოკრატიები – გ. ფალავა, ნ. ჭუმბურიძე; სოციალისტ-ფედერალისტები – კ. მეუნარგია, შ. დადიანი; ბოლშევიკები – ნ. სოკოლოვსკი, ე. კანდელაკი; სოციალისტ-რევოლუციონერები – ალ. გაფრინდაშვილი, მ. ფაჩუაშვილი; ეროვნულ-დემოკრატიები – ა. თორაძე, ნ. მიქელაძე **[გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №177].**

ქუთაისში გუბერნიის კომისრის მოთხოვნით, 29 მაისს, გამართული პარტიის წარმომადგენლებსა და ქალაქის საბჭოს ხმოსნების კრების შესახებ მცირე ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „ხალხის მეგობარში“, სადაც ვკითხულობთ: „კრებაზე განიხილეს მობილიზაციის საკითხი და დაადგინეს: 1) პარტიული რაზმები გამოცხადდა გაუქმებულად და უნდა შემდგარიყო მთლიანი ჯარი; 2) მთავრობის განკარგულებით უნდა მოხდეს 35 წლამდე მამაკაცების მობილიზაცია; 3) ჯარში განწვეულებს უნდა წაეღოთ ერთი კვირის სამყოფი სურსათი; 4) უნდა მოგვარებულიყო სასურსათო საკითხი ჯარისათვის; 5) უნდა შემდგარიყო კომისია, რომელიც პროპაგანდას განეწედა მობილიზაციის სასარგებლოდ; 6) უნდა შექმნილიყო კომისია, რომელიც შეკრებდა სესხს (თანხას) ყველა პროფესიის მცხოვრებლებისაგან.

სესხის ამკრეფ კომისიაში შედიოდნენ: დ. კალანდარიშვილი, მ. მოსეშვილი, გ. გველესიანი, ი. გობერიანი, მ. ლალიძე, კ. დათეშიძე და ი. ელიგულაშვილი [გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №173].

მას შემდეგ, რაც ბათუმი, ოზურგეთი და მესხეთ-ჯავახეთი ოსმალთა ხელში აღმოჩნდა, ომის მსვლელობაში ლტოლვილთა ნაკადმა ქუთაისს მიაშურა. ქალაქის პირველდანიეებით სკოლებში მეცადინეობა შეწყდა. მთავრობა იძულებული გახდა, რომ სასკოლო შენობები ლტოლვილებისათვის დაეთმო, ხოლო მათი პრობლემების მოსაგვარებლად ლტოლვილთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტი შეექმნა. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭომ, გურულ ლტოლვილთათვის დახმარების მიზნით, კომიტეტს 10000 მანეთი შესწირა [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №73].

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კერძოდ, 1918 წლის 30 ივლისს, ქუთაისში გერმანული ბატალიონი გამოჩნდა. 1500 კაციანი ბატალიონი კლასიკურ და ქართულ გიმნაზიებში, აგრეთვე სასტუმროებში: „ფრანციაში“, „გრანდ ოტელსა“ და „პალას ოტელში“ დაბინავდა [გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918, №381; მსჯელობისათვის იხ. გ. მჭედლიძე, 1993:369; ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იანი წლებამდე, 2013:435].

11 აგვისტოს, ქალაქის ბაღში მოწყობილი ალლუმი გერმანელ ჯარისკაცთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის (მათი რაოდენობა 10000 კაცს შეადგენდა) ერთგვარ დემონსტრაციას წარმოადგენდა, რომელმაც ქალაქის მაცხოვრებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გენერალმა სუმბათაშვილმა მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა გერმანელებს ოსმალთა აგრესიის აღკვეთაში განეული დახმარებისათვის [იხ. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №146; ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იანი წლებამდე, 2013:435].

1918 წლის გაზაფხულზე ქუთაისთან უშუალოდ დაკავშირებული მოძრაობის გამოძახილია ლეჩხუმის გლეხთა ანტისამთავრობო მოძრაობა. ამ დროს ქალაქი, როგორც გუბერნიის ცენტრი ამბოხების წინააღმდეგ ბრძოლის ბაზად იქცა. საგუბერნიო ხელისუფლება ვერ ახერხებდა საბჭოთა რუსეთისადმი სიმპატიურად განწყობილი აჯანყებულების დაშოშმინებას. ამ უკანასკნელებმა შეძლეს, რომ იერიშით აეღოთ ლეჩხუმის მაზრის ცენტრი ცაგერი და განეიარაღებინათ გუბერნიის კომისრის – ი. კაჩუხაშვილის მიერ გლეხებთან მოსალაპარაკებლად, გვარდიელთა რაზმის თანხლებით გაგზავნილი დელეგაცია.

აჯანყების ჩასახშობად 8 აგვისტოს ქუთაისიდან გაფრენილმა ორმა თვითმფრინავმა ლეჩხუმში ყუმბარები ჩამოყარა და უკან დაბრუნდა [გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №229].

24 ივნისს ქუთაისში დააპატიმრეს ბოლშევიკი ლიდერები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ანტისამთავრობო გამოსვლების პროპაგანდასა და ორგანიზებაში. ესენი იყვნენ: მ. და ნ. ოკუჯავები, ნ. სოკოლოვსკი, მ. ორახელაშვილი, მ. ლომინაძე და დ. ლორთქიფანიძე [გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №197; გაზ. „რევოლუციონური ნობათი“, 1918, №40].

მათი, როგორც ბოლშევიკი ხელმძღვანელების დაპატიმრების მიზეზი, ასევე იყო ქუთაისის მილიციის მიერ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „ლამპარში“ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად

აღმოჩენილი აკრძალული ლიტერატურა და სხვა მაკომპომენტირებელი მასალები **[გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №197]**.

ხელისუფლებამ შეძლო რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში ანტისამთავრობო მოძრაობის ჩაქრობა, რაშიც გადამწვეტი როლი სწორედ ქუთაისიდან გაგზავნილმა შეირალებულმა რაზმმა შეასრულა **[იხ. გ. მჭედლიძე, 1993:369, 372]**.

ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო საერობო მმართველობის, როგორც წარმომადგენლობითი ხელისუფლების შემოღება. გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ცნობით, 1918 წლის იანვარში ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია ერობების შემოღების შესახებ გაეგზავნა სამაზრო აღმასკომს **[გაზ. „ჩვენი ქვეყნა“, 1918, №17]**. აღმასკომებისადმი აპრილის თვეში გაგზავნილი ცირკურალით არჩევნების ვადად ქალაქ ქუთაისში 8 აგვისტო განისაზღვრა **[გაზ. „რევოლუციონური ნობათი“, 1918, №25]**. თუმცა არჩევნების თარიღი შეიცვალა და იგი 18 აგვისტოს ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4410-მ ამომრჩეველმა. საარჩევნო ხმების მიხედვით სოციალ-დემოკრატებმა და სოციალ-ფედერალისტებმა სამაზრო ერობაში 10, ეროვნულ-დემოკრატებმა 4 ადგილი მიიღეს, ხოლო ესერებმა – არც ერთი **[გაზ. „ჩვენი ქვეყნა“, 1918, №151]**.

ქუთაისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების კონსოლიდაციის თვალსაზრისით. პროფესორი გ. მჭედლიძე ანალიზებს რა ამ ფენომენტთან დაკავშირებულ ისტორიულად მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს, აღნიშნავს: ქუთაისში „თავმოყრილი იყო პარტიების ჩამოყალიბებამდელი ორგანიზაციები და აქტიური წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი, ზოგიერთი პოლიტიკური მიმდინარეობა პარტიად ქუთაისში გაფორმდა“ **[მსჯელობისათვის იხ. გ. მჭედლიძე, 1993:393]**.

ქუთაისში მოღვაწეობდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატთა წრეებში საკმაოდ ცნობილი გრიგოლ ტიმოთეს ძე გიორგაძე, რომელიც 1917 წლის ივნისიდან მუშაობდა ქუთაისის რევოლუციური სასამართლოს წევრად, ხოლო 1917 წლის ივლისიდან 1918 წლის თებერვლამდე ქუთაისის გუბერნიის კომისრის თანამდებობა ეკავა. 1917 წლის ნოემბრიდან იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1918 წლის აპრილიდან – სამხედრო მინისტრი ამიერკავკასიის მთავრობაში. 1918-1919 წლებში იგი დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრის თანამდებობაზეა.

1917-1920 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ) ქუთაისის კომიტეტი გამოსცემდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“. მისი რედაქტორი 1917 წლის მარტიდან იყო გრიგოლ ურატაძე, ხოლო გაზეთის ფაქტობრივ რედაქტორად ცნობილი პუბლიცისტი ვ. ნოზაძე ითვლებოდა.

ქუთაისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. 1918 წლის მარტში, ქუთაისში გამართულ ფედერაციული საბჭოს კრებაზე პარტიის წარმომადგენლების მიერ გამოთქმული ერთსულოვანი აზრის თანახმად, „პატარა ერების სეპარატიზმი პოლიტიკური უაზრობაა და საჭიროა კავკასიაში დემოკრატიულ სახელმწიფოთა ფედერაციის შექმნა, ხოლო თუ გამოირკვა, რომ კავკასიის ან ამიერკავკასიის ფედერაციას წინ დაუძღველი დაბრკოლებანი გადაელობა, – იმავე სხდომაზე მიღებული დასკვნით, – პარტიამ მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას, რომლის ნეიტრალობა უნდა უზრუნველყოფილი იქნას დიდ სახელმწიფოთაგან“ **[გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №22]**.

ქალაქში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის საგუბერნიო, საქალაქო და საუბნო ორგანიზაციები მოქმედებდა. 1918 წლის მინურულს პარტიაში ჩამოყალიბებული მემარცხენე ოპოზიციის ძირითადი კერა სწორედ ქუთაისი იყო.

1918 წლის თებერვალში სოციალისტ-ფედერალისტების ქუთაისური შტაბ-ბინა რუსმა ჯარისკაცებმა დაარბიეს, იმ მიზეზით, რომ თითქოს ისინი საქართველოს რუსეთიდან გამოყოფას უჭერდნენ მხარს **[მსჯელობისათვის იხ. გ. მჭედლიძე, 1993:429]**.

1918 წელს ქუთაისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში გამოდიოდა გაზეთი „ხალხის მეგობარი“, რომელიც 1917 წლის 1 ოქტომბრამდე „ჩვენი მეგობრის“ სახელით იბეჭდებოდა. ის იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო.

ამ გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა გ. გველესიანის, ა. წერეთლის, შ. დადიანის, ნ. აბესაძის, კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილის, ს. გერსამიას, ვ. ბზვანელის, ჯ. ჯორჯიკიას, ს. გაჩეჩილაძისა და სხვათა კორესპონდენციები.

გაზეთების: „იმერეთის“, „სამშობლოს“ და „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციებში თანამშრომლობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის ჯგუფის წარმომადგენლები: ვ. წერეთელი, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. ჯაფარიძე, ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე), ი. ოცხელი, კ. ჩიკვაძე, ა. გარსევანიშვილი, თ. ხუსკივაძე და სხვები. პარტიის საგუბერნიო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც იყო პუბლიცისტი და პედაგოგი ალექსანდრე თორაძე, ქუთაისში, თავის საქმიანობას თბილისის ქუჩაზე ს. მიქელაძის სახლში მდებარე შტაბ-ბინაში წარმართავდა. აქვე იყო მოთავსებული გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია **[უფრო ვრცლად იხ. გ. მჭედლიძე, 1993:444]**.

„ქუთაისელი ეროვნულ-დემოკრატები, – შენიშნავს პროფესორი გ. მჭედლიძე, – პარტიის მთავარი კომიტეტის პროგრამული მოთხოვნების თანმიმდევრულ დამცველებად გვევლინებოდნენ და თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით, პრესაში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებით თუ ლექციური პროპაგანდით დიდად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ“ **[იქვე]**.

საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მტრულად განწყობილ და საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბე გაზეთებს შორის უნდა დასახელდეს 1918 წლის 8(21) მარტიდან ქუთაისში გამოშვებული რსდმპ (ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის ორგანიზაციების ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“. გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა საპროტესტო მასალები ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებდა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორებას. 16 მარტს „ჩვენი ბრძოლა“ მთავრობის განკარგულებით დაიხურა, ხოლო სტამბის მეპატრონე ი. კილაძე სასტიკად გააფრთხილეს, რომ ხელი აეღო ბოლშევიკური ლიტერატურის ბეჭდვაზე. ამა წლის 8 აპრილს რკპ(ბ) ქუთაისის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა გაზეთი „მუშის სიმართლე“. ამავე სტამბაში იბეჭდებოდა, აგრეთვე ბოლშევიკური პროკლამაციები და ფურცლები.

1918 წლის 23 დეკემბერს კომკავშირის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა დაიწყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გამოშვება **[იხ. პ. ვაჭრიძე, გაზ. „ქუთაისი“, 1971, №10]**.

რაც შეეხება სოციალისტ-რევოლუციონერების ანუ იგივე ესერებს, ისინი ქუთაისში სუსტ გაერთიანებას წარმოადგენდნენ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიდნენ.

ამრიგად, 1918 წელი ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტელი და თავდაუზოგავი ბრძოლის სანიშანსვეტო თარიღია. ამიტომ, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქების, მათ შორის ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფა დიდ ეროვნულ მიღწევათა პერიოდში; როგორ იბრძოდნენ საუკუნის წინ, საუკუნეზე მეტი ხნის დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად რიონისპირა ქალაქის სახელოვანი და უსახელო შვილები. როგორი იყო იმდროინდელი ქალაქის პოლიტიკური ცხოვრება და როგორ ეხმანებოდნენ აქ მოღვაწე პატრიოტები ქუთაისის ყოველდღიურ ცხოვრებას.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბოგვერაძე გ., 1918 წლის ქუთაისი – დამოუკიდებლობის მოლოდინი, გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 2004, №15.
2. ვაჭრიძე პ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ქუთაისში, გაზ. „ქუთაისი“, 1971, №10.
3. მჭედლიძე გ., 1993; ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი.
4. გაზ. „რევოლუციონური ნობათი“, 1918, №25, №40.
5. გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918, №282, №294, №381.
6. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №15, №17, №19, №20, №27, №29, №43, №62, №73, №100, №101, №146, №151.
7. ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, 2013; შემდგენელი და რედაქტორი გ. მჭედლიძე, ქუთაისი.
8. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით ქცსა), ფ. 14, აღწერა 1, საქმე 279, ფ. 3.
9. გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №22, №104, №117, №140, №147, №152, №173, №177, №197, №229.
10. ძველი და ახალი ქუთაისი, 1973; ქუთაისი.

KAKHABER KEBULADZE

## FROM THE HISTORY OF THE SOCIO-POLITICAL LIFE OF KUTAISI A CENTURY AGO (General Overview)

Social-economic and political situation was difficult in Kutaisi by the end of 1917 and the beginning of 1918. The governing institution of the country - Transcaucasian Commissariat - was facing a serious crisis. In January 1918, teachers and policemen went on strike demanding the pay-rise and increase in vacancies. In the petition sent to the governing body, they asked to increase the number of policemen (militia) up to 500 where 50 of them would be patrolling on horse.

According to the statement militia was supposed to be given 200 maneti (rubles) and troopers should have been paid 300 maneti. As for the head of the militia, his salary was supposed to be increased to 400 maneti. On January 27 of the same year, the city council reviewed and positively decided the issue. With the calculation of the council, the city would have to spend 495 150 rubles during the year.

On January 27 a united meeting of field specialists was held. According to the decision of the meeting, the strike of teachers was ceased due to the political situation and due to the fact that some of the demands of the teachers were satisfied.

Despite some measures that were taken by the governing body, the situation in Kutaisi was still far from being satisfactory. Soldiers who returned from the army were difficult to control. On January 28, a meeting was held. 89 military delegates attended the meeting. The new council chose the executive committee consisting of 26 people. The chairman of the committee was the second lieutenant Buchaidze, and the secretary was an army soldier Abzianidze. Under the decision of the Executive Committee, all military



personnel must quit their military rank and give guns to the men who had gone out of the army. Local commissaries should have been informed about that.

In January 1918, soldiers in the “Artillery City”, located at the end of Meskheta Street, the soldiers raided the city. There was a warehouse of the Kutaisi Mazra Military Division, where they had a large gun weapon, cars, grenades and other equipment. The rebels seized weapons and wrecked the warehouse. The robbers kept part of the things gained through robbery in the nearby Archangel Church. The militia tried to seize the looted goods. But the soldiers threw them out. Then the warehouse was set on fire. The mobilization of the city police was needed. The police scattered the robbers but they could not put out the fire. One large building was burned with four sections. The damage was 1 million rubles.

In order to put the criminal situation right and restore the order, the city government was actively working. In particular, in each district of the city the public forces were formed, which were tasked to patrol their neighborhoods together with militia subdivisions. In addition, all the military units of Bolshevik should be dismissed on the basis of the government’s decree.

Regrettably, Bolshevik soldiers refused to fulfill the government’s order. Their demand was the following: they would only fall out if they were allowed to take guns with them. On January-February newspapers reported news about the incidents of robbery, stealing, banditism, and fires. The facts of wounding and intentional murder had become increasingly frequent.

On 6 February 1918, at night, the Bolshevik arm was in the armed rebellion of military units in Kutaisi. The rebels, who were inspired by the encouragement of Bolsheviks wielded weapons, looted the population, government, public and trade offices. Institutions and schools stopped working due to anarchy in the city.

On the next day, rebels dispersed warehouses of 110th regiment and seized ammunition; The soldiers of the 115th Regiment took alcoholic drinks from Prince Olandenburg Champagne Warehouse on Balachnyi Street and took out a huge combat weapon from the Railway Executive Committee building.

The militia tried to stop the rebels in the evening, but their attempts were unsuccessful. The city had actually been controlled rebels. According to a historian G. Bogverradze’s assessment was the provocation by the Bolsheviks, which was one of the parts of their insidious plan. The situation was so strained that the city council had to convene a special meeting on February 8 and set up an “emergency committee to keep the order” to eliminate the anarchy. The Military Rules announced in Kutaisi. It meant that it was prohibited to go out from 7:00 am to 7:00 pm to into city streets, as well as buying and selling of military goods. On 8 February, at night, the Commander of the Transcaucasian Internal Affairs, Social Democrat Akaki Chkhenkeli led the operation to overthrow the insurgents. The troops from Guria, Samtredia and Akhalsenaki were gathered in Kutaisi. All bridges and streets were blocked. Patrol armored vehicles were seen in the city, and the railway station was fortified by machine guns. Military armored forces were brought from Tbilisi headed by a famous military worker V. Gogvadze.

The attack took place on 9 February, at the station. Government forces managed to defeat the insurgents after a few hours of bloody fighting. One group of marauder-soldiers was captured on Ivanov Street.

The delegation sent by the Bolsheviks to the Soldier Board requested the withdrawal of the public guard and loyal troops from the city. However, the Emergency Committee did not satisfy this demand. The heroism of the city militia and the government gave the result. The 300-soldier army of rebels was disarmed and sent home, and the first spare regiment was completely disbanded. Life in the city returned to the usual rhythm. On February 10, the work in local establishments was renewed and the study process began on February 12. On February 16, the Emergency Committee announced the cancellation of military rules in Kutaisi.

From a special scientific literature it is known that on one hand, a treaty was signed between the Soviet Russia and Germany, and on the other hand between Austria-Hungary, Turkey and Bulgaria on 3 March 1918 (old style, February 18). Representatives of the Transcaucasian Commissariat, who did not recognize the Russian Bolshevik government, did not participate in the negotiating ceasefire. After the Ottomans demanded the protection of the Treaty of Brest-Litovsk a. Chkhenkeli refused to fulfill this request. Negotiations on the 11th of March meant a resumption of war situation. The whole Western Georgia faced with the threat of Ottoman invasion. This was the reason for the creation of the Special Committee of Defense in Kutaisi, which united social-democrats and socialist federalists. The Bolsheviks, together with the Inter-Party Committee and Essers, tried to carry out the country's defense measures separately. National Democrats refused to take part in the activities of the Defense Committee.

The situation was strained in Kutaisi and on March 6, the Commissioner of the provincial Council - Kachukhashvili declared military rules and mobilization in the province and city.

On February 20, 1918, a conference of Communist organizations of the Western Transcaucasus was opened in Kutaisi. It was attended by 32 representatives. Bolshevik leaders took part in the work of the conference: Tskhakaia, p. Makharadze, S. Gegechkori, M. Orankhelashvili and others. The conference finished work on February 23. The Bolsheviks found favorable situation in Georgia to prepare armed rebellions and create a headquarters. Headed by Gegechkori.

On February 27, 1918, a rally was held in Kutaisi to commemorate the celebration date of one year of the Russian Revolution, but the festive mood was not visible. Despite the devastating struggle Georgian forces lost the fight against the Ottomans. Foreign force appeared to be a serious threat to the Transcaucasian unity. On Sunday, on May 26, the South Caucasian Seam confirmed the collapse of the Transcaucasia, thus lifting its powers, and at 17:10 the Georgian National Council announced the creation of a democratic republic. The State Independence Act was adopted. By this step the Georgian nation managed to restore the statehood lost more than a century ago, which should be considered a great national achievement.

On 31 May, the council held in Kutaisi under the chairmanship of National Democrat Triphon Japaridze sent a greetings to the National Council and congratulated the announcement of independence. On the same day, a demonstration was held in the city garden. Participants, especially pupils and young people, expressed their desire to take part in defending the homeland. The fighter squads were formed. Separately, Kutaisi Jews formed a group of 300 people.

As Batumi, Ozurgeti and Meskheta-Javakheti were in the hands of the Ottomans, the refugees fled to Kutaisi. Teaching process was stopped in Kutaisi primary schools. The government had to give the school building to the refugees. In order to resolve their problems, the Refugee Assistance Committee was created. The Kutaisi Trade-Industry Council donated 10000 rubles to assist the Guruli refugees.

After the announcement of independence, in particular on July 30, 1918, a German battalion appeared in Kutaisi. 1500-people battalion accommodated in classical and Georgian gymnasiums, as well as in hotels: "France", "Grand Hotel" and "Palace Hotel".

On August 11, a parade arranged in the city garden was a demonstration of a very significant part of German soldiers (their number was 10000), which impressed the city residents. General Sumbatashvili thanked the Germans on behalf of the government for assistance in the prevention of the Ottoman Aggression. 1918 spring movement directly caused anti-government movement in Lechkhumi. At that time, the city as a center of the province become a base for the rebellion. The governmental authority was not able to appease the rebels who sympathized the Soviet Russia. The latter were able to take control of the Lechkhumi Center -Tsageri and to disarm the commissioner Kachukhashvili who headed the delegation

sent to the provincial governor. The government managed to extinguish the anti - government movement in Racha - Lechkhumi and Samegrelo with the help of the troop sent from Kutaisi.

Kutaisi was one of the important centers in terms of the consolidation of political parties of Georgia.

In 1917-1920 the Russian Social Democratic Workers' Party (RCWP) Kutaisi Committee issued a newspaper „Social Democrats“. The editor of the newspaper was Grigol Urutadze since 1917; the chief editor of the newspaper was a famous publicist V. Nozadze.

The socialist-federalist party played an important role in the political life of Kutaisi. District city and precinct organizations of Social-Federalists acted in Kutaisi. At the end of 1918, it was Kutaisi that was the left-wing opposition in the party.

In February 1918, Russian soldiers dispersed the Kutaisi headquarters of the Socialist-Federalists, as if they were supporting Georgia from Russia. In 1918, the newspaper „People's Friend“ was published in Kutaisi during the fight for creation of the Democratic Republic of Georgia, which was published first on October 1, 1917 under the name „Our Friend“.

Correspondence of Gvelesiani, A. Tsereteli, Sh. Dadiani, N. Abesadze, K. Gamsakhurdia, I. Grishashvili, S. Gersamia, V. Blvannel, J. Georgia, S. Gachechiladze and others were published in the newspaper. Representatives of the Kutaisi group of National Democratic Party cooperated in the newspapers: „Imereti“, „Motherland“ and „Our Country“. Among them were: V. Tsereteli, N. Lortkipanidze, t. Japaridze, Ia Ekaladze (Iakob Tsintsadze), I. Otskheli, K. Chikvaidze, A. Garsevanishvili, T. Khuskivadze and others. Party Committee which was chaired by a publicist and teacher Alexander Toradze was housed in Kutaisi in Tbilisi Street in the house of S. Mikeladze. The editorial board of the newspaper „Our Country“ was also placed here.

The daily newspaper of the Western Transcaucasian organizations „Our struggle“ 1918 8 (21) is one of the newspapers that showed hostility to the independence of Georgia and support of the Soviet government. The paper published protests about the decision of the Transcaucasian Seim. They protested the removal of the Transcaucasia from Soviet Russia. On March 16, „Our Struggle“ was closed by the government's decree. The owner of the printing house Kiladze was brutally warned to stop printing of Bolshevik literature. On April 8 of this year, the newspaper „The Truth of a Worker“ was published in the illegal printing house by the Kutaisi Committee. Bolshevik proclamations and papers were also printed in the same printing house.

On December 23, 1918 Kutaisi District Committee of Komsomol launched the newspaper „Young Communist“. As for the socialist revolutionaries, the same as Essers they were a weak union in Kutaisi and could not create significant political weather.

Thus, the 1918 year is a bookmark date for the fight for independence of the Georgian nation. Therefore, it is naturally to be interested in the major cities of Georgia, including Kutaisi public-political life during the great national achievements; It is interesting to see how the famous and anonymous natives of the city of Kutaisi on the banks of the river Rioni fought to restore statehood of the country. It is interesting to see what was the political life of that city like and how the patriots working and living in Kutaisi reacted to everyday life of Kutaisi.

ნათო ნიძაბაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## XIX საუკუნის 40-50-იანი წლების პატრიოტული კონსერვატიზმი „ცისკრელი“

XIX საუკუნის 40-იან წლებში, ცარიზმმა ამიერკავკასიასა და საქართველოში მოსახლეობის პირობების და ადათნესების გაუთვალისწინებლად მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია გაატარა. რეფორმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, რამაც აიძულა ნიკოლოზ I დათმობებზე წასულიყო. 1844 წლიდან მთავარმართებლის თანამდებობის მაგიერ დაწესდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა.

1844 წელს თბილისში ჩამოვიდა კავკასიის პირველი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი, რომელიც უღმობელი კოლონიზატორი იყო. ამასთან იგი შეეცადა ეს გაეკეთებინა არა ძალმომრეობით, არამედ ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. მისი ინიციატივით აღდგა ქართული თეატრი, დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი“, რაც იმდროისათვის მოულოდნელი ამბავი იყო.

რუსული საიმპერიო ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა ქართველი არისტოკრატის გულის მოსაგებად. რის შედეგადაც მოთვინიერებული ელიტარული თავადაზნაურობა პატრიოტული კონსერვატიზმის პოზიციაზე დგება. ისინი სამ პოსტულატს აღიარებდნენ: 1. რუსეთის იმპერიის ერთგულება; 2. რომანტიკული პატრიოტიზმი; 3. სოციალური კონსერვატიზმი, რაც გამოიხატება არსებული ბატონყმური სისტემის შენარჩუნების სურვილში.

ასეთ შეხედულებებს ავითარებდნენ ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო თავმოყრილი არისტოკრატის წარმომადგენლები: დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ბარბარე ჯორჯაძე, რევაზ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვები.

მართალია, ჟურნალი „ცისკარი“ მთავრობის დახმარებით დაარსდა (ვორონცოვის ინიციატივით), მაგრამ იგი ვერ შექმნიდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, თვით საზოგადოებაში, რომ არ ყოფილიყო ამისათვის მზაობა. ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. [არჩ. ჯორჯაძე, თბ; 1889:105].

ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წელს გიორგი ერისთავის რედაქტორობით. ჟურნალმა მხოლოდ ორი წელი იარსება, 1857 წელს განახლდა მისი გამოცემა ივ. კერესელიძის რედაქტორობით. 60-იანი წლების დასაწყისში ჟურნალი ვეღარ პასუხობდა ქართული საზოგადოებრივი აზრის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს.

XIX საუკუნის 60-იანი წლები საქართველოში ახალ და ძველ თაობათა, არსებითად ლიბერალ-კონსერვატორთა და დემოკრატთა შეტაკებით დაიწყო. თაობათა ბრძოლა ბატონყმობის მომხრე და მოწინააღმდეგე ძალთა ურთიერთ დაპირისპირებულებას გამოხატავდა. კონსერვატორები და ლიბერალები თავადაზნაურობის მხარეზე დადგნენ, დემოკრატები-მთელი ხალხის, უპირველეს ყოვლისა გლეხობის მხარეზე. [საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. VI, თბ; 1970:112].

„ცისკრის“ გარშემო დარაზმულ კონსერვატორული ბანაკის პირველი საბრძოლო გამოწვევა ილია ჭავჭავაძემ ითავა. ჟურნალის 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა მისი ცნობილი სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შემლის თარგმანზედა“.

ილია განიხილავდა კოზლოვის „შემლის“ ქართულ თარგმანს, რომელიც თავ. რ. შ. ერისთავის მიერ იყო შესრულებული და ცხადყოფდა, რომ იგი როგორც ყოვლად უხეირო, „გვეფხისტყაოსნის“ დიდებულ ენას შეურაცხყოფდა.

მაღე „ცისკარში“ დაიწყო კრიტიკული წერილების წერა. 1861 წლის „ცისკრის“ მე-5 ნომერი თითქმის მთლიანად ილიას სტატიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ილიაც პასუხს არ აყოვნებს: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც აალებინე, ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუშლავინე; ვისაც „შინიდან ფეხი კარში არ გამოუდგამს“ და რალაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს რა, ისიც კი აალაპარაკე თეორეტიკის გარეშე საგანზედ [ი. ჭავჭავაძე, 1991:32].

ილიას პასუხმა კიდევ უფრო გაამწარა „ცისკრის“ კონსერვატორული ბანაკი, პოლემიკაში ახალ-ახალი ძალები ებმებოდნენ. „ცისკრის“ იმ ნომერში, სადაც ილიას პასუხი გამოქვეყნდა, დაიბეჭდა სარდიონ მესხიევის „უსტარი ანტიკრიტიკული“. ილიას მოწინააღმდეგენი ვარაუდობდნენ, რომ მის აზრს დიდი რეზონანსი ექნებოდა. თვით მესხიევი გულნატკენი იყო იმით, რომ ილიამ მის მიერ თარგმნილი მონტარტელის „მეუდაბნოეც“ დაიწუნა [ი. ჭავჭავაძე, 1986:49].

„ცისკარში“ აღიძრა საკითხი ქართული ენის შესახებ, დაიწყო კრიტიკული წერილების წერა. „ჩვენი მწერალი ქალი ბრძანებს, ვითომც მე ვანბობდე, ეგენი ქართულს ახდენენ, – წერდა ილია, – ტყუილია თუ?... უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას...“ [ი. ჭავჭავაძე, 1991:48].

ქართული ლიტერატურის იმდროინდელ საჭირობოროტო საკითხებს მიეძღვნა გ. წერეთლის სტატია „ცისკარს“ რა აკაკანებდა. მან მკაცრად გააკრიტიკა „ცისკარი“ და მიუთითა საერთოდ ქართული მწერლობის ჩამორჩენილობაზე. [„საქართველოს მოამბე“, 1853:39-61].

კონსერვატორთა ბანაკიდან კნ. ბარბარე ჯორჯაძე ყველაზე მეტად აქტიურობდა.

ბარბარე ჯორჯაძე (1833-1895) დღეისათვის სამართლიანად არის დავინწყებული, რადგან ავტორმა უფრო დიდხანს იცოცხლა, ვიდრე მისმა შემოქმედებამ, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას მისი დავინწყებისათვის. საყურადღებოა თუნდაც ის ფაქტი, რომ „ძველთაგან“ ილია ჭავჭავაძეს ყველაზე დიდი ბრძოლა სწორედ ბ. ჯორჯაძემ გაუმართა. ეს უკვე აძლევს მას უფლებას ადგილი დაიჭიროს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. იგი იყო ძველი სალიტერატურო ტრადიციების ერთგული მიმდევარი. მან კარგად იცოდა ძველი მწერლობა, მაგრამ ახალს სრულიად ჩამორჩენილი იყო.

ამრიგად ბარბარე ჯორჯაძემ, როგორც მანდილოსანმა მწერალმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო იმ ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც 60-იან წლებში ილიამ გაუმართა „ძველებს“ და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველისა და ახლის ჯვარედინ გზაზე.

დიმიტრი ყიფიანის (1814-1887) მოღვაწეობა ცარიზმის წინააღმდეგ ფარულ შეთქმულებაში მონაწილეობით დაიწყო და რუსეთის ხელისუფალთა წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებით დამთავრდა. პირველად მას ციხე და გადასახლება ერგო წილად, მეორედ სიკვდილი. ორჯერვე დამარცხდა იგი, მაგრამ ეს ფიზიკური დამარცხებანი, გაცილებით დიდი მორალური გამარჯვებანი იყო, ვიდრე მისი უდიდესი წარმატებანი მეფისა და თავადაზნაურობის სამსახურში.

„ერთგულება ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უმაღლესი ტახტისადმი აუცილებელია, – წერდა დ. ყიფიანი, ამავე დროს იგი დიდი ქართველი პატრიოტიც იყო. ქართველი ხალხის ჩაგვრაში, ბრალს სდებდა არა თვითმპყრობელობას, არამედ საქართველოს ადმინისტრაციას. მისი აზრით, უვარგისი იყო არა სისტემა, არამედ პოლიტიკა. ამ გულუბრყვილობის შედეგი იყო მისი ერთი მხრივ თავდადებული სამსახური ტახტისადმი და მეორე მხრივ, თავგანწირული ბრძოლა საქართველოს მმართველებად დანიშნულ საერო და სასულიერო მოხელეთა წინააღმდეგ.“

ილია დიდად აფასებდა დ. ყიფიანს, როგორც მტკიცე ხასიათისა და ურყევი ნებისყოფის მქონე პატრიოტს. იგი „გვწრთნის, გვასწავლის და გვზრდისო“ [მ. გაფრინდაშვილი, 1988:72].

XIX საუკუნის 80-იან წლებში, ცარიზმმა სასტიკი იერიში მიიტანა არარუს ხალხებზე. დ. ყიფიანმა ღია წერილი დაბეჭდა „დროებაში“. წერილში წინაპართა გახსენება, თავის მოწონებაც და თითქმის მუქარაც გამოსჭვივის. ნადირშაჰებმა არა დაგვაკლეს რა და აბა თქვენ რას გვიზამთო. აქედან, ჩანს, რომ დ. ყიფიანის ნებისყოფა უკვე ამოძრავებულია დიდი საქმისათვის.

უმჯობესია არჩ. ჯორჯაძეს მოვუსმინოთ: ვინ იქნება ის გაბედული ადამიანი, რომ შეებრძოლოს

ცარიზმის მოხელეებს. თავადაზნაურობა? არა ინტელიგენცია? არა. მაშ ვინ იქნება ის, ვინც ხმას აღიმალღებს უსამართლობის წინააღმდეგ? ეს არის დიმიტრი ყიფიანი [არჩ. ჯორჯაძე, 1989:518-519].

1886 წლის 24 მაისს, სემინარიის რექტორის ჩუდევცკის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარხოსმა პავლემ დასწყევლა მკვლელის ოჯახი და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა იგი. ამ ფაქტის წინააღმდეგ ხმის ამოღება სიკვდილის ტოლფასი იყო. მიუხედავად ამისა დ. ყიფიანმა წერილი მისწერა ეგზარხოსს და მოთხოვა ქვეყნის დატოვება. ეს იყო უდიდესი გაბედული გამოსვლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, რითაც იგი დაუპირისპირდა ხელისუფლების მთელ სისტემას.

იმპ. ალექსანდრე III-ის ბრძანებით დ. ყიფიანი გადააყენეს წინამძღოლობიდან და 75 წლის მოხუცი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ბარბაროსულად მოაკვლევინეს კიდეც 1887 წელს. დიმიტრის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა აკ. წერეთელმა, აქვე ნაუკითხავს ლექსი „განთიადი“, რომელშიც პოეტი მას „თავდადებულს“ და „მტრის ურჩ რაინდს“ უწოდებდა.

გრიგოლ ორბელიანი (1804-1883), მისი პიროვნების უმთავრესი ნიშანი, მაინც ვაჟკაცობა იყო. ძალიან ძლიერი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ მარტოდ-მარტოს, უოჯახოს გადაეტანა თავს დატეხილი ოჯახური ტრაგედია, (საცოლის ღალატი, ძმების ომში დაღუპვა, ერთადერთი ძმისშვილისა და გენიალური დისშვილის (ნიკ. ბარათაშვილი) უდროოდ სიკვდილი. კავკასიაში რუსეთისა და თურქეთ-ირანის ომების მთელი სიმძიმეც, თითქმის 40 წლის მანძილზე, მის სახელთანაა დაკავშირებული.

ქართველმა განმანათლებელმა დემოკრატებმა ცარიზმის ყოფილი დიდმოხელე არ დაინდეს და პირდაპირი იერიში მიიტანეს მის მოძველებულ პატრიოტიზმსა და ლიბერალიზმზე. ილია ჭავჭავაძემ გამოცანით გაკენწლა იგი, აკ. წერეთელმა „ეს დათვი ორ-ბელიანი უწოდა, გ. წერეთელს და ს. მესხს მისი ხსენებაც აღარ სურდათ.

პოეტმა კონსერვატორმა იფეთქა გამოცანების პასუხად, რომელშიც არათავაზიანად არიან გაკრიტიკებული „აკაკიები, ბაკაკიები, რიონელები, გოგიტელები, ე. ი. მთელი დემოკრატიული ახალთაობა. გრ. ორბელიანმა, ვერ მოზომა, „ილიას ასე არ გაუმეტებია გრ. ორბელიანი“. [ელგ. მალრაძე, გრ. ორბელიანი 1967:492].

გრ. ორბელიანი არ ყოფილა ძველი საქართველოს უბრალო მეხოტბე, იგი იყო ახალი საქართველოს ერთ-ერთი მოღვაწეც, რომელიც ხედავდა ხალხის ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას და ეძებდა მათი ხსნის გზას.

გრ. ორბელიანი, ერეკლე II-ის შთამომავალი (შვილთაშვილი) და რუსეთის იმპერატორის გენერალ-ადიუტანტი, თავის დიდ ნიჭს განთავისუფლებულ სამშობლოზე ოცნებას ახმარდა. იგი შენატროდა მათ, ვინც თავისი სიცოცხლე მამულს შესწირა მსხვერპლად.

1871 წელს საქართველოს რუსეთის მონარქი ალექსანდრე II ეწვია. თერგდალეულებმა იცოდნენ, რომ რაიმე მოწყალების იმედი ქართველ ხალხს არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ რადგან სათხოვარზე მიდგა საქმე, ქართველ ხალხს პირველ რიგში ეროვნული უმადლესი სასწავლებელი სჭისდებოდა. ამიტომ კომისიის ერთმა ნაწილმა (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, მ. ლოლობერიძე, ი. თარხნიშვილი) ძირითად მოთხოვნად საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა შეიტანა. კონსერვატორებმა, კადეტთა კორპუსის გახსნა მიიჩნია ძირითად საკითხად.

აღნიშნულ ფაქტში ნათლად გამოვლინდა კონსერვატორთა სულიერი კრედო, ერისადმი საჭირობოროტო საკითხისადმი გულცივობა.

გრ. ორბელიანის შეფასებაში ილია დიდ სიფრთხილეს იჩენს. მას იგი „გულმხურვალე“ „ჭკვა-მალალ“ კაცად მიაჩნია და ძველი თაობიდან გამოყოფს, როგორც „გრძნობით სავსე და გონიერ მოღვაწეს“. მართალია, რომ ცარიზმის სამსახურს შეაღია სიცოცხლე, მაგრამ თავისი ბუნებით იგი არასოდეს არ შერიგებია იმ რეჟიმს, რომელიც საქართველოში ცარიზმმა დაამყარა.

გრ. ორბელიანის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ილია აღნიშნავდა: „შენი ქვეყნის შვილი ქართველი, რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მალღის ნიჭით და მალღის

სიტყვიერებით შუქ მოფენილსა, ქვეყნის რა წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავ დროს იგლოვებს კიდევ, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები.... სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო“. [ი. ჭავჭავაძე, 1986:244-245].

ამრიგად, გრ. ორბელიანი და დ. ყიფიანი თავიანთი ეროვნული კონცეფციით სრულიადაც არ ეკუთვნოდნენ კონსერვატორების თაობას. პირველი ამ ორი თაობის შუა მერყეობდა, მაგრამ შინაგანად ახალი თაობის მხარეზე იდგა. მეორე ცარიზმისადმი ერთგული სამსახურის მიუხედავად, პატრიოიტი ქართველის იდეალურ ტიპს განასახიერებდა. მზად იყო გაენირა სიცოცხლეც კი სამშობლოს ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში. შეწირა კიდევ საკუთარი სიცოცხლე თავის ქვეყანას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- არჩ. ჯორჯაძე, 1989 – არჩილ ჯორჯაძე, წერილები „დემიტრი ყიფიანი“ თბ. 1989.  
 არჩ. ჯორჯაძე, 1989 – არჩილ ჯორჯაძე, წერილები „დემიტრი ყიფიანი“ თბ. 1989.  
 ი.ჭავჭავაძე, 1991 – ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. V „კრიტიკა“, თბ. 1991.  
 ი.ჭავჭავაძე, 1986 – ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. III „კრიტიკა“, თბ. 1986.  
 მ. გაფრინდაშვილი, 1988 – მიხეილ გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბ. 1988.  
 ე. მალრაძე, 1967 – ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ. 1967.  
 „საქართველოს მოამბე“, 1853, №5  
 საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. VI თბ. 1970.  
 ი.ჭავჭავაძე, 1986 – ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. III „კრიტიკა“, თბ. 1986.  
 დ. შველიძე, 1993 – დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში „ფედერალისტები“, თბ. 1993.  
 ა. ბაქრაძე, 1992 – ა. ბაქრაძე „ილია და აკაკი“, თბ. 1992

NATO NIKABADZE  
 Akaki Tsereteli State University

### **PATRIOTIC CONSERVATISM IN 40-50S OF THE 19TH CENTURY „TSISKARIAN”**

Russian empire tried to win the heart of Georgian aristocracy. Subdued nobleness support the patriotic conservatism. They gathered around the literary magazine „Tsiskari”.

„Tsiskari” was first published in 1852, with editing of Giorgi Eristavi. It lasted for only two years. In 1857, Ivane Kereselidze resumed the edition of the magazine.

In 60s of the 19th century started the literary-ideological war between new and old generation. Liberals and conservators supported nobleness, democrats supported people’s rights.

Ilia Chavchavadze was the fist who encouraged conservators to join this battle. The battle begin in April, 1861, when Ilia Chavchavadze published critical article, “Two words about translation of kozlov’s „mad” by Revaz Eristavi”. Ilia considered this translation useless.

The fifth issue of magazine “Thiskari” was against ilia’s critical letter. Soon ilia’s response was published in „Tsiskari”. Representatives of conservatism who gathered around the magazine „Tsiskari” started fighting against Ilia Chavchavadze. Among those people were: Barbare Jorjadze, Dimitri Kipiani, Grigol Orbeliani, Aleksandre Orbeliani and many others.

## **დემოკრატიული რესპუბლიკის საბანაო-საპოლიტიკო საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ 1918–1921 წლებში**

1918 წ. 26 ივლისს, ე. ი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ზუსტად ორ თვეში, განათლების სამინისტრომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც იგი არაქართველი მშობლებისაგან ითხოვდა, სასწრაფოდ ეცნობებინათ სამინისტროსათვის, ასწავლიდნენ თუ არა მათ შვილებს მშობლიურ ენაზე სკოლაში. სამინისტროს უნდა სცოდნოდა ასეთ ბავშვთა რაოდენობა, რათა წინასწარ დაეჭირა თადარიგი და ეზრუნა მათთვის მშობლიურ ენაზე სკოლების მოწყობაზე. „ისინი ხომ საქართველოს შვილები არიან და მათზე ზრუნვაც ჩენი მოვალეობააო, – განაცხადა სამინისტრომ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, 2).

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ამ კუთხით განეული მუშაობა ნათელი პასუხია იმ ათასგვარ მონაწირობეზე, რომელსაც ბოლო წლებში განსაკუთრებული გულმოდგინებით ავრცელებდნენ აფხაზი და ოსი სეპარატისტები. ამ ჭორებისა და ცილისწამების არსი კი ისაა, რომ თითქოსდა, დემოკრატიული საქართველო მათ დევნიდა, ავიწროებდა და ხელს უშლიდა მათი ეროვნული კულტურის განვითარებას. კვლევა-ძიება კი სულ სხვა სურათს გვიჩვენებს.

იმავე თვეში სამინისტრომ გაზეთში მეორე განცხადებაც გამოაქვეყნა: „რადგანაც მომავალი სასწავლო წლისთვის საჭიროა გამოირკვეს რიცხვი იმ არაქართველ მონაფეთა, რომელნიც როგორც საქართველოს მოქალაქეთა შვილები, სწავლის გასაგრძობად სახელმწიფო საშუალო სასწავლებლებში დარჩებიან, წინადადება ეძლევათ არაქართველ მონაფეთა მშობლებს ამა წლის 5 აგვისტომდე განცხადება შეიტანონ სათანადო სასწავლებელში, სურთ თუ არა მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეთ (ქვეშევრდომთ) თავისი შვილები სწავლის მისაღებად საქართველოს საშუალო სასწავლებლებში დასტოვონ, სადაც სწავლება მათს სამშობლო ენაზე იწარმოებს“ (გაზ. „საქ. რესპ“, 1918, №4). აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდა სახელმწიფო თავის არაქართველ მოქალაქეებს ჰპირდებოდა სწავლების უზრუნველყოფას თავიანთ მშობლიურ ენაზე და არა რუსულ ენაზე, რომელიც მანამდე იყო გაბატონებული. ბუნებრივია, რომ მთავრობის ეს პოზიცია ძალზე ლოგიკური და სწორი იყო – რაკი საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მის ტერიტორიაზე მცხოვრებს იგი აძლევდა არჩევანის უფლებას, – ესწავლა სახელმწიფო – ქართულ, ან მისთვის მშობლიურ ენაზე, ოღონდ არა სხვა სახელმწიფოს ენაზე, ამ შემთხვევაში რუსულად, მითუმეტეს, რომ ეს სახელმწიფო მტრულად იყო განწყობილი და საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ახალგაზრდა რესპუბლიკასთან. დათანხმება საქართველოს არაქართველთა მიერ განათლების რუსულ ენაზე მიღებაში, ნიშნავდა დათანხმებას პოტენციურად არაერთგულ მოქალაქეთა აღზრდაზე, რომელთაც არა მხოლოდ ქართული ენა არ ეცოდინებოდათ, არამედ წარმოდგენაც კი არ ექნებოდათ როგორც საქართველოს, ისე თავიანთ მშობლიურ ისტორიაზეც (სამწუხაროდ, საქართველოში ბოლშევიკების ბატონობის წლებში ეს საფრთხე რეალობად იქცა).

განათლების სამინისტრომ განაცხადა, რომ იგი თავისი ხარჯებით არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ, სომხურ და სხვაენოვან სკოლებსაც შეინახავდა, ოღონდ, გაეროვნულება აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული. ( გაზ. „საქ. რესპ“. 1918, N 113).



საქართველოში ელინთა გიმნაზია, სადაც სწავლა ბერძნულ ენაზე იყო და მას ფინანსურად სახელმწიფოც ეხმარებოდა, ასევე, შუსტერის მიერ დაარსებული ებრაელთა რვაკლასიანი გიმნაზია, რომელშიც მოსწავლეებს ეროვნების მიუხედავად იღებდნენ და სწავლება ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე მიმდინარეობდა. გიმნაზიის ებრაულობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ იქ ებრაელთათვის სავალდებულო იყო ებრაული ენის სწავლა. უფრო მეტიც, ის ებრაელი, რომელიც ვერ ჩააბარებდა გამოცდას ებრაულ ენაში, გიმნაზიაში მხოლოდ იმ პირობით მიიღებოდა, თუკი იგი კერძოდ იმეცადინებდა ებრაულში. ამ გიმნაზიის მმართველი გახლდათ ბ. კრამარენკო. (გაზ. „საქ. რესპ.“, 1918, 10).

თბილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ასევე გადაწყდა პირველ დაწყებითი სკოლები გაეხსნათ ებრაელებისა და აისორებისათვის. (გაზ. „საქ. რესპ.“, 1918, 55).

მალე რესპუბლიკის მთავრობამ განათლების სამინისტროს დაავალა, რომ შეემუშავებინა გეგმა რუსებისა და სომხებისათვის ცალ-ცალკე გიმნაზიების დაარსებისათვის მხოლოდ იმ პირობით, რომ დაკომპლექტებისას უპირატესობა საქართველოს ქვეშევრდომთა შვილებს მისცემოდათ (გაზ. „საქ. რესპ.“, 1918, 13).

1920 წ. განხორციელდა კიდევ მთავრობის ეს დავალება და თბილისში შეიქმნა ვაჟთა 2 რუსული, 3 სომხური და ქალთა 3 სომხური და 2 რუსული გიმნაზია. საერთოდ კი, ქალაქში ამ წელს მოქმედებდა 23 რუსული და 18 სომხური სასწავლებელი. რუსული ჯგუფები არსებობდა გორის, ქუთაისის, ფოთის და ბათუმის გიმნაზიებშიც, ხოლო სოხუმში – 2 რუსული გიმნაზია.

თბილისშივე გახსნა გერმანელთა ეროვნულმა საბჭომ გერმანული რეალური სასწავლებელი (გიმნაზია). თბილისში მოქმედებდა, აგრეთვე, 2 მუსულმანური და პოლონური სასწავლებლებიც.

საქართველოში საკმაოდ ფართო ქსელი იყო სომხური სკოლებისაც. მაგალითად, თბილისში იყო სომხური სასულიერო სემინარია, სომხური გიმნაზია (3 სუფთა სომხური, 4 სომხურ-რუსული და 5 ქართულ-სომხური) და სომხური დაწყებითი სასწავლებლები.

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე მონყობილ სკოლებში სწავლების ორგანიზაციაც სათანადო სიმაღლეზე იდგა. ძალზე პრინციპული და სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული იმის თაობაზე, რომ ამ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დათმობოდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას და მალე განათლების სამინისტრომ ეროვნულ საბჭოში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლებას ჯერ მეოთხე კლასამდე, საქართველოს ისტორიას კი, ასევე, სავალდებულოდ უფროს კლასებში, ოღონდ, რუსულ ენაზე. საქართველოს ისტორიის რუსულ ენაზე სწავლება მაშინ გამართლებული იყო, რადგანაც არაქართველ მოსწავლეთა უდიდესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა.

ცალკე უნდა შევეხოთ აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას. საქმე იმაშია, რომ აქ 1917 წლიდან 1919 წ. სექტემბრამდე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეცადინეობები საერთოდ არ ტარდებოდა. იგი მხოლოდ 1919 წ. სექტემბრიდან განახლდა. მდგომარეობის გამოსწორებას ართულებდა მასწავლებელთა კატასტროფული სიმცირე. განსაკუთრებით კი, ქართულის მასწავლებლებისა. ამ საქმის გამოსწორების ცდა იყო 1919 წ. ზაფხულში, გალში, სამურზაყანოს მასწავლებელთათვის კურსების მონყობა. ბევრგან ქართულ სკოლებშიც კი ვერ მოხერხდა გაეროვნება და ქართულის გარდა, ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა. ამის გამო ცუდ დღეში იყვნენ იქაური მეგრელები, რომლებიც რუსულად ან აფხაზურად სწავლობდნენ, ეს კი ხელს უწყობდა მათ გააფხაზებას. ქართულის მასწავლებლები საერთოდ არ ჰყავდათ გუდაუთაში, ტამიშში და სხვაგან.

საქართველოს ხელისუფლებას შემრიგებლური პოზიცია ეკავა აფხაზეთთან ურთიერთობაში, მიდიოდა ბევრ დათმობაზე და ცდილობდა მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაემწვავებინა. განათლების

ყველაზე მსხვილ ცენტრს აფხაზეთში სოხუმი წარმოადგენდა. აქ იყო რეალური სასწავლებელი, ქალთა გიმნაზია, საოსტატო სემინარია, ქართული გიმნაზია, გოლინსკის კერძო გიმნაზია და დაწყებითი სასწავლებლები, მაგრამ ამათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსული სასწავლებლები იყო. სულ კი მთელს აფხაზეთსა და სამურზაყანოში 135 მარტო დაწყებითი სკოლა იყო, როგორც ეს აღინიშნა 1920 წ. იანვარში გამართულ მასწავლებელთა I ყრილობაზე.

მიღწეული იქნა რა გარკვეული წარმატებები საქართველოში სხვა ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმეში, როგორც ეს 1920 წ. მასწავლებელთა 1 ყრილობაზე აღინიშნა, დაიწყო სომხური, ბერძნული და ოსმალური (აზერბაიჯანული) სკოლების გაეროვნებაც, თუმცა იმის გამო, რომ საქართველოში ბევრი ბერძნული და ოსმალური სკოლა იყო, მასწავლებლები კი არ კმაროდა, ამიტომ მათში ძირითადად სწავლა მაინც რუსულად მიმდინარეობდა.

მთავრობა ცდილობდა შეეცვალა ეს სიტუაცია და ზრუნვა დაიწყო მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვისაც. ამ მიზნით, 1920 წელს გაიხსნა მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები მუსულმანებისა და ბერძნებისათვის. ასევე, განათლების სამინისტროს მიმართეს წალკელმა ბერძენმა მასწავლებლებმა დახმარებისათვის, როცა მათ არ ისურვეს ელინთა საბჭოს მიერ მოწყობილ მასწავლებელთა კურსებზე სიარული. მასწავლებლებმა კურსების ორგანიზება სამინისტროს თხოვეს (გაზ. „საქ. რესპ.“, 1920, 174).

ზოგჯერ იყო ცდა არაქართული სკოლები იქაც გაეხსნათ, სადაც ამის საჭიროება არ იყო. მაგალითად, რუსულმა ეროვნულმა საბჭომ მთავრობას სთხოვა ქუთაისში გაეხსნა რუსული საშუალო სასწავლებელი, რაზედაც მან სამართლიანი უარი მიიღო. (გაზ. „საქართველო“, 1918, 149).

რეალობაა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერნაციო-ნალიზაცია მოიცავს როგორც სტრუქტურულ, ასევე, აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში.

დღეს, სწავლების ინტერნაციონალიზაციის პრინციპი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი გამოძახილია 1918–1921 წლების დემოკრატიული მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკისა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №2; №4; №10; №55; №113; №149;
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №174.
3. სცსსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 1165, ფ.14.
4. ჭუმბურიძე დ., „განათლება 1918-1921 წლებში“, თბილისი, 2000, გვ. 74–75.
5. ნიკოლეიშვილი ა. „განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თბ. 2000, გვ.19.

TEONA MURGULIA

**EDUCATIONAL POLICY OF DEMOCRATIC REPUBLIC TOWARDS  
NATIONAL MINORITIES LIVING IN GEORGIA  
IN 1918-1921 YEARS**

The effort made by the Ministry of Education of Georgia, - towards national minorities with educational approach, is the clear response for thousands of gossips which were deligently spreaded by Abkhazian and Ossetian separatists. The meaning of these gossips and defamations was as if they were persecuted and oppressed by Georgia, as if Georgia prevented the development of their national culture. But the research shows different picture.

The young state promised its non-Georgian citizens to provide them with teaching in their native language but not is Russian language being prevailing before. It's natural, that this position of government was logical and right – as Georgia was an independent country, it was giving people living on its territory, the right to choose either learn in Georgian or in their native language, but not in other languages – in this case in Russian, because this country was hostile and in a state of war with young republic.

The Ministry of Education dedared, that it would spend its expenses not only on Georgian, but on Russian and Armenian schools as well as on the schools with other nationalities. It was considered necessary to become national ( newspaper „Georgian Republic”, 1918, N 13 ).

It's read that in Georgia the internationalization process of high education became of a great value in recent years in terms of raising the quality of education and increasing competitiveness of higher educational establishments.

Nowadays, the principle of teaching internationalization, to our opinion, - is one more recall of the democratic government polities in 1918-1921 years.

## ქუთაისის მოჭირნახულე გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი (1871-1918)

ქალაქ ქუთაისში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში რამდენიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაგებობა აიგო, რომელთა პროექტის ავტორები უცხოელი არქიტექტორები იყვნენ. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, წარმოშობით გერმანელი, მაგრამ რუსეთის სამსახურში ჩამდგარი გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი. ის რამდენიმე წლის განმავლობაში მოღვაწეობდა (1898-1905 წწ) ქალაქ ქუთაისში და, როგორც ირკვევა, მან ქუთაისელთა დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი 1898 წლის 10 სექტემბრიდან დაინიშნა ქუთაისის საიჟინრო დისტანციის სამმართველოს სამხედრო ინჟინრად. მან წარმატებით განახორციელა ქუთაისში რამდენიმე პროექტი.

1897 წელს ქუთაისში ადგილობრივი ვაჟთა პროგიმნაზია გადაკეთდა რეალურ სასწავლებლად. სასწავლებელს არ ჰქონდა საკუთარი შენობა. სასწავლებლის დირექტორმა ა. მამონტოვმა თხოვა ქალაქის თვითმმართველობას სასწავლებლის შენობის ასაგებად გამოეყოთ ნაკვეთი. ქალაქის თვითმმართველობამ იმსჯელა და შესაძლებელი გახდა ყოფილი ვაჟთა პროგიმნაზიის გვერდით კონსტანტინე იოსელიანის ნაკვეთის შეძენა. საჭირო თანხის ნაწილი შეგროვდა მოსახლეობისაგან სესხის აღების გზით. სასწავლებლის მშენებლობის გენერალური გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცმა.

ვიდრე ამ პროექტს განახორციელებდა მანამდე მისი პროექტით ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის სასწავლო კორპუსს, დღევანდელი პუშკინის ქუჩიდან გაუკეთდა მიშენება 1900-1901 წლებში.

ბუნებრივია მკითხველის წინაშე ისმის კითხვა ვინ იყო გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი?

ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა, როგორც ლიტერატურული, ისე არქივში დაცული და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები. ჩვენ ხელთ არსებული მასალებით ირკვევა, რომ გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი ეროვნებით იყო გერმანელი.

იგი დაიბადა 1871 წლის 11 მაისს. 1889 წელს დაამთავრა ქალაქ ორლოვის ბახტინის კადეტთა კორპუსი. „1892 წელს დაამთავრა ნიკოლაევსკის სამხედრო სასწავლებელი და განაწილებული იქნა მესანგრეთა ბატალიონში. შემდეგ დაამთავრა ნიკოლაევსკის საიჟინრო აკადემია. 1890 წელს მიიღო პოდპორუჩიკის, 1894 წელს პორუჩიკის, 1898 წელს შტაბს-კაპიტანის, 1900 წელს კაპიტანის, ხოლო 1909 წელს პოდპოლკოვნიკის წოდებები“. (10).




გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი თავის მეუღლე ავგუსტასთან და ქალიშვილ მუზოსთან. 1914 წ.

პროფესიული საქმიანობა დაიწყო ვილენსკის საოლქო საინჟინრო სამმართველოს ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების მომზადების საქმეთა შემსრულებელ უფროს ოფიცრად.

1898 წლის 10 სექტემბრიდან, როგორც აღვნიშნეთ, დაინიშნა ქუთაისის საინჟინრო დისტანციის სამმართველოს სამხედრო ინჟინრად. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ქალაქ ქუთაისში, როგორც სამხედრო ინჟინერი.

გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცმა 1900 წლისთვის შეადგინა ქუთაისის რეალური სასწავლებლის პროექტი. პროექტი მოწონებული იქნა. რეალური სასწავლებლის მშენებლობა დაიწყო 1901 წელს. შეიქმნა საამშენებლო კომისია შემდეგი შემადგენლობით: რეალური სასწავლებლის დირექტორი ა. მამონტოვი (თავმჯდომარე) ნევრები, მასწავლებლები: ნ. მაჭავარიანი, ა. სიდორენკო, ნ. დორგოვი, ა. კოლიანკოვსკი, ვ. რომანოვსკი, ინჟინერ-პოლკოვნიკი ი. კუჩევსკი, მ. ეზაროვი, სასწავლებლის ექიმი მ. ძნელაძე, ქუთაისის საქალაქო მმართველობის წევრი ი. ჩიმაკაძე, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, ქუთაისის სახელმწიფო პალატის მე-2 განყოფილების უფროსი ი. ოსოვსკი და ინჟინერ-მშენებელი გ. ფონ-შულცი“ (1, ფურც. 5-6). კომისიის პირველი სხდომა შედგა 1901 წლის 25 მარტს. კომისიის გადაწყვეტილებით მშენებლობის ხელმძღვანელობა და საქმის წარმოება დაევა სამხედრო ინჟინერ ედვარდ გიორგის ძე ფონ შულცს. ის პასუხისმგებელი იყო კომისიის წინაშე მშენებლობის პროცესის ხარისხიანად წარმართვაზე.



**სასწავლებლის გენერალური გეგმა. შედგენილი სამხედრო ინჟინერ გ. ფონ შულცის მიერ**

ინჟინერ-მშენებელმა ფონ შულცმა კომისიის სხდომაზე განსახილველად წარმოადგინა სასწავლებლის საავადმყოფოს, ბინის ფლიგელის და სამეურნეო შენობების საბოლოო ხარჯების ანგარიშები და მთავარი სასწავლო კორპუსის თავდაპირველი პროექტის ტექნიკური გაუმჯობესების მთლიანი ღირებულება.

კომისიამ განიხილა ინჟინერ ფონ შულცის მიერ წარმოდგენილი მთავარი სასწავლო კორპუსის თავდაპირველი პროექტის ტექნიკური გაუმჯობესებისათვის დასახული მიზნები და უპირველეს ყოვლისა ყურადღება მიაქცია ბალავრის გაღრმავებისა და გაფართოების აუცილებლობას, რადგან საეჭვო გახდა გრუნტის და ფუნდამენტის ვარგისიანობა. თუმცა, საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მანამ, სანამ დაადგენდა თავის გადაწყვეტილებას ბალავრის გაფართოებასა და სიღრმის თაობაზე, კომისიამ საჭიროდ ცნო, რომ ფონ შულცი, კიდევ ერთხელ გაცნობოდა სპეციალისტ-ტექნიკოსების აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც ირკვევა ფონ შულცი სპეციალისტ-ტექნიკოსებთან ერთად ყურადღებით გაეცნო სასწავლებლის ფუნდამენტის ვარგისიანობის საკითხს და გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა ფუნდამენტის გაღრმავება, გაფართოება, რაც გამოიწვევს სასწავლებლის მშენებლობის ხარჯის გაზრდას 3000 მანეთით.

ინჟინერ-მშენებელ ფონ შულცს კომისიამ დაავალა სხდომაზე, კიდევ ერთხელ, განსახილველად წარმოედგინა დაზუსტებული სასწავლებლის საავადმყოფოს, ბინის ფლიგელის და სამეურნეო შენობების (აბანოს, საშრობის, სამრეცხაოს), როგორც პროექტი, ასევე საბოლოო ხარჯების ანგარიშები.

როგორც ირკვევა ფონ შულცი გამოირჩეოდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და პუნქტუალობით. იგი პირადად ხელმძღვანელობდა და ამონებდა შენობის ფასადის თითოეული

ქვის სიზუსტეს და ვარგისიანობას, ისე საკვამურების და წყლის მიღების მთავარი კორპუსის კედლებში განლაგებას (1, ფურც. 11-12).


ინჟინერ ფონ შულცის მოთხოვნის საფუძველზე საამშენებლო კომისიამ მშენებლობის ნორმალურად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით მშენებლობის მოიჯარადებს მოთხოვა მშენებლობაზე დაესაქმებინათ ორმოცი კალატოზი და ოცდაათი მიწის მთხრელი. დასახელებულ ციფრში არ შედიოდა ქვისა და დუღაბის მზიდავი შავი მუშები. მუშები უნდა ყოფილიყვნენ სამსახურში ყოველდღიურად და მათი რიცხვი არ უნდა შეემცირებინათ მოიჯარადებს კომისიის ნებართვის გარეშე (1, ფურც.13). რო-

გორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, მოიჯარადებმა თავი აარიდეს მშენებელ ფონ შულცის მიერ მითითებულ განაწესს მშენებლობის წარმოების დროს მსაგავსი დაუდევრობის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ კომისიამ, ფონ შულცის მოთხოვნით დაადგინა, რომ მოიჯარადებს პირველ ხანებში დაეკისროს ჯარიმა 50 მანეთის ოდენობით და შეასრულონ საამშენებლო კომისიისა და ინჟინერ ფონ შულცის 1903 წლის 23 მაისის განაწესი (1, ფურც. 14).

1901 წლის ნოემბერში ინჟინერ ფონ შულცის მოთხოვნით კომისიამ მოახდინა კონტრაქტორ ივანე ჩილინგაროვის მიერ შემოტანილი სატყეო მასალის, 50 კოჭის, შემონმება. შემონმების შედეგად კომისიამ კოჭების მთლიანი რაოდენობიდან 48 ცალი კოჭა სცნო ხარისხიანად და მისცა კონტრაქტორებს მათი გამოყენების უფლება ყველა მათგანზე დამლის დაჭდვის შემდეგ. ორი კოჭი კომისიამ არ სცნო ხარისხიანად და შესთავაზა კონტრაქტორს გაეტანა ისინი მშენებლობის ადგილიდან.

1902 წლის 7 აგვისტოს შედგა ქუთაისის რეალური სასწავლებლის მშენებლობის კომისიის სხდომა. სხდომაზე იმსჯელეს ინჟინერ ფონ შულცის მიერ მოწოდებულ წერილობით ინფორმაციაზე, რომ თლილი ქვით აგებული ტიფლისის (ამჟამად თამარ მეფის ქუჩა ი.ბ.) ქუჩის მიმდებარე ფასადის ნაწილი ძალიან ცუდია და უდიერად არის აგებული. მოიჯარადის მინდობილი პირის აბრამ ჩილინგაროვის პროტესტის მიუხედავად კომისიამ აღიარა, რომ ფონ შულცის მოთხოვნები შეესაბამება სისწორეს. კომისიამ დაადგინა, რომ მოიჯარადემ დაუყონებლივ დაარღვიოს არასწორად ნაგები ფასადი და დაავალა მოიჯარადებს მისი კვლავ ერთფეროვანი ქვით აგება, ისე რომ ქვის ზომები ზუსტად შეესაბამებოდეს პროექტით გათვალისწინებულ ზომებს. მოთხოვნის არ შესრულების შემთხვევაში კონტრაქტორები ჯარიმდებოდნენ 50 მანეთით (1, ფურც.187-188).

1902 წლის 22 საგვისტოს ქუთაისის საამშენებლო კომისიამ მოისმინა ინჟინერ ფონ შულცის მიერ განხორციელებული მიმონერა რამდენიმე თუჯის გადამდნობ ქარხანასთან, რათა დაედგინა რეკრიაციული დარბაზისთვის განკუთვნილი 4 თუჯის სვეტის ჩამოსხმისთვის საჭირო საუკეთესო პირობები. როგორც ირკვევა ინჟინერმა ფონ შულცმა წინადადებით მიმართა ბათუმში მექანიკური თუჯის გადამდნობი ქარხნის საზოგადოების წარმომადგენლს – ინჟინერ იარლოვს და ბათუმში თუჯის გადამდნობი ქარხნის მფლობელს ინჟინერ ნ. პასეკს. როგორც კომისიის ოქმიდან ჩანს, ინჟინერმა პასეკმა ზემოთ ხსენებული სვეტების შეკვეთისათვის ინჟინერ ფონ შულცს შესთავაზა ყველაზე სარფიანი პირობები – ფუთი 2 მან. 30 კაპ., ამიტომ ფუთი 2 მან. 30 კაპ. ღირებულების 750 ფუთ



ქუთაისის რეალური სასწავლებლის აბანოს, საშრობის და სამრეცხაოს პროექტი

დატვირთვაზე გათვლილი 4 თუჯის შეკვეთა მშენებელმა ფონ შულცმა მისცა ინჟინერ პასეკს.

ინჟინერმა პასეკმა გამოაგზავნა ხსენებული 4 სვეტი 437 მანეთისა და 35 კაპიკის ღირებულების. კომისიამ მოიწვია სპეციალისტები შეამოწმა ჩამოსხმული 4 თუჯის სვეტი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2 სვეტი აღმოჩნდა უვარგისი, რადგან მათ ჰქონდათ ღრმა ნიჟარები. კომისიამ შესთავაზა პასეკს ჩაენაცვლებინა ხსენებული ორი სვეტი ახალი, უხარვეზო სვეტებით დადგენილი ფასით და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემდა შესაბამის თანხას (1, ფურც. 190-193).

ფონ შულცი შესაბამისი სპეციალისტების თანდასწრებით ამოწმებდა მშენებლობაზე გამოსაყენებელი საამშენებლო ქვის კეთილთვისებიანობას. სათანადო შემოწმების შემდეგ იგი აკეთებდა შესაბამის დასკვნას ქვის ვარგისიანობის შესახებ.

1903 წლის 28 მაისს, ფონ შულცის მოთხოვნით, კომისიამ შეამოწმა მშენებლობაზე აბგარ და მიხრან ანანოვების მიერ, შემოტანილი ქვის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ქვა შემოტანილი იქნა სამუშაოების მწარმოებელი ინჟინრის ფონ შულცის დავალებით თბილისის(ამჟამად თამარ მეფის ქუჩა-ი.ბ.) ქუჩის მხრიდან სასწავლებლის ფასადისთვის. კომისიამ შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ: 1. 1903 წლის 1 ივნისისთვის შეკვეთილი ეკლარის ქვის რაოდენობა მთლიანად მოზიდულია ანანოვების მიერ; 2. მოსაპირკეთებელი ქვებიდან 14 აღმოჩნდა იმოდენა ნიჟარებით, რომ უსწორმასწოროების აღმოსაფხვრელად გათლის შემთხვევაში ქვა ვერ დააკმაყოფილებს საჭირო პარამეტრებს და 6 ნომერი შეკვეთის ქვებისგან თვლით 46-ე აღმოჩნდა ერთი ზომით მოკლე, ვიდრე იყო შეკვეთილი და ამიტომ არ ექვემდებარება მიღებას; 3. ეზოდან ამოღებული იქნას დანუწებული ორი ქვა და შეიცვალოს ვარგისიანით“ (2, ფურც. 302).

ადგილი სადაც ქუთაისის რეალური სასწავლებელი შენდებოდა დახრამული იყო, ჩამოედინებოდა ლელე. იგი ამოავსეს და გააკეთეს საწრეტი. მაგრამ ნაყარი მიწა მაინც დაიძრა, რამაც მშენებლობის დამთავრებისთანავე გამოიწვია ბზარების წარმოშობა შენობის კედელში. საამშენებლო კომისიამ შეისწავლა შექმნილი მდგომარეობა და შეშფოთება გამოთქვა ბზარების გაჩენის გამო.

საქმის მწარმოებელმა ინჟინერმა ფონ შულცმა განუმარტა კომისიის წევრებს, რომ შენობის ფუნდამენტისთვის ამოთხრილი ორმოები დათვალიერებული იქნა ქუთაისის გუბერნიის საამშენებლო განყოფილების სპეციალისტების მიერ. თანაც განმარტა, რომ ფუნდამენტის ჩაყრის დროს ორმოები იყო აბსოლიტურად მშრალი და არ იყო არავითარი წყლის გადინების კვალი სასწავლებლის მდებარეობის არეში. შემდეგ ინჟინერმა ფონ შულცმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია მიწისქვეშა წყლები მოედინებოდა ოლდენბურგის ქუჩის მიმდებარე მაღლობიდან, ამან გამოიწვია ფასადის და მისგან განლაგებული კედლების არათანაბარი დაწოლა, რამაც განაპირობა მიწის არათანაბარი დაჯდომა, რის შედეგადაც გაჩნდა ბზარი. მისი დასკვნის დასადასტურებლად ინჟინერმა ფონ შულცმა მიუთითა კედლებთან მდებარე ბეტონის ტროტუარს, რომელიც



ქუთაისის რეალური სასწავლებელი – 1905 წ.

დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სასწავლო კორპუსი

იყო, აგრეთვე დაზიანებული და პრინცი ოლდენბურგის სახლს, რომელიც დგას რეალური სასწავლებლის ოდნავ მაღლა და რომელმაც ასევე გაიკეთა ბზარები, რაც მიუთითებს მიწისქვეშა წყლების ერთი მიმართულებით დინებაზე. ამის შემდეგ ინჟინერმა ფონ შულცმა ჩათვალა საჭიროდ დამსწრე საზოგადოების ყურადღება გამამხვილებინა იმ ფაქტზე რომ, მიწისქვეშა წყალმა მთელი ძალით დააზიანა, აგრეთვე, იმ მიმართულებით მდებარე ფართი, რომელიც იყო გამოყოფილი სეისმოგრაფიული სადგურისთვის და მოსაზღვრე სარდაფი. დასახელებულ ოთხეულში საჭირო გახდა გამკლავება წყალთან და მისი აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა სეისმოგრაფი-

ული სადგურის განყოფილებაში ბეტონის სქელი ფენის დაგების და დრენაჟის გაყვანის შემდეგ. თუმცა მისი ერთი ნაწილი ამ მიმართულებით (კორიდორის ქვეშ) ისევ სველია.

ამრიგად მშენებელ-ინჟინერმა ფონ შულცმა დაარწმუნა კომისია, რომ ასეთი რამ თავიდანვე იყო მოსალოდნელი და ბზარები შენობის დანგრევის საშიშროებას არ წარმოადგენდა (2, ფ. 24).


ჩვენი აზრით, კომისიისა და პირადად ფონ შულცის დამსახურებაა, რომ დღესაც ამაყად დგას ჩვენი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა და თავისი არქიტექტურული კომპოზიციით დღესაც იქცევს ყურადღებას.

ამრიგად სასწავლებლის შენობა ნეოკლასიციზტური სტილისაა. ცენტრალური შესასვლელი ტიციან ტაბიძის ქუჩის პირა ბაღში გამავალ კორპუსშია მოთავსებული. შენობის შუა, რიზალიტებით ფლანკირებულ ნაწილს პორტიკი, ფსევდორუსტიკით დანაწევრებული გიგანტური პილასტრები, მეორე სართულის გიგანტური, მეანტრის ზოლით გაყოფილი სარკმლები და კრონშტეინებითა და კბილანებით შემკული კარნიზი გამოარჩევს. კბილანები ამკობს რიზალიტების სართულ შუა საღებავს. ნაგებობას დისკოებით შემკული მაღალი პარაპეტი ასრულებს. თამარ მეფის ქუჩის პირა სამსართულიანი კორპუსის ფასადის გაფორმებას ქალაქში პარალელი არ მოეძებნება. რელიეფური რუსტიკით შემკულ პირველ სართულს, მეორე სართულის გრაფიკული რუსტიკა და მესამე გლუვი ზედაპირი ენაცვლება. ორი ერთნაირი, მოდერნის ყაიდაზე ტრაპეციულად მოჩარჩობული კიდურა კარი ფრონტონით დასრულებულ რიზალიტებშია გაჭრილი, რომელთა მესამე სართულის სარკმლები სამსვეტიან ლოჯიაშია მოქცეული. შენობას სამ-სამად დაჯგუფებული ვიწრო სწორკუთხა სარკმლების წყება მოუყვება. კედლის წითლად შეღებილი მონაკვეთები, წითელი და შავი, მოხატული და ინკრუსტირებული მეანდრისა და სხვადასხვაგვარი პალმეტების ზოლები ფასადს განსაკუთრებულ ცხოველხატულობას ანიჭებს. ეზოსკენ კორპუსები მხოლოდ ღიობთა რიგებითა და რუტიკითაა დანაწევრებული (5).

ედვარდ გიორგის ძე ფონ შულცი „1903-1904 წლებში არჩეული იყო ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის ხმოსნად“ (4). როგორც საარქივო და პრესის მასალებიდან ირკვევა მან მრავალ მნიშვნელოვან ნამოწყებას ჩაუყარა საფუძველი ქუთაისის ისტორიული წარსულისა და კულტურის წარმოჩენისათვის.


როგორც მწერალი და კრიტიკოსი ელგუჯა თავბერიძე წიგნში „ქარის ფრთები“ წერს: „მას უყვარდა ქართველები. უყვარდა ქუთაისი. ისწავლა ქართული ენა“ (6). იყო ქალაქის მმართველობის

ხმოსანი. ოცნებობდა ქუთაისის თეთრი ხიდის სწორ რეაბილიტაციაზე და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დაცვასა და აღდგენაზე, რასაც მოწმობს იმდროინდელი ქართული პრესა. „თეთრი ხიდის შეკეთებაზე ქალაქი ყოველწლიურად თითქმის ათას მანეთს ხარჯავდა, ყოველ მესამე წელიწადს, ახალი ფიცრების დასაგებად, დაახლოებით 2400 მანეთი სჭირდებოდათ. წელი არ გავიდოდა, 200 მანეთის შესაკეთებელი





სამუშაო არ გამომტყვრალიყო (7, გვ.32). ქალაქის საკრებულოს ხმოსანმა, ინჟინერ კაპიტანმა ფონ შულცმა, ქალაქის გამგეობას ურჩია, ფიცრების მაგიერ რკინა დავაგოთ, რკინაზე გზატკეცილი, გვერდებზე ასფალტის ტროტუარი გავაკეთოთ, ეს ყველაფერი სულ 4451 მანეთი და 55 კაპიკი დაგვიჯდება. ამით ქალაქი ყოველწლიურ უნაყოფო ხარჯს გადარჩება, თანაც ხიდი საიმედო, ჩანგრევისგან დაცული იქნებაო. გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი სამთო ინჟინერი და ქალაქ ქუთაისის არქიტექტორი შეყვარებული იყო ქალაქზე. უკვირდა ქართველთა უყაირათობა და ხელგაშლილობა. მან დაიანგარიშა და ქალაქის გამგეობას მოახსენა, რომ „თეთრი ხიდის“ ყოველ ოთხკუთხ ანუ კვადრატულ მეტრს 3902 კგ. სიმძიმეს შეუძლია გაუძლოს. რკინა-გზატკეცილის დაგებით



ყოველ ოთხკუთხ მეტრს 1080 კგ. სიმძიმე ხვდება, ანუ შესაძლებელზე ოთხჯერ ნაკლებიო. ფონ შულცი ეგონა გაეხარებოდათ, გაბრაზდებოდნენ კიდევ, ტომით გერმანელმა როგორ გვაჯობაო. 1903 წელს ქალაქის გამგეობის სხდომაზე რაც, ვთქვი, თუ ეს სწორი არ იყოს, თუ ვცდებოდე, რაც გინდათ ის მიყავითო. მაგრამ მისი გაანგარიშებანი გაანგარიშებად დარჩა, ქალაქის გამგეობამ უფულობის მიზეზით უარი თქვა მის წინადადებაზე (7, გვ.219-231).

ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ფონ შულცმა ფრიად საყურადღებო მოხსენება წარუდგინა ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით ქალაქის

თავს. „ეს ნანგრევები რეინის ნაპირებზე, ანვოჰეზისა და ტიროლის მთებში რომ იყვნენ აღმართულნი, ეჭვი არ უნდა, დიდი ყურადრებით და მზრუნველობით დაიცავდა მათ მცხოვრებლები, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ისტორიული თვითცნობიერებით და თავისი წარსულისადმი პატივისცემით.

უყურადღებოდ არის დატოვებული ყველასგან ეს ძვირფასი ძეგლი: გარშემო მცხოვრებთა ყურადღება კი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მუქთად ქვის სატეხ ქარხანად გადაუქცევიათ და ტაძრის თლილის ჩუქურთმიან ქვებით ბოსლებისა და თავლების კედლებს იშენებენ.

თუმცა ამჟამად ნანგრევების დაცვა ეპარქიალური უწყების მოვალეობას შეადგენს. ქალაქი თითქოსდა განთავისუფლებულია მასზე ზრუნვისგან. მაგრამ ქალაქის თვითმმართველობის ზნეობრივი მოვალეობაა, რომ დაიცვას ეს ერთადერთი ღირშესანიშნავი ისტორიული ძეგლი და გარემესავით გულხელდაკრეფილი არ უყუროს მის შემუსვრასა და განადგურებას.

წლევეანდელმა მკაცრმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა ნანგრევებს-სულ გამონგრეულია ქვით საკურთხეველის კედელი. ასე რომ მასზე ზედა ნაწილიც ჩამოინგრევა.

ინჟინერმა შულცმა შემდეგი წინადადება შესთავაზა ქალაქის გამგეობას:

ა. აღძრული იქნას შუამდგომლობა ეპარქიალური მთავრობის წინაშე, რომ ნანგრევები რიგიანად იქნას დაცული;

ბ. ქალაქმა გადასდოს 150 მანეთი, რომ ცემენტით გამაგრებული იქნეს ნან-



გრევეების ქვედა ნაწილები და აგრეთვე ყველა ის ნაწილი, სადაც კედლის ზედაპირი ჩამონგრეულია;

**გ.** ყოველწლიურად გადაიდოს ჩამონგრეული კედლების თავის დროზე შესამაგრებლად 30 მანეთი;

**დ.** მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომ ხალხში გავრცელდეს ნანგრევებისადმი პატივისცემა. ამისთვის ქალაქმა ისარგებლოს მომავალი საიუბილეო წლით და იმ ადგილას, სადაც ტრაპეზი ყოფილა, დადგას მარმარილოს ქვა ტაძრის ისტორიის მოკლე აღწერით. ასეთი ქვა დაჯდება არაუმეტეს 100 მანეთი.

ადვილი შესაძლებელია, ქართველ ინტელიგენტთა შორის გამოჩნდეს ვინმე ისეთი, რომელიც იკისრებს ამ ტაძრის ისტორიისა და აღწერილობის შედგენას და წიგნად გამოცემას (8, გვ.3).

1904 წლის 10 ნოემბერს შედგა ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა, სადაც ფონ შულციმა წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, რომ მიღებული ყოფილიყო ზომები ბაგრატის ტაძრის ნანგრევების განადგურებისაგან დასაცავად:

**ა.** გადაიდოს 150 მანეთი ერთდროულად კედლების ზოგიერთი ჩამონგრეული ადგილის ცემენტით შესაღესად;

**ბ.** გადადებულ იქმნეს ფული ყოველწლიურად კედლებში აღმოჩენილი ნაპრალების ცემენტით ამოსაღესად;

**გ.** მიღებულ იქნას ზომები, რომ ხალხში გავრცელდეს ძველი ნაშთისადმი ინტერესი და პატივისცემა, რისთვისაც ვისარგებლებთ საიუბილეო წლით (900 წელიწადი სრულდება ტაძრის აგებიდან);

**დ.** სადაც წინათ საკურთხეველი იყო დაიდგას მარმარილოს ფიცარი ტაძრის მოკლე ისტორიის წარწერით, რაც დაჯდება არა უმეტეს 100 მანეთისა;

ქალაქის საბჭომ დაადგინა: მიღებულ იქნას ბ-ნ ფონ შულცის წინადადებანი. ამისთვის ეთხოვოს ნებართვა საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოებას, რომლის ხელშიც ბაგრატის ტაძრის ნანგრევებია (9, გვ. 3).

ამდენად ქალაქის თვითმმართველობის უგერგილობის გამო ფონ შულცის მიერ წამოწყებული ბევრი სასიკეთო საქმე განუხორციელებელი დარჩა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისში. „ის იმ ჩინოფნიკებს არ ჰგავდა, ნახევარი საუკუნე რომ მოათიეს ჩვენში და გამარჯობის თქმას ვერ ახერხებდნენ. დამტვრეული ქართულით ლაპარაკი რამდენიმე თვეში დაიწყო, მერე თანდათან დახვეწა. უყვარდა აქაურები, აქაურების მოპყრობაც სიამოვნებდა, მაგრამ მისგან ნარჩევს რომ არ იჯერებდნენ, ამაზე ძალიან წყდებოდა გული... მართლაცდა ქართველს უნდა ეყვირა, არიქა ინგრევა, ვუშველოთო. ტომით გერმანელი, რუსი მოხელე ყვიროდა, არ ესმოდათ. უკვირდა ჩემი ყვირილი რად არ ესმითო, ქართველებს ის აკვირვებდა – რა აყვირებსო. 1904 წლის 21 დეკემბერს, მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ქუთაისის გამგეობას თხოვა, ასეთ მცირე თანხაზე უარი არ ეთქვათ, ფონ შულცს მხარი დაუჭირეთო. ბაგრატის ნგრევა გაგრძელდა. გაკვირვებული დადიოდა ფონ შულცი, ვერ გაეგო, რატომ იგზავნებოდა მეორისკენ, მეორიდან – მესამისკენ, მესამიდან პირველისკენ“ (6, გვ.221-231).

1905 წლის 31 იანვარს ფონ შულცი გადაიყვანეს საინჟინრო სამმართველოს უფროსის თანამემნედ. 1906 წელს ფონ შულცი დაჯილდოებული იქნა წმინდა ანას მესამე ხარისხის, ხოლო 1910 წელს წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით.

1909 წლის აგვისტოდან იგი დაინიშნა კუშკინსკის ციხე-სიმაგრის ინჟინრების ხელმძღვანელად. გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი გარდაიცვალა 1918 წელს (10).

მიგვაჩნია, რომ იმდენად დიდია ედვარდ გიორგის ძე ფონ შულცის დამსახურება ქალაქ ქუთაისის და კერძოდ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (ყოფილი რეალური სასწავლებელი – ი.ბ.) მშენებლობის საქმეში, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსზე უნდა გაკეთდეს მემორიალური დაფა, რომელზედაც აღიბეჭდება ამ გამოჩენილი ადამიანის სახელი და გვარი, როგორც პროექტის ავტორისა და აღმშენებლის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №20, საქმე №4.
2. ქცა, ფონდი 20, საქმე №18.
3. ქცა, ფონდი 108, საქმე №2742.
4. ქცა, ფონდი 108, საქმე №2389.
5. საქართველოს უძველესი ქალაქები: ქუთაისი”, 2006.
6. ე. თავბერიძე, ქარის ფრთები, წიგნი II, ქუთაისი, 2017.
7. ვ. წვერავა, ქუთაისის ხიდების ისტორიისათვის, ქუთაისი, 2018.
8. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 15 აპრილი, №2122.
9. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 14 ნოემბერი, №2670.
10. Поиск ФИО по «Картотеке Бюро по учету потерь на фронтах Первой мировой войны 1914–1918 гг.» в РГВИА.

IMERI BASILADZE

*Professor of Akaki Tsereteli State University*

## **BENEFACTOR OF KUTAISI**

### **GEORGE VON SHULTZ**

**(1871-1918)**

The article studies and analyses George von Shultz’s contribution to the city of Kutaisi based on archival materials.

At the end of the 19th and beginning of the 20th century several important architectural monuments designed by foreign architects were built in Kutaisi. George von Shultz, an architect of German origin deserves particular attention in this context. He worked in Kutaisi for several years (1898-1905) and as it turns out, he earned great respect and love of the people of Kutaisi.

George von Shultz was appointed as a military engineer at Kutaisi Engineering Distance Department. He successfully implemented several projects including 1. an additional wing of Kutaisi St. Nino’s school in 1900-1901; 2. Kutaisi Secular School (currently Building 1 of Akaki Tsereteli State University). George von Shultz was a senior executive and immediate supervisor of both projects.

In 1903-1904 George von Shultz was elected as a member of the city’s self-government. In this capacity he proposed implementation of several projects national importance such as: 1. Correct rehabilitation of Tetri Khidi (White Bridge) in Kutaisi; 2. Conservation and rehabilitation of the remains of Bagrati Cathedral.

## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიიდან

(ივანე ჯავახიშვილი და ქუთაისი)

2018 წლის მაისში, ისტორიული მუზეუმის განათლების ფონდში, შემოვიტანე ჩემი მეუღლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გურამ გაბუნის – საოჯახო არქივი, სადაც სხვა უნიკალურ მასალებთან ერთად განსაკუთრებულად გამოცალკევებულია და რუდუნებითაა მოვლილი ივანე ჯავახიშვილის ქუთაისთან დაკავშირებული ცხოვრებისეული მასალები: საიუბილეო მოსაწვევები, საგაზეთო სტატიები, ფოტოსურათები, ფილმი – „ივანე ჯავახიშვილი“, მხატვრულად გაფორმებული, დიდი ფორმატის ფოტო – „ივანე – 100“ და სხვა მასალა. აქ ამ მასალებში უამრავ თემებს შორის არის ქუთაისთან, მის ისტორიასთან და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული აურაცხელი ფაილი შექმნილი ბატონი გურამის მიერ! ჩემს თვალისწინ გროვდებოდა ბევრი ამ მასალათაგან გამორჩეული ნაკრები. მადლობელი ვარ იმ შემოქმედებითი დღეებისა და მემკვიდრეობით მიღებული ინტელექტუალური სიმდიდრისათვის. ასეთმა უნიკალურმა მონაპოვარმა მომცა სტიმული, რომ ქუთაისთან დიდი ივანეს კავშირი გამეცოცხლებინა, რადგან თბილისის შემდეგ, როცა მისი 100 წლისთავი აღინიშნა, ესტაფეტა ქუთაისს გადაეცა. გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ივანე ჯავახიშვილის იუბილის გამო“ – გაიმართა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის მომწიფობი მთავრობის საიუბილეო კომისიის მორიგი სხდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა, მთავრობის საიუბილეო კომისიის თავჯდომარემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ. სხდომაზე განიხილეს საიუბილეო ღონისძიებათა საკითხები. გადაწყდა მიმდინარე 1976 წლის 13-14 ოქტომბერს მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სესია. ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილმა საიუბილეო დღეებმა ღირსეულად ჩაიარა ჩვენს დედაქალაქში და ესტაფეტა ტრადიციისამებრ საქართველოს მეორე ქალაქს ქუთაისს გადაეცა.

ივანე ჯავახიშვილი – უდიდესი სიამაყით, კრძალვითა და სიყვარულით წარმოთქვამს ამ ძვირფას სახელს ქართველი ერი. მადლიერმა შთამომავლობამ იგი შეამკო უმშვენნიერესი სიტყვებით: „საქართველოს ისტორიის რჯულმდებელი“, „დიდი ივანე“, „ჩვენი დროის ილია ჭავჭავაძე“.

ივანე ჯავახიშვილი არის მშობელი, ქვეყნის ისტორიის სწორუპოვარი ბიოგრაფი, „მისი წარსულის გულთამხილავი“, თავისი ერის დიდი მოაზროვნე და ჭეშმარიტი რაინდი.

ქუთაისი ივანე ჯავახიშვილის საყვარელი ქალაქი იყო. მას მშვენივრად მოეხსენებოდა მისი როლი, მნიშვნელობა და დამსახურება სამშობლოს წინაშე. იგი იყო ქუთაისისა და მისი „სამოქალაქოს“ არქეოლოგიური შესწავლის ინიციატორი. კერძოდ, გეგუთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. ივანე ჯავახიშვილის ზოგიერთი წიგნი პირველად ქუთაისში დაიბეჭდა. იგი ხშირად სტუმრობდა ჩვენს ქალაქს და ზაფხულობით არაერთხელ გამოსულა ქუთათური აუდიტორიის წინაშე. ბევრ ქუთაისელ მოღვაწესთან „დიდ ივანეს“ ახლო ურთიერთობა, მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა.

გოეთე ბრძანებდა – „გამოჩენილ ადამიანთა გახსენება დროდადრო ფიქრებს აგვიშლის ხოლმეო“. ამ დღესაც ასე მოხდა, მადლიერმა ქუთათურებმა 1976 წელს პატივი მიაგეს სახელოვანი მამულიშვილისა და დიდი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას. 23 აპრილს, ზუსტად დაბადების დღეს, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაშინდელ პედაგოგიურ ინსტიტუტში, გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავსადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია და საიუბილეო საღამო. ამ დროს ინსტიტუტის რექტორი ბატონი გივი ჩხაიძე ბრძანდებოდა. მთელ

ლონისძიებას ხელმძღვანელობდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. (დეკანი პეტრე ვაჭრიძე, მოადგილე გურამ გაბუნია) აგრეთვე დიდი მონაწილეობა მიიღო საქართველოს საისტორიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისა და გელათის სახალხო აკადემიის პრეზიდიუმის რექტორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა და პრორექტორმა მიხეილ ნიკოლეიშვილმა.

ქუთაისსა და გელათში გამართულ ივანე ჯავახიშვილის დღეებში მონაწილეობას იღებდნენ სტუმრები თბილისიდან, ბათუმიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან, სტუმრების მიღებისა და გამასპინძლებისათვის მთელი ქალაქი მზადყოფნაში იყო. [გაზ. „ქუთაისი“, 1976, 24 აპრილი, N78]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქუთაისს, ამ საოცარ დღეს თავისი მტკიცე ხელი შეაშველა. საქართველოს ისტორიის კათედრის, ისტორიის ფაკულტეტის დეკანატისა და კინო-ტელე ლაბორატორიის ხელმძღვანელობით, თბილისიდან ჩამოიტანეს დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“. ეს საქმე წარმატებით განახორციელა უნივერსიტეტის მაშინდელმა პრორექტორმა-პროფესორმა სიმონ ჯორბენაძემ, კერძოდ, საქართველოს ისტორიის კათედრის, ისტორიის ფაკულტეტის დეკანატისა და კინო-ტელე ლაბორატორიის ხელმძღვანელობამ. აგრეთვე ჩამოიტანეს აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ინტერვიუ, საჭირო დოკუმენტების ასლები, ფოტო-ილუსტრაციები და სხვა მასალები.

პედაგოგიური ინსტიტუტის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილზე, მოეწყო ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა, რომელიც რამდენიმე წელიწადს ამშვენებდა ინსტიტუტს. დაისტამბა მოსაწვევი ბარათები, სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის, საშუალებებმა: პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ ფართოდ გააშუქეს ივანე ჯავახიშვილის დღეები ქუთაისში. გადაიღო და ზეიმის შემდეგ დაიბეჭდა რესპუბლიკური სამეცნიერო-საიუბილეო სესიის მასალები და სხვა.

ქუთაის-გელათში გამართულ ივანე ჯავახიშვილის დღეებში მონაწილეობას იღებდნენ: თბილისიდან, აკადემიკოსები: სიმონ ყაუხჩიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე; პროფესორები: გივი ჯამბურია, ნოდარ ასათიანი, ნუკრი შოშიაშვილი; მაშინდელი ახალგაზრდა მეცნიერები – გიორგი ოთხმეზური, დიმიტრი ლეთოდიანი, მარინე ჩხარტიშვილი, გულბაათ აბელიშვილი, ალექსანდრე გვეტაძე; ჟურნალისტი ნელი ჩაჩავა; ბათუმელი სტუმრები: აბელ სურგულაძე და ვლადიმერ სიჭინავა; ქუთაისელი მასპინძლები: დავით ბრეგაძე, მიხეილ ალავიძე, ლევან სვანაძე, პეტრე ვაჭრიძე, გიორგი მჭედლიძე, ქაჯანა მუშკუდიანი, გურამ გაბუნია; სტუდენტები: რუსუდან დადიანი, ნოდარ მუშკუდიანი, თამაზ გოგბერაშვილი, სოლომონ ბასილაძე და სხვები. [გაზ. „ქუთაისი“, 1956, 24 აპრილი №7] ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტმა სამეცნიერო-საიუბილეო სესიის მონაწილეთათვის გამართა კონცერტი, სტუდენტურმა თეატრმა წარმოადგინა სცენები სპექტაკლებიდან. ინსტიტუტშივე მოეწყო მხატვართა გამოფენა. გელათის სახალხო აკადემიის სააქტო დარბაზში აჩვენეს დოკუმენტური ფილმი – „ივანე ჯავახიშვილი“. დასასრულ, გელათის მთავარ ტაძარში მეღვინე ბალანჩივადის სახელობის ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის ძალებით გაიმართა კონცერტი. მთელი საიუბილეო საღამო გადაიღო საქართველოს ტელევიზიამ. მისი ნაწილი მეორე დღესვე გადაიცა.

1976 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის დღეები ფაქტიურად ქუთაისიდან დაიწყო, რომელიც საქართველოს დიდმა ქალაქებმა ღირსეულად გააგრძელეს. ივანე ჯავახიშვილმა თავის ნოვატორულ მეცნიერებას, თავისებური კვლევით ჩაუყარა საფუძველი. იგი ქართველოლოგიის ყველა დარგს გადასწვდა და დაატყო კიდევ მეცნიერული კვალი, ყველასგან განსხვავებული – „დიდი ივანესული“.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ისტორია, სამართლისა და ხელოვნების ისტორია, ლიტერატურის ისტორია და საისტორიო მწერლობა, წყაროდმცოდნეობა, არქეოლოგია და ეთნოგრაფია, მუსიკის ისტორია და პალეოგრაფია, აი არასრული სია, რაშიც მან ფუნდამენტალური კვლევები დაგვიტოვა. ძირითადად რამ გაყო თბილისი და ქუთაისი, მაგრამ დღევანდელი ჩვენი კვლევის სფერო ქუთაისთან დაკავშირებული საკითხებია. ამიტომ იმ დიდი მეცნიერების გამოსვლების

განაალიზებამდე, მე შევეხები ქუთაისელი მეცნიერების ღირშესანიშნავ გამონათქვამებს.

აი, რას წერს „დიდი ივანეს“ შესახებ პროფესორი მიხეილ ნიკოლეიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის დღეები გელათის სახალხო აკადემიაში. ამ სათაურით გამოვიდა წერილი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი აკადემიაში მომხდარი ამბავი [„გაზ. „ქუთაისი“, №101, 1976 წ. 26 მაისი].

„ქართველი ხალხი სათუთად ინახავს და დიდი მოკრძალებით ეკიდება ივანე ჯავახიშვილის დიდებულ სახელს, ნიშნად ჩვენი ერის წინაშე დიდი დამსახურებისა. ამის ნათელი დადასტურება იყო დიდი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი, რომლებიც ამ დღეებში ქუთაისში ჩატარდა, ორი დღე გრძელდებოდა ამ თარიღის აღსანიშნავი სამეცნიერო სესია ქუთაისის წულუკიძის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. (დღევანდელი აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)“. აქვე მოეწყო გამოფენა ღვანლმოსილი მეცნიერის შესახებ. [„გაზ. ქუთაისი“, №101, 1976 წ. 26 მაისი.]

საიუბილეო თარიღის აღნიშვნა მაღალ დონეზე შეაფასა თბილისიდან მობრძანებულმა სტუმრებმა. გაზეთები აჭრელებული იყო წერილებით და განსაკუთრებული ინფორმაციებით. [„გაზ. ქუთაისი“ №101, 1976 წ. 26 მაისი].

არქივში დაცულია გამგეობის სხდომის ოქმი, რომელიც გაიმართა თბილისის უნივერსიტეტში და უნიკალურ მასალას წარმოადგენს. ამჯერად მისი დედანი შემონახულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, გურამ გაბუნიას საოჯახო მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან არქივში.

ივ. ჯავახიშვილის ასპირანტი, აბელ კიკვიძე აგრეთვე (რომელსაც დიდი პირადი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ივანესთან) სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს:

„ივანე ჯავახიშვილის მთელი ცხოვრება იყო შეუსვენებელი მეცნიერული მუშაობა. ის მხოლოდ მაშინ ისვენებდა, როდესაც ახალს აღმოაჩენდა და მისი სიტყვით რომ ვთქვათ, უდიდესი ბედნიერების განცდით აღარ შეეძლო მუშაობის გაგრძელება, სიხარულსა და მოსვენებას ეძლეოდა. მეცნიერული მუშაობა, ვისაც საამისო ნიჭი და მომზადება აქვს, დიდი ბედნიერებააო, – იტყოდა ბატონი ივანე.

ზაფხულობითაც კი, როცა სადმე აგარაკზე მიდიოდა დასასვენებლად, გამუდმებით მუშაობაში ატარებდა დროს. 1934 წლის ზაფხულში სურამში ისვენებდა. მაშინ გამოდიოდა მისი წიგნი „სოციალური მოძრაობის ისტორია საქართველოში (XI–XIII ს.)“, მეც მას ვახლდი და ამ პერიოდში წუთითაც არ დამისვენია, თუ კორექტურას ვაკეთებდი, თუ ახალ საკითხებზე ვმუშაობდიო“ – ამბობდა ამ შემთხვევის გამო ბატონი აბელი. [გაზ. „ქუთაისი“, 1976 წ. №152. 6 აგვისტო, გვ.3].

ვიდრე ივანე ჯავახიშვილი შეუდგებოდა საქართველოს მეცნიერული ისტორიის საკითხებზე წერას, მანამ საქართველოს ისტორია უფრო „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ რედაქციად იყო წარმოდგენილი. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენდა დიმიტრი ბაქარაძის შრომა „ისტორია საქართველოსი“ (1889 წ.) სადაც გამოყენებულია უცხოური წყაროები და ისტორიის თხრობა X საუკუნემდეა მოტანილი.

ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის განხორციელება ისეთი დიდი საქმეებისა, როგორცაა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, სოციალურ-ეკონომიკური წყობისა და კულტურის ისტორიის საკითხების მონოგრაფიულად დამუშავება და როგორც ეროვნული, ისე უცხოური წყაროების ღრმად შესწავლის ნიადაგზე თანმიმდევრულულად, მწყობრი ისტორიული ნარკვევების წარმოდგენა. მას სწადადა საქართველოს ისტორია მოეცა შეურყეველი საბუთიანობით“. [გაზ. „ქუთაისი“, 1976 წ. №152. 6 აგვისტო, გვ.3].

როდის ყოფილა რომ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ქუთაისში სუფრით არ აღნიშნულიყო, ასე მოხდა ამჯერადაც. საკუთარი თანხებით უნივერსიტეტის თანამშრომლებმა უზარმაზარი სუფრა მოაწყვეს, მაშინდელი სტუდენტის თემურ ხელაძის ოჯახში. სუფრა არაჩვეულებრივი იყო და მას ღირსეული ადამიანებიც ამშვენებდნენ. მობრძანებული თბილისელი და ქუთაისელი მცირე ნაწილისათვის ცალკე მოეწყო მცირე ზომის აკადემიური სუფრა, ხოლო 20 წლის შემდეგ როცა შემდგომი

იუბილე გაიმართა, ასე გამოიყურებოდა სამეცნიერო სესიის თეზისები, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი ზემოთ აღნიშნა ივ. ჯავახიშვილის 120 წლისთავი. [გაზ. „ქუთაისი“, 1976 წ. №152, 6 აგვისტო].

დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო-სამეცნიერო სესია

მუშაობის გეგმა მოხსენებათა თეზისები.

ქუთაისი 1996 წ.

სესიაზე სიტყვებში გამოვიდნენ:

1. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემისკოსი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე.

მისალმებები:

2. **როინ მეტრეველი**, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

3. **რევაზ მიშველაძე**, ქართული ფენომენის შემსწავლელი აკადემიის პრეზიდენტი, თსუ უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე.

4. **თეიმურაზ შაშიაშვილი**, ქალაქ ქუთაისის მერი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში.

მოხსენებები:

5. **მარიამ ლორთქიფანიძე**, აკადემიკოსი, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე – ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების გზა.

6. **ლევან სანიკიძე**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, თსუ მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე – მონატრება ივანე ჯავახიშვილისა ანინდელ საქართველოში.

7. **მაგალი თოდუა**, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქსუ ირანისტიკის კათედრის გამგე – „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის ორიგინალთან მიმართება.

8. **დავით ბრეგაძე**, აკადემიკოსი, ქსუ – ივანე ჯავახიშვილი და ძველი ქართული მწერლობის ძეგლები („ამირან დარეჯანიანი“).

9. **ლევან სვანაძე**, პროფესორი, ქსუ მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე – ივანე ჯავახიშვილი და მსოფლიო ისტორიის საკითხები

10. **მიხეილ ალავიძე**, პროფესორი ქსუ – ივანე ჯავახიშვილი, როგორც ენათმეცნიერი.

11. **მიხეილ ნიკოლეიშვილი**, პროფესორი, ქუთაისი სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი

– ივანე ჯავახიშვილის ისტორიის ზოგადი საკითხების შესახებ.

12. **გივი ჯამბურია**, პროფესორი, თსუ – ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების საქმეში

13. **ნუკრი შოშიაშვილი**, პროფესორი თსუ – ი. ჯავახიშვილის – ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებელი.

14. **კობა ხარაძე**, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

– ი. ჯავახიშვილი და ისტორიული გეოგრაფიის შინაარსის შემცველი ტოპონიმების გავრცელება და კვლევა-ძიება საქართველოში.

15. **მალხაზ სიორიძე**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე

– ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის უცნობი ფურცელი.

16. **პეტრე ვაჭრიძე**, დოცენტი, ქსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე.

– ივანე ჯავახიშვილი XIX საუკუნის საქართველოში პოლიტიკური და სოციალური მოძრაობის

შესახებ.

17. **თორნიკე ეფრემიძე**, დოცენტი, ქსუ

– ივანე ჯავახიშვილი ნიკო მუსხელიშვილის ტერმინოლოგიურ ძიებათა შესახებ.

18. **მიხეილ ქურდიანი**, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ქსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, ჟურნალ „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორი

– კავკასიური ანბანური სამყაროს ანბანური რიგის ტიპოლოგია და ივ. ჯავახიშვილის გრამატიკოლოგიური მოძღვრება.

19. **მარინე ქაცარავა**, დოცენტი, ქსუ ქართული ენის კათედრის გამგე,

20. **ტარიელ ფუტყარაძე**, დოცენტი, ქსუ-თან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

– ივ. ჯავახიშვილი და ქართველური დიალექტოლოგიის საკითხები.

21. **გიორგი მჭედლიძე**, პროფესორი, ქსუ

– ივ. ჯავახიშვილი საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

22. **ომარ ლანჩავა**, პროფესორი, ქსუ არქეოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის გამგე

– ივანე ჯავახიშვილი და ქართველი ხალხის ეთნოგენეზის ძირითადი საკითხები.

23. **გურამ გაბუნია**, დოცენტი, ქსუ-ის ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

– ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის პრობლემა.

24. **ოთარ ჩხეიძე**, დოცენტი, ქსუ გეოგრაფიის კათედრის გამგე

– შუა საუკუნეების საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში.

25. **ომარ გვეტაძე**, დოცენტი, ქსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი

– ივანე ჯავახიშვილი და ძველი ქართული მწერლობის თეორიულ-ლიტერატურული საკითხები.

26. **მამუკა შენგელია**, უფრ. მასწავლებელი, ქსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

– ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში. ქართველმა ხალხმა დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით აღნიშნა დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი. ეს იყო ნამდვილი ეროვნული ზეიმი. დაწყებული თბილისიდან, გაგრძელებული ქუთაის-გელათში. მისი სახელი თაობებში გადმოსული, კვლავ გრძელდება, როგორც შეუდარებელი მამულიშვილის, მოქალაქის და ერის უბადლო მემკვიდრის.

ოთხი ათეული წლის წინათ გამართულ დიდი მეცნიერის დღეებით, ქუთაისლები სამართლიანად ამაყობენ. დრო გადის და უფრო ნათელი ხდება იმ მემკვიდრეობის მნიშვნელობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა დაგვიტოვა.

ქართველი ფილოსოფოსის ენით რომ ვთქვათ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომჩინებელი, აღმწერლისაი საუკუნოდ, რომელსამე საქებელყოფად, ხოლო სხვსა განსაქიქებლად.“

„ივანე ჯავახიშვილის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა ყოველთვის დარჩება დიდი მეცნიერის საქებელყოფად“. [გვრიტიშვილი: „ივანე ჯავახიშვილი“ 1968 წ., თბ. გვ 210].

დიდი ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი იუბილეების (100 და 120 წლისთავისადმი) შესახებ ანგარიშის სახით ბატონი გურამ გაბუნია, ქალბატონ მარია ლორთქიფანიძეს რამდენჯერმე წერდა, მათ შორის ერთ-ერთი მათგანი ასეთია:

„ქალბატონო მარია,

ივანე ჯავახიშვილის ამსახველი მასალების გამოგზავნა დაგვიგვიანდა, ფოტოსურათების „ქუთაისური“ ნაწილის მოგვიანებით დაბეჭდვის გამო. ჩვენი ღონისძიებების „გელათური“



ნაწილის ამსახველი ფოტოილუსტრაციები კი დღემდე თვით ჩვენც არა გვაქვს, არა და სწორედ გელათის სახალხო აკადემიაში ყველაზე მეტად თქვენ ბრძანდებით „აღბეჭდილი“ .

მიღებისთანავე ფოტოილუსტრაციებს გადმოგიგზავნი. საქართველოს ტელევიზიამ, თვით „მომბეჭდივე“, მეორე დღესვე გადმოსცა თქვენი და სხვათა გამოსვლები გელათში. როგორც გავიგეთ ამის შესახებ ფილმიც არის გადაღებული!

ივანე ჯავახიშვილის დღეებს გაზეთმა „ქუთაისმა“ რამდენიმე ნომერი (იხ. 1976 წლის 23, 28 აპრილი და 4,26 მაისი) მიუძღვნა.

ჩვენი ღონისძიება აისახა აგრეთვე გაზეთებში: „ქუთაისკაია პრავდა“, „ზარია ვასტოკა“, „სამ-შობლო“. გვპირდებიან ამ სამეცნიერო კონფერენციისა და საიუბილეო საღამოს მასალების დაბეჭდვასაც.

ბოდიშს გიხდით ასეთი მშრალი ანგარიშის წერილისათვის, (ბალში დავწერე). ალბათ საისტორიო საზოგადოების ყრილობაზე გინახულებთ...

თქვენი პერსონის მარად თაყვანისმცემელი

გურამ გაბუნა

თბილისი, 30 ივნისი, 1976 წელი.“

ჩვენს ნაშრომს, რომელიც ეძღვნება დიდ ივანე ჯავახიშვილს, დიდი ლადო ასათიანის სიტყვებით დავასრულებდი:

„როგორც მლოცველი, მზედალეულ ლანდთა მხილველი,  
ძველს ქართულს სიტყვას მოუხმობდი, აბატონებდი,  
და ნათლდებოდნენ შენს თვალებში გასაკვირველად,  
ქართლის ცხოვრების ფერწასული კაბადონები...“

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „ქუთაისი“, 1976, 24 აპრილი, №78.
2. გაზ. „ქუთაისი“, 1956, 24 აპრილი №78.
3. გაზ. „ქუთაისი“, 1976. №101, 26 მაისი.
4. გაზ. „ქუთაისი“, 1976. №101, 26 მაისი.
5. გაზ. „ქუთაისი“, 1976. №101, 26 მაისი.
6. გაზ. „ქუთაისი“, 1976, №152, 6 აგვისტო.
7. გაზ. „ქუთაისი“, 1976, №152. 6 აგვისტო.
8. გაზ. „ქუთაისი“, 1996, 24-25-სექტემბერი,
9. დავით გვრიტიშვილი, „ივანე ჯავახიშვილი“ 1968 წ., გვ 210.
10. გაზ. „ქუთაისი“, 1976, №85, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი.
11. მოსაწვევი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისათვისადმი
12. გაზ. „თბ. უნივერსისტეტი“, 1976, №28, გვ.4. სერგო ჯორბენაძე „ბოლომდე შენარჩუნებული ღრმა ურთიერთპატივისცემა“.
13. გაზ. „თბ. უნივერსისტეტი“, 1976, №28, გვ.4. გიორგი ჩიტაია „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“.

**შენიშვნა:** მასალები მოვიძიეთ გურამ გაბუნას საოჯახო არქივსა და ბიბლიოთეკაში.

ამ ღონისძიების ზოგიერთი მასალა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის განათლების ფონდშია დაცვნილი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

LIA GABUNIA

**EXTRACT FROM AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY HISTORY****(Ivane Javakhishvili and Kutaisi)**

Ivane Javakhishvili!- Georgian nation utters this beloved name with great pride, respect and love. The graceful descendants dedicated the most beautiful words to him: "Legislator of Georgian History", "Great Ivane", "Our time Ilia Chavchavadze".

Ivane Javakhishvili is a unique biographer of our homeland history, "a heartfelt of its past", a great thinker and a true "knight" of his nation.

Kutaisi was Ivane Javakhishvili's favorite city. He was well aware of his role, importance and his merit before his homeland. He was an initiator of Kutaisi and its "Civil" archeological study, in particular, a head of Geguti Archeological Expedition. Ivane Javakhishvili's some books were first published in Kutaisi. He often visited our city and during the summer time he used to appear in Kutaturi audience. "Great" Ivane had a close relationship, friendship and cooperation with many public figures from Kutaisi.

The academicians from Tbilisi, including: Simon Kaukhchishvili, Mariam Lortkipanidze; professors:- Givi Jamburia, Nodar Asatiani, Nukri Shoshiashvili; the young scientists: -Giorgi Otkhmezuri, Dimitri Letodiani, Marina Chkhartishvili, Gulbaat Abelishvili, Aleksandre Gvetadze; Journalist:- Neli Chachava; the visitors from Batumi:- Abel Surguladze and Vladimer Sitchinava; The hosts from Kutaisi- Davit Bregadze, Mikheil Alavidze, Levan Svanadze, Petre Vatchridze, Giorgi Mtchedlidze, Kajana Mushkudiani, Guram Gabunia; the students:- Rusudan Dadiani, Nodar Mushkudiani, Tamaz Gogberashvili, Solomon Basiladze and etc., participated in memory days dedicated to Ivane Javakhishvili held in Kutaisi.

The Faculty of History and Philology arranged a concert dedicated to participants of scientific-jubilee session, the exhibition of artists was held in the institution. The documentary film - "Ivane Javakhishvili" was shown in Gelati public academy assembly hall. The concert was organized by Meliton Balanchivadze Kutaisi Music School at the end, in Gelati main cathedral. The whole anniversary evening was filmed by Georgian Television.

The idea of memory days dedicated to "Great" Ivane Javakhishvili started in 1976 from Kutaisi and spread to other cities throughout Georgia.

The citizens of Kutaisi are fairly proud of the celebration held 40 years ago specially devoted to the memory of the great scientist. The time passes and the significance of the heritage that Ivane Javakhishvili left behind becomes clear.

"Ivane Javakhishvili's rich scientific heritage will always remain for his praising" [Davit Gvritishvili, "Ivane Javakhishvili" 1968, Tbilisi, pg. 210].




საპარტავლოს საისტორიო საზოგადოების  
 ქუთაისის განყოფილება  
 ქუთაისის კურორტული ინსტიტუტის ისტორია.  
 ფილოლოგიის ფაკულტეტი

---

ივანე ჯავახიშვილის  
 დაბადებიდან 100 წლისთავისადმი  
 მიძღვნილი  
 სამეცნიერო სემინარი

23-24 აპრილი

ქუთაისი-გელათი  
 1976



მანია სარკოვი

## ოქროს განმედილის ძველი ქართული წესები

ოქროს გამოყენებათან დაკავშირებით საოქრომჭედლო თუ სხვა მხატვრულ ნაკეთობებში, როგორც ცნობილია დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი სისუფთავის ხარისხს. ეს განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ეს ლითონი ძალზე მგრძობიარეა სხვადასხვა მინარევების მიმართ, რომელთა მცირე რაოდენობაც კი საკმარისია ოქროს შესანიშნავი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების (ჭედვადობის, გლინვადობის, ნევადობის და ა. შ.) მკვეთი გაუარესებისათვის. ამიტომ, საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა მის განმედასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კვარცის ძარღვული და განსაკუთრებით, ქვიშრობი ოქრო განმედილის მრავალრიცხოვან წესებს არ მოითხოვს, ვინაიდან ორივე საკმაოდ მაღალი სისუფთავით ხასიათდება. მაგრამ ძველ საქართველოში, რომ ოქროს ქიმიურად წმენდნენ, ამაზე მიუთითებენ თვით არქეოლოგიური ოქროს ნივთები. ამ ნაკეთობებში გვხვდება, როგორც სახარატო-გასანწევ ჩარხზე დამზადებული ღრუტანიანი ნაკეთობები, ისე უწვრილესი ოქროს ძაფები და ოქროს უთხელესი კილიტები ანუ ვარაყები, ჭედვის წესით გამოყვანილი მხატვრული სახეები და ა.შ. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ ნედლეულად განმედილი ოქრო არ გამოყენებინათ, ვინაიდან სულ მცირე რაოდენობით მინარევების არსებობისას ოქრო ძალიან დიდ სიმყიფეს იძენს.

ძველი ქართული წერილობითი ლიტერატურიდან პრაქტიკულ რეცეპტებს ოქროს განმედილის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს შესაძლებლობა, რომ ეს წესები აღვადგინოთ.

კერძოდ, ძველ ქართულ აგიოგრაფიულ და სამედიცინო შინაარსის ძეგლებში ხშირად გვხვდება ისეთი გამონათქვამები ან სპეციალური ტერმინები ოქროს განმედილის შესახებ, რომლებიც უდაოდ იმ დროს მოქმედი პრაქტიკიდან არიან აღებული და აღნიშნული წესების რეკონსტრუირების საშუალებას იძლევიან. ამ მასალას ემატება აგრეთვე ვახტანგ VI-ის ნაშრომის „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ მონაცემები, რომლებიც ოქროს გადამუშავების ქრონოლოგიურად უფრო ახალ ტექნოლოგიასთან ერთად მთელ რიგ შემთხვევაში უძველესი წესების აღწერილობასაც მოიცავენ.

ჩვეულებრივ ოქროს მარტივი განმედა, ტიგელში დნობით განმედას ან კუპელაციის წესის გამოყენებას ითვალისწინებს [Любавин1943:გვ..969]. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აღნიშნულ ქართულ ძეგლებში ამ ორივე შემთხვევისათვის საკმაოდ ბევრი ცნობა არის მოყვანილი.

XI ს-ის სამედიცინო თხზულებაში – „უსწორო კარაბადინი“ – სხვა ცნობებთან ერთად მოხსენიებულია საოქრომჭედლო ქოთანი [ქანანელი 1940: გვ. 215]. ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება ოქროს გასადნობი ქოთანი, რომელსაც შესაბამისად დაერქვა ოქრომჭედლის სახელი. ქოთანი წარმოადგენს ტიგელს, რომლის გამოყენებაც უკვე თავისთავად ითვალისწინებდა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს: დნობისას დასკდომის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო დიდხნის განმავლობაში ასეთი ტიგელის საგანგებოდ გამთბარ ოთახში შენახვა, ხოლო გამოყენების წინ ტემპერატურის ნელი ზრდით მისი გავარვარება [Плаксин1943:გვ. 366]. ცხადია, რომ ქართველი ოსტატებიც ასე უნდა მოქცეულიყვნენ საოქრომჭედლო ტიგელის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ამავე თხზულებაში ოქროს დნობა-განმედასთან დაკავშირებული სხვა დეტალებიც მოიხსენიება. ოქრომჭედლის ჩვეულებრივ მარწუხთან ერთად მოიხსენიება „ოქრომჭედლისა წურილი და გრძელი მარწუხი“ [ქანანელი 1940: გვ. 253], რომლის სიგრძესაც პროცესის მაღალი ტემპერატურა განაპირობებდა. აქვე მოიხსენიება „ბორა რომე ოქრომჭედელნი ხმარობენ“ [ქანანელი 1940:გვ. 195]. ეს

„ბორა ანუ ბორაკი“, როგორც ცნობილია ყველაზე საუკეთესო მდნობს წარმოადგენდა ოქროსათვის და აღნიშნული ციტატიდან ჩანს, რომ მას ქართულ პრაქტიკაშიც ამავე მიზნით იყენებდნენ.

განსაკუთრებით საინტერესოა „უსწორი კარაბადინის“ შემდეგი ფრაგმენტი: აიღე... ოქროს წიდა ერთი დრამი, თუ ოქროს წიდა არ იყოს კარგი მურდასანგი ქენით“ [ქანანელი 1940: გვ. 200]. „ოქროს წიდის“ მურდასანგით შეცვლა აქ მოულოდნელი არ უნდა იყოს. ვინაიდან თვით „ოქროს წიდა“ ოქროს შემცველ მურდასანგს წარმოადგენდა, რომელიც ჩვეულებრივ ოქროს ტყვიით განმენდისას წარმოიქმნებოდა (სწორედ ასე განმარტავს „წიდას“ ანუ სპარსულად „აკლიმიას“ ზაზა ფანასკერტელი თავის „სამკურნალო წიგნ-კარაბადინში“: „აკლიმია – შეიქმნების მურდასანგისგან და ოქროსაგან და ვერცხლისაგან და სხუათა მრავალთა გუარათაგან დაოქროსა აკლიმია...“ [ზაზაფანასკერტელი-ციციშვილი 1988: გვ. 743]) ე.ი. ამ შემთხვევაში ფაქტობრივად გამოყენებულია კუპელაციის თანაური პროდუქტი და აქედან ჩანს, რომ კუპელაციის პროცესი იმდენად კარგად იყო ცნობილი, რომ მასთან დაკავშირებული დეტალები სამედიცინო თხუზულებში რაიმე განსაკუთრებული განმარტების გარეშე მოიხსენიებიან.

ვახტანგ VI „ოქროს წიდისა“ და მურდასანგის ურთიერთკავშირზე ვერცხლის მაგალითზე მიგვითითებს, მაგრამ ვინაიდან ოქროსა და ვერცხლის კუპელირება ფაქტობრივად ერთნაირად მიმდინარეობდა, მისი მონაცემები ოქროზეც შეიძლება იქნას გავრცელებული. კერძოდ, ერთ-ერთ თავის რეცეპტში ის საინტერესო ცნობას იძლევა: „ზარაფხანაში, რომ ვერცხლს დაადნობენ და ტყვიას მისცემენ, ვერცხლი ტყვიას პირზედ მოიგდებს მერმე გარდმოუშვებენ იმას და ერთი მონითალო ბრჭყვიალა რამ იქნება, იმას გინას ეძახიან, მაგრამ ძირის მიწასაც გინა ჰქვიან, ის არ ვარგა, ამ პირიდან გარდმოშვებული უნდა“ [ვახტანგ VI 1981: გვ. 110-111]. აქ, როგორც ვხედავთ ვახტანგს ის პროცესი აქვს აღწერილი, რომელიც ვერცხლის გასანმენდათ თბილისის ზარაფხანაში იყო გამოყენებული, თუმცა აქ გასანმენდ ლითონად ვერცხლი არის დასახელებული, მაგრამ აღნიშნული ფრაგმენტი შეიძლება ოქროზეც გავრცელდეს, ვინაიდან ის ზუსტად ისევე იწმინდება, როგორც ვერცხლი. „გინა“, რომელსაც აქ ვახტანგი მოიხსენიებს იგივე „წიდას“ ანუ „აკლიმია“. გინას სახელწოდებით ვახტანგი აქვე ძირის მიწასაც მოიხსენიებს. ამ შემთხვევაში გინას სახით საქმე გვაქვს მურდასანგის იმ ნაწილთან, რომელიც განმენდის პროცესში ლუმელის ძირში ანუ ქვედში განთავსებულ ნაცარში შეინოვება. სწორედ ამ ნაცრის შემცველობის გამო არის, რომ ვახტანგი ამ ძირის მიწას იწუნებს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ოქროს გადამუშავებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ცნობები არის მოყვანილი აგიოგრაფიულ ლიტერატურაშიც. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ასეთი თხუზულებების ტექსტებში მეტამორფული აზრით ხშირად არის მოხსენიებული ოქროს განმენდა.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა XII-ის ქართველი სასულიერო მწერლის – გიორგი მცირის განმარტება, რომელიც მას ქიმიკოსთა („ქიმიანთა“) პროფესიასთან დაკავშირებით მოყავს: „რამეთუ ემსგავსა იგი ოქროსა გამომღებელსა მას ხელოვანსა, ვითარცა იგი ქიმიანთათვის წერილ არს. რომელნი – იგი მრავალლონობითა სიბრძნისაითა სიღრმეთაგან ქუეყნისათა ოქროსა გამოიღებენ და ბრძმედისა მიერ მამისა ჩვენისა გონებაი სიჭყვიერისა ამის ოქროისა ბრძმედ იქმნა მადნობელ ცეცხლისა სულისა წმიდისაითა, განმახურებელ და განმარჩეველ ოქროსა ბრძენისაგან და თიხისა“ [ქართული პროზა 1981: გვ. 459].

აქ, როგორც ვხედავთ, მხატვრული ფორმით აშკარად ოქროს განმენდის ორი საინტერესო წესი არის მითითებული. „ბრძენის“ ანუ ტყვიის მოხსენიება ნიშნავს, რომ ოქროს გასანმენდად აქ კუპელირების მეთოდი იგულისხმება. რაც შეეხება თიხის მოხსენიებას, ამ შემთხვევაში ოქროს ვერცხლისაგან დაცილების წესი არის ნაგულისხმები, რომლისათვისაც, თიხა ქლორიდში გადასული ვერცხლის ადსორბენტის როლს ასრულებს.

სწორედ ასეთი ოპერაციების შემდეგ მიიღება განმედილი ოქრო, რომელიც გიორგი მცირეს სიტყვებით რომ ვთქვათ, არის „ოქროდ, მრავალთა ბრძმედთა გამოცდილი“ აქვე უნდა აღინიშნოს ბრძმედის მოხსენიება, რომელიც არა თანამედროვე ბრძმედის, არამედ იმდროინდელი ოქროს გამო-სადნობი ღუმელის მნიშვნელობით არის მოხსენიებული.






ზემოთ მოყვანილ ცნობებთან ერთად მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული მონაცემებიც. სწორედ ეთნოგრაფიულ და ზემოთ აღნიშნულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ქვემოთ ვიძლევიტ ოქროს განმედის ძველი ქართული წესების რეკონსტრუქციის ცდას.

კუპელაციის და საოქრომჭედლო ტიგელით ოქროს განმედის წესებიდან უფრო ეფექტური იყო კუპელაციის წესი, ვინაიდან იგი უფრო მეტი მინარევის მოცილებას ითვალისწინებდა.

ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად [სოსელია 1972 გვ. 99-116] ამ პროცესისათვის გათვალისწინებული კაპელი მუხის ნაცრისგან მზადდებოდა. წყალში აზელილი მუხის ნაცარი რკინის ჯამის ძირზე ხელით დაიტკეპნებოდა, შუაში უკეთდებოდა ღრუ, რომელშიც ათავსებდნენ გასანმენდ ოქროს (წყაროში ვერცხლია მითითებული, მაგრამ როგორც ყოველთვის ამ შემთხვევაშიც უდაოა, რომ აღნიშნული წესი ოქროზეც ვრცელდება).

გახურების შემდეგ გამდნარ ვერცხლს (ანუ ოქროს) ემატებოდა ტოლი რაოდენობის სუფთა ტყვია. ამ ნარევეს საბერველით ჰაერს უბერავდნენ. შებერვის პროცესში ტყვია-ოქროს ხსნარი დუ-ლილს განიცდიდა, ხოლო პროცესის დამთავრება დულილის შეწყვეტით ფიქსირდებოდა.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები მთელ რიგ ქიმიურ რეაქციებს ეფუძვნებოდა. დღეს ამ პროცესების ქიმიზმი კარგად არის ცნობილი, ხოლო ეთნოგრაფიური ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ პროცესების შესახებ ემპირიულად ოსტატებსაც ჰქონიათ გარკვეული წარმოდგენა. კერძოდ ტყვიის დანიშნულებას შეადგენდა ოქროსა და მისი მინარევეების გახსნა, ხოლო ჰაერის მიწოდებისას ეს მინარევეები იჟანგებოდნენ და გადადიოდნენ ასევე მურდასანგად დაჟანგულ ტყვიაში. მინარევეებს ჩვეულებრივ შეადგენდნენ ვერცხლი, ტყვია, რკინა, სტიბიუმი, სპილენძი, დარიშხანი და სხვა, რომელთა დაჟანგვა შემდეგი სქემის თანახმად მიმდინარეობდა:



და ა.შ.

დაჟანგული ტყვია ანუ მურდასანგი, რომელიც ამ ჟანგულ მინარევეებს შეიცავდა, ნაწილობრივ ნაცრის მიერ შეინოვებოდა. ხოლო მისი გამდნარი, ოქროს ზემოთ მოქცეული ნაწილი გადაღვრის გზით განცალკევებას განიცდიდა (ვახტანგ VI-ის სიტყვებით: „ვერცხლი (ოქრო მ.ს.) ტყვიას პირზედ მოიგდებს, მერმე იმას გარდმოუშვებენ“).

ქართველ ოსტატებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ტყვიის დანიშნულება. მათი სიტყვებით: „ტყვია იწვის და მისი საშუალებით ვერცხლს (ე.ი. ოქროსაც – მ.ს.) რა სიგლახეც ურევია – კალა, სპილენძი და სხვა ვერცხლის (ე.ი. ოქროს – მ.ს.) გარდა ყველაფერი იწვება.“ მინარევეების სრული დაჟანგვისას გამდნარ მასაში დულილის პროცესი წყდებოდა და ოსტატებმა ესეც იცოდნენ: როცა ვერცხლთან არსებული ყველა მინარევი დაიწვება, ვერცხლი დულილს წყვეტს [სოსელია 1972: გვ. 108-109; ზვიადაძე 1995: გვ. 115-116].

კუპელაციის პროცესში ოქროსთან ერთად არც ვერცხლი იჟანგება, ასე, რომ ამ პროცესის დამთავრების შემდგომ, თუ მისი მინარევი შეიცავდა ვერცხლს, ის უცვლელად რჩება მასში. ასეთი

ოქროსგან მინარევის მოსაცილებლად უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ცემენტაციის წესი. ეს წესი ჯერ კიდევ პლინიუსს აქვს აღწერილი. გრანურირებულ ან გაბრტყელებულ ოქროს ათავსებდნენ თიხისა და მარილის ნარევი და ახურებდნენ. გახურებისას წარმოიქმნებოდა ადვილად დნობადი ვერცხლის ქლორიდი, რომელიც თიხაში შეინოვებოდა და მისგან გამოცალკევებული ოქრო უკვე აღარ შეიცავდა ვერცხლს [Любавин 1943: გვ. 971].

მსგავსი წესი გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოშიც, ასე, რომ გიორგი მცირის გამოთქმა „განმახურებელ და განმარჩეველ ოქროსა და ბრპენისა და თიხისა“ უნდა გულისხმობდეს ოქროსაგან ჯერ კუპელაციით სხვადასხვა არაკეთილშობილური ლითონების მინარევის, ხოლო შემდეგ ცემენტაციით ვერცხლის მოცილებას.

ძველ საქართველოში ოქროს გასანმენდათ გამოყენებული იყო აგრეთვე საოქრომჭედლო ტიგელი. ტიგელით განმენდა ფაქტობრივად კუპელირებისა და ცემენტაციის შემდგომ ხდებოდა და ის უკვე დარჩენილი მცირე რაოდენობის მინარევის მოცილებას ითვალისწინებდა წიდაში გადასვლით.

ქართველი ოქრომჭედლების მიერ გამოყენებული ბორაკი, თავის მხრივ შესანიშნავ დამნიდავ საშუალებას წარმოადგენდა, ოქროში ჩარჩენილი სილის ან რკინის ჟანგის მოსაცილებლად.

ოქროს განმენდის მეთოდები ვახტანგ VI-საც მოჰყავს თავის ცნობილ ქიმიის სახელმძღვანელოში – „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, – სადაც ამ საკითხს ეძღვნება §§:137,184,190.

§ 137-ში შემოთავაზებულია ოქროს სტიბიუმის სულთიდით („ანთიმონით“) განმენდის, „დახალასების“ ცნობილი წესი. გამდნარ ოქროში სტიბიუმის სულფიდის დამატებისას ამ უკანასკნელის გოგირდი არაკეთილშობილი ლითონების მინარევებთან წარმოქმნის სულფიდურ ნაერთებს, რომლებიც წიდის სახით განშრევდება გაცივებულ მასაში და მექანიკურად ცილდება ზოდს. რაც შეეხება მასაში დარჩენილ სტიბიუმს, იგი მეორადი გაღობისას ზედაპირზე ჰაერის ნაკადის მეშვეობით იჟანგება და აქროლებას განიცდის ოქსიდის სახით.

§ 184-ში ოქროს გასანმენდათ იხმარება დამწვარი საპონი (ე.ი. იგივე მყარი მწვავე ტუტე), ვერცხლისწყლის ქლორიდი (სულემა), და მცირე რაოდენობით გოგირდი და კალიუმის ნიტრატი („გვარჯილა“). დამწვარი საპონი ამ შემთხვევაში ოქროს მექანიკური მინარევის, სილის, შესაბოჭად არის გათვალისწინებული. (მათი ურთიერთქმედებით წარმოიქმნება წიდა). ვერცხლის ქლორიდი არაკეთილშობილ ლითონებთან წარმოქმნის აქროლად ქლორიდებს, რომლებიც ვერცხლისწყალთან ერთად ქროლდებიან. კალიუმის ნიტრატი – ჟანგავს ზოგიერთ არაკეთილშობილ ლითონს, ხოლო გოგირდი რკინასთან წარმოქმნის სულფიდს, რომელიც წიდაში გადადის.

მესამე რეცეპტში, §190 – ოქროს გასანმენდ საშუალებად გამოყენება ვერცხლისწყლის ქლორიდი, რომლის დანიშნულებაც ზემოთ ავლვიშნეთ.

ოქროდან ვერცხლის მინარევის ან, პირიქით ვერცხლიდან ოქროს მინარევის გამოცალკევების მიზნით აზოტმჟავა გამოიყენებოდა. რადგან აზოტმჟავაში ვერცხლი იხსნება და ოქრო არა, ნარევის დაცილებაც მარტივად ხდებოდა. [ჩაგუნავა 1990: გვ. 206]

ამრიგად, განხილულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველ საქართველოში ოქროს გასანმენდათ ძირითადად იყენებდნენ კუპელაციისა და ცემენტაციის მეთოდებს და საკმაოდ ღრმად ესმოდათ ამ მეთოდების ქიმიზმიც.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ვახტანგ VI, 1981, „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ (ტექსტი გამოსცეს თ. ენუქიძემდავ. კოკოჩაშვილმა), თბილისი.
2. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, 1988, სამკურნალო ნიგნი კარაბადინი, ტ II, თბილისი.
3. ზვიადაძე ც. 1995, ხალხური ოქრომჭედლობა ქუთაისში (XIX ს.-ის დასასრული – XX ს. დასაწყისი). ნიკოლეიშვილი (რედ), ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრებული VII, ქუთაისი, მეცნიერება, გვ. 110-122.
4. სოსელია ლ. 1972, ოქრომჭედლობის შესწავლა მესხეთში, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი. ჩგვ. 99-116.
5. ქანანელი, 1940, უსნორო კარაბადინი, თბილისი.
6. ქართული პროზა, 1981, ნიგნი, თბილისი.
7. ჩაგუნავა რ. 1990. ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა. (საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა) თბილისი.
8. Любавин М. И. 1943, Техническая химия, Т IV. Москва.
9. Плаксин И.Н. 1943б Металлургия благородных металлов. Москва.

MAIA SACHKOVI

**ANCIENT GEORGIAN METHODS OF CLEANING GOLD**

A level of gold's purity and cleanliness is of great importance in jewelry and gold crafting process.

Unfortunately, there are no practical recipes about gold cleaning techniques in ancient Georgian literature. Nevertheless, there is still a possibility to restore that knowledge.

The study deals with the old Georgian hagiographic and medical literature that contain such expressions and special terms about gold cleaning that correspond the practice that existed at that time. Some ethnographic records and King Vakhtang VI's work "A Book About Oil Mixing And Chemistry", describing the old rules and techniques of gold processing are also discussed.

Based on reviewed sources, we can deduce that gold was mainly purified using kupel and cementing methods and chemistry of these methods were quite deeply understood in ancient Georgia.



**მარია მარჯანიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი

## პოეტური კულტურით გამორჩეული შემოქმედი

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან უცხოეთში გადახვენილ ემიგრანტთა შორის თავისი ერუდიციით, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ შემოქმედებითი ნიჭით ქუთაისის მკვიდრთა გარდა, ასევე გამოირჩეოდნენ ქუთაისის კლასიკურ და თავად-აზნაურთა გიმნაზიებისა თუ აქაურ სასწავლებლებთან კურსდამთავრებული პოლიტიკოსები, მეცნიერები და შემოქმედებითი მოღვაწეები: ძმები აკაკი და კიტა ჩხენკელები, ვიქტორ და გიორგი ნოზაძეები, ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი პაპავა, თამარ გოგოლაშვილი-პაპავასი, გიორგი ყიფიანი, გიორგი გამყრელიძე, ლილი გეგელაშვილი, იოსებ გოგოლაშვილი, სოსო ჟორჟოლიანი, იოსებ ელიგულაშვილი, შალვა მაღლაკელიძე, ივანე ზურაბიშვილი, კოლია ქვარიანი და სხვები.

მათგან დახვენილი პოეტური კულტურით ცნობილი გახლდათ გიორგი გამყრელიძე. იგი 1903 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში დაიბადა. მამამისი მიხეილ გამყრელიძე შავი ქვის მრეწველი იყო, რომელსაც საკუთარი მალაროები და შავი ქვის სარეცხი მანქანა ჰქონდა. მათი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. გიორგი გამყრელიძემ ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზია დაამთავრა, რომლის დირექტორი გახლდათ ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი და დირექტორის მოადგილე და მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი სილოვან ხუნდაძე. ისინი მოსწავლეებს იმთავითვე უნერგავდნენ სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებას.

გიორგი გამყრელიძეს შინაურები გუგულის ეძახდნენ. გიმნაზიაში სწავლის დროს იგი რედაქტორობდა სასწავლებელში არსებულ ჟურნალს „ბაღდადის წეროები“.

ქუთაისში მისი სწავლის პერიოდი „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლას დაემთხვა. პაოლო იაშვილი მისი ოჯახის ახლო-ნათესავი გახლდათ (მამები ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ). ბუნებრივია, გიორგი გამყრელიძეც გატაცებული იყო მათი იდეებითა და შემოქმედებითი წვით.

პირველი პოეტური ნაბიჯებიც მან „ცისფერყანწელთა“ გავლენით გადადგა და ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ პოეტის არა ერთი ლექსი დაიბეჭდა.

მისი პირველი ნიგნი კი „შემოდგომის ჭიანურები“ 1920 წელს დაიბეჭდა თბილისში, ხოლო 1922 წელს გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით „დალურსმული ხელები“ გამოვიდა.

1923 წელს შავი ქვის მრეწველმა მამამ იგი სასწავლებლად გერმანიაში გაგზავნა, სადაც მამის სურვილით ქალაქ კიოტენში სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე შევიდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად დარჩა მიუნხენში, სადაც გერმანელი ქალი შეირთო.

1937 წლიდან გიორგი გამყრელიძე საცხოვრებლად გადადის ჩეხოსლოვაკიაში და მუშაობას იწყებს ქარხანაში თავისი სპეციალობით.

„პრალაში რომ ჩავედი, იქ ვინახულე ჩემი პარიზელი ნაცნობი და მაშინ იქ მცხოვრები პოეტი გამყრელიძე. მასთან რამდენიმე საათილა დავრჩი“, – აღნიშნავდა თავის მოგონებაში მიხეილ ქავთარაძე [ქავთარაძე მ, 2007:163].

აქვე, მიხეილ ქავთარაძის ხსენებული მოგონება გიორგი გამყრელიძის ბიოგრაფიიდან ერთ ფაქტსაც ნათელყოფს: „ისევ პრალაში დავბრუნდი. იქ ისევ გამყრელიძე მოვინახულე. მსურდა, გამყრელიძის მეშვეობით პრალაში საწოვადე შემეძინა და უკან დაბრუნებისას ჩემი ოჯახისათვის დამეტოვებინა. გამყრელიძემ ერთი ჩეხის სახლში წამიყვანა და უთხრა ჩვენი მისვლის მიზეზი. ჩემმა გაკ-

ვირვებით და მრისხანედ შემომხედა, მაგრამ გამყრელიძე ჩაერია და უთხრა: ეს ჩვენი კაციაო; ჩეხი დათანხმდა, ჩემი სურვილი აესრულებინა.

შემდეგ, გამყრელიძემ სახლში წამიყვანა, ჩემი მატარებლის დრომდე კარგა დიდხანს ვისაუბრეთ. რაზე არ ვილაპარაკეთ: პოეზიაზე, პოლიტიკაზე, საქართველოზე, ჩეხიაზე...“ **[ქავთარაძე მ, 2007:165]**.

აქედან გამომდინარე, გიორგი გამყრელიძე, როგორც მკვლევართა ერთი ჯგუფი აღნიშნავს: „ამერიკაში საცხოვრებლად 1941 წელს კი არ გადასულა, არამედ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რათა თავი აერიდებია იმ დიდი დევნისაგან, რომელსაც სტალინი გამარჯვების შემდეგ ემიგრანტების მიმართ ანხორციელებდა.

ცნობილია, რომ ქართველ ემიგრანტთა დიდმა ნაწილმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სამხრეთ ამერიკას მიაშურა, რადგან ამ კონტინენტის ქვეყნები პოლიტიკურ დევნილებსა თუ ტყვედ ჩავარდნილებს უპირობოდ ღებულობდა.

გიორგი გამყრელიძე კი ტეხასის შტატში, ქალაქ დალასში, დასახლდა.

მისი პირველი წიგნი ამერიკის კონტინენტზე 1960 წელს სანტიაგო-დე-ჩილეში გამოვიდა. ლექსების კრებული „გვიანი რთველი“ დააფინანსა მრეწველმა ავთანდილ მერაბაშვილმა.

ლექსების კრებულმა იმთავითვე მიიქცია გრიგოლ რობაქიძის ყურადღება, რომელმაც საგანგებო წერილში განიხილა პოეტის შემოქმედება და იგი 1962 წელს ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ში გამოაქვეყნა: „ორი შაირი განვიხილე: ერთი გიორგი გამყრელიძისა, მეორე გიორგი ლოლუასი. ორივე შევაქე. წერილში პოეტური თვისებაც მოვხაზე პირველი შაირის ავტორისა. ლოლუას მის შემდგომ არა გამოუქვეყნებია – რა. სამწუხარო იქნება, თუ ხელი აიღო მწერლობაზე. გამყრელიძე კი მწერლობას განაგრძობდა. „ბედი ქართლისა“-ში შარშანწინ ზაფხულს მისი „გვიანი რთველი“ შაირთა წიგნი გამოქვეყნდა. თუ ერთს შაირის ავტორისა შევეხე, მით უფრო მმართველს წიგნს შევეხო მისსა.“

გრიგოლ რობაქიძემ დანვრილებით მიმოიხილა ავტორის ყველა ლექსი და საუკეთესო შაირებად „გვიან რთველში“ მიიჩნია: „ძველი სიმღერა“, „საჩხერის ღამე“, „ყველა სიმღერებს მირჩევნია“, „ოცნება რთველზე“, „თამარის დროშა“, „გასვენება შემოდგომით“, „პაოლო იაშვილის ხსოვნას“, „სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას“, „დაბრუნება დილით“.

დიდი მწერალი რამდენიმე შენიშვნას აძლევდა ავტორს და „რეტორიული“ გადამეტებისაგან თავის შეკავებას ურჩევდა: „ავტორი აქა-იქ ტყვედ უვარდება შემპარავ მტერს პოეზიისა: „რეტორიკას.“ თან იმასაც აღნიშნავდა, რომ „კრებულში“ წინად დაბეჭდილი შაირები შეუკეთებია და ყველა კარგად. განსაკუთრებით მოუგია „გასვენება შემოდგომით“. ერთხელ კიდევ მართლდება ამით დებულება, რომ ხელოვანი ხელოსანიც უნდა იყოს“ **[„ბედი ქართლისა“ 1953:59]**.

ზემოთ ჩამოთვლილი საუკეთესო ლექსებიდან საილუსტრაციოდ, მიძღვნილი ხასიათის ლექსს „პაოლო იაშვილის სახსოვრად“ დავიმონებთ:

„იყავ შუქურა პოეზიის კაშკაშა ცაზე.

შესტროფი კნუტებს და რქა-ალმას ღვინია ხარებს,

მკაცრი დღეების ქარიშხლებმა არ გაგახარეს

და „რემბოს მთვრალი ხომალდივით“ გაიჭერ ზღვაზე“.

„დიდი ოცნების რაინდს“ უწოდებს გიორგი გამყრელიძე ვალერიან გაფრინდაშვილს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში:

„როგორც ტრუბადურს, ფესვი გედო წარსულ ხანაში

და სიყვარულმა გაგაგიჟა ვით ოფელია.

გაშალე ფრთები... გადაფრინდი ლურჯ ქვეყანაში –

და სთქვი – „აქ ჩემთვის საშინელი სამყოფელია“.

ერთი ამოსუნთქვით იკითხება პოეტის ლექსი „ყველა სიმღერებს მირჩევნია“:

„ყველა სიმღერებს მირჩევნია ძველი „ხელხვავი“,  
 „ერთხელ ვიხილე“ და „გაფრინდი შავო მერცხალო“.  
 ჰო, ალტაცებავ, ჩაღველფილო ვით ნაკვერცხალო –  
 აანთე ისევ წარსულ დღეთა სიზმრების შვაგი.  
 ძველ სიმღერებში ყველასა სჯობს ჩვენი „ხელხვავი“,  
 „ერთხელ ვიხილე“ და „გაფრინდი შავო მერცხალო“.

ლექსში „საჩხერის ლამე“ გიორგი გამყრელიძის მშობლიური კუთხის მშვენიერი პეიზაჟია გად-  
 მოცემული:

„შელამდა უკვე, მთების გრეხილი –  
 ჩამოიბურა თალხი ბინდებით.  
 ძირს მინა სუნთქავს მკერდგაღელილი  
 სავსე ღვთის მადლით და გარინდებით.  
 არსით არ მოსჩანს ცეცხლის არც კვამლის  
 მძინარ დაბაში კრთომა, ციალი.  
 სიჩუმეს არღვევს ყივილი მამლის  
 და შორეული ურმის ქრიალი...“ **[დალასი, 1953 წ. აგვისტო]**

1957 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ კრებულში „ქართველი ერი“ დაიბეჭდა გიორგი გამყრელიძის  
 ლექსი „ილიას დაღუპვის 50 წლისთავზე“:

„როცა გესროლეს წინამურში მუხთალი ტყვია  
 განა შენ მოგკლეს? ჩვენც დაგვკოდე შენთან ზიარად  
 ჩვენც გულში მოგვხვდა შენი ტყვია, ჩვენო ილიავ,  
 და გულში დაგვაქვს შენ სახელთან მწარე იარათ.“

„კრებულში“ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსის გარდა მისი ორი სხვა ლექსიცაა დაბეჭდილი.  
 განსაკუთრებული პოეტური კულტურით გამორჩეული გიორგი გამყრელიძის სამივე ლექსი გვხი-  
 ბლავს ემოციით, სულის სინრფელითა და გამომსახველობითი ფორმებით.

1957 წელს ტეხასის შტატიდან ვაშინგტონში გადასვლის შემდეგ გიორგი გამყრელიძე ხელოვნე-  
 ბათმცოდნეობის ფაკულტეტს ამთავრებს და იცავს ხარისხს. იგი ევროპაში დაბრუნებამდე მუშ-  
 აობდა ვაშინგტონის ბიბლიოთეკის – აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში.

ამასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში პარალელურად რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულ გან-  
 ყოფილებაშიც მოღვაწეობდა, სადაც უმთავრესად ქართული ლიტერატურის საკითხებზე აწყობდა  
 მდიდარი შინაარსის გადაცემებს.

ნიუ-იორკში გამოშვალ „კრებულ“-ში ლექსების გარდა დაიბეჭდა გიორგი გამყრელიძის წერილი  
 „ვეფხისტყაოსანზე“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ხელნაწერს  
 შორის არსებული „მთავარი განსხვავებანი აუცილებლად სხვის ხელს, ესე იგი ყალბის მქნელს კი არ  
 უნდა მიეწეროს, არამედ თვითონ რუსთაველს!“

1963 წელს ვაშინგტონში გამოიცა გიორგი გამყრელიძის უკანასკნელი წიგნი „ლექსები, მოთხრო-  
 ბები, თარგმანები უცხო პოეზიისა და ორნითოლოგიური ნარკვევები,“ სადაც შესული ლექსები პო-  
 ეტს საგანგებოდ არ შეურჩევია, რადგან იგი ამოღებული ყოფილა „დასაბეჭდად აწყობილ კრებული-  
 დან, რომელშიც მოხვდა ბევრი უკვე დაბეჭდილი და ბევრიც ჯერ დაუბეჭდავი ლექსი“, – აცხადებდა  
 პოეტი წიგნისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში.

25 ორიგინალური ლექსის გარდა ნიგნში გიორგი გამყრელიძეს შეტანილი აქვს მის მიერ თარგმნილი უცხო პოეტთა 15 ლექსიც, რომელიც ატარებენ უფრო ნიმუშის, ანუ უკეთ ჭაშნიკის სახეს და ხასიათს თარგმნის უნარიანობისა და სიკეთის შესამონმებლად.

პოეტური თარგმანებისთვის თავისებურ გასაღებად უნდა დავიმონმოთ პოეტის ლექსი „ამერიკას“.

„ამერიკაში, (ვოცნებობდი ბავშვობის წლებში),  
რომ ვიხილავდი – გარეული კამეჩის ჯოგებს...  
დავინახავდი მოლივლივე კონდორს ღრუბლებში  
და მისისიპის ნაპირებზე ინდიელთ ქოხებს...  
დღით, დამიხშობდა ნიაგარა სმენას გოდებით,  
ღამით მიმღერდნენ სერენადებს კაიოტები.

\*\*\*

წარვიდნენ დრონი... გაიტაცა გრიგალმა ტივი;  
ნაღველით სავსე გამოვცალე ბევრი ფიალა;  
და ბედისწერამ, განწირული „მთვრალ ხომალდით“,  
მე დედამინის ყოველ კუთხეს მახეტილა“.

მართლაც, ბედისწერამ პოეტი გიორგი გამყრელიძე ზემოთქმული ლექსისა არ იყოს ბედისწერამ სად არ ატარა. 1972 წელს იგი კვლავ დაბრუნდა ევროპაში და ქალაქ მიუნხენში დასახლდა.

საერთოდ, გიორგი გამყრელიძეს უცხოეთში არც ოჯახური სიტბო აკლდა და არც მატერიალურად უჭირდა, მაგრამ მის პოეზიაში ემიგრაციამ შექმნა ხანგრძლივი ტრაგიზმი. ეს ყოვლისმომცველი მგლოვიარობის განცდაა გამოხატული ლექსში „დამშვიდობება“:

„როცა დავტოვე მყუდრო მხარე, ჩემი სოფელი,  
რალაც სხვაგვარად შრიალებდენ ცაცხვის რტოები,  
თითქოს მესმოდა მშვენიერი ვალსი შოპენის,  
დამშვიდობების, სამუდამო გამოთხოვების“.

1975 წელს გუგული გამყრელიძე მიუნხენში გარდაიცვალა. პოეტის ხსოვნას ლექსი უძღვნა თანაქალაქელმა ემიგრანტმა გიორგი ყიფიანმა, რომელიც ჟურნალ „კავკასიონში“ 1981 წელს დაიბეჭდა:

„უკვე დამაჭრდა გულში ტკივილი  
ცრემლებმა უნდა შესვას ზედაში,  
ნუთუ განშორდი შაირთა შრიალს,  
რომ მიმალულხარ მაღალ ზენაში...  
...პოეტო ძმაო, გუგულის გულო –  
ხმა უწყინარო პოეტთა შორის,  
ვერ დავასრულეთ ჩვენ მეგობრობა  
ისე ნახვედი, ისე დამშორდი“.

წინასწარმეტყველური გამოდგა გიორგი გამყრელიძის ლექსი „ეპიტაფია“, რომელსაც პოეტი ასეთი სტრიქონებით ამთავრებს:

„აუტყდებოდათ ქვითინით გმინვა,  
ან განისვენებს მუზების მონა...“

ან ველარ უსმენს ტალღებს ქაფიანს,  
 დარჩა პოეტის ლექსების კონა  
 და საფლავის ქვის ეპიტაფია“.

გიორგი გამყრელიძე მაღალი ნიჭის პოეტი იყო, რასაც ხელს უწყობდა რამდენიმე უცხო ენის ცოდნა. იგი ორიგინალში კითხულობდა და თარგმნიდა რუსულ, ჩეხურ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ლიტერატურას.

და, როგორც გიორგი ნოზაძე აღნიშნავდა: „მას რომ დასცლოდა, უეჭველად ჩვენ გავიცნობდით უფრო მდიდარ, უფრო ღრმა და უფრო მწიფე მწერალს, ვიდრე მანამდე ვიცნობდით“.

1963 წელს ვაშინგტონში გამოცემულმა გიორგი გამყრელიძის უკანასკნელმა ნიგნმა „ლექსები, მოთხრობები, თარგმანები უცხო პოეზიისა და ორნითოლოგიური ნარკვევებ“-მა დიდი როლი ითამაშა, რათა დაცული და შენახული ყოფილიყო ყველა რჯულის ფრინველები, რომლებსაც დაცვა-მფარველობის გარეშე სრული გადაშენება მოელოდათ. ნიგნში დაბეჭდილია ასევე სათანადო ილუსტრაციებიც.

საერთოდ, სამართლიანად შენიშნავდა გიორგი გამყრელიძის „ანდერძ-ნამაგის“ გამო გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი მიხეილ ქავთარაძე: „ყოველივე ეს ჩვენ მოგვაგონებს იმ ბრწყინვალე ტრადიციას, რომლის მიმდევარი ჩვენი წინაპრები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ – უცხოეთის მონასტერში თუ გადახვეწილობაში, – თავისი ქვეყნის კულტურას წერით და თარგმნით და ბეჭდვით ემსახურებოდნენ“ [„კავკასიონი“ 1964:152].

სიტყვითა და კალმით გიორგი გამყრელიძე პირუთვნელად ემსახურებოდა თავის ქვეყანას და მან შემოქმედებითად, ჭეშმარიტად, დაიმკვიდრა ადგილი მშობლიური ქვეყნის უახლეს ლიტერატურაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე გ. „გვიანი რთველი“, სანტიაგო დე ჩილე, 1960.
2. ნოზაძე გ. „გიორგი გამყრელიძე“, ჟურ. „კავკასიონი“, ტ. 18, პარიზი, 1976.
3. რობაქიძე გრ. „კრებული“, მიუნხენი, კარლო ინასარიძის გამოცემა, 1984.
4. ქავთარაძე მ. „ცხოვრების 100 წელი“, თბილისი, 2007.
5. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1953.
6. ჟურნალი „კავკასიონი“ ტ.9, პარიზი, 1964.
7. ჟურნალი „კრებული“, ნიუ-იორკი, 1957.
8. ჟურნალი „ქართული ერი“, ნიუ-იორკი, 1957.
9. ჟურნალი „ჩვენი გზა“, №1-2, ნიუ-იორკი, 1953.

MARIAM MARJANISHVILI

*Doctor of Philology***THE CREATOR DISTINGUISHED WITH POETIC CULTURE**

Giorgi Gamkrelidze was the writer of great talent, sophisticated taste and broad culture. Besides, he could speak several foreign languages.

His first book “Autumn tunes” was published in Tbilisi in 1920, his last book “Poems, stories, translations of foreign poetry and ornithological essays” – in Washington.

Giorgi’s father, Mikheil Gamkrelidze was a black stone industrialist and after finishing Kutaisi Gymnasium in 1923, he sent his son to study at the mining-engineering faculty in Germany. After graduation, Giorgi worked in Czechoslovakia.

After the end of the World War II, a large number of Georgian emigrants moved to South America, because the countries of this continent accepted political refugees and hostages unconditionally. Giorgi Kereselidze settled in Dalas, Texas. From 1957, he lived in Washington. Here, he acquired his degree in art and worked in Washington library in the department of Oriental literature.

The poet’s poems and essays were systematically published in Georgian periodicals which came out in America.

His first book on the American continent came out in 1960 in Santiago-de-Chile. The collection of poems “Late Vintage” was financed by an industrialist Avtandil Merabishvili.

The book immediately attracted Grigol Robakidze’s attention, who wrote about the poet’s creativity in his letter and in 1962 published the poems in “Bedi Kartlisa”.

In 1963, in Washington Giorgi Gamkrelidze’s last book, “Poems, stories, translations of foreign poetry and ornithological essays” was published.

Apart from 25 original poems, the author included his translations of 15 foreign poems.

Giorgi Gamkrelidze served his country with his word and pen and established himself in the latest literature of his native country.

თინათინ ლეთოლიანი

### ბ. გრასის „თუნუქის დოლი“, როგორც ანტი-აღზრდის რომანი

„თუნუქის დოლი“ თანამედროვე გერმანელი მწერლის გიუნტერ გრასის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, რომელიც მრავალპლანობიანია, ხოლო მისი თემა და თხრობის სტილი იმდენად ცვალებადი, რომ ძნელია ცალსახად მივაკუთვნოთ იგი რომანის რომელიმე ტიპს. მკვლევართა პოზიცია მკვეთრად არაერთგვაროვანია: საკუთარ არგუმენტზე დაყრდნობით ისინი რომანს ხან განმანათლებლურს უწოდებენ, ხან ისტორიულს, ან კიდევ რეალისტურს თუ სიურეალისტურს, ხან თაღლითურს თუ პიკარესკულს, ხან კიდევ აღზრდის ან განვითარების რომანს. მიუთითებენ ასევე, რომ მასში ბაროკოს რომანის ტრადიციებიც იგრძნობა.

მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვან სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცდებით, გერმანული „განვითარების რომანის“ სპეციფიკის გათვალისწინებით, დავადგინოთ, რომანის რომელ ტიპს მიეკუთვნება გ. გრასის „თუნუქის დოლი“ – „აღზრდის რომანს“ თუ „ანტი-აღზრდის რომანს“ („Bildungsroman“ – „Antibildungsroman“), რამდენად შესაძლებელია განვიხილოთ ის „განვითარების რომანის“ ჩარჩოებში მისი ესთეტიკური ტენდენციების გათვალისწინებით, ატარებს თუ არა იგი ამ ტიპის რომანთათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რა არის მასში ტრადიციული და რა ნოვატორული, რა საერთო აქვს ამ რომანს სხვა „აღზრდის რომანებთან“. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად მივიჩნევთ, განვიხილოთ თვით „თუნუქის დოლის“ სტილი, თხრობის პერსპექტივა ნაწარმოებში, მხატვრულ სახეთა აგების პრინციპები და შევადაროთ გრასის მიერ გამოყენებული თხრობის ესთეტიკური ფორმა „განვითარების რომანისათვის“ დამახასიათებელ სტილს.

რომანის თეორიაში „განვითარების რომანი“ ეწოდება ისეთ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ, სულიერ-ინტელექტუალურ, ანდა „იდების“ თუ „იდეოლოგიურ“ რომანს, რომლის ცენტრში მოქცეულია ერთი პიროვნების, ერთი ინდივიდის სულიერ-მორალური, მსოფლმხედველობრივი განვითარების, აღზრდის, მისი ჩამოყალიბების რთული პროცესის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გამოსახვა ბავშვობიდან მოწიფულობამდე. ეს წარმოადგენს რომანის წინა და მთავარ პლანსაც. რომანის უკანა პლანს ქმნის სოციალური კავშირ-ურთიერთობანი, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები და ა. შ. გერმანული განვითარების რომანთა ძირითადი პრობლემატიკას სწორედ პიროვნების ინდივიდუალური ფასეულობები წარმოადგენს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინაგანსა და პირადულს, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნაკლებ მნიშვნელოვანია. სწორედ ამით გამოირჩევა გერმანული განვითარების რომანი დასავლეთევროპულისაგან, სადაც ასახულია სოციალური რეალობა და წინა პლანზე სოციალური კონფლიქტებია წამოწეული. ელემენტარ-აღსარებითი ტონალობა „აღზრდის“ ანუ „სულის“ რომანს მეტ ინტროსპექტულობას ანიჭებს. გარეგანი პროცესები და ვითარებები უკანა პლანზე გადადის და არსებითი მნიშვნელობა სულის ცხოვრებასა და გულის კონფლიქტებს ენიჭება.

აღზრდის რომანი ტიპიური გერმანული მოვლენაა და იგი სათავეს ადრეული შუა საუკუნეების ლიტერატურაში იღებს. რაც შეეხება მე-20 საუკუნის „აღზრდის რომანს“, მისი სპეციფიკა განპირობებულია პიროვნების, ინდივიდის გაუცხოებით გარესამყაროსაგან, რაც II მსოფლიო ომითა და მისი შედეგებითაა გამოწვეული. ფედერაციულ გერმანიაში დღის წესრიგში დგას საკითხი თვითდამკვიდრებისა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნისა, ხოლო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ინდივიდუალური განვითარება პოლიტიკურ კონტექსტში მოიაზრება – იდეალი ახალი, სოციალისტური საზოგადოებისათვის შესაფერი პიროვნების აღზრდაა. ო. გუთიარის აზრით, 1945

ნლის შემდეგ „აღზრდის რომანი“ დასავლეთის გერმანულენოვან ქვეყნებში ნაკლებ როლს თამაშობს. „Nach 1945 spielte der Bildungsroman in der Literatur der westlichen deutschsprachigen Länder, anders als in der DDR, kaum noch eine Rolle“ (Gutjahr, 2002; 22). ამ პერიოდიდან განსხვავებული ფორმა და სტრუქტურა შეიძინა „აღზრდის რომანმა“ არა მარტო გერმანულენოვან, არამედ საერთოდ ევროპულ ლიტერატურაში, შეიქმნა „ანტი-აღზრდის რომანები“ და პაროდები „აღზრდის რომანზე“.

შეიძლება ითქვას, რომ, გერმანულმა „აღზრდის რომანმა“ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ევროპული რომანის ისტორიაში. გიუნტერ გრასის „თუნუქის დოლი“ პოსტმოდერნისტული თავნებობის ეპოქაში, ერთის მხრივ, ჩვენი აზრით, აღზრდის რომანის ტრადიციების გამგრძელებელია, ხოლო, მეორეს მხრივ, მას თავისი მრავალპლნიანობითა და თხრობის სტილის განსაკუთრებულობით სიახლე შემოაქვს გერმანული რომანისტიკის ისტორიაში და, პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ხასიათის შესაბამისად, ტრადიციული განვითარების რომანის პაროდულ სახეს წარმოადგენს. ეს თვალნათლივია ოსკარ მაცერატის მხატვრული სახის ანალიზის მემწეობით: იგი მეძუძური ბავშვის გადმოსახედიდან აკვირდება მოზრდილ ადამიანთა მისთვის ნაკლებად მისაღებ და ნაკლებად საინტერესო ცხოვრებას და საკუთარი დასკვნები გამოაქვს, თვალყურს ადევნებს ამ სამყაროს დიდი დისტანციიდან, ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად აპროტესტებს არა მხოლოდ საზოგადოებრივ წყობილებას, არა მხოლოდ არსებობის რაიმე კონკრეტულ გამოვლინებას, არამედ საერთოდ ადამიანურ არსებობას. მისი მიზანია ტოტალური ინფანტილიზმი.

„Beschreibung und ironische Reflexion, Darstellung und kritischer Kommentar gehen unbekümmert ineinander über“ – აღნიშნავს მ. რ. რანიცკი. ამას კი იწვევს ის, რომ ოსკარი ნანარმოებში ნაჩვენებია, ერთის მხრივ, როგორც პრიმიტიული ქმნილება და, მეორეს მხრივ, როგორც ბრძენი, ერთის მხრივ როგორც პატარა ბავშვი და როგორც უსაკო არსება. ოსკარ მაცერატის განვითარების ხაზიც რომანში, სწორედ ამ მომენტიტაა განპირობებული. ამიტომ არსებობს მეცნიერთა შორის განსხვავებული მოსაზრება იმის თაობაზე, რამდენად შეიძლება „თუნუქის დოლი“ მიჩნეულ იქნას „განვითარების რომანად“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გიუნტერ გრასი გრიმელსჰაუზენის მსგავსად აგებს ოსკარის მხატვრულ სახეს „თუნუქის დოლში“. ორივე რომანში ომის პერიოდია ასახული, ორივე ავტორი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღწერონ არა მარტო ცალკეული ფაქტები და მოვლენები, არამედ შექმნან ფიგურათა ფართოდ გაშლილი პანორამა. თხრობის სიძლიერე და ეფექტურობა ორივე რომანში ერთნაირია, მაგრამ განსხვავებით პიკარესკული რომანებისგან გრასთან ნანარმოების დასასრული უფრო მელანქოლიური და პესიმისტურია. ასევე აღსანიშნავია, რომ ოსკარის გადაწყვეტილება, თავისი მესამე დაბადების დღიდან ზრდის პროცესი შეწყვიტოს და სანაცვლოდ თუნუქის დოლი აიღოს ხელში, ბოლომდე არ თანხვედება პიკარესკული რომანის ტრადიციებს. სიმპლიცისიმუსს შეუძლია შეშლილის ნილაბში დაიმალოს, მაგრამ როცა სურვილი ექნება, შეუძლია მოიხსნას ეს ნილაბი და განაგრძოს ცხოვრება როგორც ჩვეულებრივმა პატარა ბავშვმა. ოსკარისათვის კი ეს შეუძლებელია, რადგან ის თავიდანვე იღებს მკაცრ გადაწყვეტილებას, საერთოდ არ გაიზარდოს: მისი მცდელობა გაეგრძელებინა შეწყვეტილი ზრდის პროცესი ომის პერიოდში, მარცხით მთავრდება, ის მხოლოდ რამოდენიმე სანტიმეტრით შეძლებს გაზრდას და ამასთანავე ზურგზე უკვე კუზიც უჩნდება. ეს ყველაფერი კი იმის ნიშანია, რომ მაცერატის ინტეგრირება ნორმალურ ცხოვრებაში უკვე შეუძლებელია და ის უკვე საშინლად გრძნობს თავს. ამ დეფიციტის შესავსებად მიმართავს სწორედ ოსკარი თუნუქის დოლს, რომლის „ექვივალენტად“ გრიმელსჰაუზენთან პროტაგონისტის სალამური გვევლინება, მაგრამ განსხვავება შესამჩნევია: რაც სიმპლიცისიმუსისათვის უსარგებლო ნივთია, ოსკარისათვის დოლი საკუთარი ცხოვრების, საკუთარი არსებობის გამოვლინების ერთადერთი საშუალებაა.



თუ თვალყურს მივადევნებთ ოსკარ მაცერატის ცხოვრებასა და სულიერ სამყაროს, გაჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ მაცერატი სრულყოფილ არსებად, შეიძლება თუ არა ვისაუბროთ მისი განვითარების ხაზზე რომანში?

ტრადიციული „აღზრდის რომანის“ გმირი თავისი ცხოვრების მანძილზე სულიერი და ფიზიკური განვითარების და ჩამოყალიბების რთულ, ხანგრძლივ პროცესს გადიოდა, „თუნუქის დოლის“ მთავარი პერსონაჟი – ოსკარი კი შინაგანად, თუ გარეგნულად განუვითარებელია. სამი წლის ასაკში ის საკუთარი ნებით წყვეტს ზრდის პროცესს და სპეციალურად ვარდება კიბიდან, რათა ახსნა მოუძებნოს მისი განვითარების შეფერხებას. ის დასაწყისშივე უარს ამბობს ცხოვრების ჩვეულებრივ სტილზე და სამყაროს თავიდანვე ემშვიდობება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „თუნუქის დოლს“ აღზრდის რომანთან გარკვეული კავშირი აქვს, ის უფრო ამ ტიპის რომანთა საპირისპირო სახედ უნდა მივიჩნიოთ. ქ. ჰ. ბეკიცი აღნიშნავს თავის ნაშრომში „თუნუქის დოლის“ შესახებ, რომ იგი არის „alles andere, als ein Bildungsroman im herkömmlicher Sinne“ (Beck, 1989; 231).

თუ ტრადიციულ „აღზრდის რომანში“ აქტუალურ თემას წარმოადგენდა პიროვნების ინტეგრირების საკითხი საზოგადოებასთან, ოსკარს თავისი განუვითარებლობა, ფაქტობრივად, უუნაროს ხდის ინტეგრაციისათვის. იგი ჩაკეტილია თავის სამყაროში და დაკავებულია ერთადერთი საქმიანობით – „დოლზე პერმანენტული ბრახუნით“.

მას შემდეგ, რაც ოსკარისათვის სკოლაში განათლების მიღების პერსპექტივას წერტილი დაესვა, იგი ცდილობს თვითგანათლების გზით შეივსოს დანაკლისი. მაგრამ აქ უკვე პარადოქსულ სიტუაციას ვაწყდებით. გუნთერ გრასი თავიდანვე ათქმევინებს თავის პერსონაჟს, რომ მისი განუვითარებლობა დაბადებამდე იყო გადანყვებილი და, მაშასადამე, ყოველი მცდელობა განვითარებისა ამაო იქნებოდა. თუმცა, ავტორი ამ შემთხვევაში არ ღალატობს ტრადიციული „აღზრდის რომანის“ სქემას – ოსკარი მაინც არ იშურებს ძალას და ენერგიას განათლების მისაღებად. რამდენადაც განათლება თვითმიზნად იქცევა და მას არანაირი შედეგი არ მოაქვს, ამდენად ოსკარის მდგომარეობა ამ სფეროშიც გროტესკულ-პარადიულია. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სამი წლის ჯუჯა დაუფიქრებლად აკეთებს არჩევანს, ეზიაროს განათლებას იმ პიროვნებათა წიგნებიდან, როგორებიცაა რასპუტინი და გოეთე: „Nach längerem Zögern... griff ich, ohne zu wissen, was ich griff, nur dem bekannten inneren Stimmchen gehorchend zuerst den Rasputin und dann den Goethe“ (Arnold, 1988; 101) („ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ... მხოლოდ ნაცნობ, შინაგან ხმას მინდობილმა, ისე რომ არც კი ვიცოდი, ხელში ავიღე რასპუტინი და შემდეგ გოეთე“). ამ სცენით გუნთერ გრასი თავს ესხმის ბიურგერთა მექანიკურ, გაუაზრებელ ორიენტაციას გოეთესეულ ჰუმანიზმზე. რასპუტინისა და გოეთეს სახეების პარადიული შერწყმით ავტორი საეჭვოს ხდის კლასიკური განათლებისა და აღზრდის პრინციპის ავტომატურად დანერგვას ომის შემდგომდროინდელ გერმანულ სინამდვილეში.

„თუნუქის დოლში“ გმირს დაკარგული აქვს „აღზრდის რომანის“ გმირისათვის ნიშანდობლივი კიდევ ერთი შტრიხი – მას აღარ გააჩნია მისაბაძი იდეალის ფუნქცია. სავსებით ვეთანხმებით მკვლევარ ნ. ნასარიძის მოსაზრებას, რომ „იდენტობანართმეული, საკუთარ თავს დაპირისპირებული ადამიანი თავისთავად ვერ ამალღდება ნიმუშის დონეზე. ეს ასპექტი მწერალს გათვალისწინებული ჰქონდა. მას წინასწარ ჩაფიქრებული ჰქონდა ოსკარის ეს თვისება მხილებულიყო“ (ნასარიძე, 2006; 186).

თუკი „აღზრდის რომანი“ უპირატესად ერთ ადამიანის ბედს, მის სულიერ-ინტელექტუალურ ისტორიას მოგვითხრობდა და ყველა მეორეხარისხოვანი პერსონაჟი მას იყო დაქვემდებარებული, მისი სულის ლაბირინთებში შესაღწევ საშუალებას წარმოადგენდა, „თუნუქის დოლში“ აღწერილი დანციგური სამყაროს უამრავი წარმომადგენელი მხოლოდ ეპიკურ ფონს ქმნის, სოციალურ-პანორამულ სურათს ამძაფრებს. რომანის ავტორი ხატავს გლეხებს, ვაჭრებს, ნაციონალ-სოციალის-

ტებს, ებრაელ და პოლონელ პარტიზანებს, მაგრამ მისი პოზიცია არასდროსაა ცალსახა, მკვეთრად გამოხატული. ერთი კი ცხადია, რომ მწერალი იბრძვის ფანატიზმისა და ბრმა იდეოლოგიის წინააღმდეგ. გრასი ისტორიულ სიზუსტით აღწერს მოვლენების განვითარებას დროსა და სივრცეში. ამ ფაქტის გამო მეცნიერთა ერთი ნაწილი ნაწარმოებს ისტორიულ რომანადაც კი მოიხსენიებდა. მაგრამ ეს მხოლოდ ფონია, ჩარჩოა, რომლის მიღმაც ეგზისტენციურად შეჭირვებული კაცობრიობის სულიერი პორტრეტი იმალება.

გიუნტერ გრასი ოსკარის პირით „თუნუქის დოლის“ დასაწყისშივე გვამზადებს იმის შესაგნებად, რომ ამაოდ უნდა ველოდოთ ტრადიციული რომანის ტიპს: „Man kann auch ganz zu Anfang behaupten, es sei heutzutage unmöglich, einen Roman zu schreiben... Es gibt keine Romanhelden mehr, weil es keine Individualisten mehr gibt, weil die Individualität verlorengegangen, weil der Mensch einsam, jeder Mensch gleich einsam ist und eine namen- und heldenlose einsame Masse bildet“ (Grass, 1993; 13) („დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით რომანის წერა შეუძლებელია.... აღარ არსებობენ რომანის გმირები, რადგან თვალს მიეფარნენ ინდივიდუალისტები, რადგან ინდივიდუალობა დაიკარგა, რადგან ადამიანი ეულია, ყოველი ადამიანი ერთნაირად მარტოსულია... და ერთობლივად უსახელო და უგმირო მასას ქმნიან“).

კორუმპირებული საზოგადოებრივი „ფასეულობების“ კრიტიკას გრასი „ანტიალზრდის“ რომანის სტილის გამოყენებით ცდილობს. ის მართებულად მიიჩნევდა თავის ნაწარმოებს გერმანულ განვითარების რომანთან ირონიულ-დისტანციურ დამოკიდებულებების მქონე ნაწარმოებად. „თუნუქის დოლი“ ავტორისათვის არის „un travesi du „roman de formation“, „le Bildungsromanallemand“ რომელსაც ის უპირველეს ყოვლისა „ვილჰელმ მაისტერისა“ და „მწვანე ჰაინრიხიდან“ მომდინარედ თვლის (Arnold, 1988; 6).

უპირველეს ყოვლისა თვალში საცემია ოსკარ მაცერატის „განვითარების გზის“ დეფორმაცია. სამი წლის ასაკში ის წყვეტს ზრდის პროცესს და ამით პრინციპულად უარყოფს სოციალიზაციას და თავშესაფარს რაღაც „საკრალურსა და ბანალურში“ პოულობს („sich weder im sakraler noch im Profanen beheimatet“ (Meyer, 333). ნაწარმოები მართლაც რომ „ალზრდის რომანის“ პაროდიას წარმოადგენს, თითქმის ყველა ნიუანსი სწორედ ამაზე მიუთითებს, ძირითადი და გადაწყვეტი მომენტიც რომანიდან, როცა მაცერატი ცხოვრების „თანამგზავრად“ თუნუქის დოლს ირჩევს, ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ. ვილჰელმ მაისტერის არჩევანი ბიურგერულ და ხელოვანის არსებობას შორის სწორედ რომ პარადიულადაა წარმოდგენილი ოსკარის მიერ მამის სავაჭრო საქმიანობასა და დედის მიერ ნაჩუქარ თუნუქის დოლს შორის დოლის ამორჩევის სცენით.

თუკი „განვითარების რომანის“ ტრადიციის მიხედვით პროტაგონისტი გადის პიროვნული ჩამოყალიბების რთულ და წინააღმდეგობებით სავსე გზას, რათა ბოლოს მიაღწიოს ჩამოყალიბებულ, სრულყოფილ ხასიათს, ოსკარი პირიქით, შინაგანად და გარეგნულად სრულიად ჩამოუყალიბებელია.

ჰ. მ. ენცენსბერგერის მოსაზრებას, რომ „თუნუქის დოლი“ „განვითარების რომანად“ მივიჩნიოთ, ეწინააღმდეგება მ. დურცაკი, რადგან, მისი აზრით რომანს არ გააჩნია ის არსებითი ნიშან-თვისებები, რაც ტრადიციულ „ალზრდის რომანს“: „Was also im traditionellen Bildungsroman als natürliche Entwicklung erscheint, die Assimilation des Helden an die soziale Umwelt, wird von Oskar bewusst abgelehnt; nicht zu Unrecht, so scheint es, auf dem Hintergrund des Romans... Was der Entwicklungsroman von seiner Form her fordert, ist bei Oskar von Anfang an nicht gegeben“ (Durzack, 1982; 261).

ვ. შვანიც უარყოფს „თუნუქის დოლის“ ყოველგვარ კავშირს „ალზრდის რომანის“ ტრადიციებთან, განიხილავს რა თვით „ალზრდის რომანის“ ხასიათსა და თავისებურებებს: „Günter Grass nabelt hier den Protagonisten seines Romans mit Vorbedacht ab von der literarischen Tradition des Entwicklungs- und Bildungsromans. Geht es dort, im Entwicklungsroman, darum, den Helden der Handlung in der produktiven, zielorientierten Auseinandersetzung mit der Welt zu sich selbst und zu seiner Bestimmung zu führen, so ist so für Oskar alles Wesentliche, u. a. auch die „geistige Entwicklung“ bei der Geburt „abgeschlossen“ (Schwan, 1990; 18). ვ. შვანი, აქვე აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ხელს არ უშლის ოსკარს მთელი

თავისი არსებობის მანძილზე ცხოვრებისეული გამოცდილებები მიიღოს და საკუთარი შეხედულებები შეექმნას სამყაროზე ისე, რომ ამის პარალელურად არ შეიცვალოს თავისი მდგომარეობა და დარჩეს ისევ განუვითარებელ არსებად.

ვეთანხმებით გერჰარდ მაიერის მოსაზრებას, რომელიც განიხილავს რა გერმანული „ანტი-ალზრდის რომანის“ თავისებურებებს, ნუმუშად ხშირად სწორედ „თუნუქის დოლი“ მოჰყავს და გრასის ამ ნაწარმოებს „ანტი-ალზრდის რომანთა“ ჟანრს მიაკუთვნებს: „Der äußere Disproportion des buckligen Gnomen entspricht der innere Widerspruch von infantilem Benehmen und überdurchschnittlicher geistlicher Potenz, von paranoischen Wahnvorstellungen und durchdringenden Menschenkenntnis... Die Werkstruktur der Blechtrommel lässt sich, wie gesagt, als parodistische Dekonstruktion des invarianten Strukturtypus des Bildungsromans verstehen. Dessen konstitutive Elemente werden mehrheitlich eliminiert; dies gilt für die exemplarische Qualität des Protagonisten.“ (Meyer, 1992; 332-333). მართლაც, ნაწარმოებში არ ვხვდებით მთავარი პერსონაჟის მიერ პიროვნული იდენტურობის, არსებობისათვის აუცილებელი გზების ძიებას, პირიქით, აქ აღწერილია მთხრობელის ამაო მცდელობა, დარჩეს მუდამ ყველაფერის უარმყოფელ არსებად შინაგანადაც და გარეგნულადაც. მისი ცხოვრება ტოტალური უარყოფაა თვით ამ ცხოვრებისა. სტრუქტურული თვალსაზრისითაც „თუნუქის დოლი“ პაროდიაა: „Auch das Strukturmerkmal der exemplarischen Qualitaet des Protagonisten ist in der `Blechtrommel` eliminiert. Die identitaetslose, aus antinomischen Widerspruechen sich konstituierende Figur des Blechtrommlers kann für den gesellschaftlich integrierten Leser kein Identifikationsangebot darstellen. Dies war vom Autor beabsichtigt; der Roman sollte gegen den Strich gelesen werden, um Oskars Position kritisch zu hinterfragen und dabei die eigenen Wertvorstellungen zu überprüfen“ (Meyer, 1992; 334).

გ. გრასის „თუნუქის დოლის“ „ალზრდის რომანისათვის“ დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებების პაროდის საფუძველი ე. წ. დეკონსტრუქციის ესთეტიკაშიც უნდა ვეძებოთ, რადგან ნაწარმოები აშკარად ყოველგვარ სიმეტრიულსა და მონესრიგებულზე, ყოველგვარ თანამიმდევრულზე ამბობს უარს და ოსკარის სახით ორიგინალურ, განსხვავებულ და ყოველმხრივ უცნაურ მთხრობელს წარმოგვიდგენს, რომლისთვისაც არ არსებობს წესები. გ. გრასი ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული ნორმების პაროდის საშუალებით აღწევს სწორედ დასახულ მიზანს, კრიტიკულად წარმოგვიდგენს სამყაროს უარყოფით მხარეებს. დოლზე დამკვრელი ოსკარ მაცერატი უკუაგდება იდეოლოგიურად დამკვიდრებულ, თავის თანამედროვე ნეოჰუმანისტურ ადამიანს და აკრიტიკებს მის აპოლიტიკურ, პასიურ დამოკიდებულებას XX საუკუნის გერმანიის ისტორიისადმი. გ. გრასი ამ ყველაფერს სწორედ „ალზრდის რომანის“ პაროდის საშუალებით ახერხებს და ასე ამკვიდრებს „ანტი-ალზრდის რომანის“ ესთეტიკას.

ამრიგად, გიუნტერ გრასის „თუნუქის დოლი“ აგრძელებს გერმანული პროზის სტატიკური თხრობის ტრადიციას. ნაწარმოებში ერთმანეთს საინტერესოდ უპირისპირდება რეალისტურად ნაჩვენები სამყარო და ფანტასტიკურად თუ მითოლოგიურად სახეცეული გმირი. გრასი დაუფარავად ასახავს მის თანამედროვე გერმანულ და ევროპულ სამყაროში ეგზისტენციურად შეჭირვებული კაცობრიობის ბედს. გვიჩვენებს რა გერმანულ სინამდვილეს, ის მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით შემოიფარგლება და ცდილობს მათი შეფასებისაგან თავი შეიკავოს. ავტორი ცალსახა პასუხს არ სცემს აქტუალურ საკითხებს: როგორ უნდა გააგრძელოს თანამედროვე ადამიანი ცხოვრება, რა უნდა დადგეს ალზრდა-განათლების ყურადღების ცენტრში, და საერთოდ, როგორ უნდა დაიბრუნოს ადამიანი ჰარმონიული ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან და საკუთარ თავთან, მაგრამ აშკარაა, რომ იგი იბრძვის ცხოვრების იმგვარი სტილის წინააღმდეგ, რაც მის ეპოქაში გაბატონებულია და ამ ყველაფერს, როგორც გ. მაიერი აღნიშნავს, ოსტატურად ახერხებს „ანტიალზრდის რომანის“ ჟანრის გამოყენების საშუალებით. მართლაც, ვთვლით, რომ უნდა დავეთანხმოთ მაიერის მოსაზრებას და ოსკარ მაცერატი სწორედ „ანტიალზრდის რომანის“ გმირად განვიხილოთ, რადგან მისი ცხოვრების სტილი, მთელი მისი არსებობა, სწორედ რომ „განვითარების“ ყოველგვარ ნორმებს უარყოფს და მის პარადიულ და სანინაალმდეგო სახედ გვევლინება. სხვადასხვა მხატვრული ხე-

რხების ოსტატური გამოყენების საშუალებით გუნთერ გრასი ქმნის ახლებურ, მოდერნისტულ რომანს, რომელიც თითქოს ძველი რომანის ტრადიციებს ეყრდნობა, თუმცა სინამდვილეში, მის ახლებურ ინტერპრეტაციას, უფრო მეტიც, მის პაროდის ნარმოადგენს.

გიუნტერ გრასის „თუნუქის დოლი“ დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და მისი ძირითადი ღირებულება სწორედ მის პაროდულ და ტრადიციული რომანის ტიპისადმი გროტესკულ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ. „თუნუქის დოლი“ „განვითარების რომანის“ საპირისპირო ჟანრად უნდა მივიჩნიოთ, მისი მთავარი პერსონაჟი – პროტაგონისტი ოსკარი – აშკარად „ანტიალზრდის რომანის“ ნარმოადგენელია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგნიძე, ნ., „ნარკვევები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურდან. გამომცემლობა სამშობლო, ქუთაისი, 2017
2. ნასარიძე, ნ., „გიუნტერ გრასის „თუნუქის დოლი“ და ალზრდის რომანის სპეციფიკა“, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VIII (II), ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2006
3. ნასარიძე, ნ., „გოეთე-რასპუტინის ანტითეზა გიუნტერ გრასის რომანში „თუნუქის დოლი“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, ქუთაისი, 2013
4. Adler, H. & Hermand, J., Günter Grass, Ästhetik des Engagements, Peter Lang Publishing, Inc., New York, 1996
5. Arnold, H. L., Blech getrommelt, Günter Grass in der Kritik, Steidl Verlag, Göttingen, 1997
6. Arnold, H.L., Gespräche mit Günter Grass, Zeitschrift für die Literatur Text+Kritik, hrsg. Heinz Ludwig Arnold, Verlag edition texts+kritik GmbH, München, November 1988
7. Auffenberg, Ch., Vom Erzählen des Erzählens bei Günter Grass L/T Verlag, Hamburg, 1993
8. Beck, C. H., Der Deutsche Bildungsroman, Gattungsgeschichte vom 18. bis zum 20. Jahrhundert, Verlag C. H. Beck, München, 1989
9. Gerhard, M., Der deutsche Entwicklungsroman bis zu Goethes „Wilhelm Meister“, Halle 1926(=Buchreihe der DVjs Band 9), 2., unveränd. Auflage, Bern u. München 1968
10. Grass, G., Die Blechtrommel, Deutscher Taschenbuch Verlag GmbH & Co. KG, München, 1993
11. Grass, G., Essays, Reden, Briefe, Kommentare, hrsg. von Daniela Hermes, Neuwied, 1987
12. Gutjahr, O., Einführung in den Bildungsroman, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 2002
13. Honsa, N., Günter Grass, Skizze zum Porträt, wydawnictwo Uniwersytetu Wrocławskiego, Wrocław, 1997
14. Manthey, J., „Die Blechtrommel“ wiedergelesen, Zeitschrift für die Literatur Text +Kritik, hrsg. Heinz Ludwig Arnold, Verlag edition text+kritik GmbH, München, November, 1988
15. Neuhaus, V., Günter Grass „Die Blechtrommel“ Erläuterungen und Dokumente, Philipp Reclam jun. Stuttgart, 2005
16. Neuhaus, V., Günter Grass „Die Blechtrommel“ Interpretationen, Romane des 20. Jahrhunderts, Bd.2, Philipp Reclam jun. Stuttgart, 1997
17. Reich-Ranicki, M., Unser Grass, Deutsche Verlags-Anstalt, München, 2003
18. Schwan, W., Ich bin doch kein Unmensch; Kriegs- und Nachkriegszeit im deutschen Roman, Rombach Verlag, Freiburg, 1990

### “The Tin Drum “ by Gunter Grass

The novel “The Tin Drum” is one of the best in the oeuvre of the German writer Gunter Grass as style and manner of narration are so diverse and variable that it’s hard to refer it to a particular genre of a novel. Researchers’ concerns of this novel are mixed and ambiguous. Some refer to it as educative, some to historical, some to realistic, and some to surrealistic, (con artistic) or grotesque and at times to educational and developing. It was also mentioned that it was written in style and in the best traditions of Baroque novels.

A Bildungsroman is a typically German phenomenon, this fact took place in the early medieval literature. As for the Bildungsroman of the 20th century, its specificity is based mostly on loneliness of a human as an individual person from the surroundings, that in its turn was caused by War World II and its consequences. From that times the Bildungsroman gain the different form and structure and not only in German-speaking, but in all European literature as well. Anti Bildungsroman and mockeries on Bildungsroman.

On the one hand, in the time of postmodernism freethinking the novel “The Tin Drum” by Gunter Grass is an continuation of traditions of the Bildungsroman, but on the other hand with its counterpoint and special manner of narration brings innovation into the history of the German novel, and in accordance with the character of postmodern literature it sets an example for a parody of a traditional novel. It’s obvious in the artistic analyzing of the main character of Oscar Matzerath. Since babyhood he has been observing an uninteresting and unacceptable lives of adults. He makes conclusions, keeps an eye on what is happening in the world from a far distance, psychologically and physiologically protesting not only against the social system, and not only manifestation of existence, but of human existence in general. His goal is total infantilism.

The main character of the traditional novel during his life overcomes spiritual and physical difficulties in the long process of developing and becoming a man. The main hero of the Tin Drum” Oscar has undeveloped appearance and even more he is also spiritually undeveloped. At the age of three he decides to fall off the stairs on intention trying to find any reasonable explanation to stopping of the process of his developing. Thus from the very beginning he refuses to accept and lead the common style of life and says goodbye to the world. That is why though the novel has some definite links to Bildungsroman, it mainly represents the opposite to a traditional genre becoming anti Bildungsroman.

If, according to the tradition of the Bildungsroman, the protagonist pervades a hard and full of challenges way of formation personality in order to become an adequate and developed man, Oscar vice versa, both internally and externally is immature. Masterfully using a variety of artistic techniques, Gunter Grass creates a new modernist novel, which on the one hand continues traditions of an old novel, though factually, creates a totally new interpretation, especially since it represents a parody.

Gunter Grass remains relevant today and its main value lies in its burlesque and grotesque attitude to the typical traditional novel. We should consider it as a controversial genre and its main character, the protagonist Oscar, is a vivid example of an anti Bildungsroman.

#### Notes

In literary criticism, a **Bildungsroman** (German pronunciation: [ˈbɪldʊŋs.ʁo.ma:n]; “bildung”, meaning “education”, and “roman”, meaning “novel”; English: “novel of formation, education, culture”; “coming-of-age story”) is a literary genre that focuses on the psychological and moral growth of the protagonist from youth to adulthood (coming of age), in which character change is extremely important.

The term was coined in 1819 by philologist Karl Morgenstern in his university lectures, and later famously reprised by Wilhelm Dilthey, who legitimized it in 1870 and popularized it in 1905. The genre is further characterized by a number of formal, topical, and thematic features The term coming-of-age novel is sometimes used interchangeably with Bildungsroman, but its use is usually wider and less technical.

**ПРИНЦИПЫ ПОСТРОЕНИЯ И ОСНОВНЫЕ КОМПОНЕНТЫ,  
СОЗДАНИЯ УЧЕБНИКОВ И УЧЕБНЫХ ПОСОБИЙ  
ПО РУССКОМУ ЯЗЫКУ  
ДЛЯ ГРУЗИНСКИХ УЧАЩИХСЯ**

Наверное не для кого не секрет, что правильно составленный учебник и учебное пособие это - 50% успеха в преподавании любой учебной дисциплины, тем более когда речь идет о преподавании иностранного языка, целью которого является познакомить учащихся не только с языковой структурой, но и открыть им новый мир, культуру, историю и традиции страны и носителей изучаемого языка.

В Советской Грузии, русский имел статус второго родного языка и изучался на равне с родным грузинским языком, следовательно соответствующими были учебники и программы его преподавания, сегодня же, русский язык приобрел статус иностранного и конечно же, в корне изменились и требования, предъявляемые к его обучению в грузинских школах. Учебники и программы старого образца, оказались не пригодными для удовлетворения современных требований изучения русского языка, а новых учебников и программ адаптированных специально для грузинских учащихся к сожалению пока очень мало.

Для достижения желаемого результата при создании учебников и учебных пособий рассчитанных на грузиноязычную аудиторию очень важно, интеграция различных наук в первую очередь таких как методика преподавания, лингвистика и лингвокультурология с учетом особенностей обоих (родного и изучаемого) языков, культур и народов, в таком случае они обеспечат продуманный, дифференцированный подход, который будет направлен на успешное овладение учащимися как лингвистическими нормами изучаемого языка, также познакомится с прошлым и настоящим его носителей, но кроме этого очень важно также включить в этот процесс специалистов по психолингвистике.

Современная методика преподавания русского языка как неродного, безусловно, опирается на научные достижения последних десятилетий как в самой лингвистике, так и в смежных с ней науках: коммуникативной лингвистике, лингвопрагматике, лингвистике текста, функциональной грамматике, психолингвистике, лингвокультурологии и др. Нерасторжимость лингвистики и методики неоднократно отмечалась как языковедами, так и лингвометодистами (И.А.Бодуэном де Куртенэ, Л.В.Щербой, А.М.Пешковским, Н.М.Шанским, Е.А.Быстровой, А.В.Текучевым).

Непрерывное развитие лингвистики влечет за собой дальнейшее совершенствование содержания обучения русскому языку в национальной школе и способствует развитию лингвометодики.

Обучение русскому языку как неродному должно основываться не только на таких лингвистических принципах, как системность, комплексность, функционально-семантический принцип, но и на учет особенностей родного языка учащихся. Так для создания учебников или учебных пособий по русскому языку как иностранному важно учитывать следующие факторы:

1. Учет фонетических, лексических и грамматических особенностей как родного так и изучаемого языков.

Сопоставительно-типологический анализа разноструктурных языков, конечно же имеет прикладное

значение для методики преподавания русского языка как неродного, но формирование необходимых навыков, владения русским языком как неродным, будет эффективнее если будет протекать путем переноса (транспозиции), коррекции и преодоления интерференции. Поэтому, необходимо, чтобы в процессе создания учебника участвовали лингвисты как русского, так и грузинского языков, Сопоставительно-типологические исследования родного и изучаемого языков, позволят выявить, какие знания учащихся по родному языку помогут им в овладении русским языком, а какие знания будут затруднять усвоение закономерностей изучаемого языка из-за отсутствия соответствующего эквивалента в родном языке обучаемых.

## 2. Выбор и последовательность грамматического материала.

Сходства и различия русского и грузинских языков, опять таки, важно учитывать при отборе и решении вопроса последовательности грамматического материала.

## 3. Подбор текстов и аудио материалов отображающих культуру, историю и образ жизни носителей языка.

В настоящее время, в методике преподавания иностранных языков, в том числе и русского как иностранного, при создании учебников и учебных пособий все больше внимания уделяется реализации лингвистического и культурологического принципов, это объясняется тем что иностранный язык сегодня воспринимается не только как средство общения, но и как средство приобщения учащихся к национальной культуре, ментальности и образу жизни носителей изучаемого языка.

Как известно, начиная с XVIII века взаимодействие языка и культуры, языка и общества отмечалось многими лингвистами: М.В.Ломоносовым, А.Х.Востоковым, Ф.И.Буслаевым, К.Д.Ушинским, Л.В.Щербой и др. Во второй половине XX века антропологическое направление в лингвистике, философии, психологии, социологии активизировало внимание исследователей, (например, Е.М.Верещагина, В.Г.Костомарова, В.В.Воробьева, В.В.Колесова, Н.М.Шанского, А.Вежицкой, В.А.Масловой, Ю.С.Степанова и др.) к изучению языка, культуры и языковой личности во взаимосвязи. Таким образом, изменение представлений о языке и о человеке как носителе языка, потребовало по-другому взглянуть на процесс обучения русского языка как иностранного.

В процессе обучения русскому языку как неродному у школьников наряду с языковой, лингвистической, коммуникативной должно формироваться культурологическая (культуроведческая) компетенция, которая включает в себя сведения о языке как национально-культурном феномене, отражающем духовно-нравственный опыт народа, представления о национальных традициях народа.

В этом направлении важно включить в работу культурологов. Правильно подобранные лексические и аудио и видео материалы, важны не только для того чтобы обогатить словарный запас учащихся, но также чтобы познакомить их с культурой, историей, менталитетом и образом жизни представителей страны изучаемого языка.

Во второй половине двадцатого столетия наметился новый аспект в преподавании русского языка как иностранного – лингвострановедение, который предполагает использование специально отобранного материала, отражающего культуру страны изучаемого языка [Верещагин Е.М., Костомаров В.Г.:2000 124]. Современные требования предъявляемые к изучению иностранного языка вышли за рамки изучения только лингвистического материала, сегодня усвоение иностранного языка предполагает усвоение новой языковой картины мира.

Изучение языка как средства презентации культуры, традиций народа его менталитет (носителя изучаемого языка) должен обеспечиваться прежде всего через текстовой фонд этого языка, а также его современным реалиями поэтому авторы учебников и учебных пособий должны включать в него не только высокохудожественные, научно-познавательные, тексты, содержащие, грамматический материал, но отражающие прошлое и настоящее русского народа.

Учебно-методические комплексы по русскому языку как неродному, должны, отличаться умелым сочетанием лингвистического материала с лингвокультурологическим, а также тематическим принципом организации дидактического материала, предусматривающим включение различных аспектов этнокультурологических знаний.

4. Не маловажен также учет мнения психологов, так как в настоящее время одной из проблем преподавания русского языка в Грузии является снижение к нему интереса.

Общеизвестно, что уровень популярности, масштабы изучения и преподавания любого иностранного языка во многом зависят от репутации страны, в которой данный язык является главенствующим, следовательно, не простые отношения наших стран и являются одной из причин снижения мотивации изучения русского языка в Грузии. Психолингвистики могут дать много полезных советов и указаний как повысить мотивацию изучения русского языка.

Подводя итог можно сказать одно создание современных учебников и учебных пособий по русскому языку адаптированных для грузиноязычной аудитории, является необходимым, современный учебник должен предполагать сопоставительно-типологический подход к подаче языкового материала разносистемных русского и грузинского языков, выявлять общее и специфическое в культуре, обычаях, коммуникативном поведении русского и грузинского народов. Наряду с преимущественным вниманием к реалиям русской культуры.

### **Литература:**

1. *Верещагин Е.М., Костомаров В.Г. 2000: Дом бытия языка. В поисках новых путей развития лингвострановедения: концепция логоэпистемы. Москва: Гос. институт русского языка им. А.С.Пушкина, 124.*

KHARSHILADZE NADEZHDA

## **PRINCIPLES OF CONSTRUCTION AND MAIN COMPONENTS OF CREATION OF RUSSIAN LANGUAGE TEXTBOOKS AND TEACHING MANUALS FOR THE GEORGIAN STUDENTS**

It is not news that correctly made textbook and teaching manuals are 50% of success in teaching any subject, especially teaching a foreign language which purpose is learning not only the language structure, but also to open to students the new world, culture, history and traditions of the country of the learning language.

In the Soviet Georgia, Russian had the status of the second native language, today, Russian acquired the



status of foreign language and of course, also requirements imposed to its teaching at the Georgian schools were changed radically. Textbooks and programs of an old sample, are not suitable for the satisfaction of modern requirements of studying the Russian, and new textbooks and programs adapted especially for the Georgian pupils unfortunately is not enough.

For achievement of desirable result at creation of the textbooks and teaching manuals calculated on georgian audience is very important, integration of various sciences first of all such as teaching technique, linguistics and cultural linguistics taking into account features of both (native and studied) languages, cultures and the people, but besides it is very important include in this process of experts in psycholinguistics also.

So for creation of textbooks or teaching manuals on Russian as foreign it is important to consider the following factors:

1. Accounting of phonetic, lexical and grammatical features as the native and learned languages.

Comparative and typological the analysis of different structured languages, of course has applied value for a teaching technique of Russian as foreign. Therefore, it is necessary participation of linguists of both the Russian, and Georgian languages that in the course of creation of the textbook, comparative and typological researches of the native and learning languages, will allow to reveal what knowledge of the native language will help them with acquisition of Russian and what knowledge will complicate assimilation of regularities of the learning language due to the lack of the corresponding equivalent in the native language of students.

2. Choice and sequence of grammatical material.

Similarities and distinctions of Russian and the Georgian languages, besides, It is important to consider at selection and the solution of a question of the sequence of grammatical material.

3. Selection of the texts, an audio and video materials displaying culture, history and a way of life of native speakers.

Now, in a technique of teaching foreign languages including Russian as foreign, during creation of textbooks and teaching manuals more and more attention is paid to realization of the linguistic and culturological principles.

4. Also it is very important to accounting of opinion of psychologists, because now one of problems of teaching Russian in Georgia is decrease interest in it.

It is well-known that popularity level, of studying and teaching any foreign language depend on reputation of the country in which this language is predominating, therefore, not the simple relations of our countries and are one of the reasons of decrease of motivation of studying of Russian in Georgia. Psycholinguists can give many useful tips and instructions how to increase motivation of studying of Russian.

Summing the results, it is possible to tell that in the creation of modern textbooks and teaching manuals on Russian adapted for georgian audience, is necessary to assume the comparative and typological differences of languages, to underline the general and specific feature in culture, customs, communicative behavior of the Russian and Georgian people, with paying primary attention to realities of the Russian culture.

## მოჰამედ ხიზანა ალ ბალხის ლექსიკოგრაფიული ნაშრომის –

بحر الفضايل في منافع الافاضل

### bahru l-fazā'il fi manāfi' l-'afā zil – თბილისური ნუსხა

ახალი სპარსული ენის ჩამოყალიბების შემდეგ პირველ სპარსულ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომად ითვლება ასადი თუსელის ლუგათ-ი ფურს (1085 წ.). მაგრამ ისტორიულ წყაროები იხსენიებენ უფრო ადრინდელ – farhang-i abu hazf sugdi-ს ან risale-ii abu hazf sugdi, რომელიც „მიმოქცევაში ყოფილა XVII-საუკუნეშიც“ (ბაევსკი 1984: 192). პრეისლამური ხანის ირანში, კერძოდ სასანიანთა მმართველობისას, შეიქმნა მრავალი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია არამეულ-ფალაური (ფარჰანგ-ი 1955) და ავესტურ-ფალაური ლექსიკონები (რაიხელთი 1900). აღნიშნულ ლექსიკონებს განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ. მაგალითად, გარდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებისა სემიტურ სამყაროსთან ფალაურ ენაში შემოჭრილი და გაბატონებული იყო არამეული ჰეტეროგრაფები, რომლებიც გვხვდება საშუალო სპარსულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც, მაგალითად შაპურის სამენოვან წარწერაში პერსეპოლისიდან: kpy TWR' აქ TWR' არამეული ჰეტეროგრაფია „მთისათვის“. ხოლო kpy TWR იკითხება „კაფის მთა“ ანუ კავკასიის მთა (ნერეთელი 1973: 47).

როგორც ცნობილია, სასანიური ირანი თეოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მის პოლიტიკურ ცხოვრებაში ზოროასტრიზმი უმთავრეს როლს თამაშობდა. ავესტისა და მისი ლექსიკური ფონდისადმი საზოგადოებისა და მმართველი ხელისუფლების ინტერესი დიდი იყო. ლექსიკონის ხელნაწერი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

შუა საუკუნეების ლექსიკოგრაფიული ნაშრომების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ ავტორთა მიერ მშობლიური ენის ფიქსაციის ეტაპები, გავეცნოთ მეცნიერული ლექსიკოგრაფიის განვითარების ხასიათს. ლექსიკონის სპარსული მნიშვნელობის გამოხატვა 'farhang' მეცნიერებს არ დარჩათ შეუძინველი. ამ ლექსემის თავდაპირველი და ძირეული მნიშვნელობაა: მეცნიერება, კულტურა, ცოდნა, განათლება. ვინაიდან სპარსული კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის ლექსიკონებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ, ამიტომ სავსებით ლოგიკურად უნოდეს ლექსიკონს 'farhang'. ეს სპარსული ლექსიკონების სტრუქტურის თავისებურებებიდანაც გამომდინარეობდა, ისინი ატარებდნენ კომპლექსურ ხასიათს თავისი შედგენილობითა და აგებულების თვალსაზრისით. გარდა წმინდა ლექსიკოლოგიური მასალისა, მათში ათავსებდნენ კომენტარებსა და ვრცელ განმარტებებს ამა თუ იმ სიტყვისა და მოვლენისა. ეს კი სცდებოდა ლექსიკოლოგიურ ხასიათს და ვრცელ ისტორიულ-კულტურ-ოლოგიურ სახეს იძენდა. სხვა მრავალ ნიმუშთან ერთად ამას მოწმობს პეტრუშევსკის განმარტებები. ფარჰანგების მეშვეობით განსაზღვრავდნენ დივანების სტრუქტურულ პრინციპსა და რითმის შერჩევის მეთოდებს, რადგანაც ფარჰანგები პირველ თავებში შეიცავდნენ რითმათა ვრცელ დასახელებებს. ახალ-სპარსულ ენაზე არაბულის გავლენამ გამოიწვია სინონიმების სტიქიური წარმოშობა. თუმცა სინონიმის მრავალრიცხოვნებაზე იმოქმედა სპარსული პოეზიის განვითარებამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. რადგან ეს ინვევდა ადგილობრივი დიალექტების გავლენას ლიტერატურულ ენაზე. პოეტური ტექსტების გაგების სირთულემ ლოგიკურად წარმოშვა ლექსიკოგრაფიული ნაშრომების შექმნის აქტუალობა. პოეტური ტექსტების გაგებისა და ახნის გარდა ფარჰანგებმა შეიძინეს ისტორიული ფუნქცია ენის განვითარებისათვის, რაც გამოიხატა ერთიანი სალიტერატურო ენის ფორმირებასა და ნორმალიზაციაში.

შუა საუკუნეების ფარჰანგები უნდა განვიხილოთ შუა საუკუნეების ქალაქების შესწავლისათ-

ვის არსებული მწირი მატერიალური მტკიცებულებების დამატებით წყაროდაც. ამას მოწმობს ი. პეტრუშევსკის ნაშრომი: *მინათმოქმედება და აგრარული ურთიერთობები XIII-XIV საუკუნეების ირანში*, რომელშიც მეცნიერმა გამოიყენა შამს ფახრის mi'iar-i jamali. წინამდებარე ლექსიკონი მკვლევარს დაეხმარა აღედგინა ირიგაციული სამუშაოების ზოგიერთი დეტალი და შეექმნა წარმოდგენა სასოფლოსამეურნეო იარაღების შესახებ (პეტრუშევსკი 1960).

შუა საუკუნეების ლექსიკოგრაფიული თხზულებების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ენციკლოპედიური ხასიათი. ეს ეხება სპარსულ-სპარსულ ლექსიკონებს. არაბულ-სპარსული ლექსიკონების აგებულება და ფუნქცია შედარებით სხვაგვარია. გვხვდება ანბანური და თემატური პრინციპით შედგენილი ლექსიკონები, მაგრამ ხიზანა ალ ბალხის **بحر الفضائل في منافع الافاضل** შედგენილობა კომბინირებული ხასიათისაა და მისი პირველი ნაწილი ანბანური პრინციპით, ხოლო მეორე ნაწილი თემატური შერჩევის მეთოდით არის აგებული. ენობრივი და კულტურის ისტორიის საკითხების რეკონსტრუქციისათვის, ენობრივი კონტაქტების ხარისხისა და პერიოდის განსაზღვრისათვის ამგვარ ნაშრომებს საკმაო ფუნქცია გააჩნიათ.

ხიზანა ალ ბალხის ნაშრომი თავისი ხასიათით თბილისის ხელნაწერთა ცენტრში დაცულ ხელნაწერთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელიც მნიშვნელოვანია ფილოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარი მოლოდინის შესახებ აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ჯერ კიდევ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის 1969 წელს შედგენილი კატალოგის წინასიტყვაობაში მიუთითებდა: „საფიქრებელია, რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები კოლექციის უფრო დეტალური შესწავლის შემდეგ კიდევ ბევრ საყურადღებო ცნობას გამოავლენენ.“

ლექსიკონის შემდგენელი იცნობს აღმოსავლურ ლექსიკოგრაფიულ გამოცდილებებსა და ტრადიციებს. ამას მოწმობს ავტორის მიერ მოხსენიებული სპარსული ლექსიკონები, მაგალითად, XIV საუკუნის, მისი წინამორბედი, ლექსიკონი farhang-i zafānguīa va jahānpūiā (ბადრ ედ-დინ 1974: 20). ზოგიერთი მკვლევარი (ინდოელი ნაზირ აჰმადი) შეეცადა **بحر الفضائل في منافع الافاضل** დაეთარილებია XV საუკუნით. მაგრამ ირანელმა მეცნიერმა მოინმა 1966 წელს თეირანში გამართულ ირანისტთა საერთაშორისო კონგრესზე მართებულად მიაკუთვნა იგი XIV საუკუნის მიწურულს.

წინამდებარე არაბულ-სპარსულ ლექსიკოგრაფიული ნაშრომი შესრულებულია XIV საუკუნის ლექსიკოგრაფისა და კომენტატორის მოჰამედ იბნ ყავამ იბნ როსთამ იბნ აჰმად ბადრ ხიზანა ალ-ბალხის მიერ. ხელნაწერის ფილოლოგიური ანალიზი და მისი გამოსაცემად მომზადება ჯერ კიდევ რჩება აღმოსავლური ფილოლოგიის ამოცანად.

მოჰამედ ხიზანა ალ ბალხის მიერ შესრულებულია აღმოსავლეთმცოდნეობისათვის მნიშვნელოვანი ნაშრომები. მაგალითად, ნიზამი განჯელის „საიდუმლოებათა საგნძურისა“ (მეხზენ ულ ასრარ) და „ისქანდერ-ნამეს“ კომენტარები. აღნიშნულ შრომებში ნათლად იკვეთება ხიზანა ალ-ბალხის ყოველმხრივ განსწავლულობა.

მოჰამედ ხიზანა ალ-ბალხის ლექსიკოგრაფიული ნაშრომი შედგება საკმაოდ ვრცელი შესავლისა და ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეთმობა არაბული ანბანის თანმიმდევრობით შუა საუკუნეების ლიტმცოდნეობაში, არაბულ, სპარსულ და თურქულ ფილოლოგიაში დამკვიდრებული არაბული სიტყვებისა და ტერმინების განმარტებას. მთელი რიგი ტერმინებისა, რომელიც შუა საუკუნეების მუსულმანურ სპარსულ ლიტერატურაში არაბულიდან დაფუძნდა, თავის მხრივ საფუძველს იღებს საშუალო სპარსული ენიდან ან ირანული ენების საერთო ლექსიკური ფონდიდან.

ისლამის გავრცელების შემდეგ მრავალმა გენეტიკურად სპარსულმა სიტყვამ შეიძინა არაბული საბურველი და ახალსპარსულ ენაში არაბიზირებული ფორმით დამკვიდრდა. ჩვენი მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით სიტყვების გამოვლენა და ფონეტიკური ტრანსფორმაციების გზების აღწერა.

ლექსიკონის მეორე ნაწილი ეთმობა სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებული სიტყვებისა და ტერმინების განმარტებას. ნაშრომის მეორე ნაწილი თავის მხრივ იყოფა თემატური მრავალფეროვნებით გამორჩეულ თავებად (სულ 14 თავი): 1. დინასტიები, მოხელეები, ისლამური სინმინდეები, წინასწარმეტყველი მუჰამედი, მისი ცხენები და პირადი ნივთები, 2. საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, 3. ანთროპონიმები, 4. თვეების სახელწოდებები და მსოფლიოს ხალხთა დღესასწაულები, 5. ვარსკვლავებისა და პლანეტების დასახელებანი, 6. სამეფოები და ცნობილი ქალაქები, 7. ადამიანთა თვისებები, 8. ზომისა და წონის ერთეულები: დინარი, რათლი, მანი და სხვ., 9. ხელობათა დასახელებანი, 10. ფიგურები, 11. მეღვინეობა და მასთან დაკავშირებული ჭურჭელი და ატრიბუტიკა, 12. მუსიკალური შემოქმედება: რაქი (ირანული მუსიკალური მელოდია), სალამური (მეზმერი), 13. ამ თავში დასახელებულია სხვადასხვა რელიგიური კონფესიის სამოცდაათამდე ხალხი და განხილულია მათ ყოფასთან დაკავშირებული ნივთები, 14. ინდური სტილი, რომელიც შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა პოეზიაში გავრცელდა.

იგი მნიშვნელოვანია არაბულ-ირანული საენათმეცნიერო პრობლემატიკისა და ისტორიულ-კულტურული კონტაქტების კვლევის თვალსაზრისით. კვლევის შედეგები გასათვალისწინებელი იქნება სხვა სამეცნიერო დისციპლინების კუთხითაც, როგორცაა: ისტორია, სოფლის მეურნეობა, ლიტმ-ცოდნეობა, ეთნოგრაფია და სხვ.

მაგალითად, ხელნაწერში დაფიქსირდა არაბული ლექსიკური ფონდისათვის ისეთი უიშვიათესი სიტყვა, როგორცაა ირანული ფარი (pari), რომელიც გრაფიკულადაც გამოსახულია არაბული ორთოგრაფიისათვის პრაქტიკულად არადადამახასიათებელი ფონემით p. ეს კი მიუთითებს არაბულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობის უფრო ღრმა და დღემდე უცნობ დონეზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლექსიკონში მოყვანილი ძველირანული მითოლოგიური პერსონაჟი ზოჰაქი, რომელიც თავისი წარმომავლობით უკავშირდება ირანულ ლექსიკას. თავდაპირველად მისი ფორმა იყო აჟი დაჰაკა.

ა. კრისტენსენის განმარტებით ზოჰაქისა (აჟი დაჰაკ) და ფარიდუნის თქმულება ჯამის თქმულების მსგავსად განეკუთვნება ინდო-ირანული ერთობის პერიოდს.

აჟი ძველირანულში გველს ნიშნავდა, ხოლო დაჰაკა მეცნიერთა ნაწილმა ჩათვალა საკუთარ სახელად, ნაწილმა კი მას მკბენარის ფუნქცია მიანიჭა. შაჰ-ნამეს (xwatai-nāmak) შედგენისას ერთ-ერთ მეფეს უწოდეს აჟი დაჰაკა (შდრ. ქართ. ასთაკვა), შემდგომში ზოჰაქ. მნიშვნელოვანია არაბული ფორმის (ზ/დაჰაკ) ჩამოყალიბების გზები. საფიქრებელია, რომ ხელნაწერის დეტალური შესწავლა გამოავლენს სხვა ლექსემებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ექნება ენობრივი კონტაქტების კვლევის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, აღნიშნული ნაშრომი თავისი შინაარსითა და შედგენილობით მნიშვნელოვანია აღმოსავლურ თქმულებებში არსებული ფოლკლორული სახეების სახელწოდებათა დადგენისათვის. მაგალითად, ომარ ხაიამის „ნოურუზ-ნამეში“ დადასტურებული მეფის სახელი შამირანი ზოგმა მეცნიერმა (ბ. როზენფელდი, ა. იუშკევიჩი) დაუკავშირა ასურეთის დედოფლ სემირამიდას (šammuramat). ალბირუნი სემირამიდას უწოდებს ašmiram. სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი მას უწოდებს šamiram-ს.

მოჰამედ ხიზანა ალ-ბალხის თხზულების გამოცემა არაბულ-სპარსული ფილოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება.

ხელნაწერში არაბული სიტყვები შესრულებულია ნასხით, ხოლო სპარსული ნასთალიკით. მისი გადამწერია მოჰამედ რეზა ჰაკიმ თავანი. გადწერის თარიღია: 1678 წელი. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის დასაწყისი და დასასრული გარკვეულწილად ნაკლოვანია. ამიტომ თეირანის, კალკუტის, ლაჰორისა და პარიზის კოლექციებში დაცულ ვარიანტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ლექსიკონის სრულყოფილი სახით გამოცემისათვის.

მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიისთვისაც. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ გვხვდება ლექსემები, რომლებიც ნას-ესხობას წარმოადგენს და დადგენილია განმსესხებელი ენა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც განმარტებულია როგორც „სხვათა სიტყვა“. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე ლექსიკონის გამოცემა და მისი ლექსიკური ფონდის საფუძვლიანი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გამოირკვეს ე. წ. „სხვათა სიტყვათა“ გენეზისი, ან კიდევ შემოსვლის გზები; გამოირკვეს, ენა რომლიდანაც შემოვიდა სიტყვა უბრალოდ განმსესხებელია, თუ ეს სიტყვა ეტიმოლოგიურადაც მას უკავშირდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **წერეთელი 1969:** წერეთელი გ., წინასიტყვაობა, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (3 კოლექცია), შეადგინა ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1969
2. **წერეთელი 1973:** წერეთელი გ., შაპურის წარწერის *კრუ TWR'*, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი: მეცნიერება, 1973
3. **ბაევსკი 1962:** Баевский С. И., Описание персидских и таджикских рукописей института народов Азии, Выпуск 4, Персидские толковые словари, Москва, 1984
4. **ბაევსკი 1981:** Баевский С. И., Средневековая персидская лексикография, ИСТОРИЯ ЛИНГВИСТИЧЕСКИХ УЧЕНИЙ; СРЕДНЕВЕКОВЫЙ ВОСТОК, АКАДЕМИЯ НАУК СССР, ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ, ЛЕНИНГРАДСКОЕ ОТДЕЛЕНИЕ, ЛЕНИНГРАД, 1981
5. **ბაევსკი 1984:** Баевский С. И., Средневековые словари (фарханги) — источник по истории культуры Ирана, Очерки истории культуры средневекового Ирана, письменность и литература, Институт востоковедения, Ответственный редактор О. Ф. Акимушкин, Москва, 1984
6. **ბადრ ედ-დინ 1974:** Бадр ад – Дин Ибрахим, Фарханг-и Зафангуя ва Джаханпуя, (Словарь говорящий и мир изучающий). Факсимиле рукописи, Издание текста, введение, список толкуемых слов, приложения С. И. Баевского, Москва, 1974
7. **გერცენბერგი...1981:** Герценберг Л. Г., Саймудинов Д., Лингвистическая мысль и языковедческая практика в Иране в домонгольское время, ИСТОРИЯ ЛИНГВИСТИЧЕСКИХ УЧЕНИЙ; СРЕДНЕВЕКОВЫЙ ВОСТОК, АКАДЕМИЯ НАУК СССР, ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ, ЛЕНИНГРАДСКОЕ ОТДЕЛЕНИЕ, ЛЕНИНГРАД, 1981
8. **პეტრუშევსკი 1960:** Петрушевский И. П. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV вв. М.—Л., 1960.
9. **მოჰამედ... 78** محمد بن قوام بن رستم بن احمد بن محمد بدرخزانه البلخي (معروف به كَرِي) فرهنگ بحرالفاضل في منافع الافاضل კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი P №78
10. **ფარჰანგ-ი 1955:** Das Frahang-i pahlavik in zeichengemässer Anordnung. Hsrg. von Heinrich F. J. Junker, Leipzig, 1955
11. **რაიხელტი 1900:** Reichelt H. Der Frahang-i Oim.—WZKM. Bd XIV—3, 1900; Bd XV, 1901

PAATA DJAFARIDZE

**Mohamed Khizanah al-Balkhi's lexicography work:  
„bahru l-fazā'il fī manāfi'ī l-'afā zil“ – Tbilisi version**

The work of Khizana Al Balkhi by its nature belongs to the manuscripts, preserved at Tbilisi Manuscripts Centre, which deserve attention from the philological point of view. Giorgi Tsereteli noted about this in the preface of Catalogue made at Tbilisi Manuscript Institute: “it is possible, that the specialists of various fields will reveal further significant facts after the detailed study of the collection”.

The research deals with Persian- Arabic Lexicographic work made by Mohamed Ibn Kavm Ibn Roštam Ibn Ahmad Badr Khizana Al-Balkhi Al- Balkhi- lexicographer and commentator of XIV century. Phonological analysis of the manuscript and its preparation for publishing remains unsolved task for Oriental Philology.

Works composed by Mohamed Khizana Al-Balkhi carry significant importance for Oriental Studies. For instance, comments on Nizami Ganjeli's “Treasure of Mysteries” and “Iskander-name” make evident that Khizana al-Balkhi was well-read in various fields.

Mohamed Khizana al-Balkhi's Lexicographic work is made of very long preface (introduction) and two parts. The first part deals with definition of Arabic words and terms established in Arabic, Persian and Turkish philology and Medieval Literature Studies. Number of terms that were introduced to medieval Muslim Persian Literature came from Arabic. They originated either from the Middle Persian Language or from common fund of Iranian Languages.

A lot of words of Persian origin acquired Arabic shades and were established as Arabisms form in New Persian Language. One of the chief goals of our scientific studies is to identify the words according to the above dictionary and to describe the ways of their phonetic transformations.

The second part of the dictionary deals with the definition of words and terms from various fields. The second part is divided into different chapters dealing with various themes (14 chapters in all).

1.Dynasties, Bureaucracies, Islamic Sanctities, Mohammed the Prophet, his horses and personal items, 2.Weapons and Agricultural Tools, 3. Anthroponomy, 5.Names of the months and celebrations (Holidays) of the nations; 6.Names of the stars and planets, 7.Human features, 8.Units of weight and size: dinar, ratl, man etc., 9.Craft names, 10.Figures, 10.Winery tools and accessories, 12.Creative works of music: Raq (Iranian melody), pipe (mezmer) 13. The chapter deals with the people of different religious confessions (about seventy) and studies the items related to their lifestyle. 14. Indian style which became dominant in the poetry of Middle Eastern People.

Manuscript revealed Persian word “shield” (paṛī) which is very unusual for Arabic Lexical foundation. Graphic expression of its first letter with the phoneme „p“ is also very uncommon for Arabic orthography. This fact refers to the deeper level of Arabic and Persian Language relations which is yet unknown to us. Particular attention should be drawn to Zohac, Old Persian Mythological character, mentioned in the Dictionary whose origin is related to Persian lexics. Its original form was Azhi Dahak. According to A. Christensen the legend about Zohac (Azhi Dahak.) and Faridun like the legend about Jami belong to the period of Indo-Persian Unity.

Azhi was the word for snake in Old Persian and Dahaka was referred to as personal name by some scientists while other scientists referred to it as “something biting“ . When composing Shah-name's (Xwatai-nāmak) one of the kings was called Azhi Dahaka (compare Georgian asTakva /aštakva/, later Zohak. The ways of formation of Arabian form (z/dahac) is of significant importance. It is expected, that detailed study of the manuscript will reveal other lexemes, that will play significant role in language relation studies. Apart from this, above work is of great importance for identification of the names of the Folk Characters existing in oriental legends. For example, some scientists (B. Rosenfield, A. Yushkevich) relate the king's name - Shamiran from Omar Khaiam's „Nouruz Namesh“ to Assyrian queen Semiramida (šammuramat). al-Birun refers to Semiramida as ašmiram. Armenian Historian Mose Khoreneli calls him šamiram.

თამარ ორაგველიძე

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი

## ბათუმის ცხოვრების ასახვა ბაზეთ „Батумская правда“-ს ფურცლებზე

ჟურნალისტიკის მთელი ისტორია – პირველი ხელნაწერი ცნობებიდან და ბეჭდური გამოცემებიდან დაწყებული დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებამდე, წარმოადგენს ევოლუციისა და ძიების გზას. ჟურნალისტიკის სისტემის განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული თითოეული პერიოდული გამოცემის ტიპოლოგიური დახასიათების გააზრებასთან, საკუთარ მკითხველთა აუდიტორიის ძიებასთან, დანიშნულების მოდელირებასთან, სტრუქტურასთან, გარეგნულ და შინაგან ფორმასთან, გაფორმებასა და სტილისტურ მთლიანობასთან.

საინტერესო მასალას იძლევა რუსულენოვანი გაზეთი „Батумская правда“ („ბათუმის სიმართლე“), რომელიც გამოდიოდა XX საუკუნის 10-იან წლებში. ეს იყო ყოველდღიური პოლიტიკური-ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი.

ჩვენ ხელთ გვაქვს ამ გაზეთის 1912 წლის რამდენიმე თვის გამოცემების მთელი შეკვრა, რომელიც ინახება სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. გაზეთის სიძველისა და მისი ძველრუსულ-ენოვანი შრიფტის გამო პუბლიკაციების წაკითხვა-დამუშავება რთულ საქმეს წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენ დავძლიეთ ეს სირთულე და გავაკეთეთ მისი მიმოხილვა როგორც ჟურნალისტური პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ასევე თემატიკის მრავალფეროვნების მხრივ, ინფორმაციული, გარეგნული და იდეური თვალსაზრისით.

გაზეთ „Батумская правда“-ს რედაქტორ-გამომცემელი იყო ს. ყუფარაძე. სარედაქციო შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. პლატონოვა, ა. გერვასიი, ვ. პარამონოვი, პ. პლატონოვი, გ. სოგოროვი. რედაქციის მისამართი იყო: ბათუმი, სანაპიროს ქ. №6.

გაზეთი ორგვერდიანია, დიდი ფორმატის. პირველი და მეოთხე გვერდები კომერციული ხასიათისაა და მთლიანად ეთმობა სარეკლამო განცხადებებს (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). მეორე გვერდი მთლიანად ეთმობა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქიდან მიღებულ ახალი ამბების შემცველ ტელეგრამებს, საზღვარგარეთის ყოველდღიურ ამბებს, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურითაც. მესამე გვერდზე იბეჭდება ლექსები, ფელეტონები, ლიტერატურული კრიტიკები, თეატრალური რეცენზიები, სპორტული ამბები და ა. შ. ლექსებსა და ფელეტონებს ხელს აწერენ ინიციალებით, მაგალითად: О. С., идем, Петролио და სხვა.

გაზეთს აქვს ყოველდღიური რუბრიკები: „სკოლა და ცხოვრება“, „არმია და ფლოტი“, „სასამართლო და ცხოვრება“, „საზღვარგარეთ“, „ბირჟის საცნობარო განყოფილება“, „მუსიკა და თეატრი“, „აპორტი“, „ტელეგრამები საკუთარი კორესპონდენტებისგან“, „პურისა და ხორცის სხვადასხვა სახეობებზე დაწესებული ყოველდღიური ფასები“ და ა. შ.

ჩვენ ძირითადი ყურადღება გავამახვლეთ რამდენიმე რუბრიკაზე, სადაც საკმაოდ საინტერესო, უფრო მეტიც, ღირებული პუბლიკაციებიც კი აღმოვაჩინეთ. მათში დიდი ყურადღება ეთმობა ძირითადად ადგილობრივი საკითხებისა და პრობლემების გაშუქებას.

პირველ გვერდზე გაზეთს „Батумская правда“ სარეკლამო განცხადებების გვერდით, მარჯვენა კუთხეში ერთი ვიწრო სვეტი აქვს გამოყოფილი ყოველდღიური რუბრიკისთვის: „ბათუმი, 16 თებერვალი“. ამ სტატიაში დღევანდელი ჟურნალისტური ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ, ყოვე-

ლი ჟურნალისტიკისათვის აუცილებელ ნორმებზეა საუბარი. წერილში ვკითხულობთ: „თანამედროვე ყოველდღიური გაზეთი არა მხოლოდ ასახავს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ მისი წარმართველიცაა. საზოგადოებრივი აზრები პოლიტიკის, ნაწილობრივ, საყოფაცხოვრებო საკითხებზე, იქმნება პრესის დიდი და უშუალო ზეგავლენით. გაზეთი საზოგადოებრივი ცხოვრების მძლავრი იარაღია და მას შეუძლია ხალხისთვის გახდეს როგორც სარგებლის მომტანი, ასევე, – საზიანო“.

წერილში საუბარია პრესის თავისუფლებაზე. პუბლიცისტი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ პრესა, ისევე, როგორც პიროვნება, თანამედროვე საზოგადოებაში არაფერში არ არის თავისუფალი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში პრესას სახელმწიფო მფარველობს. მაგრამ „კალმის მსახურნი“ იქაც კი იმყოფებიან ვინმეს ან რაიმეს ზეგავლენის ქვეშ. იცავენ ვილაცის ინტერესებს და მათ სასარგებლოდ, უნებლიედ ზღუდავენ საკუთარ სამწერლო შესაძლებლობებს.

პუბლიცისტი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში, სადაც პრესაზე დაწესებულია სხვადასხვა შეზღუდვა, „კალმის მსახურთა“ მდგომარეობა გაცილებით მძიმეა და ამ სიმძიმეს კიდევ უფრო ართულებს ის პასუხისმგებლობა, რაც გაზეთს აკისრია საზოგადოების წინაშე. სირთულე, – წერილის ავტორის აზრით, – ვლინდება ამა თუ იმ ფაქტის გაშუქებაში, მაგრამ კიდევ უფრო რთულია თვით ფაქტის გადმოცემა. მოვლენისა და მომხდარის აღწერამ შეიძლება მეტად მძიმე შედეგი გამოიღოს ან რომელიმე კერძო პირის ან მთელი საზოგადოებისათვის.

გარდა ზემოხსენებული დოგმებისა, წერილის ავტორი საუბრობს ჟურნალისტიკის კეთილსინდისიერებაზე და აცხადებს, რომ გაზეთს შეიძლება გაეპაროს რაიმე უზუსტობა, მაგრამ როგორც კი აღმოაჩინეს მას, ბეჭდვითმა ორგანომ უნდა გამოასწოროს დაშვებული შეცდომა და თანაც საჯაროდ განაცხადოს დაშვებული შეცდომის თაობაზე.

ამ წერილმა დაგვანახა, რომ ბათუმის ბეჭდური სიტყვა სიმაღლეზე იდგა ჯერ კიდევ ასწლეულის წინ და იცავდა იმ ნორმებს, რა მოთხოვნებსაც უყენებენ ჟურნალისტიკას დღეს, XXI საუკუნეში. როგორც ვიცით, თანამედროვე ჟურნალისტიკა ხასიათდება ზედმინვნით მნიშვნელოვანი სოციალური შინაარსით. იგი ასახავს XXI საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობებს და ყოველდღიურად იზრდება ჟურნალისტიკის მოღვაწეობის ეთიკური მხარისადმი მოთხოვნა. მაგრამ ეს მოთხოვნები თურმე მარტო დღევანდელ ჟურნალისტიკას არ ეხება და ამის დადასტურებაა ზემოაღნიშნული წერილი.

1912 წლის 18 თებერვლის გაზეთის იმავე რუბრიკაში „ბათუმი, 18 თებერვალი“ ჟურნალისტიკის საუბრობს ეკოლოგიის საკითხებზე. ეკოლოგია გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, მაგრამ თურმე ამ პრობლემას ბათუმელი ჟურნალისტები ჯერ კიდევ 100 წლის წინ უღრმავდებოდნენ.

წერილში ვკითხულობთ: რუსეთის ქალაქები იძირება მტვერსა და ჭუჭყში, საკანალიზაციო სისტემა ჯერ მხოლოდ 7 ქალაქს აქვს – კიევს, როსტოვსა და სხვებს. ყველანაირი სიბინძურე გაფილტვრის გარეშე ჩაედინება მდინარეებსა და ზღვაში. ასეთი რამისთვის ინგლისის მუნიციპალიტეტები მკაცრ სასჯელს დააწესებდნენ, ჩვენთან კი ასე არ ხდება. ამიტომ ბათუმის თვითმმართველობის წინ ისეთი საკითხები დგას, რომლებიც სასწრაფო გადაჭრას მოითხოვენ“.

ავტორი მიიჩნევს, რომ კანალიზაციის სისტემის არარსებობის გამო არსებული სრული ანტისანიტარია გამოიწვევს სხვადასხვა სახის ეპიდემიის გავრცელებას. უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა თურმე წყალმომარაგების საქმე, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს – სამედიცინო საქმეს, სახალხო განათლებას, საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების სხვა საკითხების სასიკეთო გადანყვეტილებების სასწრაფო მიღებას ელოდება – აცხადებს ავტორი.

გაზეთი „Батумская правда“ ხშირად გვაუწყებს უცხოელთა ვიზიტის შესახებ, თუმცა, როგორც



ჩანს, პრესას ჯერ არ ჰქონდა გათვითცნობიერებული ამ ვიზიტების ჭეშმარიტი არსი, და მაინც, ასეთი ამბების ასახვისას მკითხველი გრძნობს ავტორისეულ სიფრთხილეს. აი, მაგალითად: 17 თებერვლის №10-ში გამოქვეყნებული ინფორმაციით ვგებულობთ, რომ ბათუმში შეხვედრა მოუწყვეს ინგლისელ სტუმრებს და რუსეთის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. ქალაქი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ამ ტრიუმფალური შეხვედრის შთაბეჭდილებებიდან, რომ ახლა ფრანგების დახვედრა უნევთ. თურმე ეს „სახალხო“ სტუმრების მესამე ვიზიტია. სტუმართა შორის ყოფილან პოლიტიკური მოღვაწეები, სავაჭრო და სამრეწველო სფეროთა, ასევე, მეცნიერების და ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლები და სამხედრო პირები.

აღნიშნული ინფორმაციის შემდეგ პუბლიცისტი აკეთებს მცირე კომენტარს, რომელშიც შეფარვით ჩანს მისი პოზიცია. ის წერს, რომ მსგავს ვიზიტებს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რომ ევროპა გაეცნობა ჩვენს საუკუნოვან ტრადიციებს, ჩვენ კი – მათ წეს-ჩვეულებებს, მაგრამ ეჭვს-გარეშეა, რომ ამ სტუმრობას პარტიული ხასიათი აქვსო.

გაზეთის „Батумская правда“ რამდენიმე ნომერში შეგვხვდა ინტერვიუს ფორმატ. ძირითადად, ეს ინტერვიუები არის ცნობილ ექიმებთან სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ინტერვიუ არის მოსკოვის ცნობილ გინეკოლოგთან, პროფ. ვ. სნეგირიოვთან. წერილის სათაურია „ახალი საშუალება კიბოს წინააღმდეგ“. ავტორი უსვამს შეკითხვებს კიბოს სახეობების, მისი წარმოშობის, მისი გამომწვევი მიზეზების, მისი მკურნალობის საქმეში სიახლეების შესახებ და ა. შ.

დიალოგით ირკვევა, რომ სნეგირიოვს კიბოთი დაავადების ბევრი შემთხვევა ჰქონია პრაქტიკაში, განსაკუთრებით ხშირია იგი ქალებში. ექიმის სიტყვებით, კიბოს ბუნება ჯერ კიდევ გაურკვეველია, არც მისი კლასიფიკაციაა ჯერ დაზუსტებული. არსებობს ორი სახის: გარეგანი და შინაგანი კიბო. პირველი მიიღტვის გარეთ გამოსასვლელად, მეორე კი დამალულია, იძლევა მეტასტაზებს და სწრაფად ასრულებს ორგანიზმის დამანგრეველ საშუაოს. გარეგანი სახე – კანკროიდი – განკურნებადია, შეიძლება მისი ქირურგიული ჩარევით მოცილება, ასევე, არსებობს მოსაზრება მისი პირალოქსინით მკურნალობის შესახებ. თუმცა გინეკოლოგი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, რადგან ფონ-შტეინის მიერ ახლახან მიღებული პიროლოქსინის მჟავას ხსნარი გამოიყენება კიბოს ზედაპირული წყლულის მოსაწვავად, განკურნებას კი ვერ ახდენს, თუმცა ამ პრეპარატს დაავადებულისთვის დიდი შევება მოაქვს.

გაზეთში „Батумская правда“ დაბეჭდილი წერილები და განხილული თემები არ არის ყურადღების მიღმა დასატოვებელი, რადგან ისინი ეხმიანება ხალხის მასებისთვის საინტერესო თემებს, ქალაქის კეთილმოწყობისა და განვითარების საკითხებს, ჯანდაცვის სფეროს, კულტურისა და განათლების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს თემები ყველა ეპოქაში იყო აქტუალური, მაგრამ შეგვხვდა რამდენიმე ისეთი საკითხის გაშუქებაც, რაც სავსებით შეესატყვისება გლობალიზაციის ეპოქას და ამ ინფორმაციების კითხვისას გგონია, რომ დღევანდელ უახლეს საგაზეთო ნომერში ხარ ჩაფლული.

ერთ-ერთი ასეთი საკითხია ბათუმის, როგორც საკურორტო ქალაქის, განვითარების საქმე. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ზღვისპირა ქალაქი ბათუმი საერთაშორისო საკურორტო-ტურისტული ქალაქია. სიტყვა „ტურიზმი“ აღნიშნულ გაზეთში ნახსენები არ არის, მაგრამ საუბარია ქალაქის საკურორტოდ მომზადებასა და კეთილმოწყობაზე.

18 თებერვლის ნომრით ვგებულობთ, რომ საკურორტო საზოგადოების თავმჯდომარედ აურჩე-

ვიათ ს. სოდოვიკინი, მდივანად – ვ. სახნოვსკი, ხაზინადარად – ნ. ბიალუსკი და 7 წევრი, მათ შორის, ქართველი – ერთია, ვინმე ს. მდივანი.

ცოტა მოგვიანებით, 11 მარტის ნომერში ეს თემა გრძელდება და ვკითხულობთ, რომ ქალაქის საზოგადოების წინ დგას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა – ბათუმის ჩაყენება სოლიდური საკურორტო ქალაქების ხარისხში, მისი რაციონალურად კეთილმონყობა და იმ პირობების გათვალისწინება, რაც დგას ფილტვებით დაავადებულთათვის ზამთრის კურორტების წინაშე. ბათუმი ყველაზე თბილი ადგილი ყოფილა შავი ზღვის სანაპიროზე აქ საშუალო ტემპერატურა + 14,8 გრადუსია, იანვრის საშუალო ტემპერატურა კი +6,2 გრადუსი. აქ უფრო თბილა, ვიდრე სოჩაში, სოხუმში, ჰაერიც უფრო სუფთაა. არც დღისა და ღამის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა შეინიშნება. ყველაფერი ეს კი, – ვკითხულობთ წერილში, – ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფილტვებით დაავადებულთა სამკურნალოდ.

წერილის ავტორი აყენებს საკითხს სანატორიუმებისა და პანსიონების შექმნის შესახებ, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების სწორი წესი, რაციონალური კვებითი რეჟიმი და სამედიცინო ამბულატორიული მომსახურება.

როგორც წერილიდან ირკვევა, ამ საკითხების მოგვარებაზე პასუხისმგებლობა თავზე აიღო ახლახან შექმნილმა ბათუმის საკურორტო ორგანიზაციამ, რომელიც თურმე მოლაპარაკებას აწარმოებს ფრანგ კაპიტალისტებთან სანატორიუმის, საკურორტო დარბაზის და სხვა საკურორტო დაწესებულებების მოსაწყობად. ამ მოლაპარაკებებში ბათუმის საკურორტო ორგანიზაციას ორი გზა ქონია დასახული: 1. ფრანგულმა საზოგადოებამ თავის თავზე აიღოს დაწესებულებების კეთილმონყობა და ექსპლოატაცია; 2. ან დახმარება გაუწიოს თავისი კაპიტალით, ხოლო კეთილმონყობა და ექსპლოატაცია თავზე აიღოს საკურორტო საზოგადოებამ.

ასეთივე ფაქტების ლოგიკური თანმიმდევრობით მიყოლაზეა აგებული 21 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი წერილი „პედაგოგთა სამყაროში“. წერილი სახალხო განათლების საკითხებს ეხება და აღნიშნავს, რომ თანამედროვე დაწყებითი სკოლა წინა პლანზე წამოსწევს თურმე მოთხოვნებს მასწავლებლის განვითარების შესახებ, რადგან მასწავლებელი უნდა მოემსახუროს მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნებს, მაგრამ აქ უკვე ავტორი იშველიებს რეალურ ფაქტებს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან მასწავლებლები, როგორ სიღარიბეში ცხოვრობენ ისინი და ძლივს არჩენენ ოჯახებს წლიური 300-მანეთიანი შემოსავლით, და რომ ამ თანხით მასწავლებელს არავითარი საშუალება არ რჩება შეიძინოს წიგნი, სახელმძღვანელო ახალგამოცემული პედაგოგიური ლიტერატურა, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ და ბევრი სიახლე შეაქვს განათლების სფეროში.

მიყვება რა სწორ მსჯელობას და ფაქტების ლოგიკურ ხაზს, წერილის ავტორი წერს, რომ საქალაქო დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლები შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან, რადგან მათ საშუალება აქვთ ისარგებლონ საქალაქო ბიბლიოთეკით, იკრიბებიან და ერთმანეთს უზიარებენ ახალ იდეებს. „მაგრამ როგორ მოიქცეს სოფლის მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ თავის სახელმძღვანელოსა და მშვიერი ოჯახის შემყურეა?“ – სვამს კითხვას ჟურნალისტი და იქვე ეძებს გამოსავალს, იძლევა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ საჭიროა შეიქმნას პედაგოგთა სერიოზული ორგანიზაციები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ სოფლის პედაგოგებს და გააცნობენ მათ არა მარტო კავკასიისა და რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო სიახლეებს, არამედ მთელი კულტურული ქვეყნების აღმზრდელობით-საგანმანათლებლო იდეებს.

ამას გარდა, ავტორს მიაჩნია, რომ აუცილებელია სასოფლო ბიბლიოთეკების შექმნა, მასწავლებელთა ურთიერთდახმარების საზოგადოებების ჩამოყალიბება, საგანმანათლებლო კურსების მონვევა.

წერილი ასეთი პათოსით მთავრდება: „სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის სულიერ და გონებრივ მოთხოვნებს, ამის გაკეთებას კი მხოლოდ მომზადებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი პედაგოგები შეძლებენ“.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

გაზეთი „Батумская правда“ – 1912 წ. №6, №15, №19, №24, №30, №45

TAMAR ORAGVELIDZE

*Doctor of Mass communication*

## **OVERVIEWING (REFLECTION OF) THE LIFE OF BATUMI IN THE PAPER OF “BATUMSKAYA PRAVDA”**

Professional morale was an intrinsic component of the journalism from the moment of its creation. We looked through some of the newspapers printed in the than Batumi and checked whether the journalism ethic and morale was maintained among the press-workers, whether they made fair comments regarding the ongoing events or facts and how did they promote public opinion.

“Batumskaya Pravda” (Batumi Truth) is a very interesting material to study in this regards.

The newspaper has shown us that the papers of Batumi were produced by highly motivated professionals who acted in accordance with the standards and norms of what journalists must follow in the XXI century.

## საუკუნის ფოტოსურათის თავგადასავალი

### II ნაწილი

ფოტოხელოვნება, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ყოველთვის პოპულარული იყო საქართველოში. ქართველ „ფოტოხელოვანთა ფოკუსში ძირითადად პორტრეტები და არქიტექტურა ხვდებოდა. ასევე აქტუალური თემატიკა იყო საოჯახო ფოტო. აღსანიშნავია, რომ საოჯახო ფოტოალბომების შექმნა არც თუ იაფი ჯდება და, შეიძლება ითქვას... ფუფუნებას წარმოადგენდა“. [<https://tamarkakiashvili.wordpress.com>] ამდენად, იმ პერიოდის ჩვენს ღარიბ და ღატაკ ქვეყანაში სურათის გადაღება განსაკუთრებულსა და უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა, მოქალაქეები ყოველთვის იყვნენ დაინტერესებულნი, რომ საკუთარი გამოსახულება ფოტოზე აღებეჭდათ, რადგან ამ პერიოდისათვის ფოტოობიექტივი იმ ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, რითაც შესაძლებელი იყო შთამომავლობას გადაცემოდა მათი პორტრეტი და ე. წ. საოჯახო ალბომი.

გარდა საკუთარი პორტრეტებისა და საოჯახო ალბომებისა, სურათს ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ხედების, მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი მოვლენების ასახვისთვისაც იღებდნენ, რასაც პატრიოტული ძალები მიზნობრივად, ქვეყნის სასიკეთო ისტორიის შესაქმნელად იყენებდნენ. სწორედ ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენა დაედო საფუძვლად საუკუნის წინ ფოტოობიექტივის საშუალებით ქუთაისში გადაღებულ სურათს, რომელზეც გამოსახული არიან თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწეები. ეს სურათი იმ მხრივაც არის აღსანიშნავი, რომ ის ასახავს ისეთ დიდ და მასიურ შეკრებას ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილებისას, რომლის მსგავსი მასშტაბური თავყრილობა იმ პერიოდის საქართველოს ისტორიას, ერთეული შემთხვევების გარდა, არ ახსოვს.

ასე იწყებოდა თვალსაჩინო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფოტოსურათზე აღბეჭდვის ეს უმნიშვნელოვანესი ისტორია: „...29 მაისს ქალაქის თეატრში მგოსანი აკაკი წერეთლის მონაწილეობით გამართება ლიტერატურულ-დრამატულ-მუსიკალური საღამო, სამი განყოფილებით:

1. ახალგაზრდა მწერლები წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებებს;
2. კონცერტი, მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე პატივცემული პირი;
3. მსახიობი ნემოს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება 1 მოქ. ვოდვილი ა. ცაგარელის – „ჭკუისა მიჭირს“ [გაზ. „იმერეთი“ – 1914: 29 მაისი, №65, გვ.2].

მომხდარი აქტის, ანუ ამ საღამოს გამართვიდან ორი დღის შემდეგ, 1914 წლის 1 ივნისს, გაზეთი „იმერეთი“ (№68) აქვეყნებს მეორე ცნობას და იუწყება რომ: „უურნალ-გაზეთების კანტორა იმერეთის გამგე ისიდორე კვიციანიძემ ახალგაზრდა მგოსან გელას მიერ 29 მაისს გამართულ სალიტერატურო საღამოს გამო 30 მაისს, ნაშუადღევს „საოჯახო ბაღში“ გადაიღო სურათი მგოსან აკაკისთან ერთად. 15-დი ქუთათურ და სტუმრად ჩამოსულ ქართველ ძველ და ახალ პოეტების და ბელეტრისტებისა. შუაში ზის აკაკი, რომლის გარშემო სხედან შემდეგი მწერლები: დ.კლდიაშვილი, ი.ეკალაძე, ირ. ევდოშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, ვარლამ რუხაძე, ლადო დარჩიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიტე ტაბიძე, აკაკი სვანი, ცვარნამი და სხვა“ [გაზ. „იმერეთი“ – 1914: 1 ივნისი, №68]. მოცემული ცნობით თითქოს ვერკვევით, რომ ლიტერატურული საღამო, რომელმაც საუკუნის შემდეგ საზოგადოების ესოდენ ფართო დაინტერესება გამოიწვია, ორგანიზებული იყო ახალგაზრდა შემოქმედის გელა გელაზანიას მიერ. სალიტერატურო საღამოში, როგორც ეს გაზეთიდან ჩანს, მონაწილეობას ღებულობდა აკაკი წერეთელი, ახალგაზრდა მწერლები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

გაუგებრობას იწვევს 29 მაისის №68 გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ჩატარებული სალიტერატურო საღამოს შესახებ, რომელსაც რედაქცია რატომღაც „გელას მიერ გამართულ“ სალიტერატურო საღამოსაც უწოდებს, რადგან იგი თავის შინაარსით არ შეესაბამება 1 ივნისის გაზეთში გამოცხადებულ **ლიტერატურულ-დრამატულ-მუსიკალურ** საღამოს სახელწოდებას და ერთი შეხედვით წარმოგვიდგენს სხვა, მეორე დამოუკიდებელ ღონისძიებას, ამიტომ უნებლიედ იბადება კითხვა: გაზეთიდან ეს ორი ამონარიდი, ხომ არ აღნიშნავს ერთმანეთისაგან გამიჯნულ ორ დამოუკიდებელ სხვადასხვა ღონისძიებას?.. პასუხი ცალსახაა, საღამოები ერთსა და იმავე მოვლენაზე უნდა მეტყველებდნენ და მეორე პირველის გაგრძელება უნდა იყოს, რადგან საკმაოდ მსცოვანი აკაკი ორივე საღამოს მონაწილე ვერ იქნებოდა, რადგან ორ საღამოზე მონაწილეობის მიღება იგი ფიზიკურად ვერ შეძლებდა. ესეც რომ არ იყოს, შეუძლებელია, რომ საღამოს მომწყობ ორგანიზატორებს ორი ღონისძიება ერთმანეთისათვის დაემთხვიათ. ჩანს, რედაქციამ 1 ივნისის გაზეთ „იმერეთში“ გამოცხადებული ლიტერატურული საღამო, გააიგივა თავის მიერ 29 მაისის №65 გაზეთში გამოცხადებულ „ლიტერატურულ-დრამატულ-მუსიკალურ“ საღამოსთან.

მაშასადამე, იმ დღეს მსცოვანი პოეტი ესწრებოდა ლიტერატურულ-დრამატულ-მუსიკალურ საღამოს, სადაც პირველ განყოფილებად ჩასმული იყო ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებების განხილვა, რაც შეეხება „სალიტერატურო საღამოს“, რომელიც 1914 წლის 1 ივნისის გაზეთშია მოხსენიებული, ამ სახელწოდებით იგი ბუნებაში არ უნდა არსებებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენი საკვლევი სურათის შესახებ არა ერთმა ქართველმა მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ გამოთქვა თავისი მოსაზრება და ეჭვს ქვეშ დააყენა არა მხოლოდ სურათის გადაღების მიზეზი, არამედ თარიღიც. ამ მხრივ საინტერესოა გალაკტიონ ტაბიძის მოსაზრება.

როდესაც გალაკტიონს მიუტანეს ილია ბახტაძის მიერ 1957 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილი გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ეს „საუკუნის სურათი“ და როგორც სურათზე გამოსახულ ერთ-ერთ პირს ჰკითხეს, თუ როდის იყო იგი გადაღებული. გალაკტიონმა თქვა, რომ საჭიროა აღვადგინოთ, „თუ როდის ჩამოვიდა იროდიონ ევლოშვილი ქუთაისში“ და აღვადგინოთ ფოტოსურათის გადაღების თარიღსო. შეგახსენებთ გალაკტიონის სიტყვებს: „საინტერესოა, რომ აქ არის ევლოშვილი. ის ჩამოვიდა ქუთაისში საღამოს გასამართავად და ალბათ, ეს ფოტოც იმ დროისაა. როდის გაიმართა ევლოშვილის საღამო ქუთაისში? საჭიროა აღვადგინოთ...“ [ტაბიძე გ. 1975: თხზ.ტ.12]. აღსანიშნავია, რომ აქ გალაკტიონი არ ცდება. ამ ისტორიული ფოტოსურათის გადაღება მართლაც მაშინ მოხდა, როცა იროდიონი ქუთაისში ჩამოვიდა, მაგრამ არა 7 ივნისს, როცა მისი სალიტერატურო საღამო გაიმართა, არამედ იროდიონის ქუთაისში ჩამოსვლიდან მე-3 დღეს, 30 მაისს, „ლიტერატურულ-დრამატულ-მუსიკალურ“ საღამოს გამართვის მეორე დღეს.

ამდენად, 1914 წლის 1 ივნისის გაზეთ „იმერეთში“ გამოქვეყნებული საინფორმაციო წერილი მართალია გვატყობინებს, რომ „საუკუნის ფოტოსურათის“ გადაღება მოხდა გელა გელაზანიას ორგანიზებით „ახალგაზრდა შემოქმედთა“ სალიტერატურო საღამოს გამართვის აღსანიშნავად, მაგრამ ამ ცნობის საპირისპიროდ არსებობს სხვა განსხვავებული საბუთიც, რომელიც გვაგებინებს, რომ მნიგნობარ ისიდორე კვიციანიძეს, იროდიონის სალიტერატურო საღამოს გამართვასთან დაკავშირებით წინასწარ მოუწვევია „ის მწერლები, რომლებსაც საღამოში მონაწილეობა უნდა მიეღოთ“ [ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995: „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“].

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი დოკუმენტური მასალა ურთიერთ საპირისპირო ხასიათისაა, ორივე წყარო მაინც ერთსა და იმავე პიროვნებაზე, მნიგნობარ ისიდორე კვიციანიძეზე მიგვითითებს, რომ მნიგნობარის ძალისხმევით მომხდარა თვალსაჩინო ქართველ საზოგად-

დო მოღვაწეთა სურათის გადაღება. აღნიშნული საბუთების მიხედვით გამოდის, რომ ისილორე კვიცარიძემ სურათის გადასაღებად შეკრიბა არა მარტო ის მწერლები, რომლებიც წინა დღით გელა გელაზანიას მიერ ორგანიზებულ საღამოს ესწრებოდნენ, არამედ ისინიც, რომლებიც რამდენიმე დღეში უნდა დასწრებოდნენ იროდიონ ევდოშვილის საღამოს. აქედან გამომდინარე საუკუნის სურათის გადაღება უკავშირდება არა მარტო გელა გელაზანიას მიერ გამართულ საღამოს, არამედ იროდიონ ევდოშვილის მიერ გამართულ საღამოსაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერლებს, რომლებიც გელა გელაზანიას და იროდიონ ევდოშვილის საღამოს დაესწრნენ, ან დაესწრებოდნენ, შეუძლებელია ყურადღების მიღმა დაეტოვებინათ ის ლიტერატურული გასამართლება, რომელიც უნდა გამართულიყო 4 ივნისს აკაკი წერეთლის თავმჯდომარეობით, რადგან მათ ინტერესში უსათუოდ, შევიდოდა საქართველოს უსაყვარლესი შვილის აკაკი წერეთლის თავმჯდომარეობით გამართული ლიტერატურული გასამართლება და ქალაქში მიმდინარე სხვა რიგი ღონისძიებებისა „გერონტი ქიქოძის ლექციისა“ და „ნინოშვილის დილის“ [გაზ. „იმერეთი“ – 1914: 28 მაისი, №64]. ჩათვლით, რომლებიც ასევე 28 მაისს იმართებოდა. გამომდინარე აქედან, საქართველოს თვალსაჩინო მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ქუთაისში არა მარტო ახალგაზრდა მწერლების და იროდიონ ევდოშვილის საღამოზე დასასწრებად უნდა შეკრებილიყვნენ, არამედ ქუთაისში დაგეგმილ მიმდინარე სხვა ღონისძიებებზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებადაც.

**მაშასადამე, როცა დგას საკითხი თუ რა ღირსშესანიშნავ მოვლენას უკავშირდება ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ქუთაისში შეკრება და „საუკუნის სურათის“ გადაღება, არ შეიძლება შეკრებისა და სურათის გადაღების მოტივად, მხოლოდ ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებების განხილვა ან იროდიონ ევდოშვილის ლიტერატურული საღამოს გამართვა მივიჩნიოთ, რადგან ქართველ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა ქუთაისში ესოდენ ფართო, მასშტაბური შეკრება და სურათის გადაღება რეალურად უკავშირდება იმ პერიოდის ქუთაისში გამართულ შემოქმედებით ღონისძიებებსა და ქალაქის იმ „მჩქეფარე“ ლიტერატურულ ცხოვრებას, რომელსაც ქმნიდნენ საქართველოს სასიქადულო შვილები: აკაკი, გალაკტიონი, ტიცინანი, პაოლო იაშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვები...**

რაც შეეხება „საუკუნის სურათის“ გადაღების თარიღს (რომელიც რატომღაც აგრეთვე სადავო გახადა), იგი ნამდვილად გადაღებულია 1914 წლის 30 მაისს, რასაც ადასტურებს არა მარტო გაზეთი „იმერეთი“, არამედ იმ პერიოდის პრესის ფურცლები. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარ სირა ჭიჭინაძის მოსაზრებას, რომ თითქოს იროდიონი ქუთაისში 1912 წელს ჩამოვიდა და ამავე წელს მოხდა ე.წ. „საუკუნის ფოტოსურათის“ გადაღება, ვერ გავიზიარებთ.

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, თუ როგორ შეხვდა ქუთაისის საზოგადოებრიობა ქალაქში ჩამოსულ საპატიო სტუმარს, ამიტომ მივყვეთ მოვლენებს:

იროდიონ ევდოშვილი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ქუთაისში 1914 წლის მაისის შუა რიცხვებში ჩამოდის. მისი ქუთაისში პირველი ჩამოსვლა უკავშირდება სალიტერატურო საღამოს ორგანიზაციული საკითხის მონესრიგებას, ხოლო მეორე ჩამოსვლა 1914 წლის 28 მაისს, სალიტერატურო საღამოს გამართვას. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საზოგადოებრიობას იგი კი არ მოუწვევია, არამედ თავის ინიციატივით ჩამოსულა, რადგან ავადმყოფსა და „ხელმოკლეს“ მცირეოდენი შემოსავალი მიეღო.

იროდიონის ქუთაისში ჩამოსვლას ადგილობრივი პარტიული წრეები არაერთგვაროვნად შეხვდნენ. ლიტერატურულ საღამოს ბოიკოტი ქალაქის ნოქრებმა გამოუცხადეს. ამ არასასიამოვნო ფაქტს, გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ასე გადმოგვცემს: „დღეს, შაბათს, ქუთაისის თეატრში დანიშნულია ლიტერატურული საღამო ი. ევდოშვილის სასარგებლოდ. გაზეთებში ცნობა იყო, რომ ზოგიერთები აგიტაციას ეწვეიან და ბოიკოტს უცხადებენ ამ საღამოსო“ [გაზ. „სახალხო ფურცელი“ – 1914: 7 ივნისი]. იმავე საკითხს გაზეთი „იმერეთიც“ შეეხო, გაზეთი აღნიშნავდა: „ბოიკოტი სიმართლისა

და კაცთმოყვარეობის წინააღმდეგ, ეს მარტო ხულიგნობა კი არა, მთელი ქვეყნის მასხრად აგდება და ვაი იმ ქვეყანას, სადაც ასეთ ბოიკოტს არ დაგმობენო!“ [გაზ. „იმერეთი“ – 1914: 4 ივნისი, №70, გვ.2]. ლიტერატურული საღამო 5 ივნისს იყო დანიშნული. მაგრამ ასეთი პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ჩაიშალა, მისი გამართვა ხელმეორედ 7 ივნისს დაიგეგმა. გაზეთი „იმერეთი“ აცხადებდა, რომ „ხუთშაბათს 5 ივნისისათვის განზრახული „ევდოშვილის საღამო“ გადაიდო შაბათს 7 ივნისისათვის“ [გაზ. „იმერეთი“ – 1914: 1 ივნისი, №68, გვ.2].

დადგა 7 ივნისი – ლიტერატურული საღამოს გამართვის დღე... საზოგადო მოღვაწე ილია ბახტაძე იგონებს: „ამ საღამოში მაშინ, გარდა აკაკი წერეთლისა, მონაწილეობას ლებულობდენ დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ია ეკალაძე, ლადო დარჩიაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, გრიგოლ ვეშაპიძე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, დათიკო მეტუკე და სხვა, ამ საღამოში ამათთან ერთად მაშინ მონაწილეობას მეც ვიღებდი“ (გაზეთი „ქუთაისი“ 1973 წელი. 19 მაისი №96). საღამოსადმი ქუთათურთა ინტერესმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... „ხალხი მოვიდა თეატრში, მოვიდა კი არა, რომ იტყვიან, ვაშლიც კი არ ჩავარდებოდა და ქუთაისის თეატრი სამი იმოდენაც რომ ყოფილიყო რაც არი, მთლათ აივსებოდა.“ – აღნიშნავდა გაზეთი „სახალხო ფურცელი“ [გაზ. „სახალხო ფურცელი“ – 1914: 26 ივნისი, №22, გვ.3]. გაზეთ „ჩვენი ერის“ რედაქტორი იგონებს: „საერთოდ, ეს ჩვეულებრივი სალიტერატურო საღამო კი არ გამოვიდა, ყველაფერმა ეროვნული ზეიმის ხასიათი მიიღო“ [ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995: „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“. გამომც. გვ. 323]. უნდა აღინიშნოს, რომ იროდიონის ქუთაისში ჩამოსვლას მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. მას ჩვენს ქალაქში ყოფნის პერიოდში ინვევედენ ოჯახებში სპეციალურად გამართულ სადილებზე, იროდიონს „წვეულება გაუმართა მაშინ ქუთაისში მცხოვრებმა მეცენატმა, ხილეულობის წყლების ცნობილმა ოსტატმა, ქარხნის პატრონმა მიტროფანე ლალიძემ, რომელსაც ბევრი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დაესწრო“ [ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995: „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“. გამომც. გვ.321]. სალიტერატურო საღამოს გამართვის მეორე დღეს, 8 ივნისს, ქუთაისის „მონიწივე საზოგადოებამ ძვირფას მწერალ-მოღვაწეს საზოგადო საკრებულოს კლუბში დიდი ბანკეტი გაუმართა“ [ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995: „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“. გამომც. გვ. 321].

იროდიონი ქუთაისს და ქუთაისლებს გამოემშვიდობა სალიტერატურო საღამოს ჩატარების მეორე დღეს, 8 ივნისს „სადგურზე იროდიონი ცრემლნარევი სიხარულით ეგებებოდა მის გამცილებლებს. ბოლოს ძალზე გულდაწყვეტილი დაემშვიდობა მათ და თბილისში დაბრუნდა“ [ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995: „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“. გამომც. გვ. 321].

რამდენიმე დღის შემდეგ სალიტერატურო „საღამოს ნარმატებით აღტაცებულმა იროდიონმა თავის სათაყვანებელ ქუთაისს „სახალხო ფურცლის“ საშუალებით მადლობის ბარათი გამოუგზავნა, იროდიონი წერს: ბატონო რედაქტორო, გთხოვთ მომცეთ საშუალება გადავცე ქუთაისის ქართველობას ჩემი გულთბილი მადლობა. დაუვინყარი იქნება ჩემთვის ზეალმაფრენი წუთები, რომლებიც განვიცადე მე მათთან ერთად 7 ივნისს, ჩემს საღამოზე... მე სულის ობლობას ვგრძნობდი, ეხლა კი ვგრძნობ, არ ვყოფილვარ მარტო... თქვენ ის საღამო ყვავილების წვიმით შემიცვალეთ! საღამო და მადლობა ჩემი იმ პირთაც, რომელთაც შორიდან განმიცხადეს თავისი თანაგრძნობა. საღამო და მადლობა იმ პირთ, რომელთაც თავისი ძალ-ღონე არ დაიშურეს საღამოს ბრწყინვალედ ჩატარებისათვის. საღამო ქუთაისს!“ [ბარამიძე შ., ჟურ. „ჭოროხი“, 1985].

**ამრიგად: ნაშრომში „საუკუნის ფოტოსურათის თავგადასავალი“ დასმული საკითხი, თუ როდის და რა მოვლენის აღსანიშნავად არის გადაღებული თვალსაჩინო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ეს ისტორიული სურათი, პასუხი ცალსახაა: ფოტო გადაღებულია გელა გელაზანიას, იროდიონ ევ-**

დომვილის და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თავყრილობის გამო 1914 წლის 30 მაისს, როგორც ჩანს გაზეთმა „იმერეთმა“ ზედაპირულად გააშუქა შთამომავლობისათვის ეს გრანდიოზული ამბავი და სურათის გადაღების მიზეზად დაასახელა მხოლოდ გელა გელაზანიას საღამო, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გაზეთმა პარტიული ინტერესების გამო საგანგებოდ დაფარა რევოლუციონერი პოეტის სახელი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე შ., ჟურნალი „ჭოროხი“ 1985 წელი №1.
2. გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1914., 7 ივნისი. გვ.3, №6.
3. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914., 26 ივნისი, გვ.3, №22.
4. გაზ. „ქუთაისი“, 1973., 19 მაისი, №96.
5. **გაზ. „იმერეთი“, 1914., 29 მაისი, გვ 2, №65.**
6. გაზ. „იმერეთი“, 1914., 28 მაისი, გვ. 2, №64.
7. გაზ. „იმერეთი“, 1914., 1 ივნისი, გვ.2, №68.
8. გაზ. „იმერეთი“, 1914., 4 ივნისი, გვ.2, №70.
9. გაზ. „იმერეთი“, 1914., 1 ივნისი, გვ.2, №68.
10. ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995., „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“, გამომც. „ქუთათისი“, გვ.323.
11. ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995., „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“, გამომც. „ქუთათისი“, 321).
12. ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995., „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“, გამომც. „ქუთათისი“, გვ.321.
13. ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995., „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“, გამომც. „ქუთათისი“, გვ.320.
14. ვაჭრიძე პ., ვაჭრიძე გ., 1995 წ. „ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“, გამომც. „ქუთათისი“, გვ.321.
15. ტაბიძე გ., თხზ.ტ.12, 1975., გამომც. „საბჭ. საქართველო“, თბ. გვ.454.



MZIA ZARNADZE

**ADVENTURE OF THE CENTURY PHOTOGRAPH****part II**

On June 1, 1914, in newspaper "Imereti" was published an information letter, by which confirmed that "Photo of the Century" was taken in connection with the arrangement of a Literary Evening organized by the young creator Gela Gelazania, the organized issue of taking the photo was solved by famous scribe Isidore Kvitsaridze, but contrary to this letter, there is also a different document, from which it is clear, that the famous scribe Isidore Kvitsaridze in connection with the arrangement of Irodion Evodishvili Literary Evening was invited in advance "All the Writers Who had to Take Part in the Evening" and so they took that photo.

Despite that, these two documentary materials are contradictory character; both sources indicate to the same person Isidore Kvitsaridze, organize of taking the photo of prominent Georgian public figures was made by the famous scribe leading, which should not happen randomly. Thus, if we take into account the existence of both sources, Georgian public figures depicted in the photo, in one case they took part in creativity discussion evening of young writers held by Gela Gelazania on 28 May 1914, in the second case, the same composition took part in Irodion Evodishvili's Literary Evening on June 5, on which they were invited to advance.

It should be noted that, at the end of May and early June, 1914 several literary events were planned in Kutaisi, therefore, the reason for gathering of prominent Georgian public figures in Kutaisi, which we are looking for with great satisfaction, it becomes clear. The fact is that "Stars" should be gathered in Kutaisi in connection with Literary-Creative Events / Weeks. More so because, Bermukha-Akaki of Georgian poetry and Irodion Evodishvili, the "Singer" of revolution, who was lately returned from exile participated in these events/weeks.

But here we have to separate from each other the gathering of prominent Georgian patriots in Kutaisi and the reason for taking a picture. The reason for gathering of famous Georgian children is the period of literary events / weeks process in Kutaisi and a breathtaking literary-creative life created by Akaki, Galaktion, Titsiani, David Kldiashvili and other prominent patriots.

As for the "Photo of the Century", its shooting is really related to the discussion of the young writers' work, also visiting Irodion Evodashvili in Kutaisi and a Literary Evening held by Gela Gelazania, both of them are part of component for those current grandiose events, which is the reason and foundation of the gathering of prominent Georgian patriots on May 29, 1914 in Kutaisi.

Therefore, on May 30, 1914, the reason for the gathering of prominent Georgian patriots in Kutaisi is the current creative events / weeks in the city, in which was participated by Akaki, Gelazania and Evdoshvili. Thus, when there is a question, what a significant fact of celebrating was this photo taken, it is not possible to consider the only young creators and Irodion Evdoshvili's Literary Evening, as the reason for taking the photo as it turns out, there were a number of creative events / weeks planned in Kutaisi. Among them the first all is discussion of Young Writers Works, which was inserted into the first section on the literary-dramatic-music evening, which was attended by not only Akaki and Irodion Evdoshvili but also other prominent Georgian public figures, it seems that the great scribe Isidor Kvitsaridze used this accident and the special event was observed by the photo.

## ჟურნალი „კრებული“ (ისტორიულ მუზეუმში დაცული)

XIX საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის და საზოგადოებრივი აზრის ყველა ქმნილება პირველ რიგში პერიოდული პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. ამდენად, ქართული პერიოდული ორგანოები წარმოადგენდა არა მხოლოდ იდეური ბრძოლის მძაფრ იარაღს, არამედ ფართო მშრომელი მასების განათლებისა და გათვითცნობიერების ერთ-ერთ საიმედო წყაროსაც, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცე დასაყრდენს.

პროგრესულად მოაზროვნე ქართულ ინტელიგენციას მშვენივრად ესმოდა პერიოდული პრესის ეს უდიდესი როლი და მნიშვნელობა არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. ი. ჭავჭავაძე არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა: „თუ პრესამ უნდა კეთილსინდისიერად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასათა, რათა ყოველ აღმომობილ ფაქტს თვალი და გონება ადევნოს, ყველაფერი შენიშნოს და ყოველივეს პასუხი გასცეს. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი“ [ი. ჭავჭავაძე, 1953:65].

ასეთი რთული ამოცანა დასახა ქართულმა ინტელიგენციამ პერიოდული პრესის წინაშე და ამ ამოცანის განხორციელებას ზოგმა მოღვაწემ არა მხოლოდ პირადი მატერიალური კეთილდღეობა, არამედ საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირა.

ქართული პერიოდული პრესის ისეთ დიდ მოამაგეთა შორის, როგორც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ს. მესხი, გ. წერეთელი, ი. კერესელიძე, ი. მაჩაბელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. ნ. ნიკოლაძეს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

60-იანი წლის ბოლოს ქართულ ენაზე ხუთი პერიოდული გამოცემა გამოდიოდა, მაგრამ მონინავე საზოგადოება ჯერ მაინც განიცდიდა „საქართველოს მოამბის“ დანაკლისს, ამიტომ იგრძნობოდა საჭიროება ისეთი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალისა, რომელიც „საქართველოს მოამბის“ ტრადიციებს გააგრძელებდა და ახალი ეპოქის შესატყვისად გასცემდა პასუხს ცხოვრების მიერ წამოჭრილ საკითხებს. განსაკუთრებით 1870 წლიდან ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთიდან დაბრუნებისა და გაზეთ „დროებაში“ თანამშრომლობის დაწყების შემდეგ, რეალური გახდა ამგვარი ჟურნალის გამოცემის საჭიროებაც და შესაძლებლობაც.

გაზეთ „დროებასთან“ წიგნების სახით დამატებითი გამოცემის აზრი მის მესვეურებს გაზეთის დაარსებისთანავე გასჩენიათ. ნ. ლორთქიფანიძის 1866 წლის 16 იანვრის წერილიდან, რომელიც პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი, ნათლად ჩანს თუ რატომ შეაჩერეს არჩევანი „დროების“ გამომცემლებმა გაზეთზე და არა ჟურნალზე: „ადვილად მიხვდებით – წერს ნ. ლოლობერიძე, რა მოსაზრების გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალის. გაზეთთან დამატება გამოვა წიგნებით, რომელმაც უნდა აასრულოს ჟურნალის ვალი“.

ამრიგად, გაზეთთან დამატების იდეა, ჯერ კიდევ 1866 წლიდან არსებობდა, მაგრამ კრებულების გამოცემისათვის ზრუნვა ს. მესხმა წამოიწყო.

ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს უზიარებს იდეას, რომ 1871 წლიდან უნდა ოფიციალურად გამოითხოვოს უფლება „დროების“ გამოცემის შესახებ. აქედან ნათელი ხდება ის კრებულები, რომელთა გამოსაცემად 1870 წელს მიმდინარეობდა მუშაობა, ოფიციალურად „დროების“ დამატებას კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ წიგნებს, რომლებსაც „დროების“ რედაქცია უშვებ და როგორც ხელისმომწერთათვის, ასევე გასაყიდად.

აღნიშნული წიგნი გამოვიდა 1870 წ. დეკემბერში, რაც შეეხება „კრებულის“ მეორე წიგნს, მასზე ვიზა გაცემულია 1871 წლის 31 იანვარს და იგივე მკითხველებს უკვე თებერვლის ხუთისათვის უხილავთ.

აზრთა სხვადასხვაობას ინვეეს თუ ვინ იყო „კრებულის“ დირექტორი. უმრავლეს მკვლევარს კრებულის პირველ რედაქტორად გიორგი წერეთელი მიაჩნია. ზ. ჭიჭინაძე წერს: „კრებულის“ გამოცემა გ. წერეთელმა დაიწყო 1871 წ. [ზ. ჭიჭინაძე, 1897:36].

მასვე იზიარებს არჩილ ჯორჯაძე: „1871 წლიდან არსდება გ. წერეთლის რედაქტორობით „კრებული“. ამავე აზრის არიან მეცნიერები: გ. ბაქრაძე, ვ. კოტეტიშვილი. ასევე ხუნდაძე წერს: „გ. წერეთელი რედაქტორობდა „კრებულს“ 1871–1873 წლებში [ს. ხუნდაძე, 1949:85].

ნაწილი მკვლევარისა მიიჩნევს, რომ მისი დამაარსებელი იყო ნ. ნიკოლაძე. საგულისხმოა დ. გამეზარდაშვილის მოსაზრება: „კრებულის“ დაარსების ინიციატივა უშუალოდ მას (ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის), მაგრამ თუ რედაქტორად გ. წერეთელი გვევლინება, ეს იმიტომ, რომ ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა მასზე დაწესებული საიდუმლო მეთვალყურეობის შესახებ და ისიც, რომ ჟურნალის გამოცემის უფლებას მას არავინ მისცემდა.

1872 წლის 26 იანვარს ს. მესხი თბილისიდან ატყობინებდა კრ. ლორთქიფანიძეს, რომ „კრებულის“ წაყვანა ნიკოლაძემ ითავა.

სოფ. მაგლობლიშვილიც გვიდასტურებს, რომ „კრებულის“ სულის ჩამდგმელი, მიმართულების მიმცემი და მეთაური ნ. ნიკოლაძე იყო [ს. მაგლობლიშვილი, 1938:60].

„კრებულს“ ნ. ნიკოლაძე საკუთარი ფულით სცემდა, რადგან ქართული ჟურნალის ხელმოწერის თანხა მაშინ ხარჯების ერთ მესამედსაც ვერ აანაზღაურებდა.

იმ დროს ყველა ნ. ნიკოლაძეს სცნობდა „კრებულის“ მეთაურად. ი. ჭავჭავაძე 1871 წ. იმ დროს სწერდა პეტრე ნაკაშიძეს: „გიგზავნი ჩემს „ქართველის დედას“, თუ მოგეწონება, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდად [ი. ჭავჭავაძე, 1961:32].

ჟურნალად გადაკეთებული „კრებულის“ ვრცელი საპროგრამო წერილი, რომელიც 1871 წლის მე-3 ნომერშია დაბეჭდილი, ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. პერიოდულ გამოცემათა ამ ხასიათის საპროგრამო წერილებს, ჩვეულებრივ რედაქტორები წერდნენ.

ნ. ნიკოლაძის ინიციატივით გაზეთი „კრებული“ გადაკეთდა ჟურნალად. ამ ხანებში როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირმა, უარი მიიღო ყოველდღიურ გაზეთის გამოცემაზე. მას სხვა გზა უნდა მოეძებნა ჟურნალისტიკური მოღვაწეობის გასაშლელად. ნიკოლაძის ყურადღებაც „კრებულის“ მომავალმა ბედმა მიიპყრო და გადაწყვიტა მისი ჟურნალად გადაქცევა, მაგრამ როგორც თუ გაზეთის გამოცემის უფლება არ მისცეს, ცხადია, არც ჟურნალის გამოცემის ნებას დართავდნენ, ამიტომ მას მოლაპარაკება დაუწყია გ. წერეთელთან გამოეთხოვა უფლება ჟურნალ „კრებულის“ გამოსაცემად.

1871 წლის 15 იანვარს გ. წერეთელი განცხადებით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვალს და ითხოვს ჟურნალის გამოცემას, რის საფუძველზეც მიიღო ნებართვა გამოსცეს ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „კრებული“.

ამით აიხსნება, რომ „კრებულს“ ხელს აწერს მისი ნომინალური რედაქტორი გ. წერეთელი, ფაქტიური ვითარებით „კრებულის“ სული და გული, მისი იდეური გამმართავი, ფინანსური შემწხავი და ტონის მიმცემი ნ. ნიკოლაძე იყო.

„დროებასა“ და „კრებულს“ შორის იმთავითვე მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. მათ ერთად ხელმოწერა გამოაცხადეს და ფუნქციებიც გაინაწილეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს „კრებული“ ჟურნალ „მნათობის“ მოპაექრე, საპოლემიკოდ დაარსებულ იყოს. ეს თვალსაზრისი მცდარი და მეცნიერულად საფუძველს მოკლებლია.

ზ. ჭიჭინაძე წერს: „მნათობის“ მოკამათე „დროების“ მესვეურებმა ჯინზე ჟურნალის გამოცემაც განიზრახეს. 1871 წ. თებერვალში გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „კრებულმა“ [ზ. ჭიჭინაძე, 1902:18].

ამავე თვალსაზრისის იზიარებს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ალ. კალანდაძე. ავტორი ეყრდნობა ზ. ჭიჭინაძის ცნობას და წერს: „მნათობის“ თანამშრომლები ვრცლად პასუხობდნენ მოკამათეებს, „დროების“ ჯგუფს კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ბევრი სადავო საკითხი, ბევრი ბრალდება რჩებოდა უპასუხოდ. გაზეთთან ლიტერატურული დამატების გამოცემა ახლა კი მართლაც, გადაუდებელ ამოცანად იქცა“ [ალ. კალანდაძე, 1969:148].

კრებული „მნათობთან“ პაექრობისათვის არ დაარსებულა. ამ ჟურნალს მკვეთრად გამოკვეთილი მიზანი და პროგრამა ჰქონდა და თუ მისი თანამშრომლები „მნათობთან“ პოლემიკას არ ერიდებოდნენ, ეს როდი უნდა მივიჩნიოთ მისი აღმოცენების მიზეზად. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „მნათობთან“ საპაექრო სტატია „კრებულის“ ფურცლებზე მხოლოდ 1872 წლის მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა, სადაც ავტორი (გ. წერეთელი) განიხილავს „მნათობის“ 1872 წლის იანვრის ნომერს. ამ სტატიით იწყება „მნათობის“ თანამშრომლებთან პოლემიკა „კრებულის“ ფურცლებზე, მაგრამ იგი რომ „მნათობთან“ საკამათო მიზნით დაარსებულიყო, ჟურნალის პირველივე ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო სათანადო პოლემიკური მასალაც.

ამრიგად, განხილული მასალების შეპირისპირება-შეჯერების საფუძველზე დასკვნა:

1. „კრებულის“ გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის ს. მესხს, რომელმაც 1870 წლის გაზაფხულზე დაიწყო პირველი ორი ნიგნის გამოსაცემად მომზადება. მომზადების პროცესში კი ამ საქმის ხელმძღვანელობა ფაქტიურად ნ. ნიკოლაძემ ითავა.

2. „კრებულის“ პირველი ნომერი აიწყო და დაიბეჭდა 1870 წლის დეკემბერში, მაგრამ იგი ოფიციალურად არც ჟურნალი ყოფილა და არც „დროების“ ლიტერატურული დამატება.

3. „კრებულის“ ჟურნალად გამოსვლის ნებართვა გამოითხოვა გ. წერეთელმა. 1871 წლის მარტის თვიდან „კრებულმა“ გამოსვლა დაიწყო როგორც დამოუკიდებელი ჟურნალი.

4. „კრებულის“ აღმოცენების მიზეზი ცხადია „მნათობთან“ პოლემიკა არ ყოფილა.

5. „კრებული“ პირველიდან უკანასკნელ ნომრამდე წარმოადგენს დემოკრატიული მიმართულების ლიტერატურულ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ჟურნალს.

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „კრებული“ გაზეთ „დროების“ ლიტერატურული დამატება იყო, ფაქტიური მასალით არ დასტურდება. გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულს“ შორის ორი უახლოესი კავშირი არსებობდა, მაგრამ მათ საკუთარი რედაქციები, დამოუკიდებელი პროგრამა და სამოქმედო ხაზი ჰქონდათ [დ. ჩიკვილაძე, 1974:15].

ა. ნიკოლაძეს საზღვარგარეთ მოუხდა გამგზავრება, მან დასაბეჭდად მომზადებული დატოვა „კრებულის“ მეექვსე და მეშვიდე ნომრები, მაგრამ მათი გამოსვლა სხვადასხვა მიზეზის გამო დაგვიანდა.

ბ. ნიკოლაძის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ 1872 წლის გაზაფხულიდან „კრებულის“ საქმეებზე გ. წერეთელთან ერთად პ. უმიკაშვილი ზრუნავდა და მისი სტატიებიც იბეჭდებოდა „კრებულში“.

1872 წლის შემოდგომაზე ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და მაშინვე ჩაუდგა სათავეში „კრებულის“ გამოცემას, მას სარედაქციო მუშაობაში აქტიურად ეხმარებოდა ი. ჭავჭავაძე. ილია კ. ლორთქიფანიძეს უგზავნის მისი დისა და სიძის ოჯახში აღმოჩენილ ნ. ბარათაშვილის პირად წერილებს და ითხოვს გამოაქვეყნოს ისინი. „კრებულში“ დაიბეჭდა ბარათაშვილის ოთხი ბარათი მინერილი მაიკო ორბელიანისადმი, შემდეგ კიდევ ოთხი წერილი დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის. ამ ეპისტოლალური მემკვიდრეობის გამოქვეყნებამ უდიდესი როლი ითამაშა პოეტის შემოქმედების შემდგომი შესწავლისა და შეფასების საქმეში.

1873 წლის იანვრის დამდეგს ნ. ნიკოლაძეს კვლავ მოუხდა საზღვარგარეთ გამგზავრება „ტყიბულის საქმეების“ გამო, რამაც შეაფერხა „კრებულის“ გამოცემა, ხოლო მის სარედაქციო შრომაში მონაწილეობა დაევალა კ. ლორთქიფანიძეს.

1873 წელს ჯანმრთელობა შეერყა გ. წერეთელს. ჟურნალის რედაქტორობა გადაეცა კ. ლორთქიფანიძეს, იგი ოფიციალურად დაინიშნა მაშინ, როცა ჟურნალმა ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა.

1873 წლის 10 ნომრის შემდეგ „კრებული“ არ გამოცემულა, ჟურნალის გამოცემა შეწყდა ისე, რომ საზოგადოება დიდხანს მოელოდა მის გამოჩენას.

„კრებულის“ შეწყვეტის შემდეგ ჩვენში დიდი ხნის მანძილზე ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი არ გამოსულა. მან შეასრულა გარკვეული მისია, იგი გახდა ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ მთავარ წარმმართველად 70-იან წლებში. მის გარშემო დაირაზმა იმდროინდელი თითქმის ყველა გამოჩენილი მწერალი და პუბლიცისტი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ. აკადემიური გამოცემა, ტ. X, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ. 1961 წ.
2. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალებისა, თბ. 1902 წ.
3. ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ. 1949 წ.
4. მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბ. 1954 წ.
5. ს. მაგლობლიშვილი, მოგონებანი, თბ. 1938 წ.
6. დ. ჩიქვილაძე, ჟურნალი „კრებული“, თბ. 1974 წ.

TSITSIA GRIGOLAVA

## JOURNAL “COLLECTED WORKS”

At the end of 60 years of XIX century there were published five periodicals, but advanced society still suffered the deficit of “Georgian Herald”, so it felt the need of a public-literary magazine that would continue the tradition of Georgian Herald and in correspondence with a new epoch it would respond the questions raised in life.

Books were published with the newspaper “Droeba” (Times), first book was published in 1870, and the second- 1871.

There are different opinions about editor of the journal “Collected works”. Most of researches think that the editor was G. Tsereteli. This opinion is considered by Ar. Jorjadze, S. Khundadze, V. Kotetishvili. The part of researchers thinks that the founder was N. Nikoladze. By his initiative the newspaper was changed into the journal “collected works”. In those days, as apolitically unreliable person, he was refused on publishing the daily newspaper. He had to find other way to extend his journalistic activity, following which he started negotiation with G. Tsereteli, that’s why the journal “Collected works” is signed by editor G. Tsereteli.

In the scientific literature the expressed opinion as though the journal “collected works” was established as an opposing of the journal “Mnatobi” is wrong and has no scientific basis.

N. Nikoladze had to go abroad and G. Tsereteli took care of his business. In 1873 N. Nikoladze traveled abroad again and it obstructed publishing the newspaper “Collected works”. After November 10, 1873 the journal “collected works” was no longer published.

## რუსულან კობრაძე

სსიპ აჭარის მუზეუმი-ხარტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი  
საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების ხელმძღვანელი

**ქველი ბათუმის ქუჩები**

(აჭარის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)

ძველად ბათუმი მდებარეობდა მდინარე ყოროლიწყლის ზღვასთან შეერთების მიმდებარე ტერიტორიაზე. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში დაიწყო ქალაქის ცენტრის გადანაცვლება ზღვისპირა ყურეს მიმართულებით, სადაც დიდი წყალწვის გემების გაჩერებისათვის კარგი ბუნებრივი პირობები იყო.

საერთაშორისო ნაოსნობაში ბათუმის მნიშვნელობის ზრდასთან დაკავშირებით ოსმალეთის ხელისუფლება მეტ დაინტერესებას იჩენდა აღნიშნული პუნქტის მიმართ. ოსმალეთის სულთანმა აბდულ აზიზმა 1863 წელს გამოსცა ფირმანი, რომელშიც ვკითხულობთ: „ტრაპიზონის ვილაეთის ვალიმ, ვეზირმა ესედ მეჰმედ ემინ მუხლის ფაშამ თავის მოხსენებაში დასვა საკითხი საგუბერნიო ქალაქ ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქის გაშენების შესახებ, რომელიც (ქალაქი) ტრაპიზონის ვილაეთის, ლაზისტანის სანჯაყის ცენტრი იქნება და გაშენდება გამოუყენებელ სახელმწიფო მიწაზე, რომელიც ქვიშიანი და მინათმოქმედებისათვის უვარგისია. სანაპირო მიწიდან საკმაოდ დიდი ზოლი ხელუხლებელი უნდა დარჩეს მომავალში დაპროექტებული სიმაგრეების ასაშენებლად. შუა ადგილას გამოიყოს 60 ათასი კვადრატული არშინი ნაკვეთი, რომელიც გეომეტრიის წესების მიხედვით ყველა მიმართულებით ქუჩების გაყვანით დაიყოს ნაწილებად (უბნებად). სიგანე ქუჩების 12 არშინი უნდა იყოს და ამ ნაკვეთების შუა ნაწილში, მოხერხებულ ადგილას აშენდეს მეჩეთი, რომელსაც მისი უდიდებულესობის სახელი უნდა ეწოდოს. (ავალიანი, 1960: 98-99).

ოსმალებმა ყურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ააგეს დიდი ქვის მეჩეთი „აზიზიეს ჯამე“. ჯამე ააშენა ვალიდე ხანუმმა 1868 წელს თავისი შვილის სულთან აბდულ აზიზის საპატივცემულოდ. (Суворов, 189 : 115).

მეჩეთი მდებარეობდა გოგებაშვილის ქუჩაზე. შემდეგ მეჩეთის მიმდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ეწოდა აზიზიეს მოედანი. (დღევანდელი ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანი).

იქვე სანაპიროსთან ახლოს 1864-1867 წლებში ოსმალეთის ხელისუფლების მიერ აგებულ იქნა სამხედრო სიმაგრე „ბურუნ ტაბიე“ (კონცხის სიმაგრე) მეორე სიმაგრე კი დღევანდელი საზღვაო პორტის მიდამოებში მდინარე სარი-სუს ანუ ყვითელი წყლის მახლობლად. ამ სიმაგრეს სარი-სუს სიმაგრე უწოდეს. საზღვაო პორტის რეკონსტრუქციის დროს 1885 წელს იგი აიღეს.

ოსმალთა მმართველობისას ბათუმის საზღვრები განისაზღვრებოდა ბურუნ-ტაბიეს ციხესიმაგრედან სარი-სუს ციხესიმაგრემდე და შავი ზღვის სანაპიროდან დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩამდე.

თავდაპირველად ბათუმში ქუჩების მოვალეობას ასრულებდა მოკირწყლული, ეტლით სავალი და სასიარულო ბილიკები.

ქალაქში ფაქტიურად არსებობდა ერთი სანაპირო ქუჩა, რომელიც ძალზე ვიწრო იყო, სანაპირო ქუჩას მაშინ ეწოდებოდა „ალი-კიისი“ (ახლ. ი.გოგებაშვილის ქუჩა) შემდეგ იყო რამდენიმე ჩიხი: სანაპიროს ქუჩის ჩიხი, „ჯამე არასი“ (ახლ.ჩკალოვის ქუჩა) შემდეგ „ჩიხმას სოხახი“ (აბანოს შესახ-

ვევში) „ჰემიმ სოხასი“ (ახლ.საიათნოვას ქ.), „აჭარა სოხასი“ (ახლ.ხულოს ქ.), „მეზერ ლუქბაში“ – (თურქული ბაზრისკენ მიმავალი ქუჩა), „აზიზიე სოხასი“ (ახლ.ამელაშვილის ქ.), „ბურუნ ბაშ სოხასი“ (ახლ. მ.კოსტავას ქ.), „ურუმ სოხასი“ (ახლ. ფარნავაზ მეფის ქუჩის მონაკვეთი), „ტელეგრაფ სოხასი“ (ახლ. ზ.გამსახურდიას ქ.), „ნურიე სოხასი“ (ახლ. მ.აბაშიძის გამზირი). სოხასი თურქულად ნიშნავს ქუჩას, მაგრამ რადგანაც აქ ქუჩები კი არ იყო, ეს სახელწოდება ფაქტიურად აღნიშნავდა პატარა შესახვევებს. (ახვლედიანი, 1944: 172-174).

ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბათუმში სულ ფუნქციონირებდა 15-მდე ქუჩა. ქუჩების განიკვეთი დახრილი გახლდათ ქუჩის ღერძის მიმართულებით, სადაც ქუჩის მთელ სიგრძეზე მოწყობილი იყო ღია სანიადვრე არხი. ყოველ ქუჩასთან არსებული ეს სანიადვრე არხები ერთი საერთო ცენტრალური არხის მეშვეობით შეერთებული გახლდათ ზღვასთან, რომლის საშუალებითაც დიდი და ხშირი წვიმების დროს ქუჩების ზედაპირზე დაგროვილი წყალი ზღვაში ჩაედინებოდა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. მის შემდეგ სწრაფი ტემპით წავიდა ქალაქის ეკონომიკური და სამრეწველო ზრდა-განვითარება. „1883 წელს გადაიყვანეს რკინიგზის ხაზი ბათუმი-სამტრედია და ბათუმი ბაქოსთან აღმორჩნდა დაკავშირებული. ბაქოს ნავთობს გზა გაეხსნა ევროპაში ზღვით. მანამდე კი ბათუმი აივსო ვაჭრებით და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ქალაქი სწრაფად შენდებოდა და იცვლიდა სახეს. არქიტექტურაში გაჩნდა ნეოკლასიკური სტილის შენობები. ინგლისური ქალაქების მსგავსად გაყვანილი იქნა სწორი, მოკირწყლული ქუჩები. (ტოტორჩავა, აჭმ. №797. 1979: 12) დაინერგა ცივილიზაციის მონაპოვრები: რკინიგზა, ფოსტა, აშენდა საავადმყოფო. მოკლედ ბათუმი მოკლე ხანში ევროპული ტიპის საპორტო ქალაქად იქცა“ (ტოტორჩავა, 1979: 12-16)

ბათუმის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ გაიზარდა ქუჩების რაოდენობა, შეიცვალა მათი სახელწოდებები.

ძველი ბათუმის შესახებ ბათუმელი პროვიზორის ალ. თიროშვილის მოგონების მიხედვით „მთავარ ქუჩას ერქვა მარინეს პროსპექტი. იყო სანაპიროს ქუჩა (ახლ. გოგებაშვილის ქუჩა). სხვა რამდენიმე ქუჩას ერქვა ყოფილი გენერლების: შეპელოვის, ბარიატინსკის, დონდუკოვო-კორსაკოვის და სხვათა სახელები. ვინაიდან ახლად შემოერთებული ბათუმი გამოცხადებული იყო „პორტო ფრანკოდ“ ე.ი. თავისუფალ ქალაქად, რომელშიც საბაჟო ჯერ არ იყო გახსნილი, ამიტომ აუარებელ საზღვარგარეთულ ფირმებს შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი, მთელი ქალაქი მოფენილი იყო სხვადასხვა ფირმების კანტორებით. ამასთან დაკავშირებით აქ იყო საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყნის საკონსულოები. (თიროშვილი, აჭმ ხ.ფ. №604. 1975: 4-5).

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქალაქში ძალიან ცოტა იყო სწორად დაგეგმილი ქუჩა. ქუჩები დაფარული იყო წვრილი ხრეშით, შუაში იყო არხი წყლისათვის. 1888 წელს იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმში ელოდებოდნენ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III ოჯახს, ქალაქის სამეურნეო საბჭომ მიიღო განსაკუთრებული ზომები: მოიკირწყლა ყველა ის ქუჩა, სადაც იმპერატორს უნდა გაეგლო. მაგალითად: სახელდახელოდ მოიკირწყლა მარინსკის პროსპექტი (ახლ.მ.აბაშიძის გამზირი). ვინაიდან იგეგმებოდა იმპერატორის მიერ ქალაქის ბალის მონახულება. მონესრიგდა ის ქუჩები და შესახვევები, რომლებიც მიდიოდა ასაშენებელ სამხედრო ტაძართან, სადაც იგეგმებოდა იმპერატორის მიერ მშენებლობის საძირკვლის ჩაყრა. ასევე მონესრიგდა ბულვარის (ახლ. ნინოშვილის) ქუჩის ნაწილი და ის ქუჩები, რომლებიც გადიოდა რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოების პრისტანთან. ქუჩებთან ერთად იღებებოდა ამ ქუჩებზე მდებარე სახლის ფასადები და ღობეები. (Батумь и его окрестности. 1906: 518).

1888 წ. სექტემბერში ბათუმში დაფუძნდა თვითმმართველობა, რომლის შემდეგაც ბათუმის განაშენიანება უფრო მიზანმიმართულად წარიმართა. ჯერ კიდევ 1 მონვევის თვითმმართველობამ

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა რკინიგზის სადგურის მიმდებარედ ქაობების ამოსაშრობად, ჩატარდა ქალაქის ნიველირება, შემუშავებული იქნა ქუჩების გაყვანის და მოწყობის საერთო გეგმა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა 1890 წ. 16 თებერვალს ბათუმის თვითმმართველობის შუამდგომლობით, რომელიც შედგენილი იყო მივლინებით ჩამოსული გუბერნიის ინჟინრის სლიუჟინსკის, ქალაქის არქიტექტორის ლენჩინსკის და თვითმმართველობის წევრის კოიანდერის მიერ დაამტკიცა განსაკუთრებული ოქმი ბათუმის ქუჩების გაყვანის შესახებ, რომლის თანახმადაც პირველ რიგში უნდა გაყვანილიყო ის ქუჩები, რომლებიც პორტთან მიდიოდა. ქუჩები დაყოფილი იყო 3 ჯგუფად: 1 ჯგუფს მიეკუთვნებოდა ის ქუჩები, რომელზედაც უნდა გაეგლო საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ტვირთს ნავთობპროდუქტების გარდა. მე-2 ჯგუფს მიეკუთვნებოდა ის ქუჩები, რომელზედაც გაივლიდა ნავთობპროდუქტები და ყველანაირი ზეთი, მე-3 ჯგუფში შედიოდა სანაპიროს ქუჩა (ახლ. გოგებაშვილის), რომელზედაც გაივლიდა ყველანაირი ტვირთი და ამიტომ ჰქონდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. (Батумь и его окрестности. 1906: 524-525).

ეს სამუშაოები შესრულდა 1891 წელს ქალაქის არქიტექტორის ა. სოზინოვისა და თვითმმართველობის წევრის ა. კოიანდერის მიერ.

საბოლოოდ 1892 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა ბათუმში შემდეგი ქუჩები, შესახვევები და მოედნები: არტილერიის (ახლ. მაიაკოვსკის ქუჩა), ბაზრის (ახლ. ზ. გორგილაძის), ბაქოს (ახლ. გოგებაშვილის ქ. ნაწილი), ვლადიკავკაზის (ახლ. ფარნავაზ მეფის ქუჩის მონაკვეთი ბარათაშვილის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე), ვოზნესენსკის (ახლ. ა. მელიქიშვილის), ბერძნის (ფარნავაზ მეფის ქუჩის მონაკვეთი გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე), დონდუკოვო-კორსაკოვის (ახლ. კ. გამსახურდიას ქ.) ეკატერინეს (ახლ. იმედაშვილის ქ.), კათოლიკეს (ვახტანგ გორგასალის ქუჩის მონაკვეთი გოგებაშვილის ქ-დან ბარათაშვილის ქუჩამდე), სასაფლაოს (ახლ. შავშეთის), ქუთაისის, ლორის მელიქოვის (ახლ. ნ. ჟორდანიას ქ.) მარინსკი პროსპექტი (ახლ. მ. აბაშიძის), მიხაილოვის (ახლ. ზ. გამსახურდიას) სანაპიროს (ახლ. გოგებაშვილის ქ.), ნავთობის (ახლ. გრ. ვოლსკის), ოკლობჟინსკის (ახლ. მ. კოსტავას), ოდესის (ახლ. პუშკინის ქ.), სვიატოპოლკ-მირსკის (ახლ. ა. მელაშვილის ქ.), სკობოლევის (ახლ. დ. თავდადებულის ქ.), სმეკალოვის (ახლ. რუსთაველის), თბილისის (ახლ. ბარათაშვილის ქ.), ერისთავის (ახლ. გ. მაზნიაშვილის ქ.), შესახვევები: მეგრელის (ამჟამად გაუქმებულია), ახლის (ახლ. ზ. ბერიძის ქ.), თურქული ბაზრის (ამჟამად არ არის) და მოედანი „აზიზი“ (ახლ. ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანი) (Батумь и его окрестности. 1906: 530).

ქალაქი დაყოფილი იქნა უბნებად. მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ბათუმში არსებობდა შემდეგი უბნები: 1. აზიზი, 2. ახმედი, 3. ნური, 4. მუფტი.

აზიზიე მოიცავდა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და წარმოადგენდა მსხვილ სავაჭრო ცენტრს. სანაპიროზე საბაჟოს ვრცელი შენობიდან რიგ-რიგობით ჩამწკრივებული იყო სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო კანტორები. მიხეილის (ახლ. ზ. გამსახურდიას) და ქუთაისის ქუჩების ნაწილში განლაგებული იყო საუკეთესო მაღაზიები და სასტუმროები. ქუჩები იყო საკმაოდ განიერი და შესანიშნავად განაშენიანებული. ნაწილი იყო მოასფალტებული, ნაწილში კი იყო ქვის ტროტუარები, შენობების უმეტესი ნაწილი იყო ევროპული სტილის. მათ შორის იყო შპოლიანსკის (ამჟ. ქუთაისის ქ. №2) და ტაიროვის (ქუთაისის ქ. №8) დიდი ლამაზი სახლები, ვოლფენზონის (მ. აბაშიძის ქ. №25 და კ. გამსახურდიას №13 მდებარე სახლი) და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისათვის ვაკიეს სახლი (მ. აბაშიძის პრ №35) და ბევრი სხვა, იქვე თბილისის (ახლ. ბარათაშვილის) ქუჩაზე მდებარეობდა ქალაქში ერთადერთი-რკინის თეატრი, ხოლო ბულვარში-საზოგადოებრივი საკრებულო. აზიზიეს რაიონში ზღვაში შეჭრილი იყო ბურუნ-ტაბიეს კონცხი, რომელიც ეკავა ქვემეხებს, მათ წინ იდგა შუქურა, ქვემეხების აღმოსავლეთით მდებარეობდა რუსეთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების პრისტანი. აქვე იყო უფლისწულ ნიკოლოზ II ბულვარი, რუსული და მართლმადიდებლური ტაძრები. (Гурская, 1901: 6).



მეორე უბანი ახმედზე სრულიად სხვა ხასიათის იყო. აქ ბევრი რამ იყო შემორჩენილი ძველი თურქული ქალაქიდან: მოხვეული ვიწრო ქუჩები, უბადრუკი ქოხმახები. აქ განლაგებული იყო ე.წ. თურქული ბაზარი, სადაც იყო ძველი ქვის შენობები და წვრილი დახლები. ირგვლივ მიმოფანტული იყო დუქნები. ზღვის სანაპიროზე ღია ცისქვეშ ნაჭრით გადახურულ დახლებზე იყიდებოდა თევზი, საზამთრო, ნესვი, კიტრი და ა.შ. აქ იყო ბევრი სპარსული ყავახანა და სასაუზმე, სადაც გაჩაღებული იყო სხვადასხვა აზარტული თამაში. ეს იყო ქალაქის ყველაზე ხმაურიანი უბანი. ამ უბანში მდებარეობდა სომხურ-კათოლიკური ეკლესია და ახმედ ფაშას ჯამე. (Гурская, 1901: 7). ახმედ ფაშას ჯამეს ადგილას შემდეგ ააგეს ქვის მეჩეთი „ორთა ჯამე“ – დღეისათვის მოქმედი ჯამე.

მე-3 უბანი ნურიე მდებარეობდა აზიზიეს სამხრეთით და მუფტიესგან გამოიყოფოდა თბილისის (ახლ. ბარათაშვილის) ქუჩით, რომელზედაც გადიოდა რკინიგზის ხაზი. აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა საწარმოების და უწყებების მოსამსახურეები. შენობები იყო ევროპული ტიპის-ეს იყო ქალაქის ახალი ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა აფხაზური დასახლების ადგილზე 80-იან წლებში. აქ თავმოყრილი იყო თითქმის ყველა სასწავლო დაწესებულება – ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, მარინეს ქალთა და სახელოსნო სასწავლებელი, დაწყებითი სამოქალაქო სკოლები ქართული და ბერძნული, აქვე იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სადგური, ჰოსპიტალის მართლმადიდებლური და მშენებარე რომაულ-კათოლიკური ეკლესია, ქალაქის საავადმყოფო. ნურიეში იყო სავაჭროები და ქალაქის თვითმმართველობის მშენებარე სახლი. ნურიეში მდებარეობდა აგრეთვე ქალაქის ალექსანდროვის ბაღი.

მე-4 უბანი მუფტიე იყო ყველაზე დიდი უბანი. აქ მოთავსებული იყო ნავთის ქარხნები. ამ ნაწილში განლაგებული იყო საცხოვრებელი სახლები, მათ დასავლეთით ქუჩების დიდი ნაწილი არ იყო განამენიანებული. შენობები იყო ღარიბული და მიწების დიდი ნაწილი იყო დაჭაობებული. მუფტიეში ძირითადად ცხოვრობდა ქალაქის უღარიბესი მოსახლეობა. (Гурская, 1901: 8). ამ უბანს მუფტიე ეწოდა აქ არსებული მუფტიეს ჯამეს გამო. მუფტიეს ჯამე მდებარეობდა დღევანდელი წერეთლისა და ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთში.

1902 წლამდე ბათუმში ქუჩების სახელების აღმნიშვნელი ფირნიშები არ იყო გაკრული, ასევე არც შენობებს გააჩნდათ ნუმერაცია, რაც საგრძნობლად ართულებდა ქუჩებისა და სახლების მიგნებას.

ხშირად ჰქონდა ადგილი ერთი ქუჩისათვის რამდენიმე სახელის დარქმევას მაგალითად: ახლანდელი ზურაბ გორგილაძის ქუჩა ბარათაშვილის ქუჩიდან პეტრე მელიქიშვილის ქუჩამდე იწოდებოდა ბაზრის ქუჩის სახელით, მელიქიშვილის ქუჩიდან გრიბოედოვის ქუჩამდე-ვორონცოვის ქუჩის სახელით.

ახლანდელი ფარნავაზ მეფის ქუჩა გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე მოიხსენებოდა ბერძნის ქუჩის სახელით, ბარათაშვილის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე-ვლადიკავკაზის სახელით, ხოლო მელიქიშვილის ქუჩიდან-ბებუთოვის ქუჩის სახელით.

ახლანდელი ვახტანგ გორგასალის ქუჩა ქუთაისის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე იწოდებოდა კათოლიკეს ქუჩის სახელით, ბარათაშვილის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე-ოლგას ქუჩის სახელით, მელიქიშვილის ქუჩიდან გრიბოედოვის ქუჩამდე კი ბარიატინსკის ქუჩის სახელით.

იზრდებოდა ქალაქი, მასთან ერთად იზრდებოდა ქუჩების რაოდენობა, ხდებოდა ქუჩების მოასფალტება, გამწვანება, განათება.

აჭარის მუზეუმში დაცულია ქ. ბათუმის 1909 წლის გეგმა-გეგმა შედგენილია და დახაზულია სამხედრო სტამბის კორპუსის კაპიტნის სტრახოვის მიერ 1905 წ. მიწისმზომელ სოსელის მიერ ჩატარებული ინსტრუმენტული აზომვების საფუძველზე. რუკაზე დატანილია იმ პერიოდში ბათუმში არსებული ქუჩები. სამეურნეო და საკულტო ნაგებობები, ქარხნები და ა.შ. რუკას აქვს პირობითი და ამხსნელი ნიშნები როგორც რუკაზე ჩანს, ამ პერიოდისათვის დასახლებული იყო ქალაქის ცენტ-

ტრალური ნაწილი სანაპიროდან დღევანდელ ნური-გელის ტბამდე, ხოლო ქვედა საზღვარი გადიოდა დღევანდელ პუშკინის ქუჩაზე. ქალაქის ცენტრალური ქუჩები იყო სანაპიროს (ახლ. გოგებაშვილის), დონდუკოვო-კორსაკოვის (ახლ. კ.გამსახურდიას), მარინსკი პრ. (ახლ. მ.აბაშიძის გამზ). სმეკალოვის (ახლ. რუსთაველის), მიხაილოვის (ახლ.ზ.გამსახურდიას) ქუჩები.

რუკაზე ასევე დატანილია ის ქუჩები, რომლებიც ქალაქის რეკონსტრუქციის დროს ლიკვიდირებული იქნა. ამდენად რუკა მეტად მნიშვნელოვანია მე-20 ს. 10-იანი წლების ბათუმის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ეს ქუჩებია: სულთანის ქუჩა, მდებარეობდა ახლ. მ. აბაშიძის და ა. მელაშვილის ქუჩებს შორის. იწყებოდა ქუთაისის ქუჩიდან და გადიოდა აზიზიეს მოედანზე.

საბაჟოს ქუჩა – მდებარეობდა ახლ. მელაშვილის და მ. კოსტავას ქუჩებს შორის. იწყებოდა ქუთაისის ქუჩიდან და გადიოდა გოგებაშვილის ქუჩაზე.

ჩუბაჩკის შესახვევი-მდებარეობდა ჩკალოვის ქუჩის დასასრულს, ქუთაისის ქუჩიდან გადიოდა გოგებაშვილის ქუჩაზე.

მატროსის შესახვევი-განთავსებული იყო ახლ. იმედაშვილისა და კანდელაკის ქუჩებს შორის, გამოდიოდა გოგებაშვილის ქუჩიდან და უერთდებოდა კანდელაკის ქუჩას შუა ნაწილში.

სამეგრელოს ქუჩა-იწყებოდა ახლ. ზ. ბერიძის ქუჩის დასაწყისიდან და უერთდებოდა ახლ. იმედაშვილის ქუჩას.

ჭაობის ქუჩა-გადიოდა ახლანდელი საზღვაო აკადემიის ადგილზე.

1918 წლის 14 აპრილს ბათუმი თურქეთის ჯარმა დაიკავა. იმავე წლის 16 აპრილს ბათუმში ჩამოვიდა ბათუმის გუბერნატორად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი ჰადიმ-ბეი, რომელმაც 1918 წლის 22 აგვისტოს გამოსცა ქუჩების სახელების შეცვლის განკარგულება, რომელიც იუნყებოდა, რომ ბათუმის ქუჩების სახელები და წარწერები ფირნიშზე შეიცვალოს და დაინეროს თურქულ ენაზე. თურქი გუბერნატორის განკარგულების თანახმად ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას გამზირს ეწოდა თურქი მთავარსარდლის-ურჩანჯი-ორდუს სახელი, ბარათაშვილის ქუჩას – თურქი გენერლის ოდუს-ედინჯი-ფორკეს სახელი. ხოლო რაც შეეხება ქალაქის დანარჩენ ქუჩებს, მათ მიეცათ ნუმერაცია, ბულვარის პარალელურ ქუჩებს მიეცათ კენტი რიცხვები – 1, 3, 5, 7 და ასე შემდეგ. აღნიშნული ქუჩების გადამკვეთ ქუჩებს კი მიეცათ წყვილი ნომრები – 2, 4, 6, 8 და ა.შ. (კომახიძე, 2000: 305).

ქალაქის თვითმმართველობამ იმდენი მოახერხა, რომ თურქ გუბერნატორს მოსთხოვა აღნიშნული განკარგულების ცოტა ხნით გადავადება, მოსახლეობას კი დაავალა ჩემოქსნათ ქუჩის აბრები.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუჩების სახელწოდებები კვლავ შეიცვალა. დამზადდა ქუჩის ახალი აბრები სამეწივანი წარწერებით ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე. აღნიშნული აბრები ქალაქში გამოყენებული იყო მე-20ს. 30-იანი წლების შუა ხანებამდე. აჭარის მუზეუმში დაცულია სამეწივანი აბრები: ქუთაისის, კამოს, ტურგენევის, საქართველოს, ჯაფარიძის ქუჩების. აბრები არის ჩამოსხმული თუჯისგან, მათზე წარწერები შესრულებულია ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე.

მუზეუმში ასევე დაცულია ქ.ბათუმის ქუჩის აბრა: „Матросский переулок-6“ შესრულებულია თუნუქზე, არის ოვალური ფორმის. გლურჯ ფონზე წარწერები შესრულებულია თეთრი მინანქრით. აბრა გამოყენებული იყო 1918 წლამდე. აღნიშნული აბრა იმ პერიოდის ქუჩის ნიშანთაგან ერთადერთია მუზეუმში.

ამრიგად, ქალაქ ბათუმის ქუჩების ქსელს მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს. ქუჩები ჩვეულებრივ მიმართული იყო საზღვაო ნავსადგურისა და შავი ზღვის პერპენდიკულარულად. აქედან გამომდინარე ქუჩებს გააჩნდათ მართხკუთხა ფორმა, რითაც კვარტლებად იყო დაყოფილი.

ქვემოთ გთავაზობთ თემაში დასახელებული ქუჩების ძველი და ახალი სახელწოდებების ნუსხას: გოგებაშვილის – ყოფილი ალი-კიისის, სანაპიროს, შმიდტის, ბაქოს, ქობულეთის, ბერიას.

რუსთაველის – სმეკალოვის

ნინოშვილის – ბულვარის

მემედ აბაშიძის გამზირი – ნიურიე სოხახი, მარინსკი პრ. მე-3 ინტერნაციონალის, კომინტერნის, სტალინის, ოქტომბრის, თავისუფლების, მემედ აბაშიძის.

ზვიად გამსახურდიას – ტელეგრაფ სოხახი, მიხეილის, ტროცკის, ორჯონიკიძის, 9 აპრილის, კონსტანტინე გამსახურდიას – დონდუკოვო-კორსაკოვის, უჩანჯი-ორდუს, ლენინის, ერთობის. ფარნავაზ მეფის – ურუმ სოხახი, ბერძნის, ვლადიკავკაზის, ბებუთოვის, ზინოვიევის, ტელმანის. ახმედ მელაშვილის – აზიზიე სოხახი, სვიაპოლკ-მირსკის, კამოს

ვახტანგ გორგასალის – კათოლიკეს, ოლლას, ბარიატინსკის, ცხაკაიას

ზურაბ გორგილაძის – ბაზრის, ვორონცოვის, ლუკა ასათიანის, ერას, გორკის, იბერიის

ჩკალოვის – ჯამე არასის, მეჩეთის

საიათნოვას – ჰემიმ სოხახი, სომხის შეს.

ხულოს – აჭარა სოხახი, ახმედ ფაშას, თათრის

მერაბ კოსტავას – ბურუნ-ბაშ სოხახი, ოკლობუინსკის, ლუქსემბურგის.

სტეფანე ზუბალაშვილის-აჭარის, გიორგის, ხრუშჩოვის, კალინინის

მაზნიაშვილის – ერისთავის, ლიბკნეხტის

ელიავას – სავაჭროს, ბაზრის

ნოე ჟორდანიას – ლორის მელიქოვის, სვერდლოვის

იმედაშვილის – ეკატერინეს, შადრევნის, ფარნის, ჯორჯიაშვილის

შავეთის – სასაფლაოს, დერვიშ-ფაშას, ფრუნზეს

ზურაბ ბერიძის – იმედის, ახლის, კალიევის

ქუთაისის – ქუთაისის

ბარათაშვილის – თბილისის, ოდუს-ედინჯი-ფორკეს

პ. მელიქიშვილის – ვოზნესენსკის, ენგელსის

დ. თავდადებულის – კომაროვის, შაუმიანის

26 მაისის – ზღვის, კიროვის

ლუკა ასათიანის – შერემეტიევის, ჯაფარიძის

ვაჟა-ფშაველას – შეპელოვის, მარქსის

პუშკინის – ოდესის

ჭავჭავაძის – პეტერბურგის, პეტროგრადის, კოოპერაციის

მაიაკოვსკის – არტილერიის, პროლეტარიის

ირაკლი აბაშიძის – სკობოლევის, ვოროვის, ბლაგოევგრადის

რევაზ კომახიძის – ლაზარევის, ბუდიონის

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Суворов А. Описание города Батума с планами и видами. Батум 1895 г
2. Гурская Н. путеводитель и справочная книжка по г. Батума и окрестностям. Тифлис 1901г
3. Батумь и его окрестности. Батум 1906 г
4. ახვლედიანი ხ. ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათუმი 1944წ.
5. ავალიანი ა. მინიმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი 1960წ.
6. თიროშვილი ა. მოგონებანი ძველი ბათუმის ცხოვრებიდან. აჭმ ხელნაწერთა ფონდი №604. ბათუმი 1975 წ.
7. ტოტოჩავა გ. ბათუმის ურბანიზაციის ზოგიერთი საკითხი. აჭმ ხელნაწერთა ფონდი №797. ბათუმი 1979 წ.
8. კომახიძე თ. ქ. ბათუმის განაშენიანებისა და დაგეგმარების ისტორია. ბათუმი 2000 წ.



**RUSUDAN KOBRAVA***LEPL - "Ajara Museum"**Khariton Akhvlediani Ajara State Museum**Head of Educational-Cognitive Programs***OLD BATUMI STREETS**

Roads, during the Ottoman ruling period, did not have the same style as they currently have. They used to have roads for open horse carriages and footpaths. The very first road, arranged in Batumi, was named after Ali Kiis, which was later renamed and called Seaside and then Trade Street. Mentioned street is currently functioning in Batumi under the name of a famous Georgian public figure and doctor - Grigol Eliava.

During the Ottoman ruling, the streets of the city were inclined towards the street axis, where the open drainage channel was arranged on the entire length of the street. Each of these drainage channels from each street were led and connected to a one common, central drainage channel at sea, through which the water accumulated on the surface of the streets during heavy and frequent rains would flow into the sea.

Characteristics for the Batumi, at the same time, were the places in the central part of the city where the residents lived in sparse and the properties were connected to each other by only narrow, pedestrian paths.

The names of the streets have changed and the number of streets increased after joining the Russian Empire. In 1888 a self- ruling government was established, which resulted in the specific construction style. In 1892 Kutaisi military governor approved the rule of classifying streets, its turns and squares. The city was divided into 4 different police districts. Batumi did not have the street name signs until 1902; nor did the buildings have any numbering, which made it significantly complicated to locate the street and houses.





ნათელა შერვაშიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი-ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

კატალოგიზატორი

**ქართული დამწერლობის იშვიათი სახე „დედაბრული ხელი“****(მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)**

ქართული ანბანი უსრულესი და უმარტივესი ანბანია ყველა სხვა ანბანთა შორის. ქართული ანბანი სავსებით სრულყოფილი ინსტრუმენტი ქართული ენის მრავალფეროვან ბგერათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად. ასოები გადმოსცემენ ყოველივე ცალკე ბგერას ზუსტად და ნათლად, და ვერც ერთი სხვა ანბანი ვერ შეედრება მას ამ მხრივ.

ქართული დამწერლობა უძველესი სახეა ასომთავრული, მრგვლოვანი (ასოთა მოხაზულობის მიხედვით) შემდგომში მრგვლოვანი შეცვალა კუთხოვანმა ანუ ნუსხურმა (ხუცურმა) IX საუკუნეში. IX-X საუკუნეებში ეს დამწერლობა ორივე იხმარებოდა.

ქართული დამწერლობის მესამე სახეა მხედრული, რომლის უძველესი სახე გვხვდება X საუკუნეში, ათენის სიონის წარწერებში და აპოკალიფსის კომენტარებში.

ქართული დამწერლობის იშვიათი სახეა დედაბრული ხელი. ცოტა რამ დედაბრულთან მიმართებაში. დედაბრული ხელი ქართული მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გურიასა და აჭარაში ჩამოყალიბდა. პირველი ზოგადი დახასიათება, რომელიც დედაბრულ ნიმუშთან ერთად გამოქვეყნდა 1879 წელს, ეკუთვნის დიმიტრი ბაქრაძეს. „დედაბრული“ ხელი პირველად 1946 წელს გამოიყენა სიმონ ჯანაშიამ. 1949 წელს დედაბრული ხელი გამოიკვლია და მას ცალკე ნაშრომი მიუძღვნა თ. საჟომიამ. სამეცნიერო ლიტერატურაში „დედაბრული“ ხელის შესახებ მცირე ცნობებია. მას გაკვირით ეხებიან. ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, დ. ბაქრაძე, თ. სახოკია, აპ. ნულაძე, ხ. ახვლედიანი და სხვ.

როგორც ცნობილია, ეს დამწერლობა გავრცელებული იყო უცხოელთა მფლობელობაში მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (კერძოდ აჭარა-გურია), ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ეროვნული თვითდამკვიდრება. დამწერლობის ამ სახის ნიმუშები დღესაც მოიპოვება „თურქეთის საქართველოში“. 1877-1878 წწ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით გამუსლიმანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება, მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა ან შეეძლო ოსმალეთში გადასახლებულიყო. ასე დაიწყო დიდი გადასახლება, ემიგრაცია, მუჰაჯირობა, რომელიც უდიდესი ტრაგედია იყო ერის ისტორიაში. ძირძველი ქართული მხარეები დაცარიელდა. განსაკუთრებით დაზარალდა ქობულეთი-ჩაქვის, გონიოსა და ქვედა აჭარის რაიონები. ქართველ მუჰაჯირებს სამშობლოდან თან ნაუღიანო ტრადიციები, ფოლკლორი, უცხო მინაზე შექმნილი „პატარა საქართველოში“ კი დღესაც ცდილობენ შეინარჩუნონ საერთო – ქართული ზნე-ჩვეულება და მშობლიური ენა.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, გაყვანილი იქნა ახალი სახელმწიფო საზღვარი. საზღვარს იქით თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა ქართული სოფლები. სწორედ იმისთვის რომ საზღვარს გაღმა-გამოღმა დარჩენილი ნათესავები ერთმანეთს რამეთი დამოკიდებული ყოფილიყვნენ, გამოიგონეს ეს საშუალება და შექმნეს ახალი მათთვის გასაგები ასოთა ნიშნები, რითაც დაიწყეს ერთმანეთთან დაკავშირება. სწორედ ეს გახდა ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალება ოსმალთა მფლობელობაში მყოფი ქართველი მუჰაჯირობისათვის.

ანბანის სახელთან დაკავშირებით, შეიძლება თქვას, რომ დედაბრული ხელის სახელწოდება უკავშირდება იმ ფაქტს რომ იგი ძირითადად ქალებს შორის იყო გავრცელებული. ამის შესახებ არსებობს გადმოცემები, თითქოს ქალებს დაეკისრათ მისია შვილებზე და შვილიშვილებზე გადმოსულიყო ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები, არ დაეკარგათ ქართული ენა და სარწმუნოება, რითაც შეძლეს შეექმნათ შრიფტი და ამიტომაც მას პირობითად „დედაბრული“ დამწერლობა დაერქვა. თ. სახოკია აღნიშნავს: „როგორც სხვაგან, აქაც აჭარაში ჩვენი ერის გურჯებად მანდილოსნები ითვლებიან, მათ შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა“.

გაყოფილი საზღვრის მიუხედავად, საზღვრის გარეთ დარჩენილი ქართველები ერთმანეთს ხმას აწვდიდნენ დედაბრულ ანბანით დაწერილი წერილებით. „დედაბრულს“ მუჰაჯირი ქართველები იყენებდნენ ქართული მიმონერისას, „დედაბრული ხელით“ შესრულებული მოკითხვის წერილები შენიღბული ტიპისაა. ივ.ჯავახიშვილი წერს: „ძველ ქართულში ცოდნით კრიპტოგრაფიის ხელობა. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ „დედაბრული“ საიდუმლო ანუ სამალავი დამწერლობის კრიპტოგრაფიის ტიპად მივიჩნიოთ.“

დომიტრი ბაქრაძე თავის „მოგზაურობაში“ წერს: „იქ დღემდე ხმარობენ ქართულ დამწერლობასაც, მაგრამ იგი, თუ არ შეეჩვიე ძნელად გაარჩევ. ყოველ შემთხვევაში ქობულეთურ-აჭარული წერილები ძნელად იკითხება მათი თავისუფლება ის არის, რომ ზოგი არის ფორმა საგრძნობლად შეცვლილი ან დამახინჯებულია.“

იმას, რომ „დედაბრული ხელით“ წერა აქტიურად გამოიყენებოდა გურიასა და ქობულეთ-აჭარაში მოწმობს აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დედაბრული ხელნაწერი, რომელიც მუზეუმში შემოვიდა 1984 წელს. ეკუთვნის ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში მცხოვრებ რუქიე ინაიშვილ-რომანაძეს. ხელნაწერი შეიცავს 3 ფურცელს. ერთ ფურცელზე დედაბრულით დაწერილია მოკითხვის წერილი, რომელიც ნაწილობრივ იკითხება, მეორე ფურცელზე კი დედაბრულით დაწერილია ლოცვები. მისი ამოკითხვა შეძლო მუზეუმის ან განსვენებულმა, ფონდების მთავარმა მცველმა ალ. ქათამაძემ (აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მქუხუმის ხელნაწერთა ფონდი №851).

ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მხედრულის ტიპის დამწერლობის ერთ-ერთ გრაფიკულ მახასიათებელს ქმნის ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა. აღსანიშნავია რომ „დედაბრული“ საკმაოდ შორდება „მხედრულს“ და უცნაური სოლისებური სახითაა წარმოდგენილი. იმდენად უცნაური, რომ სხვა ანალოგიური, ჩვენს ხელთ არსებული, ხელნაწერებისგან საკმაოდ განსხვავებულია. „დედაბრულით“ შესრულებული ტექსტების ამოკითხვის სირთულეს ქმნის ის, რომ სიტყვები გადაბმულია, მათ შორის ინტერვალი არ არის, არ დასტურდება არც ერთი პუნქტუალური ნიშანი. არსებული მასალა ნათლად ადასტურებს, რომ ფარული მიმონერისათვის გამიზნული ხელნაწერები გაცილებით რთულად იკითხება. მისთვის ასევე ნიშანდობლივია ხმოვანთა სიჭარბე: „სუხუვა რა მოკუწერო; მადლობელი ვარ;.. „ერთი რამ ცხადია, რომ: „დედაბრული ხელი“ ნიმუშია ქართული დამწერლობისა, რომელიც იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში, უმთავრესად ქალებში.

„დედაბრული“ ხელი გავრცელებული იყო არაბულთან ერთად. ალექსანდრე ქათამაძის (ყოფილი მუზეუმის ფონდების მცველი) მიერ შეგროვებული მასალებით ირკვევა, რომ წერაკითხვა და ისიც ძველებური (დედაბრული) ქართული იცოდნენ არაბულთან ერთად, მხოლოდ ხოჯებმა და შეძლებული ოჯახის წევრებმა; – მაგალითად მოლა მეველედ რომანაშვილს, ხასან დადიანს, მეველედ მადოიშვილს ცოდნია დედაბრული წერა. ოსმალეთს აჭარაში დამკვიდრების შემდეგ ძველებური („დედაბრული“) ქართული წერა-კითხვა დავიწყებას ეძლეოდა და აღარ იყო ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის. საინტერესოა, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს აჭარაში მოგზაურობის დროს უნახავს 200-მდე წერილი მუჰაჯირობისა „ქართული წერილებიც ვნახე, ქართულ

ასოებს არაბულის სახე მიუღია ნიმუშები შევკრიბე“ აღნიშნავდა გულისტკივილით.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე წიგნში „მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“- არაფერს ამბობს დედაბრული ასოების შესახებ, მაგრამ აღნიშნავს რომ ქართულმა დამწერლობამ ცვლილება განიცადა: „Даже грузинская письменна в унетреплений там поникь но они без осособого с трудом разбираются по крайной мер кобулето – Аджарская письменна которая мне показивали в Гурии, весьма не легко читались,“ (Бакрадзе Д. „Археологическое путешествие по Гурии,„ „Аджаря,„ стр.76-78. 1890 г.

„დედაბრული“ უფრო გვიანი პერიოდით შეიძლება დავათარილოთ, ამიტომ მისი ამოკითხვაც უფრო ძნელია. თუმცა კინტრიძის ხეობაში დაცული ხელნაწერებშიც შეიმჩნევა განსხვავება და ზოგჯერ შეიძლება ასევე მიეკუთვნოს თუნდაც მე-18 საუკუნეს.

ჩვენამდე მოღწეულია ცნობები იმ ქალბატონების შესახებ, რომლებიც ახდენდნენ მიმონერას. მაგალითად, მაჭახლის ხეობაში მცხოვრები ფადიმე კირკიტაძე, ფადიმე ავალიანი(მცხოვრები ქედის რაიონი, სოფ.დანდალო) რომელიც 1983 წელს 105 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დედაბრულ ხელნაწერს „დედაბრულ კარაბადინს“ ეძახდა და ოჯახს უყვებოდა ამ წერილებზე, რომლებსაც გზავნიდნენ ოსმალეთში დარჩენილ ახლობლებთან.იგივე ცნობით ვიცით რომ, ეს წერილები მიმოქცევაში ხდებოდა მეტად სანდო ადამიანების მეშვეობით, ვინაიდან საიდუმლო ინფორმაციებიც კი ინერებოდა, მაგრამ ჩვენამდე მსგავსი ხელნაწერი ჯერჯერობით უცნობია.

დღეს როგორც ვხდებით ეს თემა აქტიური ხდება, მაგრამ ასევე უნდა ვთქვათ, რომ „დედაბრული“ ანბანის ინფორმაციული სიმცირის შესახებ ბევრმა არაფერი იცის და მისი გამშიფრელიც არავინ არის. აღნიშნული თემით დაინტერესებულა ჟურნალისტი ზ. ბაუჟაძე, რომელმაც აჭარის სახელმწიფო მუზეუმში არსებული „დედაბრული“ ხელნაწერი გაშიფრა: მუჰაჯირის მიერ გამოგზავნილი წერილი. გვერდი პირველი – ძალო ბატონო ნუნუ მე დუმასურე შენი სახელი

ხანუმ გელი ხანუმ	ჭირიმე და შენ(ს.ი?)ე
მეკუნერე შენი ზ	ბი(რ,ს?)უნილაში (სასე?)
ერთთუ გამუღუმე	ზუმე ბელა(ნ?)ავიბი
ჭერებელი დიდი დედ	თუ ვაზე(?)ანლებე
ათილი გალობულის	ელ ბადესო შუვილი
უვილისუ ქალი ძალი	რ უშუვიოუ შომეგ
ა მენატურები იცოდე	ულეები და იმიზა გე
იაილა ასულანი იმედუ	მეჭიდა ყუველაი რუ
სუმა ნულესუ გადუ მ	თა სურო მოიყირისა
მოყუ(რ.ვ?)ანიუ	ნამო მაგი ნუ მომას
	ოდები მე ხან(ა,უ?)

გვერდი მეორე:

ყოლიფერი კაქა მოდინარეუ დუსიკ	სუხუვა რა მოკუნ
ოსუ ბიჭი მიეცა დი	ერო ასულა გაკიკი
(?)ესმა სურუ შენი ჭ	ვიდება ჩემი დანე
ირიმე შენი ფაშა	ვირუ წიერი თუჩ
ი გეყურებანა ი	აუმარა ჩუუედუფო
ცოდე გამიხადა რო	ასე იყო წერან(ი?)(ა?)
უ ჩემი თავი რო გა	იმე(?)ციე ბობენა
გასედა მადულობ	ხურეი ცავ ღუ
ელი ვარუ დიდიც	კაქადა კაქა თუ იქა
ო აიშეე კარაფინსა	ნები თუ ძალიანი გემ



იხადება შენი ჭირი  
მე მასური ნუნუხელი  
ხანუმო ბატონო

მომცრო წერილი. გვერდი პირველი:  
სუხანელა ხუსუვემედუ იკით  
უხოუ და რეჯებისუ თუვარეზ  
აგი თუვარეუ დეილეუა შეყუ  
ბანი დადიგებაუ იკითუხ  
ოუდა ლაილახა მედირესულა  
ნ ყველა ხე შეყუბანუმუ  
ეთეილაბი ხიბეყოთულიმა  
ულივიმუ ლეესილაყუვ  
ახე ყალიყეზ

სტამბულის არქივში დაცული ძველი XIX-ს დასაწყისის გაზეთებში არსებული მასალა იმის მან-იშნებელია, რომ მსგავსი წერილები სწორედ საზღვრის მიღმა მუჰაჯირი ქართველების ოჯახებში დღესაც ინახება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ისლამურ გარემოცვაში ცხოვრების მიუხედავად თურქეთის ქართველობამ ბოლომდე დაიცვა ქართული ყოფისა და კულტურის ზოგად ქართული თავისებურებანი, ძირძველ ტრადიციებს. მშობლიურ ენას, დამწერლობას დააკისრა ეთნიკური ფუნქცია და დაუპირისპირდა ისლამის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ოსმალური ცხოვრების წესს. ეს იყო და არის ეროვნული თვითდამკვიდრების უმთავრესი წინაპირობა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხ. ახვლედიანი. ნარკვევები აჭარის ისტორიიდან. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა.“ ბათუმი.
2. დ. ბაქრაძე – Археологическое путешествие по грузии и аджарии. 1890 . 76-78 стр.
3. ნ. ვარშანიძე. ბათუმის ოლქი XIX ს.ბოლო მეოთხედში. (ეთნო-კულტურული ვითარება). გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი. ბათუმი.
4. ა. ნულაძე „ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა“. გაზეთი „საქართველო“ №274.
5. მ. ხახუტაიშვილი. ეროვნული თვითდამკვიდრების ერთ-ერთი კომპონენტი „დედაბრული ხელი“.
6. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №851.
7. აჭარის ხ. ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №252.



ნატო ცაცხლაძე

სსიპ აჭარის მუზეუმი-ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი

## მუზეუმის ფონდში დაცული უცხოური წარმოების ნაკეთობები

აჭარა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების გზას დაადგა.

ბათუმი პორტო-ფრანკოდ (უბაჟო ქალაქად) გამოცხადდა, რამაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებას, მოსახლეობის რაოდენობის ზრდას.

1884 წლისათვის ბათუმში აიგო 305 საცხოვრებელი სახლი, თამბაქოს 4 ფაბრიკა, 8 სასტუმრო, გაიხსნა მაღაზიები, სასადილოები, ბუნგეს, როტმილდის სიდერიდისის, რიხნერის ნავთის საწარმოები, მოეწყო ქალაქის ბაღი და ზღვისპირა ბულვარი, გაიხსნა ბათუმი-სამტერდიის სარკინიგზო მაგისტრალი.

1912 წელს საფუძველი ჩაეყარა ბათუმის ბოტანიკური ბაღის განაშენიანებას.

ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოების დახმარებით, ბოტანიკურმა ბაღმა კავშირი დაამყარა მსოფლიოს სხვადასხვა სუბტროპიკულ ოლქებთან და ბოტანიკურ ბაღებთან, ასევე, მსოფლიოში ცნობილ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ კომპანიებთან, რის შედეგადაც ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა მიიღო 314 სახეობის მცენარე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ აღნიშნულ მცენარეებთან ერთადაა ჩამოტანილი ფრანგული წარმოების სამებალეო ინსტრუმენტები, რომლებიც გამოირჩევა დამზადების მაღალი ხარისხით.

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ფონდში დაცულია მსოფლიოში ცნობილ ვილმორინის საწარმოში დამზადებული სამებალეო ინსტრუმენტები, რომლებიც 1930-1935 წლებში აჭარის მიწის სახალხო კომისარიატმა გადმოსცა მუზეუმს.

ვილმორინების საწარმო თესლის წარმოების პირველი საწარმოა ევროპაში, მსოფლიოს მასშტაბით კი - მეოთხე.

ფილიპ ვილმორინი იყო ვილმორინების საწარმოს დამაარსებელი. ის დაიბადა ქალაქ ლორენში 1746 წელს, პარიზში შეისწავლა ბოტანიკა და მედიცინა. სწორედ აქ დაუმეგობრდა პიერ-ანდრიეს, რომელიც იყო მეფე ლუი XV-ის სამეფო კარის მეზღვე. ფილიპმა 1774 ცოლად შეირთო პიერ-ანდრიეს ქალიშვილი, რომელიც შემდეგ საწარმოს მეპატრონე გახდა.

საწარმოს პირველი სახელწოდება იყო „ანდრიე და ვილმორინი“ ხოლო შემდეგ გადაარქვეს – „ვილმორინ-ანდრიე“. ამ სახელით არსებობდა 1986 წლამდე, დღეს კი საწარმო ცნობილია „ვილმორინ-სი“-ის სახელწოდებით.

ვილმორინების საწარმოსთანაა დაკავშირებული ცნობილი ქართველი მეცნიერის, დეკორატორისა და აგრონომის, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი დამაარსებლის - იასონ გორდეზიანის სახელი, რომელმაც 1918 წელს წარმატებით დაამთავრა ვერსალის სახელობის ეროვნული სკოლა, მუშაობდა ვილმორინის საწარმოში სტაჟიორად (მეზღვედ), რის აღმნიშვნელი სერტიფიკატი და მადლობის ბარათი ინახება მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში.

მუზეუმის ფონდში ასევე ინახება ფრანგულ საწარმო „პრადინში“ დამზადებული ბაღის სასხლავი მაკრატელი. აღნიშნული საწარმო შეიქმნა 1865 წელს და დაიწყო ბაღის სასხლავი მაკრატლებისა და სხვა სამუშაო იარაღების წარმოება.

1934 წელს აღნიშნული საწარმო შეისყიდა როჟე დე ვილემ. მისი მმართველობის პერიოდში საწარმო გაფართოვდა და პოპულარობა მოიპოვა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაიხსნა ფილიალი. მრავალფეროვანი გახდა საწარმოს პროდუქცია.

მუზეუმის ფონდში დაცული მაკრატელი არის ხის კენწეროების გადასაჭრელი, ლითონისგან დამზადებული, უცხო ფორმის, ბოლოში გორგოლაჭებით.

1883 წელს „ძმები ნობელების“ ამხანაგობამ ბათუმში პირველი ნავთის რეზერვუარები ააგო, შესაბამისად, ქალაქის ცენტრალური ქუჩები და სასტუმროები ნავთის ლამპებით განათდა.

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის უცხოური წარმოების 15-მდე ნავთის ლამპა, რომლებმაც ელექტრონერგის გამოგონებისა და გავრცელების შემდეგ, მუზეუმის ფონდსაცავში დაიდეს ბინა.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია გერმანული კომპანია „Ehrich & Graetz“-ის ცნობილი ლამპის „Matador“-ის ორი ეგზემპლარი.

Ehrich & Graetz-ის მეტალის ნამუშევრების ქარხნული წარმოება დაიწყო 1866 წელს ბერლინში. ქარხნის სახელწოდებით – “Lampen-Fabrik Ehrich & Graetz OHG” დამაარსებლები იყვნენ ალბერტ გრეცი და ემილ ეჰრიჩი. ფირმის ლოგოზე გამოსახული იყო ორი ერთმანეთისკენ შებრუნებული დრაკონისთავიანი ცხენთევზა, რომელთა შორის მოთავსებული იყო მზე და კომპანიის ინიციალები E&G.

თავდაპირველად, ქარხანამ – “Lampen-Fabrik Ehrich & Graetz OHG” სახელი გაითქვა ნავთის ლამპების წარმოებით, დიდი წარმატებით იყიდებოდა “Matador”, “Akaria” და “Iris” ბრენდების სახელების ქვეშ გამოშვებული ნავთის ლამპები. ქარხანაში ასევე ამზადებდნენ თხევად (ხის სპირტი, პარაფინი) და აიროვან (პროპანი, ბუნებრივი აირი) საწვავზე მომუშავე ქურებს.

1897 წლიდან ფირმას სათავეში ჩაუდგნენ ალბერტის ვაჟები - მაქს და ადოლფ გრეციები. კომპანია სწრაფად იზრდებოდა და 1899 წლისთვის ბერლინში არსებობდა ქარხანა-კომპლექსი, რომელსაც ჰქონდა წარმომადგენლობები შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ბომბეიში (ახლა - მუმბაი).

ასევე გერმანული წარმოებისაა მუზეუმში დაცული ნავთის ლამპის ოთხი ეგზემპლარი წარწერით: *Отто Мюллер Берлин «Лампа-чудо»*.

აღნიშნული ლამპები ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ასევე დაცულია რუსეთის „ხალხთა მეგობრობის მუზეუმში“.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ექსპონირებულია ევროპაში ფართოდ გავრცელებული საწარმოს Kosmos Brenner-ის ნავთის ლამპა, რომელიც მუზეუმში შემოვიდა 1930 წელს აჭარის მიწის სახალხო კომისარიატისაგან.

ლამპაზე დამაგრებულია მონწყობილობა „ოვოსკოპი“, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა მეფრინველეობაში კვერცხში ჩანასახის განვითარების პროცესზე დაკვირვების მიზნით და ასევე, კვერცხის ვარგისიანობის შესამოწმებლად.

სტატიაში ნათლად ჩანს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმში ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, თუ როგორ იზრდებოდა უცხოეთიდან შემოტანილი ნაწარმის რაოდენობა, მკვიდრდებოდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში და შესაბამისად, წლების შემდეგ უკვე ექსპონატებად იდებდა ბინას ჩვენი მუზეუმის ფონდსაცავში, რომელიც ბევრ ძალიან საინტერესო ისტორიას ინახავს მრავალი თაობებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. პაპუნძე ვ., ბაგრატიშვილი ა., „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი“, 1998 წ., გვ. 21-24;
2. საქართველოს ისტორია, ტომი მე-4, თბილისი, 2012 წ., გვ. 70-71;
3. გაგუა ო., „დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი“, თბილისი, 2013 წ., გვ. 170-172;
4. აჭმ. ხელნაწერთა ფონდი № 1351, ი.გორდეზიანი;
5. სურგულაძე ა., სიორიძე მ., „პორტო-ფრანკო ბათუმში“, გამომცემლობა „აჭარა“, 1996 წ., გვ. 36-38;
6. გუჯაბიძე შ. „ბათომი“ 2015 წ. გვ.21,35,55.

**NATO TSETSKHLADZE**

LEPL - “Ajara Museum”

Khariton Akhvlediani Ajara State Museum

## FOREIGN PRODUCTION ITEMS IN THE MUSEUM ACCORDING TO THE RESERVED MATERIALS


Development of Ajarian social-economic and cultural development started to flourish from the second half of the 19th century.

Batumi was declared Porto Franco, which gave a significant push to the development of the industry and trade, which also supported the increase of population.


Houses, factories, hotels, shops, and dinners were built by 1884; City arranged boulevard along the coastal line. Numerous contracts were signed with German, French and English companies who delivered different seedlings along with the necessary inventory of the highest quality production; items were delegated to the museum by Public Land Commissariat in 1930-1935s.

First oil reservoirs were built by “brother Nobels” in 1883, which consequently led to the city’s central streets, hotels and seaside illumination.






matador3



Matador



ვილმორინის საწარმო



ვილმორინი



პორტო ფრანკო

ნანა ძორიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი-ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი

## ცხვრის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

აჭარის მუზეუმის ფონდსაცავებში დაცულია საყურადღებო მასალები მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების, წეს-ჩვეულებების ასაღწერად, რომელიც დამონმებულია გათხრითი მასალებითა თუ შემთხვევით ნაპოვნ ნივთებში რელიგიურ თუ სხვადასხვა ღვთაებათა საკულტო ნივთების შესწავლით.

აჭარაში დღემდე შემორჩენილია ადგილები, სადაც მიაქვთ შესანიერი და იმ ადგილებს ხან “ნაურალს” ხან კიდევ “ნაქართალს” უწოდებენ, რაშიდაც წარმართული ხანის კერპები იგულისხმება.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში სხვა კულტებთან ერთად ცხვრის კულტიც არსებულა. კულტის შექმნას კი რეალური საფუძველი ესაჭიროებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე მეცხოველეობის განვითარებას არა ერთი ისტორიული თუ არქეოლოგიური წყარო გვიდასტურებს ჯერ კიდევ ძვ. წ. III, II და I ათასწლეულებში. სტრაბონის ცნობით-კოლხეთი იყო მდიდარი ქვეყანა, სადაც ყველაფერი მოიპოვებდა ზღვაოსნობისათვის და რაც მთავარია მდიდარი იყო ოქროს, ვერცხლისა და რკინის საბადოებით. თქმულებას ოქროს სანმისზე სტრაბონი ხსნის იმით, რომ კოლხეთის მდინარეებით ჩამოტანილი ოქროს ქვიშას ადგილობრივი მცხოვრებლები გრძელბეწვიანი ტყავებით აგროვებდნენ /იგულისხმება ცხვრის ტყავი/.

ცხვარს უკვე ძვ. წ. მეორე ათასწლეულში მჭიდროდ აქვს ფეხი მოკიდებული ქართველურ ტომთა მეურნეობაში, ამას მოწმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამაროვანთა ძველი სამარხები, რომლებშიც ხარ-ძროხასო, ღორისა და თხის ძვლებთან ერთად და მათზე უფრო ხშირად გვხვდება ცხვრის ძვლები, როგორც თავის დროზე მიცვალებულთათვის საიქიოს გატანებული „საგზლის“ ნაშთი, ამ ნივთიერ ბაზაზე უნდა აღმოცენებულიყო ცხვრის, როგორც საკულტო ცხოველისა და მისი გამოსახულების, როგორც ავგაროზის იდეა.

აჭარის მუზეუმში 1967 წელს შემოვიდა იშვიათი ექსპონატი, ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხვრის /ვერძის/ ქანდაკება. იგი შემთხვევით იქნა ნაპოვნი ქობულეთის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისპანის ტორფიან მიწაში /მასთან ერთად ნაპოვნი იქნა სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, რომლებიც მოსახლეობაში ჩაიკარგა/.

საქართველოში უამრავი ბრინჯაოს ნივთია ნაპოვნი, სხვადასხვა ფორმის, ზომის, სახეობის, საბრძოლო, სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების, მაგრამ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ცხვრის მთლიანი ქანდაკება იშვიათობაა. აქამდე საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ცხვრის მთლიანი ქანდაკება ნაპოვნი არ არის. საქართველოს და კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზე მისი პოვნა პირველი შემთხვევაა და ამდენად მეტად საინტერესო.

ქობულეთის ტორფიან მიწაში ნაპოვნი ცხვრის /ვერძის/ ბრინჯაოს მთლიანი ქანდაკება ლამაზი ქმნილებაა. უნიკალური ქანდაკება ჩამოსხმულია და მთელი ატრიბუტებით გამოსახავს ვერძს – ხუჭუჭი ბეწვითა და ხვეული რქებით. იგი კოლხური უდუმო ცხვრის საუცხოო ნიმუშია და რელაისტიური ხელოვნების მაღალ დონეზე მიუთითებს. ქანდაკების სიგრძე 7სმ-ია, სიმაღლე 5, 5სმ.

ვარაუდით ცხვრის ქანდაკება ბრინჯაოს განვითარებულ ხანას ძვ.წ XI–IX საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, რომ საერთო სამლოცველოების გვერდით არსებობდა საოჯახო სამლოცველოებიც. აქედან გამომდინარე, მცირე სკულპტურულ გამოსახულე-

ბებს განსაკუთრებული საკულტო-სარიტუალო მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით /მოპოვების ადგილის მიხედვით/ ჯერჯერობით არ ვფლობთ საკმარის ნივთიერ და სხვა სახის მონაცემებს ამდაგვარი გამოსახულებების საკრალური აზრის ამოსაცნობად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ვერძის ფიგურა ნაწილია რიტუალური ჭურჭლისა, რომელიც ვერძის თაყვანისცემასთანაა დაკავშირებული, რასაც გვაფიქრებინებს ვერძის ფეხების მოყვანილობა. ის დამაგრებული უნდა ყოფილიყო სამაგრზე, სადაც გამოსახული იყო რიტუალური სცენები.

ფიჭვნარის და მის მიდამოებში ბრინჯაოს ვერძის სკულპტურის გარდა კლასიკური და ელინისტური ხანის თიხის ჭურჭელთა ყურები ზოგჯერ ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა შემკული.

ძვ. წ. XV ს-დან ვიდრე VII ს-მდე წარმოდგენილი მასალები გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მეთუნეობის განვითარებაზე მეტად საყურადღებო მონაცემებს იძლევა. აქ მოძიებული მონაცემებით, ზოომორფული ყურებით შემკული ჭურჭლის წარმოება ამ რეგიონში თუმცა ადრე იწყება, მაგრამ განსაკუთრებულ აღმავლობას იგი რკინის სამეურნეო ათვისების ხანაში აღწევს. ეს ფაქტი ალბათ, იმ რელიგიური წარმოდგენების გაცხოველებით უნდა აიხსნას, რომელთა საფუძველზეც თავის დროზე, ამგვარი ჭურჭლების წარმოება დაიწყო.

აჭარის მუზეუმში /1966 წ./ განათხარი მასალებიდან ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ფიჭვნარის სამაროვანზე ნაპოვნი ვერძის თავის გამოსახულებიანი ქოთანი /კოჭობი/ ზომები: სიმ. 10 სმ. პ/დმ-8,5სმ. ძ. 5სმ. მოშავო – მონაცრისფეროდ გამომწვარი ჭურჭელი ფართოდ გავრცელებულია კოლხურ მეთუნეობაში გვიან ბრინჯაოს ხანიდან. განსაკუთრებულ სრულყოფას აღწევენ ძვ.წ. IV-V საუკუნეებისათვის. ვერძის თავის, გამოქანდაკება, როგორც საკულტო ცხოველი, სიკეთის და ჯანმრთელობის მფარველი, ჭურჭელზე გამოსახვით იძენს რელიგიურ მაგიურ ძალას. დღეისათვის ძნელია განვსაზღვროთ ამ ჭურჭლის პრაქტიკული ფუნქცია, მაგრამ ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს ცხვრის გამოსახულების /მოდელის/ კერამიკული ჭურჭელი თავის დროზე მაგიური ძალისაც იქნებოდა და რაც მთავარია სითხოვნი წამლის, ღვინის ან თუნდაც სასმელი წყლის მიღებას მაგიურ-ფსიქოლოგიური მომენტიც ახლდა.

ცხვარი – მიუხედავად მისი უმწეობისა იმ ცხოველთაგანია, რომელთა გამოსახულებასაც ადამიანი ძველთაგანვე მიანერდა ავი სულებისაგან დაცვის უნარს. შეიძლება აქ მის განსაკუთრებით, ვერძის – „ყოყობას“, სიჯიუტესა და რქების სიმაგრესაც ჰქონდა მნიშვნელობა. ამასთანავე, ცხვარი, სამსხვერპლო ცხოველი, ზვარაკი იყო.

ძველ ბერძნულ სამყაროში იყო გადმოცემა, რომ ჰერმესი ატარებდა ცხვარს, ხელით ან მხარზე გადადებულს. ტანაგრაში იყო თქმულება, თითქოს ჰერმესმა ეს ქალაქი შავი ჭირისაგან გაათავისუფლა იმით, რომ მხარზე გადადებული ცხვარი შემოატარა მის გალავანს. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული რწმენა, რომ ცხვრის შემწეობით შეიძლება ყოველგვარი სნეულების თავიდან აცილება. ასევე ქრისტიანობაში გავრცელებულია, მწყემსი – კეთილის სახება.

აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში /№3, 1941წ. გვ. 87/ დაცულია მასალები: „ცხვარი, როგორც შესანიშნავი ცხოველი“, „დანაპირების შესასრულებლად მისულ ადამიანს ღმერთმა ჰკითხა, რა გყავს ყველაზე საუკეთესო ოჯახშიო – შვილიო, ღმერთმა შეიცოდა და უთხრა შვილის ნაცვლად ცხვარი შემომწირეო“, ამის მეორე ვერსიაც არსებობს; „გაიხსნა ცა და გადმოვიდა თეთრი ცხვარი, რამაც ააცილა უბედურებას ოჯახი“.

საქართველოში ვერძის თავის გამოსახულება გადაგრეხილი რქებით ძალიან ხშირად არის ნაპოვნი. მათ შორის უნიკალურია: ოქროს ყელსაბამი, რომელზედაც გამოსახულია რქებიანი ვერძის თავი /მცხეთა, არმაზისხევის გათხრებიდან/ ვანის ადრეანტიკური ხანის მასალიდან აღსანიშნავია თიხის ნაძერწი ცხოველის მცირე ზომის ქანდაკებები, მათ შორისაა ვერძის ქანდაკება /სრული



ფორმის თიხისაგან დამზადებული/ ცხვარს გამოსახავდნენ ფერწერულ ტილოზე ბიბლიური ლეგენდის შესაბამისად მაცხოვარი ბატონით ხელში. ხშირადაა იკონოგრაფიულ ფრესკებზე და ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ჩუქურთმებზე, კერძოდ. ბაგრატის ტაძრის სვეტზე და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ცხვრის გამოსახვის ტრადიციებს საქართველოში თითქმის 4500 წლის ისტორია აქვს, კულტურისა და ღვთაებათა პანთეონი ამით არ შემოიფარგლება, რასაც ხელს უშლის ნივთიერ კულტურაში ნივთების არსებობა. ამდენად მოპოვებული მასალებიდან არ ხერხდება იმ ინფორმაციის სრულად ამოღება, როგორც ამ ნივთებშია განვითარებული.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები: თბ.1981 ტ.10
2. აჭარის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № 1482 № 13
3. დ. ხახუტაიშვილი „ქობულეთის ქვეყანა“ ბათუმი 1955
4. მცხეთა I ბ. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, მ. ლომთათიძე არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები თბ. 1955
5. ვანი – 5, არქეოლოგიური გათხრები, მეცნიერება თბ 1981
6. თ. ყაუხჩიშვილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“
7. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ.1960
8. ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II თბ. 1984.
9. ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხები.
10. ა. ახვლედიანი, საგმირო – საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი 1970
11. ა. ურუშაძე – ძველი კოლხეთი არგონავტების ცთქმულებაში თბ. 1964
12. სალუქვაძე – წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე თბ. 1987
13. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ №78 1977,1987
14. გაზეთი „კომუნისტი“ №206, 1984წ.

**NANA KORIDZE**




LEPL “Adjara Museum”

Adjarian Museum of Khariton Akhvlediani

Senior keeper (guard) of the museum funds

## FACTS REFLECTING THE SHEEP CULT FROM THE ADJARIAN MUSEUM

Late bronze and early Iron Age had a sheep cult along with other cultures in the coast line of south-west Georgia. Cult formation required a real basis. The sheep were actively present and seen in Georgian tribes in the second millennium BC. The proof of which are the cattle bones along with the sheep bones, buried in the ancient tombs as a “meal” for the deceased, found in various parts of Georgia. We may assume that the sheep at a time was a cult animal and was used as a mascot too.



მირიან სტიფანიანი

## მონღოლების სამხედრო ხელოვნება XIII–ს პირველ ნახევარში

ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს შექმნამ 1206 წ. მარტის თვეში უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ისტორიულ განვითარებაზე, დასაბამი დაუდო საუკუნეების მანძილზე მონღოლების მიერ პერმანენტული ომების წარმოებას, რომლის შედეგად მათ შექმნეს მსოფლიოს უდიდესი იმპერია, მისი ტერიტორია 33 მლნ. კმ<sup>2</sup> შეადგენდა, იმპერიის ფარგლებში მოექცა ათობით ქვეყანა ასობით მილიონი მოსახლეობით.

კაცობრიობის ისტორიაში ძნელია მოიძებნოს პერიოდი, მოვლენა, რომლის შესახებ არსებობდეს ესოდენ მრავალფეროვანი, ერთმანეთის შემსვლები და დამაზუსტებელი ისტორიული წყაროები, არტეფაქტები, მონოგრაფიები, ანალიტიკური ნაშრომები, სამეცნიერო პუბლიკაციები, როგორც ეს მონღოლების იმპერიის შემთხვევაში არის.

ზემოთ ხსენებული იმპერიის ისტორიის საკითხებს იკვლევდნენ გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები: ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ნ. კარამზინი, ს. სოლოვიევი, დ. ილოვაისკი, ვ. ბარტოლდი, თანამედროვე მეცნიერები: შ. მესხია, გენერალი ი. ჯორბენაძე გ. ანჩაბაძე, მ. გორელიკი, ჯ. სტეფანაძე, ქ. ჩხატარაშვილი და მრგ. სხვ.

ინტერესი საკვლევი საკითხისადმი სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს იმ ფონზე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მოიხსნა გარკვეული იდეოლოგიური ბარიერები, შეზღუდვები, რამაც გასაქნი მისცა ზემოთ ხსენებულ კვლევებს მონღოლეთში, ყაზახეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთში, აგრეთვე რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში: ბაშკორსტანში, თათარსტანში, ტუვაში, ბურიატიაში და ა.შ., სამხედრო ისტორიკოსების ინტენსიური კვლევის საგანი გახდა ის დასავლეთში, განსაკუთრებით უნგრეთში, პოლონეთში, აშშ, აგრეთვე ჩინეთსა და იაპონიაში, ხსენებულმა კვლევებმა ნათელი მოფინეს მრავალ პრობლემას, მიუხედავად ამისა უპასუხოთ რჩება მთელი რიგი თემები, მათ შორის უმთავრესია ერთი შეხედვით მარტივი საკითხი, რომელზედაც დღემდე არ არსებობს მეცნიერულად მყარად არგუმენტირებული პასუხი, თუ როგორ მოახერხეს მცირერიცხოვანმა მონღოლებმა დაეპყროთ შუა საუკუნეების ისეთი ზესახელმწიფოები, როგორც იყო ჩინეთი, ხვარაზმი, რუსეთი, ბალდადის სახალიფო, წარმატებით ელაშქრათ უნგრეთში, პოლონეთში, ამიერკავკასიაში და ა.შ. საუკუნეების მანძილზე ყოლოდათ ისინი დაპყრობილი, დაემყარებიათ მათზე ეფექტური კონტროლი, თავს მოეხვიათ ჩამოთვლილი ქვეყნებისათვის თავისი მმართველობის სისტემა (ადმინისტრაცია, საგადასახადო, საბაჟო, საკომუნიკაციო და სხვ.), დაეკისრებიათ მათთვის ხარკის გადახდა, მათ შორის განსაკუთრებით მძიმე სამხედრო ბეგარა, რაც გულისხმობდა დაპყრობით ომებში იძულებით მონაწილეობას ზემოთ დასმულ კითხვაზე ჩვენ არ გვექნება პასუხი, თუ არ მიმოვიხილავთ, მონღოლების მიერ ომის წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიას, რისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს საკვლევი პერიოდის მონღოლი მეომრების, ჯარების მომზადების დონის მოკლე მიმოხილვა, რომლის რეფორმირების და უმკაცრესი დისციპლინის დამყარების შედეგად ჩინგიზ ყაენმა შექმნა საუკეთესო სამხედრო მანქანა, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე შიშის ზარს ცემდა მთელ მსოფლიოს, მონღოლური საზოგადოება, საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა გასამხედროებული სახელმწიფო ორგანიზაციის სახით, რომლის თითქმის ყველა წარმომადგენელი იზრდებოდა მეომრად, როგორც კი ვაჟი სამი წლის გახდებოდა მას ჩუქნიდნენ მშვილდს, რომლის ზომა იზრდებოდა მისი ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობის ზრდის კვალად. თითოეული მონღოლი შესანიშნავი მშვილდოსანი იყო, მას რეფლექსის დონეზე

ჰქონდა გამომუშავებული მიზანში სროლის უნარი. აქ გვინდა მცირეოდენი ექსკურსი გავაკეთოთ მონლოლური მშვილდთან დაკავშირებით, ვინაიდან ის მონლოლების ძირითადი საბრძოლო იარაღი იყო, რომელსაც ისინი დიდ წილად უნდა უმადლოდნენ თავიანთი წარმატებებს. სწორედ XIII საუკუნის დასაწყისისათვის მონლოლურმა მშვილდმა მიაღწია სრულყოფილ სახეს, თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით ის მნიშვნელოვნად ჯობნიდა სხვა მომთაბარე ერების მშვილდს, ისე როგორც შუა საუკუნეებში საუკეთესოდ აღიარებულ ინგლისურ მშვილდს, რომელმაც დიდ წილად გადაწყვიტა ასწლიანი ომის ბედი. მოვიხმობთ მხოლოდ რამდენიმე მონაცემს: მონლოლური მშვილდი გაცილებით უფრო მცირე ზომისა იყო ვიდრე ინგლისური, მისი სიგრძე მერყეობდა 1,20მ -1.60 მ.. ფარგლებში, მაშინ როდესაც ინგლისური საშუალოდ ადამიანის სიმაღლეს უდრიდა ან აღემატებოდა მას 1,7 მ-2,1 მ. ინგლისელი მშვილდოსანს სროლა შეეძლო მხოლოდ ქვეითს, მაშინ, როდესაც მონლოლები ამხედრებული ისროდნენ, ინგლისური მშვილდის მიზანში ეფექტური სროლის მანძილი იყო 249 მ, მონლოლური მშვილდის ანალოგიური სროლის მანძილი თითქმის 100 მეტრით აღემატებოდა მას, ჩვეულებრივ მონლოლს მშვილდოსანს ჰქონდა ორი-სამი მშვილდი, ორი კაპარჭი, შორი და ახლო მანძილზე სროლისათვის განკუთვნილი ისრებისათვის, ოცდაათ-ოცდაათ ისრით, თითოეულ მშვილდოსანს ჰქონდა სხვადასხვა სახის მასალისაგან დამზადებული საბელი: ძუის, ძარღვების, აბრეშუმის, ტყავის, რომლებიც განკუთვნილი იყო საბრძოლო მოქმედების რეგიონის კლიმატური პირობებისათვის, ვინაიდან ის ზეგავლენას ახდენდა მათ თვისებებზე, ახლო მანძილისათვის განკუთვნილი მონლოლური ისრები ხვრეტდნენ, აზიანებდნენ ნებისმიერ თავდაცვით აღჭურვილობას, მონლოლების ზოგიერთი ისრის პირები თავიანთი კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე საზარელ ხმას გამოსცემდნენ, რითაც აფრთხობდნენ მონინალმდეგის ცხენებს (მათი ცხენები მიჩვეული იყო ამ ხმას). ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ თავად მშვილდის დამზადების ტექნოლოგიას, ეს იყო კომპოზიტური (შედგენილი) – მშვილდი, რომლის „მუცლის“ შიდა მხარეს ამოკრული ჰქონდა რქის ფირფიტები, ზედა პირზე ცხოველების ძარღვები ჰქონდა დაკრული, რაც უზრუნველყოფდა მის მაღალ დრეკადობას, მშვილდოსანს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ისრისპირის სალესი ქლიბი [1,149-155] მშვილდთან ერთად მონლოლების არსენალში შედიოდა კაუჭიანი შუბი, რომელსაც ისინი იყენებდნენ მონინალმდეგის ცხენიდან ჩამოსათრევად, აგრეთვე ხმლი, მსუბუქი ცული, ლახტი, მოკლე სატევარი, სპეციალურ ლიტერატურაში არის დადასტურებული შემთხვევები, როდესაც მონლოლი მეომრები, განსაკუთრებულად მსუბუქი კავალერიის მებრძოლები შეგნებულად ამბობდნენ უარს ხმალზე, თავდაცვით აღჭურვილობაზე, რათა მოძრაობის მეტი თავისუფლება ჰქონოდათ, როგორც სტეპების ბინადარი ისინი მშვენივრად ფლობდნენ ლასოს. მონლოლების თავდაცვითი აღჭურვილობაში შედიოდა მცირე ზომის ტყავგადაკრული, ნკნელისაგან მონნილი მცირე ზომის ფარი უმბონით ცენტრში (აღსანიშნავია, რომ მათ გააჩნდათ სხვადასხვა სახის ფარები, მაგალითათ საყარაულო სამსახურისა და ციხესიმაგრეებზე იერიშის მიტანისას მონლოლები სარგებლობდნენ დიდი ზომის ფარებით), მათ ჰქონდათ ტყავისა და ლითონისაგან დამზადებული მუზარადები, აბჯრები, მძიმედ აღჭურვილი იყო მხოლოდ ელიტალური მძიმე კავალერიას, რომელსაც მონლოლები ჩართავდნენ ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში, ეროვნულ საბრძოლო იარაღთან და აღჭურვილობასთან ერთად მონლოლები ეფექტურად იყენებდნენ დაპყრობილი ხალხების აღჭურვილობას, საბრძოლო ტექნიკას, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ჩინური სააღყო ტექნიკა: ლოდსარტყოცნები, კატაპულტები, ბალისტები, ცეცხლის გასაჩენი ხსნარები, დამზადებული ნავთობის, კირის, გვარჯილის და სხვ. შენაერთების შერევის საფუძველზე, რომლებსაც ფართო გავრცელება ჰქონდა ჩინელების საბრძოლო არსენალში. მონლოლების საბრძოლო უნარ-ჩვევების შესწავლის პროცესში უნდა შევეხოთ იმ გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც მათ უწევდა ცხოვრება, რაც გავლენას ახდენდა მათზე, როგორც ცნობილია მონლოლეთს ახასიათებს მკვეთრი

კონტინენტალური კლიმატი-მკაცრი ხანგრძლივი ცხრათვიანი ზამთარი, რომლის საშუალო ტემპერატურა – 26-35<sup>0</sup> უდრის, დღე-ღამის მანძილზე ტემპერატურული რეჟიმი ზაფხულშიც კი მკვეთრ ცვალებადობას განიცდის, დღისით სითბოა – ღამით სიცივე, ჟანგბადის უკმარისობა, ჩვეულებრივ მონლოლურ ოჯახს უწევდა ყოველდღიური ბრძოლა არსებობისათვის, რაც, რასაკვირველია აისახებოდა ერის ბუნებაზე.

მცდარია სტერეოტიპი თითქოს მონლოლებს უხვად ჰქონდათ ხორცი, ძირითადად ისინი იკვებებოდნენ რძით, რძის პროდუქტებით, საქონელს კლავდნენ შემოდგომაზე და იზოგავდნენ მთელი ზამთრის მანძილზე, მათი რაციონის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ნადირობა, რომელსაც მისდევდა ყველა მონლოლი.

პერიოდულად ყაენის მითითებით ეწყობოდა კოლექტიური ნადირობა, რომელშიც მონაწილეობას ლეზულობდა ათი ათასობით მეომარი. ყაენის მიერ განისაზღვრებოდა სავარაუდო ნადირობის არეალი, რომელიც ასობით კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, ცალკეულ საჯარისო ნაწილებს ეძლეოდათ მითითება დაეკავებიათ თავიანთი პასუხისგებლობის რაიონი და იწყებოდა გიგანტური წრის შიგნით ველური ცხოველების ალყაში მოქცევის ოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავად ყაენი, მას ყოველდღიურად ახსენებდნენ მდგომარეობა, ის იძლეოდა დავალებებს, მიუთითებდა ცალკეული შენაერთების მეთაურებს ნაკლოვანებებზე, შეცდომებზე, აკვირდებოდა სიტუაციას, ამონებდა როგორ იყო მოწყობილი საგუშაგოები, რომ ნადირს არ დაეღწია თავი ალყიდან, მას შემდეგ, რაც დასრულდებოდა სიღრმისეული შემოვლის ოპერაცია (ტულუგმა), იწყებოდა ალყის არეალის მეთოდური შევიწროება, რომელიც მრავალი დღეები, რიგ შემთხვევებში ორი-სამი თვე გრძელდებოდა, დიდ სირცხვილად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა ის მონადირე, ვისი დაუდევრობის ან შეცდომის გამო ნადირი დაიმალებოდა ან დააღწევდა თავს ალყას. ალყის დავიწროების დარად ყაენი იძლეოდა მითითებებს გაეძლიერებიათ ცალკეული საგუშაგოები. ნადირობის დასკვნით ეტაპზე ყაენი იწყებდა ვიწრო წრეში მოქცეული ნადირის ხოცვა-ჟლეტვას, როდესაც ის გულს იჯერებდა, ნადირობის უფლება ეძლეოდათ ყაენის კარისკაცებს, ნოინებს, ბაჰათურებს, მათ ცვლიდნენ ჩვეულებრივი მეომრები. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ნადირობის ბოლოს უხუცესები ან ყაენის შვილიშვილები თხოვნით მიმართავდნენ ყაენს შეენყალებია ნადირი და გადაერჩინა ისინი სრული განადგურებისაგან. ყაენის ნადირობის ასეთი დეტალური აღწერილობით ჩვენ ხაზი გვინდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ყაენის ნადირობა თავისი შინაარსით, მისი წარმოების მეთოდებით სამხედრო სწავლების სრულ ანალოგს წარმოადგენდა: დეტალური დაგეგმვა, მისი განხორციელების უმკაცრესი მონიტორინგი, ნადირობის მსვლელობის რეგულარული ანალიზი, სამხედრო შენაერთების ერთობლივი მოქმედების მართვის ავტომატიზმამდე მიყვანა, რომელიც ხორციელდებოდა, როგორც ნიშნების, დროშების, შტანდარტების, მუსიკალური საკრავებისა, ფერადი ისრების, ისე ცეცხლისა და შიკრიკების ქვეგანაყოფების იდეალურად აწყობილი მოქმედებების საშუალებით. ერთი სიტყვით, მონლოლები მშვიდობიან დროსაც კი მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ და ნადირობის საშუალებით სავსე სწავლების პროცესში ხვენდნენ თავიანთ საბრძოლო სტრატეგიასა და ტაქტიკას. [2,145]

თითველ მეომარს ნადირობის, ლაშქრობის დროს გააჩნდა სურსათის აუცილებელი მარაგი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე უზრუნველყოფდა მას საკვებით. მარაგი შედგებოდა გამხმარი ხაჭოს ბურთულების, ხორცის ფქვილის, აგრეთვე გამშრალი ხორცის ნაჭრებისაგან, ისინი აგრეთვე მოიხმარდნენ ცხენის რძეს, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მონლოლები გადაუხსნიდნენ ცხენს კისრის ძარღვს და სვამდნენ მის სისხლს, რის შემდგომ გაუკერავდნენ მას ჭრილობას.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მონლოლები მიჩვეული იყვნენ მძიმე შრომას, სურსათ-სანოვავის ნაკლებობას. მომთაბარე ცხოვრებას, მუდმივ განსაცდელს, თავდასხმებს, რაც, ცხადია აწრთობდა

მათ ხასიათს ხელს, ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. ყველა წყარო, თვითმხილველი, მოკავშირე, მტერი ერთხმად აღნიშნავენ მონღოლების გადაადგილების გასაოცარ სისწრაფეს, რასაც თავისი მრავალი მიზეზი ჰქონდა: მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე მონღოლების ჯარი შედგებოდა მხოლოდ კავალერიისაგან, რომელსაც არ გააჩნდა ბარგი, მნიშვნელოვანია, რომ მონღოლების ჯარი, სხვებისაგან განსხვავებით გადაადგილდებოდა ფართო ფრონტით ცალკე განანილებული შენაერთების სახით, რაც უზრუნველყოფდა მათ მიერ არჩეული მარშრუტების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას, ცხადია სამხედრო მკვლევარები შემოგვედავებიან, რომ ეს მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი უნდა ყოფილიყო მათთვის, მაგრამ მონღოლებს ისე ჰქონდათ აწყობილი შეტყობინებების სისტემა, საგუშაგოების მოქმედება, რომელიც გამორიცხავდა ასეთ ალბათობას. მონღოლები ლაშქრობისას ხელმძღვანელობდნენ პრინციპით გადავადგილდებით ცალ-ცალკე ვიბრძვით ერთად. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია, რომ მათი მონინავე ნაწილები ერთი-ორი დღის გადასავალით იყვნენ დანიანურებული და აკვირდებოდნენ მონინალმდეგეების გადაადგილებას და ოპერატიულად ატყობინებდნენ თავიანთ სარდლობას მტრის მოძრაობის თაობაზე, ჩვეულებრივ ისინი მოძრაობდნენ 40-60 კმ სიჩქარით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში უპრობლემოდ შეეძლოთ შეესრულებიათ 100 კმ მარში დღე-ღამეში, დადგენილია, რომ მონღოლები ერთთვისან ლაშქრობაში გადაადგილდებოდნენ 1800 კმ მანძილზე, თან უნდა დავაზუსტოთ, რომ როგორც წესი, ასეთ მარშებს თან სდევდა გააფრთებული ბრძოლები მონინალმდეგესთან.

ხანგრძლივი ლაშქრობის დროს შინაგანი ორგანოების დაზიანებისა და ტვინის შერყევის თავიდან აცილების მიზნით მონღოლები ქსოვილებით მჭიდროდ იკრავდნენ სხეულს, თავს. მონღოლი მეომრის საბრძოლო მომზადების, მისი უნარ-ჩვევების ზოგადი აღწერის ბოლოს შევნიშნავთ რომ, ეს საკითხი გაცილებით უფრო ვრცელ, სიღრმისეულ შესწავლას იმსახურებს მომავალში.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით აგრეთვე შევხვით საკვლევი პერიოდის მონღოლის მსოფლმხედველობის თემას. ჩინგიზ ყაენმა მოახერხა მთელი ერისათვის შთაეგონებია მსოფლიო ბატონობის იდეა, რაც უიოლებდა მას გაემართლებია გაუთავებელი ომების საჭიროება, როგორც წესი ომის დაწყებას წინ უძღვის იდეოლოგიური ბრძოლა, მტრის ხატის შექმნა, რისთვისაც გამოიყენება მრავალი ხერხი, მიზეზი, საბაბი: მაგ. სარწმუნოებრივი მომენტი-ჭეშმარიტი რელიგიის გავრცელება ან ურწმუნოებისაგან წმინდა ადგილების განთავისუფლება (ჯვაროსნული ომები), ტერიტორიული პრეტენზიები, შურისძიება წარსულში მიყენებული ზიანისათვის, რის ქრესტომატიულ მაგალითს წარმოადგენს ალექსანდრე დიდის შეჭრა სპარსეთში, რომლის ძირითად დეკლარირებულ მიზეზად ის ასახელებდა საუკუნე ნახევრის წინ ქსერქსეს ლაშქრობას საბერძნეთში, მუსლიმების ჩაგვრა-შევიწროებას აცხადებდა ჯალალაედინი საქართველოს წინაღმდეგ დაწყებული ომის მთავარ მოტივად. ასეთი მაგალითებით გაჯერებულია ნებისმიერი ისტორიული ეპოქა, როდესაც საბაბის, მიზეზის, სამართლიანი პრეტენზიის მოშველიება ვერ ხერხდებოდა, მას ელემენტარულად იგონებდნენ ან ქმნიდნენ. მონღოლების იმპერატორებისათვის არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა მიემართათ ანალოგიური მეთოდებისათვის, ვინაიდან მათი ქვეშევრდომები ერთნაირი სისატიკით, მონდომებით და დაუნდობლობით იბრძოდნენ, როგორც ახლო მეზობელი ჩინელების, ხვარაზმელების, ირანელების ისე იმ ერების წინაღმდეგ რომლებთანაც საერთოდ არანაირი შეხება არ ჰქონიათ: ქართველებთან, სომხებთან, გერმანელებთან, პოლონელებთან, ხორვატებთან, უნგრელებთან და ა.შ.) მონღოლების სამხედრო მომზადების ზოგადი მიმოხილვა ერთგვარ წინა პირობას წარმოადგენს მათი სტრატეგიის, ტაქტიკის შესწავლის პროცესში. ის ეფუძნებოდა ცენტრალური აზიაში მცხოვრები მომთაბარე ტომების ათასწლოვან გამოცდილებას, იხვეწებოდა გაუთავებელ შიდა და გარეშე მტერთან ომებში და პრინციპულად განსხვავდებოდა ევროპის, აზიის, აფრიკის ხალხების სტრატეგიისაგან, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მათი საომარი მოქმედების ძირითად პრინციპს წარმოადგენდა ბრძოლის საწყის ეტაპზე, მონინალმდეგისათვის მაქსიმალური ზიანის მიყენება შორი მანძილიდან, როდესაც მათი მსუბუქი კავალერიის მეომრები ისრების სეტყვას დააყრიდნენ მონინალმდეგეს, ისრების მარაგის გამოცლის შემდგომ ჯარის უკანა რიგებიდან გამოდიოდნენ მშვილდოსნების ახალი გუნდები და აგრძელებდნენ დანყებულ იერიშს. ჩინგიზ ყაენი ბრძოლის ამ ხერხს „მეცხრე ტალღის იერიშს უწოდებდა“, საინტერესოა რომ ეს მშვილდოსნები წრეზე მოძრაობდნენ და ისე ისვროდნენ მონინალმდეგის მიმართულებით, რომ თავიდან აეცილებიათ დანაკარგი თავიანთ რიგებში. თუ მონინალმდეგის რიგები აირეოდა, მას მოიცავდა პანიკა, მაშინ იერიშზე გადადიოდა მონლოლების მძიმე კავალერია თუ მტრის ლაშქარი მედგრად იბრძოდა, გაუძლებდა მშვილდოსნების იერიშებს, მაშინ მონლოლების ერთ-ერთი საყვარელი სამხედრო ხერხი იყო ბრძოლის ველიდან მოჩვენებითი გაქცევის იმიტაციის ტაქტიკა, მტრის პოზიციებიდან მათთვის ხელსაყრელ ადგილზე გამოტყუების მიზნით, სადაც, მათ ჩასაფრებული ყავდათ თავიანთი დამატებითი ძალები და მდევრები ფლანგებიდან ხვდებოდნენ დარტყმის ქვეშ ხოლო გაქცეული მონლოლები კონტრიერიშზე გადმოდიოდნენ, მონლოლების სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ხერხად ითვლება მათ მიერ მონინალმდეგის ფლანგების შორი მანძილიდან შემოვლის ტაქტიკა ზემოთ ნახსენები ფლანგების შემოვლის ხერხის-ტუგულმის გამოყენებით, მონინალმდეგის ზურგში შემდგომი სიღრმისეული გამოსვლის მიზნით, რაც საშუალებას აძლევდათ მათ ალყაში მოექციათ მტერი. თუ ალყაშემორტყმული ჯარები მედგრად იბრძოდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ მონლოლებს, მაშინ ისინი საშუალებას აძლევდნენ მათ თავი დაეხნათ ალყისათვის, რათა დევნის დროს გაენადგურებიათ ისინი [3,146]. მონლოლების საბრძოლო წყობასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ მის ამოსავალ წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ ძალების არათანაბარი განლაგების უძველესი პრინციპი, რომელიც გულისხმობს შედარებით სუსტი ცენტრისა და ძლიერი ფლანგების არსებობას, რომელიც მონინალმდეგეს მუდმივად უქმნიან ფლანგებიდან იერიშის და ალყაში მოქცევის საფრთხეს, შედარებით მცირერიცხოვანი ჯარის მიერ ძლიერი მონინალმდეგის სრული განადგურების მაღალაღბათობას, რის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ჰანიბალის მიერ ძვ.წ. 216 ქ.კანთან. რომაელების ჯარის დამარცხება.

მონლოლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული რაოდენ მნიშვნელოვანია მონინალმდეგის წინამძღოლების განადგურება. მონლოლების სამხედრო სტრატეგიის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა საპირისპირო მხარის მეფეების, მხედართმთავრების დევნა მათი ფიზიკური განადგურების მიზნით. ისინი ძალ-ღობეს არ იშურებდნენ ამისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ხვარაზმშახის მუხამედ II-ის, მისი ვაჟის ჯალალადინის, უნგრეთის მეფის ბელა IV, საქართველოს მეფის ლამაგორგის შემთხვევაში, როდესაც ის მძიმედ დაჭრეს საგიმის ბრძოლის დროს 1221 წელს, 1241 წლის 9 აპრილს ლეგენცის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ თავი მოკვეთეს, შუბზე დაასვეს და ისე მიიტანეს ქალაქ ლეგენცის კარებთან სილეზიის მეფის, კრაკოვისა და დიდი პოლონეთის მთავარის ჰაინრიხ II ხვთისმოსავის თავი [4,557], სიკვდილით დასაჯეს 1258 წელს ბალდადის ხალიფა ქალაქის დაცემის შემდგომ მათთვის წინალმდეგობის, დაუმორჩილებლობის განწევის გამო, მონლოლების განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ მხედართმთავრების უსაფრთხოებას, რომლებიც სხვებისაგან განსხვავებით შორიდან აკვირდებოდნენ ბრძოლის მსვლელობას, რაც მათ პრაგმატიზმზე მეტყველებს.

ჩინგიზ ყაენის, დიდი რეფორმატორის, გენიალური მხედართმთავრის მოქმედებები ჩვეულებრივი მოკვდავის თვალთ დანახული საღ აზრს ეწინააღმდეგება მხედველობაში გვაქვს ომის დანყება ჩინეთთან 1211 წელს, რომელიც თავისი ადამიანური რესურსებით, ეკონომიკით, კომუნიკაციებით, ინფრასტრუქტურით, სამხედრო პოტენციალით, გრანდიოზული თავდაცვითი ნაგებობებით, ტექნოლოგიებით და სხვ. მრავალჯერ აღემატებოდა მის ძალებს, იმ ფონზე, როდესაც პარალელურად

ჩინგიზ ყაენი ეწეოდა საომარ მოქმედებას ციმბირის ძირითადი ტომების: ბურიატების, ენისეის ყირგიზების, იაკუტების და სხვ. წინააღმდეგ რომელიც წარმატებით დაასრულა იმავე წელს,

1211 წელს ჩრდილოეთ ჩინეთში წარმატებული ლაშქრობის შემდგომ ყაენი დაბრუნდა სამშობლოში, მომდევნო წლებში განახლებული სამხედრო მოქმედებების შედეგად მან 1215 წელს აიღო პეკინი, თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩრდ. ჩინეთი, 1215-1218 წწ მონღოლებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს და ხვარაზმთან გაიყვეს ყარა-კიდანების სახელმწიფო, რის შედეგად ჩინგიზ ყაენის იმპერია უშუალოდ გაუმეზობლდა შუა საუკუნეების აღმოსავლეთის უდიდეს სახელმწიფოს. ხვარაზმისათვის, როგორც ეს შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა საბედისწერო შედეგებით დასრულდა. ჩინგიზ ყაენისათვის მსტოვრებისა და მზვერავების საშუალებით სულ მალე ნათელი გახდა, როგორ ეფემერულ სახელმწიფო წარმონაქმნთან ჰქონდა საქმე ხვარაზმის სახით. მას სრულებითათ არ აფრთხობდა ახალი მეზობლის მოჩვენებითი ძლიერება, უზარმაზარი ტერიტორია, რომელშიც შედიოდა თითქმის მთელი შუა აზია, ავღანეთი, სპარსეთი, რომლის მოსახლეობა 15-20 მლნ. ადამიანს აღემატებოდა, გააჩნდა ოთხასი ათასიანი არმია. გენიალურმა მხედართმთავარმა სრულებით სამართლიანად ჩათვალა, რომ გარეგნული ძლევამოსილების მიღმა იმალებოდა სუსტი, ძალით შეკონინებული სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელსაც ის შეძლებდა იოლად დაეპყრო [5,122]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თავად ხვარაზმმახსაც ჰქონდა გათვითცნობიერებული მონღოლების უპირატესობა და მონღოლებთან 1218 წელს პირველი შეტაკების შემდგომ მან აღნიშნა, რომ არ შეხვედრია უკეთ მებრძოლი ჯარი. სიტუაციის დეტალური გაანალიზების შემდგომ ყაენმა აღარ დააყოვნა და შეუდგა გეგმაზომიერ მოქმედებებს მუჰამედ II-ს წინააღმდეგ.

სულთნის კონფლიქტში ჩათრევის მიზნით ის ძალიან ოსტატურად იყენებდა დიპლომატიურ ხერხებს, მან ჯერ კიდევ 1215 წ. დადო მუჰამედ II-თან, სავაჭრო ხელშეკრულება, შემდგომ თითქოსდა ურთიერთობის გაღრმავების მიზნით ყაენმა გაუგზავნა ფორმალურად კონსტრუქციული, მაგრამ შინაარსობრივად მაპროვოცირებელი წერილი, რომელშიც ის თავაზობდა დაემყარებია ხვარაზმმაჰთან კეთილმეზობლური, მამაშვილური ურთიერთობა, რაც ფაქტობრივად ყმადნაფიცობის მოთხოვნას ტოლფასი იყო და რაც სრულიად მიუღებელი გახლდათ კაცისათვის, რომელიც ალექსანდრე მაკედონელობას, მეორე „ისქანდერობას“ იჩემებდა.

ხვარაზმმაჰი იმთავითვე იყო განწირული მარცხისათვის. ჩინგიზ ყაენი ბევრად უფრო გამოცდილი, წინდახედული სახელმწიფ მოღვაწე იყო ვიდრე ხვარაზმმაჰი, თანაც მას ზურგს უმაგრებდა მსოფლიოში საუკეთესო, მრავალ ომებში გამობრძმენდილი ჯარი. ზემოთხსენებულ წერილი მან გამოატანა თავის დიდ ელჩობას, რომელსაც თან გამაყოლა უზარმაზარი ძვირფასი ჩინური საქონლით დატვირთული 500 აქლემებისაგან შემდგარი ქარავანი, რომელიც 1219 წ. მივიდა სასაზღვრო ქალაქ ოტარში, რომლის უჩულოუკი (მმართველი) სულთნის ნათესავი გაიირ ხანი იყო, რომელიც იოლად გაება ყაენის დაგებულ მახეში, შევიდა კონფლიქტში ელჩებთან, ბრძანა მათი მოკვლა, ქარავანის გაძარცვა. თავისი წინდაუხედავი მოქმედებით მან და მის ზურგს უკან მდგომმა ხვარაზმმაჰმა დიდი შეცდომა დაუშვა, ჩინგიზ ყაენს საშუალება მიეცა ულტიმატიურ ფორმაში მეორე ელჩობის პირით მოეთხოვა მისთვის გაიირ ხანის გადაცემა. სულთანმა არც ეს მოთხოვნა შეასრულა და მეორე ელჩობის ერთი წვერი მისი მითითებით მოკლეს, ხოლო ელჩობის სხვა წვერებისათვის ბრძანა წვერი მოეპარსათ შეურაცყოფის მიყენებუს მიზნით.

განრისხებულმა ყაენმა სულთანს შეუთვალა რაკი ირჩევ ომს, დაე იყოს ომი. მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს მხედართავერული ნიჭის გამოვლინების, ისეთი მაგალითი, როგორსაც ამ ომში ჰქონდა ადგილი, როდესაც რიცხობრივად მრავალჯერ ნაკლებმა მონღოლურმა ჯარმა დროის მცირე მონაკვეთში დაამარცხა მონწილამდევე მხარე. ჩინგიზ ყაენმა მტრის ყურადღების გადატანის მიზნით სამი კოლონა გააგზავნა ხვარაზმის საზღვრის მიმართულებით, რითაც აიძულა მუჰამედ



II გაენაწილება თავისი ოთხასიათას კაციანი ჯარი მდ.ამურდარისა წყალგამყოფი საზღვრის გასწვრივ, რითაც მნიშვნელოვნად დასუსტა ხვარაზმელთა პოზიციები.

ჩინგიზ ყაენმა ძირითადი ძალებით ყიზილყუმის უდაბნოს გზით, რომელიც გადაულახავ ბუნებრივ დაბრკოლებად იყო მიჩნეული და საიდანაც ხვარაზმელები არანაირ საფრთხეს არ ელოდნენ განახორციელა სწრაფი 500 კილომეტრიანი მარში და შეიჭრა ხვარაზმის ცენტრალურ რაიონებში. შექმნილ სიტუაციაში ხვარაზმმა ვერ გაბედა გაემართა მისთვის გენერალური ბრძოლა და ბრძანა ჯარები გადანაწილებულიყო ქვეყნის უმსხვილესი ქალაქების დასაცავად. მას მიაჩნდა რომ გრანდიოზული ფორტიფიკაციული ნაგებობებით შემოვლებული აღმოსავლეთის უდიდესი მეგაპოლისების: ურგენჩის, სამარყანდის, ბუხარის. ჰერატის, მერვის ალებას მონღოლები ვერ შეძლებდნენ, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ მან სათანადო სააღყო მანქანები და ქალაქების ალების გამოცდილება, მუჰამედ II ვერ გათვალა, რომ ხვარაზმში შეჭრილი მონღოლები, განსხვავებით ათიოდე წლის წინათ ჩინეთში შეჭრილ მონღოლებისაგან. ისინი სრულყოფილად დაეუფლენ ჩინელების სააღყო ტექნიკას, ტექნოლოგიებს და უნარი შესწავლათ ნებსმიერი ციხე სიმაგრე აელოთ.

მოვიშველებით ერთ მაგალითს ხორასანის მთავარი ქალაქის მერვის ალების დროს მონღოლებმა ქალაქის კედლებთან თავი მოუყარეს ჩინელი ინჟინრების მიერ შექმნილ 3000 ლოდსატყორცს და ბალისტას, 300 კატაპულტას, ჭურვსატყორცნი 700 მანქანას, მასობრივად იყენებდნენ ნაღმებს, არბალეტებს, ისრის საფრქვევ მანქანებს, დენთის რაკეტებს, მათი ეფექტური გამოყენების საშუალებით მათ ერთი მეორის მიყოლებით მონღოლებმა აიღეს ხვარაზმის უდიდესი ქალაქები, რომლებიც თვეების მანძილზე ებრძოდნენ მტერს. გაანადგურეს ასობით ათასი მათი მცხოვრებნი, მონღოლეთში ტყვედ წაასხეს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ძირითადად ხელოსნები, საგულისხმოა რომ შუა აზიასა და ირანში დღემდე არის შემორჩენილი მონღოლების მიერ გადამწვარი ქალაქების ნანგრევები, რომლებშიც აღარასოდეს განახლებულა ცხოვრება. მონღოლებს ჯერ არ ჰქონდათ დამთავრებული ხვარაზმი დაპყრობა, რომ ხვარაზმმა ვერ გაერიდა ყაენთან ბრძოლას და თავს გაქცევით უშველა, ბრძოლას სათავეში ჩაუდგა სულთნის ვაჟი ჯალაედინი, რომელიც გააფთრებულ წინაღმდეგობას უწევდა მათ, სულთნის ვაჟთან ომთან ერთად ხვარაზმიდან გაქცეულ სულთან მუჰამედს დაადევნა თავისი სარდლები ჯებე და სუბუდაი, რომლებიც დევნის განხორციელებისას პირველად შემოიჭრენ ამიერკავკასიაში, სამ ბრძოლაში დაამარცხეს ქართული ჯარი, რის თაობაზე დეტალურად ვისაუბრებთ ოდნავ მოგვიანებით, დარუბანდის კარით გადავიდნენ სამხრეთ რუსეთში, სადაც მდინარე კალკაზე (თანამედროვე დონეცკის ოლქში) სასტიკად დაამარცხეს რუსულ-ყივჩაღური კოალიციური ჯარი 1223 წ. რის შემდგომ შემოუარეს აზოვის ზღვას და ამ გზით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ მონღოლების მიერ პერმანენტულად წარმოებულ წარმატებული ომების მხოლოდ მცირედი ნაწილი, მაგრამ ისინიც ბადებენ კითხვას რამდენად პრაგმატულია ერთდროულად მრავალი მიმართულებით საომარი მოქმედებების წარმოება, სამხედრო თეატრის სულ უფრო გაფართოება, მეტი მტერის და მონინაღმდეგის გაჩენა. ისტორიამ არ იცის მეორე შემთხვევა, როდესაც ერთ ერს ერთდროულად ეომოს ამდენი ქვეყნის წინაღმდეგდა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეს არ იწვევდეს ქვეყნის ეკონომიკის, მისი ადამიანური, სამხედრო რესურსების განადგურებას.

მკვლევარების დიდი ნაწილი ამას ჩინგიზ ყაენის სამხედრო გენიას მიაწერს, რაც ჩვენი აზრით მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მივიჩნიოთ მართებულად, ვინაიდან მისი გარდაცვალების შემდგომაც (1227 წ.) მონღოლები აგრძელებდნენ ომებს, რომლის შედეგად სრულად დაიპყრეს ჩინეთი (უპრეცედენტო შემთხვევა ამ ქვეყნის ისტორიაში), არც მონღოლებამდე და არც მათ მერე ასეთი ფაქტი აღარ გამოიხატებულა, დაარსეს აქ იუანების დინასტია, დაიპყრეს რუსეთი, ილაშქრეს დასავლეთ ევროპაში, სადაც დაამარცხეს უნგრეთის, პოლონეთის, გერმანიის, ხორვატიის, სლო-

ვენის ჯარები, მანამდე გაანადგურეს ვოლგის ბულგარელების და ყივჩაღების სახელმწიფოები, დასავლეთის ლაშქრობის პარალელურად დაიპყრეს ამიერკავკასია, სპარსეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები და ეს ხდებოდა საკმაოდ მცირერიცხოვანი ოპერატიულ-ტაქტიკური სამხედრო შენაერთების საშუალებით, რომლებიც, ერთი-ორი დუმენისაგან (10-20 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა), დუმენი ყოველთვის როდი იყო სრულად შეესებულ და მასში გაერთიანებული მხედრების რაოდენობა შეესაბებოდა მის სახელს მაგალითად ჯებე და სუბუდაის შენაერთი ქართული ისტორიული წყაროების – ჟამთააღმწერლის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების თანახმად ორი დუმენისაგან შედგებოდა, მაგრამ მხოლოდ 12 ათას ცხენოსანს ითვლიდა. [6.198] ვფიქრობთ, რომ მონღოლებმა შექმნეს თავისი ეპოქის ისეთი სრულყოფილი სამხედრო ორგანიზაცია, რომელშიც მათ ამავე დროის მოახერხეს ჩინური სამხედრო ტექნიკის, ტექნოლოგიების, სტრატეგიის, ტაქტიკის სრული ინტეგრირება, რამაც უზრუნველყო მონღოლების ისეთი დონის უპირატესობის მიღწევა, რომელის წინააღმდეგ დაუცველი აღმოჩნდა ფეოდალური ხანის საზოგადოება.

ზემოთ ნახსენები ოპერატიული შენაერთების ლაშქრობას წინ უძღოდა სამოქმედო გეგმის ყაენის და უმაღლესი მხედართმთავრების მიერ ყურულთაზე განხილვა, კორექტირება, დამტკიცება, რის შემდგომ მხედართმთავარი მოქმედების თითქმის სრულ თავისუფლებას ღებულობდა. იშვიათ შემთხვევაში, საბრძოლო ამოცანების სირთულიდან გამომდინარე თუ კი სამხედრო კამპანიის პირობები ამას მოითხოვდნენ ამა თუ იმ ქვეყანაში შეჭრილი საჯარისო შენაერთების რაოდენობა სამ-ოთხ დუმენამდე გაზრდილიყო.

მცირერიცხოვანი ოპერატიულ ტაქტიკური შენაერთების გამოყენების პრაქტიკა მონღოლების იმპერატორს საშუალებას აძლევდა პარალელურ რეჟიმში ეწარმოებია საომარი მოქმედებები ოთხი-ხუთი ან მეტი მიმართულებით.

ოპონენტები შემოგვედავებიან და მოიშველიებენ უამრავ ისტორიულ წყაროს სადაც მითითებულია, რომ მონღოლების ჯარების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში ლაშქრობის დროს აღემატებოდა ორასიდან ექვსასიათას მხედარს. ეს ცნობები ბოლო დრომდე მიჩნეული იყო უტყუარ ისტორიულ ჭეშმარიტებად. მოვიხმობთ მხოლოდ რამდენიმე ასეთ ცნობას რუსეთში და დასავლეთის დიდ ლაშქრობაში მონაწილეების რაოდენობის შესახებ გამოჩენილი რუსი მკვლევარები ნ. კარამზინი, ს. სოლოვიევი, დ. ილოვაისკი და მრვ. სხვ. მიიჩნევდნენ, რომ მასში მონაწილეობდა ექვსასი ათასი მხედარი [7.55-73], ეს მოსაზრება გაზიარებულია XIX-XX სს გერმანულ ისტორიოგრაფიაში, აქ ჩვენ ცხადია არ ვგულისხმობთ გამოჩენილ გერმანულ სამხედრო ისტორიკოს ჰანს დელბრიუქს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ეჭვქვეშ დააყენა ისტორიული წყაროების ცნობების სანდოობის საკითხი, დარწმუნებული ვართ რომ ისტორიულ წყაროებში გაზვიადებულია ხვარაზმში, დასავლეთის დიდ ლაშქრობაში და საერთოდ თითქმის ყველა ომში მონაწილე მონღოლი მეომრების რიცხვი.

ჩვენ ცხადია სრულად გვაქვს გათვითცნობიერებული პასუხისგებლობა, როდესაც ეჭვქვეშ ვაყენებთ გამოჩენილი მკვლევარების მოსაზრებებს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საკლევ საკითხთან დაკავშირებული წყაროების ცნობების ანალიზის მეთოდები მნიშვნელოვნად მოძველდა, ველარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, საჭიროებენ ახალ მიდგომებს, მულტიმედიატექნოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებას. სტატისტიკა ჯიუტი რამ არის დაუშვან, რომ მართებულია ცნობა, რომ რუსეთში შეჭრილი მონღოლების რაოდენობა შეადგენდა ექვსასიათას მებრძოლს, საშუალოდ ერთ მომთაბარე მხედარს, ვხელმძღვანელობთ ზოგადად ყველა მომთაბარე ტომებში დამკვიდრებულ პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა ჰყოლოდა სულ მცირე სამი და მეტი ცხენი საბრძოლო, სალაშქრო, სატვირთო, სათადარიგო და ა.შ. ეს საუბარი გვაქვს რიგით მონღოლ მეომარზე, გაცილებით მეტი ცხენის ყოლის უფლება ჰქონდა მეთაურებს. ამის თაობაზე არსებობს უამრავი ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ცნობები. მარტივი მათემატიკური გამოთვლით

მონლოლებს ზემოთ დასახელებულ ლაშრობაში უნდა ყოლოდათ სულ მცირე მილიონ რვაასი ათასი ცხენი, მაშინ როდესაც გეოეკოლოგიების მიერ გამოთვლილია, რომ საკვლევი პერიოდის მონლოლეთში ცხენების საერთო რაოდენობა შეადგენდა მაქსიმუმ 1,4 მლნ ცხენს, რასაც განსაზღვრავდა სხვადასხვა ფაქტორები-კლიმატური პირობები, საძოვრები, წყლის მარაგი, საქონლის, მათ შორის ცხენების დავადებებით გამონვეული ჯოგების მკვეთრი შემცირების პერიოდული ციკლები, რასაც ადგილი ჰქონდა ყოველ თორმეტ წელიწადში ერთხელ მაინც და სხვ.) ცხადია არსებობდა უამრავი სხვა დაბრკოლებები, რომლებიც ზღუდავდნენ ჯარის შევსებას, უფრო მეტიც საერთოდ ბუნებაში არ არსებობდა ამდენი ბრძოლისუარიანი მონლოლი მამაკაცი შეუძლებელი იყო ამ ოდენობის ცხენების გამოკვება, სულ მცირე ცხენი მხოლოდ საკვებად საჭიროებს 6 კგ. თივას, 40-70 ლ. წყალს,

ბათო ყაენის ჯარის რაოდენობად, რომ ავილოთ მინიმალური რიცხვი ოცდაათი ათასი მხედარი, მისთვის საჭირო იქნებოდა სულ მცირე ასი ათასი ცხენის ყოლა, რომლის გამოსაკვებად დღე-ღამეში 1,8 ათასი ტონა თივის მოპოვება იქნებოდა საჭირო, რაც ურთულესი სახის პრობლემა იქნებოდა (ბათო ყაენი რუსეთში ზამთარში შეიჭრა, როდესაც მოსახლეობას თივის მარაგის მნშვნელოვანი ნაწილი გახარჯული ჰქონდა, აღარაფერს ვამბობთ თავად ჯარის სურსათით მომარაგების თაობაზე. ბუნებრივია არსებობდა უამრავი სხვა ფაქტორები, რომლებიც ზღუდავდა ჯარის რაოდენობას გზების გამტარუნარიანობა, კოლონების სიგრძე, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ფინანსური უზრუნველყოფა და ა.შ.

რა ასაზრდოებდა წყაროებში მცდარი, გაზვიადებული ცნობების ასახვას? ერთი, რომ, როგორც წესი ეს წყაროები იქმნებოდა მომხდარი მოვლენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, თავად წყაროების შემდგენლები უშუალოდ არ მონაწილეობდნენ აღწერილ საომარ მოქმედებებში, ხოლო ისინი ვინც მონაწილეობდა ადექვატურად ვერ აფასებდა მხარეთა ძალებს, ეს ეხება პროფესიონალ სამხედროებსაც კი, ჰ. დეკბრიუკი შენიშნავს, რომ ათიათასკაციანი კორპუსის სიგრძე მარშის შესრულების დროს გადაჭიმულია მრავალი კილომეტრზე, ადამიანის ფსიქიკა ისე არის მონყობილი, რომ მტრის ჯარების უწყვეტ ნაკადზე დაკვირვების გარკვეული დროის შემდგომ მას ერევა სათვალავი, აქ აგრეთვე გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, როდენ ღიმილისმომგვრელიც არ უნდა ჩანდეს ეს გაზვიადება ხელს აწყობს ყველა მონაწილე მხარეს და მათ აპოლოგეტებს. გამარჯვების თუ დამარცხების შემთხვევაში. ყველაზე ობიექტური და მიუკერძოებელი მემატანის, ქრონისტის, მემუარისტისათვის ძნელად მისაღებია, რომ მცირერიცხოვანმა მონლოლურმა ჯარმა დაამარცხა უძლიერესი სახელმწიფოები, ხშირად სხვადასხვა იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხდება რეალურად მომხდარი მოვლენების შეგნებული თუ გაუთვინციობიერებული ფალსიფიკაცია. ვუბრუნდებით რა მონლოლების სტრატეგიის საკითხს გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვეულების ომი დაკავშირებულია კოლოსალურ ფინანსურ ხარჯებთან, ეკონომიკის რეგრესთან, საზოგადოების ყველაზე შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი ნაწილის შემცირებასა, თუ მთელი თაობების განადგურებასთან, მითუმეტეს ხანგრძლივი ომის პირობებში. ხსენებული სირთულეების ჩინგიზ ყაენმა მსგავსად მრავალი სხვა დიდი მხედართმთავარების: ალექსანდრე დიდის, იულიუს კეისარის და სხვ. ხელმძღვანელობდნენ პრინციპით ომმა თავად უნდა ირჩინოს თავი. ომის მთელი ტვირთი გადაქონდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მხრებზე, ყოველი ახლად დაპყრობილი ქვეყანის ფინანსებს, ეკონომიკურ, მატერიალურ რესურსებს სამხედრო არსენალს, ცოცხალ ძალას (წყაროებში გვხვდება მრავალი ცნობა მონლოლების დაპყრობით ომებში ქართული, სომხური, რუსული, ჩინური და სხვ. ეროვნების ჯარების მონაწილეობის თაობაზე).

ჩინგიზ ყაენი, მისი შთამომავლები ინტენსიურად იყენებდნენ მომდევნო ქვეყნის დასამორჩილებლად უკვე დაპყრობილი ქვეყნის რესურსებს, აღსანიშნავია, რომ ყაენი, მისი გარემოცვა, სავლელ მეთაურები მაქსიმალურად ცდილობდნენ თავი აერიდებიათ დანაკარგისათვის თავიანთ რიგებში ან

მოხედინათ მისი მინიმიზება. გაუთავებელი ომებით გამოწვეული უსიამოვნებების კომპენსირებას ყაენი ახერხებდა კოლოსალური სამხედრო ნადავლის სამშობლოში გაგზავნის გზით: მონღოლური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ნადავლის სამი მეხუთედი ეძლეოდა ჯარს, ერთი მეხუთედი ყაენს, ერთი მეხუთედი ეკუთვნოდა მხედართმთავარს.

მონღოლების სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის მმართველ წრეებში, რისთვისაც იყენებდნენ ინტრიგებს, პროვოკაციებს, დეზინფორმაციას. მათ ჰყავდათ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დაზვერვა, მოვიშველიებთ ერთ ფაქტს, დასავლეთის დიდი ლაშქრობის (1237-1241წწ) დაწყებამდე ათი წლით ადრე ისინი სწავლობდნენ მომავალი საომარი მოქმედებების თეატრის გზებს, აზუსტებდნენ მათ ადგილზე ძველი რომაული რუკების გამოყენების საშუალებით, საჭირო ინფორმაციას ლეზულობდნენ ვაჭრების, მისიონერების, მოტაცებული მოენეების, მოსყიდული მოხელეების და სხვ.ხერხებით, ხშირად მონღოლები უკეთ იცნობდნენ საომარი მოქმედების თეატრს, ვიდრე ადგილობრივი მხედართმთავრები. ჩინელი სარდლები გაოგნებული იყვნენ მათი მიერ ჩინეთის გეოგრაფიის და ტოპოგრაფიის ცოდნის დონით. ის რაც, სხვისთვის გადაულახავ ბუნებრივ დაბრკოლებად იყო მიჩნეული მონღოლებისათვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. განსხვავებით სხვა ერებისაგან, საომარ მოქმედების დაწყების საუკეთესო დროდ ისინი ზამთარს მიიჩნევდნენ, რუსული ზამთარი, რომელსაც დიდ წილად განაპირობა რუსების გამარჯვება პოლონელებზე, შვედებზე, ფრანგებზე, გერმანელებზე, უდიდეს ზიანს აყენებდა მათ ბრძოლისუნარიანობაზე, მონღოლებისათვის, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩანეს ეს ხელსაყრელ ფაქტორად იყო გამოყენებული, მას შემდეგ, რაც 1235 წ. ბათო ყაენმა გაანადგურა ვოლგის ბულგარელების სახელმწიფო და ყივჩაღების ურდო, რითიც უზრუნველყო თავისი კომუნიკაციების უსაფრთხოება მდ. ვოლგისა და დონის გასწვრივ, 1237 წლის ზამთარში შეიჭრა რუსეთში, ძირითად გზებად მან გამოიყენა გაყინული რუსული მდინარეები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ჯარების მანევრულობის ხარისხი, მონღოლებისათვის, როგორც უდაბნოში მცხოვრები ერისათვის (გობის უდაბნო) სიძნელეს არ წარმოადგენდა უდაბნოებში გადაადგილდება, მდინარეების ფორსირება, რაც ყველა ქვეყნის ჯარისათვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენს, საჭიროებს სპეციალური მცურავი საშუალებების: გემების, კატარღების, ტივების, ნავების და სხვ. ჩგამოყენებას, მონღოლები ამ სირთულეს მარტივი ხერხებით ართმევდნენ თავს. გვინდა მოკლედ შევეხოთ ამ საკითხს. მონღოლების სამხედრო წესდების მოთხოვნის თანახმად თითოეულ მონღოლ მეომრის აღჭურვილობაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ორი ტყავის ტომარა, რომელშიც ისინი მდინარეების ფორსირების დროს ათავსებდნენ თავიანთ იარაღს, სამოსელს, სურსათის მარაგს, გამოაბამდნენ ცხენის კუდს და ცხენთან ერთად გადაცურავდნენ მდინარეს, ეს მათ ძალზედ მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა მონინალმდეგესთან მიმართებაში, რიგ შემთხვევაში მდინარის გადასალახავად ისინი უმოკლეს დროში. აკეთებდნენ ლერწმის ტივებს.

მონღოლური სტრატეგიის თანახმად მონინალმდეგეზე ზემოქმედების, მისი დემორალიზაციის გამოცდილ, გამართლებულ ხერხათ ითვლებოდა მტრის რიგებში პანიკის დათესვა, რისთვისაც ისინი სპეციალურად ასწავლიდნენ თავიანთმებრძოლების ნაწილს მტრის ენას, რომ მათ ბრძოლის დროს მონინალმდეგის ენეზე გაევერცელებიათ ქორი მეფის, მთავარსარდლის დალუპვის შესახებ რასაც ადგილი ჰქონდა უნგრულ-ხორვატულ გაერთიანებულ ლაშქართან ბრძოლის დროს 1241 წლის 11 აპრილს მდინარე შაიოსთან დაბა მოხის მახლობლად, ანალოგიური ხერხს მათ მიმართეს გაერთიანებულ პოლონურ-გერმანულ ლაშქრის წინაღმდეგ ქ. ლეგნიცასთან 1241 წლის 9 აპრილს ბრძოლის დროსაც. ნახსენებ ბრძოლაში მონღოლებმა ფსიქოლოგიურ ზემოქმედების ხერხებთან ერთად გამოიყენეს ქიმიური მომწამვლელი იარაღი, რომელიც დამზადებული იყო ნავთობის, გვარჯილის, გოგირდის და ტილჭირის (ლათ. *Aconitum*) შხამიანი ხარისძირებთა ოჯახის მრავალწლოვანი მცე-

ნარის შეზავების საშუალებით. მონღოლები აგრეთვე იყენებდნენ ბიოლოგიურ იარაღსაც, როდესაც სხვადასხვა ეპიდემიური დავადებებისაგან გარდაცვლილ ადამიანების გვამებს, ცხოველების სხეულებს ისროდნენ ალყაში მოქცეულ ქალაქებში სააღყო მანქანების საშუალებით. მათი სამხედრო ხელოვნების უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენდა ერთობლივი მოქმედების გასაოცარი უნარი ისინი, სხვა. ერებისაგან განსხვავებით ინდივიდუალურ გმირობაზე, თავდადებაზე მალა ერთობლივად მოქმედების უნარ-ჩვევებს აყენებდნენ, რაშიც მონღოლები არაჩვეულებრივად დახელოვნებული იყვნენ, მათ ელვისებურად შეეძლოთ გადაეჯუფებიათ თავიანთი საბრძოლო შენაერთები, 90°-ით შეეცვალათ იერიშის მიტანის მიმართულება, რაც წარმოუდგენელი სირთულის ამოცანად ითვლებოდა ნებისმიერი სხვა ერის კავალერიისათვის.

მტერზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენის მიზნით მონღოლები სათარიგო ცხენებზე ათავსებდნენ მეომრების ფიტულებს, რითაც მოჩვენებითად მნიშვნელოვნად ზრდიდნენ ჯარის რაოდენობას, ანალოგიურ ხერს მიმართავდნენ ისინი დაბანაკებისას, როდესაც საჭიროზე მრავალჯერ მეტ კოცონს ანთებდნენ.

მონღოლების სტრატეგიის დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო ტოტალური ტერორი, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ არნახული სისატიკით, გაადამწვარი ქალაქები, სოფლები, ასობით ათასი მოკლული ადამიანები, საომარი მოქმედებების დროს ისინი წინ მიერეკებოდნენ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას ქალაქებზე შტურმის მიტანის დროს, „საზარბაზნე ხორცად“ და ცოცხალ ფარად იყენებდნენ ადამიანებს, მათი სხეულებით ავსებდნენ ციხეების თხრილებს, მონღოლების ჯარში იყვნენ ქვეგანაყოფები რომლებიც განადგურებული მტრის რაოდენობის დასათვლელად მარჯვენა ყურს ჭრიდნენ ბრძოლის ველზე დალუპულებს, თავად კლავდნენ ან ტყვეებს აიძულებდნენ მოეკლათ ადამიანები, ჩვენდა გასაკვირად გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართული წყაროები არ მოგვითხრობენ საქართველოში მსგავსი შემთხვევების თაობაზე. ტერორს ისინი შეგნებულად იყენებდნენ წინაღმდეგობის სურვილის ჩაკვლის მიზნით, შეგნებულად ავრცელებდნენ ინფორმაციას ჩადენილი ვანდალური ქმედებების შესახებ, ათავისუფლებდნენ რა დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობის ნაწილს, რათა მათ მოეთხროთ სხვებისათვის მათზე გადამხდარის თაობაზე, რომ ისინი მაგალითი ყოფილიყვნენ სხვა ქალაქების მკვიდრთათვის, თუ ისინი წინაღმდეგობის განევას გაბედავდნენ. ტერორი, რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობდით ზემოთ დამახასიათებელი იყო მონღოლების მიერ წარმოებული ომების პირველ ეტაპისათვის, განპირობებული ჩინგიზ ყაენის და მისი უახლოესი გარემოცვის სოფლმხედველობით, რომელმაც მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა მისი შთამომავლების მმართველობის ხანაში მანგუ ყაენის პერიოდიდან (1251-1259 წწ), მონღოლებმა უარი თქვეს ტოტალური ტერორის პრაქტიკაზე, გამონაკლისი გახდათ მხოლოდ ბალდადის ციხე, სადაც ხანგრძლივი წინაღმდეგობით და დიდი დანაკარგებით გაღიზიანებულმა მონღოლებმა უმოწყალოთ დაარბიეს ქალაქი 1258 წ. ზოგადად მონღოლებმა თავისათვის დაასკვნეს, რომ მათთვის გაცილებით შემოსავლიანია დაპყრობილი ქვეყნების დაბეგვრა სხვადასხვა გადასახადებით, ვიდრე მათი ძარცვა-გლეჯვა, ტერორი. მათი მონღოლისტრატეგიისა და ტაქტიკის მიმოხილვის დასასრულს გვინდა შევნიშნოთ, რომ მონღოლი მეომრების ქცევების წესები მკაცრად იყო რეგლამენტირებული ჩვეულებრივი სამართლის ნორმებით, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი მკაცრი, რეპრესიული ხასიათით, დანაშაულის, გადაცდომის შემთხვევები სასჯელის ძირითადი ზომა იყო სიკვდილით დასჯა: ბრძოლის ველიდან გაქცევისათვის, მეთაურის ნებართვის გარეშე ერთი სამხედრო ნაწილიდან მეორეზე გადასავლისათვის, ბრძოლის დასრულებამდე მხედართმთავრის ნებართვის გარეშე ნადავლის აღება (გავისხენოთ რამდენი ბრძოლა არის წაგებული მსაგვსი ქმედების გამო, თუ გინდ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე) ჩვეულებითი სამართლის ნორმების მკაცრი შესრულება მონღოლების სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ უმთავრესი მოთხოვნა იყო.

### მონღოლების შემოსევა საქართველოში

პირველად მონღოლები საქართველოს საზღვრებთან 1220 წელს გამოჩნდნენ და მათ შეტაკება მოუხდათ მონაპირე ჯარის ათიათას კაციან რაზმთან, რომელიც მათ დაამარცხეს საზღვრისპირა ბრძოლაში, მეფე ლაშა ჩგიორგი უშუალოდ არ მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. როგორც მეფისათვის, ისე მთელი ხელისუფლებისათვის ნათელი იყო უეცრად მომხდური მტრისაგან მომდინარე საშიშროება, მოხდა მთელი ქართული ჯარის სრული მობილიზაცია, უფრო მეტიც საქართველოს სამეფო კარმა დასახმარებლად მოიწვია ჩრდილოეთკავკასიელი მოკავშირეები, ყივჩაღები. მიუხედავად გატარებული ზომებისა და დიდი რიცხოვრებითი უპირატესობისა – ჯებე და სუბუდაის ჯარი თორმეტიათას მხედარს შეადგენდა ხოლო ქართველების ლაშქარი ჟამთააღმწერელის ცნობით ოთხოცდაათ ათას მეომარს ჟამთააღმწერელის ცნობით, სომხური წყაროების თანახმად ქართული ჯარი სამოცათას შეადგენდა საგიმთან ბრძოლაში ქართულმა ჯარმა მძიმე მარცხი განიცადა, მონღოლებმა თავისი ნაცადი ბრძოლის ველიდან მოიწვენიბითი გაქცევის ხერხის წყალობით მათ მოახერხეს მის ზურგში მოქცევა და დიდი ზიანის მიყენება, ქართული ლაშქარის უკან დახვევის დროს მტერმა სდია მას ხანგრძლივი მანძილზე. ჯარის გადარჩენილმა ნაწილმა თავი შეაფარა სამშვილდეს, თბილისს, მძიმედ დაიჭრა მეფე ლაშა გიორგი, ხოლო მონღოლების ჯარებმა დარუბანდის კარებით დატოვეს საქართველო და გადავიდეს სამხრეთ რუსეთში, მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე არ მომხდარა სხვა ასეთი შემთხვევა, რომ ქართული ჯარი ყოფილიყო მტრის ჯარზე ხუთჯერ, რვაჯერ მეტი და მას განეცადოს მარცხი, მით უმეტეს რომ საქართველოს ყავდა თავისი დროისათვის შესანიშნავი ჯარი, გამოცდილ მხედართმთავრების ბრწყინვალე კორპუსი, რომლის დიდ ნაწილს ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა შამქორის, ბასიანის ომებში, ცენტრალურ ირანში მოწყობილ 1208 წლის ლაშქრობაში, ქვეყანას გააჩნდა გამართული ეკონომიკა, უზარმაზარი ფინანსური რესურსები, იარაღის მდიდარი არსენალი, მისი წარმოების მნიშვნელოვანი კერები. ქართულ, გნებავთ ნეიტრალურ ან მიკერძოებულ წყაროებში, სამეცნიერო კვლევებში ჯეროვნად დღემდე არ არის შესწავლილი ზემოთ ნახსენები მარცხის გამომწვევი მიზეზები, ჩვენთვის უცნობია ნახსენები მარცხის კვლევისათვის მიძღვნილი ნაშრომი, ვფიქრობთ, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით, ეს საკითხი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომ ის არ იყო ვინმეს ბრალი, დისტანციური ბრძოლის სტრატეგიას გააჩნდა ისეთი უპირატესობა ფეოდალური ხანის იმჟამინდელ ხელჩართული ომის პრაქტიკასთან, რომ შეუძლებელი იყო ამ უპირატესობის დაძლევა.

უცხოელი მკვლევარები, როდესაც ცდილობენ მონღოლების წარმატების ახსნას წერენ, რომ ჩინეთის არმიამ, რომელიც სულ მცირე ათჯერ აღემატებოდა მონღოლურს შიდა დაპირისპირების გამო დამარცხდა მათთან ომებში, ხვარაზმშაჰმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რომ გენერალური ბრძოლის გამართვის ნაცვლად ჯარები გარნიზონების სახით გაანაწილა ქალაქებში, რუსები და ყივჩაღები კოორდინირებულად ვერ მოქმედებდნენ მდ. კალკაზე ბრძოლის დროს 1223 წლის 31 მაისს, ყივჩაღებს არ უვარგოდა სამხედრო ორგანიზაცია, უნგრელებს ყავდათ სუსტი მხედართმთავარი ბელა IV სახით და ა.შ. ასეთ არგუმენტებს ექნებოდა ძალა, რომ ყოფილიყო ერთეული შემთხვევის სახით. ვფიქრობთ მოვლენას უნდა მიეცეს ობიექტური შეფასება და ვალიაროთ მონღოლური ჯარის სტრატეგიული-ტაქტიკური უპირატესობა და ის რომ მონღოლების მეორე შემოსევის დროს 1235 წ. და მომდევნო პერიოდში ქართული სახელმწიფოს მესვეურებმა: რუსუდან დედოფალმა, ავაგ მხარგძელმა, ვარამ გაგელმა, დავით ულუმ და მრ. სხვ. აირჩია მონღოლებთან მოლაპარაკების გზა, ისინი ითვალისწინებდნენ შექმნილ ისტორიულ ფონს, ობიექტურ რეალობას, მათ შესანიშნავათ ესმოდათ, რომ ქვეყანას მოშუშებული არ ჰქონდა ჯალალედინის ექვსწლიანი შემოსევების შედეგად მიყენებული ჭრილობები, დასუსტებული იყო ქვეყნის თავდაცვითუნარიანობა, იძულებული გახდნენ მიელოთ, ძალიან მძიმე, დღევანდელი გადასახედიდანაც კი არაპოპულარული, მაგრამ რეალობით

ნაკარნახევი იძულებითი ნაბიჯი. იშვიათი გამონაკლისის გარდა ასეთ გზას დაადგა თითქმის ყველა იმ ქვეყნის მმართველი ძალები, რომლებსაც შეეხება ჰქონდათ საკვლევე პერიოდის მონღოლურ სახელმწიფოსთან, დაპყრობილ ქვეყნებს დრო სჭირდებოდათ, რომ გამოსულიყვნენ მონღოლების ჯარებთან შეტაკების შედეგად მიღებული შოკიდან, ალლო აელოთ შექმნილი სიტუაციისათვის, შეემუშავებიათ მათთან ბრძოლის შესაბამისი მეთოდები, სტრატეგია.

### დასკვნები:

1 საკვლევე პერიოდის ქართული, უცხოური ისტორიული წყაროები ხშირ შემთხვევაში სრულფასოვნად ვერ ასახავდნენ, მიმდინარე მოვლენებს, მათში გაზვიადებულია, დრამატიზირებულია ან პირიქით შელამაზებულია რეალური სურათი. დღის წესრიგში დადგა მათი თავიდან შესწავლის საკითხი ზემოთ ხსენებული წყაროების ინფორმაციული შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, რისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, მოვლენების რეკონსტრუქცია, მოდელირება, GIS-ტექნოლოგიების, სტატისტიკური, მათემატიკური, ანთროპოლოგიური, სახელოვნებოთმცოდნეო და სხვ. კვლევების მეთოდების გამოყენება წყაროების შესწავლის პროცესში, რისი აუცილებლობაც აგრეთვე ნაკარნახევი იმ გარემოებითაც, რომ ბოლო ათეული წლების მანძილზე ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში მიმდინარე კვლევების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა, გამრავალფეროვნდა ჩვენი წარმოდგენები შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, მოხდა მათი სისტემატიზაცია, განუზომლად გაიზარდა მათზე წვდომის ხარისხი, განხორციელდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ვიზუალიზაცია, რაც ინვეს ადრე არსებული შეხედულებების, სტერეოტიპების გადახედვას, ისტორიული ფაქტების გადაფასებას, მათ სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას, დაზუსტებას და ა.შ.

2 წინამდებარე ნაშრომის მომდევნო დასკვნა წინამდებარეობაში მოდის ისტორიულ მეცნიერებაში და საერთოდ საზოგადოებრივ აზროვნებაში დამკვიდრებულ შეხედულებასთან, რომლის თანახმად ომის ბედს წყვეტს დაპირისპირებულ ქვეყნების ტერიტორიის სიდიდე, მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების რაოდენობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური და მრვ. სხვა ობიექტური პირობები. მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი და სხვ. მსგავსი ტიპის მახასიათებლები ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების პერიოდის ჩათვლით, უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენდნენ მოვლენებზე და მხოლოდ ახალი და უახლესი ისტორიის ხანაში შეიძინეს მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა, საყოველთაო სამხედრო ვალდებულებების და პოზიციური ომების, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პირობებში. ისტორიული მაგალითის დახმარებით ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ ზემოთ გამოთქმული საკამათო შეხედულება. რისთვისაც მოვიხმობთ რამდენიმე ქრესტომატიულ მაგალითს. ძვ.წ. 490 და 480 წელს ბერძნებმა სასტიკად დაამარცხეს სპარსეთის მეფეები დარიოს I, ქსერქსე I, ალექსანდრე მაკედონელი მცირერიცხოვანი (ორმოცდახუთიათასკაციანი ჯარით) შეიჭრა სპარსეთში და გრანიკოსის ძვ.წ. 334წ., ისოსის ძვ.წ.333წ, და გავგამელის ძვ.წ. 331 წ. ბრძოლაში დაამხო ანტიკური აღმოსავლეთის უდიდესი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის მეფეს დარიოს III ჯარი თავის რიგებში ასობით ათას მეომარს ითვლიდა რამდენმეჯერ მეტს, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ჯარი იყო, უზარმაზარი რომის იმპერია, რომლის ტერიტორია 8 მლნ კმ<sup>2</sup>, ხოლო მოსახლეობა 45-65 მლნ. ადამიანს შეადგენდა დაემხო გერმანული ტომების ლაშქრობების შედეგად. 410 წელს ვესტგუთებმა აიღეს რომი, ხოლო 476 წელს რომის იმპერიამ იურიდიულადაც შეწყვიტა თავისი არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად რომაელები, მათი სამხედრო ძალები, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ ვიდრე გერმანელები. ანალოგიურად შეგვიძლია ვისაუბროთ ბიზანტიის იმპერიის შემთხვევაშიც, მისი ტერიტორია მოიცავდა საკუთრივ

საბერძნეთს, ბალკანეთის ნახევარკუნძულს, მთელ მცირე აზიას და ა.შ., რომლის მოსახლეობა 35 მლნ ადამიანს აღემატებოდა (VI ს.) მას გააჩნდა იმჟამინდელ მსოფლიოში უდიდესი რეგულარული 350 ათასკაციანი არმია, მაგრამ ის ვერ უმკლავდებოდა ჰუნების, არაბების, სლავებს, პაჭანიკებს, ყივჩაყებს, სელჯუკებს შემოსევებს რომლებსაც გაცილებით მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდათ ვიდრე ბიზანტიელებს. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა 1453 წელს თურქ-ოსმალოების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, საკვლევ პერიოდში ჯარის რაოდენობას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ქონდა, ამის შესახებ მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მრავალი ფაქტი – გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მტრებზე გამარჯვება დიდგორის 1121 წ, შამქორის 1195წ, ბასიანის 1202 წ. ომებში, ამ მაგალითების ფონზეც კი განსაკუთრებულ ანალიზს და გამორჩეულ შეფასებას იმსახურებენ მონღოლების მიერ მოპოვებული გამარჯვებები. მცირერიცხოვანმა ერმა მოკლე დროში დაიპყრო იმჟამინდელი მსოფლიოს  $3/4$ , ისტორიაში არსებობს მრავალი სხვა მაგალითიც, როდესაც შედარებით მცირერიცხოვანი ერები წარმატებით იბრძვიან გაცილებით უფრო დიდ სახელმწიფოებთან – 1605წელს რუსეთ-პოლონეთის ომის დროს პოლონელები შეიჭრენ რუსეთში, ტახტზე აიყვანეს თავისი ხელდასმული ცრუ-დიმიტრი I, ჩრდილოეთის ომის დროს (1700-1721 წწ) რუსეთს 21 წელი წარმატებით ებრძოდა შვედეთი, პატარა ქვეყანა, რომლის მოსახლეობა ერთ მლნ. შვიდასიათას კაცს არ აღემატებოდა და ის სულ მცირე რუსეთის მოსახლეობაზე ათჯერ ნაკლები იყო. ცხადია ისმის კითხვა, თუ ტერიტორიის სიდიდეს, მოსახლეობის და ჯარის რაოდენობას, ეკონომიკური განვითარების დონეს არ აქვს მნიშვნელობა, როგორც ეს არაერთგზის აღვნიშნეთ ზემოთ, მაშინ რა ფაქტორები თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს. ვფიქრობთ მეომარი მხარეების სამხედრო დოქტრინა, სტრატეგია, ტაქტიკა, დისციპლინა, ჯარის საბრძოლო მომზადების დონე, მებრძოლების უნარ-ჩვევები, რამდენად კარგად იყო მოგვარებული ჯარის სურსათით და საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფის საკითხი, მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მეომრების შენაერთების ურთიერთთან თანამშრომლობის, თავსებადობის, ერთობლივი მოქმედებების უნარ ჩვევების გამომუშავება, ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორ იყო მოგვარებული ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი, ჯარის პროფესიონალიზმი, მეთაური შემადგენლობის მომზადების დონე და რაც მთავარია ვინ იყო მხედართმთავრი. უმრავლეს შემთხვევებში მასზე, მის პირად თვისებებზე, ავტორიტეტზე, აზროვნებაზე, ნიჭზე, გამბედაობაზე, გადწყვეტილების მიღების უნარზე იყო დამოკიდებული ბრძოლის, ომის ბედი.

3 სტატიის ძირითად ნაწილში საკმაოდ ვრცელი საუბარი გვქონდა მონღოლების მიერ წარმოებულ ტერორზე, რომლის შემდგომ გვიძნელდება ვიმსჯელოთ მათი მოღვაწეობის დადებითი მოენტების თაობაზე, მაგრამ ობიექტური კვლევების მოთხოვნებიდან გამომდინარე ვერ ვუარყოფთ მათ არსებობას. მონღოლებმა შექმნეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი უსაფრთხო საკომუნიკაციო სივრცე კეთილმოწყობილი სატრანსპორტო მაგისტრალებისა და საფოსტო სამსახურის სახით, მფარველობდნენ ვაჭრობის განვითარებას, ხელს უწყობდნენ საქონლის, ცოდნის, ტექნოლოგიების გაცვლა-გამოცვლას აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის, განსაკუთრებით ეს ეხება ჩინეთს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში განასახიერებდა ტექნიკურ პროგრესს. მთელი იმპერიის ტერიტორიაზე დაამყარეს სახელმწიფო წესრიგი, აღკვეთეს ყჩალობა, ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი შიდაომები ჩინეთში, რუსეთში, ტოლერანტულ დამოკიდებულებას იჩენდნენ ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებისადმი, უფრო მეტიც მფარველობდნენ და გადასახადებისაგან გაანთავისუფლეს რუსული ეკლესია, მათი ბატონობის პერიოდში ორჯერ გაიზარდა რუსული ეკლესიების რაოდენობა, მათი მმართველობის პერიოდში დასრულდა ჩინეთის და რუსეთის გაერთიანების პროცესი.

4 ქართულ ისტორიულ წყაროებში, სიტყვიერების ძეგლებში, ისტორიოგრაფიაში, რაც მთავარია



ერის ცნობიერებაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში განცდილი კრიზისები, მარცხები, განპირობებული იყო მხოლოდ საგარეო ფაქტორებით, ქართველი ერის მცირერიცხოვნებით, რაც მთლად მართებული არ უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესოს პერიოდთან მიმართებაში. შევეცდებით დავასაბუთოდ ეს მოსაზრება. 1254-1256 წწ. მონღოლებმა მთელ იმპერიაში, მათ შორის საქართველოშიც ჩაატარეს აღწერა, რომლის შედეგებით მათ საქართველოში აღრიცხეს რვაასათი ათასი სრული კომლი. ეს მოხდა ჯალალედინის ექვსწლიანი თარეშისა და მონღოლების შემოსევების შემდგომ პერიოდში, როდესაც ქვეყანამ დაკარგა მოსახლეობის და ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი [8. 235]. თუ ჩვენ ერთი კომლის (დიდი ოჯახის) წევრების ოდენობას განვსაზღვრავთ მხოლოდ ათი ადამიანით, რაც ჩვენი აზრით არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან ათკაციან ოჯახში მხოლოდ სამი, მაქსიმუმ ოთხი ადამიანი შეიძლება ყოფილიყო შრომისუნარიანი, ვერ შეძლებდნენ სრულფასოვნად ეწარმოებიათ სამეურნეო საქმიანობა, ვინაიდან ერთი კომლის მამულები რამდენიმე ათეულ ჰექტარ სახნავ-სათეს მიწებს, ვენახებს, საძოვრებს, ტყეს და სხვ. სავარგულებს შეადგენდა. საქართველოს მოსახლეობა რვა მილიონ კაცზე მეტი უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობად ჩვენ ავიღებთ 15 ადამიანს, მაშინ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა თორმეტ მილიონ ადამიანს გასათვალისწინებელია ის გარემოება. რომ საქართველოს იმჟამინდელი ტერიტორია სულ მცირე ოთხჯერ მეტი მაინც იყო ვიდრე დღევანდელი მისი ფართობი, აგრეთვე მხედველობაში მისაღებია, რომ საქართველოს საზღვრებში ითვლებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილი, ათობით ათასი ჩრდილო კავკასიელი, ყივჩაღი და სხვ. ეროვნების ქვეშევრდომების სახით. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის თემის ანალიზი ცხადია აჩენს მრავალ კითხვას რომელზედაც ზემოთაც გვქონდა საუბარი, როდესაც მონღოლების საქართველოში შემოჭრის საკითხს ვეხებოდით, ისინი საჭიროებენ განმარტებას თუ ქართველები ასე მრავალრიცხოვანი იყვნენ, გააჩნდათ რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო რეგულარული არმია, რატომ ვერ უზრუნველყო მეფემ, სამეფო კარმა, მთლიანად მმართველმა ფეოდალურმა ფენამ, რომლის მხრებზე საუკუნეების მანძილზე გადადიოდა ქვეყნის დაცვის ძირითადი სიმძიმე და ის წარმატებით ართმევდა თავს ამ ამოცანას ვერ მოიგერია მტრის შემოსევა. წყაროებში, სამეცნიერო ლიტერატურაში აშკარად ჩანს მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება მთელი ფეოდალური კლასისადმი, რომელმაც ბედის ანაბარა დატოვა ქვეყანა და მტერთან შეთანხმების და თანამშრომლობის გზა აირჩია. ვფიქრობთ ეს საკითხი უნდა განვიხილოთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების კონტექსტში, როდესაც მთელი სამყარო უძღური აღმოჩნდა გენიალური მხედართმთავარის ჩინგიზ ყაენის მიერ რეფორმირებული მონღოლების მომთაბარე იმპერიის, მისი დისტანციური ომის სტრატეგიის წინააღმდეგ, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. აქვე გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ ჩვენი აზრით სადაო საკითხს, რომელიც დამკვიდრებულია ჩვენ მეცნიერებაში და გარკვეულ შემხებლობაშია წინამდებარე თემასთან. ეს არის დოგმა, რომ ფეოდალურ ხანაში, ქართველი ერის ერთ-ერთი, უმთავრესი ეგზისტენციალური პრობლემა იყო ქართული სახელმწიფოს ერთიანობის დარღვევით გამოწვეული კატასტროფული შედეგები. მიგვაჩნია, რომ ერთიანობის თემა აპრიორი ვერ განიხილება ყველა პრობლემის მოგვარების გასაღებად. ვინაიდან უამრავი მაგალითია, როდესაც მცირე სახელმწიფო წარმონაქმნები წარმატებით ვითარდებოდნენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ანტიკური ხანის საბერძნეთის შემთხვევაში, აღმავლობის გზით ვითარდებოდნენ ქართული სამეფოები IX-XI საუკუნეების მანძილზე, არანაირი დავრკობა არ შეუქმნიათ ალორძინების ხანის იტალიის, ესპანეთის, გერმანიის კულტურული, ეკონომიკური

პოლიტიკური განვითარებისათვის იმ გარემოებას, რომ ისინი წარმოადგენდნენ ჯუჯა სახელმწიფოების კონგლომერატებს, მაგალითად შუა საუკუნეებს გერმანიაში იყო 300 ასეთი სახელმწიფო წარმონაქმნი. ზემოთ ნახსენები მაგალითები მოგვყავს, იმ მიზნით რომ განმემატოთ, რომ ნებისმიერი მოვლენის აბსოლუტიზაციამ, ჩვენ შემთხვევაში ერთიანობის იდეის. რაოდენ დადებითი და პოზიტიურიც არ უნდა იყოს ის შესაძლოა ხელი შეუშალოს ისტორიული მოვლენების ობიექტურ გაშუქებას.

MIRIAN STEPHANIA

## THE ART OF WAR OF THE MONGOLS (XIII C)

The creation of a unified Mongolian state in May 1206 had a tremendous impact on the historical development of all mankind, destroyed the former world order, the balance of power, marked the beginning of the permanent conquest of the Mongols, which were accompanied by terrifying human victims, tremendous terror in their cruelty, the details of which were preserved in numerous Chinese, Arab-Persian, Georgian, Armenian, Russian, Hungarian, German, etc. , chronicles, descriptions of eyewitnesses: Plano Carpini, Giloma Rubrukvis, Marco Polo and others. It should be noted that in history it is difficult to single out a period about which so many historical, cultural, anthropological, visual ethnological, folklore, etc. data would survive, some artifacts and museum collections stored in the leading museums of the world that relate to the history of the Mongol conquests. The above sources have been the subject of intense research by numerous scientists from many countries of the world I. Javakhishvili, N. Berdzenishvili, N. M. Karamzin, S. M. Solov'ev, D.I.Ilovaysky, V.V.Bartold, modern scientists –M.V.Gorelik, R. Khrapchevsky, G.Anchabadze, S.Margishvili and many others. One of the main research questions is the analysis of the reasons behind the victorious march of medieval Mongolian troops, their constant success in wars against the superpowers of the medieval East: China, Khorezm, the Baghdad Caliphate, in a series of victories in battles against Ancient Russia, Transcaucasia, defeats of Hungarian, Polish , German and other troops. Many researchers, this applies primarily to scientists whose work proceeded in the XIX-XX centuries. significantly exaggerate the number of Mongolian troops, whose number, in their opinion, ranged from 300-600 thousand soldiers. This figure, in the opinion of modern scholars, is overstated, at least ten, and in other cases even more. For example, the number of troops invading the South Caucasus and Russia in 1220-1223 Dzhebe and Subudey troops was 12 thousand horsemen, which is confirmed by incontrovertible data from several sources, but they managed to defeat the Georgian troops many times greater than theirs in the Battle of Sagami in 1220, which was an unprecedented phenomenon throughout Georgia's history, and the destruction of the Russian-Polish koalas was even more catastrophical at the battle of the river Kalka, again forces Dzhebe and Subedeya. The estimates of the number of Mongolian troops taking part in the Great Western Expedition of the Mongols 1236-1242 yy are clearly overestimated and far from reality. that gives us grounds to critically rethink the above-mentioned events and state the need for a realistic reassessment of information from historical sources, multi-disciplinary research in order to recreate the historical past.

In connection with the Mongolian wars of conquest, entailed, as we have already mentioned above, the victims of millions of people, the entire unacceptability of the crimes committed during combat operations, the centuries-old oppression of the peoples of many countries, the objectivity of historical research requires us to note some civilizing, positive consequences of their conquests: creation safe communication space and high-ways between East and West, promoting the exchange of knowledge, technology, especially About concerns

China, which in this period of history personified the technological progress of the Middle Ages, the Mongols promoted the exchange of goods, knowledge. The Mongolian occupation authorities radically suppressed the internecine wars tearing China and Russia apart, which, in principle, regardless of their will, laid the foundation for the unification of these states, their tolerant attitude to representatives of other religions should also be noted. An example of their attitude should be given to the Russian Orthodox Church, as evidenced by many historical sources, documents that broadcast the exemption of the church from paying taxes, according to statistics the number of Russian FIR churches in the period of Mongol rule has doubled, although there should also be noted that the spread of Islam among the Mongols was a tendency of his violent dissemination of the conquered peoples, especially Ilkhanids.

At the end of our small study, we consider it necessary to continue further research in order to recreate an objective historical picture of the events of the XIII-XIV centuries.

### **წყაროები;**

კომენტარები გალიის ომის შესახებ 2015 წიგნი I-II მთარგმნელი თეოდორა ყარალაშვილი რედაქტირება, სამეცნიერო კომენტარები და შესავალი ნიკა ხოფერია თბილისი

ქართლის ცხოვრება, 1955 ტ. I ტექსტი დადგენილიყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი

ქართლის ცხოვრება, 1959 ტ. II ტექსტი დადგენილიყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი

ქართლის ცხოვრება 1973 ტ. IV ბატონიშვილი ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ თბილისი

ციტირებული ლიტერატურა

6 ქართლის ცხოვრება 1973 ტ. IV ბატონიშვილი ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ თბილისი გვ.198

8 ქართლის ცხოვრება,1959 ტ. II ტექსტი დადგენილიყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი გვ. 235

### **ბიბლიოგრაფია**

აბულაძე გვანცა 2015 აბულაძე გვანცა საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა(1206-1223 ) თბილისი ჯავახიშვილი ივანე 1966 ჯავახიშვილი ივანე ქართველი ერის ისტორია ტ III.წიგნი III გამომცემლობა საქართველო, თბილისი

ჯავახიშვილი ივანე 1967 ჯავახიშვილი ივანე ქართველი ერის ისტორია ტ IV. წიგნი IV გამომცემლობა საქართველო, თბილისი

ჯორბენაძე ირაკლი 1990 ჯორბენაძე ირაკლი Nნარკვევებისაქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, გამომცემლობა საქართველო ,თბილისი 1990

### **Источники**

Тит Ливий1991 История Рима от основания города В трех томах Т2 Перевод М.Е.Сергеенко Наука книга XXII

Полибий 2012 Всеобщая история Перевод с греческого и комментарии Ф.Г.Мищенко Москва АСТ-ПРЕСС КНИГА

Чингисхан 2015 Сокровенное сказание монголов Великая Яса Издательство Эксмо

**Цитированная литература**

- 1 Ермолаев Л.В.1987 Ермолаев Л.В.Сложносоставной монгольский лук .Корейские и монгольские коллекции в собраниях МАЭ,Сб.Музея антропологии и этнографии Т.41.,с.149-155
- 2 Лэмб Гарольд. 2005 Лэмб Гарольд. Чингисхан. Властелин мира .Перевод с английского Л.А.Игореввского Гл.17,с.145
- 3 Анчабадзе Г 1990 Анчабадзе Г Источниковедческие проблемы военной истории Грузии Издательство Мецниереба.с.146
- 4 Храпчевский Р.П 2005. Храпчевский Р.П Военная держава Чингисхана.М-АСТ.Люкс.с.557
- 5 Тихвинский С.Л .1977 Тихвинский С.Л .Татаро-монголы в Азии и Европе -Москва .Наука.с.122
- 7 Сабитов Ж. 2010 Сабитов Ж. О численности монгольской армии в Западном походе Вопросы Истории и Археологии Западного Казахстана №1 с.55-73

**Библиография**

- Анчабадзе Г 1990 Анчабадзе Г Источниковедческие проблемы военной истории Грузии Издательство Мецниереба
- Горелик М.В 1983 Горелик М.В Монголо –татарское оборонительное вооружение второй половины XIV-начала XVв.Москва
- Горелик М,В 2002 Горелик М,В Армии монголо-татар X-XIV вв. Москва
- Дельбрюк Г .2001 Дельбрюк Г История военного искусства в рамках политической истории Санкт-Петербург издательство Наука
- Каргалов В.В 1990Каргалов В.В. Полководцы XVIIв. Москва „Патриот“

ნინო ღოლიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორი

ხათუნა ღარსაველიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ინჟინერიის დოქტორი

## კოსტუმის სახის ფორმირების ასპექტები

კოსტუმი, როგორც მატერიალური ფასეულობა და მრავალფუნქციონალური საგანი შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვაგვარად: როგორც ტანსაცმელი, პრეზენტაციის ხერხი, მხატვრული ნაწარმოები და ა.შ. მხატვრული და არამხატვრული სახეების თემატიკასთან მიმართებაში კოსტუმი განიხილება, ადამიანის გამოსახულების ერთიან სისტემად, რომელიც მოიცავს სხეულს, ტანსაცმელს, ხელოვნებისა და მოდის სფეროს, რომელშიც ის წარმოჩინდება [1].

კოსტუმი მატერიალური ერთობლიობაა, რომელიც განისაზღვრება ადამიანის მიერ შემეცნებისა და საქმიანობის პროცესში. როგორც ყველა რთული საგანი, ისიც მრავალმხრივია. მისი თვისებები დამოკიდებულია გარემოსთან ურთიერთობაზე. კოსტუმი წარმოადგენს ადამიანის ქმედებების გარკვეულ, შედარებით დამოუკიდებელ და სტაბილურ შედეგს, რომელსაც კულტურის განვითარებასთან ერთად განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

კოსტუმის სახის შექმნა ხორციელდება ტრადიციული და თანამედროვე კულტურის ფარგლებში, რომელთა ისტორიული საზღვარი განისაზღვრება იტალიის რენესანსის ან ევროპული შუა საუკუნეების პერიოდით, როდესაც წარმოიშვა მოდის „არსებობის“ იდეა და ჩამოყალიბდა ეროვნული ტრადიციის ცნება. ტრადიციული კულტურა განიხილავს ამ კვლევაში კოსტუმის არსებობის ორ ვექტორს - რეალობასთან და ყოველდღიურ ცხოვრებასთან მაქსიმალურად ახლოს მყოფს და მრავალფეროვან ტრადიციულ კოსტუმს. თანამედროვე კულტურა წარმოადგენილია მასობრივი მოდის უნივერსალური კოსტუმით და მხატვრული კოსტუმით, როგორც კონცეპტუალური, საავტორო ხელოვნების ნიმუშით.

ტრადიციულ კულტურაში კოსტუმის მხატვრული სახე გამოირჩევა ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობასთან არაპროდუქტიული კავშირებით. სხეულის ბუნებრივ, არამხატვრულ ფორმებს ხელოვნურად სრულყოფდნენ, რაც გადააქცევდა სასმელს ადამიანის ზეფიზიკური თვისებების შესახებ საინფორმაციო წყაროდ. ტრადიციული კულტურის მისტიკური, საკრალური სახეები ხელს უწყობდნენ კოსტუმის მხატვრული სახის გაძლიერებას, ის აღიქმებოდა როგორც ესთეტიკური ნიმუში და უპირისპირდებოდა ყოველდღიურ რეალობას. კოსტუმის ბუნებრივ-კულტურული მოცემულობის ორმაგობა დღემდე არის შენარჩუნებული, ის იცვლება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან კავშირში. როდესაც ადამიანი მოდურ კოსტუმს იცმევს, ის განიცდის ნაცნობი და ახალი შეგრძნების საჭიროებას. ასეთი ფორმით ადამიანი დემონსტრირებას უკეთებს უახლეს ინფორმაციას. მოდური კოსტუმი წარმოადგენს დროში გამოცდილ სიმბოლოთა სისტემას. შემოქმედებით პროცესში ჩართულია სხეული, რომელიც ეძებს ახალ შეგრძნებებს, თვითმყოფადობის გამოხატვისა და თვითგამორკვევის ახალ შესაძლებლობებს კოსტუმისა და გარემოს ურთიერთობების სივრცეში.

მოდა და ხელოვნება, როგორც ფენომენი იდენტურები არ არიან, მაგრამ ისინი აპროქსიმირებენ მხატვრულ სახესთან მიმართებაში, საყოველთაო და კონცეპტუალური საავტორო მოდის ეტალონების სახით. მოდისა და ხელოვნების იდეალები შორს არიან რეალობიდან, ისინი დამოკიდებული არიან ნიმუშში განხორციელებულ იდეაზე.

ტრადიციული კოსტუმის იდეა არ ეკუთვნის ერთ ავტორს ან, თუნდაც, თანაავტორებს, რადგან

რეალისტური, ყოველდღიური კოსტუმი თავის უნივერსალურობაში ყალიბდება საზოგადოებრივი ცნობიერების ნორმების და წესების მიხედვით. იმის გარდა, რომ ნებისმიერი ტანსაცმელი შექმნილია ადამიანის ხელით, კოსტუმის სახე იქმნება სიცოცხლის, სტერეოტიპების და საზოგადოების ღირებულებების გავლენით. ხოლო მის არამხატვრული სახეს ქმნის საზოგადოება. ის შეიძლება იყოს ხელოვნებაში შემოქმედებითი პროცესის დასაწყისი, სადაც მხატვრის შთაგონება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. და გამოყენებულ იქნას როგორც ესთეტიკური გზა და ასევე რეალობის ამსახველი სიმბოლო [2].

მხატვრ-დიზაინერის მიერ, სამრეწველო წარმოებისთვის ან პოდიუმზე ავტორის იდეის დემონსტრირებისთვის, შექმნილი თანამედროვე მოდური კოსტუმის ჩანაფიქრი არის მხატვრული, ყოველდღიური ცხოვრების რეალური ფაქტებისა და მოვლენების აღქმა აბსტრაქტულ ფორმაში. კონცეპტუალური კოსტუმის მხატვრული სურათის ძიებისას ემოციური განცდები მას თავდაპირველად მხოლოდ მხატვრისთვის გასაგებს ხდის, ამიტომ მაყურებლისათვის მისი აღქმა გართულებულია. ხელოვნებაშიც და მოდაშიც კოსტუმის მხატვრული სახე თავდაპირველად იქმნება გრაფიკული საშუალებებით, ანუ ესკიზის ფორმით, სადაც ხდება მხატვრული სახის და მისი სტრუქტურის ასახვა. კოსტუმის ესკიზი მოიცავს ადამიანის სხეულის, მისი პოზის, პლასტიკის და მასზე ჩაცმული ტანსაცმლის გამოსახულებას, რომელიც გადმოცემულია კომპოზიციის სახითი საშუალებებით – ფერებით, ხაზებით, ლაქებით, სიმეტრია-ასიმეტრიით, სტატიკა-დინამიკით, ფაქტურით და მრავალი სხვა მეთოდით. ესკიზში კოსტუმის მხატვრული სახე შეიძლება მკვეთრად იყოს გამოხატული სილუეტში, უჩვეულო რაკურსში, გროტესკში, ფერის ინტენსივობაში, მაგრამ არ იყოს გაშიფრული მასში. მისი მნიშვნელობა იდეების ემოციურ გადაცემაშია, მომავალი სამოსის სიმბოლური კოდის ვიზუალიზაციაში. ასეთი ესკიზი შეიძლება იყოს ხელოვნების დამოუკიდებელი ნიმუში – კოსტუმის მხატვრული სახე.

მატერიალური სახით კოსტუმი წარმოადგენს მოცულობით-სივრცით ობიექტს, რომელიც აისახება მასალების თვისებებში: პლასტიკაში, მასაში, სისქეში, სტრუქტურაში, ტექსტურაში, ფაქტურაში, პროპორციებსა და ფერში. კოსტუმი არის ფორმა, რომელიც „გამოძერწილია“ ქსოვილით და ანიჭებს ფიგურას ამა თუ იმ მოხაზულობას.

კოსტუმის წარმოებად ითვლება ტანსაცმლის წარმოება ერგონომიკისა და ანთროპომეტრიის ნების დაცვის შესაბამისად. ასეთი სამოსი შეიძლება ატარებდეს არაესთეტიკური სახის ინფორმაციასაც, მაგალითად, ინდექსი, დრესს-კოდი. დიზაინერი ხშირად უარყოფს საინჟინრო დიზაინისა და ტექნოლოგიების ტრადიციულ მეთოდებს და მიჰყვება ინტუიციურ იმპულსებს. მუშაობის შედეგად მიღებულ ტანსაცმელს, როგორც დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების საგანს, ამ შემთხვევაში აქვს საკუთარი მხატვრული სახე. მხატვრული კოსტუმი, როგორც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ობიექტი, წარმოდგენილია სინთეტიკურ ფანრებში – კინემატოგრაფიაში, ანიმაციაში, ქორეოგრაფიაში, ესტრადაზე, თეატრში. ასევე, საერთაშორისო მოდის სეზონურ ჩვენებებზე.

კოსტუმის, როგორც ნივთის მხატვრული სახე სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი ხელოვნების სახეობების მიხედვით. ის შეიძლება იყოს გამოსახულება, კლასიკური ხელოვნებისა და მოდერნიზმის რეალური ტანსაცმლის რეპრეზენტაცია, შეიძლება წარმოდგენილი იყოს დეტალურად, და ამავდროულად ჰქონდეს ტიპური თავისებურებები, განსაკუთრებით სტილიზაციის პირობებში. სამოსი შეიძლება გახდეს ექსპრესიული ფაქტი, როგორც პოსტმოდერნიზმის პირდაპირი პრეზენტაციის ხელოვნება.

მხატვრული სახის არსებობის საბოლოო სტადიას წარმოადგენს მისი აქტუალიზაცია მაყურებლის მიერ აღქმის პროცესში. ტრადიციული კოსტიუმი, როგორც ეტალონური, ნორმატიული სისტემა, აღიქმება როგორც ცნობადი სახე, ისტორიული პერსონაჟის, ნაწარმოების გმირის, იდეალიზებული თანამედროვის, ვარსკვლავის, კერპის განსახიერება. მისი სრულყოფა მიუღწეველია, რაც შეუძლებელს ხდის მის ინტერპრეტაციას. სხვა თვალსაზრისით, კოსტუმი აღიქმება, როგორც ნივთი პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს მეტაფორული მნიშ-

ვენელოს მიღმა, სადაც ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის საზღვარი მთლიანად ნაშლილია [3].

კოსტუმის აღქმა შეიძლება არ დაემთხვეს ჩანაფიქრს: არამხატვრული სახე აღიქმება, როგორც მხატვრული და პირიქით. გამოსახულების აღქმის მთავარი საკითხი მდგომარეობს არამხატვრულსა და მხატვრულს შორის ესთეტიკურ დისტანციაში. ზოგჯერ მიმღები ობიექტი კვლავაც რჩება არამხატვრული აღქმის დონეზე. მასიური, მოდური უნივერსალური კოსტუმის ასეთი აღქმის პოპულარობის საფუძველს წარმოადგენს ტანსაცმლის, სხეულის, ფერის, ფორმისა და დეტალების არამხატვრული ნიშნების ცნობადობით გამონეული სიამოვნება.

თანამედროვე მოდური კოსტუმი რეალისტური და რაციონალურია ტრადიციული კოსტუმისაგან განსხვავებით. მას აქვს თავისი მახასიათებლები და განსხვავებები, რაც გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, იწვევს გარკვეულ რეაქციებს, ემოციურ დაძაბულობას, აძლევს საზოგადოებას ახალ შთაგონებას. მოდა კოსტუმისათვის წარმოადგენს არა მარტო დროის ნიშანს, არამედ სოციალური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების გამოხატვის საშუალებასაც. კოსტუმის უნივერსალური მოდური სახე აღიქმება, როგორც არამხატვრული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება ცხოვრების რეალობის ჰარმონიას. ემოციურად მშვიდია და საზოგადოებისათვის სტაბილურად მისაღებია.

მოდაში უნივერსალური კოსტუმის კონტრასტს წარმოადგენს კონცეპტუალური კოსტუმი. არსებული და შემოთავაზებული კონცეფციის მნიშვნელოვან განსხვავებას მიეკუთვნება ის ფაქტი, რომ მას აქვს სუბიექტური იდეა რეალურ ქმედებებზე, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე. მოდური კოსტუმი წარმოადგენს ადამიანის სხეულის დეფორმაციის, ბუნებრივი პროპორციების დამახინჯებისა და ანთროპომეტრიული ცვლილებების ილუზიას.

ტრადიციული და თანამედროვე კოსტუმები ატარებენ უნივერსალურობის და კონცეპტუალურობის ნიშანს. მოდა, თავისი მხატვრული უკმარისობის ფარგლებში უფრო ხშირად მიმართავს ტრადიციულ ფასეულობებს. შემოქმედების წყარო სულ უფრო მეტად ხდება ეთნიკური კოსტუმი, რომელიც თავისი ჩანაფიქრით უახლოვდება კონცეპტუალურს. მისი დასრულებული სახე ჩამოყალიბდა ეროვნული იდენტიფიკაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში. ეს ეტაპი ხასიათდება მოტივებით, რომლებიც გადმოგვცემენ ცალკეული ეთნიკური ჯგუფისა და ტრადიციული კულტურისათვის დამახასიათებელი კოსტუმის ბუნებრივ და ფუნქციურ ნიშნებს. თაობების მიერ დაგროვილი წინაპრების გამოცდილება კოსტუმის მხატვრულ სახეში გადმოცემულია ისტორიული ინფორმაციის სახით, დღეს იგი აღიქმება როგორც სიმბოლური კომუნიკაციური მონოლოგი.

ამგვარად, მხატვრული სახის კონტექსტში კოსტუმის კვლევამ შეიძლება დააფიქსიროს მისი პოზიციის ამბივალენტურობა რეალური სინამდვილის არამხატვრულ სახესთან სიახლოვის გამო. კოსტუმში ჩადებულია ტანსაცმლის მხატვრული სახის განვითარების პოტენციალი, ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოსაჩენად.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Балина Л.Ф. Художественное и нехудожественное в культуре // Культура и ее виды / отв. ред. К.Г. Рожко. - Тюмень: Издательство «Вектор Бук», 2002. - С.172-175.
2. Липская В.М. Костюм в системе культуры (философско-культурологический анализ): дис. ... д-а филос. наук. - СПб., 2012. - 295 с.
3. Saillard Olivier. Histoare ideale de la mode contemporaine. Les plus beaux defile de 1971 a nos jours. - P.: Edition Textuel, 2009. - 445 p

NINO DOLIDZE

Akaki Tsereteli State University. professor

KHATUNA DARSAVELIDZE

Akaki Tsereteli State University. Doctor of Engineering

## ASPECTS OF THE FORMATION OF THE COSTUME

The article analyzes the issues of artistic and non-artistic formation of costume as the subject of material value, practical and daily reality. The non-artistic appearance of the costume does not contain the essence of the artistic idea, whereas the artistic look is aesthetically transformed, subjectively created and perceived. The aesthetic initial of costume according to the designer's intention may be superior or vague. The costume as a multifunctional subject reflects his attitude to the universe. Therefore, it can be considered in a variety of ways: as clothing, presentation method, artistic work, etc. In this article costume is discussed in relation with the reality and contemporary culture aesthetics, as a result of fashion and modern artistic interaction. It is presented possible ratio of artistic and non-artistic in the costume style and is shown the change of this ratio in the traditional and modern cultures. In terms of artistic and non-artistic themes, costume is considered as a uniform human image comprising the body, clothing, and its supplement to the arts and fashion industry.

The costume as an artistic image of the subject can be differently presented according to the types of art. It can be an image, representation of the classical art and modernism, can be presented in detail, and at the same time may have typical peculiarities, especially in terms of stylization.

The creation, existence and perception of the costume is developed within the traditional and modern culture, whose historic border is determined by the Italian Renaissance or European Middle Ages, when the origin of the "existence" originated and the concept of national tradition was formed. Traditional culture implies the two vectors of the costume in this study: the most close to the reality and everyday life and the varied traditional costumes. Modern culture is represented by mass fashion universal costume and artistic costume.

In the traditional culture the costume was distinguished by the unproductive links with daily human activity.

Artificial non-formal forms of the body were artificially improved which would transform the costume to the information source of humanistic qualities. The mystical and sacred faces of traditional culture have contributed to strengthening the artistic side of the costume, which was perceived as an aesthetic pattern and contradicted everyday reality. The duality of the natural-cultural value of the costume is still maintained, and it changes in connection with scientific-technical progress.

Fashion, in its artistic failure, more often uses traditional values. The ethnic costume is becoming more and more the source of creativity which is conceptualized by the idea of its intentions. Its completed form was formed during the development of national identification. This stage is characterized by motifs that give us the natural and functional characteristics of the particular ethnic group and characteristics of traditional culture. The ancestors experience accumulated by generations in the artistic form of the costume is set as historical information, which is perceived today as a symbolic communicative monologue.

Thus, in the context of artistic feature, costume research can express the ambivalence of his position in real reality because of the proximity to the non-artistic image. Costume as a complex item, contains the ability to present and develop human spiritual world through artistic clothing.



ელისო ჩუბინიძე, ირინა უბრაქელიძე, ანა დოლონაძე,  
მარბალიტა მსხილაძე, ნონა ქარციძე

## ნამაგრი სითვის სახეები ქართულ ოქროქარგულობაში

ძველ ქართულ ნაქარგობაზე ძირითადი ადგილი ნაქარგობის იმ სახეობას უჭირავს, რომელსაც „ნამაგრი სითვი“ ეწოდება. ქარგვის ეს ტექნიკური ხერხი, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ნათლად მიგვანიშნებს, რომ ხორციელდება ერთი სახეობის ძაფის მეორე სახეობის ძაფით (დამხმარე ძაფით) ჩამაგრების გზით. ქარგვის პროცესი ქარგაზე მიმდინარეობს და მის ზომას განსაზღვრავს მოსაქარგი არის სიდიდე. ნაქარგობის რთულ კომპოზიციებს მხატვარი ასრულებს. ისტორიულად ასეთ პიროვნებებს „სახეთა გამომყვანები“ ერქვათ, ხოლო ნაქარგობაზე წარწერის დამწერებს – „სიტყვათა დამწერი“ ეწოდებოდათ. ამოსაქარგი გამოსახულებების დატანა ხდება ქარგაზე გადაჭიმულ ქსოვილზე. მოსაქარგი სახეები ერთდროულად ფიქსირდება ქსოვილსა და სამუშაო ტილოზე წვრილი გვირისტებით. უძველესი საქარგავი მასალა, რომელსაც ნამაგრი სითვით ქარგვის დროს გამოიყენებდნენ, ოქროსა და ვერცხლის თმა ან ოქრომკედი და ვერცხლმკედი იყო. „მკედი“ აბრეშუმის მომსხო ძაფს წარმოადგენს, რომელზეც მიჯრით დახვეულია გაბრტყელებული ოქროს თმა, ე.წ. სხეპლა. ოქრომკედით სრულდება მხოლოდ ერთმხრივი ნაქარგობა – ნამაგრი სითვი, რადგან ქსოვილში ლითონის ძაფის გატარების შედეგად შესაძლოა დაზიანდეს, როგორც ქსოვილი, ისე ოქრომკედი [მელიქიშვილი ი. 2011:].

ქარგვის პროცესის დაწყებამდე აუცილებელია ოქრომკედის ჩამაგრება დასაქარგი ქსოვილის ზედაპირზე. ჩამაგრება სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ლითონის ძაფებს წაღმა პირზე ამაგრებენ, ძალზე იშვიათად იყენებენ ქსოვილში გასატარებლად. ზოქრომკედი შეიძლება ჩამაგრდეს უკუღმა პირზე (როდესაც შესაძლებელია ქარგის უკუღმა პირზე გადაბრუნება), რისთვისაც ის მსხვილყუნწიანი ნემსის საშუალებით, ან დამხმარე ძაფის მარყუჭით გაეყრება ქსოვილში, იმ ადგილზე, საიდანაც უნდა დაიწყოს ნაყში და დამხმარე ძაფის (რომელიც თავის მხრივ უკვე ჩამაგრებულია) პატარა გვირისტულებით ჩამაგრდება. დიდ ზომის ნაქარგობაზე მუშაობისას (როდესაც შეუძლებელია ქარგის უკუღმა პირზე გადაბრუნება) ქსოვილის წაღმა პირიდან უკუღმა პირზე გატანილი ოქრომკედის ბოლოს ამაგრებენ დამხმარე ძაფის 2-3 პატარა გვირისტულის საშუალებით, იმ ადგილზე, რომელიც შემდგომ დაიფარება ნაქარგობით (სურ. 1, ა). ოქრომკედის ჩამაგრება ასევე შესაძლებელია დამხმარე ძაფის ჩამაგრებასთან ერთად განხორციელდეს. ამისათვის ქსოვილის უკუღმა პირზე გატანილი ოქრომკედი უნდა მოეტანას დამხმარე ძაფის გვირისტულაში. ამ უკანასკნელის წაღმა პირზე დარჩენილ მოკლე ბოლოს ჩამაგრების შედეგად (მეორე პატარა გვირისტულით, ან პირველი გვირისტულის მართობულად გაკეთებულ გვირისტულაში მოტნევით) ოქრომკედი დაფიქსირდება ქსოვილის უკუღმა პირზე (სურ. 1, ბ). ამ დროს შეიძლება რამდენიმე დამატებითი გვირისტულის გაკეთება, რითაც ნამაგრი უფრო მტკიცე ხდება (ეს ადგილი იფარება ნაქარგობით).

ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ქარგვის ტექნიკა ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ მთელი მრავალფეროვნება შესაძლოა დაყვანილ იქნას სამ ძირითად სახეობაზე, ესენია: სიპით ნაქარგი, ანუ ნაჭედი სითვი, გაყოფილი სითვი და რელიეფური სითვი (სურ. 2).

სიპით ნაქარგი (მოყინული), იგივე ნაჭედი სითვი – გლუვი ოქროვანი ნაქარგობაა, რომელიც ტოვებს ნაჭედის შთაბეჭდილებას და ახასიათებს გრაფიკულობა. ის წარმოიქმნება ორი სახის ძაფის – საქარგავი ოქრომკედისა და სამუშაო (ჩასამაგრებელი) ძაფის გარკვეული წესით მოძრაობისა და გადახლართვის შედეგად. ჩასამაგრებლად გამოიყენება შლილი აბრეშუმის ძაფი. სამუშაოს

დანყებამდე ხდება საქარგავი დაფის – ოქრომკედის ჩამაგრება ქსოვილზე ზემოთ აღწერილი (სურ. 1) რომელიმე ხერხის საშუალებით. ამის შემდეგ გამოიყენება ნამაგრი სითვის ტექნიკა, რომლის დროსაც ოქრომკედის ერთი, ორი ან სამი წვერი ნახატის კონტურის მიხედვით პარალელურ ბმულადებად ეფინება დასაქარგ არეზე და სამუშაო დაფით მაგრდება ქსოვილზე, მოსაქარგი გამოსახულების კონტურის გასწვრივ. ჩამაგრების სხვადასხვა წესი არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჩასამაგრებელი დაფის ოქრომკედზე შემოტარების მიმართულებით:

ა. ნემსი – სამუშაო დაფით უკულმა პირიდან ამოდის ნახატის კონტურის ხაზზე, შემოტარდება ოქრომკედის ირგვლივ – იმ მიმართულებით, როგორც ნაჩვენებია სურ. 3, ა-ზე, იმავე ნასვრეტით ბრუნდება უკან და თან მოჭიმავს ოქრომკედს. ამის შემდეგ მასრა ოქრომკედით უნდა გადაიდოს საპირისპირო მხარეს და ყველაფერი განმეორდეს თავიდან. ამ დროს საყურადღებოა ჩასამაგრებელი დაფის ოქრომკედზე შემოტარების მიმართულება: როდესაც ოქრომკედი დაეფინება ვერტიკალურად, ნემსი სამუშაო დაფით ამოდის ქსოვილიდან ოქრომკედის მარჯვნივ, შემოეხვევა მას და ოქრომკედის მარცხნივ – იმავე ნასვრეტით ბრუნდება უკან. ჰორიზონტალურად განლაგებული ოქრომკედის ჩამაგრების შემთხვევაში ნემსი სამუშაო დაფით ამოდის ქსოვილიდან ოქრომკედის ზედა მხარეს, უკან ბრუნდება მის ქვედა მხარეს, იმავე ნასვრეტით. ე.ი. ნემსი ყოველთვის აკეთებს მოძრაობას უკან – ოქრომკედის დაფენის მიმართულების საწინააღმდეგოდ. ამ დროს ოქრომკედი სულ უმნიშვნელოადაა გასული უკულმა მხარეს, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სამუშაო დაფის დაჭიმულობის შეგრძნობა.

ბ. ოქრომკედის ბოლოს ქსოვილის უკულმა პირზე ჩამაგრების შემდეგ, ამ წერტილის საპირისპირო მხარეს – ნახატის კონტურზე ნემსი, სამუშაო დაფით, უკულმა პირიდან გამოტარდება წალმა პირზე, შემოუვლის ოქრომკედს ირგვლივ, იმ მიმართულებით, როგორც ნაჩვენებია სურ. 3, ბ-ზე და ისევ გატარდება უკულმა მხარეს, წინა ნასვრეტის მახლობლად (ამ დროს ნემსი იგივე ნასვრეტით არ ბრუნდება უკულმა მხარეს – ოქრომკედის ქსოვილში გატარების თავიდან აცილების მიზნით), რის შემდეგაც ნემსი ორნამენტის საპირისპირო მხარეს კვლავ გამოტარდება წალმა პირზე, მაგრამ არა ოქრომკედის წინა ბმულადთან მიჯრით, არამედ მისგან მოშორებით – ოქრომკედის სისქის ტოლ მანძილზე, წერტილში 1 (სურ. 3, გ). ამავდროულად მასრა ოქრომკედით უნდა გადაიდოს საპირისპირო მხარეს და ოქრომკედი დასაქარგ არეზე დაეფინოს წინა გვირისტულის პარალელურად. ნემსი სამუშაო დაფით შემოტარდება ოქრომკედის ირგვლივ, ისე როგორც ნაჩვენებია სურ. 3, გ-ზე და ისევ გატარდება უკულმა მხარეს, წინა გვირისტულასთან მიჯრით, წერტილში 2, ე.ი. ნემსი აკეთებს ბიჯს უკან. ამის შემდეგ პროცესი მეორდება. თუკი ჩამაგრება სწორადაა შესრულებული, მაშინ ოქრომკედი თავად მოტრიალდება საჭირო მხარეს.

გ. ნამაგრი სითვით ქარგვისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც ერთწვერი, ისე ორწვერი დაფი. ორწვერი ოქრომკედის ჩასამაგრებლად უმჯობესია სამუშაო დაფის ჩასამაგრებელი გვირისტულა განლაგდეს გამოსახულების კონტურის მართობულად, როგორც ნაჩვენებია სურ. 3, დ-ზე. გვირისტულას სიგრძე მილიმეტრზე მცირე უნდა იყოს. ორმაგი ოქრომკედით ქარგვისას საყურადღებოა, რომ არ მოხდეს ოქრომკედის დაფის გადაგრეხვა.

ბმულადები უნდა დალაგდეს ძალიან მჭიდროდ, დაცილების გარეშე, ან ერთმანეთის გადაფარვის გარეშე. ჰორიზონტალური ფიგურების ქარგვისას სამუშაო სრულდება მარცხნიდან მარჯვნივ, ოქრომკედი დაეფინება ვერტიკალურად; ვერტიკალური ფიგურების ქარგვისას – იქარგება ქვევიდან ზევით. ოქრომკედი დაეფინება ჰორიზონტალურად. ამ დროს ძალზე საყურადღებოა და აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტი: ჰორიზონტალურ ფიგურებში, როდესაც ოქრომკედი სიმაღლეზეა (ვერტიკალურად) განლაგებული უფრო ძლიერ მოიჭიმება ქვედა ჩასამაგრებელი დაფი, ხოლო ზედა უფრო ნაკლებად. შესაბამისად, ჰორიზონტალურად დაფენილი ოქრომკედის ჩამაგრებისას მარჯვნივ განლაგებული ჩასამაგრებელი დაფი მოიჭიმება უფრო ძლიერ,

ვიდრე მარცხნივ. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქარგი ორნამენტის კონფიგურაცია ტალღოვანი, ან დახვეულია, ოქრომკედი უნდა დაეფინოს მარაოსებრად: სიმრგვალის შიგა (უფრო პატარა) მხარეს გვირისტულები ერთმანეთთან ძალზე მჭიდროდ ლაგდება, ხოლო გარე მხარეს – თანაბრად გაშლილია, ამავდროულად გვირისტებს შორის ადგილი (ლრეჩო) არ უნდა დარჩეს. ასეთი ზედაპირის ფაქიზად და თანაბრად დაქარგვისათვის აუცილებელია წინდანი ტალღოვანი ფორმის ნიმუშებზე ვარჯიში.

გაცოფილი სითვი ჩამაგრებით სრულდება – გაცოფის ადგილზე სამუშაო ძაფით ოქრომკედი ქსოვილზე ჩამაგრებულია მოჭიმვით (ამ დროს არ ჩანს ჩამაგრების ძაფი და ოქრომკედი ჩაყვანილია ქსოვილის ზედაპირში) და წარმოქმნილია რელიეფური ნაქარგი (სურ. 4). ჩვეულებრივ გაცოფილი სითვი ნაფენით (თოკის, ან მუყაოს ნაფენით) სრულდება. სტილიზებულ მცენარეულ ორნამენტში გაცოფის მთლიანი, უწყვეტი ხაზი როგორც წესი სრულდება ფოთლებისა და ყვავილის ფურცლების შუახაზზე. ეს ხაზი ზოგჯერ კლანჭურით, ან კილიტებით იფარება.

გაცოფილ სითვს ფორმების შესავსებად იყენებენ (სურ. 5). ორნამენტის ფრაგმენტი შევსებულია ერთნაირი ზომის გამყოფი ხაზებით, რომლებიც განლაგებულია ჭადრაკულად, ერთმანეთთან მიჯრილი ოქრომკედის ბმულადების დათვლით.

ჩამაგრების ბმულადების სხვადასხვაგვარი განლაგებით შესაძლებელია წარმოქმნილ იქნას ესა თუ ის ნაყში და ორნამენტი. ნამაგრი სითვი ძირიადად კეთდება ნაფენზე. ნამაგრი სითვით ქარგვისას ჩასამაგრებელი ძაფი არ არის დაჭიმული, არამედ დატოვებულია ქსოვილის ზედაპირზე თავისუფლად. სამუშაო ძაფის ბმულადები მოჭიმვისას წარმოქმნიან ჩაზნექილ ხაზს, ხოლო ოქრომკედის ბმულადები მბზინავ, რელიეფურად ამოზიდულ ზედაპირს. ძაფის დაჭიმულობის მიხედვით შეიძლება მიღებულ იქნას მეტნაკლებად რელიეფური ორნამენტი. როდესაც უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი გამოსახულების და არა რელიეფის მიღებაა საჭირო, ჩასამაგრებლად გამოყენებული უნდა იქნას კონტრასტული ფერის აბრეშუმის ორწვერი ძაფი. ოქრომკედი ძლიერ არ იჭიმება, ჩამაგრების ბმულადები მკაფიოდ მოჩანს და წარმოიქმნება ოქროს ფონზე აბრეშუმით ნაქარგი ნაყშის შთაბეჭდილება.

რელიეფური სითვი სრულდება ოქროსა და ვერცხლის თმის, ოქრომკედისა და ვერცხლმკედის ქვეშ, დასაქარგ ქსოვილზე სასურველი რელიეფის შესაბამისი ნაფენის დადებით. ნაფენი შეიძლება იყოს ძაფის (სხვადასხვა სისქის ბამბის შეგრეხილი ძაფი), მუყაოს, ქალაღის, ბანრის. სწორედ ამ ტექნიკური ხერხების გამოყენებით ლებულობენ სხვადასხვა სისქის რელიეფურ ნაქარგობას. ოქრომკედის ქვეშ სასურველია ყვითელი ნაფენის (ძაფის ან მუყაოს) დაფენა, ვერცხლმკედის ქვეშ – ნაცრისფრის, რათა შეუმჩნეველი იყოს ოქრომკედის ან ვერცხლმკედის გაცვეთის, ან მეჩხერად განლაგების შემთხვევაში.

რელიეფური სითვით ქარგვისას, როდესაც ნაფენად ბამბის ძაფია გამოყენებული, საჭიროა ნახატის კონტურის წინასწარ შემოგვირისტება, დასაქარგი არის ნაფენის ძაფით დალიანდაგება, თანაბარი სიმჭიდროვის საბლანდავი გვირისტით (სურ. 6) და შემდეგ ოქრომკედით მოსითვა.

ნაფენად მუყაოს გამოყენების შემთხვევაში მუყაო უნდა იყოს მყარი და არამსხვრევადი. მუყაოს ნაცვლად ხშირად იყენებენ სხვადასხვა მასალას: სქელ ტილოს, ტყავს, რამდენიმე ფენა ქალაღს, არყის ხის ქერქს, თექას და სხვა უქსოვად მასალას. მუყაოზე დაიტანება ორნამენტის ნახატი და გამოიჭრება ძალზე გულდასმით, ფაქიზად. თუკი კომპოზიციის მიხედვით მოყინული სითვი (სურ. 7) უნდა გაკეთდეს, მაშინ შესაძლებელია მუყაო ქსოვილზე იქნას დანებებული. დანებება ძალზე ფაქიზად უნდა განხორციელდეს, რათა ქსოვილზე არ დარჩეს ნებოს კვალი. როდესაც ორნამენტული ნამაგრი სითვია საჭირო, უმჯობესია მუყაოს მიწებება სახამებლის ან პოლივინილაცეტატის ნებო-ემულსიით, რადგანაც ეს ნებოები არ წარმოქმნიან მაგარ აპკს. დანებებისას საჭიროა დეტალის

რამდენიმე ხნით სიმძიმის ქვეშ დაყოვნება. ასევე, შეიძლება რამდენიმე ადგილზე, განსაკუთრებით იქ, სადაც ნახატს მახვილი კუთხე აქვს, მუყაო წმინდა დაფით დაეკეროს ქსოვილზე. მუყაოზე წინასწარ დაიხატება ნახატი, ნაყში და მოიქარგება მოყინული (სურ. 8, ა), ან გაყოფილი სითვით (სურ. 8, ბ). ამ დროს აუცილებელია მუყაოს გასახვრეტად სადგისის გამოყენება. დაფისა და თოკის ნაფენზე ქარგვისას ჩამაგრებას ახდენენ დაფების დათვლით.

ბანარზე რელიეფურად ქარგვისას ნაფენად გამოიყენება მსხვილი დაფები, წვრილი ბანრები, ან თასმები (ყაითნები).

ნახატს ავსებენ თოკის თანაბრად დაცილებული რიგებით, რომელთაც ამაგრებენ ნაპირა გვირისტით. შემდეგ თოკების მართობულად მჭიდროდ განლაგებენ ოქრომკედს, რომელსაც ამაგრებენ თოკებს შორის, ნაყშის შესაბამისად – თოკების დათვლით (სურ 10). თოკზე ქარგვისას უფრო რელიეფური ორნამენტი მიიღება. განსაკუთრებით მაღალი რელიეფი წარმოიქმნება, როდესაც ნამაგრი სითვით ქარგვისას ოქრომკედი კარგადაა გადაკრული ნაფენზე და მოჭიმულია ისე, რომ ქსოვილში შესულია და სამუშაო დაფი ზედაპირზე არ ჩანს. რაც უფრო მსხვილია თოკი, მით მოცულობითია ნაქარგობა [ჩუბინიძე ე. 2017].

როცა ნაფენი წვრილი თოკით, ან წვრილი თასმით კეთდება, ის შეიძლება უკულმა პირზე გატარდეს და ორმხრივი სითვის მსგავსად, შედარებით მეჩხერად დაიფაროს ნახატი. მსხვილი თოკის გამოყენების შემთხვევაში, მას ზევდან აფენენ და ამაგრებენ თანაბრად განლაგებული, მოუჭიმავი, მეჩხერი ირიბი გვირისტულებით. ასეთი ჩამაგრების შემთხვევაში ნაფენი არ შეიცვლის მდგომარეობას და შემდგომში, ოქრომკედით დამუშავებისას არ დაირღვევა ორნამენტის მოცულობითი ფორმა, ნაყში.

თოკები შესაძლოა სხვადასხვაგვარად განლაგდეს, ერთმანეთთან მჭიდროდ, ან შედარებით მეჩხერად, მოთხოვნილი ეფექტის შესაბამისად, მაგრამ აუცილებლად ერთნაირად ცალკეული ფრაგმენტისათვის. თოკის ნაფენით ქარგვა გამოიყენება ნახატის ირგვლივ შემოსაქარგად. ამ დროს ნახატის კონტურზე მაგრდება თოკი, ან თასმა, რომელიც შემდეგ ოქრომკედით დაიფარება დაბალი რელიეფური სითვით.

ხშირად ორნამენტის დეტალებს, რომლებიც ნაფენზეა შესრულებული შემოკალმავენ ოქრომკედის გრეხილი თასმით. გრეხილს ამაგრებენ უშუალოდ ქსოვილზე, შეუმნეველი მეჩხერი გვირისტულებით. ხანდახან ოქრომკედით შემოკალმვისას აკეთებენ პატარა მარყუჟებს, რომლებსაც ამაგრებენ შეხამებული ფერის პატარა გვირისტულებით (სურ. 10). ასეთი შემოკალმვა აუმჯობესებს ორნამენტის სქელი ფორმიდან ქსოვილზე გადასვლის ადგილის გარეგნულ სახეს.

რელიეფური ნაქარგობის სახესხვაობაა მაღალი ნაფენით ქარგვა, რომლითაც მიიღება უფრო მოცულობითი ეფექტი. ამ სახეობის ნაქარგობისათვის ცალკე ამზადებენ ფორმას მუყაოს ან სქელი ქსოვილის რამდენიმე ფენისაგან. მასზე შემოჭიმავენ და დაამაგრებენ ოქრომკედით ნაქარგ ქსოვილს. შემდეგ კი მზა ფორმას მიაკერებენ საჭირო ადგილზე. უფრო ხშირად ამ სახეობას იყენებდნენ უნაგირის, ასალის, გადასაფარებლების და მისთანათა დასაქარგავად, უფრო იშვიათად საეკლესიო ნივთებისათვის. სრულდება მძიმე ქოვილებზე – ხავერდზე, მაუდზე, მჭიდრო ოქროქსოვილებსა და ტყავზე [მელიქიშვილი 2016:].

როგორც ვხედავთ, ოქრომკედით ქარგვის ტექნიკა არსებითად განსხვავდება ქარგვის სხვა ტექნიკებისგან. მეთოდიკა ხელმისაწვდომი არ იყო ქართული ნაქარგობის ტექნიკით დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ქართული საეკლესიო ქარგულობის მეთოდებისა და ხერხების თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექნიკის სრულფასოვანმა შესწავლამ მნიშვნელოვნად უნდა განსაზღვროს თანამედროვე ქართული საეკლესიო და საერო ნაქარგობის სტილი და მხატვრული ღირებულება. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ შედგენილი მეთოდური მითითება

დახმარებას გაუწევს ქართული ტრადიციული ნაქარგობის შესწავლის მსურველთ და მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ თავიდან ავიცილოთ სამოყვარულო დონეზე სწავლების მოკლე კურსის დროს წარმოშობილი მოსალოდნელი შეცდომები.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლანჩავა ო., ჩუბინიძე ე., უგრეხელიძე ი. და სხვ. „ძველი ქართული ნაქარგობა“ ქუთაისი. 2017.
2. მელიქიშვილი ი. და სხვ. „ქართული ნაქარგობა“ თბ. 2011.
3. მელიქიშვილი ი. და სხვ. „მხატვრული ქარგვა“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თბ. 2016.
4. ჩუბინიძე ე., უგრეხელიძე ი. „ქართული ნაქარგობის ტექნიკა“ ქუთაისი. 2017.

ELISO CHUBINIDZE, IRINA UGREKHELIDZE, ANNA DOGHONADZE,  
MARGALITA MSKHILADZE, NONA KARTSIDZE

### KINDS OF SATIN STITCH IN GEORGIAN GOLDWORK


Techniques of doing satin stitch seem to take a prominent part in old Georgian needlework, which is carried out with an outline of one kind of yarn woven in and out of another one. Traditionally embroiders used gold twine or silver thread while doing satin stitches. Variety of techniques of embroidery through goldthread and silver thread can be limited to the following: chain satin stitch, outline stitch and padded satin stitch.

Chain satin stitch is a sewing and embroidery technique in which a series of looped stitches form a tight chain-like pattern. It is smooth-surfaced couchwork in gold thread, which leaves the impression of hammer forged metal patterns without overlapping and with minimum separation between loops. The beginning and end of goldthread stitches are fixed through fastening the yarn and hiding them inside the pieces.

Outlined Satin stitches are separated on a small part and goldthread is fastened via additional thread that is invisible and goldthread is woven inside the cloth. Outlined satin stitch (with a layer of rope and cardboard) is a stitch made by overlapping backstitches with a pattern like the twist of a rope and shaded satin stitch and form a highly padded satin stitch.

Highly padded satin stitch is goldthread or silver thread embroidery on the cloth with the layers of cardboard, paper rope so that its shape could be raised in high relief. Padded satin stitch varies accordingly in compliance with the s layers and form diversity of padded satin stitches.


We have already explored techniques of goldthread embroidery and schemes of making satin stitches were demonstrated for visual effect. We hope that methodology will contribute a lot to traditional embroidery as well as stakeholders.




სურ. 1. ოქრომკედის ჩამაგრება




სურ. 2. ოქრომკედით ნაქარგობის სახეობები: ა — სიპით ნაქარგი, ანუ ნაჭედი სითვი; ბ — გაყოფილი სითვი; გ — რელიეფური სითვი




სურ. 3. სიპით ნაქარგი (მოყინული) – ნაჭედი სითვი



სურ. 4. გაყოფილი სითვი




სურ. 5. ჭადრაკული გაყოფილი სითვით შევსებული ფრაგმენტი




სურ. 6. რელიეფური ნაქარგობა ძაფის ნაფენზე




სურ. 7. მოყინული რელიეფური სითვი



სურ. 8. რელიეფური ნაქარგობა მუყაოს ნაფენზე; ა — მოყინული სითვით; ბ — გაყოფილი სითვით



სურ. 10. მარყუფებით შემოკალმული ორნამენტის ფრაგმენტი



სურ. 9. რელიეფური ნაქარგობა ბანრის ნაფენზე

ირინა უბრაშელიძე

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ასოც. პროფესორი  
სალომე ჭიჭიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ვოლონტერი

## მოდერნის სტილის კაბა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ტანსაცმლის კოლექციიდან

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული ტანსაცმლის კოლექციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროპული სტილის კაბებს, რომელთა შორის გაფორმების ორიგინალობითა და ფერის ჟღერადობით გამორჩეულია ერთ-ერთი ნიმუში (№ 8984/49) – ნარინჯისფერი კრეპდინის ქსოვილის საღამოს კაბა (სურ. 1), შემოსული 1980 წელს, მარგარიტა ტერ-აბრამოვის ოჯახიდან (ქ. ქუთაისი). სამწუხაროდ, ცნობილი არ არის ნიმუშის დამზადების დრო და ადგილი.

კაბა სწორი სილუეტისაა, გრძელი, წელის ხაზს ოდნავ ზემოთ გადაჭრილი, ასიმეტრული კალთით, ქვედა ნაწილი მცირედ მინაოჭებული, ისე, რომ წარმოქმნილია ე.წ. „ბუტილკის“ ფორმა; კალთა ასიმეტრული ორი ნაწილით; სახელო კიმონოსებური, კალთასთან ერთად მთლიანად გადაჭრილი, იდაყვამდე სიგრძის, ბოლოვდება მანჟეტით; საყელოს გარეშე, ყელის მრუდი ნაოჭასხმული; ზურგი ორნაწილიანი; კალთის ასიმეტრული შესაკრავი განლაგებულია მარცხენა მხარეს, შეხსნილია თეძოს ხაზამდე, იკვრება კნოპებით; ამალღებული წელის ხაზი დაფიქსირებულია ბაფთისებურად გამოკვანძული ქამრით. კალთის ზედა ნაწილი გულ-მკერდის არეში გაფორმებულია ტრაპეციული ფორმის სპილოსძვლისფერი მაქმანის ქსოვილით; ამავე მასალის გაცილებით დიდი ტრაპეციული ნაჭრით გაფორმებულია კაბის ქვედა ნაწილი, თითქმის მთელი გარშემოწერილობის ირგვლივ. მაქმანით გაფორმებულია ასევე მანჟეტები.

მართალია, ნიმუშის დამზადების დრო და ადგილი უცნობია, მაგრამ ის ერთი შეხედვისთანავე აღძრავს გასული საუკუნის დასაწყისის ფრანგული მოდის ასოციაციას – თვალწინ გვიდგება მოდური კოსტიუმები ძველი ჟურნალების ფურცლებიდან (სურ. 2, ა-ბ), საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ კი გარკვეული დასკვნების გაკეთებაც არის შესაძლებელი.

საღამოს კაბის დამზადების დროისა და ადგილის დადგენის მიზნით გავეცანით და გავაანალიზეთ გასული საუკუნის დასაწყისის ევროპული მოდების ჟურნალების, მოდელიორებისა და მოდების სახლების ნამუშევრები. მათი საფუძვლიანი შეჯერების შედეგად გამოვლინდა, რომ მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული კაბა აშკარად იმ მოდელის მიხედვითაა შექმნილი, რომელთა ავტორები მაღალი მოდის კანონმდებლები, ერთგვარი დიქტატორები იყვნენ და ევროპის ყველაზე ცნობილი პირების და საერთოდ, მაღალი საზოგადოების შემოსვაზე ზრუნავდნენ. მსგავსი კაბები მრავლად გვხვდება ცნობილი ფრანგი კუტიურების ჟანა პაკენის (სურ. 2, გ-ე), პოლ პუარეს (სურ. 2, ვ-ი), პეტერბურგელი მოდელიორის ნადეჟდა ლამანოვას (სურ. 2, კ-მ) და სხვათა 1906-1914 წლების კოლექციებში [2, 3, 4]. სურ. 1 და სურ. 2-ის შედარება თვალნათლივ წარმოაჩენს ქსოვილების ფონდში დაცული ნიმუშის მსგავსებას ევროპული კაბებთან (ა, გ და კ მოდელები სურ. 2-დან თითქმის იდენტურია მუზეუმის ნიმუშისა). უფრო მეტიც, ნიმუშის გარეგნული სახე ზუსტად შეესაბამება XX ს-ის დასაწყისის მოდური სამოსის სილუეტისა და ფორმის აღწერილობას, რომლის მიხედვით საუკუნეთა მიჯნაზე გაბატონებული „მოდერნის“ (იგივე „არტ ნუვო“) სტილში, რომელშიც

დომინირებული იყო ფიგურის S -სებრი – გულმკერდის არეში წინ წამოწეული და წელს ქვევით უკან ბაფთებით, „ტიურნურებით“ ან სხვა დამატებითი ელემენტებით აფუებული პლასტიკური სილუეტი, 1906-08 წლებიდან თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ. ამ ტენდენციის მიხედვით მოდური გახდა კაბა – გაფართოებისა და ყოველგვარი აქცენტების გარეშე თქმის არეში, ქვევით უმნიშვნელოდ შევიწროებული (ე. წ. „ბუტილკა“), მცირედ ამალღებული წელის ხაზით, ფართო სახელო-კიმიონთი. მოდერნის წინა ტენდენციიდან შენარჩუნებულ იქნა მკერდის ქვევით, ქამართან ოდნავ მოშვებულად მდგომი ლიფი [5]. ასეთი ტენდენცია პირველად მაღალი მოდის კუტიურიემ – ჟანა პაკენმა შემოიტანა ფრანგულ მოდაში. მას მალე გამოუჩნდა მიმდევრები. აღნიშნული სტილი ხელოვნებისა და კოსტიუმის ისტორიაში ცნობილი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნის ნეოკლასიციური პერიოდში გაბატონებული მიმდინარეობების – „დირექტორიისა“ და „ამპირის“ სახეცვლილ, სტილიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა (სურ. 2, ნ-ო). ეს მიმდინარეობები თავის მხრივ, ბერძნული ესთეტიკისა და ანტიკური სილამაზის იდეალებისადმი ინტერესითა და ანტიკური ხელოვნების ნიმუშებით იყო შთაგონებული [6]. კოსტიუმის სილუეტისა და ფორმების სტილიზებული სახით განმეორება გარკვეული პერიოდულობით, სრულიად კანონზომიერია მოდის დინამიკის ციკლური ხასიათის გამო.

ამრიგად, ქსოვილების ფონდში დაცულ ნიმუშში აშკარად გამოხატულია ევროპული, კერძოდ, ფრანგული მოდის ძირითადი ნიშნები: გამეორებულია სილუეტი, ამალღებული წელის ხაზი, სახელო-კიმიონო და გაფორმება, რაც ნიმუშის დათარიღების გარდა, იმის საშუალებას იძლევა, რომ დავასკვნათ: ქუთაისში ევროპული მოდა არც თუ დიდ დაგვიანებით აღწევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის დასაწყისის საქართველოში ევროპული მოდის მიმდევრობა და ფრანგული კაბების გამოყენება გასაკვირი არ არის, რადგან ჯერ ერთი – ამ დროისათვის ქართული ტრადიციული ჩაცმულობა სრულიად ჩაანაცვლა ევროპული სტილის სამოსმა. საქართველოს ქალაქებში XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან უკვე დამკვიდრდნენ ევროპიდან ჩამოსული სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სამკერვალო საქმეში, მოღვაწე ოსტატები და ჩამოაყალიბეს სახელოსნოები. ქალის ევროპული ტანსაცმლის მკერავები „მოდისტების“ სახელით იყვნენ ცნობილი და XIX საუკუნის ბოლოსათვის ისინი ქუთაისშიც იყვნენ ფეხმოკიდებული. ახალი მოდის კაბები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც იმ დროის გერმანიასა და საფრანგეთში ეცვათ; მეორე – გადმოცემის მიხედვით, შეძლებული ოჯახები ტანსაცმელს პეტერბურგიდან და პარიზიდან იწერდნენ და ბოლოს, გასული საუკუნის დასაწყისისათვის, საქართველოს საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ეკონომიკური კავშირთიერთობა ჰქონდა ევროპის ქვეყნებთან, კერძოდ, საფრანგეთთან, საბერძნეთთან და გერმანიასთან. ქუთაისში ამ პერიოდში წარმატებით საქმიანობდნენ სომეხი ვაჭრები, მათ შორის იყო მეორე გილდიის ვაჭარი ფარსადან ავსარქისოვი, რომელსაც საქონელი იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოჰქონდა. სწორედ მისი ოჯახიდან არის შემოტანილი ზემოაღნიშნული საღამოს კაბა (მარგარიტა ტერ-აბრამოვი ფარსადან ავსარქისოვის შვილილშვილია). აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავთ კაბის საფრანგეთიდან შემოტანის შესაძლობასაც. მისი ფრანგული წარმოშობის შესახებ მოსაზრებას ფორმისა და სილუეტის გარდა ფერიც ამყარებს. ამ პერიოდში ქართული ტრადიციული ტანსაცმლის ხმარებიდან ამოღების მიუხედავად, ეროვნული ჩაცმულობის ცალკეული ელემენტები თავის აქტუალობას არ კარგავდა და ახალი სტილის სამოსში იყო შენარჩუნებული. ეს განსაკუთრებით ტრადიციულ წელზე მომდგარ სილუეტსა და გაჯერებულ ფერთა გამას ეხება. როგორც ვხედავთ, ამ ორი ნიშან-თვისებიდან, მუზეუმში დაცული კაბის შემთხვევაში, არც ერთის შესაბამისობას ადგილი არ აქვს. გაჯერებული ფერის ნაცვლად ამ ნიმუშში სრულიად განსხვავებული, კაშკაშა ნარინჯოვანი ფერია გამოყენებული, რომელიც არც თუ ტრადიციული იყო ქართველი ქალბატონებისათვის.

როგორც ვხედავთ, საკითხის ანალიზი და გასული საუკუნის დასაწყისის ფრანგი კუტიურიების



კოლექციების საფუძვლიანი გაცნობა-შეჯერება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქუთაისის მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული ნარინჯისფერი კაბა ნამდვილად XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება და შექმნილია მოდერნისტული სტილის ერთ-ერთი ფრანგული ტენდენციის მიხედვით და გამორიცხული არა არის, რომ შემოტანილია საფრანგეთიდან.

კაბის კონსტრუქცია საკმაო სიმარტივით გამოირჩევა — ზედა ნაწილი კვადრატს წარმოადგენს, რომელსაც კუთხეები სეგმენტურად აქვს მოკვეთილი, ხოლო ქვედა ნაწილი ტრაპეციული ფორმისაა (სურ. 3).

დამუშავების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კაბის ნაკერები: შემაერთებელი ნაკერები შესრულებულია მანქანური გვირისტიტით; ქვედა ნაპირი ორმაგად დახურულია და დამუშავებულია ხელის დეკორატიული გვირისტიტით (სურ. 4); ასეთივე დეკორატიული გვირისტი არის გამოყენებული საქობით დამუშავებული კალთის შეხსნილის ზედა ფენისათვის. ქვედა ფენის ნაპირი დამუშავებულია თამასით, რომელიც შეერთებულია კალთასთან მანქანური გვირისტიტით, ხოლო თამასის მეორე ჩაკეცილი ნაპირი დამუშავებულია ხელის ამომხვევი გვირისტიტით (სურ. 5). ხელის დეკორატიულ-გასაფორმებელი გვირისტიტით არის დამუშავებული კაბის ქვედა ნაწილის მარცხენა ნაკერი, რომელშიც მოტნეული მაქმანი (სურ. 6).

როგორც ვხედავთ, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდში დაცული საღამოს კაბა (ინვ. №8984/496) ეფექტური ფერთა და გაფორმებით, საინტერესო მოდელს წარმოადგენს. სტილისტური ანალიზის თანახმად ის XX საუკუნის 10-იან წლებს განეკუთვნება და სავარაუდოდ, შემოტანილია საფრანგეთიდან. მოდელი ყურადსაღება დიზაინერის თვალთახედვითაც და თამამად შეიძლება იქნას გამოყენებული შთაგონების წყაროდ, თანამედროვე სამოსის შექმნისას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

Madame Cecil Lace Evening Gown 1910, 11/09/2018. <https://www.pinterest.com/pin/228065168604271406/?lp=true>

Polan, B., Tredre R. The Great Fashion Designers, Berg, 2009 — 273 p.

Мода и стиль в 1914-1908 – эпоха Поля Пуаре 10/09/2018. <https://mylitta.ru/2275-moda-1908-1914.html>

Васильев А. «Русская мода. 150 лет в фотографиях», Изд-во: Слово, 2012 г.

Анохин Д. Стиль модерн в одежде: актуально всегда <http://www.interlinks.ru/style/7985.html>;

Плаксина Э. Б. и другие «История костюма. Стили и направления» — М.: Академия, 2004. 141-147 с.

IRINA UGREKHELIDZE, SALOME CHEISHVILI

## MODERNIST STYLE DRESS FROM THE COLLECTIONS OF KUTAISI HISTORICAL MUSEUM TEXTILE FUND

Kutaisi State Historical Museum Textile fund preserves a sample that retains its originality and carries a wide spectrum of colors- the evening dress made of orange crepe de chine, first appeared in 1980, from Marguerite Abramovich's family (in Kutaisi). Unfortunately the time or place isn't known when or where it was made.

The dress provokes the sensation of European Fashion peculiar to the beginning of last century. Its external look complies with the description of silhouettes and forms belonging to the beginning of the Twentieth Century, according to which the dress has become trendy ever since 1906-1908 - without expansion or accentuation on

the hipline, with slightly narrow bottom (so called “butilka”) with the elevated waistline and wide sleeve kimono.

The style first was brought about by Haute couturiŝt , Jeanne Paquin, and thanks to her it came into French high-end fashion-due to the influence and stylization of the Empire style ‘Ampir’ of the XVIII and XIX Centuries. This trend, in its respect, was inspired by the interest of ancient beauty ideals and the Greek art.

The preserved museum sample thoroughly depicts the main signs of French fashion at the beginning of the 20th century such as repeated silhouette, elevated waistline, wide sleeve kimono and decoration, which except from dating the sample, enables us to conclude that European fashion came into clothing styles in Kutaisi not too late. Not surprisingly, for one thing, there were dressmakers so called “modiŝtkas” in the last quarter of the twentieth century who came from Europe and settled here. On the other hand, there were well-off families who purchased clothing in St. Petersburg and Paris.


Laŝt but not leaŝt, during that period there were Armenian merchants in Kutaisi. Among them was the merchant of the second guild, Parsadanov Sarkisov, who brought clothes from different European countries. The very dress was brought by their descendants. Based on this, It might have brought from France.

As a result of analyzing the issue and familiarizing with fashion magazines, modelers and works presented by fashion houses in the beginning of laŝt century, we can conclude that the orange dressed in Kutaisi Museum Fund belongs to the beginning of the XX century and it is created via moderniŝt French designers and trends. By all odds, it was brought from France.


Thus, Kutaisi State Historical Museum Textile fund preserves the sample, which is outŝtanding for its effective coloring and decorations and represents one of the most interesting models. So it will be appealing to designers, as a source of inspiration when creating contemporary clothes.




სურ. 1. ფონდში დაცული საღამოს კაბა




სურ. 3 კაბის კონსტრუქცია




სურ. 4. კაბის ქვედა ნაპირის ჭრილი



სურ. 6. ქვედა კაბის მარცხენა ნაკერის ჭრილი



სურ. 5. შესაკრავის ჭრილი



სურ. ა-ე



სურ. ვ-ი



სურ. კ-ო

სურ. 2. სხვადასხვა პერიოდის მოდელები: ა, ბ — ძველი ფურნალებიდან; გ, დ, ე — ფანა პაკენის მოდელები; ვ, ზ, თ, ი — პოლ პუარეს მოდელები; კ, ლ, მ — ნადეჟდა ლამანოვას მოდელები; ნ, ო — XVIII-XIX სს. მიჯნის კოსტიუმები

მირანდა ეპანოიძე



## ნიზამ ჰიქვათი

### სიცოცხლე და სიკვდილი

ლივლივა ცაში ნათება მკრთალი,  
მთვარის შესვლა და მთვარის გამოსვლა,  
იკლებს, იღევა გზები და ჟამი.

გზებზე ხეების ცახცახებს რიგი,  
ლანდები უკვე ტბორებს ამოცდა –  
მონყინდათ წოლა ტბორების შიგნით.

ამ დროს სახლიდან ანათებს მორცხვად  
ლამფა და ქალის მიმოდის ლანდი.  
ამ სურათიდან არც ისე შორს ვარ.

შორს მატარებლის გაისმის ქშენა –  
რომანტიკული მიყვება დარდი  
და ჩემს ზმანებას სიცხადედ თარგმნის.

1919 წ.

## მათ

გაუდაბურდა, მიყრუვდა, გულის მიყრუვდა გზები,  
ველარც ოცნებამ იხარა, სიზმრებმაც მოიწყინა;  
და ზოგჯერ ვინმე ლამაზის მონა თუმანც ვხდები,  
იქნება სულაც უიღბლო მოჩვენებებში მძინავს.

შეყვარებულთა ბედნიერ წყვილებს რა მოლევს ქვეყნად,  
როცა შორიდან ვუცქერი – გული ტკივილით ფეთქავს,  
ერთმა რომ მაინც ინებოს, თვალი დამადგას ერთმა-  
ნიავეც გამოადვიდებს ჩემს ჩაყრუებულ ლირას.

1919 წ.

### როცა ველოდები

შენ გელოდება თვალები, გზაში გამდგარი თვალები,  
დგას გაუვალი სიბნელე, სინათლე ჟონავს ნვალებით,  
დრო გადის, გელი ამოდ, მაინც არ ჩანხარ ჯერაც.

აგვიანდება ვარსკვლავებს ცაზე ფარებად გაბნევა,  
გულს უნდა მაგრამ ამოდ, ჯერ ვერ ახერხებს გაფრენას,  
მწარე ტკივილის ატანას, ნისლის, ბურუსის დათმენას,  
დრო გადის, გელი ამოდ, მაინც არ ჩანხარ ჯერაც.

ყოველი დღე და საათი გულზე მანვება ლოდევით,  
მკლავს მე ამდენი მოთმენა, მკლავს მე ამდენი ლოდინი,  
დრო გადის, გელი ამოდ, მაინც არ ჩანხარ ჯერაც.

1918 წ.

### შესვედრა

ო, გუშინ სალამოს კვლავ რომ არ მენახე,  
ვიტყოდი – სიყვარული მოკვდა და ვერ ვამხელ.  
კარგახან ვიარე თვალ-ნამნამ სოველი,  
შევხვდი და – ხელახლა განახლდა ყოველი.

გაქცევის, სიშორის შიშებიც არსებობს,  
ჩვენ-ჩვენი წარსულის შრეს ვუვლით გარშემო,  
იქნება გვერჩია შორი-შორს გვეარა,  
რომ გავმკვლავებოდით ტრფიალის იარას.

ზღვები სურვილებისთვის ყველაზე ცუდი თავშესაფარია

ზღვას ვუყურებ და მის სიცარიელეში  
იმალება ნაწილ-ნაწილ თითქმის ჩემი სხეული,  
შეიძლება ვერც გავიდე – შიშის ტბორი დგება ჩემში,  
ზღვა მთვლემარე ვეშაპია – ადგას ქაფის ფაფარი.

ო, რამდენი შეინირა, ბნელმა ხახამ დღემდე მისმა,  
სიღრმეებში ჩაიხვია, სიღრმეებმა შეითვისა,  
წავიდნენ და ვერ დაბრუნდნენ, წაჰყოლია ნატვრად ვის რა? –  
ზღვაა კაცის სურვილების ცუდი თავშესაფარი.

### ზურბსუკან

სად მოკვდი, სად აღესრულე, რომელ მხარეში კარგო?  
რომელი ცა გაამდიდრე, შენი უმანკო სულით,  
მიტხრეს, რო გარდაიცვალე და ბევრს დაწყვიტე გული,  
სად მოკვდი, სად აღესრულე, რომელ მხარეში კარგო?

ზურგსუკან ორი კურცხალი ცრემლის მიგყვება შუქი,  
დღემდე ხმაური გშვენოდა, ახლა დუმილი გშვენის;  
ერთხანს ენიდან ენაზე ივლის სახელი შენი,  
ზურგსუკან ორი კურცხალი ცრემლის მიგყვება შუქი.

1919 წ.

### სამშვიდოვო ღამეები

არც მოციმციმე შუქი, არც რამე ფეხის ჩქამი,  
ქუჩას სურს ენა აიდგას, მაგრამ აქამდე მორცხვობს;  
და სამი კაცი მხოლოდ, კაცი ვართ სამად-სამი,  
ვინც ამ კუნაპეტ ღამეში ხვალის იმედით ვცოცხლობთ.

დღეს მოკვდავია ჟამი, ჩვენი ქალაქის დროით,  
მხიარულება მისი, არადა გვახსოვს ყველას;  
გარდასულს მონატრებული წამოვიძახებ – ჰოი,  
როგორ შვენოდა ამ ცას შვიდფერი ცისარტყლა!

ყველანი ტკივილიანი, ძაძებიანი ყველა,  
ბევრჯერ მოვკვდით და გავცოცხლდით, ბევრჯერ წავაგეთ ლელო;  
და ჩვენს მწუხარე სულებში ჩამდგარ სისხლისფერ მელანს  
დაევალება წამება და ტანჯვა უნდა წეროს.

ბაგეს არ წყდება ბგერა, წინ-წინ მივიწვევთ რიდით,  
ჩადგა ფეხის ხმა ჩრდილში, ლანვზე კურცხალი შრება;  
ოთხ მხარზე გადებული კუბო უჩვენოდ მიდის  
და მერე თანდათანობით თვალსა და ხელს შუა ქრება.

დავფიქრდი მე ჩემს სიკვდილზეც – სახემ აიკრა ფიქრი,  
ეადვილება გლოვაში კაცის გახვევა მჩატედ;  
შორს კვლავ გამოჩნდა კუბო – გული ბაგაბუგს ითვლის –  
ძველია წესიც, ადათიც, ახალს ვერაფერს ვამჩნევ.

უძლური ქვეყნის ნანგრევებს ბზუილი იკლებს ბუზის,  
ყურს ცალყბად ვუგდებ, ხომ ვიცი, ბაიყუშების ზრიალს;  
ხვალინდელ სიამოვნებას ხელზე იმედი უზის  
და უკვე არად მიიჩნევ, რაც დღემდე გიტანჯია.

### პატიოსნება

(აიშეს მარჯვენა)

გედივით თეთრ კისერზე, მზეთუნახავ აიშეს  
სამი წყება მარჯანი ამშვენებდა ყოველთვის;  
მოტრფიალე დერვიში ხელს ღმერთისკენ აიშვერს:  
„განყდეს! – არ ეპატიოს, შეცოდების მომენტში.“

ჟამმა ჟამი გამოხრა, გზებმა გზები მოლია,  
ცოდვასთან რო მიგიყვანს – საკუთარი ფეხია;  
ერთხელ, ადუღებულმა სისხლმა აიყოლია  
და მარჯნებიც კისერზე აღარ შემოეხვია.

1920 წ.

### ტყევი დამნვარი ქალიშვილი

როცა ჟონავდა ტოტებიდან მზის ოქრო-ვერცხლი,  
თვალსა და ხელსშუა დაიკარგა ტყეში ქალიშვილი;  
სულ ერთი კონა ხმელი ფიჩხით დაანთოო ცეცხლი  
და აღს პირსახე და ხელები მიუშვირა.

ალი ბეჭებზეც შემოენთოო, განათდა არე,  
მერე კისრიდან ნაწნავები დაეშვა ზოლად,  
ცეცხლი მოედო წამწამებს და მოედო თვალებს  
და ორი ცეცხლის ერთმანეთთან დამთავრდა ბრძოლა.

თურქულიდან თარგმნეს  
მირანდა და ზაალ ეპანოიძე

## სარჩევი

<b>ნინო სულავა, ნანა რეზესიძე, ბრაიან გილმორი, რუსუდან ჩაგელიშვილი, თამარ ბერიძე</b> გვიან პრივზაოს ხანის არქეომატალურბიოული ძეგლი ლეჩხუმიდან ..... 5	5
<b>Nino Sulava, Nana Rezesidze, Brian Gilmour, Tamar Beridze, Rusudan Chagelishvili</b> LATE BRONZE AGE ARCHAEOLOGICAL SITE IN THE LECHKHUMI REGION ..... 10	10
<b>ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, იაცეკ ჰამბურგი, შალვა ბუაძე, კაშა პავლოვსკა, მონიკა ბადურა,</b> <b>აგნეშკა კალიშევსკა, რაფალ ბიენკოვსკი, ჯონანა შარკოვსკა, ნონა ქარციძე, მერაბ ჭუმბურიძე</b> ქართულ-პოლონური ექსპედიციის მიერ 2018 წელს ქუთაისში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში ..... 12	12
<b>Omar Ianchava, Roland Isakadze, Iatsek Hamburg, Shalva buadze, Kasha Pavlovskaya, Monika Badura,</b> <b>Agneshka kalishevskaya, Rafael Bienkovski, Johana Sharkovskaya, Nona Kartsidze, Merab Chumburidze</b> REPORT OF ARCHAEOLOGICAL WORKS CARRIED OUT BY GEORGIAN-POLISH EXPEDITION IN 2018 IN KUTAISI ..... 18	18
<b>მერაბ კეზევაძე</b> იმერეთის ეპარქიის რამდენიმე ეკლესიის ნივთ-სამკაშის 1829 წლის აღწერა ..... 22	22
<b>Merab Kezevadze</b> THE DESCRIPTION OF 1829 OF THE JEWELRY OF SEVERAL CHURCHES OF IMERETI EPARCHY ..... 28	28
<b>დავით სულაბერიძე</b> სამეფო დროშა ქუთაისის მუზეუმის კოლექციიდან ..... 29	29
<b>David Sulaberidze</b> ROYAL FLAG FROM KUTAISI MUSEUM COLLECTION ..... 34	34
<b>ჯამბულ ქაშიბაძე</b> სფეროკონუსური მუზარადი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან ..... 36	36
<b>Jambul Kashibadze</b> SPHERECONICAL HELMET IN KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM ..... 42	42
<b>ციცინო მუმლაძე, ეკატერინე ყელაურაძე, ნინო კუხიანიძე</b> სოლომონ I სიგელის კორპუსი (ქუთაისის მუზეუმის მასალები) ..... 45	45
<b>Tsitsino Mumladze, Ekaterine Kelauradze, Nino Kukhianidze</b> COLLECTION OF KING SOLOMON I DEEDS (MATERIALS OF KUTAISI MUSEUM) ..... 65	65
<b>მაია ქებულაძე</b> ჯრუჭის მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე ..... 66	66
<b>Maia Kebuladze</b> JRUCHI MONASTERY'S SOCIO-ECONOMIC HISTORY (XVIII- TO 20 YARS OF XX CENTURE) ..... 80	80



**ნინო სარავა, თამარ ჯიხვაშვილი**

ნმ. იონანე მახარებლის ორი ფერწერული ხატი ჯრუჭის მონასტრიდან ..... 93

**Nino Sarava, Tamar Jikhvashvili**

TWO PAINTED ICONS OF ST. JOHN THE EVANGELIST FROM JRUCHI MONASTERY ..... 97

**ელდარ თავბერიძე**

ჭალატყის ჯვარცმის მონასტერი და მისი სიძველეები ..... 99

**Eldar Tavberidze**

THE CHALATKHE CRUCIFIXION MONASTERY (RECENT CHURCH)  
AND ITS ANTIQUITIES ..... 105

**ლაშა დეისაძე-შარვაშიძე**

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების ისტორიული  
წინაპირობები ..... 106

**Lasha Deisadze-Sharvashidze**

HISTORICAL PRECONDITIONS OF INTERNATIONAL ACKNOWLEDGMENT OF  
AUTOCEPHALY OF GEORGIAN CHURCH ..... 113

**ირაკლი ლორთქიფანიძე**

სასულიერო ჟურნალი „ახალი სიტყვა“ – ქუთაისელი მიტროპოლიტი  
ანტონის წინააღმდეგ ..... 114

**Iraklis Lortkipanidze**

THE ECCLESIASTICAL JOURNAL “NEW WORD” – AGAINST TO METROPOLITAN ANTONY  
OF KUTAISI ..... 121

**დავით იობიძე**

გრამატიკული სქესის კატეგორიის გამოსატყობა და ერთი ენობრივი ხასიათის  
მარბინალური შენიშვნა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა შემცველ  
ქართულ ხელნაწერში (K-14) ..... 122

**Davit Iobidze**

EXPRESSION OF THE GRAMMATICAL GENDER CATEGORY AND ONE MARGINAL NOTE  
OF THE LINGUISTIC CHARACTER IN THE GEORGIAN MANUSCRIPT K-14, CONTAINING  
THE WORKS OF MAXIMUS THE CONFESSOR ..... 125

**თამაზ დევიძე**

„ბალოგანი მეორედ მოსვლისანი“ – K-79 ხელნაწერის მიხედვით ..... 126

**Tamaz Devidze**

„THE CHANTS OF THE SECOND COMING“ ACCORDING TO MANUSCRIPT K-79 ..... 132

<b>ვლადიმერ წვერავა</b>	
მუჰაჯირობა .....	133
<b>Vladimer Tsverava</b>	
MUHAJIRS .....	139
<b>მადონა რობაქიძე</b>	
იმერეთის სამეფო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში .....	140
<b>Madona Robakidze</b>	
THE KINGDOM OF IMERETI IN THE FIRST HALF OF THE XVIII CENTURY .....	145
<b>ნელი უგრეხელიძე</b>	
ქუთაისის მუზეუმში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები .....	147
<b>Neli Ugrehelidze</b>	
BONDS OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA PROTECTED IN THE MUSEUM .....	151
<b>ლევან ტყეშელაშვილი</b>	
დავით აღმაშენებლის გარდაცვალება .....	153
<b>Levan Tkeshelashvili</b>	
DAVID THE BUILDER DIED .....	158
<b>ოთარ გოგოლიშვილი</b>	
ბათუმის ოლქი უმცირეს 1920-1921 წლებში .....	159
<b>Otar Gogolishvili</b>	
THE DISTRICT OF BATUMI IN 1920-1921 YEARS .....	165
<b>გრიგოლ ბოგვერაძე</b>	
მე-11 წითელი არმიის სარდლობა 1920-1921 წლებში .....	166
<b>Grigol Bogveradze</b>	
THE 11TH RED ARMY'S COMMANDERS IN 1920-1921 YEARS .....	174
<b>კახაბერ ქეზულაძე</b>	
საუკუნის წინანდელი ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ისტორიიდან (ზოგადი მიმოხილვა) .....	175
<b>Kakhaber Kebuladze</b>	
FROM THE HISTORY OF THE SOCIO-POLITICAL LIFE OF KUTAISI A CENTURY AGO (GENERAL OVERVIEW) .....	183
<b>ნატო ნიქაბაძე</b>	
XIX საუკუნის 40-50-იანი წლების პატრიოტული კონსერვატიზმი „ცისკრელები“ .....	187

**Nato Nikabadze**

PATRIOTIC CONSERVATISM IN 40-50S OF THE 19TH CENTURY „TSISKARIAN” ..... 190

**თეონა მურღულია**

დემოკრატიული რესპუბლიკის საბანანათლებლო პოლიტიკა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ 1918-1921 წლებში ..... 191

**Teona Murghulia**

EDUCATIONAL POLICY OF DEMOCRATIC REPUBLIC TOWARDS NATIONAL MINORITIES LIVING IN GEORGIA IN 1918-1921 YEARS ..... 194

**იმერი ბასილაძე**

ქუთაისის მოჭირნახულე გიორგი ედვარდის ძე ფონ შულცი (1871-1918) ..... 195

**Imeri Basiladze**

BENEFACTOR OF KUTAISI GEORGE VON SHULTZ (1871-1918) ..... 202

**ლია გაბუნია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიიდან (ივანე ჯავახიშვილი და ქუთაისი) ..... 203

**Lia Gabunia**

EXTRACT FROM AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY HISTORY (IVANE JAVAKHISHVILI AND KUTAISI) ..... 209

**მაია საჩკოვი**

ოქროს ბანგენდის ძველი ქართული წესები ..... 211

**Maia Sachkovi**

ANCIENT GEORGIAN METHODS OF CLEANING GOLD ..... 215

**მარიამ მარჯანიშვილი**

კოეტური კულტურით გამორჩეული შემოქმედი ..... 216

**Mariam Marjanishvili**

THE CREATOR DISTINGUISHED WITH POETIC CULTURE ..... 221

**თინათინ ლეთოდინი**

ბ. გრასის „თუნუძის დოლი“, როგორც ანტი-ალფრედის რომანი ..... 222

**Tinatini Letodini**

“THE TIN DRUM “ BY GUNTER GRASS ..... 228

**Надежда Харшиладзе**

ПРИНЦИПЫ ПОСТРОЕНИЯ И ОСНОВНЫЕ КОМПОНЕНТЫ, СОЗДАНИЯ УЧЕБНИКОВ И УЧЕБНЫХ ПОСОБИЙ ПО РУССКОМУ ЯЗЫКУ ДЛЯ ГРУЗИНСКИХ УЧАЩИХСЯ ..... 229

**Nadezhda Kharshiladze**

PRINCIPLES OF CONSTRUCTION AND MAIN COMPONENTS OF CREATION OF RUSSIAN LANGUAGE TEXTBOOKS AND TEACHING MANUALS FOR THE GEORGIAN STUDENTS ..... 231

**პაატა ჯაფარიძე**

მოჰამედ ხიზანა ალ ბალხის ლექსიკოგრაფიული ნაშრომის – بحر الفضائل في منافع الافاضل

ბაჰრუ l-fazā'il fī manāfi' i l-'afā zil – თბილისური ნუსხა ..... 233

**Paata Djafaridze**

MOHAMED KHIZANAH AL-BALKHI'S LEXICOGRAPHY WORK:

„BAHRU L-FAZĀ'IL FĪ MANĀFI'I L-'AFĀ ZIL“ – TBILISI VERSION ..... 237

**თამარ ორაგველიძე**

ბათუმის ცხოვრების ასახვა ბაზეთ „Батумская правда“-ს ფურცლებზე ..... 238

**Tamar Oragvelidze**

OVERVIEWING (REFLECTION OF) THE LIFE OF BATUMI IN THE PAPER OF

“BATUMSKAYA PRAVDA” ..... 242

**მზია ზარნაძე**

საუკუნის ფოტოსურათის თავგადასავალი (II ნაწილი) ..... 243

**Mzia Zarnadze**

ADVENTURE OF THE CENTURY PHOTOGRAPH PART II ..... 248

**ცისია გრიგოლავა**

ქურნალი „კრებული“ (ისტორიულ მუზეუმში დაცული) ..... 249

**Tsitsia Grigolia**

JOURNAL “COLLECTED WORKS” ..... 252

**რუსუდან კობრავა**

ქველი ბათუმის ქუჩები ..... 253

**Rusudan Kobrava**

OLD BATUMI STREETS ..... 259

**ნათელა შერვაშიძე**

ქართული დამწერლობის იშვიათი სახე „დედაბრული ხელი“ (მუზეუმში დაცული

მასალების მიხედვით) ..... 261

**Natela Shervashidze**

EXTRAORDINARY STYLE OF THE GEORGIAN SCRIPT “OLD WOMAN’S HAND” OR “OLD MOTHER’S HAND” ACCORDING TO THE MATERIALS RESERVED AT THE MUSEUM ..... 265

**ნატო ცეცხლაძე**

მუზეუმის ფონდში დაცული უცხოური ნარგომების ნაკეთობები ..... 266

**Nato Tsetskhladze**

FOREIGN PRODUCTION ITEMS IN THE MUSEUM ACCORDING TO THE

RESERVED MATERIALS ..... 268

**ნანა კორიძე**

ცხვრის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ..... 270

**Nana Koridze**

FACTS REFLECTING THE SHEEP CULT FROM THE ADJARIAN MUSEUM ..... 272

**მირიან სტეფანია**

მონღოლების სამხედრო ხელოვნება ((XIII-XIV სს) ..... 274

**Mirian Stepania**

MONGOL ART OF WAR (XIII-XIVCC) ..... 289

**ნინო დოლიძე, ხათუნა დარსაველიძე**

ქოსტუმის სახის ფორმირების ასპექტები ..... 292

**Nino Dolidze, Khatuna Darsavelidze**

ASPECTS OF THE FORMATION OF THE COSTUME ..... 295

**ელისო ჩუბინიძე, ირინა უგრეხელიძე, ანა დოღონაძე, მარგალიტა მსხილაძე, ნონა ქარციძე**

ნამაგრი სიტვის სახეები ქართულ ოქროქარბულოებაში ..... 296

**Eliso Chubinidze, Irina Ugrehelidze, Ana Doghonadze, Margalita Mskhiladze, Nona Kartsidze**

KINDS OF SATIN STITCH IN GEORGIAN GOLDWORK ..... 300

**ირინა უგრეხელიძე, სალომე ჭეიშვილი**

მოდერნის სტილის კაბა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ტანსაცმლის კოლექციებიდან 302

**Irina Ugrehelidze, Salome Sheishvili**

MODERNIST STYLE DRESS FROM THE COLLECTIONS OF KUTAISI HISTORICAL  
MUSEUM TEXTILE FUND ..... 304

**მირანდა ებანოიძე, ზაალ ებანოიძე**

ნიზამ ჰიმეითი ..... 307

**Miranda Ebanoidze, Zaal Ebanoidze**

კრებული დაკაბადონდა და დაიბეჭდა

ი/მ „მამუკა ფოფხაძის“ მიერ

ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. 186

ტელ.: 0 431 23 45 54

